ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

შრომები
XII

ბათუმი – 2016

БАТУМСКИЙ ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ
ШОТА РУСТАВЕЛИ
ИНСТИТУТ НИКО БЕРДЗЕНИШВИЛИ

ТРУДЫ
XII

БАТУМИ – 2016

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITYTE

TRANSACTIONS
XII

BATUMI - 2016

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომების XII ტომში შესული სამეცნიერო სტატიები ძირითადად მოიცავს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიის, ფოლკლორის, დიალექტოლოგიის, აგრეთვე, მეცნიერების სხვა დარგის საკითხებს, რომლებიც დღემდე ნაკლებად ცნობილი ან სრულიად უცნობი იყო მეცნიერული კვლევით დაინტერესებული და ფართო მკითხველისათვის. გამოკვლევებს საფუძვლად უდევს სამეცნიერო საექსპედიციო და სამივლინებო მასალები, საარქივო და ლიტერატურის მონაცემები.

სარედაქციო კოლეგია:

ნარგიზ ახვლედიანი, ბიჭიკო დიასამიძე (რედაქტორის მოადგილე), **ჯემალ ვარშალომიძე, ოთარ თურმანიძე, ნინო ინაიშვილი, ნოდარ კახიძე** (რედაქტორი), **თამილა ლომთათიძე, როინ მალაყმაძე** (თავმჯდომარე), **უჩა ოქროპირიძე, შუშანა ფუტკარაძე** (რედაქტორის მოადგილე), **ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, მერაბ ხალვაში, ნანა ხახუტაიშვილი, ოლეგ ჯიბაშვილი**

რეცენზენტები:

შოთა მამულაძე - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

თემურ ავალიანი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ეთერი ხეცოიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

ისტორია

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე - სამშობლოსათვის წამებულნი 8
Shushana Putkaradze, Roin Malakmadze -Tortured for Homeland 23

ნოდარ კახიძე - იასე რაჭველის წერილები კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებზე და აჭარლებზე 25
Nodar Kakhidze - Iase Rachveli's publicistic letters about Georgians living in Constantinople and Ajara 35

არქეოლოგია

ბიჭიკო დიასამიძე – ციხის რაბათები შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში 36
Bichiko Diasamidze – "Rabati"-s of Castle in Adjaristsqali Valley 46

კახაბერ ქამადაძე – ოსმალური ფაიანსი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან 48
Kakhaber Kamadadze – Ottoman Faience from the Monuments of South-Western Georgia **56**

ეთნოლოგია, ფოლკლორი

ნაილა ჩელებაძე - ოჯახის როლი ხალხური აღზრდის სისტემაში (ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) **62**
Naila Chelebadze - The role of the family in the system of the upbringing (according to the ethnographic materials) 71

თამილა ლომთათიძე – წრის სიმბოლიკა აჭარის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში 73
Tamila Lomtatidze – Circle symbols of ethnic traditions in Ajara 81

ნარგიზ ახვლედიანი – ქვასა და ბუნებრივ გარემოსთან დაკავშირებული ზანური გეოგრაფიული სახელები აჭარაში 83
Nargiz Akhvlediani – Zanian Geographical Names in Ajara Related to Stone and Natural-Geographical Environment 88

ნაილე მიქელაძე – უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ერთი ტოპონიმის საკითხისათვის 90
Naile Mikeladze – One toponym of ancient religious-cult origins 96

ფილოლოგია, ენათმეცნიერება

შოთა ზოიძე – პოეტი-ბარდი ბულატ ოკუჯავა 98
Шота Зоидзе – Поэт, прозаик, бард грузинского происхождения 105

ომარ მემიშიში – შერწყმული წინადადება ლაზურში 107
Omar Memishishi –The Proposal Sentence in Lazuri 111

ციალა ნარაკიძე –შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში 113
NarakidzeTsiala – From LazVocabulary Related toHandicraft Industry 121

ნანული ნოღაიდელი – ანთროპონიმთა საკითხისათვის აჭარულში (ანთროპონიმები და ტოპონიმია) 123
Nanuli Noghaideli –Questions of Human Names (Anthroponymy and Toponym) 141

შუშანა ფუტკარაძე – ისტორიული ტაოს ქართული 143
Шушана Путкарадзе – Грузинская речь исторического края Тао 180

ემიგრანტული ლიტერატურა

ნანი გუგუნავა – ბედისწერა ემიგრანტი მწერლისა 182
Nani Gugunava - Fate of the emigrant writer 198

სამართალი

ოთარ თურმანიძე – ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში 200
Otar Turmanidze - Georgian Law history issues in Ivane Javakhishvili works 216

ჯანდაცვა

ოლეგ ჯიბაშვილი – ჯანდაცვის განვითარების ისტორიიდან ქედის მუნიციპალიტეტი 218
Oleg Jibashvili - From the History of Healthcare at Keda Municipality 233

ჟურნალისტიკა

იოსებ სანიკიძე – ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის" დაარსებისათვის 235
Ioseb Sanikidze - 243

სოციოლოგია

ნუგზარ ჩხაიძე – მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში წარმოქმნილი სიძნელეები და მათი გადაჭრის გზები 244
Нугзар Чхаидзе - Некоторые вопросы достоверности социологических исследований 252

ტურიზმი და დაცული ტერიტორიები

ვახტანგ მიქაშავიძე, ჟანი მიქაშავიძე – ტურიზმი და დაცული ტერიტორიები ეკოტურიზმისა და დაცული ტერიტორიების განვითარება – ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებელი პირობა 253

Vakhtang Mikashavidze, ZhaniMikashavidze- Maintenance of the Biodiversity as an Essential Circumstances of the Development of Ecotourism and Protected Areas 269

კონსტანტინე ღლონტი - ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი ასპექტი 271

Константин Глонти -Некоторые аспекты происхождения и развития туризма 280

პოლიტიკური რეპრესიები

ოთარ თურმანიძე – ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია 281

Otar Turmanidze - History of repressed peopleof village 303

ღვაწლის დაფასება

უჩა ოქროპირიძე – ჰორიზონტს იქით სიცოცხლე გრძელდება (აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატები) 304

Ucha Okropiridze – Life Goes on Beyond the Horizon (TbelAbusaridze award laureates) 311

გახსენება

სიმონ გოგიტიძე 312

შუშანა ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

როინ მალაყმაძე
ისტორიის დოქტორი

სამშობლოსათვის ღამეებულნი

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს განაპირა მხარეებს ისტორიულად ბედმა სამშობლოს სამსხვერპლოს ხვედრი არგუნა. ვინ მოთვლის ამ სამსხვერპლოზე თავდადებულთა სახელებს, სამშობლოსათვის ზვარაკად შეწირულებს!.. ეს მიწა ხომ მრავალგზის მორწყულია ჩვენი გენის სისხლით; აქ იმსხვრეოდა რომაელთა თუ ბერძენთა, არაბთა თუ სელჩუკთა, მონღოლთა თუ ოსმალთა მუზარადები; აქაური მიწა ბევრჯერ საფლავად ქცევია კარზე მომხდურ მტერს. ამიტომ სამტროდ მოსულთა სისხლითა და ხორცითაცაა გაპოხიერებული ჩვენი მამული – ისტორიული ზემო ქართლი (აჭარა, ფოცხოვ-ერუშეთი, არტაან-ჩილდირი, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი).

მაგრამ საქართველოს ეს უმშვენიერესი მხარე მარტო მტერთა ძვლების სალეწი კალო როდი ყოფილა. ეს იყო ევროპული ცივილიზაციის შემოსასვლელი კარი, ქრისტეს მოძღვრების ერთ-ერთი უპირველესი საქადაგებელი ადგილი. აქედან შემობრძანდნენ **წმინდა ანდრია მოციქული და წმინდა ნინო**. ქართველი პირველად აქ ეზიარა ჭეშმარიტ სარწმუნოებას. სრულიად საქართველოს ციურ მანანასავით აქედან მოევლინა ღვთიური მადლი, **დედა-მარიამის კალთის სითბო და სიწმინდე**.

სამართლიანად გვეამაყება ჩვენი წარსული, წინარე ისტორიული სანახებიდან წამომართული და დღემდე მოტანილი ვაჟკაცური სვლით, დიდებული ენით, უნიკალური დამწერლობით, მდიდარი კულტურით, გაუტეხელი ქართული სულით.

სამყაროს შექმნიდან მოყოლებული გრძელი გზა გამოიარა ჩვენმა გენმა – მხცოვანმა, მაგრამ მარად ახალგაზრდამ, ზოგჯერ დამარცხებულმა, მაგრამ ფენიქსისებრ აღმდგარმა, სულით მაღალმა და გაუტეხელმა. ამ გრძელ გზაზე ბევრ ხალხს შევხვედრივართ, მაგრამ თითქმის ყველანი – **შუმერები** თუ **ხეთები, ელამელები** თუ **პელაზგები, დრავიდები** თუ **ფინიკიელები,** დროთა სვლაში დაღლილნი, გამქრალან, წაშლილან დედამიწის ზურგიდან. ქართველი კი დღესაც ცოცხლობს და იბრძვის, შრომობს და იღვწის...

სამშობლოს დღევანდელობა, მისი აწმყო – საუკუნეთა ქარცეცხლში გამოტარებული – ჩვენი წინაპრების ოფლისა და სისხლის, ტანჯვისა და წამების ნაყოფია. სამშობლოსათვის წამებულნი ჩვენი ისტორიის ყოველი მონაკვეთიდან შემოგვცქერიან, ჩვენგან მათი ღვაწლის გახსენება-დაფასებას ელიან, შესანდობარს ითხოვენ. ამიტომაც იცლება ქართულ სუფრაზე წინაპართა მოსახსენიებელი სასმისი... ამიტომაც მოვალენი ვართ ხშირად გავიხსენოთ მათი „საქმენი საგმირონი“.

ეს ვრცელი შესავალი, ჩემო მკითხველო, მოვიტანე ჩვენი ახალგაზრდობის ოპტიმიზმის ამაღლების მიზნით; იმის დასაჯერებლად, რომ ჩვენი სამშობლო დაძლევს დღევანდელ სიძნელეებს და ნათელი მომავალი გაუთენდება; რომ დიდებული წარსულის ფესვებზე კვლავ ამოიზრდება ლამაზი ხვალინდელი დღე.

მკითხველს ვთავაზობთ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ ქართული გაზეთების მონაცემებით შთაგონებულ სტატიას. იგი ეხება სამშობლოსათვის წამებულთა ცხოვრების ეპიზოდებს. გმირ წინაპართა გახსენება კი, როგორც **გრიგოლ ორბელიანი** ბრძანებდა, მეტად საშური საქმეა, რადგან **„მათთა საქმეთა მოთხრობით მოხუცს ცრემლ მოედინება; მხნეობით აღტაცებული ჭაბუკი ხმალსა მისწვდება**“, მშობელი მიწის დასაცავად.

მკითხველს გვინდა გავაცნოთ (გავახსენოთ) ორი უძველესი ქართული წარჩინებული გვარის – **აბაშიძეებისა** და **ათაბაგების –** სასახელო შვილები, რომელთა სიცოცხლე ზვარაკად შეეწირა საქართველოს ინტერესებს, სამშობლოს სიყვარულს, მშობელი მიწის ერთიანობისათვის ზრუნვას.

იდგა 1919 წელი, მეტად მძიმე და ფათერაკებით სავსე... დამოუკიდებლობის კვარცხლბეკზე შემდგარი საქართველოს ბედი სასწორზე იდო. უამრავი, ფარული თუ აშკარა, შინაური თუ გარეშე მტერი ემუქრე-

ბოდა ჩვენს ქვეყანას. ჩრდილოეთიდან „ბოლშევიქმის ვეშაპი“ უახლოვდებოდა, სამხრეთიდან ოსმალეთის ურდოები უტევდნენ. არც კარის მეზობლები – სომხები და აზერბაიჯანელები იცქირებოდნენ გულდამშვიდებით, მათაც გემრიელი ლუკმა ეგულებოდათ ჩვენს მიწაზე. ევროპის სახელმწიფოებსაც, პოლიტიკურ კლიმატს რომ მართავდნენ მსოფლიოში – ინგლისს, საფრანგეთსა და იტალიას, – თავიანთი ინტერესები ამოძრავებდათ.

დენიკინისა და ოსმალეთის ჯარისკაცების ფეხქვეშ ითვლებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალი... ომის მსხვერპლად შეწირული მხარის მცხოვრებნი ლტოლვილებად იყვნენ ქცეულნი ოსმალეთში... გმინავდა წინაპართა საფლავები, სისხლისაგან იცლებოდა საქართველო... ხსნის იმედი თითქმის არსაიდან ჩანდა.

ამ დროს სწორი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა მეტად ძნელი იყო. არავინ იცოდა, **ჩვენი სამშობლო** საით წავიდოდა, როგორც მღელვარე ზღვაში მოქცეული, ბედის სასწორზე შეგდებული, **მოქანავე გემი**, მიაღწევდა თუ არა ნაპირს?!

ამ მძიმე ჟამს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მღელვარე ცხოვრების ჭეშმარიტ მესაჭედ მოევლინა **მემედ ბეგ აბაშიძე** – ერისთავ (სანჯაყ-ბეგ) აბაშიძეთა წარჩინებული გვარის სასახელო შვილი. მის მიერ ჩამოყალიბებული „**სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი**“ და **გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“** დიდ მამულიშვილურ საქმეს ემსახურებოდა: აღვიძებდა, **აძლიერებდა მოსახლეობაში მიძინებულ ეროვნულ თვითშეგნებას, იბრძოდა საქართველოს ერთიანობისათვის.** ამიტომაც მაშინ მემედ ბეგ აბაშიძე დამსახურებულად მიაჩნდათ **„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რაინდად**“.

* * *

იმ შავბნელ დროში საქართველოს სასიკეთო საქმეების კეთება, მისთვის სამსახური, მისი ერთიანობისათვის ბრძოლა, სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების ქადაგება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული; ციხე, გადასახლება და სიკვდილი ელოდა ჭეშმარიტ მამულიშვილებს, მათი ოჯახის წევრებს, ნათესავებსა და ახლობლებს, თანამოაზრეებს.

1919 წელი მძიმე, აუტანელი იყო არა მარტო აჭარისათვის, არამედ **მთელი ტაო-კლარჯეთისათვის, კერძოდ კი, ფოცხოვისათვის. აქ, ფოცხოვში, საერთოდ მთელ სამუსლიმანო საქართველოში (მესხეთ-ჯავახეთი, არტაანი, აჭარა, შავშეთი, ტაო, კლარჯეთი),** ბევრი ნათესავი, ნაცნობ-მეგობარი, მოყვარე ჰყავდა მემედ ბეგ აბაშიძეს. ამიტომ მისი მამულიშვილური საქმიანობა შედარებით ადვილად სწვდებოდა მთელს **სამუსლიმანო საქართველოს;** მისი სწრაფვა, საქართველოს მიწა-წყლის გაერთიანებისაკენ, ყველგან ფრთებს ისხამდა...

მემედ ბეგის სასიცოცხლო იდეას, ბრძოლას საქართველოს ერთიანობისათვის, უამრავი მტერიც ჰყავდა შინ და გარეთ. ამ პერიოდისათვის განსაკუთრებით საშიში იყო **სერვერ-ბეგ ათაბაგის** საქმიანობა.

საქართველოში მენშევიკური მთავრობის ჩამოყალიბების შემდეგ სოციალისტური იდეები იწყებდა რეალიზაციას. ეს საფრთხეს უქმნიდა დიდი ქონების მფლობელ ერისთავებს. მათ შორის იყო **სერვერ ათაბაგიც**.

ვინ იყო სერვერ ათაბაგი და რატომ მტრობდა იგი საქართველოს ერთიანობას?! პასუხისთვის მივმართოთ ქართული ემიგრაციის ორ გამოჩენილ პიროვნებას – ბატონებს **ვიქტორ ნოზაძესა** და **შალვა მაღლაკელიძეს**, რომლებიც ჟურნალ „**ქართლოსში**“ დაბეჭდილ თავიანთ წერილებში გვაცნობენ სერვერ ათაბაგის პიროვნებას (1939 წ., გვ. 318, 348).

სერვერ ათაბაგის ხელმძღვანელობით, როგორც ცნობილია, 1918-1919 წლებში ცდილობდნენ ჩამოეყალიბებინათ ე.წ. „**ყარსის რესპუბლიკა**“ – სამხრეთ-დასავლეთ კავკასიის მთავრობა. ამ მოძრაობას საფუძველი ჩაეყარა 1917 წელს **აბასთუმანში** გამართულ **მაჰმადიანთა ყრილობაზე**. ყრილობამ მაშინ მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვით **აჭარა, არტაანის მხარე (ტაო, ოლთისი, ფოცხოვი, ჩილდირი, ერუშეთი), ახალციხე-ახალქალაქის მაზრები ყარსის ოლქად** უნდა ჩამოყალიბებულიყო და შექმნილიყო ცალკე ადმინისტრაციული ერთეული, სადაც ქართველი მაჰმადიანი მოსახლეობა იქნებოდა გაერთიანებული.

რეზოლუციის განხორციელება დაიწყეს 1918 წლიდან.

ე.წ. „ყარსის რესპუბლიკის“ მთავრობის ხელმძღვანელად მოგვევლინა სერვერ ბეგ ათაბაგი, „ქობლიანის პრინცი“ (ქვაბლიანის ხეობის–აბასთუმნის მკვიდრი).

ბატონი **ვიქტორ ნოზაძე** ასე გვაცნობს ამ პიროვნებას:

„სერვერ ათაბაგი თავიდანვე საქართველოს მტერი არ იყო; იგი არც ოსმალეთის მოტრფიალე ყოფილა. რევოლუციამ თავისთავად დააფრთხო მესხეთის მაღალი წოდება; სოციალისტურმა ქადაგებამ ააღელვა მორწმუნე მაჰმადიანობა, განსაკუთრებით, სასულიერო წოდება; აგრარულმა რეფორმამ გადაატრიალა მიწისმფლობელთა მდგომარეობა და მამულის დაკარგვის აუცილებელმა შიშმა ერთბაშად შექმნა თბილისის საწინააღმდეგო განწყობილობა. ეს ვითარება პირდაპირ ძირს სცემდა საქართველოს ეროვნულ ინტერესებს. სამწუხაროდ, სერვერ ათაბაგი – დიდი მამულის მფლობელი, ფრიად გავლენიანი პიროვნება, გახდა საქართველოს მოწინააღმდეგე მოძრაობის მეთაური, რომლითაც მხოლოდ საქართველოს მტრებმა ისარგებლეს. ეს იყო სოციალისტური, კლასობრივი პოლიტიკის ნაყოფი: საქართველოს ყველა კუთხისათვის ერთი ზომით აგრარული რეფორმის გამოცხადება, რასაკვირველია, დაუშვებელი და შეუძლებელი იყო, მათ შორის მესხეთისათვის, ადგილობრივ პირობათა და ვითარებათა განუკითხავად.

საქართველო „ტაბულა რაზა“, სუფთა ფიცარი არ იყო, რომ მასზე ფანტაზიის შთაგონებით ეხაზათ, როგორც ეს ზოგს პასუხისმგებელ პირთ ეგონათ“ (1, 318).

აი, რას წერს იმავე ჟურნალში ბატონი შალვა მაღლაკელიძე: „საქართველოს მთავრობას რომ სათანადო და წესიერი პოლიტიკა ეწარმოებინა ამ მხარეში, ჩვენ ავცდებოდით დიდ აჯანყებას, რომელიც სერვერ-ბეგ ათაბაგის ხელმძღვანელობით მოხდა. სერვერ ათაბაგი, ქვაბლიანელი, იყო მთელს სამცხე-საათაბაგოში დიდად ცნობილი და გავლენიანი ფეიზულ-ბეგის შვილი. თვით ფეიზული რუსეთის ერთგული იყო. აბასთუმნიდან დიდი მთავრის გიორგი ალექსანდროვიჩის კუბო ხელით რომ გამოჰქონდათ, იმდენად განიცადა, რომ უსულოდ ძირს დაეცა...

ფეიზულის შვილი – სერვერი მესხეთში ოსმალთა აგენტების მუშაობას არ თანაუგრძნობდა; პირადად ჩემთან იყო მჭიდრო მეგობრულ დამოკიდებულებაში, და თუ საქართველოს დამოუკიდებლობის დროს იგი მას გადაუდგა და სხვა გზა აირჩია, ჩვენს მთავრობას აჯანყებაც მოუწყო, ახალციხე დაიკავა, ეს იყო გამოწვეულია არა ოსმალეთისადმი სიყვარულით ან ოსმალური ორიენტაციით, არამედ იმ ყოვლად მიუღებელი აგრარული რეფორმის მიზეზით, რომლის ძალით სერვერ ათაბაგი, დიდი მიწათმფლობელი, უნდა გაღატაკებულიყო. ამ ნიადაგზე მას შეუერთდნენ

დანარჩენი ბეგებიც... მართალია, ეს აჯანყება დამარცხდა და სერვერ ათაბაგიც საქართველოდან გაიხიზნა, მაგრამ საქართველოს შეეძლო ამ ჭკვიანი, განათლებული და მარჯვე კაცის შემწეობით დანარჩენი გავლენიანი ქართველი მაჰმადიანები თავის მხარეზე გადმოეყვანა, საქართველოსათვის შემოემტკიცებინა და თავიდან აგვეცილებინა ის დიდი გართულებაც, რომელიც, სამწუხაროდ, სერვერ ათაბაგის ავანტიურას თან მოჰყვა“ (1,348-349).

სერვერ ათაბაგის ხელმძღვანელობით, 1918-1919 წლებში ახალქალაქში, ახალციხესა და ფოცხოვში აჯანყებები მოეწყო საქართველოს წინააღმდეგ. ქართულ ჯარს სერვერ ბეგის აჯანყებულ რაზმებთან ხშირად უწევდა შებრძოლება. როცა გენერალმა **მაყაშვილმა** დაიკავა ახალციხის მაზრა, ათაბაგი გადავიდა ბათუმში და ინგლისურ მისიას გადასცა მემორანდუმი ხუთი კაცის ხელმოწერით. ამ პირებმა მუშაობა განაგრძეს ბათუმიდან. იქიდან აგზავნიდნენ ისინი თავიანთ აგენტებს **ფოცხოვში, ახალციხეში, ახალქალაქში** და აწყობდნენ გამოსვლებს საქართველოს წინააღმდეგ; ებრძოდნენ ქართული ორიენტაციის მქონე მამულიშვილებს. ისინი სახლ-კარს უწვავდნენ, საშინლად აწამებდნენ ყველას, ვისაც არასაიმედოდ მიიჩნევდნენ. სამწუხარო იყო ისიც, რომ სერვერ ბეგის მოძრაობას მიეტმასნენ კაცის მკვლელები, მძარცველები.

1919 წლის 30 იანვარს ქართული ჯარი შეებრძოლა ფოცხოვში თავმოყრილ მოწინააღმდეგე რაზმებს.

გაზეთ „**საქართველოში**“ დაბეჭდილ სამხედრო ჟურნალისტის წერილში ვკითხულობთ: **„ისტორიულად მუდმივი ომის, სისხლისღვრის და დამარცხება-გამარჯვების ადგილია ფოცხოვი. ძველი ათაბაგები, თორნიკე ერისთავის შთამომავლები და ოსმალეთის მხედრობის საუკეთესო ძალები მუდამ აქ, ჯაყისმანის ყელში და ქვაბლიანის მიდამოებში, ეკვეთებოდნენ ერთმანეთს. აქ საქართველოს გასაღები კარებია (ამჟამად ვალეს სასაზღვრო ჭიშკარია. – შ.ფ.).**

ისტორიულად ვისაც მესხეთი ეპყრა ხელთ, ის იყო მესაჭე ქართლისა... ამას კარგად გრძნობდა ის ახალგაზრდობა, რომელიც 30 იანვარს ეკვეთა ფოცხოვში მოზღვავებულ მტერს. ბევრი ჭაბუკის სიცოცხლე შეეწირა ამ ისტორიულ ბრძოლას. მკითხველო, იქნებ ოდესმე მოხვიდე აქ და გაიხსენო ბრძოლაში დაღუპულები; გაიხსენო ჩვენი გზაც, ჩვენი სისხლით შეღებილი მიდამოები!.. თვალწარმტაცი მიდამოები

ქვაბლიანისა: თოვლით თავწახვეული კორდები, ყინულით დაფენილი ფერდობები, თოვლისაგან თეთრად წავარცხნილი ნაძვნარები, თითქოს ჭაღარა მოხუცნი სდგანან და მათ კი ეთამაშება მზე... ამ ბუნებაში აქა-იქ გამოიყურებიან ძველ მებრძოლთა კოშკები... ვინ იცის, ამ ნანგრევთა შორის რამდენი სიცოცხლე დამჭკნარა... ცეცხლით აენთო თვალები ჯარისკაცებს, პირველად ეკვეთა მტერს ქართული ლეგიონი. თითქო ქეიფში მიდიოდნენ, ისე მიიჭრებოდნენ ბრძოლაში არყის ტანის ყმაწვილები და შეაკვდნენ მტერს კიდეც. აჭარელი, ბორჩალოელი მუსულმანი ქართველები, ქართლელი ქრისტიანები–ყველანი ერთგულად მიიწევდნენ მტრის წინააღმდეგ და ერთხელაც არ შემდრკალან. ბევრი დაეცა აქ უსულოდ, ბევრს დააჭკნა მომღიმარ ტუჩებზე სამშობლოს სიყვარული.

მტერს შეაკვდა ლეგიონი. ყველა მისი აფიცრები, ორს გარდა, ბრძოლაში დაეცნენ. დამსხვრეული რაზმი თავს იყრიდა და მტრისთვის კი ერთი ციდა მიწა არ დაუნებებია. სახელი და დიდება დაღუპულ ამხანაგებს, რომლებმაც აქ, ძველ მესხეთში, თავისი სისხლით საძირკველი ჩაუყარეს განახლებულ საქართველოს განმტკიცებას!.. თავდადებული მებრძოლების ობოლი საფლავები მოუთხრობენ მომავალ თაობებს მესხეთის ტრაგედიას... მისი განახლებისათვის თავდადებულებს საუკუნო ძეგლს აუგებენ შთამომავლები“ (იხ. გაზეთი „საქართველო“, 1919 წ., N28, „ბრძოლა ფოცხოვთან“).

გაზეთი **„სახალხო საქმეც“** (1919 წ. N505) ეხმაურება ამ ფაქტს:

„სერვერ–ბეგ ათაბაგი და მისი მარჯვენა ხელი, ეროვნებით ინგუში, აფსალ ბეგ მურსაკიევი (ძვ. აწყურის ბოქაული), აი, ეს ორი მეთაური ფოცხოვში ატეხილი ამბებისა, სიამოვნებით უცქერიან უწყალო სისხლისღვრას. არც ადგილობრივი ზოგიერთი სომხები ჩამორჩებიან ამ ორ „არწივს ფოცხოვისას“.

გენერალი **გიორგი კვინიტაძე** თავის „**მოგონებებში**“ იხსენებს ამ ბრძოლას და იქ დატრიალებულ საშინელ ტრაგედიას – მემედ აბაშიძის სიძის, დის ქმრის, **ახმედ-ბეგ ათაბაგის** ოჯახის განადგურების ამბავს (4,133).

ახმედ-ბეგ ათაბაგი (ფოცხოველი), თავისი გვარის გამორჩეული შვილი, დიდი პატრიოტი, ფოცხოვის რაიონში იყო თავისი ცოლისძმის, მემედ-ბეგ აბაშიძის, იდეების ცხოვრებაში გამტარებელი; იბრძოდა სა-

ქართველოს ერთიანობისათვის, ფოცხოვის დედასაქართველოსთან სამუდამოდ შეერთებისათვის. ამიტომ სერვერ-ბეგ ათაბაგსა და ახმედ-ბეგ ათაბაგს შორის აშკარა წინააღმდეგობა იყო. როცა ფოცხოვთან ბრძოლაში ქართულმა ჯარმა გაიმარჯვა და მოწინააღმდეგე ძალებმა უკან, არტაანისაკენ დაიხიეს, მაშინ მტრის მიერ მოსყიდული ბანდების წევრებმა საშინელი წამებით მოჰკლეს **ახმედ-ბეგ ათაბაგი** და მისი ვაჟიშვილი **აბას-ბეგი**. ახალგაზრდა აბასიც მამის თანამოაზრე იყო. ასე გაანადგურეს საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი ათაბაგების ოჯახი.

... ახმედ-ბეგ ათაბაგს ცოლად ჰყავდა საქართველოში ცნობილი პიროვნების **იბრაჰიმ-ბეგ აბაშიძის** ასული – **მინირე, მემედ-ბეგ აბაშიძის ღვიძლი და, გამორჩეული სილამაზითა და კდემამოსილებით**. მემედ-ბეგ აბაშიძეს დის ოჯახი ძალიან უყვარდა; დიშვილი – აბასი–შვილებში არ გამოერჩეოდა. ამიტომ ათაბაგების ოჯახის ტრაგედია მძიმედ განიცადა. 1919 წლის გაზეთ „**სახალხო საქმეში**“ დაბეჭდილია წერილი სათაურით: „**სამშობლოს მსხვერპლნი**“, რომლითაც რედაქცია სამძიმარს უცხადებს **მემედ-ბეგ აბაშიძეს**. ეს წერილი, ვფიქრობთ, დააინტერესებს მკითხველს და ამიტომ მთლიანად მოგვაქვს:

„აი, სურათები უდანაშაულო მსხვერპლთა (წარმოდგენილია მამა-შვილის სურათი), რომელთაც დანაშაულად ჩაუთვალეს მხოლოდ ის, რომ ისინი მოყვარულნი იყვნენ მშობელი ერისა და ჰქადაგებდნენ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს ერთობას. ესენი არიან ახმედ-ბეგ ფოცხოველი და მისი შვილი აბას-ბეგი.

ორივე ახალციხის მხარეში ითვლებოდნენ კარგ მამულიშვილებად და, რასაკვირველია, ეს იწვევდა მტრობას იმ ელემენტებისას, რომელნიც საქართველოს წინააღმდეგენი არიან და აჯანყებებს აწყობენ ჩვენს წინააღმდეგ. უკანასკნელი ამბების დროს, ახალციხის მხარეში, როგორც მკითხველებმა იციან, მოქმედებდა საქართველოს წინააღმდეგ ეგრეთწოდებული ყარსის მთავრობა. აპრილის 7–ს ისინი შეიჭრნენ იმ რაიონში, სადაც სცხოვრობდნენ ახმედ-ბეგ ფოცხოველი და მისი ოჯახობა. ეს იყო სოფ. დიღურში. ჯალათები მისცვივდნენ თურმე განსვენებულებს და ჰკითხეს, ვინა ხართო. როდესაც პასუხი მიიღეს და სხვათა შორის, გაიგეს, რომ ისინი – ერთი სიძე, მეორე კი დისწული იყო ჩვენი დიდი თანამემამულის და სამაჰმადიანო საქართველოს ცნობილი მოღვაწის – მემედ ბეგ

აბაშიძისა, იქვე მოჰკლეს რამდენიმე ტყვიით მამა-შვილი და შემდეგ მათი სხეული საშინლად დაასახიჩრეს.

მსუბუქი იყოს მშობლიური მიწა ამ უდანაშაულო მსხვერპლთათვის და თანაგრძნობა ჩვენს მემედ-ბეგს იმ მწუხარებაში, რომელიც მას მიაყენეს საქართველოს მტრებმა ზემოხსენებული მხეცური მკვლელობით“ (5, გვ. 3).

დაქვრივებული **მინირე აბაშიძე-ათაბაგისა,** ქმრისა და შვილის წამებით სიკვდილის შემდეგაც, არ მალავდა თავის გულისნადებს, მტკიცედ იდგა საქართველოს მხარეზე, მაგალითს აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას. თავისი საქციელით ემსახურებოდა საყვარელი ძმის – **მემედ-ბეგ აბაშიძის** მიზნების განხორციელებას.

გენერალი **გიორგი კვინიტაძე** თავის „**მოგონებებში**“ წერს: **„ახმედ-ბეგს სერვერ ბეგისთვის და არც მისი მთავრობისთვის არანაირი დახმარება არ აღმოუჩენია. პირიქით, ისიც კი შევიტყვე, რომ ადგილობრივ მოსახლეობაზეც იყენებდა თავის გავლენას, რათა ისინი ჩვენს მოწინააღმდეგეებს არ დახმარებოდნენ. როდესაც ზემო ფოცხოვის საზღვრებს მივადექით, მისმა მეულლემ, აწ უკვე ქვრივმა, თვითონ გადმოგვცა რამდენიმე ტყვიამფრქვევი და ათიათასობით ტყვია, რომელსაც მისი მეუღლე (ახმედ-ბეგ ათაბაგი) ინახავდა; ჩვენი მოწინააღმდეგის აგენტების შიშით, მთელს ოლქში რომ იყვნენ მოდებული და მოსახლეობას ჩვენს წინააღმდეგ ამხედრებდნენ, უფრო ადრე ამ უშიშარმა ქალბატონმა იარაღი ვერ გადმოგვცა. ჩვენი ერთგული რომ არ ყოფილიყო, ამ იარაღს უსათუოდ მტერს გადასცემდა“ (4, 133). ეს ქმედება მაშინ თავგანწირვის ტოლფასი იყო. ჩვენს წინაშე „ქალბატონი მინირე აბაშიძე წამოიმართა როგორც „ქართველის დედა, ძუძუ ქართველისა“, მამულს რომ უზრდიდა უერთგულეს შვილებს და დედა არწივის შემართებით დაჰკანკალებდა საყვარელ სამშობლოს“.**

გაზეთ „**სამუსლიმანო საქართველოში**“ დაბეჭდილია ამ საშინელ ტრაგედიასთან დაკავშირებით დაწერილი **მემედ ბეგის** მოზრდილი სტატია „**შური იძიეს**“.

წერილი მოგვაქვს თითქმის მთლიანად, რადგან იგი წარმოგვიდგენს საქართველოს განაწამები მხარის – ისტორიული მესხეთის სავალალო სურათს; თანაც, ვრწმუნდებით, რომ სამშობლოს ნათელი მომავლისთვის მებრძოლი უშიშარი რაინდი – სულმნათი **მემედ-ბეგ აბაშიძე** იყო მეტად ტრაგიკული პიროვნება, სწორედ სამშობლოს სიყვარულის გამო.

ეს სტატია 1919 წლის შემდეგ იბეჭდება პირველად, იგი ავტორის კრებულებში დღემდე არ არის შეტანილი.

გაზეთი მოგვითხრობს მემედ-ბეგ აბაშიძის უმძიმეს სულიერ მდგომარეობაზე საყვარელი სიძისა და დიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის გამო. იგი გულწრფელად თანაუგრძნობს საყვარელ დას... მანაც ხომ გამოსცადა შვილების სიკვდილი ... 1910-იან წლებში ტრაპიზონში გასახლებულს სიდუხჭირისა და უსახსრობის გამო დაეღუპა ორი ვაჟი – **ქემალი** და **ბექირი**. მემედ-ბეგი აღნიშნავს, რომ შვილის სიკვდილის სიმძიმე შვილმკვდარმა მშობელმა იცის მხოლოდო:

„ვისაც გვიცდია, თუ რა არის დაკარგვა შვილისა – ვულკანის კოცონის სისასტიკეს ვგრძნობდით და ვიწოდით. მაგრამ სამშობლოსა და ერის საკითხი, რომელიც ჩვენს წინაშე არის დასმული, იძულებულს გვხდიდა გავმკლავებოდით ამ აუნაზღაურებელ უბედურებას, მოგვეკრიბა ძალ-ღონე... და აი, მატყობინებენ ჩემი მეგობრები: „სოფელ დიღურში მოჰკლეს შენი სიძე და ერთადერთი მისი ვაჟიშვილი საქართველოს მტრებმა და მათ მოსპეს საქართველოს ჭეშმარიტი ღვიძლი შვილის ოჯახი; სისხლის ცრემლებით გელოდება შენი უბედური დაიო“...

თავზარი დამცა ამ უბედურებამაც, დამიწყლულა დალახვრული გული, გონება; დამიკარგა ისედაც უიმედოს ნუგეში!..

შავ ფიქრებით გატაცებული დავადექ გზას; გავცილდი ბორჯომის ხეობას და ნელ-ნელა ვუახლოვდებოდი იმ სოფლებს, რომლებსაც ბედმა არგუნა გაქცეულიყვნენ ბრძოლის ველიდან; ომს თავისი სისასტიკე ამ სოფლებშიაც გამოეჩინა და თავისი ულმობელი დაღი დაესვა.

რა საზარელი რამ არის ომი!.. ომი... დიახ, ომი! ის ვერ ახერხებს, გაარჩიოს ომის დროს ვინ არი მოხუცი, ვინ ქალია, ვინ ბავშვი, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, რადგან მთელი მისი ყურადღება არის მიპყრობილი მხოლოდ და მხოლოდ მოწინააღმდეგისაკენ. ორ ცეცხლს შუა მომწყვდეულ ხალხზე ის ვერ ზრუნავს და ამრიგად, უდანაშაულო ხალხი საზარელი ომის მსხვერპლი ხდება. ნადგურდება საუკუნეების განმავლობაში შეძენილი დოვლათი, შექმნილი კულტურა.

ომის მიერ მიყენებულ ამ საზარელ სურათებსაც გავცილდი. ავტომობილმა ჩაგვიყვანა ახალციხეში. ჩამოვხტი ქართველ მუსულმანთა დივიზიის ბინაზე, სადაც დამხვდა ერთი მეგობარი, რომელმაც გადმომცა: ეს არის, ეხლა სოფლიდან ჩამოვიდა შენი დაი და აქ თავის ქმრის მამობილ

მამუჯ მოსესოვის სახლში დაბინავდა; ამაღამვე აპირებს თფილისში წასვლასაო. მაშინვე გავეშურე მამუჯ მოსესოვის სახლისაკენ, სადაც უნდა მენახა ჩემი უბედური დაი. მივედი ბინაზე. ცხარე ცრემლით გადამეხვია ჩემი დამწვარ-დადაგული დაი და მწარე ქვითინით შემომჩივლა:

– „მიშველე, ძმაო! მომიკლეს ერთადერთი ვაჟი და ჩემი მეუღლე, ამომგლიჯეს გული და მომისპეს ოჯახი. ესენი შეიქმნენ საქართველოს მსხვერპლათ, ვინაიდან პირველი იყო შენი დისწული და მეორე კი შენი დის ქმარიო“.

ამ სიტყვებმა სასოწარკვეთილებას მიმცა; მარა მალე გონს მოვედი და მივუგე:

– „დამშვიდდი, ჩემო საყვარელო დაო, დიდ არს ღმერთი! იქონიე მოთმინება. ორი ქალიშვილი კიდევ გყავს და შეგიძლია შეამციროო მათი ცქერით შენი ტანჯვა და ვაება“.

მემედ-ბეგ აბაშიძე, სამშობლოს სადარაჯოზე მდგარი უშიშარი გუშაგი, მეტად ჩვილი გულის, სათუთი გრძნობის პატრონი ყოფილა პირად ცხოვრებაში. იგი გულდათუთქული დის სიტყვებს აღწერს ცრემლნარევი სიტყვებით:

– „ჩემთვის, როგორც ქართველი ერის ერთი სუსტი წევრისათვის, ჩემი მოქმედებაც, ჩემი ოცნებაც, ჩემი იმედი და ნუგეში იყო მხოლოდ უმწეო, ჩემი ჯერ კიდევ ნორჩი შვილიო (აბასი 16 წლისა ყოფილა, სილამაზით გამორჩეული) და კვლავ მოჰყვა ქვითინს. ამას დაემატა მოსესოვის მთელი ოჯახის ოხვრა და კვნესა... როგორც იქნა, დავამშვიდე ყველანი. განვიზრახე, მენახა მთავარსარდალი გენ. კვინიტაძე. მითხრეს, მეფისაშვილის სახლში არის მთავარი შტაბი და თვითონ სარდალიც იქ ცხოვრობსო... ჩემს დასთან ერთად ვინახულე გენერალი და შტაბის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი, რომლებიც დიდი თანაგრძნობით შეგვხვდნენ. მცირე საუბრის შემდეგ გენერალის განკარგულებით მოგვცეს სამხედრო ცხენები და ცხენოსნები სოფელ დიგურში ჩვენს წასაყვანად. გამოვემშვიდობეთ და მეორე დღეს დავადექით გზას.

იგივე სურათები წარმოგვიდგა დიგურამდე თვალწინ, რაც ვნახე ახალციხემდე. მივაღწიეთ სახლამდე; ჩამოვხტით ცხენებიდან და შევედით გავერანებულ სახლში. ამავე საღამოსვე ვინახულე გენერალი თავაძე.

ძლიერ წუხდა და ამბობდა: – ერთი დღით ადრე რომ შემოვსულიყავით, ეს უბედურება არ დატრიალდებოდაო...

მეორე დილას განვიზრახე მენახა წამებულთა საფლავები. გავედი სახლიდან და ასე ორმოცდაათი ნაბიჯის მანძილზე, მეჩეთის გვერდით, წარმომიდგა თვალწინ პატარა სასაფლაო; მივუახლოვდი და დავინახე ერთი ახალი სამარე, სადაც მამა და შვილი ერთად დაემარხათ... კვლავ ნაღველმა წამიღო, მაგრამ იქ მყოფ მცხოვრებთაგან საიმედო ხმამ მომაკრებინა ძალ-ღონე. ერთ მცხოვრებთაგანმა შემდეგი სიტყვებით მომმართა:

–აი, აქ, სწორედ ამ ერთ საფლავში დამარხულ მამასა და შვილს ძლიერ უყვარდათ ერთმანეთი; სიცოცხლეში ვერ სცილდებოდნენ ერთმანეთს და სიკვდილის შემდეგაც არ დავაშორეთ, ერთ საფლავში დავმარხეთო. –თქვა ეს და ამოიოხრა მოხუცმა. ეჰკითხე მას: – იქნებ, ინებებთ, მიამბოთ, თუ როგორ მოხდა მკვლელობა-მეთქი. შემომხედა, გადმოღვარა ცრემლები და დაიწყო:

„– სროლა ატყდა, გავარდა ორი ზარბაზანი. ამ დროს როგორც კი დაინახა ქართველთა ჯარი აჯანყებულთა მეთაურმა მუსაკიევმა, განიზრახა გაპარვა. მარა ხალხმა არ გაუშვა და დააპატიმრა. იმის გასათავისუფლებლად მოვიდნენ რამდენიმე პირნი, მაგალითად: ყარსის მთავრობის „შურის“ თავმჯდომარე იბრაიმ-ბეგი, ისა-ბეგი, ოსმალოს ჯარის პოლკოვნიკი აბდულ ლუტიფ-ბეგი, ოსმალოს ჯარის კაპიტანი შევქეთ-ბეგი, ოსმალოს ჯარის როტმისტრი ხურშუტ-ბეგი, რამდენიმე ჩაუში და სხვები. სთხოვეს ხალხს მუსაკიევის განთავისუფლება, მაგრამ ხალხმა მუსაკიევი არ გაათავისუფლა. ამაზედ ძლიერ გაბრაზდნენ და წავიდნენ. როცა აბსალ მუსაკიევი დარწმუნდა, რომ მას ხალხი არ გაათავისუფლებდა და საქართველოს მთავრობას გადასცემდა, დააპირა გაქცევა, მაგრამ ხალხის მიერ იქნა მოკლული. ეს შეიტყვეს იმ პირებმა, რომლებიც ერთი საათის წინეთ ხალხს მუსაკიევის განთავისუფლებას თხოვდნენ.

მათ შეეგროვებინათ ჯარი და ღამით წრე შემოავლეს სახლს, გამოიყვანეს მამა და შვილიც; წაიყვანეს სოფელ ჯაჯუნში და იქ მოჰკლეს, აწამეს, დაასახიჩრეს. მიცვალებულები აქ მოვასვენეთ და ორივენი ერთად ამ საფლავს მივაბარეთ... მოგვიკლეს ურჯულოებმა ჩვენი მამა, დაგვტოვეს ობლად. სასჯელი ბოროტმოქმედებს!“

–სად არის საქართველოს მთავრობა, რომ საქართველოს გადასცენ მკვლელებიო,–ისმოდა გარშემო ხალხის ხმა.

გულდაწყვეტილი მოვშორდით წამებულთა საფლავებს. ღმერთმა დაუმკვიდროსთ სასუფეველი, მისცეთ სამოთხე". ხელს აწერს მემედ ბეგ აბაშიძე („სამუსლიმანო საქართველო", 9 მაისი, 1919 წელი, გვ. 2).

ფოცხოვის მიწას წამებულნი წარსულშიც ბევრი ჰყოლია. მათ რიცხვში გამორჩეულია **„სანატრელი მოწამე ქრისტესი გობრონი"**. იგი აწამეს არაბებმა, როგორც ცნობილია, 914 წელს (ზოგიერთი ცნობით 920 წელს), როცა საქართველოს შემოესივნენ არაბთა ურდოები სარდალ **აბულ-კასიმის** მეთაურობით. მათ ალყა შემოარტყეს ფოცხოვში, სოფელ დიღურიდან რამდენიმე კილომეტრით დაშორებულ **ყველის ციხეს**, **ჯაყის წყლის** მარცხენა ნაპირას. ციხის დამცველთა შორის მამაცურად იბრძოდა აჭარელი აზნაური **გობრონი**. მტერმა ბოლოს შეძლო ციხის აღება, მოთავენი დაატყვევა და რჯულის გამოცვლა მოთხოვა. გობრონი სამშობლოსა და უფლის სიყვარულს შეეწირა. მისი წამება აღწერა ტბეთის ეპისკოპოსმა **სტეფანე მტბევარმა აშოტ** ერისთავთერისთავის ბაგრატიონის (**კუხის**) ბრძანებით.

სახელოვანი გმირის გობრონის სახელისა და საქმის უკვდავსაყოფად ქედის რაიონის ერთი პატარა ლამაზი სოფელია –„გობრონეთი". 1985 წელს ჩაწერილი ამ სოფლის უხეცესი მთქმელების მონათხრობის თანახმად, წმიდანად შერაცხული მიქელ-გობრონის მშობლიური სოფელი არის სწორედ ეს „გობრონეთი", რომელიც საქართველოში ერთადერთი ტოპონიმია ასეთი სახელით. ამ სოფლიდან ყოფილან გურიაში გადასახლებული გობრონიძეებიც; ამ ისტორიული ეპიზოდის შესახებ პირად საუბრებში ხშირად ჰყვებოდა ხოლმე ცხონებული პროფესორი ალექსანდრე გობრონიძე.

ფოცხოვის წამებული მიწის მოწამეთა რიცხვს მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში, 1919 წლის აპრილში, **მიემატა ორი წამებული, მამა-შვილი – ახმედ-ბეგ და აბას-ბეგ ათაბაგები.** კარგი იქნება, თუ ამ წამებულთა გმირობით შთაგონებული მხატვრული ნაწარმოებები შეიქმნება; მათი სახელების წარმოჩენა უთუოდ დაამშვენებს მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორიის ფურცლებს.

მემედ-ბეგ აბაშიძის თანამებრძოლნი სამუსლიმანო საქართველოს სხვა მხარეებშიაც ეწამენ საქართველოს სიყვარულისათვის. ამ მხრივ

აღსანიშნავია **შავშეთის ერისთავების–ათაბაგების** ტრაგედია. თუ შავშეთის ზოგიერთი ბეგი, ოსმალური ორიენტაციისა იყო და ისინი ხშირად მონაწილეობდნენ სერვერ-ბეგ ათაბაგის საქმიანობაში, სამაგიეროდ, შავშეთელი **ათაბაგები** საქართველოს ერთგულებაზე სდებდნენ თავს **ნური-ბეგ ხიმშიაშვილთან** და ზემო **აჭარაში მოღვაწე ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილთან ერთად.** ამიტომაც სდევნიდნენ შავშეთელ ათაბაგებს, რომელთა მოღვაწეობით მოსახლეობამ, მიუხედავად მუქარისა, მონაწილეობა არ მიიღო სერვერ ბეგის სამხედრო დაჯგუფებაში, ქართული ჯარის წინააღმდეგ ბრძოლებში.

საქართველოს სიყვარული ძვირად დაუჯდა შავშეთელ ერისთავს **ფუატ-ბეგ ათაბაგსაც**. სერვერ ბეგის ბანდის წევრები თავს დაესხნენ მის ოჯახს შავშეთში, გადაუწვეს სახლ-კარი, **მოუკლეს ორი ქალიშვილი**, რომლებსაც ცეცხლმოდებული სახლიდან გაქცევით თავის შველა უნდოდათ. ამ შემზარავი ფაქტის შესახებ მოგვითხრობს გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ წერილში „ყარსის ავანტიურისტები შავშეთში“ (7, 1).

გაზეთი გვამცნობს 1919 წლის 3 მაისის ამბებს **შავშეთ-იმერხევიდან**: „ჩვენი მტრების აგენტები, მიუხედავად იმისა, რომ ნიადაგი მოქმედებისა მათ ფეხქვეშ გამოეშალათ, არ ცხრებიან. ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ სერვერ-ბეგ ქობლიანსკის, რომლის ავანტიურამ ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს ახალციხე-არდაგანის რაიონს, მისი ბანდებით გადმოულახავს ბათომის ოლქის საზღვარი და შავშეთში ამოუყვია თავი; **დაუწვავთ სახლი ფუატ-ბეგ ათაბაგისა, მოუკლავთ ერთი ქალი და მძიმედ დაუჭრიათ ბავშვი**. მისი აგენტებით ის თურმე ქადაგებს შავშეთში, რომ ვინც არ მიემხრობა ყარსის მთავრობას, რომელიც უკვე არ არსებობს, ვინაიდან ეს მთავრობა ინგლისელთა სარდლობამ დაატყვევა, ყველას ამოულეტს და მათ სარჩო-საბადებელს ცეცხლს მისცემს. ამის პირველ მაგალითად მან ხსენებულ **ფუატ ბეგ ათაბაგის სახლი** აირჩია.

ვინ ბრძანდებიან ყარსის ყოფილ მთავრობის მეთაურნი? ესენი არიან ის ბეგები, რომლებსაც დიდი მამულები აქვთ და ეშინიათ, რომ ეს მამულები არ გამოეცალოთ მათ ხელიდან. აი, თავის მამულების დასაცავად, ამ მამულების შესანარჩუნებლად აიღეს მათ მახვილი ხელში. ამისთვის ებრძვიან ისინი საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას; ამისთვის მოუწოდებენ და ძალას ატანენ ხალხს, რომ სერვერ ბეგების

მამულისთვის ჩვენმა ხალხმა ღვაროს თავისი და თავისი ძმების სისხლი. ამისთვის გაანადგურეს მათ ახალციხე-არდაგანის რაიონები... ამისთვის ჩამობრძანებულან შავშეთში და ძალას ატანენ ხალხს, რომ შეადგინონ რაზმები საქართველოს მთავრობასთან საბრძოლველად...

შავშეთი ბათუმის ოლქში შედის. **ბათუმის ოლქი კი ინგლისელთა ოკუპაციის ზონაშია**. ამ ოლქის მშვიდობიანობის დაცვა დაკისრებული აქვს ინგლისის მთავრობას. სერვერ ბეგი შავშეთში შეძვრა და იქ ძალადობას ხმარობს მცხოვრებლებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის სარდლობა ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ყარსის ავანტიურისტებს არ მისცემს საშუალებას ხალხის აწიოკებისას. ხალხს არ უნდა იარაღი აიღოს და თავის ძმა-ქართველებს ეომოს; მარა თუ ეს ხალხი დაინახავს, რომ მისი მშველელი არავინაა, რომ ის სერვერ ბეგ ქობლიანსკების ასაწიოკებლად არის მიგდებული, მაშინ შესაძლებელია ამას მოჰყვეს მდგომარეობის ფრიად გართულება ბათომის ოლქში, რაც დასაშვები არ არის.

ამასთან, თვით ხალხმა უნდა გაუწიოს სერვერ ბეგების ავანტიურას მედგარი წინააღმდეგობა. ხალხმა ხომ ძლიერ კარგათ იცის, თუ ვის და რას ემსახურებიან ქობლიანსკები. ისინი ხომ თავის ჯიბის ინტერესებს ემსახურებიან და ხალხის სისხლით ვაჭრობენ. მათ ძალადობას ხალხმა წინ უნდა დაუყენოს თავისი ძალა და უნდა გააგდონ ქობლიანსკები შავშეთიდან. ეს არის ხალხის მოვალეობა; წინააღმდეგ შემთხვევაში **შავშეთ-იმერხევი** დიდ უბედურებაში ჩავარდება“ (7,1).

სამუსლიმანო საქართველოს, ანუ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ორმა უმშვენიერესმა კუთხემ – **ფოცხოვმა** და **შავშეთმა** მაშინ დაჰკარგა ერთგული მესაჭენი, დედასაქართველოსთან დამაკავშირებელი ეროვნული გმირები. აქაურმა სხვა გვარის დიდებულებმა ან სათანადოდ ვერ იმარჯვეს, ანდა, საუბედუროდ, კერძო ინტერესებს ანაცვალეს სამშობლოს ბედი. ამიტომაც ბევრ სხვა გარემოებასთან ერთად, ალბათ, ამ ფაქტმაც შეუწყო ხელი აღნიშნული მხარეების დედის კალთისაგან – დედასაქართველოსაგან კვლავ ჩამოშორებას. ჩვენ მხარეს კი ასეთი გმირი, ჭეშმარიტი მესაჭე, ბოლომდე შერჩა **მემედ-ბეგ აბაშიძის** სახით. სხვა გვარის დიდებულებისაგან განსხვავებით, ეს სულმნათი პიროვნება, თავისი სიცოცხლისა და ოჯახის გადასარჩენად, უცხოეთში არ გახიზნულა. ერთგულ ჯარისკაცად ბოლომდე ფხიზლად იდგა სამშობლოს

სადარაჯოზე... წმინდა ზვარაკადაც გაიწირა კიდეც მისი ტანჯული სიცოცხლე.

საუბედუროდ, მემედ-ბეგ აბაშიძის მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტური მასალების უმრავლესობა რეპრესიების დროს საქართველოში განადგურდა. მაგრამ სანთელ-საკმეველმა აქაც არ დაჰკარგა თავისი გზა და საზღვარგარეთ, სტამბოლში არსებულმა წიგნთსაცავმა სათუთად შემოინახა მისი ტრაგიკული ცხოვრების ისტორია, დიდი ერისკაცის მამულიშვილური ღვაწლის ამსახველი ეპიზოდები, სისხლის ცრემლებით გაჯერებული სტრიქონები...

ShushanaPutkaradze
Roin Malakmadze

Tortured for Homeland

Summary

The work studies the newspaper articles kept inAkaki Tsereteli library at the Monastery of the Georgian Catholicsin Istanbul.These articles narrate about the Georgian people devoted for their homeland in the first quarter of XX century.

The reader is informedabout the glorious offspring of two of the most ancient as well as honorable surnames – Abashidzes and Atabagies. Their lives were sacrificedfor the unity of Georgia. These are princes of Potskhovi (now territory of Republic of Turkey) – Akhmed and AbasAbashidzes, the wife of AkhmedAtabagi, MemedAbashidze and MinireAbashidze.

Some devastating events also took place in Shavsheti (Republic of Turkey). The gangs filled with enmity burned down the house of ShavshetianPeizulaAtabagi, as a result his daughters died.

The newspapers that existed before such as: “Moslem Georgia”, “Georgia”, “The Public Job” tell us about the ones tortured for the unity of the homeland; the magazine “Kartlosi” and “Memories” by G. Gvinitadze are based on these materials.

These protected sources at the library that was mentioned, were not safely reserved in Georgia, but they were burned in 1937 during the time of repressions. Due to this fact, the reader will take a huge interest when reading this work.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მაღლაკელიძე შ., ნოზაძე ვ., ნაწყვეტი ახლო წარსულიდან–მესხეთის გარშემო; ჟურნალი „ქართლოსი“, №19, პარიზი, 1939;
2. გაზეთი „საქართველო“,№28, თბილისი, 1919;
3. გაზეთი „სახალხო საქმე“, №505, თბილისი, 1919;
4. კვინიტაძე გ., „მოგონებები“, თბილისი, 1998;
5. გაზეთი „სახალხო საქმე“, „სამშობლოს მსხვერპლნი, №524, თბილისი, 1919;
6. აბაშიძე მ., „შური იძიეს“, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“, №88, ბათუმი, 1919;
7. ყარსის ავანტურისტები შავშეთში, გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ (ჰასან-თაჰსინ ხიმშიაშვილის რედაქტორობით), №84, ბათუმი, 1919;
8. ფუტკარაძე შ., ამბავი ტაო-კლარჯეთის წამებული მიწისა, გაზეთი „ახალი ერა“, №28, 2001.

ნოდარ კახიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

იასე რაჭველის წერილები კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ქართველებზე და აჭარაზე

იასე რაჭველი ქართველის პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის იოსებ მეხუზლას ფსევდონიმია. იგი დაიბადა 1856 წელს ოზურგეთის მაზრის სოფელ ბაილეთში. პირველდაწყებითი განათლებაც მშობლიურ სოფელში მიუღია, სადაც მისი პირველი მასწავლებელი ნესტორ ჭიჭინაძე ყოფილა. სხვადასხვა მიზეზის გამო, სკოლა მალე დახურულა და მეხუზლას მასწავლებელი რაჭაში დბრუნებულა. მოსწავლეც აღსაზრდელად თან წაუყვანია, რომელიც იქ შვიდ წელს დარჩენილა. აქვე დაუსრულებია სკოლა, შემდეგ საცხოვრებლად ქუთაისში გადასულა და საიდუმლო რევოლუციურ წრეებში ჩაბმულა. ჟანდარმერიის დევნის გამო, იასეს ორ ამხანაგთან ერთად გაქცევა მოუხერხებია და ემიგრაციაში წასულა.

1880 წლიდან 20 წლის მანძილზე სხვადასხვა დროს იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თურქეთში (კონსტანტინოპოლში), მოგზაურობდა საბერძნეთში, საფრანგეთში, იტალიაში. საბერძნეთში მას ცოლად შეურთავს სალონიკელი ქალი მიხაილიდი, რომელთანაც ქალიშვილი ნინო შესძენია. თურქეთსა და საბერძნეთში ყოფნის დროს მას კარგად შეუსწავლია თურქული და ბერძნული ენები. აქვეყნებდა წერილებს კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებზე, სხვა საკითხებზე.

1902 წელს იასე რაჭველი კონსტანტინეპოლიდან საქართველოში დაბრუნდა. 1903 წელს მას ქალაქ ბათუმში დაუარსებია სავაჭრო საკომისიონერო ამხანაგობა „გეორგია“, რომლის გამგეობის წევრებად არჩეული ყოფილან ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე. ამხანაგობას უცხოეთის ბაზარზე სავაჭროდ გაჰქონდა ხე-ტყე, მანგანუმი და სხვა საგნები, ხოლო შემოჰქონდა ადგილობრივი მოთხოვნილების საქონელი. ამხანაგობა ეწეოდა საქველმოქმედო საქმიანობას, მატერიალურად ეხმარებოდა ქართველ სტუდენტობას, თანხებს სწირავდა ზეპირსიტყვიერების ფონდის შექმნის სასარგებლოდ და ა.შ. ეწეოდა სხვადასხვა საკონტრაქტო საქმიანობას თბილისში.

1909-1915 წლებში იასე რაჭველი კვლავ თურქეთში აგრძელებს საქმიანობას. შემდეგ კი იგი საქართველოში დაბრუნდა და საცხოვრებლად ლაგოდეხში დასახლდა, სადაც ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას. აქვე გარდაიცვალა 1919 წელს. დაკრძალულია მშობლიურ ბაილეთში.

იასე რაჭველი იმ დროისათვის აღიარებული მწერალი-პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე იყო. თურქეთში ყოფნის დროს წერდა პუბლიცისტურ წერილებს, მოთხრობებს, ლექსებს, პოემებს და აგზავნიდა საქართველოში. მისი სტატიები იბეჭდებოდა გაზეთ „ივერიაში“, „კვალში“, „მოამბეში“, „დროებაში“, „ცნობის ფურცელში“ და ა.შ.

იასე რაჭველი ავტორია, აგრეთვე, მთელი რიგი გამოუქვეყნებელი წერილებისა, რომლებიც ცალკე წიგნად გამოსცა ნელი ბოსტაშვილმა სახელწოდებით „იასე რაჭველის (მეხუზლა) წერილები თურქეთიდან“ (თბილისი, 1991). წინამდებარე სტატიაში ჩვენც ამ წიგნში შესული იასე რაჭველის ხელნაწერებით ვისარგებლებთ. მისი ბიოგრაფიული მონაცემებიც ნ. ბოსტაშვილის წიგნის შესავალი ნაწილიდანაა მოყვანილი.

კონსტანტინეპოლში, ანუ დღევანდელ სტამბოლში, როგორც იტალიელი (ვენეციელი) მოგზაური ევგენი დალეჯიო დალესიო წერდა, ქართველები ძველთაგან ცხოვრობდნენ. ამის საბუთად მას მიაჩნდა ახალციხიდან გადმოსახლებულთა სასაფლაოს ქვების წარწერები, რომლებიც დაცული ყოფილა კათოლიკე ქართველთა სავანის არქივში. ამ სავანის დამაარსებელი კი ახალციხელი მღვდელი პეტრე ხარისჭირაშვილი იყო. ე. დალეჯიო წერდა: ამ სავანეში ყველაფერი საქართველოს მოგვაგონებს. აქ მოსული ქართველი სტუმარი უსათუოდ იგრძნობს მამულის სიყვარულს და ღრმა რწმენას იმიტომაც, რომ სავანეში ნახავს ბევრ საგანს, რომელიც მოგაგონებთ ქართველი ხალხის წარსულს თავის სიძლიერით და აღუძრავს მომავალი არსებობის ძალას (დალეჯიო, 1990:19, 32).

სტამბოლში მაშინ ძირითადად ცხოვრობდნენ როგორც ახალციხიდან, ისე სამცხე-ჯავახეთიდან (ახალციხე, აწყური, ხერთვისი, ოძრხე, ბარალეთი და სხვ.) გადასახლებული ქართველი კათოლიკები, რომელთაც გურჯებს უწოდებდნენ (ბოსტაშვილი, 1991:19).

სტამბოლში მცხოვრებმა ქართველებმა ღრმა კვალი დატოვეს ქართული კულტურის ისტორიაში. ამის ერთ-ერთი კონკრეტული გამოვლინებაა XIX საუკუნის 60-იან წლებში ქართულ სავანეში ფერიქოვის ქართული სასულიერო სასწავლებლის დაარსება და იქ ქართველ კათოლიკეთა და მართლმადიდებელთა, აგრეთვე, ქართველ მაჰმადიანთა ლტოლვა ქართული წიგნისა და წერა-კითხვის, ქართული ლი-

ტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლაში (ლომსაძე, 1975:516). ამის მაგალითია, თუნდაც, ჩურუქ-სული (ქობულეთელი) მაჰმადიანი ქართველის ჯელალ-ეფენდი მემარნეს (მემარნიშვილის) საქმიანობა. იგი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე ქართულად ასწავლიდა ფერიქოვის სასწავლებელში სამცხე-საათაბაგოსა და თურქეთის ისტორიას (იქვე).

სტამბოლის ასეთ ქართველებზე წერდა იასე რაჭველი. მისი წერილებიდან ირკვევა, რომ იგი კარგად იცნობდა სტამბოლში მცხოვრებ ქართველებს, მათ ყოფა-ცხოვრებას, განცდებსა და მისწრაფებებს, ყველას, ვინც ქართულ საქმეს აკეთებდა უცხოეთის ცის ქვეშ. განსაკუთრებული ახლო ურთიერთობა კი ისეთ ქართველებთან ჰქონდა, როგორებიც იყვნენ: დ.მიქელაძე (მეველე), მ.ნაკაშიძე, ვინმე ლეჟავა, ელ.მიქელაძე, ა.გარაყანიძე და სხვები (ბოსტაშვილი, 1991:47). პირველ რიგში ყურადღებას იქცევს მისი 1887 წლის 1 დეკემბრით დათარიღებული წერილი, რომელშიც მოთხრობილია სტამბოლში მცხოვრებ იმ ორიათასამდე კათოლიკე ქართველებზე, რომელთა დიდი ნაწილი ვაჭრობით ირჩენდა თავს. ავტორი კმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ამ კათოლიკე ქართველებს ქართული ენა ჯერ კიდევ დავიწყებული არ ჰქონიათ. სამაგიეროდ, არცერთი მათგანის შვილს ქართული ენა არ სცოდნია და ფრანგულად მოაზროვნენი ყოფილან. ამავე წერილში დასახელებულია კონსტანტინოპოლის მონასტრის წინამძღოლი პეტრე ხარისჭირაშვილი, ძალზე მოხუცებული კაცი, მჭევრმეტყველი, რომელსაც საქართველოს გაგონებაზე თვალებზე ცრემლები ღვარად მოსდიოდა სიმწუხრის გამო, რომ „საქართველო სულიერად დაიკარგაო“. ასე რაჭველს ისიც გაკვირვებია, რომ აქაური კათოლიკე ქართველები ფრანგულ ენაზე საუბრისას ქართულს ურევდნენ. მწერლის თქმით, ამას ისინი იმით ხსნიდნენ, რომ ცდილობდნენ მიეზიდათ „საქართველოს ხალხი“, რათა კათოლიკური სარწმუნოება მიეღოთ. იასე რაჭველი შენიშნავდა” „რაც აქ ყმაწვილები ჩამოჰყავთ, ყველას მაშინვე აკათოლიკებენ, ასწავლიან ჯერ მარტო ფრანგულს და შემდეგ იტალიურს და სულ სხვა ყმაწვილი იზრდება, სამშობლო ქვეყანა სრულებით ავიწყდება“ (ბოსტაშვილი, 1991:77-78).

მეორე წერილში იასე რაჭველი მოგვითხრობს კონსტანტინოპოლში ჩასულ ქალბატონ ბოგუმილა ნიკოლაძეზე, რომელიც ნიკო ნიკოლაძის პირველი ცოლი ყოფილა. იგი ევროპიდან სტუმრებია კონსტანტინოპოლის ქართველ საზოგადოებას. მას თან ხლებია ქალიშვილები – თხუთმეტი წლის თელიკო და ათი წლის ლოლი (ელისაბედი). დედის განზრახვა ყოფილა აქედან ქალიშვილებით საქართვე-

ლოში დროზე წამოსულიყო, რათა ფრანგულად მოლაპარაკე ქალიშვილებს სამშობლო – საქართველო არ დაეკარგათ და ქართულ ენასაც დაუფლებოდნენ. იასე რაჭველი განსაკუთრებით ყოვლად ნიჭიერ უფროს ქალიშვილზე მიუთითებდა, რომელიც სალიტერატურიო საქმიანობასაც ეწეოდა და თავის ნიმუშებს ფრანგულ გაზეთებში ბეჭდავდა. მწერლის შეფასებით, შესამჩნევი ნიჭის პატრონს – თელიკოს შეეძლო დიდი შემწეობა აღმოეჩინა სამშობლოსათვის ლიტერატურული და სხვა საქმიანობით.

იასე რაჭველის პირად არქივში დაცული ხელნაწერი წერილებიდან, რომლებიც კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ქართველებს შეეხება, მეტად საინტერესო ჩანს იმ საუბრის ჩანაწერი, რომელიც გამართულა მასა და კონსტანტინოპოლში მცხოვრებ ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწეს, წარმოშობით ქართველ ხასან ფევზი ფაშას შორის. საუბარში ფაშას მწერლისათვის ასე უთქვამს: „ქართველები ყველგან ვართ და არსად არ ვჩანვართო“. მწერლის მიმართვაზე „რატომ ბატონო“, ფაშამ პასუხი საინტერესო ამბებზე ააგო. პასუხებიდან ჩანს, რომ წარმოშობით ქართველი ოსმალო მოხელე კარგად ერკვეოდა ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთა ცხოვრებაში, მათ მდგომარეობასა და ოსმალებთან ურთიერთობაში.

სახელმწიფო მოხელე, პირველ რიგში, ყურადღებას მიაქცევდა ქართველების (გურჯების) მდგომარეობაზე ოსმალეთში. იგი ამბობდა: „ბევრი საუკეთესო, თვალსაჩინო ადგილი გვიჭირავს, ბევრგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ... ჩვენს მეტმა ვერცერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავისი ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა, ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალებში. ჩვენ კი, ასე თუ ისე, სახელი „გურჯი“ მაინც შემოგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში, ვიდრე ოსმალებისა“. შემდეგ იგი დასძენდა: „კარგად რომ დავაკვირდეთ, რა არ ჩაუდენიათ ქართველებს როგორმე დამეგობრებოდნენ ოსმალებს, მაგრამ ამათთან მეგობრობა არავითარი საშუალებით, გარდა სულით და ხორცით სრულიად დამონებისა, არ შეიძლება და მონის მეგობრობა ხომ იცით რა არის“ (ბოსტაშვილი, 1991:105).

ფევზი ფაშას დახასიათებით, ქართველებს მარტო ოსმალებთან კი არ ჰქონიათ ასეთი დამოკიდებულება, მარტო ოსმალებთან კი არ გასვლიათ სიკეთე, არამედ ოსმალეთში მცხოვრებ სხვა მეზობლებთანაც. იგი იხსენიებდა მათ ურთიერთობასსომხებთან, რომელსაც შემდეგნაირად ახასიათებდა: „გაიხსენეთ თუ გინდ მეზობლები – სომხები, ჩვენ მათთვის, რაც კი შეგვეძლო, პატივისცემა არ დაგვიკლია არც

ეკონომიკურად, არც პოლიტიკურად. ყველგან დევნილნი, ისინი ყოველთვის პოულობდნენ ჩვენთან თავშესაფარს. საუკეთესო ადგილები მივეცით, დავასახლეთ, უზრუნველვყავით, რით გადაგვიხადეს?... თქმაც კი მრცხვენია: ღალატით და გამცემლობით“ (იქვე). აქვე ფევნი ფაშა კვლავ ქართველთა სიკეთეზე საუბრობს და დასძენს: „ვინ არ იცის, ჩემო ძიავ, რა დიდი სამსახური მიგვიძღვის ქართველებს თვით დღევანდელი ჩვენი მთავრობისადმი. აგერ ასი წელია უსიტყვოდ ვემსახურებით, ვიბრძვით, არცერთი წერტილი ურიგობისა არ ახსოვთ ჩვენგან, მაგრამ სხვები თუ სარგებლობენ ამით, თორემ ჩვენ კი, უბრალო, სულ მცირე უპირატესობაც არ გვხვედრია არასოდეს” (იქვე).

შემდეგ ფავნი ფაშა ოსმალეთისა და სპარსეთის ისტორიაში ქართველების სხვა ღვაწლზეც ამახვილებს ყურადღებას. მას მხედველობაში ჰქონდა, პირველ რიგში, ქართველი მეომრების თავგანწირული ბრძოლა, რომელთა წყალობითაც წარმატებებს აღწევდნენ ოსმალეთიც და სპარსეთიც. იგი დასძენდა: „ოსმალეთსა და სპარსეთს შუა ოთხი საუკუნის განმავლობაში ერთი ნამცეცი ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას, დიდ ვაჟკაცობასთან ერთად, დიდი პოლიტიკური ცოდნაც უნდოდა, რომ სულ არ მოსპობილიყვნენ. ქართველებმა კი ყველა სხვა იმდროინდელ ეროვნებებს გადააჭარბეს უნიჭიერესი პოლიტიკით და XX საუკუნის დასაწყისამდე მთლიანად მოიტანა თავისი თვითარსებობა”.

იასე რაჭველი შემდეგ ანალიზს უკეთებს კონსტანტინოპოლში მცხოვრები ქართველი სამხედრო მოღვაწის ინტერვიუს მსგავს მონათხრობს და დაასკვნის: „ჰასან ფევნის აზრები ასეთია: ქართველ ხალხს, თავადს,აზნაურს, გინდ უბრალო გლეხს, რაღაც თითქოს ბუნებიდან დასჩენოდეს, არასოდეს ფიქრად არ მოსვლია, რომ თავისსავე ხალხის ანდაზა: „ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“ საქმეში გამოეყენებინოს, იგი ყოველთვის მთელი ქვეყნის დარდს ეწევა, სხვისთვის უფრო იღვწის, ვიდრე თავისთვის... ამის მაგალითად კმარა მთელი ჩვენი ისტორია და მეტადრე კი ეს უკანასკნელი ასი წელიწადი (იქვე, გვ. 107).

იასე რაჭველის ერთ-ერთი წერილი ოსმალეთთან ომის ამბებს შეეხება და ასეა დასათაურებული: „ომი ოსმალთან საქართველოს საზღვრებზე“. აქ მწერალი ყირიმისა და რუსეთ-თურქეთის 1977-1878 წლების ომების ამბებსაც იხსენებს და პირველი მსოფლიო ომის ამბებთან დაკავშირებულ ფაქტებსაც აღწერს. ახასიათებს იმ მძიმე მდგომარეობას, რომელშიც ამ ომებმა ჩააყენა ჭოროხის მხარისა და აჭარის მოსახლეობა.

მწერალი მკითხველს შეახსენებს სევასტოპოლის ომის, იგივე ყირიმის 1853-1856 წლების ომის მოვლენებს, როდესაც ჭოროხის მხარის ტერიტორიის ნაწილი აჭარისა და ართვინ-არტანუჯის სახით, რომელიც ოსმალეთს ჰქონდა მიტაცებული, 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ საქართველოს დაუბრუნდა. მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ამით „გასწორდა ძველი შეცდომა და ოსმალეთთან დაიდო სწორი საზღვარი ჭოროხს გაღმა ნაპირზე, ლაზისტანის ქედამდე“ (იქვე, გვ. 116). შემდეგ იგი წერდა: „ამ ადგილების ოსმალეთის ბრჭყალებიდან გამოგლეჯა საჭირო იყო ჩვენი ქვეყნისთვისაც, რადგან ვის არ ახსოვს ის საზიზღარი დრო, როცა ოსმალეთის საზღვარი ჩოლოქი იყო, რამდენად ვიყავით მათგან შევიწროებული და დატანჯული მათი უხეში და უგვანო მოქმედებისგან“.

იასე რაჭველის დასახელებული წერილიდან ჩანს, რომ იგი დიდ იმედებს ამყარებდა მიმდინარე ომზე, რომელზეც დამოკიდებული იყო აჭარა-ქობულეთისა და ლაზისტანის ბედ-იღბალი, ანუ საქართველოზე მათი შემოერთება. ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ 1909 წლის მე-9 ნომერში მან სპეციალური წერილიც კი მიუძღვნა ლაზეთსა და ლაზებს, მათ „საოცარ ერთობას“. თითქოს დარიგებასავით ჩანს მწერლის განცხადება, რომ გამუსლიმებულ „გულუბრყვილო აჭარლებს“ არ უნდა სწამდეთ ოსმალეთის დაპირებები: „თუ მივემხრობით სრულ თავისუფლებას მოგანიჭებთო“. იგი აქვე ამბობდა: „ჩვენ ვიცით, რომ ოსმალეთი ისეთი დაპირებით შემოვიდა აჭარის მთებში, ისე ბევრ რამეს ჰპირდება ჩვენს საწყალსა და გულუბრყვილო მუსლიმან მოძმეებს, თითქოს მას უნდოდეს მთელი საქართველოს ხსნა, მაგრამ ჩვენ ვიცნობთ მათ, კარგად ვიცით, თუ როგორ უყვართ ოსმალებს სხვისი ხელით ცეცხლის ხვეტა“. მას ეჭვი არ ეპარებოდა იმაში, რომ აჭარლები ბრმა არ არიან ავისა და კარგის გარჩევაში, ადვილად არ გაებმებიან მახეში და სწორ გზას აირჩევენ. მწერალი და საზოგადო მოღვაწე აჭარლებს მაშინ შეახსენებდა, რომ „არცერთ ეროვნებას ოსმალეთის ხელში წინსვლა, კულტურულად ან ეკონომიურად განვითარება-გაძლიერება“ არ მოელის. ოსმალებს არც სხვათა ფიზიკური მოსპობა არ ძალუძთო. ამის მაგალითად იგი ბოსნია-ჰერცოგოვინას იმოწმებდა, რომელთაც ცეცხლითა და მახვილით გამუსლიმების მიუხედავად, ოსმალებთან საერთო მაინც არ ჰქონდათ და სერბიისაკენ მიიწევდნენ (ბოსტაშვილი, 1991:128). ჩვენ კი დავუმატებთ აჭარის მაგალითს, რომელმაც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობისა და ისლამის რეჟიმის მიუხედავად, შეინარჩუნა მშობლიური თვითმყოფადი ქართული ენა და ტრადიციები.

იასე რაჭველი იმედებს ამყარებდა პირველი მსოფლიო ომის მოსალოდნელ შედეგებზე, მის „ჩვენთვის სასურველად დამთავრებაზე“, ქართველი ხალხის იმ პოლიტიკური მიზნების განხორციელებაზე, რასაც ქართული მიწების დაბრუნება ერქვა. მისი აზრით, უამისოდ შეუძლებელი იქნებოდა კერძოდ ოსმალეთის ტერიტორიაზე არსებულ ისეთ სიმდიდრეთა გადარჩენა, როგორიცაა მურღულის სპილენძის სადნობი ქარხანა, აჭარის ნაწილის საშინელი მდგომარეობიდან გამოყვანა, რაშიც იგი ომმა ჩააყენა (იქვე, გვ. 118).

ამგავრი მდგომარეობა მწერალმა ასე დაახასიათა: „მთელი ეს მიდამო, ეს საუცხოო ქვეყანა თავისი ჰაეროვანი და ლამაზი მდებარეობით, ცეცხლსა და მახვილქვეშ არის, რაც კი შეუძლიან წიწკნიან, აძვალტყავებენ ყველაფერს. დიდებულად მოწყობილი ქარხანა, სპილენძის სადნობი მინგრეულ-მონგრეულია. მის მიდამოს ახლო წარსულში მშვენივრად მოწყობილ ქალაქივით მომზირალს, დღეს ნაჯოგარის ელფერი აქვს გადათეთრებული თოვლისაგან...“ (იქვე, გვ. 118). მწერალი აღწერს ჭოროხის მხარის სამთამადნო წარმოების ისტორიაში ცნობილი მურღულის სპილენძსადნობი ქარხნის მდგომარეობას, რომელშიც იგი პირველი მსოფლიო ომის პერიოდში აღმოჩნდა და როდესაც ეს რეგიონი ომის ერთ-ერთ მთავარ ასპარეზად იქცა. ცნობილი ფაქტია, რომ ომის დაწყებამდე არა თუ მურღულის სპილენძსადნობი ქარხნის, არამედ საერთოდ სპილენძის სამთამადნო საქარხნო წარმოების განვითარება ჭოროხის მხარეში აღმავლობის გზაზე იდგა (კახიძე, 1987).

იასე რაჭველი 1915 წელს სინანულს გამოთქვამდა იმის გამოც, რომ მას შემდეგ, რაც 1878 წელს ჭოროხის გაღმა ნაწილი აჭარითურთ საქართველოს დაუბრუნდა, მხარე კვლავ ომის ქარცეცხლში გაეხვია. იგი წერდა: „იქ, სადაც დღეს მშვიდობიანი ცხოვრება უნდა დუღდეს, სისხლის ღვარი დგას, სასარგებლო კულტურული მუშაობის ადგილას ახლა საზარელი სურათებია, მშვიდობიანი სახლების ადგილას საავადმყოფოებია, რომლებიც დაჭრილ-დასახიჩრებულებითაა სავსე, რომელთა მოვლაც შეუძლებელია. მოკლულთა რიცხვი კი დაუდგენელია (ბოსტაშვილი, 1991:124).

იასე რაჭველის ცნობები დამატებითი წყაროა იმ მძიმე ვითარების შესასწავლად, რაშიც აჭარა და მთელი ჭოროხის მხარე აღმოჩნდა პირველი მსოფლიო ომის წლებში. ამის შესახებ ხშირად იწერებოდა ამ პერიოდის ქართულ და რუსულ პრესაში, სხვადასხვა ავტორთა წერილებში.

საკვლევ თემასთან დაკავშირებით საინტერესოა იასე რაჭველის ის წერილები, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ ჟურნალებში („კვა-

ლი, 1895, №2; „საქართველოს მოამბე“, 1909, №9; „თეატრი და ცხოვრება“, 1915, №35, 37,39).

ამათგან მოკლედ შევჩერდებით ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილ წერილზე „გადაკარგული ქართველები“, რომელიც ეხება მიწერ-მოწერას ტრიპოლში მცხოვრებ მემედ-აღა ჭყონიასა და იასე რაჭველს შორის. წერილიდან ჩანს, რომ მემედ ჭყონია რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ მოხვედრილა „სათათრეთში“ (იგულისხმება ოსმალეთი – ნ.კ.) და აქედან რაღაც მიზეზის გამო საცხოვრებლად ტრიპოლში გადასულა. ტრიპოლში მას შეხვედრია ამერიკაში მიმავალი ვინმე ქართველი (გვარი არ სახელდება), რომელსაც თან მიჰქონდა ბევრი ქართული გაზეთი და წიგნი. მას რამდენიმე წიგნი და გაზეთი მემედ ჭყონიასთვის უჩუქებია.შემდეგ კი მისთვის უთხოვია კიდევ გაეგზავნა მისთვის ქართული გაზეთები და წიგნები. მაგრამ ამ ქართველს პირობა ვერ მიუცია, ეგებ ვერც კი დავბრუნდეო. სამაგიეროდ, მემედ ჭყონიასთვის სტამბოლში მცხოვრები იასე რაჭველის მისამართი მიუცია, მას ბევრი ქართული გაზეთები და წიგნები აქვს და იგი გამოგიგზავნისო. მ.ჭყონიასაც არ დაუყოვნებია და იასე რაჭველისათვის მიუწერია წერილი, რომელშიც ითხოვდა ქართული გაზეთების გაგზავნას. წერილში ასე ეწერა: „გთხოვთ ნუ დამტოვებთ უმოწყალოდ, მეც თქვენებური ვარ და თუ რამე გაზეთები ან წიგნები გაქვს მეტი, გამომიგზავნეთ. იგი ჩემთვის ძლიერ სიკეთე იქნება. თუ ღმერთი შემეწია და რამე საქმე ჩავიგდე ხელში, მაშინ მე თვითონ გამოვიწერ“. მემედ ჭყონია სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას ბედმა არგუნა უცხოეთში გადახვეწილიყო. მისი წერილი იასე რაჭველისადმი ასე მთავრდება: „ახ ძიავ, თურმე რა ძნელი ყოფილა სამშობლოს დატიება, ღმერთმა კითხოს, ვინცხას ბრალია ასთე ჩემი დაკარგვა. გწერთ თქვენი ერთგული გურჯი მემედ-აღა ჭყონია“.

მემედ ჭყონიას წერილს დიდი ზეგავლენა მოუხდენია სტამბულში მცხოვრებ იასე რაჭველზე. იგი წერდა: „ამ წერილის წაკითხვამ ისე მასიამოვნა, რომ ნამეტარი გრძნობისაგან თვალებზე ცრემლი წამომადგა და გავიელვე გულში, მადლობა, შენ ღმერთო, სადღაც ცხრამთას იქით ქართველი თათარი (მაჰმადიანის მნიშვნელობით – ნ.კ.) ამ რიგის გრძნობით მწერს და მეხვეწება ქართული გაზეთი მივაწოდო და თვითონაც მოწადინებულია, თუ დრო ექნა, გამოიწეროს“.

წერილიდან არ ჩანს, შეასრულა თუ არა იასე რაჭველმა თავისი დანაპირები მემედ ჭყონიასათვის „მთელი ქართული გამოცემის“ გამოწერასა და მისთვის უსასყიდლოდ გაგზავნაზე. მაგრამ კარგად ჩანს იასე რაჭველის ძალისხმევა სტამბულში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანთათვის, მათ შორის – კათოლიკე ქრისტიანთათვის, ქართული

წიგნებისა და გაზეთების გამოწერისათვის. ასეთი დაინტერესება კი მას მემედ ჭყონიას წერილის წაკითხვისთანავე გამოუჩენია. შემდეგ იგი წერდა: „ამ წერილის მიღებამ მე აღმიძრა გულში სურვილი სტამბულის კათოლიკე ქართველთა შორის გამევრცელებინა ქართული გაზეთები და წიგნები“. იგი წერდა, რომ თუ ქართველი მაჰმადიანი მოწადინებულია ქართული წიგნებისა და გაზეთების კითხვით, რომ ქართული არ დაივიწყოს, ქართველი ქრისტიანი უფრო იქნება ამით დაინტერესებული. მისი ხათრით კათოლიკე ქართველებს მართლაც გამოუწერიათ გაზეთები, მაგრამ მათ შორის მხოლოდ ზოგიერთი ყოფილა დაინტერესებული, რასაც მათი გულცივობით ხსნიდა. მას გული უკვდებოდა, რომ თუ ასე დიდხანს გასტანდა, მათ ქართული სრულებით დაავიწყდებოდათ. ამის გამო იასე რაჭველი ქართველ კათოლიკებს „ქართული გამოცემის“ უსასყიდლოდ გამოწერას დაჰპირებია. ამასთან ერთად, მას ჟურნალ „კვალის“ რედაქციისათვის რვა მანეთი დაუტოვებია ქალაქ პეტროვსკის სატუსაღოს ქართველი პატიმრებისათვის „კვალის“ ერთი წლით გამოსაწერად. ჟურნალის რედაქციასაც სიამოვნებით აუსრულებია თხოვნა (იასე რაჭველი. გადაკარგული ქართველები. – ჟურნალი „კვალი“, 1895, №2). ეს ფაქტი იასე რაჭველის ქველმოქმედებაზეც მიუთითებს, რომლის მიზანი იყო ტუსაღ ქართველებში ქართული წიგნებისა და გაზეთების გავრცელება. ეს თვით ქართველ ტუსაღთა მოთხოვნაც იყო.

მემედ ჭყონიას მიერ იასე რაჭველისადმი მიწერილი წერილი, რომელიც მას 1894 წელს ტრიპოლიდან გაუგზავნია, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დღემდე უცნობ ფურცელზე მიუთითებს.

მემედ ჭყონიას, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილის, სამწერლო მოღვაწეობის (პროფესიონალი სახალხო მელექსის) და ცხოვრების შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში (ახვლედიანი, 1972:55-60; დავითაძე, 1979:26-30) არ მოიხსენიება, რომ იგი ტრიპოლში იმყოფებოდა 1890-იანი წლების ბოლოს, საიდანაც მან ზემოთ დახასიათებული წერილი მისწერა სტამბოლში მცხოვრებ მწერალსა და მოღვაწეს იასე რაჭველს. მაგრამ მისი ამ წერილიდან მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი იასე რაჭველს თავს აცნობდა, როგორც მაჰმადიანი და „ნამდვილი გურჯი“, რომელიც რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ ჯერ ოსმალეთში მოხვედრილა, შემდეგ კი აქედან ტრიპოლში გადასულა. წერილში არ ჩანს, კონკრეტულად რომელ წელს მოხდა იგი ტრიპოლში და რამდენ ხანს დარჩა იქ. მხოლოდ ის ვიცით, რომ ოსმალთა ჯარების მიერ ბათუმის ოკუპაციის დროს, იგი სხვა პირებთან ერთად განდევნილ იქნა, როგორც ოსმალთა პოლიტიკური მოწინააღმდეგე და „სედაიმილეთელების“ იდეური

მტერი. ამ დროს იგი თბილისსა და გურიაში აფარებდა თავს. 1920 წელს კი მემედ ჭყონია აჭარის მოწინავე საზოგადოების იმ დელეგაციაში შედიოდა, რომელიც თბილისში ჩასულა (ახვლედიანი, 1972:27-28). მისი პატრიოტული მოტივით აღსავსე და იუმორისტული ლექსებიც 1918 და 1920-1930-იან წლებშია დაწერილი. 1918 წელს დაწერილ ლექსში („მე ერთი ბერი კაცი ვარ“) თავის წარმომავლობაზე მიგვანიშნებს და წერს, რომ მისი ძველები ქობულეთში გურიის სოფელ ჩიბათიდან მოსულან (ახვლედიანი, 1979:34). ალბათ, ამიტომაც აფარებდა იგი თავს გურიაში.

მემედ ჭყონიას (1860-1940) წერა-კითხვა დედისაგან შეუსწავლია, ხოლო ლექსების სიყვარული მამისგან გამოჰყოლია, რომელიც ამავე დროს 1870-იანი წლების პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიური მონაწილე ყოფილა. მემედ ჭყონიას წიგნების კითხვა ჰყვარებია. მას თითქმის ზეპირად სცოდნია „ვეფხისტყაოსანი“, სიმონ გუგუნავას „თამარიანი“, ილიასა და აკაკის ნაწარმოებები. სერგი მესხი მის შესახებ წერდა: „თავისი დროისათვის იყო გამსჭვალული ღრმა პატრიოტიზმით და სიყვარულით თავისი ერის კეთილდღეობისათვის. ჩემი აზრით, ასეთი პიროვნების სახელი არ უნდა დაიკარგოს მის მშობელ კუთხეში“ (ახვლედიანი, 1972 60-61).

ჟურნალ „კვალში“ დაბეჭდილი იასე რაჭველის წერილი „გადასახლებული ქართველები“ მემედ ჭყონიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასებაში უთუოდ გასათვალისწინებელია.

იასე რაჭველის ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული და გამოსაქვეყნებელი წერილები მნიშვნელოვანი წყაროა უცხოეთში გადახვეწილი ქართველი მოსახლეობის ნაწილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორიის შესწავლაში.

Nodar Kakhidze
Batumi Shota Rustaveli state University
Niko Berdzenishvili institute senior scientist, Dr of historical science

Iase Rachveli's publicistic letters about Georgians living in Constantinople and Ajara

Summary

The presented work is about the letters retelling about the life of Orthodox and Catholic Georgians living in Constantinople . The letters on which the information based, were published in the Georgian magazines. They were preserved in the private archive of the famous writer Iase Rachveli (1856-1919) .

The published materials include the contribution of Orthodox and Catholic Georgians living in Constantinople for reserving the traditions and culture, their work for popularization of education of Georgian people. The given work considers the attitude of Georgians towards the other groups of people living in Turkey. The publicist's letters include the important information about learning the hard social conditions. Ajara and the whole Chorokhi region resisted terrible influence during the Russian-Turkish War (1877-1878) and the First World War.

ლიტერატურა

1. ახვლედიანი – ხარიტონ ახვლედიანი. სამხრეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლნი. ბათუმი, 1972; აზიზ ახვლედიანი, ემენ დავითაძე. ჩამოთქვი ჩემო ჩონგურო. ბათუმი, 1979.

2. ბოსტაშვილი – ნელი ბოსტაშვილი. იასე რაჭველის (მეხუზლა) წერილები თურქეთიდან. თბილისი, 1991.

3. დალეჯიო – ევგენი დალეჯიო. ქართველები კონსტანტინოპოლსა და სპარსეთში. თბილისი, 1990.

4. შ.ზაქარიძე. მწერლის გახსენება (ეხება იასე რაჭველს). – გაზეთი „ლენინის დროშა", 1980, №100.

5. კახიძე – ნოდარ კახიძე. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიის ისტორიიდან ჭოროხის აუზში და მოსახლეობის საწარმოო და სზოგადოებრივი ყოფის ზოგიერთი საკითხი. – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, XIV, თბილისი, 1987.

6. ლომსაძე – შოთა ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი. თბილისი, 1975.

7. რაჭველი – იასე რაჭველი. გადაკარგული ქართველები. – ჟურნალი „კვალი", 1895, №2.

ბიჭიკო დიასამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ციხის რაბათები შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში

ოსმალურიდან თარგმნილი, XVI საუკუნის 70-იანი წლებით დათარიღებული დოკუმენტი „ზემო აჭარის ლივის ვრცელი დავთარი“, სხვა ბევრ მნიშვნელოვან ინფორმაციასთან ერთად, გვაწვდის საინტერესო ცნობას განვითარებული შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ციხის რაბათების არსებობის შესახებ. წყაროში მოცემულია აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობისა და ქონების აღწერა სოფლების, მათში მცხოვრები კომლების, შემოსავლებისა და გადასახადების სახეებისა და ოდენობის ჩვენებით. აღწერის მასალებში შეტანილია მოსახლეობისაგან დაცლილი პუნქტებიც კი. დოკუმენტის მიხედვით, ზემო აჭარის ლივა (სანჯაყი, სადროშო) ორ ნაჰიედ (რაიონად) იყოფოდა და მოიცავდა მთელ აჭარისწყლის ხეობას ჭოროხთან შესართავამდე. ზემო აჭარის ნაჰიეში გაერთიანებული იყო თანამედროვე ხულოსა და შუახევის რაიონების დასახლებული პუნქტები, ხოლო ქვემო აჭარის ნაჰიეში – თანამედროვე ქედის რაიონის დასახლებული პუნქტები მდ. აჭარისწყლის ჭოროხთან შეერთებამდე. დოკუმენტში სულ 95 დასახლებული პუნქტია აღწერილი: 60 – ზემო აჭარის ნაჰიეში, 35 – ქვემო აჭარის ნაჰიეში. დასახლებათა ჩამონათვალში ვხვდებით ციხის რაბათებსაც: სოფელი **იორამის** ციხის რაბათი (მეორე სახელი შუბანი), 15 კომლი, გადასახადი – 10500 ახჩა; სოფელი **ხიხაძირის** ციხის რაბათი (მეორე სახელი ბარათაული), ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი – 5000 ახჩა; სოფელი **ტბეთის** ციხის რაბათი, 12 კომლი, გადასახადი – 16950 ახჩა; სოფელი **კავიანის** ციხის რაბათი, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი – 2000 ახჩა; სოფელი **ოთალთას** ციხის რაბათი, ცარიელია მოსახლეობისაგან, გადასახადი – 3000 ახჩა – ზემო აჭარის ნაჰიეში და სოფელი საღორეთის ციხის რაბათი, 28

კომლი, გადასახადი – 25000 ახჩა – ქვემო აჭარის ნაჰიეში ***[აჭარის.., 2011: 52-101]***.

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია მკითხველს მიაწოდოს ინფორმაცია ზოგადად ციხის რაბათების და კონკრეტულად წყაროში დასახლებული რაბათების მოსახლეობის, მათი საქმიანობისა და სტატუსის შესახებ. ამასთან, ხეობაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, სავაჭრო-სახელოსნო საქმიანობის ანალიზის საფუძველზე, წარმოადგინოს მოსაზრებები აჭარისწყლის ხეობაში ციხის რაბათების წარმოშობისა და მათი საქმიანობის ხანგრძლივობის შესახებ.

შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობის შესახებ არსებულ სამეცნიერო წყაროებსა და ლიტერატურაში დასახლების უძველეს ფორმად ჩანს **ხევი** (თემი), **„რომელიც მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტების ჯგუფს წარმოადგენდა. განვითარების შემდეგ საფეხურზე მცირერიცხოვანი დასახლებული პუნქტები სოფლებად იქცა, დამოუკიდებელი ერთეულის სახე მიიღო და უბნებად დანაწილების გზას დაადგა** ***[რობაქიძე, 1960: 16]***. როგორც ჩანს, შემდეგ ბევრ შემთხვევაში, ეს უბნები გაზრდის გამო **სოფლებად** ყალიბდებოდა.

XIII საუკუნის ცნობილი მწერლისა და მეცნიერის აბუსერისძე ტბელის თხზულების „ახალი სასწაულნი წმინდისა გიორგისნის“ მიხედვით დასახლების კიდევ ერთი ფორმა ჩანს **დაბის** (დაბა) სახით. ტბელი ცხმორისიდან შორს, „ნაპირსა წარმართთასა“ მოსარეწლად წასული კუანილისა და პონილის თავგადასავლის თხრობისას ცხმორისს დაბად მოიხსენიებს, „სადაც არს ტაძარი“ ***[აბუსერისძე.., 1998: 65]***. ასევე დაბად მოიხსენიებს ვახუშტი ბატონიშვილი **ქედას** ***[ბატონიშვილი.., 1904: 225]***. **დაბა** სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ განმარტებულია, როგორც **„მომცრო ქალაქი მოზღუდული“** ***[სულხან-საბა.., 1949: 84]***, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი მცირე სახელოსნო-სავაჭრო ცენტრია. ამას ხაზგასმით მიუთითებს კიდეც ვახუშტი ბატონიშვილი ქედის დახასიათებისას.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, აჭარისწყლის ხეობაში დასახლების კიდევ ერთი ფორმა – **ციხის რაბათი** ნახსენებია ოსმალების მიერ XVI საუკუნის 70-იან წლებში შედგენილ აღწერის მასალებში ***[აჭარის.., 2011: 52-54]***.

არქიტექტურულ ტერმინთა **განმარტებითი ლექსიკონის** მიხედვით, **რაბათი** თურქული სიტყვაა და განმარტებულია, როგორც **ვაჭარ-ხელოსანთა დასახლება შუა საუკუნეების ქალაქის ან მონასტრის კედლებთან**, ხოლო **მ. ჭაბაშვილის** უცხო სიტყვათა ლექსიკონის მიხედვით, **რაბათი** არაბული სიტყვაა და ნიშნავს **ქალაქის ხელოსნე-**

ბითა და ვაჭრებით დასახლებულ გარეუბანს VII-VIII საუკუნეების შუა აზიასა და სპარსეთში. IX-X საუკუნეებში იგი აღმოსავლური ფეოდალური ქალაქის ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი იყო *[ჭაბაშვილი, 1989: 420]*. მართალია, ლექსიკონებში სიტყვა „რაბათის“ წარმომავლობა განსხვავებულადაა (თურქული, არაბული) წარმოდგენილი, მაგრამ შინაარსის განმარტება იდენტურია და სახელოსნო-სავაჭრო დასახლებას ნიშნავს, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ოსმალო მოხელეებიც ამ შინაარსით იყენებენ მას აღწერის მასალებში. თუ ეს ასეა, მაშინ გამოდის, რომ შუა საუკუნეების აჭარისწყლის ხეობაში ექვსი ციხის რაბათი – სახელოსნო-სავაჭრო ცენტრი და ორი „მომცრო ქალაქი მოზღუდული“ არსებულა. თუ ამას დავამატებთ 2014 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების ექსპედიციის (ხელმძღვანელი პროფ. ბ. დიასამიძე, პროფ. რ. სურმანიძე, ისტ. დოქტორი ო. ჯიბაშვილი, სპეციალისტი გ. ნახუცრიშვილი, მძღოლი რ. ბედინაძე) მიერ დადასტურებულ მახალაკიძეების ციხე-კოშკის ძირში არსებული ტოპონიმ „რაბათის“ მიხედვით დასახლება – რაბათის არსებობას, ეს მეცხრე სახელოსნო-სავაჭრო ცენტრია ფეოდალური ხანის აჭარისწყლის ხეობაში, რაც მრავლისმთქმელი ფაქტია. თუ დავაკვირდებით ამ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრების ტერიტორიულ განლაგებას, ისინი მდებარეობენ **აჭარისწყლის** (საღორეთი, ქედა, ცხმორისი, კავიანი) და მისი შენაკადების: **ჭვანისწყლის** (ოთოლთა), **ჩირუხისწყლის** (იორამი (შუბანი), მახალაკიძეები), **ტბეთისწყლის** (ტბეთის, ოქროპილაურის) და **სხალთისწყლის** (ხიხაძირი) გაყოლებით. ყველა ეს სახელოსნო-სავაჭრო ცენტრი მდინარეთა და მთავარ გზათა შესაყარზე ან მის ახლოს მდებარეობდა. ამჟამად არსებული მასალების მიხედვით, მათი ფუნქციონირება XIII-XVIII საუკუნეებს მოიცავს. კერძოდ, ცხმორისი **დაბად** მოხსენიებულია XIII საუკუნის წერილობით ძეგლში, მაგრამ XVI საუკუნის ოსმალურ წყაროში უკვე სოფლადაა მოხსენიებული – ოთხი კომლით. ე.ი. იგი სამი საუკუნის განმავლობაში დამცრობილ-დასუსტებულა და გადასახადი მხოლოდ 2770 ახჩაა მითითებული, მაშინ, როცა მეზობელ სოფელ დანდალოს გადასახადი 10 000 ახჩაა ***[აჭარის.., 2011: 82]*. ციხის რაბათები** მოხსენებულია XVI საუკუნის ოსმალურ დოკუმენტში, თუმცა კავიანისა და ოთოლთას ციხის რაბათები, წყაროს მიხედვით დაცლილია მოსახლეობისაგან. ეს თითქოს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ამ დოკუმენტში აღრიცხული 95 სოფლიდან ასევე დაცლილია 35-მდე სოფელი და უმრავლე-

სობაში მხოლოდ 2-5 კომლი ცხოვრობს. ერთი რამ აშკარად ჩანს, რომ XIII-XVI საუკუნეთა შორის განვლილ დროში დიდი ცვლილება მომხდარა აჭარისწყლის ხეობის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც დაკავშირებული უნდა იყოს ჯერ მონღოლთა, შემდეგ კი თემურ ლენგისა და ოსმალო დამპყრობლების შემოსევებთან.

თავისთავად ამ საუკუნეებში სახელოსნო-სავაჭრო ცენტრების არსებობა აჭარისწყლის ხეობაში საინტერესო ფაქტია, რადგან იგი მიუთითებს ამ ხეობაში მეურნეობის განვითარების მაღალ დონეზე, ხელოსნობის, ვაჭრობის და სახმელეთო გზების განვითარებაზე და კავშირ-ურთიერთობაზე გარე სამყაროსთან, რაზეც მიგვანიშნებენ დღემდე მოღწეული თაღიანი ხიდები და ამაყად მდგარი ციხე-კოშკები.

XII-XIII საუკუნეებში, ისე როგორც სრულიად საქართველოში, აჭარაშიც სწრაფად წავიდა წინ მეურნეობის ყველა დარგი, განსაკუთრებით ვაჭრობა და ხელოსნობა, რომელსაც საფუძველს უმაგრებდა წარსულის გამოცდილება. რამდენადაც ჩვენი კვლევა სახელოსნო-სავაჭრო ცენტრებს ეხება, მოკლედ წარმოვადგენთ ამ პრობლემის პრეისტორიის მოკლე მიმოხილვას.

ანტიკური დროის უცხოელი ავტორები და მომდევნო ხანის უცხოელი თუ ქართველი მკვლევრები ერთხმად აღიარებენ კავკასიის პრიორიტეტულ როლს რკინის მეტალურგიის საქმეში. ძველი კოლხეთი, რომლის არეალშიც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და კერძოდ, ხალიბური რკინის მეტალურგიის კერები შედიოდა, იყო რკინის მთავარი მწარმოებელი, რომელიც რკინითა და რკინის ნაკეთობებით ამარაგებდა არა მარტო საკუთარ მეურნეობას, არამედ მთელ დასავლეთ და აღმოსავლეთ ამიერკავკასიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და ეგეოსის სამყაროს მოწინავე ქვეყნებს ***[Хахутайшвили, 1987: 54-55].*** არქეოლოგიურმა მონაპოვრებმა, მეტალურგიული წარმოების კერების, რკინის ქურა-სახელოსნოების და რკინის წიდების გამოვლენამ დაამტკიცა, რომ აჭარა უძველესი რკინის მეტალურგიული წარმოების მნიშვნელოვანი მხარე იყო. აქაური რკინის წარმოების კერები („ჭარნალი I," „ჭარნალი II," „ჭარნალი III") ჩაისახა და განვითარდა ადგილობრივი ნედლეულის ბაზაზე (ცეცხლგამძლე თიხა, საწვავი, მაგნეტიტური სილა) ჯერ კიდევ ძვ.წ.-ის მეორე ათასწლეულიდან ***[ქახიძე, 2004: 15].*** აქაური რკინისა და ფოლადის ნედლეულის ბაზაზე ჩაისახა და განვითარდა სამჭედლო-სახელოსნოები სხვა ლოკალურ ცენტრებშიც. ამის შედეგი უნდა იყოს შუასაუკუნეების აჭარის როგორც მთის, ისე ბარის სოფლებში (თაგო, ყინჩაური, ფაჩხა, დიდ-

აჭარა ქედლები, წაბლანა, ახალშენი...) მიმოფანტული რკინის წიდები. ზეპირსიტყვიერებაში შემორჩენილი გადმოცემები იმის შესახებ, რომ „რკინას მიწის გადნობითაც ღებულობდნენ“ იმაზე მიანიშნებს, რომ ამ დროს ადგილობრივმა მჭედლებმაც იცოდნენ სამთამადნო საქმე. უჩამბის ციხის (ცინარეთის? – ბ.დ.) დათვალიერებისას ეთნოგრაფიულ ექსპედიციას 1973 წელს სამჭედლოს ნაშთები დაუფიქრებია, აქაურ მოსახლეობას „უანგაშეჭმული ნაკეთობა“ არაერთხელ უნახავს. ამან გამოათქმევინა პროფ. ნ. კახიძეს ვარაუდი, რომ „როგორც ირკვევა, ციხეთა ტერიტორიებზეც სამჭედლოები არსებობდა, სადაც პირველ რიგში ხანჯლები და სხვა სახის საბრძოლო იარაღები მზადდებოდა“ ***[კახიძე, 2004: 21],*** რომ არაფერი ვთქვათ სასოფლო-სამეურნეო წარმოების იარაღებზე (ცული, წალდი, თოხი, სახნისი, ლურსმანი...).

მაღალ დონეს მიაღწია აჭარაში ხით ხუროობამაც. ხის დამუშავება, მისგან საცხოვრებელი სახლების, დგამ-ავეჯის, ჭურჭლის თუ სამუშაო იარაღების დამზადება და შემკობა ორნამენტებით ***[ვარშალომიძე, 1979]*** იმ დონეზე იყო განვითარებული, რომ ვახუშტი ბატონიშვილი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აჭარლები არიან „კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. ასეთივე მაღალ დონეზე იყო განვითარებული **ქვითხუროობა**, რომელმაც თავისი გამოვლენა ჰპოვა შუა საუკუნეების ქართული საეკლესიო არქიტექტურის, თაღიანი ხიდების და საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობაში. ქვაში გამოკვეთილი ქალაქები, ორნამენტ-ჩუქურთმები და სიუჟეტები ჩვენი წინაპრების მაღალი ხელოვნების და აზროვნების მაჩვენებელია.

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ საფეიქრო წარმოებაზე შუა საუკუნეების აჭარაში. ფეიქრობას (რთვა-ქსოვას) საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. ჩვენს წინაპრებს ოთხი-ხუთი ათასი წლის წინათ უკვე სცოდნიათ სელის, კანაფის, მატყლის სართავ-საქსოვად გამოყენება ***[აფაქიძე, 1970: 757].*** ამის მაჩვენებელია ისპანის (ქობულეთი) გათხრებისას კვირისთავების აღმოჩენა. ანტიკური ხანის კოლხეთში იმდენი რაოდენობის სელი და კანაფი მოჰყავდათ, რომ მისგან დამზადებული ქსოვილები საზღვარგარეთაც გაჰქონდათ ***[ჯავახიშვილი, 1960: 30],*** რთვა-ქსოვის საქმე (ხელსაქმე) უძველესი დროიდან გავრცელებული ყოფილა აჭარაშიც. აქ, ტრადიციისამებრ, ქალიშვილს რთვა-ქსოვის საქმე აუცილებლად უნდა სცოდნოდა ***[კახიძე, 2004: 113].*** უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა შეფასებით (პალგრევი, ვ. ლისოვსკი, ჟან მურიე, გრაფინია უვაროვა...), მიუხედავად იმისა, რომ აჭარული ტანსაცმელი უხეში ქსოვილისაგან მზადდებოდა, იყო კოხტა, მოქნილი, მომხიბლავი და ადგილობრივ კოლორიტთან შეფარდებული. აჭარელი დიდგვაროვა-

ნი ქალები თავს იწონებდნენ თავიანთი ნაქარგ-ნაქსოვით და ამ ცოდნას უზიარებდნენ თავიანთ მოახლე-მოსამსახურეებსაც. დუდი ხანუმ ბეჟანიძის – ცნობილი შერიფ ხიმშიაშვილის დედის ხელით ნაქსოვი ფარდაგები, ნაქარგი გულისპირები, დაგვირისტებული ყაბალახები, ხელმანდილები დიდხანს ინახებოდა ხიმშიაშვილთა ოჯახებში ***[ფუტკარაძე, 2018: 100]***.

ზ.ჭიჭინაძის ცნობით, მთელ დასავლეთ საქართველოს სამღვდელო სამოსელი აქ იკერებოდა, აქედანვე იგზავნებოდა აღმოსავლეთ საქართველოში ნაქსოვ-ნაკერი საეკლესიო სამკაული: დაფარნები, ოქრომკერდი, აღსავლის კარის ფარდაგები, ოლიარეები, ხატის ფარდები... ***[ჭიჭინაძე, 1907: 87]***.

ზემოთ წარმოდგენილი შუა საუკუნეების აჭარაში ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარების სქემატური სურათიც კი იმის თქმის საფუძველს იძლევა, რომ შეიძლებოდა გზათა და მდინარეთა შესაყარ ადგილას, სადაც ადამიანთა შეკრება ხშირი იყო, წარმოშობილიყო ხელოსანთა და ვაჭართა დასახლება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა ხელოსნური ნაწარმის გაყიდვა-გაცვლა. არადა, გასაყიდ-გასაცვლელი მრავლად იქნებოდა: **რკინის ნაკეთობები**: ცულები, თოხები, წალდები, სახნისები, ნალები..., **იარაღთაგან**: დანები, ხანჯლები, თოფები და დამბაჩები; **ხის ნაკეთობანი**: ჯამები, გობები, კოვზები, აკვნები, კალათები..; **კერამიკული ნაწარმი**: კეცები, ჯამები, სასმისები, დოქები, დერგები..; **ნაქსოვ-ნაქარგები**: წინდები და ხელთათმანები, მოქარგულ-მოგვირისტებული გულისპირები, ფარდაგები, ყაბალახები და მრავალი სხვა. სწორედ ამ ფუნქციის შემსრულებელი უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული ციხის რაბათები და დაბები. მაგალითად, 1873 წლის დასახლება **ქედის** შესახებ დ. ბაქრაძე შემდეგ ცნობას იძლევა: „ქედა სავაჭრო პუნქტია გარშემო მცხოვრებთათვის: აქ არის 20-30 „დუქნიანი ბაზარი, სადაც იშოვება ყავა, ჩაი და სხვა წვრილმანი“ ***[ბაქრაძე, 1987: 48]***, ხოლო ამავე საუკუნის ბოლოს თედო სახოკია ქედის შესახებ წერს: „საზოგადოდ, ქედა ქვედა აჭარის ადმინისტრაციული ცენტრია, ამასთანავე შუაგულია, ბაზარია ამ კუთხის, ნაწარმოებისა, ყოველი აღებ-მიცემა ქვემო-აჭარელისა უმეტეს ნაწილად აქა სრულდება. რაც უნდა უბრალო რამ დასჭირდეს ქვემო აჭარელს სასყიდლად, უეჭველად ქედას უნდა მოატანოს, რადგან მთელ ქვედა-აჭარაში, გარდა სოფ. აჭარის-წყლისა, დუქანი სხვაგან არსად მოიძებნება“ ***[სახოკია, 1985: 308-309]***.

ციხის რაბათების აჭარისწყლის ხეობაში არსებობის შესახებ ამ ბოლო ხანებში გახდა ცნობილი ზემოთხსენებული ოსმალური დოკუ-

მენტის ქართულ ენაზე გამოქვეყნების შემდეგ ***[აჭარის.., 2011],*** მადენად, რაბათებით, მათი შესწავლით დაინტერესება მხოლოდ ახლა იწყება, თუმცა, დასახელებულ ციხეთაგან არქეოლოგიურად სულ რამდენიმეა (ოთოლთას (ჭვანის), ხიხაძირის (ციხისყელი-ვარდციხე), იორამის (შუბან-დარჩიძეების) შესწავლილი. რამდენადაც ცნობილია, რომ ციხის რაბათები ციხის გალავნის გარეთ, მიმდებარე ახლო ტერიტორიაზე ჩნდებოდა, აქ შექმნილი ან გასაყიდად თუ გასაცვლელად შემოტანილი ხელოსნური ნაწარმი აუცილებლად გამოიყენებოდა ალბათ თვით ციხეში მყოფთაგანაც. ამიტომ, საჭიროდ ვთვლით შესწავლილი ციხეების არქეოლოგიური მონაპოვრის გაანალიზებას ჩვენთვის საინტერესო პრობლემასთან კავშირში – ვსარგებლობთ ამ ციხეების შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციების ხელმძღვანელის, პროფ. შ. მამულაძის ნაშრომით ***[მამულაძე, 1993].***

ოთოლთას (ჭვანის, ტაკიძეების) ციხე აღმართულია მდინარე ჭვანისწყლისა და მის მარცხენა შენაკად ოთოლთასწყლის ხერთვისში, წინ წამოწეულ მთავარანგელოზის მთის წვერზე ***[მამულაძე, 1993: 28].*** იგი პირდაპირ უცქერის ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესართავთან მარცხენა მხარეს აღმართულ კავიანის და ზემო და ქვემო აჭარის საზღვარზე მდებარე დანდალოს ციხეებს. ჭვანისწყლის ხეობაში გადიოდა გზა, რომელიც აჭარა-გურიის მთებზე არსებული გადასასვლელებით მთიან აჭარას აკავშირებდა ქობულეთის და ოზურგეთის რაიონებთან.

ოთოლთას ციხის ფართობი 936 კვადრატულ მეტრს შეადგენს (უდიდესი სიგრძე – 52 მ., სიგანე – 18 მ). გალავნის შემორჩენილი სიმაღლე მერყეობს 1,5-5 მეტრამდე ***[მამულაძე, 1993: 29].*** მართალია, ციხის შიდაციხის ტერიტორიაზეც აღმოჩენილია ქვევრები, თონეები, კერამიკული მასალა, წყლის რეზერვუარი, მაგრამ ჩვენს ყურადღებას უფრო მეტად იპყრობს ციხის ეზოში არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალა, რადგან აქ შესაძლებელია ვივარაუდოთ ციხის რაბათის არსებობა, მითუმეტეს, რომ აქ ნახული გვირაბით და კიბის გამოყენებით შესაძლებელია ციხის ციტადელზე ასვლა. ციხის ეზოს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩენილია საკმაოდ მოზრდილი მარანი რვა ქვევრით, მრავლად აღმოჩნდა აგრეთვე სხვადასხვა სახის კერამიკული მასალა, მათგან ნაწილი მოჭიქულია. ნახულია ლითონის ნაწარმი: რკინის ისრისპირი, მცირე ზომის რგოლები და სხვა ***[მამულაძე, 1993: 35].***

რაც კიდევ უფრო საინტერესოა, ციხის ეზოში აღმოჩენილია ყველა ის საყოფაცხოვრებო ობიექტი, რაც შიდა ციხის ტერიტორიაზეა.

ციხის შიგნით და ეზოშიც ნახულია **წყლის რეზერვუარები** წვიმის წყლის შესაგროვებლად. ეზოში არსებული რეზერვუარის ზომა ზედაპირთან 3-3,4 მეტრია, სიღრმე 3,5 მეტრი, რაც წყლის საკმაოდ დიდი რაოდენობის მარაგის შეგროვების საშუალებას იძლეოდა. მისი მომარაგების სისტემა ისე იყო მოგვარებული, რომ წყალს საკმაოდ კარგად ატარებდა, ფილტრავდა და რეზერვუარს ავსებდა. მართალია, ცნობილია ციხეების წყლით მომარაგების სხვადასხვა ხერხები, მაგრამ ჭვანის ციხის წყლით მომარაგების სისტემას, პროფ. შ. მამულაძის აზრით, ჯერჯერობით სათანადო ანალოგები არ ეძებნება ***[მამულაძე, 1993: 33]***.

ასევე, ისე როგორც შიდა ციხის ტერიტორიაზე, ეზოშიც უკიდურეს ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა მარანი, საშუალო ზომის რვა ქვევრით, რომელთაგან შვიდი დაკირული იყო.

ციხის სიდიდის, აქ მყოფ ადამიანთა რაოდენობის მიახლოებით მაინც განსაზღვრისათვის საკმარის საფუძველს გვაძლევს თონეების რაოდენობა. მთლიანად ციხის ტერიტორიაზე ოთხი თონე აღმოჩნდა. აქედან ორი – ციხის ეზოს ტერიტორიაზე, რაც პროფ. შ. მამულაძის აზრით, პირველი შემთხვევაა აჭარისწყლის ხეობაში ***[მამულაძე, 1993: 39]***. თონის შიდა ზედაპირი დაფარული იყო ბადისებრად დაშტრიხული ვარდულებით, რომელიც მრგვალი საშუალო ზომის საბეჭდავითაა დატანილი. ეს ვარდულები გარდა იმისა, რომ პურის გუნდის თონის კედელზე დამაგრებას უწყობდა ხელს, მათ გააჩნდათ რიტუალური და ესთეტიკური ღირებულებებიც. ერთ-ერთი თონის ვარდულების შიგა ზედაპირი დაფარულია 7 და 8 ფურცელა ყვავილებით ***[მამულაძე, 1993: 39]***. ეს კი ამ ყველაფრის შემქმნელთა მაღალ ხელოვნებასა და ესთეტიკურ გემოვნებაზე მიგვითითებს.

მთლიანად ციხის ტერიტორიაზე ნახული არქეოლოგიური მასალის სტრატიგრაფია დარღვეულია, მაგრამ მაინც გამოიყოფა ანტიკური ხანის (ქვევრის პირის, თუ გვერდების, დერგების, ქოთნის ნატეხები), განვითარებული შუა საუკუნეების (XI-XIII სს.) მასალები (დერგების, სადღვებლების, ჯამების კეცების ნატეხები, მთლიანი ნიმუშები, მოჭიქული კერამიკის ნატეხები...) შედარებით მცირე, გვიანი შუა საუკუნეების მასალები ***[მამულაძე, 1993: 40]***.

ციხის ეზოს ტერიტორიაზე არქეოლოგიური მონაპოვრის შესახებ იმიტომაც ასე დეტალურად მოვიტანეთ მასალა, რომ ვფიქრობდით, იქნებ აქ ყოფილიყო ამ ციხის რაბათი (აქ აღმოჩნდა წყლის დიდი რეზერვუარი, მარანი რვა ქვევრით, ორი თონე...), მაგრამ არ ჩანს სახელოსნო წარმოების საშუალებები (ხის სახვეწი, რკინის იარაღები

ან ნარჩენები, მეთუნეობის ან ფეიქრობისათვის საჭირო მასალა თუ იარაღი), თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რაბათებში სხვაგან დამზადებული პროდუქცია გასაღებულიყო.

ოსმალურ წყაროში ხსენებულ ციხის რაბათებს შორის არქეოლოგიური გათხრების შედეგად შესწავლილია აგრეთვე იორამის (შუბნის) ციხე იგი ჩირუხისწყლის მარჯვენა მხარეს სოფელ დარჩიძეებიდან ერთი კილომეტრის დაშორებით სამი მხრიდან მიუვალ კლდეზეა დაშენებული. იგი აკონტროლებდა ამ ხეობაში გამავალ გზას, რომელიც შავშეთ-იმერხევში გადიოდა. არქეოლოგიური გათხრისას ციხეში დადასტურდა წყლის რეზერვუარი, ორი თონე, ოთხი მარანი, დერგების, ქოთნების, დოქების, ჯამების, სასმისების, კეცების ნამტვრევები, საგანგებოდ დამზადებული ქვის ბირთვები, ასევე ინახა მცირე რაოდენობის მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები ***[მამულაძე, 1993: 54]***. ვფიქრობთ, დარჩიძეების ციხის, არქეოლოგიური გათხრის მასალები საფუძველს არ იძლევა ვივარაუდოთ აქვე რაბათის არსებობა.

ოსმალურ წყაროში ხსენებულ ციხის რაბათთაგან კიდევ ერთი – ხიხაძირის ციხეა არქეოლოგიურად შესწავლილი. თუმცა საქმეს ართულებს მისი იდენტიფიცირების საკითხი. ხიხაძირის ციხეში ოსმალო მოხელენი გულისხმობდნენ ახლანდელი სოფელ ხიხაძირის ახლოს მდებარე ციხისყელს თუ ვარდციხეს, ან ორივეს ერთად.

უფრო სავარაუდოა, რომ წყაროში დასახელებულ ხიხაძირის ციხეში ციხისყელ-ვარდციხის კომპლექსი ვიგულისხმოთ, რადგან ოსმალურ წყაროში ცალკე სოფელი ხიხაძირი არაა დასახელებული. „ორივე ნაგებობა თანადროული ჩანს და არაა გამორიცხული თითოეულ მათგანს განსაზღვრული დანიშნულება ჰქონდა, კერძოდ, ციხისყელზე ხდებოდა საშიშროების დროს სურსათის შენახვა, მოსახლეობის შეფარება. ვერ გამოვრიცხავთ იმასაც, რომ ამ ადგილს ხეობის რომელიმე ფეოდალი მუდმივ საცხოვრებლადაც იყენებდა, ხოლო ვარდციხე წმინდა სამხედრო დანიშნულებისა და გზების უშუალო კონტროლისთვის იყო განკუთვნილი“ ***[მამულაძე, 1993: 48]***. ასე, რომ აქაც რაბათის საკითხი გაურკვეველია მით უმეტეს, რომ არც აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა არ იძლევა განსხვავებული დასკვნის გაკეთების საშუალებას.

ციხეთა არქეოლოგიური გათხრებისას მოპოვებული მასალა იმას მაინც ადასტურებს რომ განვითარებულ შუასაუკუნეებში აჭარისწყლის ხეობის ეკონომიკის წამყვანმა დარგებმა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია, რაც იმის საფუძველს იძლეოდა, რომ ციხეებთან შექმნილიყო სახელოსნო-სავაჭრო ცენტრები – რაბათები. რაც შეეხება

ხიხაძირის ციხის რაბათის ლოკალიზაციას, უფრო სავარაუდოა მისი მდებარეობა თანამედროვე სოფელ ხიხაძირის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ხიხაძირისწყლისა და კალოთისწყლის შესაყარში. ასევე შეიძლება ვივარაუდოთ კავიანის ციხის რაბათის მდებარეობა ახლანდელი ხიჭაურის ტერიტორიაზე ჭვანისწყლისა და აჭარისწყლის შესაყარში, სადაც მთავარი გზა გადიოდა ხულოსა და ხიხაძირის მიმართულებით; ოთოლთას ციხის რაბათი – ჭვანისწყლისა და ოთოლთასწყლის შესაყარში, ახლანდელი სოფ. ტაკიძეების ტერიტორიაზე – ციხის მიმდებარედ. ასევე შეიძლება ითქვას იორამის (შუბნის) და საღორეთის ციხის რაბათებზეც. მათი ადგილმდებარეობა საძიებელია ციხეების ახლოს მდინარეთა და გზათა შესაყარში. მახალაკიძეების ციხის ძირში დაფიქსირებული ტოპონიმი „რაბათი“ იმის საფუძველს იძლევა, რომ რაბათების ძიება-შესწავლა სწორედ აქედან დავიწყოთ.

რაც შეეხება ტბეთის ციხის რაბათს: ოსმალურ დოკუმენტში სოფელი **ტბეთი** ცალკეა დასახელებული და ცალკე – ტბეთის ციხის რაბათი, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ ტბეთის ციხე სხვაგან, მაგრამ ამავე ხეობაშია საძიებელი. ხალხი, ზეპირი გადმოცემებით ამ ხეობას ტბეთისწყლის ხეობას ეძახის, ამიტომ ტბეთის ციხედ ხომ არ შეიძლება ვიგულისხმოთ **ცინარეთის** ან **ოქროპილაურის ციხეები,** რომლებიც ამ ხეობაში მდებარეობენ? პირველი მდინარის შუაწელზე, უჩამბის დასახლების ახლოსაა, მეორე კი ტბეთისწყლის (უჩამბისწყლის) და ჩირუხისწყლის შესართავთან. ვფიქრობთ, ტბეთის ციხედ უფრო ცინარეთის ციხე უნდა იგულისხმებოდეს, მისი რაბათი კი უჩამბის ტერიტორიაზე უნდა იყოს საძიებელი, რადგან ამ სოფელზე გადიოდა გზა, რომელიც შავშეთ-იმერხევში გადადიოდა და ამასთან, როგორც ზემოთ ითქვა, აქ არაერთი საინტერესო ნივთიერი მასალა იქნა შემთხვევით მოპოვებული.

ამრიგად, ოსმალურ დოკუმენტში ***[აჭარის.., 2011:54]*** დასახელებული ციხის რაბათების არსებობა ეჭვს არ იწვევს ჯერ ერთი, წყაროში დასახელებულ ციხეთა ამჟამად არსებობის გამო და მეორე, ამ ციხეების არქეოლოგიური გათხრებისას ქვევრების, სადღვებლების, კეცების, თონის ორნამენტიანი შიდაკედლების, დერგების, ჯამების ნატეხების, ლითონის (რკინის) ნაწარმის (ისრისპირი, მცირე ზომის რგოლები და სხვა) აღმოჩენის გამო, რომლებიც შეიძლებოდა ამ ციხეთა რაბათებშიც დამზადებულიყო. სხვა შემთხვევაში ოსმალო მოხელეთა მიერ შედგენილ აღწერის მასალებში საგანგებოდ არ იქნებოდა ისინი აღრიცხული. აშკარად ჩანს, რომ აღწერის ჩატარების დროისათვის

ზოგიერთი (ოთოლთას, კავიანის) ციხის რაბათი დაცლილი იყო მოსახლეობისაგან.

ვფიქრობთ, ამ პრობლემის შესწავლას შუქს მოჰფენს რაბათების სავარაუდო ადგილების არქეოლოგიური შესწავლა, რაც გადაუდებელ საქმედ მიგვაჩნია.

Bichiko Diasamidze

“Rabati”-s of Castle in Adjaristsqali Valley

Summary

On bases of Turkish historical sources of XVI century, the author asserts that there were six “Rabati”-s (craftsmen and merchants settlement around the castle) in Adjaristsqali Valley in the middle Ages: Tsivasula, Kaviari, Otalfa, Iorami (Shubani), Tbeti, Khikhadziri (Baratauli). At the bottom of the Castle of Makhalakidzeebi in the gorge of Chirukhi Water, there is also the toponym of “Rabati” that let us think that it is the seventh Rabati of the castle. According to the dictionaries, “Rabati” means the territory around the castle or the monastery settled by craftsmen and merchants.

In the scientific literature of XIII and XVIII centuries (Abuseridze Tbeli, Vakhushti Batonishvili) in the same valley, we meet two boroughs: Tskhmorisi and Keda. According to the dictionary by Sulkhan Saba Orbeliani “borough” (“Daba” in Georgian), means a small town and handicraft and trade center. Therefore, in XIII-XVI centuries there were nine handicraft and trade centers in Adjaristsqali Valley that indicates the high level of trade and economic development in the valley. The author of the article emphasizes the necessity of archeological exploration of estimated location of “Rabatis”.

წყაროები და ლიტერატურა:

9. **აბუსერისძე.., 1998:** – აბუსერისძე ტბელი, თხზულებანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ნ. გოგუაძემ, მ. ქავთარიამ და რ. ჩაგუნავამ, ბათუმი.

10. **აფაქიძე, 1970:** – აფაქიძე ა., ანტიკური ხანის საქართველოს კულტურა, – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბილისი.

11. **აჭარის.., 2011:** – აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები, ოსმალური ტექსტი, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და ფოტოასლები გამოსაცემად მოამზადეს ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ, თბილისი.

12. **ბატონიშვილი.., 1904:** – ბატონიშვილი ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფია, დაიბეჭდა ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერი დედნით, რედაქცია მ.გ. ჯანაშვილისა, თფილისი.

13. **ბაქრაძე, 1987:** – ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ, გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა," ბათუმი.

14. **ვარშალომიძე, 1979:** – ვარშალომიძე ჯ., ორნამენტი ხეზე, ბათუმი.

15. **კახიძე, 2004:** – კახიძე ნ., ხელოსნობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევა), ბათუმი.

16. **მამულაძე, 1993:** – მამულაძე შ., აჭარისწყლის ხეობის შუასაუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი.

17. **რობაქიძე, 1960:** – რობაქიძე ალ., დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში. ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები, I, ბათუმი.

18. **სახოკია, 1985:** – სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი.

19. **სულხან-საბა.., 1949:** – სულხან-საბა ორბელიანი, „სიტყვის კონა", თბილისი.

20. **ფუტკარაძე, 2015:** – ფუტკარაძე შ., სახელოვანი ქართველი ქალები ხიმშიაშვილთა ოჯახებიდან. ქრ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა XIX საუკ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, ბათუმი.

21. **ჭაბაშვილი, 1989:** – ჭაბაშვილი მ. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა და წინასიტყვაობა დაურთო მ. ჭაბაშვილმა, მე-3 შესწორებული გამოცემა, თბილისი.

22. **Хахутайшвили, 1987:** – Хахутайшвили Д., Производство железа в древней Колхиде, Тбилиси.

კახაბერ ქამადაძე
გონიო-აფსაროსის მუზეუმ-ნაკრძალის
მეცნიერ-თანამშრომელი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დოქტორანტი

ოსმალური ფაიანსი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლებზე გვიანი შუასაუკუნეების არქეოლოგიურ მონაპოვრებში გვხვდება ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა საწარმოო ცენტრებში - იზნიკსა და ქუთაჰიაში დამზადებული ფაიანის ნაწარმი. სახელწოდება „ფაიანსი“ მომდინარეობს იტალიის ქალაქ ფაენცადან, რომელიც XVI ს დასაწყისში კერამიკული წარმოების ერთ-ერთი ცნობილი ცენტრი იყო და აღნიშნავს თეთრი, ნასვრეტოვანი კეცის მქონე მოჭიქულ ნაწარმს **[მამაიაშვილი, 1976: 5]**.

ოსმალური კერამიკა, XII-XIII სს-დან მოყოლებული, აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნებიდან (სირია, ირანი, ჩინეთი) ითვისებდა გარკვეულ ელემენტებსა და მოტივებს, საბოლოოდ კი XVI-XVII სს-ში მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს. ერთ-ერთი მთავარი და წამყვანი ცენტრი ამ დროისათვის იყო ქ. იზნიკი (ძველი ნიკუა) **[Гусач, 2005: 476]**. ხოლო, XVIII ს-ის დასაწყისში იზნიკური საწარმოო ცენტრის დაცემის შემდეგ, კერამიკის წარმოების ახალი მთავარი ცენტრი ქუთაჰია გახდა.

წინამდებარე სტატიაში თქვენს ყურადღებას სწორედ ქ. ქუთაჰიაში დამზადებულ პროდუქციაზე შევაჩერებთ. ამ ქალაქში კერამიკის წარმოება ჯერ კიდევ XIV ს II ნახევრიდან იწყება **[Belgin, 2007: 339; Kamuran, 2007:28]**, როდესაც სულთან სელიმ I-მა 1514 წელს სპარსელებთან გამარჯვების შემდეგ, თავრიზში მყოფი კერამიკის ხელოსნები გადაასახლა თურქეთის სხვადასხვა ადგილებში და მათ შორის ქუთაჰიაშიც, რათა თურქულ კერამიკულ ხელოვნებას მიეღწია იმ სიმაღლისათვის და ყოფილიყო ისეთი განვითარებული და მაღალხარისხოვანი, როგორიც იყო ეს იმ პერიოდის ირანში **[Миллер, 1965:44; Pala, 2006:315]**. ეს ქალაქი წარმოადგენდა იზნიკური საწარმოო ცენტრის დამხმარეს. თუმცა, უკა-

ნასკნელ პერიოდში პროფ. ქოუმჯიანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქუთაჰია წარმოადგენდა იზნიკის არა დამხმარე, არამედ კონკურენტ ცენტრს, რომელმაც XVIII ს-ის დასაწყისიდან კერამიკის წარმოებაში საბოლოოდ დაამკვიდრა საკუთარი სტილი და ფორმები **[Kouymjian, 2014:109]**. ქუთაიამ გააგრძელა იზნიკური საწარმოო ცენტრის ტრადიციები, რათა დაეკმაყოფილებინა მოსახლეობის ფართო მასებში ის მაღალი მოთხოვნილება, რომელიც იზნიკურ ნაწარმს უკავშირდებოდა. თუმცა, იზნიკური საწარმოო ცენტრის საბოლოო დაცემის შემდეგ, ქუთაია გახდა მძლავრი საწარმოო ცენტრი, თავისი სტილითა და იმდროინდელი საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებით. აქ დამზადებული მრავალგვარი და მრავალფეროვანი ნაწარმი გამოირჩევა ნათელი ფერებით და ორიგინალური მოხატულობით, მაგრამ იზნიკურ კერამიკასთან შედარებით მისი ხარისხი უფრო დაბალია. ქუთაიური ნაწარმი მოხატულია პოლიქრომულად, ლურჯი, მწვანე, წითელი, მეწამული, ყვითელი, ყავისფერი, იისფერი საღებავებით და გაფორმებულია ყვავილოვანი, გეომეტრიული და ფიგუროვანი ორნამენტით. ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმები იყო პატარა თხელკედლიანი ჯამები, ყავის ფინჯნები და დოქები **[Kamuran, 2007:29; Skartsis, 2009:219].** ქუთაჰიის პროდუქციაზე განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენა მოახდინა ჩინურმა და ევროპულმა ფაიფურმა. იმისთვის, რომ ადვილად გაყიდულიყო ევროპის ბაზრებზე ხშირად მზადდებოდა ევროპული ნაწარმის მინაბაძი ფორმებიც [Lane, 1957: 63-65; **Станчева, 1960:123; Гусач, 2012: 114-139; Aslanapa, 1965:31; Миллер, 1972: 157-160; Heyes, 1992: 266-267**].

ქუთაჰიური კერამიკა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ძირითადად აღმოჩენილია გონიო-აფსაროსის ციხის შიდა ტერიტორიაზე, ჭურჭლის რამოდენიმე ნატეხი გვხვდება ბათუმის, ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზეც.

გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ქუთაჰიური კერამიკული ნაწარმის უმრავლესობას მცირე ზომის ყავის ფინჯნები და დოქის ფრაგმენტები შეადგენენ. ყავის ფინჯნებისთვის დამახასიათებელია, ნახევარსფეროსებური ან ზარისებური კალთა, სწორი, მომრგვალებული კალთასთან შერწყმული ან ოდნავ გარეთ გადახრილი და უმნიშვნელოდ გამოყოფილი პირი, მრგვალი, დისკოსებური ქუსლი და ბრტყელი ძირი. მხატვრული შემკულობის მიხედვით ყავის ფინჯნები VI ჯგუფად შეიძლება დაიყოს: I. კობალტის ლურჯი საღებავით მოხატული; II. შიდა

კალთა კობალტის ლურჯი საღებავით, ხოლო გარე კალთა ყავისფერი საღებავით მოხატული; III. კალთის გარე ზედაპირი ყავისფრად მოხატული, ხოლო შიდა კალთა სხვადასხვა საღებავებით მოხატული; IV ერთფერად მოხატული; V. ორფერად მოხატული და VI. მრავალფერად მოხატული ფინჯნები.

I ჯგუფის ფინჯნებზე თეთრ ფონზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სხვადასხვა სახის ყვავილოვანი ორნამენტი **(ტაბ.I/1-9).** ძირითადი დეკორია მრავალფურცელა ყვავილი, ლოტოსი, ვარდი და კვიპაროსი. ორნამენტით დაფარულია გარე კალთის ზედაპირი, შიდა მხრიდან ორნამენტი გვხვდება ჭურჭლის ძირზე. ზოგიერთ ნიმუშებზე შიდა ზედაპირზე ორნამენტს ირგვლივ შემოუყვება ერთი ან ორი წრიული ზოლი. ნახატი ღია-ლურჯი ფერისაა, კონტურები კი მუქი-ლურჯი. ორი წრიული ლურჯი ზოლი გასდევს ზოგიერთ ფინჯანს ქუსლზეც. კეცის სისქის მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად ა) თხელკედლიანი და ბ) სქელკედლიანი ნიმუშები. ზოგიერთი ფინჯნის ძირზე, კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სხვადასხვა სახის დამღა: ვარსკლავისებრი, რომელიც შედგება 4 ან 3 გადაჯვარედინებული შტრიხისაგან და მიღებულია ექვსი ან რვაქიმიანი სახე **(ტაბ.I/3).** ორი ურთიერთგადაჯვარედინებული შტრიხი, რომელიც ჩასმულია წრეში **(ტაბ.I/4)** რომბისებური დამღა, რომლის ერთი ბოლო მორკალულია **(ტაბ.I/5)** და ფრინველის გამოსახულების მსგავსი დამღა.

ყველაზე მეტად, სჭარბობს ვარსკლავისებრი დამღა. მსგავსი დამღა გვხვდება ყავის ფინჯნების სხვა ჯგუფზეც, მაგრამ განსხვავებით ამ ჯგუფისაგან მათზე ვარსკლავისებრი დამღა შავი საღებავითაა მოხატული. როგორც ფიქრობენ, თურქულ ფაიანსზე დასმული დამღების იდეა ევროპულია და მეისენის ან სერვის ნაწარმის მიბაძვითაა გაკეთებული **[Gushion, Honey., 1958:20; Lane, 1957:65; Миллер, 1972:168-169; Плетнов, 2007: 92].**

ქუთაჰიური ყავის ფინჯნების ამ ჯგუფზე დიდი გავლენა მოახდინა მინის დინასტიის დროინდელმა (1368-1644 წწ) ,,ლურჯმა-თეთრმა“ ფაიფურმა. ზოგჯერ ამ ნაწარმს მოიხსენიებდნენ, როგორც ნამდვილი ჩინური ფაიფურის ,,შემცვლელს“ ან კიდევ ,,გლეხურ-ფაიფურს“ **[Vroom, 2007: 84; Арапова, 1977:7-56]**.

გარდა ყავის ფინჯნებისა, გონიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია კობალტის ლურჯი საღებავით გაფორმებული ხუფებიც.

ერთ-ერთი მათგანი პატარა ზომისაა, მრგვალი ფორმის. შუაში შემორჩენილი აქვს სახელურის ფრაგმენტი. სახელურს ირგვლივ შემოუყვება ლურჯ კონტურში ჩასმული ცისფერი ოვალები **(ტაბ.I/10).** შედარებით მოზრდილი და განსხვავებულია მეორე ხუფი. შემორჩენილი აქვს მრგვალი სახელური, ზედაპირი გაფორმებულია ოდნავ დახრილი ფართო ლურჯი ზოლებით, რომელთაც ირგვლივ შემოუყვება შავი კონტურები. ორნამენტი ჩასმულია ორ ვიწრო შავ ზოლში **(ტაბ.I/11).**

II ჯგუფს მიეკუთვნება ფინჯნები, რომელთა შიდა ზედაპირზე კობალტის ლურჯი საღებავით მოხატულია სხვადასხვა სახის მცენარეული ორნამენტი, ხოლო გარე კალთა დაფარულია მუქი-ყავისფერი, შოკოლადისებური საღებავით **(ტაბ.I/12-13).** ერთ-ერთი ფინჯნის შიდა ზედაპირზე მოხატულია ხე, ხის ფოთლებად ლურჯი ფერის პატარა წერტილებია მოცემული, გარე მხრიდან ყავისფერი საღებავი შედარებით ღია ფერისაა **(ტაბ.I/13).**

III ჯგუფში ერთიანდება ფინჯნები რომელთა შიდაზედაპირი სადაა უორნამენტო, ხოლო გარე კალთა მოხატულია ყავისფერი საღებავით. ზოგიერთი მათგანის შიდაპირი თეთრ ფონისაა, ხოლო ზოგიერთს გადავლებული აქვს ლურჯი ფერის კრიალა ჭიქური **(ტაბ.I/14).**

ყავისფერი საღებავით ფინჯნების მოხატვა, პოპულარული გახდა XVII ს ბოლოსა და XVIII ს I მეოთხედში იმპერატორ კანსის მმართველობის დროს (1662-1722 წწ) ჩინეთში დამზადებული ფაიფურის ფინჯნების გავლენით **[Гусач, 2011: 398].** ჩინური ფაიფურის მსგავსი ყავისფერი საღებავით გაფორმებულ ყავის ფინჯნებს ფართოდ მოიხმარდნენ ოსმალეთის იმპერიაშიც და საკმაოდ მოთხოვნად პროდუქტს წარმოადგენდა.

IV ჯგუფში ერთიანდება მონოქრომული ფინჯნები. ერთ-ერთი ფინჯნის კალთის ორივე მხარე მოხატულია ღია-ყავისფერი ჭიქურით. აქვს თხელი კეცი, სწორი პირი, ნახევარსფეროსებური კალთა და გამოყვანილი, რგოლისებური ქუსლი. ბრტყელი ძირი დაფარულია მუქი მწვანე ფერის საღებავით **(ტაბ.I/15).**

V ჯგუფს მიეკუთვნება ორფერად მოხატული ფინჯნები. ფინჯნების გასაფორმებლად გამოყენებულია მხოლოდ ორი ფერი, ძირითადად ეს არის: წითელი და მწვანე ან ლურჯი და შავი. წარმოდგენილია რამოდენიმე ფრაგმენტის სახით. ყველა მათგანისათვის დამახასიათებელია სწორი, ოდნავ გადახრილი პირი, მომრგვალებული, ზარისებური კალთა და დაბალი, რგოლისებური ქუსლი. ერთ-ერთი ფინჯნის გარე ზედაპირზე

მწვანე და წითელი საღებავით მოხატულია კვიპაროსის მსგავსი მცენარე, ხოლო შიდა კალთა სადაა, ურონამენტო **(ტაბ.I/16).**

VI ჯგუფს მიეკუთვნება მრავალფრად მოხატული ფინჯნები მათთვის დამახასიათებელია ძალიან ნათელი, თეთრი ფერის, მტკიცე თიხის კეცი. წვრილი მცენარეული ორნამენტი, ხშირად შერწყმულია გეომეტრიულთან. შავი ან მუქი ყავისფერი საღებავებით გამოყვანილია მოხატულობის კონტური, ხოლო თვით მოხატულობა მკაფიო ყვითელი, მწვანე, ცისფერი ან წითელი ფერისაა, რაც ჭურჭელს საზეიმო ელფერს ანიჭებდა **[მამაიაშვილი, 1976:98; Мюллер, 1972:164].** მცენარეული ორნამენტი შედგება: ყვავილების, ფოთლების, რტოების, ყურძნის მტევნების, კვიპაროსებისა და მედალიონებისაგან. მრავალფერად მოხატული ფინჯნები შეიძლება ორ ქვეჯგუფად დაიყოს: ა). ფინჯნების მოსახატად გამოყენებულია ცისფერი, მწვანე, შავი, წითელი ლურჯი და სოსნისფერი საღებავი. წამყვანი ადგილი მოხატულობაში სოსნისფერ საღებავს უჭირავს **(ტაბ.II/1).** ზოგიერთი ფინჯნის ძირზე ცენტრალურ ნაწილში შავი საღებავით დატანილია ურთიერთგადამკვეთი შტრიხებისაგან შედგენილი 8-ქიმიანი ვარსკვლავისებრი დამღა. ბ). ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ფინჯნები, რომლებიც მოხატულია შავი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, ყავისფერი და შავი საღებავებით. მოხატულობაში ძირითად ფერს ყვითელი წარმოადგენს. ერთ-ერთი დაბალკალთიანი ფინჯნის ფრაგმენტი გაფორმებულია მოგრძო ფოთლებითა და ყვავილებით. კონტურებისათვის გამოყენებულია შავი ფერი. ხოლო, ყვითელი, ყავისფერი, ლურჯი საღებავები ორნამენტისათვის **(ტაბ.II/4).** გვხვდება ისეთი ნიმუშებიც, რომელთა გარე ზედაპირი რომბისებურადაა დანაწევრებული და მოხატულია ყვავილოვანი ორნამენტით. კონტურები ყველა ფინჯანზე შავი ფერისაა. ხოლო სამფურცელა და ოთხფურცელა ყვავილები ყვითელი და ღია-მწვანე ფერის. ზოგჯერ მცენარის ფოთლები და ღეროები დაწინწკლულია ყავისფერი წერტილოვანი ბურთულებით. ჭურჭლის შიდა მხარის ცენტრში, მოცემულია შავი, ყვითელი და ყავისფერი საღებავებით მოხატული ყვავილი, რომელიც ჩასმულია ორ ცისფერ წრეხაზში **(ტაბ.II/3,5).**

ორფერად და მრავალფერად მოხატული ფინჯნები ჩნდება უფრო გვიან XVIII ს-ის I ნახევარში და ვრცელდება უფრო ფართოდ, ვიდრე კობალტის ლურჯი საღებავით და ყავისფერი საღებავით მოხატული ფორმები.

მცირე ზომის ქუთაჰიური ფინჯნები დაკავშირებულია ყავის კულტურის გავრცელებასთან, რომელიც XV საუკუნის ბოლოდან იწყება. დაახლოებით ამ დროიდან ვრცელდება ოსმალეთის იმპერიაშიც, მაგრამ XVI-XVII სს-ში, იმის გამო რომ, ყავის სახლებში ე.წ. „ყავახანებში“ ყავის სმასა და თამბაქოს მოწევასთან ერთად განიხილებოდა იმდროინდელი ოსმალეთის იმპერიის სოციალური და პოლიტიკური საკითხები ყავის მოხმარება აკრძალული იყო და მხოლოდ, გარკვეული პერიოდის შემდეგ იქნა ნებადართული ხელისუფლების მიერ. ყავის მოხმარება პირველ რიგში, დაკავშირებული იყო მოსახლეობის მაღალ ფენებთან და მდიდარ ოჯახებთან. ქუთაჰიური ნაწარმი პირველ რიგში სწორედ მდიდარი და პრივილეგირებული ფენისათვის იყო განკუთვნილი [Skartsis, 2009: 220].

ყავის ფინჯნების გარდა, გინიო-აფსაროსის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილია შედარებით მოზრდილი ფიალის ტიპის ჭურჭლის ნატეხი. ახასიათებს მაღალი ქუსლი, რომელსაც გარე მხრიდან ირგვლივ შემოუყვება ორი ჰორიზონტალური შავი წრიული ზოლი და ბრტყელი ძირი. შიდა ზედაპირზე ყავისფერ ფონზე მოხატულია გვირილები. მცენარის კონტური შავი ფერისაა, ფოთლები თეთრი, ხოლო ბუტკო შავ კონტურშია ჩასმული და ლუჯადაა მოხატული (ტაბ.II/6).

მცირე რაოდენობით გვხვდება დოქის ნატეხებიც, რომლებიც სხვადასხვა დეკორითაა გაფორმებული. ნაწილი მოხატულია ყავისფერი საღებავით. ღია-ყავისფერ ფონზე მოხატულია ორი სხვადასხვა ფორმის ყვავილი. ორივე მცენარის ღერო შავი ფერისაა. ერთ-ერთი მათგანის ბუტკო თეთრია, ხოლო ხუთფურცელა ყვავილი ცისფერი. ღეროზე სულ 6 ასეთი ყვავილია შემოჩენილი. მეორე მცენარეული ორნამენტს წარმოადგენს 5 ოვალური ფორმის ყვავილი. განსხვავებით წინა ყვავილისაგან მცენარის ბუტკო ლურჯია, ხოლო ოვალური ფორმის ყვავილები თეთრი (ტაბ.II/7). უმრავლესობას ქმნიან დოქის ნატეხები, რომელთა გარე კალთა რელიეფურად რომბისებურადაა დანაწევრებული და მოხატულია ყვითელი, ყავისფერი, შავი, მწვანე და ცისფერი საღებავებით. მცენარეული ორნამენტი შერწყმულია გეომეტრიულთან. ნახატის კონტურები აქაც შავი ფერისაა. ორნამენტი სხვადასხვაა (ტაბ.II/8-10). ზოგიერთი დოქის შიდაპირი შემკულია ორ პარალელურ ხაზებს შორის მოთავსებული გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტით. პარალელური ხაზები ცისფერი ფერისაა, ხოლო ორნამენტი შავი, ყვითელი და ღია-მწვანე ფერის. გარე კალთა მოხატულია წრეში ჩასმული, ამოღარული ფოთლის ორნამენტით.

შუა სივრცეში, შავ კონტურში ორი რკალია მოცემული, რომლებიც დაშტრიხულია ზიგზაგისებურად, შავი საღებავით. რკალების ნაწილი მოხატულია ლურჯი საღებავით, შუა ნაწილში კი დატანილია ყავისფერი ლაქები. ფოთლის ორნამენტს ირგვლივ შემოუყვება შავი კონტურებით შესრულებული და ლურჯი, ყვითელი, მწვანე საღებავით მოხატული წვრილი მცენარეული, ყვავილოვანი ორნამენტი, რომელსაც ალაგ-ალაგ დატანილი აქვს ყავისფერი ლაქები **(ტაბ.II/8).**

ქუთაჰიის ნაწარმს უნდა წარმოადგენდეს ერთ-ერთი პატარა ზომის დოქის პირ-კედლის ნატეხი. ახასიათებს თხელი კეცი, გარე ზედაპირი დაფარულია სოსნისფერი ჭიქურით **(ტაბ.II/11).**

გონიო-აფსაროსის ციხის გარდა, ქუთაჰიური ფაიანსის ჭურჭლის რამოდენიმე ნატეხი მოპოვებულია ბათუმის, ზენდიდისა და ხიხანის ციხეებზეც. მათ შორის ყველაზე კარგადაა დაცული ზენდიდის ციხის ტერიტორიაზე აღმოჩენილი თხელკედლიანი პატარა, ფეხიანი ჭურჭლის ნატეხი. ქუსლის შიდა მხარეს ცისფერი საღებავით დატანილია ორი ურთიერთგადამკვეთი ხაზებისაგან შედგენილი დამღა **(ტაბ.I/6).** ფიალებს უნდა მიეკუთვნებოდეს ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი ორი სხვადასხვა ჭურჭლის ნატეხი, ერთ-ერთი მოჭიქულია ფირუზისფრად, ხოლო მეორე მრავალფერად. ფრაგმენტულობის გამო მათ ფორმაზე სრულყოფილი წარმოდგენის შექმნა ჭირს.

მიუხედავად, არცთუ მაღალი მხატვრული დონისა ქ. ქუთაჰიაში ფაიანსის ნაწარმი მზადდებოდა მთელი XVIII ს და XIX ს-ის დასაწყისში. ამის შემდეგ ქალაქი კარგავს თავის მნიშვნელობას და კერამიკული წარმოების ცენტრი ჩანაქკალეში (დარდანელი) ინაცვლებს **[Ersoy, 2008:43].**

ქუთაჰიური ნაწარმი საკმაო პოპულარობით და მოწონებით სარგებლობდა არამარტო ოსმალეთის იმპერიაში, არამედ ევროპაშიც. ფერთა ჭრელი შეხამება ყურადღებას იქცევდა და შედარებით იაფ და ეგზოტიკურ ,,აღმოსავლეთის სევრის“ ნაწარმს, როგორც ევროპაში უწოდებდნენ, სიამოვნებით ყიდულობდნენ **[Lane,1957: 63].**

XVII ს ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები, რომელმაც ქუთაჰია 1669–1670 წწ მოინახულა, თავის ცნობილ ნაშრომში ,,მოგზაურობის წიგნში“ გვაწვდის ცნობებს, რომ ამ ქალაქში არსებობდა 34-მდე სახელოსნო უბანი და მათ შორის ყოფილა არამუსლიმანი ხელოსნების უბნებიც... აქ დამზადებული ჯამები, თასები, დოქები და სხვა სახის

ნაწარმი განკუთვნილი იყო არამარტო ადგილობრივი მოხმარებისათვის, არამედ წარმოადგენდა საგარეო ვაჭრობის ერთ-ერთ მთავარ პროდუქტს და შემოსავლის წყაროს... [Гусач, 2005: 476].

ქუთაიური ფინჯნები ხშირად მზადდებოდა სპეციალური შეკვეთით, და არც თუ იშვიათად იყიდებოდა საწარმოო ცენტრიდან მოშორებული სხვადასხვა ადგილებში.

არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქუთაჰიური ნაწარმი მრავლად არის აღმოჩენილი: იერუსალიმში (ისრაელი), დამასკოში (სირია), ქაიროში (ეგვიპტე), მარსელში (საფრანგეთი), ყირიმში (უკრაინა), კოუკლიაში (კვიპროსი), ათენში, ბეოტიაში, თებეში, კორინთოში, თესალონიკში, (საბერძნეთი). ეგეოსის ზღვის კუნძულებზე: სკიროსზე, მილოსზე, როდოსზე, კრეტაზე. ამ ტიპის კერამიკის ნიმუშები აღმოჩენილია ჩრდილოეთ ამერიკაშიც [Vroom, 2005: 157; Skartsis, 2009: 219; Lane, 1957: 63-65]. განსაკუთრებით მასობრივი გავრცელების პროდუქტს, ყოფილი ოსმალეთის იმპერიის არქეოლოგიურ ძეგლებზე წარმოადგენდნენ. [Станчева, 1960: 123; Aslanapa, 1965: 31; Nicolescu, 1967: 296; Миллер, 1972: 173-174; Герцен, Науменко., 2005: 264-287; Гусач, 2005:476-481; Гусач, 2006:133-134].

საქართველოში ქუთაჰიის ნაწარმი აღმოჩენილია თბილისის დედა ციხეზე, დმანისის ნაქალაქარზე [მამაიაშვილი, 1974: 201-220; მამაიაშვილი, 1976: 98] და ქუთაისის ციხეზე [ქარციძე, 2010: 191-192; ისაკაძე, 2006:127].

როგორც იზნიკური, ასევე ქუთაჰიური ნაწარმის გავრცელება საქართველოში დაკავშირებულია ოსმალთა ექსპანსიასთან და ცხადია არ უკავშირდება სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს. ეს ნაწარმი ჩვენთან უპირველეს ყოვლისა მილიტარისტული გზით ვრცელდებოდა და ემსახურებოდა ოსმალთა ჯარისკაცების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ იგი ძირითადად გამოვლენილია გონიოაფსაროსის ციხის ტერიტორიაზე, რომელიც წარმოადგენდა ოსმალეთის იმპერიის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბატონობის მთავარ ფორპოსტს.

Kakhaber Kamadadze
Gonio-Apsarus Museum-Reserve, Science-co-worker
Batumi Shota Rustaveli State University, Doctoral Student

Ottoman Faience from the Monuments of South-Western Georgia

Summary

The interesting materials of different periods have been discovered in Southwest Georgia. Among them we can list the Ottoman coffee cups of the late Middle Ages. The fragments of vessels belong to one of the late groups of the Turkish pottery. The presence of stamps and multi-colored fine patterns in the ornament let us define precisely a place of their manufacture – Kutahia - Turkish pottery center. The master-ceramists from the city used oriental (Chinese) and local (Turkish) motifs of ware ornamentation.

These materials can be dated from XVII-XVIII centuries, though the most of them seem to belong to the First half of XVIII century. The samples of Kutahia Ceramics discovered in Southwest Georgia were classified into the groups according to their colors, ornaments and decorative design. They were divided into two main groups: a) Monochrome and b) Polychrome.

These materials have been presented from Gonio fortress and Batumi fortress. The most of them were discovered at the site of Gonio fortress, which was the main fortress of the Ottoman's period in Southwest Georgia. A few fragments were found at the site of Zendidi fortress and Khikhani fortress.

ლიტერატურა:

1. **ისაკაძე 2006:** ისაკაძე რ., ქუთაისი XV-XVIII სს-ში, არქეოლოგიური მასალებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით. (დისერტაცია). ქუთაისი.

2. **მამაიაშვილი 1974:** მამაიაშვილი ნ., თბილისის დედაციხის ფაიანსი// ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, II. 201-220. თბილისი

3. **მამაიაშვილი 1976:** მამაიაშვილი ნ., ფაიანსი შუა საუკუნეთა ხანის საქართველოში. თბილისი

4. **ქარციძე 2010:** ქარციძე ნ., შუა საუკუნეების მოჭიქული კერამიკა ქუთაისიდან. (დისერტაცია). ქუთაისი

5. **Арапова 1977:** Арапова Т.Б., Китайский фарфор в собрании Эрмитажа. Конец XIV-первая тресть XVIII века. Ленинград

6. **Гусач 2005:** Гусач И.Р., Турецкие полуфаянсы XVIII века из Азова// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII вв. 476-481. Киев.

7. **Гусач 2006:** Гусач И. Р.,Археологические исследования на территории турецкой крепости Азак // Историко-археологические исследования в Азове и на Нижнем Дону. Вып. 21. 127–141. Азов.

8. **Гусач 2011:** Гусач И.Р., Китайский фарфор XVII-XVIII вв. из раскопок на территории турецкой крепости Азак// Историко-археологические исследования в Азове и на Нижнем Дону в 2009 г. выпуск 25. 391-454. Азов

9. **Гусач 2012:** Гусач И.Р., Кютахийские кофейиние чашечки из раскопок крепости Люток (Сед-Ислам)// Вестник Танаиса. Вип. 3/2012. 114-139.

10. **Герцен, Науменко 2005:** Герцен А.Г, Науменко В.Е., Поливная керамика из раскопок цитадели Мануна// Поливная керамика Средиземноморья и Причерноморья X-XVIII вв.476-481. Киев.

11. **Миллер 1965:** Миллер Ю. А., Искусство Турции. Москва

12. **Миллер 1972:** Мюллер Ю., Художественная керамика Турции. Ленинград

13. **Плетньов 2007:** Плетньов В., Турски фаянс от Варна // Поливная керамика Восточной Европы, Причерноморья и Среди-земноморья в X–XVIII вв. Тезисы II международной научной конференции. 90-93. Ялта

14. **Станчева 1960:** Станчева М., Турски фаянс от София// Известия на Археологическия Институт, Българска Академия на науките. Т. XXIII. 114-144 София

15. **Aslanapa 1965:** Aslanapa Ö., Türkischane Fliesen und Keramik in Anatolien, Istanbul

16. **Belgin 2007:** Belgin D.A., Kütahya Çiniciliği// Anadolu'da Türk Devri Çini ve Seramik sanati. Editörler Őney G., Çobanli Z., 329-334. İstanbul

17. **Ersoy 2008:** Ersoy A., Traditional Turkish Arts. Ankara

18. **Gushion, Honey 1958:** Gushion J.p., Honey W.B., Hendbook of Pottery and porcelan Murks. London

19. **Hayes 1992:** Hayes J.W., Excavations at Saraçhane in Istambul. II. The Pottery, 244-256. Princeton

20. **Kamuran 2007:** Kamuran A.K., Osmanli'dan Günümüzde Türk Yemek Kültüründe Seramik Yemek Kaplari. Eskişehir

21. **Kouymjian 2014:** Kouymjian D., The Role of Armenian potters of Kutahia in the Ottoman Ceramic Industry// Armenian Communities in Asia Minor. 107-130. California

22. **Lane 1957:** Lane A., Late Islamic Pottery. London

23. **Nicolescu 1967:** Nicolescu C., Ceramica otomană de Iznik din secolele XVI-XVIII gasită în Moldova //Arheologia Moldovei. t.V. 287-305.Bucarest

24. **Pala 2006:** Pala İ.Ç., Osmanlı Dönemi İznik Fritli Çamuru İle Tebrizli Ustaların Fritli Çamuru Arasındaki İlişkiye Dair Belgeler// Uluslararası Geleneksel Sanatlar Sempozyumu Bildiriler Cilt 2, 313- 317. İzmir

25. **Skartsis 2009:** Skartsis S., Chlemoutsi castle (Clermont,castel tornese), Peloponnese: its pottery and its relations with the west (13th - early 19th c.), Birmingham

26. **Vroom 2005:** Vroom J., Bizantine to modern pottery in the Aegean (7^{th} to 20^{th} Century). Bijleveld

27. **Vroom 2007:** Vroom J., Kütahya Between The Lines: Post-Medieval Ceramics as Historical Information// Between Venice and Istanbul: Colonial Landscapes in Erly Modern Greece. Hesperia. Supplement 40. jan.1. 71-93. Athens

ტაბულა I



1



2



3



4



5



6

7

8


9

10


11


12

13


14

15

16

ტაბულა. II

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

11

ნაილა ჩელებაძე
ისტორიის დოქტორი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოლოგიისა
და სოციოლოგიური კვლევის განყოფილების
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ოჯახის როლი ხალხური აღზრდის სისტემაში
(ტაო-კლარჯეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით)

კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობის ისტორია თაობიდან თაობაზე გადაცემული საზოგადოებრივი გამოცდილებისა და სულიერი სიმდიდრის საფუძველზე იქმნებოდა. საუკუნეობრივმა გამოცდილებამ განსაკუთრებული როლი შეასრულა ამ კულტურის შემქმნელი მომავალი თაობების აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში, რაც ხალხმა განსაზღვრული დიდაქტიკური მეთოდებისა და წესების საფუძველზე შეიმუშავა.

ხალხური აღზრდის კონცეფცია სულ უფრო მეტ ნიშვნელობას იძენს დღეს. თანამედროვე გამოწვევებმა ხალხური აღზრდის კონცეფციაში კიდევ უფრო გაზარდა ნაცადი ხალხური აღზრდის სისტემის პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობა, რაშიც გადამწყვეტ როლს ოჯახი ასრულებს.

თანამედროვე პერიოდში რამდენადმე თვალშისაცემია ტრადიციული და ოფიციალური პედაგოგიკის ურთიერთგავლენა და ურთიერთგანპირობებულობა. ისინი ერთმანეთს ავსებენ და ამდიდრებენ, თუმცა მასში საბაზო ადგილი ხალხურ აღზრდას უკავია. სწორედ ამიტომ სათანადო შესწავლას იმსახურებს ხალხური აღზრდის ცალკეული ელემენტის წარმოჩენა, რაც კარგად ჩანს ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართულ ოჯახებში, სადაც მოსახლეობამ ტრადიციული აღზრდის შედეგად შესძლო ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება.

შვილიერება ყველა ოჯახის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენდა. ამიტომ უშვილობის შემთხვევაში მიმართავდნენ მდიდარ სამედიცინო ხალხურ პრაქტიკასა და სხვადასხვა რელიგიურ რიტუალს, მაგალითად, წყლის გამანაყოფიერებელ ძალასთან ზიარებას. ამავე მიზნით საქართველოს რიგ კუთხეებში დამოწმებული აკვნის შეწირვის

ფაქტების (შდრ. აჭარის, 1945; ანთელავა, 1986:114; მაკალათია, 1938:99) იდენტური უნდა ყოფილიყო ტაო-კლარჯეთში მოგზაურობის დროს დ. ბაქრაძის მიერ ჩაწერილი ცნობა დიმიტრეთის ბალუქლის ეკლესიაში ვერცხლის აკვნის არსებობის შესახებ (ბაქრაძე,1987:30). ნ. მარის ცნობით, ამავე მიზნით ქალები ზიარეთშიც დადიოდნენ (Марр, 1911:17). გარდა ამისა, იცოდნენ წელის შეკრა მაგარი ქსოვილით (ფუტკარაძე, 1993:654), „მუცლის ამოზიდვა“. ჩვენებურთა ყოფაში უშვილობის ან უვაჟობის შემთხვევაში მოწმდება მეორე ცოლის მოყვანა. ამ შემთხვევაში ბავშვი მამის პირველ ცოლის სახელზე ეწერება და მას დედას ეძახის, ბიოლოგიურ დედას კი სახელს (ჩელებაძე, 2011).

ორსულობის აღსანიშნავად გვხვდება ტერმინები – ფეხმძიმე // ფეხძიმე // ძიმეთ//ძიმეთობა, ფუშიანი და სხვ. ტაოში იტყვიან ძიმეთ არი (ჩელებაძე, 2013).

ცალკეული წესი სრულდებოდა ბავშვის სქესის დადგენისა და სასურველი გარეგნობის უზრუნველყოფის მიზნით. სიფრთხილეს იჩენდნენ ორსული ქალის მიმართ და მას მშობიარობის წინა დღეებში მძიმე სამუშაოებისგან ათავისუფლებდნენ. ორსული ქალი თავს ავგაროზებითაც იცავდა. მშობიარობა, ანუ მოლოგინება, როგორც წესი, ქმრის ოჯახში ხდებოდა. ამ მიზნით მოჰყავდათ ბებიაქალი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში არ აკლებდა მზრუნველობას მელოგინესა და ახალშობილს. მას რამდენიმე სახელით მოიხსენიებდნენ: ებექალი//ებე//ბებიაქალი//დიდვანი ბებრები, ძველი ქალები, ქოიებეები (ჩელებაძე, 2014). მშობიარობას ბებიაქალთან ერთად დამხმარე ქალებიც ესწრებოდნენ. მშობიარეს „დიდვანი ბებრები მაასხმიდენ, თავ ასხნევნიებდენ“. ბავშვის დაბადებაზე ამბობდნენ - „დეიბადა ღენჭი, დაწვა და ღენჭი გააგდო, თავი დეისხნაო“. „პერანგში“ დაბადებულ ბავშვზე ასე იტყოდნენ - „ბავშვი ბუდეში დაყვაო“ ჩელებაძე, 2012), ტყუპის დაბადებაზე - ტყუბი (შდრ. სულხან-საბა, 1965:340) დაიბადაო და სხვ.

ზოგან ახალშობილის ბედს, მომავალს ბავშვის მომყოლს ანუ ზღურთელს უკავშირებენ. ეს ტრადიცია კარგადაა დაცული აჭარაშიც, სადაც მომყოლს გზიკისერზე გადაჭრიდნენ – „ყველაფერი საქმე წინ ქონდესო“, ქვას არ დაადებდნენ – „ბედი მეემწყვრება, ჩაქვავებული იქნებაო“(ჩელებაძე, 2005:133).

მელოგინე ქალისა და ბავშვის იზოლირება სახლის ფარგლებში (დაახლოებით 40 დღის განმავლობაში) საკმაოდ მტკიცედ დამკვიდრებულ წესს წარმოადგენდა („40 დღე კარში არ გავლენ, მზე არ გექნებაო, მზე დეიკარგვის ანუ, რძე დაიკარგებაო”).

მზრუნველობით ეკიდებოდნენ მელოგინის კვების რეჟიმს. მას ფაფას, მაწონს აჭმევდნენ (ფუტკარაძე, 1993:101), ბავშვს კი დედის რძით კვებავდნენ. აჭარაში დამატებით რძისა და ფქვილისაგან შემზადებულ ძიფიას (შდრ.სულხან-საბა, 1949:358), ჭაიწვენას // ფიფინას (შდრ.სულხან-საბა, 1949:579; ნოღაიდელი, 1987:40-43) იყენებდნენ.

განსაკუთრებულ იღბლიანობას უკავშირებდნენ სახელის დარქმევას, ტანსაცმელს, ახალშობილის ჭიპის მოჭრას. იღბლიანობისა და ბარაქიანობის მიზნით ახალდაბადებულ ბავშვს ხელში ფულს მისცემდნენ, ტაოში ჭიპს ჯამეში შემოდებდნენ.

ავი თვალისაგან განსაკუთრებით იცავდნენ ბავშვს. ამ მიზნით საწოლს ალიყურს, ცოცხს, დანას შემოუტარებდნენ, რადგან თვლიდნენ, რომ გარედან მოსული „დამუჟრავდა“. უკმურის გამოსაცნობად მიმართავდნენ თავზე მარილის გადაყრის წესს (ჩელებაძე, 2010).

ხალხური რწმენით, მელოგინეს ავი თვალისაგან, განსაკუთრებით კი ალისაგან დასაცავად საგანგებო დაცვა სჭირდებოდა. ამ მიზნით ხდებოდა მის ლოგინზე თოკის შემოტარება, თავქვეშ დანისა და ცოცხის ღერების შემოწყობა. მიმართავდნენ შელოცვასაც, რაც ფართოდ გავრცელებული წესი იყო საქართველოში (ზოიძე, 1980:50,99). „ალის დაცემის“ შემთხვევაში მელოგინე ქალს შვიდ დღეს საბელს შამუარებდნენ, ლეიბის ქვეშ მაკრატელს, დანას და ცოცხის ღერებს შემოუდებდნენ და საცერში გაახედებდნენ. „ალ თუ ვერ დეინახავს, ალი არ დეგეცემა“-ო, იტყოდნენ. შემდეგ კი ასე შეულოცავენ: „თავისა კლიტოვ, კარისა, ვაი და ვაყაჲ ალის თავზე. ან თვალისცემის შელოცვა: „ნაზარისას ულოცავ...“, ასევე - „ალელისა, მალელისა, შინასა თუ გარასა, 24 ქალისა, ჯაზი და ეკალაჲ, . . . თვალში ნაცარი“, ანდა „დახსნილს ადამ დეეცა, რავარს დეეცა, ისევე გეეხსნა“ (ჩელებაძე, 2010) და ა.შ.

მართალია, ისტორიული ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ახსოვს თავისი წარმომავლობა და წინაპრები, თუმცა თურქული სახელმწიფო კანონმდებლობის მიხედვით, ისინი ქართულ გვარ-სახელებს არ ატარებენ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით მოწმდება, რომ ტაო-კლარჯეთში ხელოვნური დანათესავების უმთავრეს ფორმას რძით ნათესაობა წარმოადგენდა.

ბავშვის მომავლისათვის გარკვეული რწმენა-წარმოდგენები არსებობდა. ამ მიზნით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პირველი თმის მოჭრას, კბილის ამოსვლასა და სხვა მომენტებს. ბავშვს დანარჩენი კბილები რომ ამოსვლოდა, მას, პირველ რიგში, პერანგს გაუფხრეწდ-

ნენ, რასაც ძირითადად დედები აკეთებდნენ. მოსახლეობაში ამ წესზე ამბობენ - „ძველი დედაბრების ნაქნარებიაო“. მაგალითად, ტაოს მასალების მიხედვით, როდესაც ბავშვს 2 კბილი ამოუვიდოდა, კოლიოს მოხარშავდნენ (კოლიო ანუ წანდილი არის თაფლთან ერთად მოხარშული ხორბალი, რომელსაც მართლმადიდებელი ქრისტიანები საკურთხზე ყოველთვის ამზადებენ) (ჩელებაძე, 2011).

ყურადღება ექცეოდა ჩასაცმელსაც. ბავშვს პირველად კონკებს ჩააცმევდნენ, „ბეზეებში“ შეახვევდნენ - „ბალღულაჲ იქმოდეს და საბნებში შაახოვდეს“ (ჩელებაძე, 2013). ამის შემდეგ ახალშობილ ბავშვს გაგორაზე, ხოჭიჭში (ტაო)//ხოჩიჩში (შავშეთი), ხოლო ზემო მაჭახელში ყავარზე დააწვენდნენ. გარდა ამისა აჭარაში ამ მიზნით გამოიყენებოდა გუდა ან კაპიწის თავი – ბავშვი მძინარა იქნებაო. ამასთან დაკავშირებით ხატოვნადაც ამბობენ - „გუდასავით ძინავსო“. სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მოსაზრებით ხოჭიჭიდან//ხოჩიჩიდან აკვნამდე გარდამავალი ტიპის საწოლად არის მიჩნეული მცირე ზომის ხის ოთხკუთხა ყუთი. შესაძლოა, ამგვარი გარდამავალი საწოლის ფუნქციას თურქეთელ ქართველებში ასრულებდა გოდორაჲ ან გოგორა//გაგორა, რომელსაც გარკვეულ სიმაღლეზე დაკიდებდნენ და ისე დაარწევდნენ-„ჩამოჰკიდვიდეს და არყევდეს“. როგორც ცნობილია, საქართველოში გოგორას ერთი მთლიანი ხისგან გამოთლილ ურმის ბორბალს უწოდებენ. დღესაც კი იმერხევის მხარეში ურმებს ძირითადად გოგორას ტიპის ბორბლები აქვს (შდრ. სულხან-საბა, 1965:168; თოფჩიშვილი, 2008:225). საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ხოჭიჭით ზოგჯერ მოიხსენებენ ნაჭრებში შეხვეულ ბავშვს. მაგალითად, ზემო მაჭახელში ჩვილს ერთი კვირის განმავლობაში შეკოჭავდნენ, შემდეგ ყავარზე დააწვენდნენ და ხოჭიჭში „შეჭავდნენ“ (ჩელებაძე, 2015). სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ხოჭიჭი არის მცირე აკვანი (სულხან-საბა, 1965:469). ტაოში ჩაწერილი ინფორმაციით, ძველი ქართული წესით ჩვილის ხოჭიჭში ჩაწვენა იქაურ აფხაზებსაც სცოდნიათ, რომელსაც ხეჭიჭს უწოდებენ. მას ხუთი ცალი ხისგან აკეთებენ, რომელიც რიტმელა თოკითაა დაბმული. ამ სიტყვასთან დაკავშირებით საინტერესოა ხეჭბისა (სულხან-საბა,1965:370) და ხეჭუჭის (სულხან-საბა, 1965:456) საბასეული განმარტება, რომლის მიხედვით ორივე სიტყვა ქერქის აღმნიშვნელია. ერთში იგულისხმება ხის კანი, ხოლო მეორეში კი კვერცხის ქერქი. შესაძლოა ხოჭიჭს თავდაპირველად ხის ქერქისგან ამზადებდნენ და შესაბამისად მისი სახელწოდებაც სწორედ ხეჭიჭი ყოფილიყო, რომლის ფონეტიკური ცვლილების შედეგად

მივიღეთ ხოჭიჭი. აშკარაა, რომ საქართველოს ყოველ ეთნოგრაფიულ კუთხეში ცალკეული ოჯახი სახელდახელოდ ახალშობილისთვის საწოლად იყენებდა იმ საშუალებას, რომელიც მათ საოჯახო პირობებში გააჩნდათ (ყავარი, კაპიწი, ბორბალი, ხოჭიჭი//ხოჩიჩი, გუდა), რომლის შემდეგაც დაახლოებით ერთ კვირაში ბავშვი „დედეების ნაშენ“ აკვანში გადაჰყავდათ.

მთელ საქართველოში იყო გავრცელებული აკვნის მიტანის ჩვეულება, რაც „აკვნის მიტანის“, „აკვნით სტუმრობის“ და „ძიობის//ძეობის“ სახელწოდებითაა ცნობილი. აკვანი უაღრესად პრაქტიკული იყო. ამიტომ ტაო-კლარჯეთში დღემდე შემორჩა აკვანში ბავშვის გაზრდის ჩვეულება, რომელსაც თანდათან ენაცვლება „საბან-არტახის“ მიტანა (შდრ.ფუტკარაძე, 1993:376). ძ ი ო ბ ა ძირითადად 40 დღეზე იცოდნენ, სადაც მხოლოდ ქალები მიდიოდნენ. „ძიობას იქდნენ ბიჭზე. ჯუმბუშ იქმდენ. აკვანს გუუკეთებდნენ, წუულებდნენ, ბაქლავას წეიღებდნენ, იმღერებდნენ“. ფულს ან ბახშიშს მისცემდნენ. ისამებდნენ 20-25 ერთად ან ნაკლები ან მეტი. ან 5-6 ქალი იცეკვებდა. ბავშვს ყველანი ასე დალოცავდნენ-„ღმერთმა ჯანი საღი მოგცესო . . .“ და სხვ. ბიჭის დაბადებასთან დაკავშირებით ამზადებდნენ რიტუალურ კერძს - ფილავს ანუ ფლავს, ხოლო გოგოზე კი ფაფას, რადგან „ადეთი“ იყოო. ესაა ჭადის ფქვილით და შუაში იაღით ანუ ერბოთი დამზადებული ფაფა.

ხშირად ბავშვთა ქესობრივი დიფერენციაცია ტერმინოლოგიაში გარკვეულ ასაკამდე არ ხდებოდა. სქესობრივ-ასაკობრივი ტერმინოლოგია ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით შემდეგნაირია: ტაოში: 5-6 თვე – ჩვილი, ღარჭი, ბახალა, ბიჭი-ღარჭი, გოგო-ღარჭი, გოგო-ბგანო, 6 წლის შემდეგ არის ბიჭი-ბახალა და გოგო-ბახალა, 6-10 წლებში – მორბედი. კლარჯეთში: ბავშვი, პრატი-გოგო, 40 დღემდე არის პაწაწაჲ, ჩვილი, ღენჭი, ბულული, 40 დღის შემდეგ წლამდეა ღარჭი, ბგანო-გოგო, ციცა, ბიჭი, 1 წლიდან 10-12 წლამდეა მორბედი. ზემო მაჭახელში განსხვავებით გვხვდება შემდეგი ტერმინები: ჩვილი ბაღანაჲ, ახალი ბაღანა, პაწაჲ//პუწაჲ, გოგოშვილი, ბამბაშხალა.

გარკვეული თავისებურება შეინიშნება შავშეთის მოსახლეობაშიც: 40-დან 6 თვემდე ბავშვს ეწოდება ჩვილი, ღარჭი, ერთი წლის შემდეგ დელიყანი, 6 წლამდეა ღარჭი, ბახალა.

მოცემული მასალების მიხედვით, აშკარაა, რომ საბავშვო ტერმინოლოგიაში სქესთა დიფერენციაცია გოგონას მიმართ შედარებით ადრე ასაკიდან შეინიშნებოდა. პარალელურად დამოწმდა შრომითი

საქმიანობის მიხედვით ორივე სქესის ბავშვისათვის ზედდებული სახელი – მორბედი.

დედრობითი სქესის აღმნიშვნელი ტერმინებია ასაკობრივ-ნათესაური და სოციალური სტატუსის მიხედვით: ღენჭი, 40 დღის შემდეგ ბგანო, გოგო//გოგვაჲ //ბამბაშხალა, და, დედა, ცოლი, ნენეჲ, დინეჲ//დიდნენე(ბებია), მამიდა, დეიდა, დედინაცვალი, ხანუმ ნენეჲ (დედამთილი), ჰაიდარ ნენე (ბიცოლა – ჰაიდარ ბიძას მეუღლე), დედაბერი და გო (ასე მიმართავდა ქმარი ცოლს) და ა.შ. ჯერჯერობით ვერ დავამოწმეთ აჭარაში დაფიქსირებული ტერმინები - ბღარი, ბაღანა, გომბიო, და კონდო.

მამრობითი სქესის აღსანიშნავად დამოწმდა შემდეგი ტერმინები: შვილი (დაუსახლებელი ანუ დაუქორწინებელი), დელიყანი, ძმა, ბაბა, მამიკო, ქმარი (ჩემი კაცი, ჩემი ბერი, ჭო), მამინაცვალი, ბიძა, მაზლისწული (მაზლიშვილი ვაჟი), ბაბუა, ეფენდი ბაბაჲ, აღა ბაბაჲ (მამამთილი) და ა.შ.

სიცოცხლის ციკლის გააზრებისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ასაკობრივი პერიოდიზაციის ცალკეული ეტაპი, რომელიც განისაზღვრება მოსახლეობის ფიზიკური, ასაკობრივი და სოციალური მდგომარეობის საფუძველზე. ეს ეტაპებია: ჩვილობა//პაწაწა//ბაღანა (დაბადებიდან 2-3 წლამდე), მოზრდილი ბაღანა (2-3 წლიდან 7-10 წლამდე), ჩახში შესული, დელიყანდი (7-10 წლიდან 10-12 წლამდე), მოწრილი ანუ მოსწრილი გოგო და ბიჭი), ახალგაზრდა//სიახლე (18-25 წლები), ახალგაზრდა ბაღანა, დელიყანი გენჯი, დასახლებული ბიჭი, შვახნი ანუ შუახნე (34-45 წლები), სიბერე (40 – 50 წლები; 40 წლის უკან, რაცხა იგიტყდება, როცა თელი ანუ ყველაფერი უკუღმა გეყურება), 50-70 წლები (ბერ-დედაბერი), ხოლო 100 წლის მერე ბაღანაჲ დაბრუნდება. ტაოში ამბობენ – ზათინდელი ბერები, ძველი მოხუცები, ბებერი, შავშეთში - დედაბერი, ნენე, ბერი, კლარჯეთში – დიდვანი ინსნები, ანუ ადამიანები.

საერთოდ, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მოსახლეობის ასაკობრივი პერიოდიზაცია უფრო დაკონკრეტებულია ბავშვებსა და მოზარდებში. ეს აიხსნება არა მარტო მათი ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებით, არამედ მასში ჩანს უფროსების ყურადღება და მზრუნველობა მოზარდი ახალგაზრდობის სწორად აღზრდის წარმართვის საქმეშიც. ეს კარგად ჩანს ზემო მაჭახლის მაგალითზეც, სადაც ადამიანთა ცხოვრების საერთო ციკლი ტერმინოლოგიურად შემდეგნაირადაა დაფიქსირებული: ჩვილი, ჩვილი ბაღანაი, ახალი ბაღანა, გეიზარდა კაი გახდა, 2-3 წლის ბაღანა, 7-10 წლის მოზრდი-

ლი ბაღანა, დელიყანი, გოგო 12 წლის - წელს აღმა შააყრის, გასათხუარ ჩახში შავაო, 14-16 წლის ბიჭი კი დასაქორწინებელი-დასასახლებელიო. 18-25 წლისა - ახალგაზრდაა, მერე რომ გედეიარს, ცოტათი გადატრინკავს 40-მდე და ბერდება, შაჰას იტყვის, შუახნისაა, „ერთმანეთს გევშაჰავებთ. 50 წლიდან სიბერეა, 60-70 წლისანი ბერ-დედაბერია, 100 წლის გახდება -„ბაღანაი დაბრუნდებაო“. ას წელს ზემოთ არის ბერი და დედაბერი - „მიხინჯული აქვან, აკანკალებენ“ (ჩელებაძე:2015).

დღემდე შემოინახა ტრადიციული ჩაცმულობის ელემენტები ტაოკლარჯეთის ეთნოგრაფიულმა სინამდვილემ, სადაც საბავშვო ტანსაცმელს ძირითადად წარმოადგენდა პერანგი და მისი ამხანაგი (იშტანი).

მოსახლეობაში დამოწმდა საკმაოდ კარგად შემონახული ხალხური სამედიცინო პრაქტიკა. ჩანს, რომ იცოდნენ როგორც გარეგანი, ისე შინაგანი სამკურნალო საშუალებებით მკურნალობა. გავრცელებულ დაავადებებად ითვლებოდა: ცხრო ანუ ციებ-ცხელება (შდრ. სულხან-საბა, 1965:435), სირსვილაჲ, ტვინი ტკივილი, ბასკუნი, კუიქარი, თიაქარი და ა.შ. ხალხური მკურნალობის, მაგიური მოქმედებებისა და შელოცვათა სიუხვით ხასიათდებოდა ცალკეულ საბავშვო დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალებები. იცოდნენ ქართული ხალხური ირაციონალური მედიცინის მეთოდით მკურნალობა. ასე მაგალითად, დაულაპარაკებლად სანთელს გადაადნობდნენ და ავადმყოფს ულოცავდნენ. ცნობილია, რომ ზ. ჭიჭინაძე რამდენიმეჯერ შესწრებია ავადმყოფი ბავშვის განკურნების მიზნით ეკლესიაზე შეწირულობათა ფაქტს (ჭიჭინაძე, 1901:337). სამკურნალოდ თვლიდნენ სოფელ ადრიაწმიდის „ყერიბ-მეზერს”, საიდანაც ჩამოტანილ ქვაზე აჯენდნენ ავადმყობ ბავშვს და აბანავებდნენ (ჩელებაძე:2008).

იცოდნენ სისხლის გამოშვებით მკურნალობა, დამწვრობის, კანის დაავადებათა, საყმაწვილო და ინფექციური დაავადებებით (წითელა, კოწიწაჲ, საყვითლო, ყვავილი) შეპყრობილი ბავშვების მკურნალობა და ა.შ.

სამკურნალოდ გამოიყენებოდა აბანოები, რომელსაც „საშველავ წყალს“ უწოდებენ. ასეთებად სახელდება: გოგითის აბანო ჭოტოებში, რომელიც გოგიეთსა და ეფრატს შუა მდებარეობდა, მინდიეთის აბანო და ა.შ.

ბავშვის აღზრდის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ხალხურ თამაშებს. სათამაშოს ბავშვები თავად ან უფროსების დახმარებით აკეთებდნენ. თამაშები კარგად ავითარებდა ბავშვების გონებრივ შესაძლებლობებს, ფიზიკურად მათ აწრთობდა და ალაღებდა. მაგალითად, ტაოში ასე აღგვიწერეს საბავშვო თამაშობები: „ვაზუებდით,

ელიშ (თურქ.-ხელით) ვიქმოდით - რთვა-ქსოვა, ჩობნობას ვიქმოდით. დოდოფლებ ავაშენებდით, კეტებზე ფარჩებ დავაკერევდით, დამალვა, უკანდებელას შევექცეოდით - წრეში ჯდომა, უკან მენდელათ დევინახევდით იმ მენდილით გცემდა, ბილაჲ, ლახტი არაა“.

კლარჯეთში პოპულარული იყო ბეშტაშის თამაში 5 ქვით, თოფით თამაში, წიზგი//ჭიზგი - ქვაზე დადახტომა, რომლის დროსაც „ჭაპან ვაბრუნებდით და ვახტევდით“, „ყვა, ყვა“-ს თამაშობა - „ყვავმა ფიჩხო ჩამოკრაო“, არის შუბე ანუ თვალხუჭობანა (ვინც დაინახავდა, შუბეს ამბობდა), ჭუპრაები, ყოყოჩობა, იაღმურდუა, რომელსაც სიცხეში თამაშობდნენ, ბიჭები ქვისგან სახლს დაყორავს, ხოხოლა-სახლს გააკეთებს, გოგონები კი სათამაშოებით, უფრო მეტად თოჯინებით ერთობოდნენ. ძალზე საინტერესოა თამაში „ილბაშობა“, რომელიც ტრადიციული ქართული ბერიკაობა-ყეენობის ადგილობრივ ვარიანტს წარმოადგენდა (შდრ. ჩანტლაძე-ბაქრაძე, 2000:17). მას სამი-ოთხი მოზარდი, ახალგაზრდა ითამაშებდა- თავზე „ყოყოჩ ჩამააცმენ, მემრე კარზე მუუბრაგენ, კარი და მოწკეპო. მოგთხოვენ ყველაფერს, თუ არ მისცემ ბელა გაყრიან. გედავებიან-კარ არ გიგიღებენ, დიგიყრიან კარს. მერე შესჭამენ-შეიყრებიან“. გავრცელებული ჩანს, აგრეთვე, ხიდრილეზი. ამ დღეს 6 მაისს, არ ისაქმებენ და ითამაშებენ დიდიც და პატარაც, ხეებზე სალინჯაღს დაკიდებენ, ასევე თამაშობაა „კენჭობილაი“, „ლაზარიობა“, „ეწი-ეწი”-სასიძოს გამოსაჯავრებელი, ქარაქოზი, „წია წია, წიპოლია” (ფუტკარაძე, 1993:8,34,36,599, 655), „მამლების დაჭიდება” და ა.შ. აშკარაა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთის ქართველობამ დღემდე ბევრი ისეთი გართობა-თამაშობა შემოგვინახა, რომელიც ჩვენში სრულიად ან თითქმის მივიწყებულია.

ტაო-კლარჯელი ქართველები ბავშვებს პატარაობიდანვე ასწავლიდნენ სხვადასხვა ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს. დიდ ოჯახებში ფაქტობრივად უფროსი ბავშვები ასაკით მომდევნო თავიანთ და-ძმებს ზრდიდნენ. დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა ზამთრის გრძელ ღამეებში წინაპართა სათავგადასავლო ამბების, წარსული ისტორიის მოყოლას, სადღესასწაულო დღეებში ქართული ხალხური ცეკვებითა და სიმღერებით გართობას.

ყურადღება ექცეოდა როგორც ფიზიკურ, ისე სულიერ და სოციალურ აღზრდას. განსაკუთრებული ყურადღებას აქცევდნენ ბავშვის საზოგადოებასთან, ნათესაობასთან ურთიერთობას, ცოდვა-მადლის ცოდნას (ღვთის რწმენა, ღმერთია ადამიანის გამჩენელი, რომ ადამიანი ცოდვაში არ უნდა შეიყვანო და ა.შ.), უფროსებისადმი, განსაკუთრებით, ვაჟის მხრიდან ქალისადმი პატივისცემას, სტუმართმოყვა-

რეობას, მისალმების ეტიკეტსა და სხვ. ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის განსწავლულობა და გონებრივი სიმაღლე კარგად ჩანს მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების მიხედვითაც. მათში შემონახულია დედაბრული ხელი, ასევე საიდუმლო „ენა“, რომლის შესახებ თავის დროზე დიდი მეცნიერი ივ. ჯავახიშვილი წერდა: „საიდუმლო ანბანს გარდა საიდუმლო ენაც, მეტყველებაც არსებობდა რომლის მთავარს, სიტყვათა სახის შემცვლელ ელემენტს მარცვალსა და მარცვალს შუა განზრახ ჩანართი მარცვალი, მაგ. „ვ“ შესატყვის ხმოვნითურთ შეადგენდა. ამის წყალობით „შიკრიკი მოვიდა“-ს მაგიერ გამოდიოდა „შიკვირივიკივი მოვოვივიდავა“ (ჯავახიშვილი, 1996:134). „ჩიტის ენას“ ზემო მაჭახელში „შტვინი ენას“, ანუ სტვენის ენას უწოდებენ, ხოლო ლაზებში მას „წუწუნით“ ლაპარაკი ჰქვია (ჩელებაძე:2015).

აღზრდის სისტემის ძირითადი მიმართულება მოზარდი თაობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაა. მასში განსაკუთრებული ადგილი ეკავა პატივისცემას ისტორიული ძეგლების მიმართ, გადმოცემებს თამარ მეფის შესახებ, რითაც ტაო-კლარჯეთის ისტორიულ მეხსიერება ნამდვილად გამორჩეულია, ტრადიციული ქართული დღესასწაულების შემონახულობა (მარიობა, ბერიკაობა) თუ ქართული ხალხური კალენდრის ცოდნა. საგულისხმოა, რომ ეთნოგრაფიული მასალების პარალელურად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში კარგად ჩანს ქართული ხალხური აღზრდის მოტივები.

ბავშვის აღზრდის ერთიანი წეს-ჩვეულებების პარალელურად, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებს რიგი თავისებურებანიც ახასიათებდა. შრომითი აღზრდა ყველგან წინა პლანზე იყო წამოწეული. ამ მხრივ გამოირჩეოდა მთისა და ბარის ეთნოგრაფიულ მხარეები, რაც, ბუნებრივია, ბუნებრივ-გეოგრაფიული და სამეურნეო-ეკონომიკური პროფილით იყო განპირობებული. 5-6 წლის ასაკიდან დედა გოგონას ძირითადად საოჯახო საქმეებს აჩვევდა და ნადზეც მას დაჰყავდა, ასევე მამა ხელმძღვანელობას უწევდა ვაჟს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს შესრულებაში, ასწავლიდა იარაღის ხმარებასა და ბრძოლის წესებს და ა.შ.

აღზრდის სისტემაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა „სააკვნო სიმღერას“, რომელსაც ქართველი დედები დაბადებიდანვე უმღეროდნენ თავიანთ პატარებს. „იავნანას“ სიტყვები და მელოდია ბავშვის გრძნობებზე დამამშვიდებლად მოქმედებდა. საყურადღებოა, რომ დედები „იავნანას“ დღემდე უმღერიან პატარებს ისტორიულ ტაო-კლარჯეთში. მაგალითად, შავშეთში ჩაწერილი ვარიანტია: „ნანი ბებექ დეიძინე,

ნანი ბებექ დეიძინე, დეიძინე და გეიზარდე“ ანდა - „ნანი ნანი, ნანი ნანი, დეიძინოსდა და გეიზდეს ჩემი ღარჯი“, იმერხევში ჩაწერილი მასალით - „დილიდან, დილიდან დასტანა, ტანანად გირმიშ ბოსტანად, ყოვ ბოსტანჯი ტანად, იემესინ ლაჰანად (ნენი ნენი ნანად, ახლა მუა ანად)“ და ა.შ. (ჩელებაძე:2012).

ამრიგად, ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის საკმაოდ მნიშვნელოვანმა ნაწილმა დღემდე მოიტანა თავისი ეთნიკური კულტურის არაერთი ელემენტი, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა არაერთმა ფაქტორმა: ისტორიული მეხსიერების სიმტკიცემ და სამშობლოს სიყვარულმა, ქართული მოსახლეობის კომპაქტურმა დასახლებამ და შიდაეთნიკურმა ქორწინებამ, საქართველოსთან მუდმივმა კონტაქტებმა და იქ არსებული მდიდარი მატერიალური კულტურის ძეგლების არსებობამ, რომლებმაც განსაკუთრებული როლი შეასრულეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის საქმეში. რა თქმა უნდა, მომავალი თაობის სწორი აღზრდისა და მათი ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა ოჯახმა, რომლის შედეგადაც შეძლეს თურქეთელმა ქართველებმა დღემდე ქართული სულის შემონახვა.

Naila Chelebadze
PH Doctor of History

The role of the family in the system of the upbringing (according to the ethnographic materials)

Summary

The traditions of folk upbringing are well-preserved with the population of Tao-klarjeti.

The caring after a baby used to start from the caring of a pregnant woman. The population of Tao-klarjeti paid a great attention to the upbringing of the adults and growing moral. National and patriotic soul in them. These are the factors of preserving the national consciousness.

The presented work focuses on the children’s entertainment. Young peoples’ diseases. Sexual upbringing and symbolization problems.

ლიტერატურა და წყაროები:

1. ანთელავა ნ. ნათესაური ურთიერთობის ბუნებისათვის. მაცნე (ისტორიის სერია),№1,1986.

2. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის არქივი. ფონდი №5. 1945

3. ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი, 1987.

4. ზოიძე ე. მასალები ფოლკლორული ლექსიკონისათვის. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება. კრებული V. თბ., 1980

5. თოფჩიშვილი რ. საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008.

6. მაკალათია ს. მესხეთ-ჯავახეთი. თბ., 1938.

7. ნოღაიდელი ნ. ხალხური კულინარული ტრადიცია და ლექსიკა (აჭარული მასალა), აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VI, თბ., 1987.

8. სულხან-საბა ორბელიანი. სიტყვის კონა. თბ., 1949.

9. სულხან-საბა ორბელიანი. თხზულებანი, ტ.IV, თბ., 1965.

10. ფაღავა მ. შავშური ჩანაწერები, თბ., 2011.

11. ფუტკარაძე შ. აჭარული დიალექტის სალექსიკონო მასალა. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა. VI, თბ., 1987.

12. ფუტკარაძე შ. ჩვენებურების ქართული, თბ., 1993.

13. ყაზბეგი გ. სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათუმი, 1995.

14. ჩანტლაძე-ბაქრაძე გ. ბერიკაობა-ყეენობის ზოგიერთი ელემენტის პირინეული პარალელების ანალიზისათვის. მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე, 2000.

15. ჩელებაძე ნ. ქალი და ოჯახი, თბ., 2005.

16. ჩელებაძე ნ. 2008 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალების დღიური №1.

17. ჩელებაძე ნ. 2010 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალების დღიური №2.

18. ჩელებაძე ნ. 2011 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალების დღიური №3.

19. ჩელებაძე ნ. 2012 წლის საველე ეთნოგრაფიული მასალების დღიური №4.

20. ჩელებაძე ნ. 2013 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

21. ჩელებაძე ნ. 2014 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

22. ჩელებაძე ნ. 2015 წლის საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის მასალები.

23. ჯავახიშვილი ივ. თხზულებანი თორმეტ ტომად. ტ. IX, თბ., 1996.

24. ჭიჭინაძე ზ. ქართველების გათათრება ანუ ისლამის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ქართველებში. თბ., 1901.

25. Марр Н.Я. Дневник поездки в Шавштетию и Кларджетию. ТР.АГФ, т. СПБ. 1911.

თამილა ლომთათიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

წრის სიმბოლიკა აჭარის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებში

წრე მარადიულობისა და უწყვეტი არსებობის უნივერსალურ სიმბოლოდ ითვლება, რადგან მას არ გააჩნია დასაწყისი და დაბოლოება, მიმართულება და ორიენტირი. წრე პოლისემანტიკური სიმბოლოა და მრავალგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა, რადგან მას უკავშირდება სამყაროს აღქმის მრავალი ასპექტი, წრის სიმბოლიკაში არეკლილია კოსმიურ-მითოლოგიური წარმოდგენების მრავალგვარი რაკურსი (აბზიანიძე, ელაშვილი, 2006:83)

კ.გ.იუნგი "მაგიური წრის" მითოსურ პირველსქემას "მანდალას" უწოდებს. მაგიური წრე, ანუ მანდალას სიმბოლიკა, კოლექტიურ არაცნობიერში არსებული არქეტიპია და ადამიანის შინაგანი გამოცდილების ერთ-ერთი უძველესი და უმთავრესი სიმბოლო (ხიდაშელი, 2001:10) ამ ნიშნით წრე ადამიანის ფსიქიკური მთლიანობის, სრულყოფილი არსებობის, ჰარმონიის, იდეალური სულიერი მდგომარეობის არქეტიპად გვევლინება. ესაა ადამიანის ფსიქიკური მთლიანობის სიმბოლო, რომელიც კ.გ.იუნგის თანახმად შეიძლებოდა ჩამოყალიბებულიყო ადამიანის მიერ ზეცის თვალყურის დევნის შედეგად. ამიტომაც წრის სიმბოლიკა ადამიანის მიერ საკუთარი თავის შემეცნებასა და გაცნობიერებასაც უკავშირდება. მანდალა – ესაა მზის ბორბალი, რომელიც ადამიანის ცნობიერებაში თავად ბორბლის გამოგონებამდე უფრო ადრე გაჩნდა ლამაიზმსა და იოგაში მანდალა ჭვრეტის ობიექტია, ე.წ. იანტრა, რომელიც ღმერთების სამყოფელს გამოხატავს (იუნგი, 2005).

პირველი მითორიტუალური მოდელები და სიმბოლოები ასტრალურ კულტებს უკავშირდება და, ბუნებრივია, რომ თითქმის ყველა კულტურაში წრე მნათობი ღვთაებების სიმბოლური გამოსახულება იყო. ის უძველესი მისტიკური სიმბოლოა, რომელიც ტრადიციულად ცას გამოხატავს. წრეს, როგორც ცას (ცარგვალს), არც დასაწყისი აქვს და არც ბოლო. იგი, ეგვიპტელების წარმოდგენით, სამყაროს მთლიანობის, უსასრულობის, მარადიულობისა და ჰარმონიულობის სიმბოლოა. აშურულ მითოლოგია-

ში ცის ნიშანი გამოისახება, როგორც ფრთოსანი წრე და მას „მირგვალა“ ჰქვია (კიკნაძე, 1976:5).

წრე, უპირველეს ყოვლისა, მზის, როგორც უმაღლესი ასტრალური ღვთაების, მონოგრამაა, რაც განპირობებულია არა მხოლოდ ფორმით, არამედ მისი სადღედამისო და წლიური ბრუნვით. წრის სიმბოლურ პირველსახეს მზის დისკო წარმოადგენს. კავკასიაში, ბრინჯაოს პერიოდში მზე წრესთან და ბორბალთან იყო ასოცირებული. ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ წარმოდგენებშიც წრისებური და მრგვალი ობიექტები მზისა და სავსე მთვარის გამოსახულებებთან იყო მიმსგავსებული და გაიგივებული. დასავლურ-ქართული გირგედი, გვერგვი, კალპი და აღმოსავლეთ-ქართული გვირგვინი მზის ღვთაების სიმბოლური ნიშნებადაა მიჩნეული. ქართული ტრადიციით თვალის გამოსახულებაც სწორედ მზის სიმბოლური ნიშანია (ბარდაველიძე, 1941:35). მარადიულობისა და სიცოცხლის სიმბოლოს წარმოადგენს ქართული ბორჯღალიც, რომელსაც ასევე წრიული, მაგრამ არა სტატიკური, არამედ დინამიკური, მბრუნავი ფორმა გააჩნია (სურგულაძე, 1993:35). ისევე როგორც ყოველგვარი წრიული საგანი, საკულტო სიმბოლიკით ხასიათდება და სოლარული რწმენების ორბიტაში ექცევა კერაც. ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერა - მარადიული სიცოცხლის სიმბოლო და ის დიდ როლს თამაშობდა საქორწინო ცერემონიებში, როდესაც გვარში ან ოჯახში გარეშე პირის ინკორპორაცია ხდებოდა (ჩიტაია, 1941:310). წრის მისტიკური სიმბოლიზმის მნიშვნელობა არც აჭარის ეთნოგრაფიული ყოფისათვის იყო უცხო. აჭარაშიც კერა იყო ის ადგილი, სადაც თავს იყრიდა მთელი ოჯახი და წყდებოდა ოჯახისათვის საჭირბოროტო ყველა საკითხი. აჭარაშიც, საქორწინო რიტუალის დროს, ნეფე-დედოფალს საჯალაბო ოთახის კერის გარშემო შემოატარებდნენ. ამ მაგიური ქმედების მიზანი მათი ავი თვალისაგან დაცვა იყო. კერისა და შუა ცეცხლის გარშემო შემოტარებით მექორწინენი ასრულებდნენ მაგიურ ქმედებას, რომლის მიზანსაც ავი თვალისგან დაცვა წარმოადგენდა (ნოღაიდელი, 1971:65). წრის დამცავი მნიშვნელობის მსგავს რწმენასთან უნდა გვქონდეს საქმე აჭარაში გავრცელებულ ერთ ასეთ საქორწინო ჩვეულებაშიც: სიძის ეზოში პატარძალს ცხენიდან ჩამოუსვლელად შემოატარებდნენ გარშემო ხარს ან ცხვარს. მერე ამ პირუტყვს ყურს ჩაუჭრიდნენ, რომ მიწაზე სისხლი დაღვრილიყო და გაუშვებდნენ პატარძ-

ლის სახელზე. ეს რიტუალიც პატარძლის დაცვისა და კეთილდღეობისათვის ტარდებოდა და აქაც წრეს დამცავი მაგიური ფუნქცია ენიჭებოდა (ბსკიეა, საქმე №140:5).

მაგიური დანიშნულებით წრიულ გარშემოვლას უკავშირდება აჭარაში ფრაგმენტების სახით შემორჩენილი ბოსლობის დღესასწაული. ზემო აჭარის სხვადასხვა ხეობებში ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ბოსლობა ახალი წლის ხალხურ დღესასწაულთა ციკლშია მოქცეული. ახალი წლის საღამოს ოჯახის უფროსი ქალი და კაცი ხმის ამოუღებლივ კერიდან ჯაჭვს ხსნიდნენ, საქონლის სადგომში ჩადიოდნენ, საქონელს სამჯერ ჩამოუვლიდნენ, შემდეგ კი იქვე განაყოფიერების სიმბოლურ რიტუალს ასრულებდნენ. ზოგან ამ რიტუალს ოჯახში, კერასთანაც იმეორებდნენ. სწამდათ, რომ ამ მოქმედებით საქონელ ფრინველის სიმრავლესა და ჯანიერებას უზრუნველყოფდნენ (ვ.შამილაძე, 1969:14). ამავე რიგის ჩვეულებებიდან საყურადღებოა კერის ჯაჭვის წრიულად შემოტარება ბაგაში, ეს რიტუალი ზაფხულობით საქონლის საძოვარზე გაუფანტველობის მიზნით სრულდებოდა. რადგან სწამდათ რომ ეს წრე უხილავად შემოსაზღვრავდა და დაიცავდა საქონელსაც საძოვრებზე. წრით „შეკვრის“ რწმენა უდევს საფუძვლად აჭარაში დაკარგული პირუტყვის დასაცავად გავრცელებულ „ნადირის დაკოჭვის” რიტუალს, რომლის დროსაც მაკრატელს, სავარცხელს, დანასა და კლიტეს კრავდნენ ქამრით და თან შეულოცავდნენ და შემდეგ შეკრულ ნივთებს კერასთან დებდნენ და ზედ ქოთანს ამხობდნენ ან დანით ან ჯოხით წრეს შემოუხაზავდნენ. შეკრული საგნები იხსნებოდა მაშინ, როცა საქონელი პატრონს უბრუნდებოდა (ნოღაიდელი, 1971:50). საახალწლო დღესასწაულების ციკლში შემავალ „ქათმის ფერხვის“ რიტუალშიც თოკის წრით კრავდნენ სკამს, ჯორკოს, რომელზეც მფერხავი (მეკვლე) ქალი იჯდა, რომ „ქათმები“ შორს არ წასულიყვნენ ეზოდან .

წრის, როგორც ჩაკეტილი, შეუღწეველი სივრცის ფუნქცია დასტურდება ქართულ ზღაპარში, ეპოსსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში. წრის – დაცული და ჩაკეტილი მიკროკოსმის მთლიანობა ქმნიდა ადამიანის „შინა“, დაცულ სამყაროს, აყალიბებდა ისეთ უმნიშვნელოვანეს ოპოზიციას, როგორიცაა "შინა" და "გარე". უძველეს დროში მცხოვრები ადამიანისათვის სამყარო მთლიანი და ჰარმონიული იყო, რომელშიც წესრიგი სუფევდა. იგი ამ სამყაროს ნაწილად მოიაზრებდა თავს, მაგრამ ამავე დროს, მიუხედავად მოწესრიგებულობისა, გამოკვეთილი იყო წინააღმდე-

გობები: კეთილი - ბოროტი, ნათელი - ბნელი, შინა - გარე, თავისი - სხვისი. ადამიანები „თავის“ და „კეთილ“ სამყაროებს დადებითად ეკიდებოდნენ, ხოლო „ბნელი“ და „სხვისი“ სამყაროებისადმი მტრული მიმართება ჰქონდათ (Неклюдов, 1975:185). ამიტომაც ცდილობდნენ „თავისი“სამყარო ჩაეკეტათ, შეუვალი გაეხადათ გარეშე, ბოროტი ძალებისათვის. ჩაკეტილი წრის ფენომენი საყოველთაოდ იყო გავრცელებული. წრით ჩაკეტილ სივრცეს თავისებურ „უსაფრთხოების პერიმეტრად“ მიიჩნევდნენ და დაცვის ფუნქციას ანიჭებდნენ საქართველოშიც. წრის, როგორც გამომყოფის, გამომცალკევებლის გააზრებას უკავშირდებოდა წრიული არქიტექტურული ფორმის შექმნა, რითაც ადამიანი გამოეყო და დაუპირისპირდა მისთვის მტრულ გარესამყაროს და შექმნა თავისი შინა სამყოფელი, რომელსაც სამყაროს სივრცითი აზრი მიანიჭა და განამტკიცა საკუთარი სტატუსი მის ორგანიზებულ ნაწილში. ამიტომაც იყო, რომ არა მხოლოდ საცხოვრებელთა, არამედ ქალაქთა უმეტესობა მანდალის პრინციპზე იგებოდა. აღნიშნავს,რომ ამით ქალაქი მოწესრიგებულ კოსმოსად, წმინდა ალაგად "გარდაიქმნებოდა" და თავისი ცენტრით იმქვეყნიურ, მარადიულ სამყაროსთან კავშირდებოდა (ხიდაშელი, 2001:44).

წრე სხვადასხვა ტრადიციულ კულტურაში ბოროტი ძალებისაგან თავდაცვასთანაა დაკავშირებული. იგი აუცილებელი ელემენტია მაგიური ქმედების ჩასატარებლად. „კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო ხანებამდე შემონახული იყო წრემირგვალაის მაგიური დანიშნულება. მაგალითად, წალკაში ერთი ჯურ მათხოვრებისაგან თავდასაცავად... საკმარისი იყო წრე შემოეხაზათ მათ სამყოფ ტერიტორიაზე, რომ ისინი ამ წრიდან ვეღარ გამოვიდოდნენ” (ბარდაველიძე, ჩიტაია, 1939:22).

რწმენა რგოლისებრი საგნების „სიწმინდის” შესახებ ჩვენში უძველესი ხანიდან მომდინარეობს. წრის მაგიური მიშვნელობის ამსახველი მრავალი ფაქტია ცნობილი ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში. ოდითგან წრეხაზი ავი თვალისა და ბოროტი ძალებისაგან მფარველ საშუალებადაა მიჩნეული. აჭარაში, ისევე. როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სცოდნიათ ნარ-ეკლის წრიულად შემომრგვალებული სათვალოების გადმოკიდება საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა კარებზე, ბოსტნებისა და ყანების შესასვლელში. მზის სიმბოლური ნიშნის – წრის აპოთროპიული ფუნქცია იკვეთება მზის უძველესი ქართული ქალ-ღვთების – ბარბარეს ატრიბუტთან - კვირისტავთან, დაკავშირებული ჩვეულებებში. აჭარაში კვირისტავზე მომავლის წი-

ნასწარმეტყველება სცოდნიათ. კვირისტავს წყლიანი ჭურჭლის თავზე დაიჭერდნენ და შიგ ანთებული სანთლის ნაღვენთს ატარებდნენ. ამ გზით მიღებული ფიგურების მეშვეობით წინასწარმეტყველებდნენ მომავალს. წრის დამცავი დანიშნულება იკვეთება ორნამენტის სიმბოლიკაშიც. აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში მრავლადაა შემორჩენილი წრის ამგვარი სიმბოლური გააზრების ელემენტები სცხოვრებელი თუ სამეურნეო ნაგებობების დეკორში, საყოფაცხოვრებო ნივთების შემკულობაში. თავდაცვის მიზნით სხვადასხვა სახის წრეებს გამოსახავდნენ ტანსაცმლის სხვადასხვა ელემენტზე, განსაკუთრებით, ქალების სამოსში, წინდის შემკულობაში. წინდის „ნამჭრელებში“ უხვად გვხვდება წრის, კონცენტრირებული წრეების, ნახევარწრეების, წრეში ჩასმული სხვადასხვა ფიგურების სახეები. აჭარაში მათ „გვალგვალას“, „ზითვალას“, “გოგორას” და სხვ. სახელით მოიხსენიებდნენ (ნოღაიდელი, 2008:15).

წრის შინა სივრცე ჩაკეტილია, შესაბამისად, მასში საკუთარი წესრიგის დამყარებაა შესაძლებელი. წრის შიგნით „ჩაკეტილ“ ადამიანს უსაფრთხოდ ყოფნის გარანტია აქვს. ამიტომაც წრე ხშირად ფიგურირებს სამკურნალო მაგიაში. მშელოცვის დროს ხშირია ავადმყოფის გარშემო უხილავი წრის შემოხაზვა, შემლოცველების წრიულად შემოვლა, ავადმყოფის წრეში ჩაყენება, ავადმყოფის გარშემო სხვადასხვა ნივთებით წრის გაკეთება. ხალხის რწმენით, წრიული სახის მისტიკური ქმედებანი - ავადმყოფის გარშემო წრის შემოხაზვა ან მასზე შემოვლა გასაქანს უკეტავდა ავადმყოფობას, აძლიერებდა მასზე ზემოქმედების უნარს და ავადმყოფზე დადებითად მოქმედებდა. აჭარაში ბნედიან ავადმყოფს დანით წრეს შემოუხაზავდნენ გარშემო, რომ ავადმყოფობა სხვასაც არ გადასვლოდა, სირსვილის (კანის დაავადების) დროს, გამონაყარის გარშემო წრეს შემოხაზავენ რაიმეთი (ფანქარი, ნახშირი, ცარცი), რომ ავადმყოფობა არ გამოსულიყო წრიდან. შელოცვებისას, ხშირად, წრის შემოსაზღვრა ხდებოდა ნახშირით, რაც შელოცვების უცვლელი ატრიბუტია და მზის მიწიერ ინსინუაციას წარმოადგენს. გოჟოს (რაქიტი) შელოცვის დროს ავადმყოფს ჩააყენებდნენ გახურებული ჯაჭვის წრეში. ულოცავენ და ჯაჭვზე ასხამენ წყალს, რაც ავადმყოფის გარშემო ორთქლის წრეს ქმნიდა. „უმურის“ დროსაც სცოდნიათ ბავშვის გატარება გახურებული ჯაჭვის წრეში (ბსკიეა, საქმე №168:23).

დამცავი ფუნქციისაა მწოლიარე ავადმყოფის გარშემო შემლოცველთა წრიული სიარული და ე.წ. „თავშემოვლების“ რიტუალი, რომლის

დროსაც ავადმყოფს ან „ავი სულებით“ შეპყრობილს თავზე რაიმე ნივთს შემოავლებდნენ, მიწაში ჩაფლავდნენ ან მის სახელზე გასცემდნენ. შელოცვისას ხშირად თავად შემლოცველიც ავადმყოფთან ერთად ექცეოდა წრის შეგნით, რომ შელოცვის სიტყვებს მაგიური ძალა არ დაეკარგათ და წრის შიგნით დარჩენილიყო მისი მაკურნებელი უნარი. წრე, ავადმყოფითა და შემლოცველით ცენტრში, თითქოს ქმნიდა საკრალურ მიკროსივრცეს ავადმყოფობაზე მაგიურ ზემოქმედების მოსახდენად, რადგან უძველესი რწმენა-წარმოდგენებით „წრის შიგნით ბრუნავს, ტრიალებს მაგიური სული, წრეშია იგი ცხოველმყოფელი. გამოაღწევს რა იგი გარეთ, ჰკარგავს ძალას...“ (ბუხრაშვილი 1988: 213). ამგვარად, წრე შელოცვების დროს თითქოს აძლიერებდა სიტყვის მაგიას.

წრიული მოქმედების, ჩაკეტილ წრეში დაცულობის იდეა გამოსჭვივის საბავშვო თამაშებშიც. აქაც წრე წარმოგვიდგება, როგორც საკრალური სივრცე, რომელსაც დაცვა და შენარჩუნება სჭირდება. ეს იდეა განსაკუთრებით შენარჩუნებულია აჭარაში და მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულ საბავშვო თამაშში „წრეში ლახტი“, რომლის დროსაც მოთამაშე ვაჟები კენჭისყრით ორ თანაბარ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი თავმდამსხმელებისაგან შედგება, მეორე — თავდამცველებისაგან, რომლებიც იცავენ წრეში ჩალაგებულ ქამრებს - ლახტებს და თავიანთ თავს. დამცველები მიწაზე შემოხაზულ დიდ წრეში დგანან. თავდამსხმელები წრეს გარშემო ურბენენ და სხვადასხვა ფანდით ცდილობენ წრის „გარღვევას“ და ლახტების მოტაცებას. თამაშის მთავარი იდეა წრის მთლიანობისა და მის შიგნით მოქცეული ნივთის დაცვაა. ლახტს აჭარაში მრგვალ ვირობიასაც ეძახდნენ. ლახტის დროს იცოდნენ ორი წრის გაკეთებაც. დიდ წრეში ჩასმულ პატარა წრეში ერთი მოთამაშე - მცველი იდგა, რომელიც ტრიალებდა ამ წრეში და იცავდა თავის ქამარს. წრიდან გამოსვლა არ შეიძლებოდა, რადგან იქ მოთამაშე დაცული იყო და ვერავინ „დაჭრიდა“ (ბსკიეა, საქმე №91:12-14).

მაგიურ წრეზე და მის შიგნით არსებულ დასაცავ ობიექტზე უნდა მიუთითებდეს ქართულ ქორეოგრაფიაში არსებული ფერხულებიც. უძველესი წრიული რიტუალური ცეკვები ცნობილია მთელ მსოფლიოში და მათში ღრმა მისტიკური სიმბოლიზმია. როგორც აღვნიშნეთ, უძველესი ფერხულების ფორმა ძირითადად წრიულია. მათთვის დამახასიათებელია წრებრუნვა, ტრიალი, რაც ქმნის ხელშეუხებელ ტერიტორიას – წრეს და წარმოშობს ამ ტერიტორიის შიგნითა საკრალური სივრცის დამცავ მაგიურ ძალას (Керлот, 1994). საქართველოში

საფერხულო წყობის უძველესი მონადირული ცეკვები მხოლოდ წრიული ფორმით არსებობდნენ, რაც მათ სიძველეზე და რიტუალურობაზე მიუთითებს. ამ ერთგვაროვან ფორმას თავისი სახესხვაობებიც გააჩნია. მაგალითად: გახსნილი წრე, საერთო წრეზე რამდენიმე პატარა წრე, ორ ან სამწრიული, სართულებიანი წრე და სხვ. (თათარაძე, 1999:2)

საშემსრულებლო ფორმა - წრე, ერთი მხრივ, საკმაოდ მორგებული, ოპტიმალური ფორმა იყო მასობრივი რიტუალური ცეკვის შესასრულებლად. მეორე მხრივ, მას გააჩნდა სიმბოლური, მაგიური აზრი, რომელიც დაკავშირებული იყო მზისა და მთვარის კულტებთან. ამავე დროს, წრიული ფორმით ცეკვის შესრულება უკავშირდებოდა ნაყოფიერებისა და სხვადასხვა საქმიანობაში წარმატების მოპოვების სურვილს. აღსანიშნავია, რომ მრავალი ხალხი ასრულებდა ამ ცეკვას განსაკუთრებულ დროს – ომის, შიმშილის ან სხვა უბედურებისას, რადგან მიჩნეული იყო, რომ წრიული ცეკვები წარმოადგენდა უძლიერეს კოსმიურ ენერგიასთან დამაკავშირებელ საშუალებას, რომელიც აუცილებელი იყო მათ ცხოვრებაში რთული ეტაპების გადასალახად (გვარამაძე, 1957).

წრის – დაცული და ჩაკეტილი მიკროკოსმის მთლიანობის, წრის დამცავი და სოლარული სიმბოლიკა ვლინდება აჭარაში გავრცელებულ რიტუალურ ფერხულებში „ოჰოი, ნანო“, „ნაი, ნა ნინაინა, „ხორუმი“. ეს ფერხულები შეიცავდნენ ქართველთა კოსმოგონიური წარმოდგენებსა და სამყაროს ჰორიზონტალური და ვერტიკალური სივრცითი განფენილობის შესახებ არქაულ რწმენა-წარმოდგენათა კომპლექსს. „ხორუმი“-ს ქორეოგრაფიული ელემენტები და საცეკვაო ნახაზი ეფუძნებოდა წრიული მოძრაობებს, ხელმობმულ, მჭიდროდ მდგარ, ზოგჯერ სართულებიან წრიულ წყობას და ქორეოგრაფიული ფორმებითა და სტრუქტურით სამყაროს აღქმის თავისებური მოდელს წარმოადგენს. იგი ეფუძნება წრის – დაცული და ჩაკეტილი მიკროკოსმის მთლიანობისათვის სამყაროში წესრიგის დამყარებისა და დრო-ჟამის მსვლელობის მოწესრიგებისათვის ბრძოლის იდეას (ლომთათიძე, სტამბოლიშვილი, 2015:63). „ოჰოი, ნანო”-ც უძველესი წარმოშობის რელიგიურ-მისტიკური ფერხულია, რომლისათვისაც დასმახასიათებელია საფერხულო წრე (ხელგადახვეული ან ხელიხელჩაკიდებული შემსრულებლები მკაცრად ჩაკეტილ წრეს - ხღუდეს ქმნიან) და წრის შიგნით მოქცეული კორიფე - ფერხულის წარმმართველი. წრეში მოქცეული საგანი ძველად განსაკუთრებულად სათაყვანებელი ობიექტი იყო. „ოჰოი, ნანო“-ც იყო მისტიკური საცეკვაო ქმედება წრის შიგნით ობიექტით, რომელიც შესაძლოა

რომელიმე ღვთაებას ან კულტს განასახიერებდა. საფერხულო მწყობრი და საწესო მოქმედებათა მთელი კომპლექსი მიუთითებს, რომ „ოჰოი, ნანო“-ს საფერხულო წრე წარმოადგენს დროის ციკლურობის, ნაყოფიერების უზრუნველყოფის, სამყაროს განახლების, მოწესრიგების ხატოვან სიმბოლოს.

ასევე ადრესამიწათმოქმედო ხანებში შემუშავებული რელიგიური პრაქტიკის ამსახველი სიმღერა-ფერხულია „ნაჲ ნა ნინაჲნა”, რომელიც უკავშირდება ნაყოფიერების ქალღვთაების დიდი დედა ნანას კულტს, რომელიც დედობისა და შვილიერების მფარველი იყო. ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი, რადგან განვითარების შემდგომ ეტაპზე წრიული სიმბოლიკა ქალს დაუკავშირდა (ქალური ბუნებისაა მზის, მიწის ღვთაებები, კერა) და მაგიური წრე, მისი თავდაცვითი ფუნქციის გამო დედის არქეტიპთანაც ჩანს დაკავშირებული (ხიდაშელი, 2001:44).

როგორც ვხედავთ, წრის სიმბოლური დატვირთვა მუდმივად განიცდის ტრანსფორმაციას, რადგან ის გარკვეულ დროში აღმოცენდა, როგორც გარკვეული შინაარსით დატვირთული სიმბოლო-ნიშანი, მაგრამ შემდგომ შეხედულებათა ცვლილებასთან ერთად სხვა შინაარსით დაიტვირთა და სხვა ფუნქცია შეიძინა, შეიცვალა მისი სიმბოლური ქვეტექსტი. ქრისტიანობაში წრე მსოფლიო ეკლესიის სიმბოლოს წარმოადგენს და თავისი არსით გამოხატავს არა მხოლოდ ღმერთის სრულყოფილებას, არამედ მის მარადიულობასაც. იკონოგრაფიაში წრის ფორმით გამოიხატება წმინდა შარავანდედი. სამი კონცენტრული წრე წარმოადგენს წარსულის, აწმყოსა და მომავლის სიმბოლოს. წრეწირში გამოსახული ჯვარი აღნიშნავს სამოთხის ბაღს და მდინარეს, რომელიც სათავეს სიცოცხლის ხესთან იღებდა და შემდეგ ოთხად იყოფოდა. ამგვარად, ამ სიმბოლო ნიშანში თავმოყრილია წრის სიმბოლური გააზრების როგორც არქეტიპი, ისე შემდგომი დანაშრევები.

Tamila Tomtatidze

Circle symbols of ethnic traditions in Ajara

Summary

There is a universal symbol of eternity and continuous circle, the circle symbolizes polisemantikuri and varying interpretations. He was placed in the center of the ethnographic, the solar cult, protective magic-related rituals, ornaments, children's games, folk medicine and choreographic folklore. Symbolic circle constantly transforms, as it is some time in coming, as some sort of symbol-loaded with content rating, but after a change of views with the other loaded with content and acquired a new function, changed its symbolic overtones.

ლიტერატურა:

1. ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი, სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ.2, თბ., 2006

2. ვ.ბარდაველიძე, გ.ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939

3. ვ.ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941

4. ბსკიეა, საქმე #91, #140, #168

5. პ.ბუხრაშვილი, საცხოვრისი და სივრცული აღქმა, „გარეჯი", კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, VIII, თბ.: „მეცნიერება", 1988

6. ლ.გვარამაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფია, თბ., 1957

7. ავ.თათარაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები, თბ., 1999

8. კ. გ. იუნგი, ფსიქოლოგია და ალქიმია, თბ., 2005

9. ზ.კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976

10. თ.ლომთათიძე, ნ.სტამბოლიშვილი არქაული საცეკვაო რიტუალების სიმბოლიზმი (აჭარა), კრ. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია", ბათუმი, 2015

11. ჯ.ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, ბათუმი,1971

12. ნ.ნოღაიდელი, ფეიქრობის დარგობრივი ლექსიკა, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, X, თბ., 2008

13. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993

14. მ.ხიდაშელი,სამყაროს სურათი არქაულ საქართველოში, თბ., 2001

15. ვ.შამილაძე, მესაქონლეობასთან დაკავშირებული სამეურნეო ნაგებობანი აჭარაში, აჭარის სოფელი, თბ., 1969

16. გ.ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941

17. Керлот Х.Э., Словарь символов, М., 1994

18. Неклюдов С.Ю., Статиститческие и динамические начала в повествовательном фольклоре, Типологические исследования по фольклору, М., 1975

ნარგიზ ახვლედიანი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის დოქტორი

ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოსთან დაკავშირებული ზანური გეოგრაფიული სახელები აჭარაში

ქართულის დასავლურ კილოებში – აჭარულ-გურულსა და იმერულში, განსაკუთრებით, ლექსიკასა და ტოპონიმიკაში, დიდი რაოდენობით შემონახულია მეგრულ-ლაზური ელემენტები. ეს აიხსნება არა ტერიტორიული სიახლოვითა და გავლენით, არამედ ზანური სუბსტრატით.

„სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვაა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სახელი ამ ობიექტურ მონაცემს. პირვანდელი მნიშვნელობა, ისევე, როგორც საერთოდ მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია მოცემული. ეტიმოლოგიაც, მაშასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა ვეძიოთ“ (ჩიქობავა, 1937:48).

ქვემოთ წარმოგიდგენთ აჭარაში დადასტურებულ ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს აღმნიშვნელ რამდენიმე ტოპონიმს, რომელიც ადგილს, რელიეფს აღნიშნავს. ესენია:

გონთი – ფერდობი (**სკურდიდი**, ქობულეთის რ-ნი; ცხმორისი, ქედის რ-ნი, ბსკიფა, 1959, №27, გვ. 47). გოთე (გოთეს) ყათლაღი; სწორი, თავისუფალი და ნათელი ადგილი; ტყის პირი (ქაჯაია, 2001:372). გოთე სიტყვაში გოთე იგივე ელემენტია, რაც სიტყვებში გა-თენ-ა, სი-ნ-თე (ჭარაია, 1996:52). რაც შეეხება ტოპონიმ „გონთი“–ს ეტიოლოგიას, შესაძლოა, ეს ადგილი ნათელი, ღია ყოფილიყო. გონთე არის მინდორი ტყეში (სინათლიანი ადგილი ტყეში). პ. ცხადაიას ცნობით, ტოპონიმი „გონთე“ ეწოდება საძოვარს სიდაში (გალის რ-ნი, ს. სამურზაყანო).

კორეჭი – საძოვარი (ოლადაურის ს.ს. შუახევის რ-ნი). ადგილობრივი მოსახლეობა ამჟამად მას „გორ“-ს უწოდებს. თავდაპირველი სახელწოდება თითქმის დავიწყებას ეძლევა. ამ ტოპონიმს თუ კომპოზიტად მივიჩნევთ, მაშინ იგი შეიძლება ასე დაიშალოს: კო-რეჭი. „რეჭი“ – პ.

ჭარაიას ასე აქვს განმარტებული: „რეჭი“–რიყე; ქუალონი ადგილი (ჭარაია, 1997:116, შდრ.: „რეჭიში გვალა“ – მთაა სამურზაყანოში, რომელიც ქვითაა მოფენილი. ცხენის საბალახო თითქმის სულ არ არის ამ მთაზე, მხოლოდ თხა-ცხვარი შეიძლება მოაძოვონ). ამავე რაიონში ხშირია ქვასთან დაკავშირებული ტოპონიმები. ასე მაგალითად: „კეჭნარა“ – უბანი (მაწყვალთა), „კენჭიანი“–მთაა ჩირუხში. „კეჭნარი“–ფერდობი (ტუნაძეები), „კენჭიანი სერი“ – საძოვარი (ხიხაძირი, ხულოს რ-ნი). ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა თავდაპირველად გვქონოდა „გორა რეჭი“, სადაც მოხდა **ჰაპლოლოგია**, დაიკარგა ბგერები: გორა რეჭი→გორეჭი. ჰაპლოლოგიის კვალი შესამჩნევია როგორც ქართულში, ასევე მეგრულში. მაგალითად: მთავარანგელოზი→თარანგელოზი→თარანგელო, სუროვანდი→სურანდი, ხელეჩო→ხეჩო, პიჯიშ ოქოსალი→პიშქოსალი (პირსახოცი), ჯინჯი რჩე→ჯირჩე (უცუნა, იხ. ცხადაია, 1998:105). შემდეგ კი მკვეთრმა „ჭ“-მ დააყრუა მუღერი „გ“ (გ კ ასიმილაცია), რის შედეგადაც მივიღეთ: გორეჭი→კორეჭი. რაც შეეხება ტოპონიმ „კორეჭი“-ს ეტიოლოგიას, საფიქრებელია, რომ აქ ყოფილა გორა ქვებით მოფენილი, ქვიანი მთა (გორი).

ობოდირი – ფერდობი (სოფ. ხუცუბანი, ქობულეთის რ-ნი). ოზანური წარმოშობის პრეფიქსი ჩანს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი ფუძე „ბოდ“–არის ქართული „ბადე“ სიტყვის შესატყვისი ზანურში.

პ. ცხადაიას ზეპირი ინფორმაციით, „ობოდირი“ უნდა იყოს საბადური. ტოპონიმი „ობოდირი“ დადასტურებულია გურულშიც (იხ. რ. ძნელაძის ხელნაწერი ლექსიკონი თსუ ონომასტიკის ს/კ ლაბორატორიაში), ობოდირი–სილაური, ადგილია (გურიაში), (მეგრელიძე, 1938:77).

ონჩომეთი – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ქვედა მარადიდი, ქედის რ-ნი). ეს ტოპონიმი შეიძლება შემდეგნაირად დავშალოთ: „ო“-ზანური წარმოშობის პრეფიქსია, „სა“– დანიშნულების პრეფიქსის ბადალი. „ნ“ ფუძეში შემდეგ განვითარებული ჩანს (ჟღენტი, 1953:92-98). „ჩომა“ აჭარულში პირუტყვს, საქონელს ნიშნავს. მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, პირუტყვის მნიშვნელობით გვხვდება იგი იმერულშიც.

აჭარულში ხშირია მსგავსი შინაარსის მქონე ტოპონიმები: ხარიიათაღი – სოფ. მაწყვალთა (შუახევის რ-ნი).ე.ი. დასაწოლი სახარე ადგილი, ხარის სახნავი ადგილი. ოხოჯირი–სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ზედა აჭი, ქობულეთის რ-ნი).შდრ. ონჩომია – მდინარისპირა ვრცელი მინდორი (სოფ. გორგაძეები, ხულოს რ-ნი,. ბსკიდა, 1985, **№ 45:51).**

ოკიდალა – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ქოსოფელი, ქედის რ-ნი). ო– ზანური წარმოშობის პრეფიქსია, რაც შეეხება ბოლოკიდურ „ა“-ს, იგი ქართული მაწარმოებელია, „ალ“ სუფიქსი მეგრულშიც და ლაზურშიც ფართოდ გამოიყენება მიმღეობათა საწარმოებლად. შდრ. მ-კიდ-ალ-ე „მშენებელი“ (ნადარეიშვილი, 1962:178–179). ზანურ „კიდა“//“კიდალ“ ფუძეებს მკვლევარნი უკავშირებენ ქართულ „კედელ“-ს (ჩიქობავა, 1938:294; ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:167; გამყრელიძე, მაჭავარიანი, 165:159; ჭარაია, 1997:79). ჩვენი ვარაუდით, იმ ადგილს, რომელსაც „ოკიდალა“ ეწოდებოდა, უნდა ყოფილიყო რაიმე კედელი, ჯებირი მთის გზაზე, ან მდინარეზე (ახვლედიანი, 1998:89).

ოღრიკაჲ – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ზედა ბზუბზუ ქედის -ნი). „ო“– ზანური წარმომავლობის პრეფიქსია. ღიროკუა, ღირიკუა (ბღიროკ) ღრეკა– (ვღრეკ, ღრაკნა, კლაკნა–ასეა განმარტებული იგი პ. ჭარაიასთან (ჭარაია, 1997:145). მეგრული „ღირაკ“//ღირიკ//ღრიკ:, ლაზურში „ღრიკ „ღლიკ“ ნიშნავს ღრეკას, დრეკას. „ღიროკილი“–ღრეკია, მიღრეკილ-მოღრეკილი, მიხვეულ-მოხვეული. შესაძლებელია, გადატანითი მნიშვნელობით ქვეწარმავალსაც ერქვას. მეგრულში პრეფიქსს ჰქონია მარუდიცირებელი ძალა, რომლის გავლენითაც შეიძლებოდა დაკარგულიყო ძირეული ხმოვანი: ო-ღგ-როკ-ა ოღროკა“ (შდრ.: მაღლაკი, მაღგლაკი ცხადაია, (1992:42). ღრიკავს–ღრეკს, ღუნავს (ფუტკარაძე, 1993:611), რაც შეეხება ამ ტოპონიმიის ეტიოლოგიას, ეს ადგილი მიხვეულ-მოხვეული უნდა ყოფილიყო.

ოწვეთია – ტყე (სოფ. ჩაქვისთავი, ქობულეთის რ-ნი). „ო“– ზანური წარმოშობის პრეფიქსია. „წვეთ“–კი ქართული ძირისაა და მისი მეგრული შესატყვისია „ჭვათ“//“ჭუთ“,, ო-ჭუთ-უ-ა (საწვეთური) (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990:462). როგორც ჩანს, ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ზანური გაფორმების ქართულ სიტყვასთან, ხოლო რაც შეეხება „ია“ დაბოლოებას, იგი „ეა“–საგან მომდინარეობს (შანიძე, 1973:96), როგორც ეს გვაქვს ფორმებში „უბია“ (უბეა), „ვაკია“ –„ია“ დაბოლოებიანი სახელწოდებები გვხვდება საქართველოს სხვა რეგიონების ტოპონიმიკაშიც, ამას ადასტურებს რეგიონალური ტოპონიმიკური მასალაც. მაგალითად, წყალტუბოს რ-ნში: ანარ-ია, სალ-ია, ჩახალ-ია, ხიც-ია (ჯაჯანიძე, 1976:110). საყურადღებოა, რომ სამეგრელოს ტერიტორიაზე, კერძოდ მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში „ია“ კნინობითობის მაწარმოებელია: „ფოქვაია“–

მცირე მღვიმე, „ტობაია“–მცირე მორევი (ცხადაია, 1974:97–98). შესაძლებელია, გვქონდა ტოპონიმი „ოჭვათე“, ჭვათირი მთაა მამათის საბჭოში, გურიაში. ისეთი ადგილია, სადაც წვიმის შემდეგ ფერდობი ჩამოიქცეოდა (მეგრელიძე, 1938:102), მაგრამ შემდეგში „ჭვათ“ ძირი „წვეთ“-ად იქნა გადააზრებული ქართული მოსახლეობის მიერ (ახვლედიანი, 1998:90–91).

ოჭოფო – სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. წაბლანა, შუახევის რ–ნი). ო – აშკარად ზანური წარმოშობის პრეფიქსია: „ჭოფ“– ძირი მეგრულში „დაჭერა“-ს, „დანაჭერ“-ს ნიშნავს (ჭარაია, 1997:72). ასახსნელია „ო“–სუფიქსი. „ოჭოფო“ შესაძლებელია ყოფილიყო რაღაც შემოკავებული ან სამწყვდევი ადგილი. ოჭოფა – მდ. ს. ეწერის ს.ს. (ღლონტი, 1990:50; იხ. აგრეთვე, ახვლედიანი, 1998:91) შდრ.: ზემო აჭარაში დადასტურებული შემდეგი ტოპონიმები: ხარიდათაღი–ხარისსაწოლი, სოფ. მაწყვალთა და თაგინური (შუახევის რ-ნი).

ოხრჯირი–სახნავ-სათესი ადგილი (სოფ. ზედა აჭი, ქობულეთის რ-ნი). ამ ტოპონიმთან დაკავშირებით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამოსავალი ფუძე არის „ხოჯ“, რაც მეგრულ-ჭანურში „ხარ“-ს ნიშნავს (ჩიქობავა, 1938:78), ე.ი. გამოიყოფა პრეფიქს-სუფისი „ო-ირ“, ისევე, როგორც ტოპონიმ „ობოდირ“-ში. „ „ოხოჯირი“ შესაძლოა „სახარე“-ს ნიშნავდეს (ახვლედიანი, 1998:91). შდრ. ზემო აჭარაში დადასტურებული შემდეგი ტოპონიმები: „ხარიდათაღი“–„ხარისსაწოლი“, სოფ. მაწყვალთა და თაგინური (შუახევის რ-ნი).

ოჯინჯი – ჩაის პლანტაცია (დაბა მახინჯაური, ხელვაჩაურის რ-ნი). ჯინჯ“–ძირია (ჭარაია, 1991: 184). რაც შეეხება თავად „ოჯიჯო“-ს, იგი პ. ჭარაიასთან მითითებულია განმარტების გარეშე (ჭირაია, 1991:111). „ოჯიჯო“ დაფიქსირებულია სულხან-საბასთან: „ბადე, მეგრულში ქორთ დასაცემელი“ (ორბელიანი, 1991:612). წარმოებით ეს სიტყვა მართლაც მეგრული ჩანს: ო-ჯიჯ-ი, შდრ. ჯიჯ, ქართ. ძირ-ის კანონზომიერი შესატყვისი ე.ი. ძირს დასაგები, „საძირე“ ბადე (დანელია, 1991:621). შესაძლოა „ნ“ ფუძეში განვითარებული იყოს. რაც შეეხება ტოპონიმ „ოჯინჯ“-ს ეტიოლოგიას, გადმოცემით, ამ ადგილას ძველად მართლაც იჭერდნენ ფრინველს ბადით და დარჩა ეს სახელწოდებაც (ცნობა მოგვაწოდა მახინჯაურის მკვიდრმა ნაზი ახვლედიანმა).

ღვაჩაჲ – სათიბი (სოფ. გორგაძეები, ხულოს რ-ნი) ლაზურში გვაქვს სიტყვა „ღვაბაჩა“, რაც „ყბაყურა“-ს აღნიშნავს. აშკარაა, ამავე

მნიშვნელობით აჭარულში დადასტურებული „ღაბუა//ღაბუჩა“ ზანურიდან მომდინარეობდეს და იგივეა, რაც „ღააბარა“. აჭარულში „ყბაყურა“-ს აღსანიშნავად იხმარება: „ღაბუჯა//ღაბუჩა“ (ნოღაიდელი, 1976:50). „ღაბუჩა“//“ღაბუა“ – ყბაყურა (ნიჟარაძე, 1971). გადატანითი მნიშვნელობით, აჭარულში „ღაბუჯა“ („ღაბუა“) ეწოდება ქათამს, რომელსაც ნისკარტის გვერდით ორსავე მხარეზე უხვად აქვს ბურტყლი წამოზრდილი: „ღაბუჯა“ ქათამი (ნარაკიძე, 1973:5). საბას განმარტებით, ღაბუა– „ზოგი ფრინველი, რომელსაც ნისკარტქვეშ, ყელზე ბლომად აქვს ბუმბული“. „ღაბუჯა//ღაბუა“ თხზული სახელი ჩანს: „ღა-ბუჯ-ა“, „ღაბუ-ა“. თუ ეს სწორია, მაშინ „ღაბუჯა“//“ღაბუა“ უნდა შეესატყვისებოდეს ამავე მნიშვნელობით ლაზურში ხმარებულ სიტყვას: „ღვაბუჯა“.

ლაზურშიც ჩანს, რომ „ღვაბუჯა“ კომპოზიტია: ღვა-ბუჯ-ა. ლაზურ-მეგრულში „ღვა“ იგივეა, რაც ქართულში „ღაწვ-ი“ (ჩიქობავა, 1938:52), ხოლო „ბუჯ“–უნდა შეესატყვისებოდეს „ბურჯ“-ს.

მაშასადამე, „ღაბუა“//“ღაბუჯა“ უნდა მომდინარეობდეს „ღვაბუჯა“-დან და „ღაწვბურჯა“-ს ნიშნავს. ასეთ ინტერპრეტაციას ამართლებს „ღაბუჩა“-ს ეტიმოლოგიური ახსნაც (იხ. ქვემოთ ღაბუჩა). „ღაბუჩა“ უმფო ახალგაზრდებს ემართება“ (კ. ჯაჯანიძე).

ქართული ენის სხვა დიალექტებში „ღაბუა“//„ღაბუჩა“ ამ მნიშვნელობით არ გვხვდება. „ყბაყურა“-ს ლაზური სემანტიკური შესატყვისია თხზული სახელი „ღვაბა [რ]ა“: ღვა-ბა-[რ]-ა.

„ღვა“, როგორც „ღაბუჯა“-ს განმარტებისას ვთქვით, იგივე ღაწვია, მეორე კომპონენტი ბა[რ]ა (ობაუ) ნიშნავს გაბერვას, ბერვას (სხვა მნიშვნელობით, ბარა-ქარი). ობა [რ]უ ქროლვა; „ბარს“-ქრის, გასივებას, სიმსივნეს ნიშნავს. რაც შეეხება კომპოზიტს (ღვაბაა), იგი ასე უნდა განიმარტოს: „ღაწვგასივება, „ღვაბაელი გულუნ“–ღაწვგასივებული დადის.

თუ ასეთი ახსნა სწორია, მაშინ „ყბაყურა“-ს მნიშვნელობით აჭარულში ხმარებული: ღაბუა „ღაბუჩა“ უნდა იყოს იგივე ლაზური: „ღვაბა[რ]ა“.

რაც შეეხება „ღაბუჩა“-ს, რომელიც „ღაბუა“-ს გვერდით არის მოხსენიებული „ყბაყურა“-ს მნიშვნელობით, იგი მისი ერთ-ერთი სახეცვლილება შეიძლება იყოს. „ღაბუჩა“ იგივეა, რაც „ღაბუჯა“ (ღვამუ(რ)ჯა“–ღაწვბურჯა.

ამ კონკრეტულ შემთხვევაში მომხდარა ჰაპლოლოგია, დაიკარგა ბგერები. უნდა გვქონოდა „ღა(ბა)ჩა“ და დარჩა კი „ღვაჩა“. რაც შეეხება ტოპონიმ „ღვაჩა“-ს ეტიმოლოგიას. იგი შეიძლება ასე აიხსნას: ეს ადგილი, შესაძლოა, ყოფილიყო ქარის საქროლი, მით უმეტეს, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს აჭარულში დადასტურებული არაერთი მსგავსი შინაარსის ტოპონიმები: „ქარისსაქროლი“–სახნავი (მაწყვალთა,შუახევის რ-ნი). „ქარისსაქროლიბოლო“. საძოვარი (მაწყვალთა, შუახევის რ-ნი, იხ. ქამადაძე, 1992:107), „ქარისსაქროლი“– ჩაქვი (ქობულეთის რ-ნი).

ასეთია ქვასა და ბუნებრივ-გეოგრაფიულ მდებარეობასთან დაკავშირებული ზანური წარმომავლობის გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგიური ძიების ჩვენეული ახსნის ცდა.

Nargiz Akhvlediani
PhD in Philology
Senior Researcher at Niko Berdzenishvili
Institute of Batumi Shota Rustaveli State University

Zanian Geographical Names in Ajara Related to Stone and Natural-Geographical Environment

Summary

The article deals with several toponyms confirmed in Ajara that are related to natural-geographical environment and are semantically connected to stone denoting relief or landscape. These are the following: Gonti, Korechi, Obodiri, Onchometi, Okidala, Oghrokai, Otsvetia, Ochopo, Okhojiri, Ojinji and Ghvachai.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახვლედიანი, 1998–ნ. ახვლედიანი, რამდენიმე ზანური სუბსტრატული ტოპონიმისათვის აჭარულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, გამომც. „ქართული ენა“, 1998. გვ. 43–45.

2. ბსკიდა, 1959, 1985.

3. გამყრელიძე, მაჭავარიანი, 1965–თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, „მეცნიერება“, თბ., 1965.

4. დანელია , 1991–კ. დანელია, ქართული ხალხური სიტყვიერება, მეგრული ტექსტები, II, თბ., 1991.

5. მეგრელიძე, 1938–И.В. Мегрелидзе, Лазский и мегрельский слой в гурийском, С.П. 1938.

6. ნადარეიშვილი, 1962–დ. ნადარეიშვილი, მიმღეობა ზანურში, იკე, ტ. XIII, თბ., 1962.

7. ორბელიანი, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ., 1991.

8. უღენტი, 1953–ს. უღენტი, მეგრულ-ჭანურის ფონეტიკა, თბ., 1953.

9. ფენრიხი, სარჯველაძე, 1990–ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1990.

10. ფუტკარაძე, 1993–შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი I, ბათუმი, 1993.

11. ქაჯაია, 2001–ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, I, თბ., 2001.

12. ქამადაძე, 1992–მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, ტ. VIII, ბათუმი, 1992.

13. შანიძე, 1973–ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973.

14. ჩიქობავა, 1937–არნ. ჩიქობავა, სიტყვა „ზოგი“-ს ეტიმოლოგიისათვის, ენიმკის მოამბე, I, ვბ., 1937.

15. ჩიქობავა, 1938–არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.

16. ცხადაია, 1999–პ. ცხადაია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, თბ., 1999.

17. ჭარაია, 1997–პ. ჭარაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

18. ჯაჯანიძე, 1976–პ. ჯაჯანიძე, წყალტუბოს რ-ნის ტოპონიმები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, თბ., 1976.

ნაილე მიქელაძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

უძველესი რელიგიურ-საკულტო წარმომავლობის ერთი ტოპონიმის საკითხისათვის

კლდე და ქვა უძველესი დროიდან სულიერი ძალების სამყოფელად იყო მიჩნეული. ქვებისადმი თაყვანისცემის ტრადიცია მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში გვხვდება. ქრისტიანობის დამკვიდრებამდე საქართველოში კერპთაყვანისმცემლები ცხოვრობდნენ. ისინი ხშირად კერპებს თავად ჰქმნიდნენ, ან უჩვეულო ზომისა და ფორმის ქვას რაცხდნენ ღვთაებად. ისინი მიდიოდნენ მათთან და სწირავდენ მსხვერპლს, სანოვაგეს, პურს და საკულტო რიტუალებს ასრულებდნენ. მათი რწმენით, ზოომორფულ და ანთროპომორფულ ქვებს მაგიური ძალა ჰქონდათ.

ქვათა თაყვანისცემის შესახებ საინტერესო დაკვირვებებს გვთავაზობს ვახტანგ კოტეტიშვილი: „უძველეს დროსა და დღესაც, უკულტურო მოდგმათა შორის, ღვთაებათა ჩვეულებრივი სიმბოლოები ქვები იყვნენ. ზოგი – ციდან ჩამოცვენილი აეროლითები, რომელთაც ციდან გამოგზავნილად თვლიდნენ და თაყვანს სცემდნენ. ქვათა თაყვანისცემა გავრცელებული ყოფილა ყველგან – აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ამ თაყვანისცემის ნიშნები ჩვენში დღემდე შემორჩენილა, თუნდაც იმავე ჯავახეთში. ფარავნის ტბის არემარეში დღესაც გვიჩვენებენ გაქვავებულ ცხვრის ფორმას თავისი მწყემსებით, ნეფე-დედოფალს და სხვა ფორმებს, რასთანაც მრავალი თქმულებაა დაკავშირებული და საკულტო ნიშნებიც ჩანს. ასეთივე ხასიათის ძეგლია მანგლისის მთაში, სოფელ ახოტილას თავზე, ე. წ. „ამინდის ქვა, რომელიც დაკავშირებულია ამინდთან გვალვისა თუ წვიმების დროს, დღესაც ამ ქვებისაკენ მიემართება პროცესია და ლოცვა-ვედრებით ან მხარს უბრუნებენ ქვას, ასწევენ თუ დასწევენ. თვითონ ქვას კი ადამიანების კონტურები აქვს. მსგავსი კულტის ნაშთები სხვა ადგილებშიც გვხდება, მაგალითად, კოპალას ქვა ფშავში. ეს სალოცავი ქვა დღემდე შემონახულია არაგვის ხეობაში ჟინვალის ზემოთ, ქსნის სათავეში, მეჯუდის ხეობაში“ (კოტეტიშვილი, 1961: 335).

„ქვა“ ბიბლიის როგორც ძველ, ასევე ახალ აღთქმაში ღრმა სიმბოლურ მნიშვნელობას იძენს და განასახოვნებს ყოვლადწმინდა

ღვთისმშობელსა და მაცხოვარს. მთისა და კლდის ბიბლიური სიმბოლიკის გასაგებად ა. ბაქრაძეს „დანიელის წინასწარმეტყველება“ მოჰყავს (თავი 2, მუხლი 2-49). დანიელის წინასწარმეტყველების სიმბოლიკა ჯერ კიდევ პავლე მოციქულმა განმარტა პირველ ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ (თავი 10, მუხლი 4); „ხოლო კლდე იგი იყო ქრისტე“. თუ ქრისტე ლოდია, მაშინ მთა, რომელსაც ეს ლოდი გამოეკვეთა, წმ. მარიამია. ამიტომ მიმართავს ღმრთისმშობელს ჰიმნოგრაფოსი – „წინადათვე გქადაგებდეს, უბიწოო, წინასწარმეტყუელნი გამოგსახვიდეს მთად გამოუკუეთელად“ (ბაქრაძე ,2004: 170-171).

ქართულ ფოლკლორში დღესაც ცოცხლობს გადმოცემები ქვაკაცების შესახებ. ზოგიერთმა მათგანმა მხატვრულ ლიტერატურაშიც შეაღწია: „კლდოვან ნაპირზე მაღლა აშოტილი ქვაკაცა იდგა. სხივი ზედ ჯერ კიდევ აჩენდა ტვიფრულ ასოებსა და ბურცულ ნიშნებს. ეს ქვაკაცა ღმერთის გამოსახულება არ იყო, თუმცა ამდაგვარად ზღვისპირეთის ქართველი და ქართველური ტომები კერპებად რაცხდნენ, ბერძნები კი მათი მიბაძვით – კვირბებს უწოდებდნენ. ყველას საქართველოს თვისტომსა და უცხოს, სწამდა ქვაკაცთა იდუმალი ძალა და ზეგარდმო წარმომავლობა” (გოთუა, 1982: 5).

ამ მხრვ გამონაკლისს არც აჭარა წარმოადგენს, სადაც მრავლად გვხვდება ქვის ანიმისტურ კულტთან დაკავშირებული ტოპონიმიკური თქმულება-გადმოცემები. ქვაკაცების ადგილსამყოფელი მაღალი მთებია: კარჩხალი, პერანგა, არსიანის მთა და სხვა, რომელთა შემოგარენი სახნავ-სათესებსა და უმთავრესად, საძოვრებს წარმოადგენს. მეცნიერთა ერთი ნაწილი მათ „ვეშაპოიდებს“ უწოდებს. ხალხის მოსაზრებით კი, ისინი წმინდა დანიშნულების ქვებია, რომლებსაც რუდუნებითა და პატივისცემით ეპყრობიან.

აჭარის ხეობებში რამდენიმე ადგილას დამოწმებულია სხვადასხვა სახეობის ქვაკაცა. **„ქვაკაცა“** დანდალოს საკრებულოს სოფელ ტაკიძეების ადგილის სახელწოდებაა. აღსანიშნავია ჭვანის ხეობის სათავეებთან, მაღალ მთაზე, წმინდანების მთის მახლობლად აღმართული ქვაკაცები. ამავე სახელწოდების ადგილია, აგრეთვე, ხიხაძირის ხეობის სოფელ ვერნებსა და მარეთის ხეობის მთებში. იგი გვხდება კურორტ ბეშუმის ნასახლარის მახლობლადაც. აქ ამ ადგილსაც ქვაკაცა ჰქვია. ქვაკაცები დაფიქსირდა, აგრეთვე კინტრიშის ხეობის სათავეებში, მთა სარბიელაზე. აქაც რამდენიმე ქვაკაცაა აღმართული, რომელსაც მოსახლეობა სიძე-რძალს ეძახის. კაცის გამოსახულებიანი კი აჭარაში დღემდე მხოლოდ ორი ქვაკაცაა მიკვლეული – დანდალოსა და ბეშუმში. ქვაკაცებს განსაკუტრებულ მნიშვნელობას ანი-

ჭებდნენ: „ვინც ქვაკაციდან ქვას გადააგდებს, ცოდვას შეიძენს. აქ მომსვლელმა უნდა გაასწოროს ქვაკაცებზე ქვები, ჩამოვარდნილი ქვა ზედ დადოს (თანდილავა, 1974: 17).

ქვაკაცების თაყვანისცემის მდიდარი მასალა დასტურდება ჭვანის ხეობაში. პატარა ქვებისგან ნაგები ქვაკაცების მიდამოები წმინდა ადგილად ითვლება. აქ იმართებოდა სხვადასხვა სარიტუალო ცერემონიალი და ხდებოდა მსხვერპლის შეწირვა, უმთავრესად, გვალვების ან დიდი წვიმების დროს.

ტოპონიმიკური, ისტორიულ-არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალები ტოპონიმ ქვაკაცასა და კერპ-ქვაკაცების შესახებ. ბევრგან ქვაკაცები ამჟამად აღარ გვხდება, მაგრამ მათი სახელი მაინც შემორჩა (დიასამიძე, 1981: 99-101).

ქართველ მთიელთა ყოფასა და სარწმუნოებრივ ტრადიციებში მტკიცედ დამკვიდრებული სამლოცველო ნიშნების მსგავსად, მაღალმთიანი ხულოს რაიონის ხიხაძირის საკრებულოს ალპურ ზონაში გვხდება ე. წ. ქვაკაცები, რომლებიც მეტრ-ნახევარი სიმაღლის კონუსისმაგვარი ფორმისაა. აგების პრინციპით მთლიანად ჰგავს ცნობილ სამლოცველო ნიშებს. აქ სრულდებოდა საჯარო ლოცვა, მსხვერპლთშეწირვა და სხვა ხალხური გადმოცემა ამბობს: „ვერნებს რომ გადმოდგომია, **„მაღალთი“** ჰქვია... იქ მეიყრებოდა ხალხი ყარადერედან, სხალთიღელედან, შუბნიდან, დარჩიძეებიდან, კობალთიდან... იქ ყოფილა შესაწირის დაკვლა. მორიგეობით იკითხავდნენ ლოცვას. ხალხი ამინს იტყოდა. შესაწირს ყველას დუურიგებდნენ... ქვაკაცებს ახლაც ვაკეთებთ (მთქ. შ. აბაშიძე, 75 წ. ხულოს რაიონი, სოფელი ვერნები. ჩაიწერა ჯ. ჯაყელმა 1972 წელს).

ჯ. ჯაყელი ამასთან დაკავშირებით თვლის, რომ ეს წეს-ჩვეულება ახლოსაა უძველეს ქართულ ტრადიციებთან და აღნიშნავს: „ფოლკლორმა ლექსის სახით ვერაფერი შემოგვინახა ქვაკაცებზე, მაგრამ თქმულება-გადმოცემები მათი წარმოშობის მიზეზად მექორწილეთა, ნეფე-დედოფლის გაქვავებას ასახელებენ. ამიტომ, იცოდნენ რა, ღმერთთან ისაა მანძილით ახლოს, ვინც მაღალ მთაზე ავაო, სწორედ აქ ქმნიდნენ სამლოცველო კერპებს, სწირავდნენ შესაწირებს, ლოცულობდნენ და ევედრებოდნენ. სწორედ ამისი დადასტურება და რეალური მაგალითი უნდა იყოს ქვაკაცების არსებობა, რომელთა ფესვებიც უფრო შორეულ წარსულში უნდა ვეძიოთ, ვიდრე სამლოცველო ნიშნებისა (ჯაყელი, 1975: 63).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა, სოფელ ვერნების მკვიდრ ხასან ზექერიას ძე აბაშიძის ნაამბობი: „ერთი კაცი წასულა ჰაჯ. მისთვის უთქვამთ, – ჰაჯ წასვლას აგერ წელათში რომ დიდგორია, იქ

ასულიყავ და გელოცა, უფრო დიდ მადლს მეიგებდიო. დაბრუნებულს ყველაფერი აქაურებისთვის უთქვამს. მის მერე ჰაჯ არავინ არ მიდიოდა. ამ სოფლიდან ყველა დიდგორზე ადიოდა. აქაურები ზიარეთ იჯება და მადლი მოსაგებად **დიდგორზე** წელიწადში ერთჯერ ადიოდნენ. იქ ილოცავს, ღმერთს შეეხვეწება, – კარგად მიმყოფე ჩემი ოჯახი, კარგი მოსავალი მომეცი, კარგი ამინდები წეიყვანე მოსავლისთვისო. კტრებსაც ახსენებენ“ (თანდილავა, 1974: 17).

ინფორმატორი ასევე ხაზს უსვამს და ერთმანეთისგან მიჯნავს მუსლიმანური რელიგიის მსახურებისა და წმინდა მთაზე ასვლის დანიშნულებას, იგი ამბობს: „ეს ლოცვა რომ კაცმა ჯამეში შეასრულოს არ იქნება. ჯამეში ხოჯა ლოცვილობს და სხვა ამინ იტყვის. შენ რა გინდა, ხოჯამ რა იცის; ის ერთნაირად ლოცვილობს ყუელთვინ. ცალკე კაცს კი როცა უნდა, დიდგორაზე ეხვეწება გამჩენელ ღმერთ“ (იქვე). მთქმელს დასტურად ასეთ ფაქტი მოუტანია: „აქ ამოსული და მლოცავი ბარსამი მინახავს. გუშინ ტომაშეთელი ორი კაცი ამოვდა და ილოცაო“. ეს გადმოცემა უთუოდ სინამდვილეს წარმოადგენს და ეჭვი არ არის, „ქვაკაცები“ ადრე სალოცავ კერპებს წარმოადგენდნენ და გარკვეული ფუნქციაც ჰქონდათ... (თანდილავა, 1974: 17).

XX საუკუნის 70-იან წლებში, ჩაწერილი ხალხური მასალის მიხედვით, შუბანში, ზაფხულში სოფელ დარჩიძეების მკვიდრნი ადიოდნენ მაღალ მთაზე, რომელსაც **„სამელია სერი“** ერქვა. ამ მთას ზაფხულობით სტუმრობდნენ, მიჰყავდათ ცხვარი ან სხვა შესაწირი, იქ კლავდნენ და ღმერთს ამინდის გამოსვლას, ოჯახურ ბედნიერებასა და ღვთის წყალობას ევედრებოდნენ (მთქ. ნ. ცეცხლაძე, დაბ 1942 წ. სოფ. დარჩიძეებში მცხ. ქ. ბათუმში. შ. ცეცხლაძე, დაბ 1940 წ. სოფ. შუბანი მცხ. ქ. ბათუმში ჩავ. 2012 წ. პირადი არქივი).

„აჭარაში ქართული ხალხური აგრარული კალენდრის ყველა ეტაპი და დღესასწაული არააშემორჩენილი, მაგრამ ფრაგმენტული სახით მაინც ფიქსირდება მათი უმრავლესობა (ლომთათიძე, 2014:171).

„რიტუალური ჩამოვლის ჩვეულება და შესაბამისი ლექსიმღერების წარმოთქმა კალენდარული საწესჩვეულებო პოეზიის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს (გიორგაძე 1993: 23).

ამავე მოსაზრებას იზიარებენ მკვლევრები მამია ფაღავა და ნუგზარ მგელაძე: „აჭარაში ჩვეულებათა ერთი ნაწილი წარმართობის წიაღშია ჩასახული, თუმცა, როგორც ეკლესია, ასევე ქართული ტრადიციული ეთიკა მუდამ სუბორდინაციის დაცვას ცდილობდა და შემწყნარებლობის ფონზე ტრადიციულისა და საეკლესიო ნორმების შესატყვისობაში მოყვანასაც არ გამორიცხავდა. ამის დასასაბუთებ-

ლად აჭარაში მრავალი კონკრეტული წყარო არსებობს, მაგრამ ამჯერად საკმარისია „ლაზარობის“ ტრადიცია დავასახელოთ, რომელიც თავისი შინაარსითა და არსით ძირითად მონახაზებში წარმართულია, მაგრამ ასევე ცალკეული ნიშნით ქრისტიანულ ელემენტებს ინარჩუნებს და თვით ამ ჩვეულების სახელწოდებაც ქრისტიანი წმინდანის ლაზარეს სახელს ატარებს“ (მგელაძე, ფაღავა, 1999: 142).

ქვაკაცებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანი კვლევები ჩაუტარებია მკვლევარ ზ. თანდილავას საველე მასალების საფუძველზე იგი ასკვნის: „ქვაკაცების“ თავდაპირველი ფუნქცია უშუალო კავშირში უნდა ყოფილიყო ლაზარობის წეს-ჩვეულებებთან, ამინდის მაგიური მართვის რიტუალებთან. თუ ეს ასეა, ეგებ ქვაკაცები ღვთაბადაც იყო მიჩნეული, ან ამინდის თუ წყლის გამგებლის სიმბოლურ გამოხატულებას წარმოადგენდა, ისე როგორც ვეშაპ-ვეშაპოიდი. თუმცა ავტორი იქვე დასძენს: „არც ისაა გამორიცხული, რომ „ქვაკაცა“ უკავშირდებოდეს ქვის კულტს, რასაც ლაზარობის რიტუალებში გარკვეული ადგილი უჭირავს“ (თანდილავა, 1974: 18).

ფაქტია ისიც, რომ აჭარაში რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული თქმულებები კონტამინირებული სახით გვხდება.

საინტერესოა გადმოცემა **„სარმიყელის“ მთაზე არსებულ ქვაკაცებზე**, რომელიც სიძე-რძალს უკავშირდება. ამ გადმოცემის მიხედვით, მთა გვანცას ასული, კარჩხალის ვაჟზე დაწინდული ხინოსათვის მიუთხოვებიათ. კარჩხალამ ეს ვერ აიტანა და ღმერთს სიძე-პატარძლისა და მაყრიონის გაქვავება შესთხოვა, რაც ვითომ აღსრულდა კიდეც – გვაუწყებს ალ. ქათამაძისა და სხვათა ჩანაწერები (ქათამაძე, 1940: 13).

თქმულების უფრო ადრეული ვერსიაა დაცული ჟან მურიეს ჩანაწერებში. ქედის რაიონის სოფელ დანდალოს „ხიდის ერთ-ერთ ბურჯზე თითქოს ადამიანის ფეხის კვალი ჩანს“. აჭარლების მონაყოლის საფუძველზე, იგი თავის ნაშრომში „ბათუმი და ჭოროხის აუზი“ წერდა: „კარჩხალის ერთ მოსახლეს უნდა შეერთო გვანცელი ქალიშვილი, პატარძალი საქმროს სახლში ერთი გვანცელი ვაჟკაცის ცოლის თანხლებით მოვიდა, რომელიც მასავით ლამაზი იყო. დედამთილს, რომელიც მათ კარის ზღურბლზე შეხვდა, ცუდად ენიშნა ეს ამბავი და ორივე დასწყევლა, ორივე უმალ გაქვავდა. ისინი არიან სწორედ ის ორი ქვის კონუსი, რომელიც კარჩხალის მაღლობზეა აღმართული. „იაველად“ წოდებული პატარძლის ამხანაგის ქმარი ვერ შეურიგდა მეუღლის დაკარგვას, იგი ყოველდღე ადიოდა, გვანცას მთის მწვერვალზე, უყურებდა თავის გაქვავებულ ცოლს და გოდებდა. ვაჟკაცის მოთქმა არყევდა მთასა და ბარს, მოსვენებას არ აძლევდა მოსახლეობას. შეშინებული დედაკაცები მშობიარობის უნარს კარგავდნენ, ხო-

ლო მამაკაცები უძლურდებოდნენ. მაშინ გამოჩნდა **„ქედელაურად“** წოდებული ვაჟკაცი, რომელმაც დაავლო ხელი იაველას (კაცი რომელიც ვალალებს), ჯაჭვით შეკრა, გადაიყვანა ხიდზე და იქ ერთ ადგილს მიაჯაჭვა, რომელსაც დღესაც „საბელაურს“ ეძახიან. **„იაველა“** დაჰპირდა გმირ ქედელაურს, ამ ქვეყანას აღარ შევაწუხებ გოდებითო და ჯაჭვის ახსნისთანავე დაჰკრა ფეხი ხიდის ბურჯს, გადაახტა გვანცას მთას და სამუდამოდ დაიკარგა. მისი ნატერფალი კი ქვაზე დარჩა. მეორე გმირის სახელი სოფელმა ქედელაურმა შემოინახა“ (მურიე, 1962: 40).

დღეისათვის ეს თქმულება სახეცვლილადაა შემორჩენილი. მთქმელი კონტამინირებული ფორმით წარმოგვიდგენს გვანცა-ლელას ფოლკლორულ სახეს. ინფორმატორის თხრობით: „გვანცა-ლელას იმხელა გუდუდგმია ფეხი, რომ ერთი ფეხი გვანცას მთაზე და იქიდან მეორე ფეხი საბელაურში დუუდგამს. საბელაურში მისი ფეხდანადგამი ახლაც ეტყობაო (მთქმ. ე. ცინცაძე. ქედის რაიონის მკვიდრი, 67 წ., ჩავიწერე 2007 წ. პირადი არქივი).

„გვანცა-ლელა“ ეწოდება ადგილს, რომელიც ქედის რაიონის სოფლების, დანდალოსა და ბალაძეების ტყეში მაღალ ქედზე მდებარეობს. თქმულების სხვა ვერსიით, გვანცა და ლელა ბალაძეების მთის ფერდობზე, პატრიოტული სულისკვეთებით აღსავსენი დაღუპულან (ჩელებაძე, მიქელაძე, 2016: 386-387).

ამავე ციკლის თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი უკავშირდება **ნაჯვარევის ეტიმოლოგიას**, რომელიც გვანცას მთასთან ახლოს მდებარეობს – ქედის რაიონის სოფელ ტაკიძეებში, ივანესა და ბაგრატაულის უბნებს შორის. ამ ვარიანტში გვანცა-ლელას სახელი, თავისი გმირობით, ზოგადქართულ ქალმოწამეების სახელს უერთდება (ქათამაძე, 1940: 13).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა კვლევის თვალსაზრისით წარმართულ ეპოქის ნაშთები, იმავე სახელებთან დაკავშირებულ ლეგენდები, რომლებშიც იგივე პერსონაჟები სხვა ეპოქის შვილები, სხვა მოვალეობისა და დანიშნულების შინაარსის მატარებელი ქალბატონები არიან. ქედის რაიონის სოფელ ნამონასტრევის ქედზე, კლდიან ადგილს „გვანცა-ლელას გაქვავებულ მაყრიონს ეძახიან. როგორც სოფელ დანდალოს მკვიდრთა დახასიათებით: „დედამთილის ქმარს თურმე მეორე ცოლი მოყავდა, ეს ამბავი მისი სახლის რძალს ძალიან უხაროდა. დედამთილს დუუწყევლია მისი რძალი და მაყრიონი ღმერთმა გაგაქვავოსო. ღმერთს შუუსმენია და იქ მოსული მაყრიონი გუუქვავებია (მთქმ. სურიე ავალიანი, სოფელ დანდალოში, 77 წ. ჩავიწერე 2011 წ. პირადი არქივი).

ანალოგიურია თურქეთში მცხოვრები მუჰაჯირების ნაამბობიც: „ანაი (დედა – ნ. მ.) იტყოდა: კარჩხალელამ ბანცალელას (<გვანცა-ლელას – ნ. მ.) ქალი მიცეს. მოვდენ მაყრები კარჩხალზე. დოდოფალ-მა გულში გეირუნია: ღმერთო, ჩემ მიყუანამდი დედამთილი მოკალიო. მეგომ დედამთილი ევლია (გულთმისანი – ნ. მ.) იყო და შეიტყვა. იმანაც დაწყევლა: – ჰაცა ხართ, ღმერთმა იქ ქუასევით გაქხადონო. გერჩექ (მართლაც – ნ. მ.) გაქუავდენ დადიები და დოდოფალი ტყვიან, ახლაც დგარან ქვაინსნებიო (მთქმ. სულტან და საბრი იავუზები (ფუტკარაძეები), სულტან სეზერი (ტაკიძე) – (ფუტკარაძე, 1993: 144).

ისტორიული ბედუკუღმართობის მიუხედავად, მუჰაჯირებში დღე-საც დაცულია მსგავსი აჭარის ფოლკლორული ნიმუშები. ეს იმაზე მიუთითებს, რომ გვანცა-ლელა არა მარტო ამ კუთხის, არამედ ზო-გადქართული ფოლკლორის სახე-სიმბოლოს წარმოადგენენ. მათი გმირულ-წარმართული სახეები კი უძველეს მითოლოგიურ წარმოდგე-ნებს უკავშირდება.

Naile Mikeladze
Senior Scientific worker at N. Berdzenishvili Institute;
A lecturer at Tbel Abuserisdze universiry

One toponym of ancient religious-cult origins

Summary

The legends about stone people are still alive in the Georgian folklore. Some of them have penetrated even into the Georgian literature. Everyone, natives or foreigners, believed in the existence of mysterious power and heavenly origin of stone people. And adjara, as well, was not an exception. There are a lot of legends and folk stories connected with stone animistic cult.

The following high mountains are the location of stone people: Karchkhali, Perangha, mount Arssiani, etc. The legend about stone people on the “Sarmikeli” mountain is very interesting. It tells about tragedy of a bride and bridegroom. On the mountain range of village Namonastrevi in Keda region the rocky spot is called “petrified best men of Gvantsa-Lela”

One of the versions of this cycle are still preserved in banished Georgians in Turkey. The above-mentioned topic also concerns to the history of “Gvantsa-Lela’s” stone people.

ლიტერატურა

1. ბაქრაძე 2004: ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი: რედაქტორი ლ. ბაქრაძე, წინასიტყვაობა და რედაქტორობა როსტომ ჩხეიძის– ლომისი, თბილისი.

2. გიორგაძე 1993: გიორგაძე მარინა, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულობო პოეზია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, XI, გამ. „მეცნიერება", თბილისი.

3. გოთუა 1982: გოთუა ლევან, მითრიდატე, ტომი VI, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", თბილისი.

4. 1981: დიასამიძე გ, სამხრეთ საქართველოს ისტორიული და ეთნოგრაფიული საკითხები თბილისი.

5. **თანდილავა 1974:** ლაზარობა და ქვაკაცები აჭარაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. I. გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

6. **კოტეტიშვილი 1961:** კოტეტიშვილი ვახუშტი, ხალხური პოეზია, თბილისი.

7. ლომთათიძე 2014: ლომთათიძე თ. ხალხური აგრარული კალენდარული წეს-ჩვეულებები აჭარაში, გამ. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათუმი

8. მგელაძე 1999: მგელაძე ნუგზარ, ფაღავა მამია, ანდრია პირველწოდებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში და კულტურული მემკვიდრეობის საკითხები აჭარაში, ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა", №3, ბათუმი.

9. ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შუშანა, ჩვენებურების ქართული, აჭარის ჭურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი.

10. ქათამაძე 1940: ქათამაძე ალექსანდრე, ხელნაწერთა ფონდის ხელნაწერები– „ხინოს ისტორიულ- ეთნოგრაფიული მიმოხილვა.

11. ჩელებაძე, მიქელაძე 2016: ჩელებაძე ნ. მიქელაძე ნ. გვანცა - ლელას თქმულებასთან დაკავშირებული ზოგიერთისაკითხისათვის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი, ჩვენი სულიერების ბალავარი,VIII. ბათუმი.

12. ჯაყელი 1975: ჯაყელი ჯემალ, ფოლკლორული ტრადიცია ალ. ყაზბეგის შემოქმედებაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, ტ. II გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი.

შოთა ზოიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

პოეტი-ბარდი ბულატ ოკუჯავა

1997 წლის 12 ივნისს, 73 წლისა, პარიზის გარეუბნის სამხედრო ჰოსპიტალში, გრიპის ინფექციით გარდაიცვალა ქართული წარმოშობის რუსულენოვნი მწერალი – პოეტი, პროზაიკოსი, კომპოზიტორი და საქვეყნოდ აღიარებული ბარდი ბულატ ოკუჯავა. მისი მეუღლე ოლგა არციმოვიჩი იტყვის, რომ ბულატი მარტოობით დაიღუპა. რუსებმა იგი პარიზიდან მოსკოვში ჩარტერული რეისით გადაასვენეს და ანდერძის თანახმად, ვაგანკოვის სასაფლაოზე, მისი ძვირფასი დედის, აშხენ ნალბანდიანის გვერდით დაკრძალეს. ვაგანკოვზე განისვენებს, ასევე, რუსული პოეზიის მთრთოლვარე სიმი სერგეი ესენინი. აღსანიშნავია, რომ იმ დღეებში რუსეთის პირველი არხი (ОРТ) თავის მთავარ საინფორმაციო გამოშვებას (Время) ბულატ ოკუჯავას ნეკროლოგით იწყებდა.

ბულატ ოკუჯავა უფრო ადრე გავიცანი, ვიდრე მისი ლექსები. რა თქმა უნდა, გარკვეული წარმოდგენა მქონდა მის სიმღერებზე, მით უმეტეს, ძალიან პოპულარული იყო ანდრეი სმირნოვის ფილმი (Белорусский вокзал), რომელშიც სრულდება ბულატ ოკუჯავას სიმღერა («Здесь птицы не поют»). იმ წლების მოსკოვში დადიოდა ხმები, რომ ეს ფილმი და, განსაკუთრებით, სიმღერა ძალიან ჰყვარებია ბრეჟნევს. როცა ოჯახში მაღალი რანგის სტუმრები ჰყავდა, ხშირად იწვევდა ბულატს თავისი განუყრელი გიტარითურთ. ეს იყო გასული საუკუნის 70-იანი წლები. მე იგი გიორგი ლეონიძის მეგობარმა, მთარგმნელმა ზინაიდა შატალოვამ, 1975 წელს, ლიტერატორთა ცენტრალურ სახლში (ЦДЛ) გამაცნო. აქედან მოყოლებული, არაერთხელ შევხედრივართ ერთმანეთს ფინჯან ყავაზე, ქართულ საფერავსა თუ სომხურ კონიაკზე. მაშინ ამისთვის უფრო მეტი საშუალება იყო. მისი ლექსების წიგნი, რომელიც პირველად აღმოჩნდა ჩემს ხელში, 1976 წელს, „სოვეტსკი პისატელის“ მიერ გამოცემული კრებულია (Арбат, мой Арбат), რომე-

ლიც 35 კაპიკი ღირდა და შავ ბაზარზე 60 მანეთად შეიძლებოდა მისი შეძენა. კარგად დამამახსოვრდა „კნიუნაია ლავკა“ კუზნეცკის ხიდის ქუჩაზე, 18 ნომერში, სადაც სამშაბათობითა და პარასკევობით ახალი გამოცემები გამოჰქონდათ. მის შორიახლო ქორვაჭრები ირეოდნენ. მათგან ნებისმიერ ახალ წიგნს შეიძენდი. ხსენებულ მაღაზიაში შესვლა მხოლოდ მწერალთა კავშირის წევრის მანდატით შეიძლებოდა. აქ ბევრი მნიშვნელოვანი გამოცემა შევიძინე, მათ შორის, ბულატ ოკუჯავას ლექსთა კრებულიც. მოგვიანებით, ეს წიგნი ავტოგრაფით თავად მისახსოვრა. რახან ჩემს ხელთ ორი ეგზემპლარი აღმოჩნდა, ერთ-ერთი მოსკოვში ჩემთან სტუმრად მყოფ პოეტესას ირაიდა პატეხინას ვაჩუქე. სამწუხაროდ, შეცდომით ავტოგრაფიანი წიგნი გავატანე. სამი წლის შემდეგ საქართველოში მარინისტ მწერალთა ჯგუფთან ერთად ჩამოვიდა. მარინისტი მწერლები, როგორც საზღვაო ქალაქს, ბათუმსაც ეწვივნენ. ირაიდა პატეხინამ გამოიჩინა გულისხმიერება და ავტოგრაფიანი წიგნი პატიოსნად დამიბრუნა.

ბულატ ოკუჯავას უკანასკნელად 1979 წლის ნოემბერში შევხვდი. ბობოყვათის პანსიონატ „მშენებელში“ გაიმართა მწერალთა საკავშირო შეკრება თემაზე „ქართული ისტორიული პროზის თანამედროვე ძიებანი“, რომელშიც ბულატიც მონაწილეობდა. ინტერვიუში აღნიშნა, რომ აჭარაში მესამედ იყო. პირველად ჩამოსულა ბავშვობაში ნათესავებთან. მეორედ, ომის დროს, რამდენიმე თვით ბათუმის პოლკში უმსახურია და მესამედ ჩამოვიდა, როგორც მწერალთა საკავშირო შეკრების მონაწილე.

ბულატ ოკუჯავა, როგორც უკვე გითხარით, ქართული წარმოშობის რუსულენოვანი მწერალია. მამამისი შალვა ოკუჯავა პარტიული მუშაკი იყო, ხოლო დედა – ეროვნებით სომეხი და ურყევი ბოლშევიკი აშხენ ნალბანდიანი. ბიოგრაფების თქმით, იგი პოეტ ვ. ტერიანის ნათესავი გახლდათ. ბულატი ორჯერ იყო ქორწინებაში. პირველ მეუღლე გალინა სმოლიანინოვასთან ვაჟი (იგორი) და ქალიშვილი შეეძინა. გოგონა ადრეულ ასაკში გარდაიცვალა. მეორე მეუღლე – ოლგა არციმოვიჩი ცნობილი მეცნიერის ლევ არციმოვიჩის ძმისწული იყო. 1965 წელს ვაჟი (ანტონი) შეეძინა, რომელიც კომპოზიტორი გახდა.

ბულატი დაიბადა 1924 წლის 9 მაისს, მოსკოვში, ბოლშაია მოლჩანოვკაზე, გრაუერმანის სამშობიარო სახლში. მაშინ შალვა ოკუჯავა კომუნისტურ აკადემიაში პარტიულ განათლებას ეუფლებოდა. რომანი „გაუქმებული თეატრი“, ანუ საოჯახო ქრონიკა, წინაპრების გახსენებით იწყება:

„გასული საუკუნის შუადროს პაველ პერემუშევი, ოცდახუთი წლის ასაკში სალდათის სამსახურის მოხდის შემდეგ (აქ მთარგმნელის შეცდომაა. უნდა იყოს 25-წლიანი სალდათად ნამსახურის შემდეგ – შ.ზ.) გამოჩნდა საქართველოში, ქუთაისში, იქ ჯარში ნამსახურობის გამოისობით მიწის პატარა ნაკვეთი მიიღო და თერძობას მოჰკიდა ხელი. იმის თაობაზე, თუ ვინ იყო ის – ძირძველი რუსი, მოლდოველი თუ კანტონელთაგანი ებრაელი – არც ცნობა შემორჩა და არც დაგეროტიპები. მაგრამ ვიცით, რომ ის დაქორწინდა თვინიერ სალომე მეძმარიაშვილზე და ეყოლათ სამი ქალიშვილი: მაკრინე, ფეოდოსია და ელიზავეტა. სამივე გამხდარი, ნაცრისფერთვალება, გამრჯე იყო – ეტყობა, მამას დაემსგავსნენ. მაკრინე მისთხოვდა მაქსიმე კიკვაძეს, ფეოდოსია – ეპიფანე გიორგაძეს, უფროსი ელიზავეტა – სტეფანე ოკუჯავას და მათ ეყოლათ შვილები: მაკრინეს – გიორგი (გაგი) და ვასილი, ფეოდოსიას – გრიგოლი, ელიზავეტას, ლიზა ბებიას კი, – ვლადიმერი, მიხეილი, ალექსანდრე, ნიკოლოზი, ოლგა, მარია, შალვა და ვასილი. ამ ვასილს, მაკრინეს შავი ვაჟისაგან განსხვავებით, თეთრი შეარქვეს. მაკრინე და მაქსიმე ბათუმში დასახლდნენ, ფეოდოსია და ეპიფანე თბილისში, ელიზავეტა და სტეფანე კი ქუთაისში პავლე პერემუშევის სახლში ჩარჩენ და ჩარჩენ.“

რომანის შესავალში ნახსენები ელიზავეტა პერემუშევა და სტეფანე ოკუჯავა შალვას მშობლები და ბულატის ბებია და ბაბუა იყვნენ. აქედან იწყება ამ ტრაგიკული ოჯახის ისტორიაცა და ოდისეაც. სტეფანე ოკუჯავას ელიზავეტა პერემუშევამ 8 შვილი აჩუქა. მათ შორის, შემდგომში ბულატის მამა შალვა ოკუჯავა. მოსკოვიდან, ბულატის დაბადების შემდეგ, შალვა კავკასიაში ქართული დივიზიის კომისრად გამოამწესეს. დედა კი მოსკოვში პარტიულ სამუშაოზე დარჩა. შალვას ძმები რევოლუციონერები იყვნენ, ვლადიმერი დაახლოებული იყო ლენინთან. მიხეილი და ნიკოლოზი მე-11 არმიის შემადგენლობაში ჩანან. შემდგომ სამივე ტროცკისტობის ბრალდებით დახვრიტეს. შალვა მალე თბილისის ქალაქკომის მდივნად დააწინაურეს. ბერიასთან კომფლიქტის გამო, სერგო ორჯონიკიძის დახმარებით, ურალში, პარტიულ სამუშაოზე გადავიდა, მალე ნიჟნი ტაგილის ქალაქკომის პირველი მდივანი გახდა და ოჯახიც იქ გადაიყვანა. 1937 წელს დააპატიმრეს და 4 აგვისტოს დახვრიტეს. შალვა ოკუჯავა „ურალვაგონმშენის“ ქარხნის დირექტორის ლ.მ. მარიასინის ჩვენების საფუძველზე დაიჭირეს, თითქოს 1934 წლის აგვისტოში, შალვა ოკუჯავასთან ერთად მძიმე მრეწველობის სახალხო კომისრის სერგო ორჯონიკიძის ქარხანაში სტუმრობის დროს, მასზე თავდასხმას აწყობდნენ. შალვას სიკვდილის შემდეგ, ბულატის დედა და ბებია ნიჟნი

ტაგილიდან მოსკოვში გადავიდნენ. ცხოვრობდნენ არბატის ქუჩაზე, ორმოცდამესამე ნომრის მე-12 კომუნალურ ბინაში. 1938 წელს დედაც დააპატიმრეს და ყარაგანდის ბანაკში გადააგზავნეს, საიდანაც ძალიან გვიან დაბრუნდა. ამის შესახებ ინტერნეტში ორი თარიღი ფიგურირებს – ზოგი 1947 წელს, ზოგი – 1957 წელს ასახელებს. სარწმუნოა 1957 წელი. დედის თბილისში დაბრუნება და მასთან შეხვედრა ბულატს აღწერილი აქვს ესეში, რომელსაც მშვიდად ვერ წაიკითხავ. ბულატი 1940 წლიდან თბილისში ნათესავებთან ცხოვრობდა. სწავლობდა და მუშაობდა. 1942 წელს, 18 წლისა, IX კლასის მოსწავლე მოხალისედ ფრონტზე წავიდა. ორი თვის შემდეგ მოზდოკთან დაიჭრა. 1944 წლიდან, ჯანმრთელობის გამო, დემობილიზაციაშია. ექსტერნად დაასრულა სკოლა და თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. 1950 წლიდან კალუჟსკის ოლქის სოფელ შამორდინოს სკოლის მასწავლებელია.

პირველი ლექსები ა. დოლჟენოვის ფსევდონიმით დაბეჭდა. პირველი სიმღერაც ფრონტზე დაწერა. ლექსების პირველი წიგნი („ლირიკა“) 1956 წელს გამოსცა. 1956 წლიდან, მშობლების რეაბილიტაციის შემდეგ, მოსკოვშია. აქედან იწყება მისი პოეტური, მუსიკალური და საშემსრულებლო ხელოვნების ახალი ეტაპი. ამ პერიოდში შეიქმნა საქვეყნოდ აღიარებული „სენტიმენტალური მარში“, „სიმღერა შუაღამის ტროლეიბუსზე“, „სიმღერა კომკავშირელ ღმერთქალზე“ და ბევრი სხვა.

ბულატ ოკუჯავა, როგორც საკუთარი სიმღერების შემსრულებელი, პიონერია. მის კვალდაკვალ ვისოცკი, გალიჩი და როზენბაუმი გამოჩნდნენ. ზოგი თვლის, რომ ოკუჯავას ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ზოგსაც მიაჩნია, რომ მისი ხმა რბილი იყო. მე ცოცხალი შესრულებით მომისმენია იგი და მიგრძვნია ხმის ხავერდოვნება და სირბილე. თუ ვინმეს ჩახლეჩილი ხმა ჰქონდა, ეს ვისოცკი იყო. ბულატის კრიტიკოსები, დაინტერესებული პირები ამბობენ, რომ გაორებული პიროვნება ყოფილა. მე კი მიმაჩნია, რომ მაშინ დრო იყო გაორებული. ადამიანი, რომელსაც მამა და ბიძები დაუხვრიტეს, დედა გადაუსახლეს და ცხრამეტ წელიწადს ყარაგანდის ბანაკი ახეხინეს, კომუნისტურ გაზაფხულს ვერ დაიჯერებდა და მით უფრო – ვერ უმღერებდა. მიუხედავად ამისა, იგი სამამულო ომში მონაწილეობდა, აკი გითხარით – მე-9 კლასის მოსწავლე მოხალისედ წავიდა-მეთქი და იბრძოდა, როგორც თავისი ქვეყნის ერთგული პატრიოტი. პირველი სიმღერა (იგი აქამდე აღარ მოღწეულა) ფრონტის ცხელ ხაზზე შექმნა და სამშობლოს სიყვარულის იდეებს ნერგავდა. მე ნამდვილად არ ვიცოდი, რომ იგი კომპარტიის წევრი იყო და არც ის, რომ გაურიცხავთ. მეორე

ვერსიით, 1989 წელს თავისი ნებით გასულა პარტიიდან. მკვლევარი სოსო სიგუა წერს, რომ გიორგი ლეონიძეს, რომელსაც ძმა და ცოლისძმა დაუხვრიტეს, სჯეროდა კომუნისტური გაზაფხულის. მე არა მგონია, რომ ეს ესადაგებოდეს ბულატ ოკუჯავას ცხოვრებასა და შემოქმედებას. მიუხედავად ამისა, ვერავინ იტყვის, რომ იგი თავგადაკლული დისიდენტი იყო. რაც შეეხება მის დევნას, ვფიქრობ, გადაჭარბებულია. ეს თუ იყო, იგი სისტემური მოვლენა გახლდათ და ყველა ადამიანს შეეხო, მით უმეტეს, გამოჩენილ პიროვნებებს. ბულატი თავისუფლად გადაადგილდებოდა უცხოეთში, მათ შორის, კაპიტალისტურ ქვეყნებში. არა მარტო გადაადგილდებოდა, თავის ნაწარმოებებსაც თავისუფლად აქვეყნებდა, რაც სულ სხვას გვეუბნება. უცხოეთში დარჩენაც შესთავაზეს, მაგრამ, როგორც თავად ამბობს, არ შეეძლო „მშობლიური ტალახის“ გარეშე ცხოვრება. ზოგჯერაც თავს იმდაბლებს, მე მოსკოვური ჭიანჭველა ვარო, ეტყვის ჟურნალისტებს. ბრეჟნევი პატივს რომ მიაგებდა მის სიმღერებს, ესეც რეალურია. გარდა ამისა, დევნილ პოეტს „მოლოდაია გვარდიის“ რედაქტორად არავინ დანიშნავდა. რომანი „დილეტანტის მოგზაურობა“ ავტობიოგრაფიულია და მწერალი ამირან ამილახვრის პირით ფარდას ხდის იმ ტრაგიკულ მოვლენებს, რაც მის ოჯახს და მშობლებს, მის ბავშვობას დაატყდა თავს. „გაუქმებული თეატრი“ კი უაღრესად მნიშვნელოვანი ლიტერატურული ფაქტია, რისთვისაც ბუკერის პრემია მიანიჭეს. „უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ბულატ ოკუჯავას რომანი „გაუქმებული თეატრი“ დიდი პროზაა. ეს ზედმიწევნით კარგად იციან მთელ რუსეთში, და არა მარტო იქ, – ყველგან, სადაც კი რუსული ლიტერატურა ჰაერივით სჭირდებათ! გულსატკივარია, რომ ბულატ ოკუჯავას ბრწყინვალე პროზას და მისი ბევრი ნიშნით უნიკალურ პოეზიას მისი სამშობლო – საქართველო ნაკლებად იცნობს. რატომ? თუნდაც იმიტომ, რომ ის არ იცნობს „გაუქმებულ თეატრს“. წაიკითხეთ ეს რომანი და თვალნათლივ ნახავთ, ის თხემით ტერფამდე ქართველის, ჩვენი დიდი მამულიშვილის წიგნია. ესაა პიროვნების, საზოგადოების, ქვეყნის უდიდესი ტრაგედიის ამსახველი მხატვრული მატიანე. და მაინც, ის ძალზე შთამბეჭდავად გვიჩვენებს, ჯოჯოხეთშიც კი როგორ შეიძლება გადარჩეს ადამიანის, პიროვნების სული! მასში თუნდაც გალაკტიონის ხაზი რად ღირს! ესაა გალაკტიონის ისტორიის კონტექსტში განფენილი დიადი სულის სიღრმეების არაჩვეულებრივი ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური ძალით წარმოჩენა. თქვენ ძვირფასი წიგნი გიჭირავთ ხელში“ (ჯ. თითმერია).

არ შეიძლება არ დაეთანხმო მთარგმნელის ამ შეფასებას. ბულატის მამიდა ოლია ოკუჯავა, რომელიც გალაკტიონის მეუღლე

გახლდათ, გადაასახლეს და 156 პოლიტპატიმართან ერთად (პატიმრებს შორის 87-ე ნომერი იყო), 1941 წლის 11 სექტემბერს, ქალაქ ორიოლიდან 30 კმ-ის დაშორებით, მედვედევის ტყეში დახვრიტეს სხვა პატიმრებთან ერთად. ეს ის დროა, როცა გერმენელები წარმატებას აღწევდნენ ფრონტის ხაზზე და მაღალი იყო მათ მიერ პოლიტპატიმრების ხელში ჩაგდების რისკ-ფაქტორი. სხვა სიტუაციაში, შეიძლებოდა არც კი დაეხვრიტათ. „გაუქმებული თეატრი“ ეს არის რუსულად დაწერილი ქართული რომანი. ბულატი შინაგანად თავისუფალი პიროვნება იყო და თავისი ქართველობა არასოდეს შეუფუთავს უცხოთა, გნებავთ, რუსების თვალის ასახვევად. მისი ანდერძი, დედის გვერდით დამასაფლავეთო, ქართული ხასიათის მკვეთრი გამოვლენაა. საკუთარი წარმომავლობის შეფუთვის ტენდენცია ბორის აკუნინთან უფრო თვალსაჩინოა. ისიც ნათელია, რომ ქართულთან შედარებით, რუსული ენა მწერლებს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლის მეტ შანსს აძლევს. ამისათვის ბულატ ოკუჯავას და ბორის აკუნინის მაგალითიც კმარა. რამდენადაც ვიცი, აკუნინს არაფერი გაეგება ქართულის. ერთხელ ბულატს ქართულად გამოველაპარაკე. მართალია, რუსულად გამომეპასუხა, მაგრამ ჩემი ნათქვამი კარგად გაიგო. ჩემი ფიქრით, ეუხერხულებოდა დამტვრეული ქართულით საუბარი, ამიტომაც არიდებდა თავს.

ისიც ფაქტია, რომ თავისთავს თავქარიან ქართველს უწოდებდა.

რაც შეეხება ცენზურას, ის მეტ-ნაკლებად თითქმის ყველა მწერალს შეეხო და ბულატი არ არის გამონაკლისი. აქ გამონაკლისი საერთოდ არ არსებობს. იგივე მთავლიტი შეეხო თვით გიგანტებსაც კი, მათ შორის, მიხეილ შოლოხოვს, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძეს, ბორის პასტერნაკს. ცენზურის ინსტიტუტი მეფის რუსეთიდან მიიღო ახალმა სისტემამ. XIX საუკუნეში მისი მსახვრალი ხელი მიწვდა პუშკინს, ტოლსტოის, დოსტოევსკის, გოგოლს, ჩვენში – ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთლეს, ვაჟა-ფაშველას, XX საუკუნეში – ახმატოვას, ესენინს, მაიაკოვსკის, ანა კალანდაძეს, მუხრან მაჭავარიანს. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ვაჟი (იგორი) დაეღუპა. იგი ნარკომანი იყო და ამის გამო ძალიან ნერვიულობდა. შვილის გარდაცვალებამაც, შეიძლება ითქვას, გატეხა მისი ისედაც შერყეული ჯანმრთელობა. ბულატ ოკუჯავა სიცოცხლის ბოლომდე ათეისტი გახლდათ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქრისტიანული კულტურის ნაწილი იყო. სიკვდილის წინ პარიზში მოინათლა და უფალთან წარსდგა, როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი. პოეტს, რომელიც საყოველ-

თაო სახალხო სიყვარულით იყო გარემოსილი, ცხადია, მოშურნეები და ავის მოსურნეები არ აკლდა. ზოგიერთი გამოჩენილი პოეტი ბულატის ლექსებს არ აღიქვამდა პოეზიად. ჩემი ყურით მომისმენია ერთერთი ძალიან პოპულარული რუსი პოეტისაგან, ოკუჯავას ლექსები ესტრადაზე კარგია, მაგრამ ქაღალდზე ასე არ აღიქმებაო. მე ამას მსუბუქი ფორმით გადმოგცემთ. ნათქვამი უფრო მძაფრი იყო. ღმერთმა შეუნდოს. იგი ახლა პერედელკინოში განისვენებს. არ ვიცი, თავად ბულატი როგორ აფასებდა იმ პოეტს, რომლის გვარს აქ შეგნებულად არ ვახსენებ. კაცია და ბუნება. ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ის პოეტი ოკუჯავასადმი მტრულად იყო განწყობილი. პირადი წყენაც გამორიცხულია. მეტსაც გეტყვით, მას არ მოსწონდა კი არა, ეჯავრებოდა ვისოცკის ლექსები. მე ბულატის პოეზიას აღვიქვამ როგორც თვითნაბად მოვლენას. იგი შორს დგას შაბლონური თემატიკისა თუ მხატვრული სახეებისაგან. მას საკუთარი ხელწერა აქვს. ჩვენი ცხოვრების ბევრი ყოფითი დეტალი გაააბსტრაქტულა, გაასაკრალურა და ორიგინალურ მეტაფორებში ჩასვა. უყვარდა პუშკინი და პასტერნაკი. თავისი პირველი ლექსები თბილისის სასტუმრო „ინტურისტში“ სწორედ პასტერნაკს წაუკითხა. დღეს ჩვენში ბულატის ლექსების თარგმნა საშური საქმეა. ჩემი ფიქრით, ამას, ცოცხალი რომ იყოს, ყველაზე უკეთ შოთა ნიშანიანიძე შეძლებდა.

ბულატ ოკუჯავა ქართული ემიგრანტული მწერლობის ნათელი სახეა.

მივმართავ კულტურის სამინისტროსა და თბილისის მერიას – თბილისურ სახლს, ყოფილი პასკევიჩის ქუჩაზე, სადაც ცხოვრობდნენ ბულატი და მისი მშობლები, გაუკეთდეს მემორიალი.

რუსმა ხალხმა მწერალს მოსკოვში ორი ძეგლი დაუდგა (პირველი – არბატზე). პერედელკინოში გაუხსნა სახელმწიფო მუზეუმი. ჩვენ კი, საქართველოში არ გვაქვს რუსთაველის მუზეუმი, მაგრამ ეს უკვე საუბრის სხვა თემაა.

Шота Зоидзе

Поэт, прозаик, бард грузинского происхождения

Р е з ю м е

Российский поэт, прозаик и композитор грузинского происхождения стал одним из самих ярких представителей грузинской эмигрантской литературы XX века. Родился 9 мая 1924 года, в Москве, в семье партийных работников. Его отец Шалва Окуджава и мать Ашхен Налбандян были репрессивованы в 1937 году.

Всенародную славу исполнителю принёс фильм А. Смирнова «Белоруский вокзал» (1970), в котором исполнялась песня на слова поета «Здесь птицы не поют».

Б. Окуджава автор лирических сборников: «Весёлый барабаншик» (1964), «По дороге к Тинатин» (1969), «Арбат, мой Арбат» (1976) и других.

В 60-ых годах опубликовал повесть «Будь здоров школяр». В последуюшие годы писал автографическую прозу («Путешествие дилетанта», «Упраздненый театр» и др.).

Булат Окуджава скончался в 1993 году. Похоронен на Вогонковской кладбище.

ლიტერატურა:

1. ბ. ოკუჯავა – „გაუქმებული თეატრი“, გამ. „სარი“, 2001 წ.
2. ბ. ოკუჯავა–„მე თავქარიანი ქართველი ვარ“, გაზ. „კალმასობა“, N2 (99), 2006 წ.
3. Б. Окуджава – «Арбат, мой Арбат», 1976 г. изд. «Советский писатель», 1976 г.
4. Б. Окуджава – «По дороге к Тинатин», Тб., 1964 г.
5. Б.Окуджава-«Путешествие дилетанта», М., 1979 г.
6. Д. Быков- «Булат Окуджава» (серия «Жизнь замечательных людей») М. «Молодая гвардия», 2009 г.
7. თ. ბუაჩიძე–„ბულატ ოკუჯავას ფენომენი“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 25 თებერვალი, 1983 წ.
8. „გვესაუბრება ბულატ ოკუჯავა“–გაზ. „აჭარა“, 12 ნოემბერი, 1979 წ.
9. ო. ოკუჯავა–„იგი გაბედული ბიჭი იყო“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 9 მაისი, 2004 წ.



ბულატ ოკუჯავა

ომარ მემიშიში
ფილოლოგიის დოქტორი

შერწყმული წინადადება ლაზურში

ქართულ გრამატიკებში შერწყმული წინადადება ცალ-ცალკეა გამოყოფილი, თუმცა შერწყმული წინადადების ცალკე გამოყოფაზე განსხვავებული თვალსაზრისებია გამოთქმული.

ქართულში შერწყმული წინადადების კვლევა ანტონ პირველიდან მომდინარეობს (ქართული ღრამმატიკა, 1985). ბ. ლემონჯავა აღნიშნავს, რომ „სხვადასხვა დროის გრამატიკოსები შერწყმული წინადადების სინონიმად განსხვავებულ ტერმინებს აცხადებდნენ: გაერთიანებული წინადადება, შეერთებული წინადადება, შეკავშირებული წინადადება და სხვა“ (ლემონჯავა, 1996:3). მ. თალაკვაძის აზრით, „შერწყმული“ მთლად მისადაგებული ტერმინი არ არის უნდა ერქვას ერთგვარწევრებიანი წინადადება (თალაკვაძე, 1975:239). განსხვავებული თვალსაზრისი აქვს ა. კიზირიას (კიზირია, 1953:203).

ტერმინი „შერწყმული წინადადება“ ა. შანიძეს ეკუთვნის და მანვე დაამკვიდრა ქართულში (შანიძე, 1939:9-10, 140). ქართულში შერწყმული წინადადება განიხილეს კიზირიამ, კვაჭაძემ, იმნაიშვილმა, ბურჭულაძემ (იხ. კიზირია 1959:203-237, კვაჭაძე 1977:222-245, იმნაიშვილი 1988:158-170, ბურჭულაძე 1979:148-151). მეგრულ–ლაზურში საკანდიდატო დისერტაცია მიუძღვნა ბ. ლემონჯავამ (ლემონჯავა, 1996). ავტორი გვთავაზობს შერწყმული წინადადების ახლებურ განმარტებას: „შერწყმულია წინადადება, რომელიც შედგება რამდენიმე ერთგვარი ან თანწყობით შეერთებული არაერთგვარი წევრისაგან (ლემონჯავა, 1996:9).

ქართულისა და მეგრულის მსგავსად, ლაზურშიც წინადადება შერწყმული შეიძლება იყოს მთავარი და არამთავარი წევრების მიხედვით.

შერწყმულ წინადადებაში ერთგვარ წევრთა შესაერთებლად გამოყენებულია მაერთებელი, მაჯგუფებელი, მაცალკევებული, მაპირისპირებელი კავშირები. (ე) დო (და) კავშირი შერწყმულ წინადადებაში აერთებს ორ ერთგვარ წევრს. მაგ.: არ იხოის, არ ბადი დო არ ხჩინი ქორტეენან (ჩიქობავა 1929:26) ერთ სახლში ერთი მოხუცი კაცი და ერთი მოხუცი ქალი ყოფილან; ოკულე მკდაფუ დო მთუთიქ კაკალი დოკანკეს (კარტოზია

1972:9) მერე ტურამ და დათვმა კაკალი დანაყეს; ჯოღოი დო მამულიქ ქუკუითქვეენან (კარტოზია 1972:12) ძაღლმა და მამალმა მოილაპარაკეს.

(ე)დო (და) ზოგჯერ წყვილ-წყვილად აერთებს ერთგვარ წევრებს: გიინიქ დო ჯოღოი დო კატუქ დო მამული ქაშო ყვეს (კარტოზია 1972:14) ვირმა და ძაღლმა და კატამ ასე ქნეს; ნჯაეფქქ დო ქვაეფევ დო ღორღიქ გზა ქოგენკილუ გზა ქოგენკილუ –ხეებმა და ქვებმა და ღორღმა გზა ჩაკეტა.

დო-თი შეერთებული ერთგვარი წევრები თანდებულებითაა გაფორმებული: ოფუტე ოხორისთერი დო ღოჯისტერი ვარ იყვენ – საკარმიდამო სახლივითა და ეზოსავით არ იქნება. ბადისთერი დო ხჩინისთერი მო იპარამითამ – ბერიკაცივითა და მოხუცი ქალივით ნუ ლაპარაკობ.

ერთგვარი წევრები გაძლიერების მიზნით დაირთავენ თ(ც) ნაწილაკს: ოხორჯაქ ქიმოლის ყონაშა მინდუღუ ქუალითი, მჭკიდითი დო ჟურთული გჲაროთი – ცოლმა ქმარს ყანაში წაუღო პურიც, მჭადიც და ორნაირი საჭმელიც. ბერე ნა ნიტუ ნანაქ ბერეს ქოდულუდუ მენდილითი, წინეკითი დო დოღოხენი შეეფე – შვილი რომ მიდიოდა დედამ შვილს ჩაუდო წინდებიც, ცხვირსახოციც და შიდა ჩასაცმელები.

შერწყმული წინადადების წევრებს აერთებს მაცალკევებელი კავშირი ჲა (ან):ჲა ფარა ქომომჩი ჲა ცხენი ქოდმომიყონჲა ფული მომეცი ან ცხენი მომიყვანე. ჲა ქომულუ ჲა სქანი ჯუმა – ან შენ მოხვალ ან შენი ძმა.

ჲა ნაწილაკს უახლოვდება გინონ (გინდა): ია სქანი ფორჩა გინონ დილიქუნი გინონ მითის მეჩი – ის შენი კაბა გინდა ჩაიცვი გინდა ვინმეს მიეცი.

ერთგვარ წევრებს აერთებს მაპირისპირებელი კავშირი ჰამა/ამა/მარა „მაგრამ“: ხემწიფეში ბიჭი დაღიშა იგზალუ მთუთიში ოყვილუშა, ჰამა მთუთი ვა აყვილუ – ხელმწიფის ბიჭი ტყეში დათვის მოსაკლავად წავიდა, მაგრამ დათვი ვერ მოკლა; კავე უჩე რენ, ამა აღა დო ბეგიქ შუფან (ყიფშიძე 1939:12) ყავა შავია, მაგრამ აღა და ბეგი სვამს.

ერთგვარქვემდებარებიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარეებს ბრუნვის ფორმა ერთი აქვთ. ბიჭი დო კულანი უკუიკათეს დო კულანიშ ოხოიშა იგზალეს (კარტოზია 1972:83) – ბიჭი და გოგო ერთად გოგოს სახლში წავიდნენ. უკაჩხე აღა დო ხანუმი მოისელეს (ყიფშიძე 1939:81) – ბოლოს ბატონი და ქალბატონი წამოდგნენ.

ერთგვარ ქვემდებარეებს რიცხვის ფორმა ერთნაირი აქვთ ან სხვადასხვაგვარი. ჩქინი დაღეფეს იყვენ მთუთი, მკდაფუ დო ღეჯი–ჩვენ ტყეებში იქნება დათვი, ტურა და ღორი. ონტულეფეს დგინ მათხომუფე, ცხემუეფე, ჭკონეფე–ბოსტანში დგას თხმელები, რცხილები, მუხები.

მეტყველებაში ი'შვიათად შეიძლება შეგვხვდეს ერთგვარ ქვემდებარეთაგან ზოგი მხოლოობითში, ზოგიც–მრავლობითში: ონტულეს ქეხთუ ლუყუფე, პამიდორი დო ზამზავათი–ბოსტანში ამოვიდა ფხლები, პამიდორი და მწვანილი.

ერთგვარი ქვემდებარეებისა და შემასმენლის წყობა არაა მყარი, შემასმენელი ერთგვარი ქვემდებარეების შემდეგაა: გოწოს მცხული, უშქური დო მწყო დიდო ჩანტუ–შარშან მსხალს, ვაშლსა და წყავს ბლომად ესხა;

შემასმენელი უსწრებს ერთგვარ ქვემდებარეებს: ქომოხთეს ბიჭი დო კულანი–მოვიდნენ ბიჭი და გოგო; გამაჩაფტეს მანდარინა დო ფორტუკალი–ყიდდნენ მანდარინსა და ფორთოხალს.

ერთგვარ ქვემდებარესთან შეწყობილი შემასმენელი, რომელიც პირველი ან მეორე პირის ფორმითაა გადმოცემული, ყოველთვის დგას მრავლობით რიცხვში: მან დო სი მენდაფთათ დაღიშა – მე და შენ წავიდეთ ტყეში; მა დო ჰეა მანებრაფე ბორტით–მე და ის მეგობრები ვიყავით. ჰეა დო სქანი ბერე ქომოხთეს კულანიში ოხოიშა – ის და შენი შვილი მოვიდნენ გოგოს სახლში.

სულიერი საგნების სახელებით ერთგვარ ქვემდებარესთან შემასმენელი მრავლობით რიცხვშია: ბადი დო ხჩინი ოხოიშა გუიქთეს – მოხუცი კაცი და მოხუცი ქალი სახლში დაბრუნდნენ.

გვხვდება შემთხვევები, როცა შემასმენელი მხოლოობითში დაისმის: ქიმოლი, ოხორჯა დო ბერექ ყონა ხაჩქეს–ქმარმა, ცოლმა და შვილმა ყანა გათოხნეს.

არის შემთხვევები, თუ ჯერ შემასმენელია და შემდეგ სულიერი საგნების სახელებით გადმოცემული ერთგვარი ქვემდებარეები, ზოგჯერ შემასმენელი პირველ ქვემდებარეს უწევს ანგარიშს და მხოლოობითში დგას: მეფეში ჲარალი ბიჭი მუიკითხუ ვეზირიში ბაბაქ დო ბერექ – მეფის დაჭრილი ბიჭი მოინახულა ვეზირის მამამ და შვილმა.

უსულო საგნების სახელებით გადმოცემულ ერთგვარ ქვემდებარეებთან შემასმენელი ჩვეულებრივ მხოლოობითში დგას: ქაგესქირუ წკარეფე, სქურეფე, ღალეფე–დაშრა წყლები, ხევები, ღელეები.

ერთგვარშემასმენლიან შერწყმულ წინადადებაში ქვემდებარეს ახლავს რამდენიმე მარტივი შემასმენელი: ხემწიფეში ბიჭიქ კულანი ნა ძირუ, ოწკედუ, ოწკედუ, მეხთუ დო ქოდოხუნუ–ხელმწიფის ბიჭმა გოგო რომ დაინახა, უყურა, უყურა, მივიდა და დასვა.

ქვემდებარე უსწრებს ერთგვარ შემასმენლებს: ბიჭი კულანიშა მეხთუ დო დუწუ ია ამბაი–ბიჭი გოგოსთან მივიდა და უამბო ის ამბავი.

ერთგვარი შემასმენლები ერთი და იმავე მწკრივის ფორმითაა გადმოცემული: ზენგინიში ბერექ კაი დილიქუნაფს, კაი შუფს, კაი იმხორს – მდიდრის შვილი კარგად იცვამს, კარგად სვამს, კარგად ჭამს.

პირდაპირდამატებიანი შერწყმულ წინადადებაში ერთგვარია პირდაპირი დამატებანი, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთ შემასმენელთან: მთვირიქ ქამოხჩანეეტუ დაღი დო დუზი–თოვლს მოეთეთრებინა ტყე და ველი (მინდორი).

ყველა ერთგვარი დამატება სახელობით და მიცემით ბრუნვაშია: კვინჩეფე გობღუტეს წიფურის, ცხემურის, მთხომუს–ჩიტები შესეოდნენ წიფელს, რცხილას, თხემლას.

ერთგვარი პირდაპირი დამატებები უსწრებენ შემასმენელს ან მოსდევენ მას.

რამდენიმე ერთგვარი ირიბი დამატება შეიძლება ახლდეს გარდამავალ და გარდაუვალ ზმნით გადმოცემულ შემასმენელს: ბერექ მთელი ამბაი დუწუ ნანა დო ბაბას – შვილმა მთელი ამბავი უამბო დედას და მამას. ერთგვარი ირიბი დამატებებიც ხან შემასმენლის წინაა, ხან მოსდევს მას.

შემასმენელთან გვხვდება რამდენიმე ერთგვარი უბრალო დამატებები: ბიჭი დო კულანი ხოლო ბიჭი დო კულანი დიყვეს–ბიჭი და გოგო კვლავ ბიჭად და გოგოდ გადაიქცნენ.

შერწყმულ წინადადებაში საზღვრულს შეიძლება ახლდეს რამდენიმე ერთგვარი და არაერთგვარი განსაზღვრება. რამდენიმე ერთგვარი განსაზღვრება უშუალოდ არის დაკავშირებული საზღვრულთან და ერთმანეთს უერთდებიან მაერთებელი კავშირით ან უკავშიროდ: მსქვა, გინძე დო ონჯღოალი კულანიტი –ლამაზი, მაღალი და მორცხვი გოგო იყო.

არაერთგვარია ატრიბუტული მსაზღვრელები თუ ისინი უშუალოდ არ უკავშირდებიან საზღვრულ სახელს.

ერთგვარი განსაზღვრებები ასახელებენ საგანთა ნიშან-თვისებებსა და საგანთა განსხვავებულ ნიშნებს.

კავშირთაგან ერთგვარ განსაზღვრებათა შესაერთებლად გამოიყენება მაჯგუფებელი კავშირი დო(და) იშვიათად ჰამა/ამა (მაგრამ).

შერწყმულ წინადადებაში ზოგჯერ რამდენიმე სუბსტანტიური განსაზღვრებაა, რომლებიც ფორმით მართული არიან: კულანის ნჯაში, კვინჩიში, ფუტკაში ნენა უჩქიტუ– გოგომ ხის, ჩიტის, ფოთლის ენა იცოდა.

ერთგვარ გარემოებიანი შერწყმული წინადადებები სხვადასხვაგვარია. რამდენიმე ერთგვარი ადგილის გარემოების ნიმუში: ფათიშიაიში ბიჭიქ დიდო ყოროფტუ დაღი დო თეფეფეს გოხთიმუს–ხელმწიფის ბიჭს ძალიან უყვარდა ტყეში და მთაში სიარული.

ერთგვარ დროის გარემოებათა შემცველი წინადადება ორწევრიანია და შეერთებულია დო (და) კავშირით: ავჯი ჲაზი დო მსთველობას დაღის სქიდუტუ–მონადირე ზაფხულსა და შემოდგომაზე ტყეში ცხოვრობდა.

რამდენიმე ერთგვარი ვითარების გარემოების შემცველი შერწყმული წინადადება უკავშიროდ ან კავშირით არის შეერთებული: აქ ბადი დიბადერეტუ უოხორჯელი დო უბერელი – აქ მოხუცი დაბერებულიყო უცოლოდ უშვილოდ; ოხორიში არ ბერე უდულელი დო ელამცქვერი ირდეტუ–დედისერთა (ოჯახის ერთი შვილი) უსაქმოდ და ნებიერად იზრდებოდა.

რამდენიმე ერთგვარი მიზეზის გარემოების შემცველი შერწყმული წინადადება მეტყველებაში იშვიათად რეალიზდება: ბერეფექ იმგარტეს შქურინათენ დო ყინითენ–ბავშვები ტიროდნენ შიშითა და სიცივით.

იშვიათია რამდენიმე ერთგვარი მიზნის გარემოების შემცველი შერწყმული წინადადებაც.

Omar Memishishi

The Proposal Sentence in Lazuri

Summary

In Lazuri the proposal sentence is realized with the same kind of predicates, subjects, objects, modifiers. these same members of the sentence are connected to each other conjunctions or without them.

ლიტერატურა:

1. ანტონ პირველი, ქართული ღრამმატიკა, 1985.
2. ლემონჯავა 1996:ბ. ლემონჯავა, შერწყმული წინადადება ზანურ ენაში.
3. თალაკვაძე 1975:მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, გამოცემა.
4. შანიძე 1939:ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა.
5. კიზირია 1953:ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში, იკე, ტ. IV.
6. კვაჭაძე 1977: ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი.
7. იმნაიშვილი 1988: ვ. იმნაიშვილი, შერწყმული წინადადების ერთი სახეობისათვის, ჟურნალი „ბალავარი“, №4-6.
8. ბურჭულაძე 1979: გ. ბურჭულაძე, ერთგვარ შემასმენლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში, არნ. ჩიქობავას დაბადების 80 წლისადმი მიძღვნილი კრებული.

ტექსტები

1. ჩიქობავა 1929:არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, I.
2. კარტოზია 1972: გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, I.
3. ყიფშიძე 1939: ი. ყიფშიძე, ჭანური ტექსტები.

ციალა ნარაკიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი

შინამრეწველობასთან დაკავშირებული ლექსიკიდან ლაზურში

ლაზეთში შინამრეწველობის დარგებიდან ადრე კარგად იყო განვითარებული რთვა-ქსოვა, ქარგვა, ჭრა-კერვა, ოჯახისათვის საჭირო ნივთების დამზადება.

საოჯახო პირობებში ამზადებდნენ ქსოვილსა და ნაქსოვ ნივთებს, ქარგავდნენ თეთრეულს, ამზადებდნენ და წნავდნენ საჭირო ჭურჭელს.

ცხოვრების პირობების გაუმჯობესებამ, ფაბრიკული ნაწარმის გავრცელებამ შინამრეწველობიდან განდევნა მთელი რიგი დარგები, რასაც თან მოჰყვა ბევრი ლექსიკური ერთეულის მივიწყება. თუმცა, ზოგი მათგანი ჯერ კიდევ შემონახულია ძველი თაობის მეხსიერებაში, მაგრამ ენობრივ მიმოქცევაში მათი საჭიროების საფუძველი გამოცლილია და ლექსიკურ ფონდში ამ სიტყვების დაკარგვის საფრთხე სრულიად აშკარა ხდება. დღეს თითქმის არავინ ხმარობს სიტყვებს: **ცხილი** (ახლად გამოჩეკილი მატლი); **ქუქუდა** (აბრეშუმის პარკი); **მონტკოი** (მატყლი); **ომქიალე** (საფქვილე); **ონჩახალე** (სადღვებელი); **ფხენი** (თითისტარი); **მწკუი** (ჯარა); **ოღენკუ** (დაპენტვა); **ხოწი** (ხელსაწყო), რითაც ხდებოდა ხის კოვზისა და ციცხვის ამოხვეწა); ფოტა (კანაფის ძაფით ნაქსოვი წინსაფარი) და სხვ.

რთვა–ქსოვა ლაზეთში, ძირითადად, ადგილზე მოპოვებული ნედლეულით: კანაფით, მატყლით და აბრეშუმით წარმოებდა.

ლაზეთში შედარებით კარგადაა დაცული მატყლის დამუშავება, თუმცა საოჯახო პირობებში აღარ ქსოვენ შალს. მონტკოი (შდრ. ქართ. მატყლი, მეგრ. მონტყორი): მონტკ–კომპლექსი ლაზურისა კანონზომიერად შეესატყვისება ქართულის მატყ-კომპლექსს, ოღონდ ზანურში –ტ-ს წინ –ნ– არის განვითარებული. –ორ– სუფიქსი შეესატყვისება ქართულის –ლ– სუფიქსს (ჩიქობავა, 1938:35). როგორც ვხედავთ, მონტკორი ქართული წარმომავლობის სიტყვაა, მაგრამ მის პარალელურად ფართოდ არის გავრცელებული თურქული ტერმინი ღაფაღი, რომელიც გაქრობის საფრთხეს უქმნის ლაზურ ფუძეს **მონტკორი-**ს.

ძველად მატყლს სახლში ამუშავებდნენ, რისთვისაც **მჩხუის** (ცხვარს) წელიწადში ორჯერ კრეჭდნენ **მაკასით** (თურქ. მაკრატელი). **სთველიში მონტკოი** (შემოდგომის მატყლი) კარგი ხარისხისა იყო, **მაისიში მონტკოი** (მაისის მატყლი) კი უვარგისი, ნაკლებ ხარისხიანი. ამ მატყლიდან **დოღანის** (თურქ. საბანი) და **შილთეს** (ლეიბი) კერავდნენ.

დედა-ცხვარზე ადრე პარსავენ **თიკანის** ანუ კრავის მატყლს (შდრ. ქართ. კრავი; აჭარ. კაკანაჲ, კაკნია-ჲ); კრავის მატყლი რბილია, დედა-ცხვრის მატყლი–სქართია (უხეშია. შდრ. აჭარ. ხოშკორა, ქასარა (ნოღაიდელი, 1976:31).

მატყლს წონიდნენ **თერაზით** (სპ. სასწორი) და **ოყათი.**

მატყლს გარეცხავენ ცივი წყლითა და საპნით. ცხელი წყლით გარეცხილ მატყლზე იტყვიან: **ქეჩა დიყვეენაა** (შეითელაო). ამიტომ დაბანილი ცხვრის გაპარსვა უფრო მიზანშეწონილად ითვლებოდა, რადგანაც მატყლი არ შეითელებოდა და ასეთი მატყლის გაჩეჩვაც ადვილი იყო. გარეცხილსა და გამშრალ მატყლს დაპენტავენ. ამ პროცესს **ოღენკუს** ეძახიან.

მატყლს დაჩეჩავენ **ტააღზე** (საჩეჩელი). **ტაადი** თურქული ტერმინია და ნიშნავს სავარცხელს, რომელიც ლაზურში საჩეჩლის მნიშვნელობით არის ნახმარი.

დაჩეჩილ მატყლს მოამრგვალებენ ხელისგულში და **ფანტენას, კვაის** გააკეთებენ (შდრ. ქიზიყური–**ფთილა**–მენთეშაშვილი, 1947: 186; მთიულური–**ფანტალა//ფარტენა**–კაიშაური, 1967:86).

მატყლის დაჩეჩვის შემდეგ დარჩენილი უხარისხო მატყლი **კვინტალია** (შდრ. აჭარ. **კვირტლი** –ნოღაიდელი, 1976:33);

საბასთან **კვირტი** –მატყლცუდა (საბა, 1938); ჩუბინაშვილთან კვირტი–ჩენჩოა მატყლისა (ჩუბინაშვილი, 1961).

კვინტალი მატყლით მოქსოვდნენ უხარისხო წინდებს.

კვინტალი და **სერთი** (თურქ. უხეში) მატყლით იქსოვებოდა **ზანგალი, ზენგალი, ძანკალი** (მარი, 190:144) ანუ უძირო წინდა, ოღონდ ყელი ჰქონდა გრძელი მუხლებამდე.

დაჩეჩილ მატყლს დაართავდნენ **ფხენით ანუ** თითისტარით (შდრ. აჭარ. ხერტალი (შ. ნიჟარაძე, 1971). თითისტარს აქვს ხელი, რომელზედაც წამოცმულია გვერდანა, ფარფა–მრგვალი ფირფიტისმაგვარი ხის პატარა

რგოლი, რომელიც რთვის დროს ხერტლის ბრუნვას აადვილებს (შდრ. მთიულური **კვირიტავი, კვირტავი**, ღლონტი, 1974).

თითისტარი რომ გაივსება გვერდანას წამოაძრობენ და ნართს ძაფს გადაასკვნიან, რომ არ დაიშალოს. საქსოვად ორი ან სამი თითისტარის ძაფს ერთად ამოახვევდნენ და დაძახავდნენ. ამ პროცესს **ოკომწკოდუს** ეძახიან. ეს ტერმინი ლაზურში მიღებულია წკოდ– ზმნისაგან, რაც დაძახვის მნიშვნელობით იხმარება. მეგრულსა და ლაზურში ზმნის ფუძე –წკოდ– იგივეა, რაც ქართული ზმნის ფუძე – წკნ–, ოღონდ ზანურ ფუძეში თანხმოვანთგასაყარი –ო– ხმოვანი გვხვდება (ჩიქობავა, 1938:399).

ტერმინები: წკნდება//დაწკნდა წმინდის, გამჭირვალეს მნიშვნელობით იხმარება (ქეგლ. 1986:206).

დაძახვა ხდება **მწკურით** (შდრ. წკირი მარი, 1910:221). **მწკუის** (ჯარატარი) თითისტარზე ფარფაზე უფრო მოზრდილი მრგვალი ხის ფირფიტა აქვს წამოცმული, გვერდები ამოთლილი აქვს, რათა ბრუნვის დროს ძაფი არ მოსძვრეს, მიმაგრებული აქვს რკინის **კიკი** (კავი), იმაზე უნდა წამოიცვას ძაფი და ისე დაიძახოს. დაძახილი ძაფით მურგს–ძაფის გორგალს გააკეთებენ (შდრ. გურ. მურგვი, აჭარ. მურგი).

ლაზი ქალები, ძირითადად, ქსოვდნენ **წინეკის** (წინდას), რისთვისაც იყენებდნენ ჩხილებს (შდრ. ქართ. ჩხირი). წინდის საქსოვ ჩხირს ლაზები **ჩივისაც** ეძახიან. საქსოვად საჭიროა ხუთი ჩხირი. ქსოვა იწყება ორი ჩხირით. თითო ნაქსოვის ამოღებაზე იტყვიან **თითო თოლი ქეშაიღი**ა– თითო თვალი ამოვიღეო. თანდათან გადადიან ოთხ ჩხირზე. მეხუთე ჩხირი ქსოვს. პირველად **წინეკიში ყალის** (წინდის ყელი) ქსოვას იწყებენ. შემდეგ გამოჰყავთ ორ ჩხირზე **ქუი** (ქუსლი); შემდეგ მოქსოვენ თათსა და **ტაბანს** (თურქ. ტერფი). ქსოვის დასასრულს თვლებს აკლებენ და ბოლოს გადაკვეთენ.

სახიან წინდას ლაზები არ ქსოვენ. ქსოვდნენ მხოლოდ **ხჩე სადე წინეკის** (თეთრი სადა წინდა). ამავე მნიშვნელობით არის დაცული სიტყვა **სადე, სადა** აჭარულსა და მეგრულშიც (მასალები, 1982: 227). მატყლს შავადაც ღებავდნენ და ამ ძაფით მამაკაცის წინდას ქსოვდნენ.

ლაზეთში, მატყლთან ერთად გამოყენებოდა შინნაწარმი აბრეშუმიც.

აბრეშუმის ჭიას **მეტაქსიში მუნტუისაც** ეძახიან და ყაჭსაც. ყაჭს უწოდებენ აჭარასა და გურიაშიც. ლაზთა მეტყველებაში ტერმინი ყაჭი ამ დიალექტების გავლენითაა გაჩენილი და უმეტესად ახალი თაობის წარმომადგენლები ხმარობენ. ძველად ლაზი ხმარობდა ტერმინს **მეტაქსიში მუნტუი** (აბრეშუმის მატლი). მუნტუი–მატლი საერთო ქართველური ძირია, იგი ცნობილია ძველ ქართულშიც. ამოსავალი –ა, როგორც კლიმოვი აღნიშნავს, ზანურ პოზიციაში სიტყვის შიგნით გადის –ო– ბგერაში და ლაბიალური ბგერის მეზობლობაში იქცევა –უ– ბგერად. ლაზები მეტყველებაში ხმარობენ **მუნტუის** და არ **მუნტურის,**–რ, როგორც დამახასიათებელია ლაზურისათვის, ხმოვნებს შორის იკარგება.

აბრეშუმის ჭიის თესლს, ჩვარში გახვეულს, **ობაში** (უბეში) ჩაიდებენ ან მოათავსებენ თბილ ადგილას.

სითბოში თესლი გაცოცხლდება და გამოიჩეკება ცხილი – აბრეშუმის ჭია (შდრ. ქიზიყური – **მური//მურა** – ახალგამოჩეკილი აბრეშუმის ჭია – მენთეშაშვილი, 1943:178; საბა, ჩუბინაშვილი, ნიჟარაძე, – ბობოლი; ღლონტი, 1974:27). ლაზურში **მური** მამალ ფუტკარს, ხოლო **ბობოლი//ბომბოლა** ობობას ჰქვია (მარი, 1910:131).

ახალგამოჩეკილ აბრეშუმის ჭიას თუთის ჟვერს (ფოთლებს) დაუყრიან. ჭია გავა **ჟვერზე** მას ფრთხილად გადაიტანენ **ჩერტზე**. ჩერტი იგივეა, რაც ჩელტი აჭარულსა და იმერულში (ღლონტი, 1975:268) წნელისაგან დაღობილი გრძელი ოთხკუთხედი–ლასტი.

აბრეშუმის ჭია, ვიდრე პარკს გააკეთებდეს, ოთხჯერ გამოიცვლის **ტკებს** (ტყავს. პარკის გასაკეთებლად როცა ემზადება, ყაჭი სულ თავაღერილია; რამდენიმე პარკს რომ ნახავენ ეს უკვე იმის ნიშანია, რომ ჭია **ნიშანი მეჩამეია** – ნიშანმიცემულია (შდრ. აჭარ. პირმიცემულია (ნოღაიდელი, 1976:43). ნიშანმიცემულ ყაჭს შეუწყვეტენ საკვებს და გაუკეთებენ **პიჯი ოჩუშის** (პირის საცავს). ჩელტებზე შემოაყოლებენ **ცხემუიში ტოტეფე**-ს (ცხემლის ტოტებს), ლიმხონა-ს (გვიმრას) და **ლუყუში** (მხლის) სათესლე ტოტებს. ჭია გადავა პირის ასახვევ მასალაზე და დაიწყებს **ქუქუდა-ს** (პარკის) კეთებას. ზოგი აბრეშუმის ჭია ჟვერზე ვერ ადის და პარკის კეთებას ვერ ასწრებს. ძირში დარჩენილი ჭიები ერთ ადგილას მოიყრიან თავს. ასეთ ჭიაზე იტყვიან: **მუნტუი დიმულეენია** – მატლი გაბრუებულიაო.

პარკი რომ გამაგრდება, მოკრეფენ. პარკი, ძირითადად, ორი ფერისა: ხჩე (თეთრი) და საი ქუქუდა (ყვითელი პარკი).

აბრეშუმისათვის გადარჩეულ კარგ, მაგარ პარკებს მზეზე გაფენენ, რომ შიგ **ფარფალი** (პეპელა) დაიხოცოს. კარგად გამხმარ პარკს დარწყავენ ჭურჭლის **კაფალით** (სახურავით) და ჩაყრიან ხარხალეი (მდუღარე) წყალში. შემდეგ ჩატალი (ორპოტიკა) ჯოხით ამოურევენ და **პარკი პირს მოიტანს.** ამას ეძახიან **მეტაქსიში პიჯი**-ს (აბრეშუმის პირს).

ძაფს თანდათან გადაახვევენ **კასმაზე** (ჯვარედინი ჯოხია ფეხით) (შდრ. აჭარ. გურულ. – **ოგვადო**–ღლონტი, 1975:31). აბრეშუმს ამოახვევენ რამდენიმე **ლანდად** ან **გალად**. გამზადებულ ლანდს თავსა და ბოლოში გადასკვნიან, რომ არ დაიშალოს. **ლანდი** ერთი ამოხვევა ძაფია აბრეშუმისა. ამავე მნიშვნელობით იხმარება იგი გურულში, იმერულში, აჭარულსა და ლეჩხუმურში (ღლონტი, 1974:321).

სუფთა აბრეშუმის ძაფის ამოხვევის შემდეგ ქვაბში დარჩება უფრო ცუდი პარკები, რომელსაც გაჭრიან მაკრატლით,შემდეგ ამოყრიან მატლებს, გარეცხავენ პარკებს და იმასაც დაართავენ, თუმცა, მისგან ცუდი ხარისხის აბრეშუმის ძაფი გამოდის. აბრეშუმსაც, მატყლის მსგავსად, დაართავენ და დაძახავენ.

აბრეშუმის ძაფით იქსოვებოდა **თორი** (თურქ. ბადისებური ნაქსოვი სარტყელი), **წინეკი** (წინდა), **თენთენე** (მაქმანი). აბრეშუმის ძაფი გამოიყენებოდა როგორც საქარგავად, ისე საკერავად.

სათესლედ გადარჩეულ პარკს გაახმობენ. ათ–თხუთმეტ დღეში პეპელა პარკს გამოჭრიდა, გამოდიოდა **დადულ-მამული** ფარფალი (დედალ-მამალი პეპელა). პეპლები თესლის დაყრის შემდეგ იხოცებოდნენ. თესლს მეორე წლამდე ცივ ადგილას შეინახავდნენ.

ლაზეთში **ოთხუს** (რთვას), **წინეკი** ოშუს (წინდის ქსოვას), **ოწიფხუს** (ქარგვას) გოგონებს პატარაობიდან ასწავლიდნენ, რაც გასათხოვარი ქალისათვის ერთ–ერთი აუცილებელი პირობა იყო. დანიშნულ გოგოს მზითევში უნდა ჰქონოდა მისი ხელით მოქსოვილი წინდები, მაქმანშემოვლებული ცხვირსახოცები, რათა საქმროს ნათესავებისათვის საჩუქრად მიერთმია. მზითვში უნდა ჰქონოდა, ასევე, თავისი ხელით დაქარგული ბალიშის პირები, ფარდები, ზეწრები...

ლაზეთში ამჟამად აღარ მოჰყავთ **კერფი** (კანაფი), ძველად კანაფისაგან ოჯახისათვის საჭირო ქსოვილსა და ნივთებს ამზადებდნენ.

კანაფისაგან დამზაებულ საქსოვ მასალას სულერის (შდრ. ქერელი ქეგლ) **კანძად** შეკრავდნენ (ქერელის კონა – საბა, ჩუბინაშვილი, ქეგლ, ქიზიყ. მოხ., გურ.–კანძი ერთი ცხვრის ნაპარსი ღლონტი, 1974:269).

საქსოვ მასალას **ოცხოტალეთი** (ხის სპეციალური ხელსაწყო) დავარცხნიდნენ და **ქერწელა** (ქერცლი) მოშორდებოდა. გასუფთავდებოდა. შემდეგ ქალები **ნოდეის** (ნადს) მოიწვევდნენ, ძაფს დაართავდნენ და დაძახავდნენ.

თხლად დართულ კანაფის ძაფს **თელელის** ეძახიან და ტანისამოსის შესაკერად იყენებდნენ.

მისგან თოკებსაც გრეხდნენ. კანაფისაგან ლაზეთში **მოსას ანუ** ბადესაც ქსოვდნენ ძირითადად, მამაკაცები. ბადის საქსოვად იყენებდნენ სპეციალურ ხის ხელსაწყოებს, რომელსაც **მილი** და **მცხავჯი** ეწოდებოდა.

კანაფის ძაფით იქსოვებოდა სხვადასხვა სახის სათევზაო და ფრინველთა დასაჭერი ბადეები: **სვიაკიში, მეზგითიში, მოლოზმა, აპლადი, პარაპატი ოტკომილუში, სიფთერიში, ტოროჯიში.**

კანაფისაგან დეზგაიში (დაზგაზე) ქსოვდნენ აგრეთვე **ხასიის** (ჭილოფი), ამავე მიზნიმთ გამოიყენებოდა ჭაობიანი ადგილიდან მოტანილი **საზი** (ჭილი). მოჭრილ ჭილს მზეზე ყრიდნენ და გამოშრობისა და და გათეთრების შემდეგ წყალში ალბობდნენ.

მთქმელთა გადმოცემით, დაზგა ორი დიდი მრგვალი ბოძით არის შეკრული, შუაში აქვს **აფხა** (დგიმი); ძირში გადგმული აქვს **დიხალი** (საძირე); აქვს ასევე, **მაქოქი** შდრ. **წახრა, ანამიდა** (მარი, 1919:87).

მაქოქი საქსოვი დაზგის მასრის ჩასადები ნაწილია. დაზგაზე ქსოვდნენ შალს, პირსახოცებს, აბრეშუმს. მთქმელებს ქსოვის პროცესი არ ახსოვთ.

ჭრა-კერვა, ქარგვა. **დოლოქუნუს** (ტანისამოსი) მკერავი **თერზია** (თურქ. მკერავი).

ლაზი ქალები მდიდრულად იყვნენ მორთული. ტანზე კენევიწეს (ატლასის) და **მეტაქსიში** (აბრეშუმის) **ფორკას** (კაბას) იცვამდნენ. ნ. მართან და არნ. ჩიქობავასთან გვხვდება ტერმინი ფორკა პერანგის მნიშვნელობით (მარი, 1910:194; ჩიქობავა, 1938:177), ხოლო სამეგრელოში სელისაგან დართულ ქსოვილს ეძახდნენ ფორჩას, თუმცა ტერმინი **ხეფორჩა** სახელურის, პერანგის ხელის მნიშვნელობითაც ცნობილია სამეგრელოში (მასალები, 1983:240). ხეფორჩას ლაზები კაბის სახელურს

ეძახიან. ლაზთა მეტყველებაში დამკვიდრებულია ტერმინი **ფორკა–კაბა,** მაგრამ ჩვენ მიერ ბოლო წლებში მოპოვებული მასალებით ირკვევა, რომ ტერმინი **ფორკას** პარალელურად ხმარებულია ტერმინი ფორჩა-ც.

კაბა უნდა ყოფილიყო გრძელი, კოჭებამდე. კერავდნენ **დუზი ფორჩას** (სწორ კაბას); **შქამედგეი ფორჩას** (წელში გდაჭრილი კაბა); **ფეშონი ფორჩას; ფეში** ტანსაცმლის განაკერში ჩაყენებული ირიბად აჭრილი ნაჭერია. ზოგი კაბა ქვევით განიერი იყო და ნაოჭასხმული. კაბას ბოლოს შემოტეხავდნენ ან **ფალასქას** შემოავლებდნენ. ასეთ კაბას **ფალასქონი ფორჩას** (ფარფლებიან კაბას) ეძახდნენ.

კაბის შესაკრავად იყენებდნენ სედეჭი–ს (ბერძ. ღილი); **კოპჭას**– დოგმა (შდრ. კომიჭი–ღლონტი, 1974:299).

კაბას ღილის შესაკრავად **კიკილის** უკეთებდნენ (შდრ. კილო; კიკილო–საბა, 1938:25; შ. ნიჟარაძე, 1971:). კერავდნენ ქალის მოსასხამს მანთოს (მანტო).

ხიკა – წელში გამოყვანილი გრძელი ხალათია, რომელსაც წელზე შემოხვეული **ორტყაფუ** (ქამარი) ჰქონდა.

კაბის სახელურს ალამაზებდნენ **ცქიალით, კუმბით** (მოვერცხლილი ფოლაქებასხმული ძაფი).

საყურადღებოა შინამრეწველობასთან დაკავშირებული სხვა ლექსიკური მონაცემებიც.

ანთაი ქალის (მოკლე მოსასხამი) ატლასის ნაჭრით, რომელიც შიგნით იყო დაბამბული (შდრ. ქართ. ქათიბი).

გოტკიმალეს (ქვედა კაბა). კერავდნენ სწორსაც და ირიბად აჭრილსაც. **გოწაკიუ**-ს (წინსაფარი).

ფოტა-ც კანაფის ძაფით არის ნაქსოვი, სარტყლის ქვემოთ იმაგრებდნენ და წინსაფრის მოვალეობას ასრულებდა.

თაბლა (ქალის თავსაბურია, გაწყობილი ოქროს ფულებით (შდრ. ქართ. ჩიხტა). **გეჯელუღი-**ს (თურქ. საღამური) კერავდნენ **მანდაბოლით** (მიტკალი), მოაყოლებდენ **თენთენეს** (თურქ. მაქმანი). მაქმანს ქსოვდნენ **ქუქლათი** (სქელი კოჭის ძაფი) და კინთით (ყაისნაღი).

მამაკაცებისათვის დაზგაზე ნაქსოვი შალით კერავდნენ **ჩოხას, ძიქვას** (შარვალი), ფორჩას (პერანგი).

ქალამანი. საქალამნედ გამზადებულ ტყავს ჩაალბობდნენ წყალში. დამბალ ტყავს დანით ჩამოჭრიან ღვედს. ტყავს დაჭრიან ფეხის ზომაზე და

კანაფის ძაფითა და **ბიზით** (სადგისი) ამოკერავდნენ ქალამანს და დააკერებდნენ **სიმიის** (ღვედს).

მესტი (უძირო დაბალყელიანი ფეხსაცმელი) იკერებოდა ცხვრის თხელი ტყავისაგან.

ოჯახში კერავდნენ **ონჯერეში შეეფეს** (ლოგინის მოწყობილობა).

დასთული (თურქ. ბალიში); **დასთულიში პიჯი** (ბალიშის პირი); **შილთე** (ლები); **დოღანი** (თურქ. საბანი); **დოღანიში პიჯი** (საბნის პირი); **ეჟარჩალე** (ზეწარი); **მოჟანფინალე** (გადასაფარებელი)...

ოწიფხუ (ქარგვა) ძველად ძალიან მიღებული იყო. გასათხოვარი გოგო თვითონ ქარგავდა ლოგინის თეთრეულს, ფარდებსა და გადასაფარებლებს. აუცილებელი იყო გოგონას მზითევში ჰქონოდა **წიფხნეი** (ნაქარგი) **გეჯელუღი** (პერანგი).

პატარძალს მისივე ნაქარგი და მაქმანშემოვლებული ცხვირსახოცები ბლომად უნდა ჰქონოდა და დაერიგებინა საჩუქრად ქმრის ნათესავებისათვის.

ლაზი მამაკაცების მიერ დანიშნულების მიხედვით იქსოვებოდა: **კალათი** (გოდორი); **მქიიში კალათი** (ფქვილის გოდორი) და **ყონაში კალათი** (ყანის გოდორი). გიდელი, **ხენწკელი** (კალათი). სამი სახის **ხენწკელი** იქსოვებოდა: **თხიიში ხენწკელი** (თხილის კალათი); მჭკიდიში **ხენწკილი** (სანოვაგის კალათი) და **ჩაიში ხენწკელი** (ჩაის საკრეფი კალათი).

საქსოვად სხვადასხვა ხის წნელს. **მტკეცი** თხილის წნელის თხლად ახდილი კანია, რითაც გოდრებს, კალათებსა და გიდელს წნავენ (შდრ. ქართ. ტკეჩი).

დოდგიმალე (გოდრისა და კალათის დასადგმელი). მზადდებოდა თხილისა და წაბლის მსხვილი ტოტისაგან.

დოლოციგალე (ჩასარჭობი), სამკუთხედის ფორმის გათლილი, მოკლე თხილის ჯოხები, რომლებსაც სიმაგრისათვის ქსოვის პროცესში გოდრებს უმაგრებდნენ.

კალათიში კუჩხე (გოდრის ფეხი) და **ქარა** რკალია, რომელსაც ზემოდან მოავლებდნენ დაწნულ ჭურჭელს. იგი წყავისგან მზადდება.

რკალისა და ფეხის დასამაგრებლად იყენებენ **მსიჯის** (გათლილ სუროს).

გებაძგალეთი (ჭურჭლის საქსოვად გამოყენებული დანის ფორმის ხის იარაღი) ქსოვდნენ გოდორს, კალათსა და გიდელს.

ჩანთისებურ ჭურჭელს **ცანცას** წნავენ ბლის ქერქისაგან; ცანცაში თესლს ათავსებენ და თესვის დროს მიაქვთ ყანაში.

სიმინდის **ჩონჩისაგან** (ფუჩეჩი) წნავენ **ზემბილის** (ხელით სატარებელი სანოვაგის ჩანთა). ხის ქურქისაგან მზადდებოდა **ოვლე** (ღომის საშრობი კალათი) (შდრ. მეგრ. ოლე).

ხისგან აკეთებდნენ აგრეთვე **კიზი**-ს (შდრ. მარი. კორზა–კოვზი), კოპას (ციცხვი). კიზისა და კოპას გულს ამოიღებენ **ხოწით** (შდრ. ხვანწაწინა, ხუტკანა–ბერიძე, 1912:69), **ხოწი** – წვერში მოღუნული დანაა, ხის კოვზისა და ციცხვის გულის ამოსახვეწად.

წარმოდგენილი მასალა, სამწუხაროდ, სრულყოფილი არ არის, რადგან ლაზ მთქმელებს ქსოვის პროცესთან დაკავშირებით ბევრი რამ აღარ ახსოვთ. თუმცა, ნაშრომში წარმოდგენილ მასალაშიც გვაქვს ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომლებიც უცნობია ლაზურის შესახებ დღემდე გამოცემული მეცნიერული ლიტერატურისათვის.

NarakidzeTsiala

From LazVocabulary Related toHandicraft Industry

S u m m a r y

The paper deals with a vocabulary related tohandicraft industry.Vocabulary units are given in the context. There are also discussed such terms which are expelled from use because of improvement of living conditions and distribution of factory goods. The threat of losing these vocabulary units is obvious.For example: Kukuda (cocoon); Pota (an apron woven from hemp thread); Mtskui (distaff); Pkheni (spindle); Khediki (ski); Apkha (part of the weaving machine); Antai(precious garment) and etc.

ლიტერატურა:

1. მ. ვანლიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბ., 1964.
2. მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტომი II, ტომი III თბ., 1982-1983 წ.
3. სტეფანე მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ., 1948.
4. შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტის ლექსიკა, ბათ., 1971.
5. ნ. ნოღაიდელი, მასალები აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკიდან,–აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, I, თბ., 1976.
6. ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბ., 1967.
7. სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ., 1938.
8. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938.
9. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.
10. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
11. ალ. ღლონტი, ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, I-II თბ., 1974-1975.
12. Н. Марръ, Грамматика чанского (лазского) языка,-С-П., 1910.

ნანული ნოღაიდელი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მეცნიერი თანამშრომელი

ანთროპონიმთა საკითხისათვის აჭარულში
(ანთროპონიმები და ტოპონიმია)

ანთროპონიმები ენის ლექსიკის უძველესი ფონდის კუთვნილებაა. იგი ონიმიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. მათი გაჩენა ისტორიულად განსხვავებულმა ობიექტურმა გარემოებებმა და ადამიანთა თანაცხოვრების პრაქტიკულმა მოთხოვნებმა განსაზღვრა. ამიტომაც ერის კულტურა, ისტორია, სულიერება, ეპოქალური პოლიტიკური თუ სოციალური ძვრები, სარწმუნოებრივი თუ სხვა საზოგადოებრივი შეხედულებები ადამიანთა საკუთარ სახელებშიც აისახება.

ანთროპონიმიის ისტორიული თვალსაზრისით შესწავლის საქმეში ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია ტოპონიმიას. „ადგილთა სახელები გადაშლილი წიგნია, რომელშიც ჩვენს წინაპრებს თავისი თავგადასავალი ცხოვლად ჩაუწერიათ“ (ბერძენიშვილი; სიხარულიძე, 58,6). ცნობილია, რომ ტოპონიმი გამძლეა და იშვიათად იცვლება. ამდენად, იგი შეიძლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროდ გამოვიყენოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის შესწავლის მცდელობისას, რადგანაც ტოპონიმიის მონაცემები, ადგილთა მდებარეობასთან, ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებასთან, სამეურნეო თუ სხვა სახის დანიშნულებასთან ერთად, საშუალებას გვაძლევს, გავიცნოთ ამა თუ იმ ტერიტორიაზე ოდესღაც მოსახლე ხალხები, შევისწავლოთ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების საცხოვრისი და მათი მიგრაციების საკითხები და, რაც ამ შემთხვევაში ჩვენთვის მეტად საინტერესოა, ტოპონიმთა შესწავლით, მათი სემანტიკის გარკვევით, შესაძლებლობა გვაქვს, დავადგინოთ გეოგრაფიულ სახელთა ძირები, რომლებშიც ხშირად დომინირებს ადამიანთა საკუთარი სახელები თუ მეტსახელები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობაში გამოიყენებოდა უძველეს ხანაში თუ შემდეგ პერიოდებში. ტოპონიმებში შემონახულ ანთროპონიმთაგან ბევრი ცოცხალ მეტყველებას აღარ შემოუნახავს ან შეცვლილი სახით მოღწეუ-

ლა ჩვენამდე და მათი საწყისი სახის აღდგენისათვის მნიშვნელოვანი ლინგვისტურ-ისტორიული ძიებაა საჭირო.

ამ მხრივ აჭარის ტოპონიმია უმდიდრეს და უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის.

აჭარა ისტორიულად მკვიდრი ქართული მოსახლეობის საცხოვრისი და ძველთაგანვე საქართველოს ერთ-ერთი მრავალმხრივ დაწინაურებული მხარეა, რომელზეც, ისტორიული ბედუკუღმართობით, მრავალმა ქარმა და ქარიშხალმა გადაიარა, რის გამოც მის ცხოვრებაში ბევრი ცვლილება მოხდა. ყოველივე ეს აისახა აჭარის ტოპონიმიაში. ყველაზე მძიმე მაინც ოსმალთა სამსაუკუნოვანი ბატონობა აღმოჩნდა. ოსმალები, მმართველობის წესების დანერგვასთან ერთად, აქტიურად აშენებდნენ სალოცავებს და ავრცელებდნენ მაჰმადიანურ სარწმუნოებას. ყოველივე ეს აისახებოდა აჭარელთა სულიერ სამყაროში. შექმნილი ისტორიულმა ვითარებამ განსაკუთრებით მძლავრად იჩინა თავი აქაურთა ანთროპონიმიაში. ხალხში, რელიგიასთან ერთად, მკვიდრად მოიკიდა ფეხი ადამიანთა აღმოსავლურმა საკუთარმა სახელებმა, გვარ-სახელებმა, ქართველური სახელები კი ტოპონიმებმა შემოგვინახა და დღეს მათი შესწავლით ნათლად შეგვიძლია თვალი მივადევნოთ ამ ისტორიულ პროცესს.

ადგილთა სახელდებისათვის ქართულ ენას თავისი კანონები აქვს. ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმთა წარმოებისას ხშირად გამოიყენება სიტყვაწარმოებისა თუ სიტყვათშეერთების შესაბამისი წესები.

აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ძირითადად, გვაქვს სუფიქსებით ნაწარმოები ანთროპონიმული ტოპონიმები, ი შვიათად გვხვდება მხოლოდ აფიქსებით ნაწარმოები მარტივფუძიანი სახელებიც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გეოგრაფიულ სახელთა მაწარმოებელ ფორმანტად –საკუთრივ –ეთ სუფიქსია მიჩნეული. იგი სიმრავლისა და კრებითობის გამომხატველი უძველესი აფიქსია. არსებობს მოსაზრება, რომ –ეთ სუფიქსიანი გეოგრაფიული სახელები საზღვრულდაკარგული ფორმებია. ივარაუდება, რომ პირის სახელი, გვარი ან ეთნიკური სახელი წარმოადგენდა მსაზღვრელს, ხოლო საზღვრულად გვქონდა სტაბილური სიტყვა (მაგ.: მამული, ქვეყანა...), რომელიც დაიკარგა (სურმავა, 86, 27). –ეთ სუფიქსით ნაწარმოებ ტოპონიმებში გამოიყოფა ადამიანთა საკუთარი სახელები, მაგ.: **მარიამი** (მარიამეთი–სათესი, სოფ. უჩამბა), **გობრონი**

(გობრონეთი, სოფელი), **კვირიკე** (კვირიკეთი, საძოვარი, ქვედა მარადიდი), **ლომგული** (ლომგურეთი–სათიბი, ქუთურეთი), **სიმონი** (სიმონეთი, სოფელი, გონიო), **მურვანი** (მურვანეთი, სოფელი), **ვახტანგი** (ვახტანგეთი, სოფლის უბანი, გოგაძეები), **ბაბალე** (ბაბალეთი, სოფლის უბანი დარჩიძეები), **გოჩიტა** (გოჩიტეთი. ტბეთი), **ღინჯა** (ღინჯვეთი, საძოვარი, კობალთა) და სხვა მრავალი.

აჭარის ტერიტორიაზე –ეთ სუფიქსით გაფორმებული ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმთა სიუხვით გამოირჩევა მაჭახლის ხეობა. აქ გვაქვს მიკროტოპონიმები: **ქავთარეთი, დავითეთი, კოსტანეთი, ქოქოლეთი, ნაგერვეთი, კირკიტეთი, ბასილეთი, კახიეთი, ცხადიეთი** და სხვ., რომელთა შესაბამისი ძირებიც არის ადამიანთა საკუთარი სახელები: **ქავთარი, დავითი, კოსტა, ქოქოლა, ბასილი, კახა, კირკიტა** და სხვ.

როგორც ცნობილია, მაჭახლის ხეობა ისტორიული შავშეთის ნაწილია და მისი სოფლები: სინდიეთი, ჩიქუნეთი და ზედა ჩხუტუნეთი დღეს აჭარის შემადგენლობაშია. ამ სოფელთა სახელწოდებების ძირებიც საკუთარი სახელებია. „ტბეთის სულთა მატიანის“ მიხედვით, ამ რეგიონში –ეთ ფორმანტი უძველესი დროიდან XII-XIII სს-მდე აქტიურად გამოიყენებოდა გვარების საწარმოებლად, ხოლო XVI ს-ში უკვე იშვიათობას წარმოადგენდა (ტბეთის სულთა მატიანე, თბ., 1977). როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, –ეთ მაწარმოებელი ძველია და, ამდენად, ამ სუფიქსით გაფორმებული გეოგრაფიული სახელებიც ძველია (სურმავა, 86, 5).

ტოპონიმთა სუფიქსური ნაწარმოებიდან, გარდა -ეთ სუფიქსისა, ანთროპონიმული ტოპონიმების საწარმოებლად მეტწილად გამოიყენება სუფიქსი –ურ//ულ, რომლებითაც ქართულ სიტყვაწარმოებაში, ჩვეულებრივ, ნივთის სადაურობა-წარმომავლობა გადმოიცემა, ზოგჯერ კი ადამიანის სადაურობას აღნიშნავს (ღლონტი, 64, 128). ტოპონიმიაში იგი ხშირად ადგილის კუთვნილებაზე მიუთითებს.

–ურ//–ულ განსაკუთრებით პროდუქტიულია და ამ სუფიქსით ნაწარმოები ანთროპონიმული ტოპონიმები გვაქვს აჭარის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით კი - ზემო აჭარაში. აჭარაში ფიქსირდება ამ სუფიქსით ნაწარმოები ასეულობით ტოპონიმი, რომელთა ძირებიც ადამიანთა საკუთარი თუ მეტსახელებია. მიკროტოპონიმები რომ არ დავასახელოთ, სამაგალითოდ აჭარის სოფელთა სახელებიც საკმარისია, მაგ., **ბარათაული, ბუთურაული, გელაური, გოგინაური, გორხანაული, გორგი-**

ნაული, გუნდაური, გურძაული, ვარჯანაული, კობალაური, ლომანაური, ოლადაური და სხვ. ამგვარი ტოპონიმები ხშირად გვხვდება ფორმით ბაბლუცავი (ჩაის პლანტაცია, სოფ. ჩიქუნეთი: ბაბლუცაური→ბაბლუცაჳრი→ბაბლუცავრი→ბაბლუცავი), ზაქარავი (ტყე, სოფ. მაღლაკონი), თოდორავი (სათესი, სოფ. კირნათი), ფიცხელავი (სათესი, სოფ. უჩხითი). ამ ტოპონიმებიდან გამოიყოფა ადამიანთა საკუთარი სახელები: **ბარათა, ბუთურა, გელა, გოგინა, გიორგი, გორხანა, გუნდა, გურძა, ვარჯანი, კობა, ლომანა, ოლადა, ბაბლუცა, ზაქარა, თედო, ფიცხელა** და ა.შ. –ურ//–ულ სუფიქსიანი ტოპონიმები ზოგჯერ დამატებით წარმოდგენილია –ებ ფორმანტითაც. მაგ.: ოსანაურები (სათესი, ხეყრუ), ლომანაურები (სათესი, ზედა ახალშენი), ხურციაულები (სათიბი, ზედა ახალშენი), მახარაულები (სათიბ-სათესი, კობალთა), ხითარაულები (სათიბ-სათესი, შოტივრი), ბუჭუნაურები (საძოვარი, ფურტიო), გოგაჳრები (სახნავი, დავლაძეები), ტარ(ი)ელაურები (საძოვარი, აგარა) და სხვ. შესაბამისად, ამ ტოპონიმებშიც კარგად ჩანს საკუთარი სახელები: **ოსანა, ლომა, ხურცია, მახარა, ხითარა, ბუჭუნა, გოგა, ტარიელი** და სხვ.

წარმომავლობა-კუთვნილების აღმნიშვნელი –ურ//–ულ სუფიქსის ასე ინტენსიური გამოყენება აჭარის ტოპონიმიაში ანალოგიურია საქართველოს სხვა რეგიონთა ტოპონიმიაში მათი გამოყენებისა.

ადამიანთა საკუთარი სახელები და მეტსახელები დიდი რაოდენობით გამოიყენება–ეულ მაწარმოებლიან ტოპონიმებშიც, რადგანაც ეს აფიქსი ერთვის ძირეული სიტყვის ნათესაობითი ბრუნვის ფორმას და მიუთითებს ამა თუ იმ ადგილის კუთვნილებაზე (შანიძე, 72, 199). ასეთი ანთროპონიმული წარმომავლობის გეოგრაფიული სახელები აჭარაში საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება. აქ –ეულ სუფიქსი ხშირად წარმოდგენილია ფონეტიკურად სახენაცვალი –ოულ ფორმით; მაგ.: გოგიაჲსოული (ნამოსახლარი, სოფ. ლეღვა), ანაჲსოული (ბაღი; აგარა, ბათუმი), მუქიბისოული (მანდარინის ბაღი; ხუცუბანი), კაკაჲსოული (ბაღი, ხალა), ზოისოული (ბაღი, ქაქუთი), ქუჩუმანისეული (სათესი; ზედა ჯოჭო), ლემინისოული (მანდარინის ბაღი; გელაურა), ბუქაჲსოული (ბაღი, ჩაი; ხალა)... ეს სუფიქსი, ძირითადად, გამოიყენება ქვემო აჭარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ზემო აჭარაში იგი იშვიათად დასტურდება. გვაქვს რამდენიმე ტოპონიმი: ბურჰანასეული (სათიბი, ბახუნტარაძეები), ტოპიასეული (სახნავი, ნამონასტრევი), შუქრიასეულაჲ (სახნავი, ტაბახმელა), პოჭოლიკასეულაჲ (სახნავი, ტაბახმელა) (ქამადაძე, 92, 49).

ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელებიდან გამოიყოფა ანთროპონიმები: **გოგია, ანა, მუქიბი, კაკა, ზოი, ქუჩუმანი, ლემინი, ბუქა, ბურჰანი, ტოპია, შუქრი, პოჭოლიკი**...

როგორც ცნობილია, ქართული გვარების ძირითადი ნაწილი საკუთარი სახელებიდან მომდინარეობს ფუძეზე ძე და შვილის ან მათი ექვივალენტების მიმატებით. „ქართული მწიგნობრიობის ძეგლებში XII საუკუნემდე იშვიათად გვხვდება გვაროვნული სახელები, XIII-XIV სს კი ჩვეულებრივია და შეგვიძლია, თვალი გავადევნოთ მათი წარმოება-სტრუქტურის განვითარებას“ (ღლონტი, 64, 127).

აჭარა ამ მხრივაც გამორჩეული მხარეა. აქ (უმეტესად, ზემო აჭარაში) მრავლადაა გვართა განსახლების მიხედვით არსებული გვარებით სახელდებული სოფლები, თუმცა სოფლის სახელის შესაბამისი გვარის მაცხოვრებლები იქ, შეიძლება, უკვე აღარც სახლობენ. გვარებით გაფორმებულმა ტოპონიმებმა შემოგვინახა ის საკუთარი სახელები, რომლებიც ამ სივრცეში გამოიყენებოდა. „ასეთი სახელები... ქართული სახელები უნდა იყოს..., რომელთაგან შემდეგ გვარები და გვარებისაგან სოფლის სახელები წარმოქმნილა“ (შანიძე, 76, 22). მაგ.: **გურძა** (გურძაშვილები–სოფლის უბანი, ახო), **გოგია** (გოგიაშვილები–სოფელი), **გულიკა** (გულიკაშვილები–სოფლის უბანი, ტაკიძეები), **მეხალა** (მეხალაშვილები–სოფლის უბანი, ფურტიო), **წინწკალა** (წინწკალაშვილები–სოფლის უბანი, ღორჯომი), **ჯალაბა** (ჯალაბაშვილები–სოფელი), **ბესელა** (ბესელაშვილები–სოფელი), **ხაბელა** (ხაბელაშვილები–სოფელი), **ოქრუა** (ოქრუაშვილები–სოფელი) და სხვ.

ამ ტიპის დასახლებები ქვემო აჭარაში იშვიათად გვხვდება. გვაქვს, მაგ.: ღაღაიშვილები (სოფლის უბანი, კვირიკე), თამაზაშვილი (ჩაის პლანტაცია, შუაღელე), მართალიშვილები (სოფლის უბანი, ქაქუთი) და სხვა. აქაც, შესაბამისად, გამოიყოფა საკუთარი სახელები: **ღალა, თამაზი, მართალი**...

აჭარაში დიდი რაოდენობით ფიქსირდება, ასევე, ძე ფორმანტიანი გვარებით სახელდებული ტოპონიმები: ბათაძეები (სოფელი), ინაშარიძეები (სოფელი), არძენაძეები (სოფელი), შალვაძე (ჩაის პლანტაცია, ჭარნალი), კობალაძე (ბაღი, ქვედა ულიანოვკა), პაქსაძეები (სოფელი) მეკეიძეები (სოფელი), ბერაძნები (სოფლის კუთხე, ქაქუთი), კაკალაძნები (სოფლის უბანი, აჭი), დიდმანიძე (საძოვარი, მარადიდი), გელაძეები (სოფელი;

საყანე, ფაჩხა), დავითაძეები (სოფლის უბანი, ტბეთი) და სხვ. ამ ტოპონიმთა ძირებიც ადამიანთა საკუთარი სახელებია: **ბათა, ინაშარი, არძენა, შალვა, კობალა, მეკეი, ბერა, კაკალა, დიდმანი, გელა, დავითი** და სხვ.

აჭარის სინამდვილეში ადგილის სახელებად ზოგჯერ გამოყენებულია ადამიანთა საკუთარი სახელი აფიქსების გარეშე. მიაჩნიათ, რომ ეს სახელწოდებები რთული შედგენილობის ტოპონიმების ნაწილი უნდა იყოს (ქამადაძე, 92, 46) ე.ი. თავდაპირველად სახელთან ერთად უნდა ყოფილიყო რომელიმე საზოგადო სახელი. მაგ.: მთა, უბანი, სახნავი, სათიბი, ტყე და ა.შ., რომლებიც დროთა განმავლობაში დაიკარგა. ასეთი ტოპონიმებია: თედო (სათესი, ვარჯანაული-ქობულეთი), გვანცა (ტყე, ბალაძეები; ტყე, ტაკიძეები), ჯიმშერი (სათიბი ბაკო), კახაბერი (სათიბი ირემაძეები; სოფლის უბანი, ხელვაჩაური), აფშილა (ღელე, ზერაბოსელი), თამარა (დასახლება, ბათუმი), ფილიფე (სათიბი, ხელვაჩაური), გოდერძი (საძოვარი, მთა ბეშუმი; ტყე, ყურაული), უზუნალი (ტყე, ხაბელაშვილები;), ხახუტა (საძოვარი, ბარათაული) და სხვ.

ასეთი ტორონიმ-ანთროპონიმებიც პიროვნებების ადგილთა კუთვნილებაზე მიუთითებს.

აფიქსების მეშვეობით წარმოებულ ტოპონიმთა გარდა, გვაქვს რთული, წარმოქმნილი ტოპონიმებიც, რომელთაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ქართულ ტოპონიმიაშიც. ასეთი ტოპონიმები მსაზღვრელ-საზღვრულის სახითაა წარმოდგენილი. მრავალმხრივ ინფორმაციას შეიცავს და ნათლად მიგვითითებს ამა თუ იმ ადგილის მფლობელზე. ასეთი ტოპონიმები მრავალია აჭარაშიც. მათში საზღვრულებია საზოგადო სახელები: ტყე, ხევი, ქედი, კალო, მამული, ჭალა, სათიბი, გორი, ღელე, ქოხი და სხვა მრავალი, რომელთაც კუთვნილების აღსანიშნად ახლავს მსაზღვრელი სიტყვა–ადამიანის საკუთარი სახელი. მაგ.: გორგილაქედი (სოფლის უბანი, ვანი), ელიასციხე (ჭახათი, ქობულეთი), პაპუნაყანა (სოფლის უბანი, ხიხაძირი), დიოსჭალა (სათესი, ღურტა), ომარაყანა (სათესი, ბეღლეთი), ნურიასჭალა (სათიბი, კობალთა), მუსტაფაახო (სათესი, მახალაკიძეები) მემედიყანა (სასაფლაო, ერგე), იაკობაგორი (პლანტაცია, ბობოყვათი), თინათისქედი (გორა, ზედა კვირიკე), გოგაკილდე (სათესი, მოსიაშვილები), გვარამკალო (სათესი, ზენდიდი), სულაღელე (ხმელი, ღელე, ცხემნა) შუშნიკილდე (მთა, საძოვარი, ნაღვარევი) და სხვ. გვაქვს ორმაგი წარმოების სახელებიც; მაგ.: გორგაული ხევი (სათესი, ზედა ბზუბზუ), გოგიური ქედი (საძოვარი,

ზენდიდი), ცქვიტავრი თავები (სათიბი, დარჩიძეები), ისლოსანი გზები (საძოვარი, დარჩიძეები) და სხვ.

ნიშანდობლივია, რომ ახლო წარსულში წარმოქმნილი ტოპონიმები თითქმის აღარაა ფორმირებული მაწარმოებელი აფიქსებით და უმეტესად მარტივი სახელების შეერთებით მიღებული ონიმებია. მაგ.: კახიძიების სახლიგვერდი (ტყე, განთიადი), ყადირამინდორი (ბუჩქნარი, აგარა), ჰაჯიაყანა (ტყე, მურვანეთი) მუსადედეტყემალი (სოფლის ადგილი, ბუდაური), მაჰმუდიღელე (ღელე, ფერია), ალიფაშისაცივი (ტყე, კვირიკე), გურჯიაღის ოჯაღი (გორა, ქველა სამება, ქობულეთი) და სხვ.

ტოპონიმთა საწარმოებელი აფიქსებისა თუ საწარმოქმნო საშუალებების გამოყენების გათვალისწინებით, ქართულ ონიმიაში გამოიყოფა ადამიანთა საკუთარი სახელები, რომლებიც გამოიყენებოდა ქრისტიანობამდელ ხანაში; გვაქვს ქრისტიანობის პერიოდისათვის დამახასიათებელი სახელები და, ასევე, როგორც აღვნიშნეთ, კუთხის ისტორიით განპირობებული, მაჰმადიანური სამყაროსათვის ნიშანდობლივი საკუთარი სახელები. ამ სახელებში ნათლად ისახება ეპოქათა დამახასიათებელი ისტორიული ძვრები, სარწმუნოებრივი თუ სხვა საზოგადოებრივი შეხედულებანი და, ასევე, ენაში მიმდინარე მოვლენები.

აჭარის ტოპონიმიის გამოყენებით საშუალება გვეძლევა, გამოვყოთ ამ ტერიტორიის მკვიდრთა შორის ქრისტიანობამდელ პერიოდში გამოყენებული ანთროპონიმები, რომელთაგან ბევრი ახლაც გამოიყენება დასავლეთ თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ხოლო აჭარაში მხოლოდ ადგილთა სახელებმა შემოგვინახა. მაგ.: ელია – სახელი ცაღრუბლის მბრძანებლისა. ელია წინასწარმეტყველი საქართველოში ძველთაგანვე ფრიად პოპულარული ღვთაება იყო. მისი სახელი ჩვენში არაერთ ტოპონიმს შერჩენია. მაგ.: ელიეჲს ციხე-ჭახათი, ელიაწმინდა–სათიბი, დიდაჭარა; სათიბი, ოქტომბერი; ჩაის პლანტაცია, ეკაოლაური; ელიაურ–ბუჩქნარი, კეჭიეთი; სათესი, პაქსაძეები და სხვ.

კვირია, კვირიკე ძველი ქართული წარმართული ღვთაებაა. იგი, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა წარმოდგენით, ღვთისშვილთა წინამდგომია და საპატიო ადგილი უკავია ღვთის კარზე. იგი ითვლებოდა ერთადერთ ღვთაებად, რომელსაც ღმერთთან მისვლა შეეძლო. მას ეკისრებოდა შუამავლობა დანარჩენ ღვთისშვილთა და უზენაეს ღვთაებას შორის. იგი, ამასთანავე, ნაყოფიერების მამრობით ღვთაებად ითვლებოდა (ქსე, V,90, 428).

აჭარაში მრავლად მოგვეპოვება მისი სახელით გაფორმებული ტოპონიმები, მაგ.: კვირიკე (სოფელი, ქობულეთი); კვირიკეთი (საძოვარი, ქვედა მარადიდი); კვირიკავი (საძოვარი, ქვედა დაგვა); კვირიაული (სოფლის უბანი, ლაკლაკეთი); კვირიაულები (საძოვარი, გოგაძეები); კვირაჭლა (სათიბი, პაქსაძეები) კვირიაწმინდა (შუასოფელი, შუახევში) და სხვ.

ბასილი, ბასილა იგივე ღვთაება ბოსელის, ბოსლას კულტია, რომელიც დიდ ღმერთად წოდებული ქართული, წარმართული ღვთაება იყო. ქრისტიანულ ეპოქაში იგი შეერწყა ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწის ბასილი დიდის სახელს. საქართველოს ყველა კუთხეში ძველთაგანვე იმართებოდა ბასილასთან დაკავშირებული რიტუალები. მისი სახელის საახალწლო კვერებს უძღვნიდნენ დიდ ღმერთს (ქსე, II, 77, 220) სახელი ბასილი, ბასილასთან დაკავშირებული ტოპონიმები, საქართველოს სხვა კუთხეებზე რომ არა ვთქვათ, მრავლად ფიქსირდება აჭარაშიც. მაგ.: ბასილური (სათესი, გეგელიძეები); ბასილეთი (ჩიქუნეთი); ბასილეთური (სათესი, ზედობანი, ხერთვისი); ბასილაძე (სათესი, მინდა) ბასილაძნები (სოფლის კუთხე, ჩაისუბანი, ხალა) და სხვ.

ამ ქრისტიანობამდელ წმინდანთა სახელობის დღეობები, დღესასწაულები ზოგან დღესაც იმართება აქეთურ თუ საზღვრისიქეთა საქართველოში.

ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმთაგან ამავე რიგში შეიძლება განვიხილოთ ტოპონიმი **მირისაფლავი** (სათიბი,ბუღაური, დიდაჭარა; საყანე, ირემაძეები) და სახელი **მირი.** მირი, გადმოცემით, ლეგენდარული დევგმირი ყოფილა. შუახევის რ–ნის მირათის ხეობაში არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც მაწყვალთასა და გოგინაურს შორის მიუთითებენ ჯვარზე და ამბობენ, რომ უწინ სწორედ აქ ცხოვრობდა მირი, რომელსაც ტიტანური ძალა ჰქონია. მას ჰქონდა წისქვილი, წისქვილს იმოდენა ქვა ჰქონია, რომ მისგან ექვსი წისქვილის ქვა გამოსულა. იმ წისქვილის ადგილს ჰქვია დოლაბი და ეს დოლაბი ეკუთვნის სოფ. გოგინაურს;– აღნიშნავენ ინფორმატორები (ნოღაიდელი, 10, 23).

სწორედ დევგმირი მირის შესახებ არსებულ ლეგენდა-თქმულებები ამყარებს აზრს ხეობის სახელის სწორად განსაზღვრასთან დაკავშირებით. მიაჩნიათ, რომ ხეობას უნდა ერქვას მირათის ხევი და არა მარითისა თუ მარეთისა, მით უფრო, რომ ეს ასე იყო ისტორიულად და ასე ახსოვდათ მირათის ხეობის მკვიდრებსაც.

აღნიშნული მითოლოგიური სახელების გვერდით კიდევ შეიძლება დავასახელოთ ქრისტიანობამდელ ხანაში აჭარის ტერიტორიის მკვიდრთა შორის გამოყენებული ადამიანთა საკუთარი სახელები, რომლებიც ადგილთა სახელებმა შემოგვინახა. მათ შესახებ ცნობები შეიძლება ვიპოვოთ ძველ სიგელ-გუჯრებსა თუ ისტორიულ დოკუმენტებში, დაფიქსირებულ თქმულება-გადმოცემებში, განსაკუთრებით კი, ქართული ენის დიალექტთა შესაბამის ლექსიკაში.

ამ ეპოქის თანადროული უნდა იყოს ტოპონიმებში გამოყენებული ანთროპონიმი **ლომა,** სხვადასხვა ვარიანტით: ლომია, ლომგული, ლომანი (ლომავრი–საძოვარი, მაჭახლისპირი, მირვეთი; ლომაჭრა ტყე, ქოსოფელი; ლომია–ადგილის სახელი, გურძაული; ლონგურავლი–საძოვრები გოგინაურსა და ლომანაურში; ლომანი–ადგილი შუახევში; ლომანაური–სოფელი შუახევში და სხვ.). ასევე, **აფშილა** (ღელე, ზერაბოსელი), **ღინჯა** (ღინჯვეთი–საძოვარი, კობალთა), **ღუნია** (ადგილის სახელი, გურძავლი), **გოგინა** (გოგინიძეები–სოფელი), **გოგნია** (გოგნიაური, სოფელი), **ოჩია** (სათიბი, ოქტომბერი; ჩაო), **დიო** (დიოსჭალა–ვენახი, ღურტა), **ირემა** (ირემავლი–საყანე, ირემავლის ღელე–ღელე, ღურტა), **გუნდა** (გუნდაური–სოფლები ქედასა და შუახევში; საძოვარი ქედლებში), **ნონია** (ადგილის სახელი, მელიქწმინდა), **ჯორჯი** (ჯორჯინაული–სათესი, აქუცა), **გურძა** (გურძაული–სოფლის უბანი, ახო), **ზოი** (ზოისოული–ბაღი, ქაქუთი), **ვეფხია‖ლეფხია** (ლეფხიაური–სათესი, დღთანი), **ვაჩე** (ვაჩივრი–სათესი, ზემოხევი) და სხვ.

სავარაუდოდ, საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ უნდა დამკვიდრებულიყო აჭარაში საკუთარი სახელები: **მარიამი, მარკოზი, ნიკოლოზი, ფილიპე, მიქაელი, გაბრიელი, გობრონი, სტეფანე** და სხვ., რომელთა შესაბამისი ტოპონიმებია: **მარიამეთი** (სათესი, უჩამბა), **მარიამხევი** (ადგილის სახელი, ნიგაზეული), **მარკოზულა** (სათიბი, შუბანი), **ნიკოლაური** (ტყე და სათესი– ზესოფელი), **ბაგრატაულა** (სათესი-ტაკიძეები და დანდალო), **ფილიპაური** (ტყე და სათესი, ვარჯანაული), **სამიქელაურო** (სოფლის უბანი, სხეფი), **გაბრელავი** (სათიბი, ოლადაური), **გობრონეთი** (სოფელი) და სხვ. მართალია, მითითებული ლექსიკური ერთეულების ძირეული სახელები ქრისტიანულ წმინდანთა ან დიდმოღვაწეთა საკუთარი სახელებია, მაგრამ ზოგჯერ მათი გაჩენის დროდ ქრისტიანობის გავრცელებას ვერ ჩავთვლით, რადგანაც ამ სახელთა

ტოპონიმებში გამოყენებისას, მათი მაწარმოებლებით ან ქართველურ ენათა მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ამ საკუთარ სახელთა უმეტესობა მანამდეც უნდა ყოფილიყო მიმოქცევაში, მაგრამ ამ სახელთა მატარებელი მოღვაწეები სათანადო ღვაწლისა და დამსახურებათა გამო მართლმადიდებლურმა სამყარომ სიდიადით შემოსა.

მაგ. საკუთარი სახელი **თამარი** დღემდე ერთობ პოპულარული სახელია არა მარტო დღევანდელ, არამედ საზღვრისიქითა საქართველოშიც, რადგანაც იგი დაკავშირებულია მეფეთა-მეფე თამარის სახელთან. ცნობილია, რომ მისი სახელის მატარებელი უამრავი ციხე, ხიდი, წყარო, ადგილი და მათთან დაკავშირებული ლეგენდა-თქმულებები გვაქვს. პ. ინგოროყვას ცნობით, სახელი **თამარი** სვანური წარმომავლობის, ქართველური საკუთარი სახელია, ისევე, როგორც **გვანცა, ლომა, გოგნია, დუდა** და სხვ., და იგი ძველთაგანვე იყო მიმოქცევაში.

მეფე თამართან დაკავშირებულ თქმულებებთან ერთად, აჭარაში სხვა თქმულებაცა გვაქვს, რომელიც ეხება ტოპონიმ თამარჯალას (სოფლის უბანი, ოლადაური). ამავე სახელწოდების სათიბ-სათესი ადგილი გვაქვს სოფელ რაგვთაშიც (ხიხაძირი).

თქმულების მიხედვით, მირათის ხეობას უწინ ორი სათვალთვალო პუნქტი ჰქონია: ერთი – ხეობის თავში, ხოლო მეორე – ახლანდელ თამარჯალაში. მტერი რომ გამოჩნდებოდა, ცეცხლს დაანთებდნენ და ასე აგებინებდნენ ერთმანეთს მტრის მოახლოებას. ერთხელ მტერს (ოსმალებს), დამხვდურთა წინააღმდეგობის მიუხედავად, ოლადაურამდე მოუღწევიათ. ისინი ერთი ქვრივი ქალის სახლში შესულან და წყალი და საჭმელი მოუთხოვიათ. ქალს სახელად ქვიებია თამარი, ქალს საჭმელში საწამლავი შეურევია და მოსულები დაუხოცავს. თურქებს ეს ამბავი გაუგიათ და ქალიც მოუკლავთ. ამ ადგილს დღესაც თამარჯალას ეძახიან (ნოღაიდელი, 2010/25).

ოსმალთა წინააღმდეგ მებრძოლი ქალის სახელს უკავშირდება ტოპონიმი **მარიამხევიც** (ადგილის სახელი. სოფ. ნიგაზეული). მარიამი ლამაზი აჭარელი ქალი ყოფილა, რომელსაც მუფთი გადაჰკიდებია და მისი ხელში ჩაგდება მოუნდომებია. ერთ მშვენიერ დღეს იგი მარიამს დასდევნებია. მარიამს უკან დასახევი გზა აღარ ჰქონია და გეზი ხევისაკენ აუღია. ამის დამნახავ ხალხს დაუძახნია, მარიამ, ხევიო, მაგრამ იგი არ შეჩერებულა და ხევში გადაჩეხილა. ხალხს ხევისათვის მარიამის ხევი,

მარიამხევი შეურქმევია (მიქელაძე, 2012, 113). ეს ტოპონიმიც ამ კუთხეში სახელი **მარიამის** პოპულარობაზე მეტყველებს.

1890 წელს ზ. ჭიჭინაძეს კინტრიშის ხეობაში მოგზაურობისას სოფელ ალამბარში უნახავს ეკლესიის ნანგრევები, რომელსაც შუშანეთის წმინდა გიორგის უწოდებდნენ. აქ მაშინ კიდევ მიჰქონდათ შესაწირავი წმ. გიორგის სახელზე და სანთლებსაც ანთებდნენ – პატივს მიაგებდნენ თავის სალოცავს. როგორც ჩანს, შუშანეთი აქ ადგილის სახელი ყოფილა (მიქელაძე, 2012, 67).

ქრისტიანული სამყაროსათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წმინდანია გობრონი. აჭარაში მის სახელს უკავშირდება ლეგენდა სოფელ გობრონეთის წარმოშობის შესახებ: ერთხელ სოფელს თურქი მარბიელები შესევიან. ქალებსა და ბავშვებს სოფლის ეკლესიისთვის შეუფარებიათ თავი. სოფლიდან წასაღები რომ ვერაფერი უნახავთ, თურქები ეკლესიას მისდგომიან, საიდანაც ქალებისა და ბავშვების ტირილის ხმა გამოდიოდა. სოფლელმა ახალგაზრდამ, გობრონმა, მარტომ შეუტია მომხვდურთ, ყველანი ამოხოცა, ეკლესიის კარები გააღო და ქალები და ბავშვები გამოუშვა. ამ დღიდან სოფელს გობრონეთი დაერქვა (მიქელაძე, 2012, 72).

ცალკე გვინდა შევეხოთ საკუთარ სახელს **გიორგი.** აჭარაში ამ სახელის მატარებელი (ხშირად ფონეტიკურად სახენაცვალი ან კნინობით–საალერსო ფორმით წარმოდგენილი) მრავალი ტოპონიმი გვაქვს. მაგ.: გორგაულიხევი (სათესი, ბზუბზუ), გორგინაული (სათესი, ვაიო), გორგიული (ადგილის სახელი, დანდალო; ვენახი და სათესი ქიძინიძეებსა და დიდაჭარაში), გორგილაური (სათესი, გურძაული), გორგაძეები (სოფელი, ღორჯომი), გოგაჲსოული (ნამოსახლარი, ლეღვა), გოგიურიქედი (საძოვარი, ზენდიდი), გოგიაშვილები (სოფელი), გოგაკილდე (სათესი, დანდალო), გოგიწყარო (სათიბი, გურძაული) და სხვ. მრავალი.

ადამიანის საკუთარი სახელი გიორგი ქართველებში წმინდა გიორგისთან ასოცირდება.

წმინდა გიორგი პირველმოწამე ძლევამოსილი ქრისტიანი წმინდანია კაპადოკიიდან. მასზე თქმულებები უკვე IV ს-ის ბოლოს შექმნილა. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქართულ სამყაროს მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა ამ წმინდანის კულტის ჩამოყალიბებასა და გავრცელებაში (ქსე, 87, 336).

ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, სწორედ წმინდა გიორგისაგან წარმოდგება უცხოელთა შორის გავრცელებული სახელი საქართველოსი

– გეორგია. წმინდა გიორგი შეიჭრა ქართველთა უძველეს რელიგიურ წარმოდგენათა სტრუქტურაში და გარკვეულად შეცვალა იგი.

ქართულ საისტორიო მეცნიერებაში წმინდა გიორგის გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა. მიუხედავად ამისა, საქართველოს სხვა კუთხეთა დარად, სახელი გიორგი ძველთაგანვე გავრცელებული ყოფილა აჭარის მკვიდრთა შორისაც, რასაც სწორედ მისი სახელის მატარებელი ტოპონიმების სიმრავლეც ადასტურებს.

ხინოს ხეობაში არის ქობულეთისა და ქედის მხარეების გამყოფი მთა **გვანცა.** აქვეა მთა გვანცასთან დაკავშირებული, სიძე–რძლის სახელით ცნობილი ქვაკაცებიც, რომლებიც თითქოს გაქვავებული მექორწინეები არიან. ქრისტიანობამდელი გადმოცემის თანახმად, მთა გვანცას თავისი ასული მიუთხოვებია მთა კარჩხალას ვაჟისთვის, ხინოსთვის. ქალი მიჰყავდათ გურიაში. განაწყენებულ და შეურაცხყოფილ კარჩხალას ღმერთისთვის სიძე-რძლისა და მაყრიონის გაქვავება უთხოვია. ღმერთსაც, თითქოს, შეუსმენია თხოვნა და გზაზე, ირმიყელში გაუქვავებია ისინი (სიხარულიძე, II, 59, 115). არსებობს ლეგენდის სხვა ვარიანტებიც.

გარდა **გვანცას მთისა,** გვაქვს ტოპონიმი **გვანცაც**. ამ სახელითაა ცნობილი ტყეები სოფლებში: ბალაძეებსა (ქედა) და ტაკიძეებში (ჭვანა).

სახელი ტოპონიმისა გვანცა უკავშირდება, ასევე, ქრისტიანული სარწმუნოებისათვის თავდადებულ აჭარელ ქალს გვანცას და მის დას, **ლელას.** გვანცა-ლელას სახელითაა ცნობილი ადგილები ქედის მუნიციპალიტეტის სოფლებში: დანდალოსა და ბალაძეებში. გვანცასა და ლელას სახელები დღემდე ცოცხლობს მუჰაჯირ ქართველთა მეხსიერებაშიც (ჩელებაძე, მიქელაძე, 2016, 385). ისინი ასახელებენ ტოპონიმებს: გვანცა-ლელას მთა, გვანცა-ლელას კლდე, გვანცა-ლელას გორა...

თქმულებათა ერთ-ერთი ვერსიით გვანცა და ლელა დები ყოფილან, წმინდა ტბელ აბუსერიძის შვილები... ისლამის მოძალეობის პერიოდში, როცა ქრისტიანებს დევნიდნენ, გვანცა და ლელა ფარული ქრისტიანები ყოფილან... ისინი თავიანთი რაზმით თავს ესხმოდნენ მომხვდურებს, თანასოფლელებს რწმენასა და იმედს უნერგავდნენ. გვანცა და ლელა ღამით სალოცავად დანდალოს თავში მდებარე ეკლესიაში დადიოდნენ. ერთხელ ისინი... ტაძრის მეთვალყურეს... გაუფრთხილებია, რომ მათ ცოცხლად შემპყრობელს მტერი 1000 ოქროს ჰპირდებოდა. ამიტომ დები იქაურობას გაეცალნენ და წავიდნენ მთაზე, სადაც გამოქვაბულისთვის შეუფარებიათ თავი.

ერთხელ ისინი ერთ კუდიან დედაბერს შეუმჩნევია და მტრის ოცეული მათთან მიუყვანია. დებს გამოქვაბულში შესვლა მოუსწრიათ და, დროის მოგების მიზნით, რაზმის უფროსებისთვის შეუთავაზებიათ ცოლად გაყოლა. მაგრამ როცა იქედან გამოსულან, ლელა მოულოდნელად ცხენზე შემჯდარა და თვალის დახამხამებაში კლდისაკენ გაფრენილა, რომელიც გახსნილა და ლელაც იმ კლდეში შესულა... რაც შეეხება გვანცას, სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ცნობით, გვანცას ფეხი წამოუკრავს, მტრებს იგი შეუპყრიათ და შეკრულ-შებორკილი დანდალოსკენ წაუყვანიათ (ჩელებაძე, მიქელაძე, 2016. 386). სხვა გადმოცემით, თურქებს დატყვევებული დების სულთანთან წაყვანა გადაუწყვეტიათ, მაგრამ როცა გორის გადასასვლელთან მისულან, დებს ცხენები დაუფრთხიათ და ხრამში გადაჩეხილან.

როგორც ვხედავთ, ადგილობრივთა ცნობიერებამ გვანცა და ლელა შემოინახა როგორც ქრისტიანობისათვის შეწირულ ქალთა სახეები, თუმცა, სავარაუდოდ, მათი მითიური სახელები ქრისტიანულ ეპოქაში მართლმადიდებლური საფარველით შეიმოსა.

საინტერესოა სახელ ოლადასთან დაკავშირებული სოფლის ოლადაურის ისტორიაც.

შუახევში, სოფ. ჯუმუშაურში თავდაპირველად დამკვიდრებულა ორი ძმა: აბიბო და მიქელა. ორ ძმათაგან ერთ-ერთს კარგა ხანს ვაჟი არ შესძენია. გადაუწყვეტია, ეშვილა ვინმე. იმხანად გარეშე მტრების მოძალებისა თუ შინაური შფოთის და გაუტანლობის გამო, ბევრი ოჯახი საკუთარ მიწაზე ხიზანი ხდებოდა. მესხეთ-ჯავახეთიდან, შესაძლოა, ოლადის ხევიდან, ერთ ლტოლვილ ოჯახს სოფ. მახალაკიძეებში შეუფარებია თავი. ოჯახის თავკაცი შესანიშნავი კალატოზი ყოფილა და მახალაკეთსა და მეზობელ სოფლებში ხშირად იწვევდნენ სახლებისა თუ სხვა შენობების ასაგებად. აბიბო და მიქელას იგი ეკლესიის ასაშენებლად (გამონათლევში დამეწყრილი ეკლესიის სანაცვლოდ) მოუწვევიათ, რომლის აგებაც სინდაურის უბანში დაუწყიათ. ცხადია, ოსტატს შვილებიც ახლდნენ. მიქელას მოწონებია მშენებლის უფროსი ვაჟი, რომელიც ოსტატობაში მამას არაფრით ჩამოუვარდებოდა, თურმე. მისთვის თავისი ქალიშვილი მიუთხოვებია და მშენებარე ეკლესიის მახლობლად სამოსახლოც გამოუყვია. ასე ჩაეყარა საფუძველი ოლადელის უბანს. შემდეგ უმრავლია მის შტოს და უკვე საკმაოდ წამოზრდილი სოფლისთვის ოლადაური დაურქმევიათ.

მამამ და შვილმა მშვენიერი ეკლესია გამართეს, თურმე. ქვები მახალაკეთიდან მოუზიდავთ. აქ ახლაცაა ქვის კარიერი, საიდანაც სხალთის ეკლესიის ასაგებადაც გადაჰქონდათ თლილი ქვები. ოლადაურში სტუმრობის დროს (1897 წ.) თედო სახოკიას თავის მასპინძელ ემინეფენდი ქარცივაძის ეზოში უნახავს ეკლესიის ნანგრევები და ბზის ხეები. გადმოცემით, სწორედ ქარცივაძეები არიან მიქელას მესხი შვილების შთამომავლები (ნოდაიდელი, 2010:27).

ტოპონიმებთან დაკავშირებული მსგავსი თქმულება-გადმოცემები მრავლადა გვაქვს აჭარაში.

როგორც უკვე დავინახეთ, ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმთა საკითხის განხილვისას ყურადღებას იპყრობს ტოპონიმებში გამოყენებული ქალთა სახელები. მამაკაცთა სახელებისაგან განსხვავებით, ისინი ძალიან მცირე რაოდენობით გამოიყოფა ანთროპონიმული წარმოების ტოპონიმებში და ამის მიზეზი, ძირითადად ალბათ, საკუთრების არსებობის ძველ წესებში უნდა ვეძიოთ. აჭარაში ასეთი ტოპონიმებია: ანასოული (ბაღი, აგარა, ჩაისუბანი), გუგულაური (საძოვარი, აგარა, ჩაისუბანი), ნათელაური (ტყე, ხალა), შუშნიკილდე (მთა, საძოვარი, ნაღვარევი), შუშანეთი (სოფლის უბანი, კირნათი), თინათის ქედი (გორა, კვირიკე), ნარიმერიები (სათესი, კვიახიძეები), ფადობახჩა (სათესი, ზენდიდი), გოლიაური (სათესი, წყავროკა), გოლაფერდი (ბუჩქნარი, კვაშტა), თეთრაული (ბუჩქნარი, ზედა სამება, ქობულეთი) ჭუჭულაური (ბუჩქნარი, ზერაბოსელი) და, ასევე, ზევით უკვე განხილული ტოპონიმები, მარიამეთი (სათესი, უჩამბა), თამარჭალა (სოფლის უბანი, ოლადაური, სათიბ-სათესი, რაქვთა), მთა გვანცა (ხინო), გვანცა (ტყე, ბალაძეები, ტაკიძეები), გვანცა–ლელა (ტყე, დანდალო, ბალაძეები) და სხვ. ტოპონიმებში მოქცეულ ქალთა ამ საკუთარ სახელთა უმრავლესობა ქართული სამყაროს უძველესი სახელებია. ამ სახელთა მატარებელ ქართველ ქალებს ხშირად უკავშირდება მრავალი მითი, თქმულება; ბევრი მათგანი სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნებაა და მათი ღვაწლი ტოპონიმებმა შემოგვინახა.

თურქეთის აჭარაში ბატონობის პერიოდის შედეგები კარგად აისახა ტოპონიმიაშიც. რელიგიის ზეგავლენით და შემდგომში უკვე, სოციუმის მოთხოვნებიდან გამომდინარე, აქ ფეხი მოიკიდა ადამიანთა აღმოსავლური წარმოშობის საკუთარმა სახელებმა და კუთვნილების ტრადიციულობამ, საკუთრების განსაზღვრის თვალსაზრისით, გააჩინა ამ

სახელთა შესაბამისი ტოპონიმები. ამგვარმა სახელებმა ნაკლებად შეცვალა მაკროტოპონიმია, მაგრამ მიკროტოპონიმიაში მკვეთრად იჩინა თავი და აჭარაში თანდათან გაჩნდა ქართული სიტყვაწარმოებისა და წარმოქმნის წესებით გაფორმებული ადგილთა სახელებიც. მაგ. ბურჰანასევლა (სათიბი, ბახუნტარაძეები, ღორჯომი). ზექერაული (სათიბი, ტყემაკარავი), ქლეშაური (სათესი, ოქრუაშვილები), სულაური (ადგილი, მოფრინეთი), მემედაური (სათესი, ჭახათი), მუქიბისეული (მინდორი, გელაურა, ხუცუბანი), ქუჩუმანისოული (სათესი, ზედა ჯოჭო), მურადაახო (სათესი, დანდალო), შაქირაყანა (საძოვარი, ტყე, ცეკვა), ისმაილამერე (სათესი, შუბანი), მუსანქეთი (ბუჩქნარი, კვატია), ზაბითაჭალა (სათიბი, გორგაძეები), ყადირამინდორი (ბუჩქნარი, მახო), მეჰმედიე ღელე (ღელე, ფერია), ემინანადგომი (ტყე, ცხემლისი), უზეირანაკაფი (საძოვარი, ცხემლისი) და სხვა მრავალი.

ამ ტოპონიმთაგან ადვილად იკვეთება აჭარაში დამკვიდრებული, აღმოსავლური წარმოშობის ადამიანთა საკუთარი **სახელები: ბურჰანა, უზუნალი, ზექერია, ქლეშალი, სულა, მემედი, მუქიბი, ქუჩუმანი, მურადი, შაქირი, ისმაილი, მუსა, ზაბითი, ყადირა, მეჰმედი, ემინი, უზეირი** და სხვ.

ადამიანთა აღმოსავლური წარმოშობის საკუთარ სახელთა გარდა, საყურადღებოა აჭარაში სხვა ეროვნების (რუსული, ბერძნული, სომხური...) ადამიანთა საკუთარი სახელების დამკვიდრების, გავრცელების არეალის და ტოპონიმებში მათი გამოყენების საკითხების შესწავლაც, თუმცა, ჩვენი დაკვირვებით, ისინი ძალიან ცოტა რაოდენობით ჩანს აჭარის ტოპონიმიაში.

საკუთარ სახელთან ერთად ადამიანს ხშირად მიმართავენ მეტსახელით. მეტსახელი პიროვნებისადმი საზოგადოების დამოკიდებულებას გამოხატავს. იგი, ადამიანის საკუთარ სახელთან ერთად, ანთროპონიმიის ერთ-ერთი საინტერესო სახეობაა. მათი აღნუსხვა და კვლევა მრავალ საყურადღებო ასპექტს წარმოშობს ლექსიკოლოგიაში. ამ მხრივ განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ხასიათდება დიალექტები, მათ შორის, აჭარული დიალექტიც. ზედმეტი სახელები თავს იჩენს ანთროპონიმული წარმომავლობის ტოპონიმებშიც. აჭარის ტოპონიმიის მასალებიდან იკვეთება მრავალი ზედმეტი სახელი. მაგ.: **ბღარჯა** (ბღარჯაული, სოფლის უბანი, ხიხაძირი), **ბუჭუა** (ბუჭუას ნასახლევი, სათიბი, გვარა), **ბუჭუნა** (ბუჭუნაური, საძოვარი, მახალაშვილები), **ზანტა** (ზანტაური–სათიბი, ტყე,

დიდაჭარა; ირემაძეები), **კოშალა** (კოშალაური–სოფლის კუთხე, ჭახათი), **პაწკი** (პაწკიშვილი ყანა, საძოვარი, დოლოგანი), **ჭიკო** (ჭიკოჲსული–სათესი, ვაიო), **ჭაჭუნა** (ჭაჭუნიწყალი–სათესი, ზედა თხილვანა), **ტიღა** (ტიღაჲსოული–მინდორი, ხუცუბანი), **ჭუჭია** (ჭუჭიახო–საძოვარი, გუნდაური), **ჭიხვარა** (ჭიხვარაული–ღელე, ზერაბოსელი), **ხოტოლა** (ხოტოლაური–სათესი, ქეციქეთი), **ხვანია** (ხვანიაური, ხვანიეული–ციტრუსების პლანტაცია, ყოროლისთავი) **ღაღა** (ღაღაიშვილები–სოფლის კუთხე, კვირიკე; ღაღაშვილი ბაღი-ბაღი, ურეხი) და სხვ. მრავალი. ამ მიკროტოპონიმებში გამოყენებულ სახელთა უმეტესობა მეტსახელად ახლაც გამოიყენება და მათი ძირეული სიტყვები წარმომავლობით ქართველური, ძველქართული ან დიალექტისათვის დამახასიათებელი ლექსიკური ერთეულია მაგ.: **ბღარჯა**–ბღარჯს, ბღარჭს სუსტსა და „დალეულ“ ადამიანს, განსაკუთრებით, ბავშვს უწოდებენ ლაზურში. ასევეა, აჭარულშიც. **ბუჭუა, ბუჭუნა** სიტყვა ბიჭის კნინობითი ფორმებია. **ზანტა** სიტყვა ზანტის კნინობითი ფორმაა და ზარმაცი, საქმის ნელა, ნება-ნებით მკეთებელ ადამიანს აღნიშნავს. ტერმინი ზანტა აჭარულში, ასევე, გამოიყენება სიტყვაში ზანტაკა, რასაც ერთ-ერთ უხორცო კერძს უწოდებენ. **კოშა, კოში** აჭარულში აღნიშნავს თავს და, ასევე, მწარე კვახს, აყიროს. **კოშალა** –ალ-ა მაწარმოებლით გაფორმებული ადამიანის ზედმეტი სახელია. **პაწკი** წვრილი ხმელი ტოტი, ფიჩხია. პაწკის პატარა, ტანწვრილ და კოხტა ადამიანს, უმეტესად, ქალს ეძახიან.

ასევე სიპატარავეზე, მცირე ზომაზე მიუთითებს მეტსახელები: **ჭიკო, ტიღა, ჭაჭუნა, ჭუჭია... ჭიკუ** მეგრულად წვრილს აღნიშნავს (ელიავა, 1997), **ტიღა** ზრდაში ჩამორჩენილი ადამიანი ან ცხოველია, **ჭაჭუნა** პატარა პეშვს ეწოდება (შდრ. აჭარ. ჭაჭვი– პეშვი) და, ამდენად, პატარა ტანის ადამიანის ან პატარა ბავშვის მეტსახელია; **ჭუჭვა** აჭარულში თვალის ხუჭვა, ჭუტვაა. აქედან, მეტსახელი **ჭუჭია–** თვალჭუტია. **ჯიხვარას** ხმამაღლა, რიხით მოლაპარაკე ადამიანს ეძახიან. მეტსახელში **ხოტოლა** (მელოტი) გამოიყოფა ძირი ხოტ–, რაც ზანურსა და ქართულშიც თმის გაკრეჭას აღნიშნავს (ჩიქობავა, 2008, 415). მეტსახელი **ხვანია** მოდის ზმნური ფორმიდან ხვანვა, რაც უშნოდ, კბილების გამოჩენით მოურიდებლად სიცილი ან საუბარია (ნოღაიდელი, 2013, 254).

აჭარაში გვაქვს **ღაღა** სიტყვის შემცველი ტოპონიმები. **ღაღა** საერთოქართველური საკუთარი სახელია (ღლონტი, 67, 136). ლაზური

ღაღ (ქექვა) ზუსტი შესატყვისია ქართული ღეღ (ღეღვა) ფუძისა. უდავოა, ამ ფუძეთა სემანტიკური კავშირი (კარტოზია, 79, 67). ღაღა, შესაძლოა, სახელად ან მეტსახელად მოიაზრებოდა აჭარაში. აქედან გვაქვს გვარი ღაღაიშვილი და ტოპონიმები ღაღაიშვილები (სოფლის კუთხე, კვირიკე) ან ღაღაიშვილი ბაღი (ურეხი).

მეგრულ-ლაზურში ახლაც კარგადაა დაცული –ტ-ა სუფიქსი, რომელიც კნინობით სახელებს აწარმოებს (ჩიქობავა, 2008, 36). აჭარულშიც ამ სუფიქსით ნაწარმოები მრავალი ლექსიკური ერთეული მოგვეპოვება (ნოღაიდელი, 2013, 31). ამგვარად ნაწარმოები სახელები გვხვდება ანთროპონიმებშიც. იგი თავს განსაკუთრებით მეტსახელებში იჩენს და ვლინდება ტოპონიმებშიც. ასეთი ტოპონიმებია: კოკოტაური (სოფელი), ღვანტა (სათესი, ღორჯომი), ღვანტაური (სათესი, ჯალაბაშვილები), გოჩიტურები (სათესი, გოგაძეები), კუკუტაური (სათესი, დეკანაშვილები), კვიჭიტაური (სათესი, ჭახათი), კიკიტური (ჩაის პლანტაცია, ქეციქეთი), კიჭიტური (ტყე, სალიბაური), ჩიკუტაური (სათესი, დოლოგანი), ხახუტა (საძოვარი, ბაკო) და სხვა მრავალი. ყველა ეს სახელი მიღებულია ადამიანთა კნინობით-საალერსო მეტსახელებზე ტოპონიმთა მაწარმოებელი სუფიქსების დართვით. ეს სახელებია: **კოკოტა, ღვანტა, გოჩიტა, კუკუტა, კვიჭიტა, კიკიტა, კიჭიტა, ჩიკუტა, ხახუტა** და სხვ. აქ დასახელებულ ლექსიკურ ერთეულთა უმეტესობა, რომ არაფერი ვთქვათ –ტ-ა სუფიქსზე, ქართველური ფუძეებია: **კოკო** (→კოკოტაური) მეგრულში ტკბილეულს აღნიშნავს, ლაზურში კი პატარა კვერს ეწოდება (ლაზურ-მეგრული გრამატიკა, 2015, 804). ასევეა აჭარულშიც. **ღვა** (→ღვანტა, ღვანტაური) მეგრულ-ლაზურში ლოყაა. ღვანტას კი აჭარაში ვიწროსახიან, ლოყაჩავარდნილ ადამიანს ეძახიან. **კუკუ, კუკუტი** (→კუკუტა) კოლხური საკუთარი სახელია (ღლონტი, 1967). აჭარულში კუკუტს რაიმე საგნის წაწვეტებულ თავს, წვეტს ეძახიან.

კიკი, კიკიტი, კიკილი გაღვივებული თესლის ჩანასახი, ღივია. ლაზურში კავსა ნისკარტსაც უწოდებენ (თანდილავა, ნარაკიძე, 86, 98), ხოლო აჭარულში –წვრილ ფიჩხს, წვრილ ხმელ ტოტებს. კიჭი (→კიჭიტა) ადამიანის კოლხური სახელიცაა და ბავშვის ენაზე კბილსაც ჰქვია. ასევე, კოლხური სახელებია: ჩიკა, ჩიკი (→ჩიკუტა), ხახი, ხახუტია, ხახუტაც და სხვ.

საგულისხმოა, რომ ტოპონიმის დაკავშირება ადამიანის საკუთარ თუ მეტსახელთან ზოგჯერ, შესაძლოა, საკამათო გახდეს. ეს უკვე ტოპონიმის სემანტიკაზეა დამოკიდებული და უმეტესად მსაზღვრელ-საზღვრულიან ტოპონიმებს უკავშირდება. მაგ., გვაქვს ტოპონიმი **გოჩაყანა** (სათესი, ზედა თხილვანა; სათესი. მერისი). გვაქვს, ასევე, გოჩიტაურები (სათესი, გოგაძეები); ტოპონიმ გოჩიტურებში ჩანს, რომ გამოყენებულია საკუთარი სახელი გოჩა (კნინობით-საალერსო ფორმით გოჩიტა), რადგანაც აქ პიროვნების, გოჩიტას, კუთვნილებაზეა მინიშნება, მაგრამ გოჩაყანაში შესაძლოა, მითითებული იყოს არა ყანის მფლობელზე (გოჩას ყანა) არამედ მის ზომაზე, რადგანაც გოჩა მეგრულში მცირეს, პატარასაც აღნიშნავს (შდრ. დიდიჯიხაიში და გოჩა ჯიხაიში).

კაკუტაკალო სათესია სოფელ ჯუმუშაურში. კაკუტი აჭარულ კილოში ხის კავს, მოხრილთავიან ჯოხს, კაუჭს ეწოდება. შესაძლოა, კალოდ გამოყენებულ ადგილს თავისი მოყვანილობის გამო, ეწოდა ეს სახელი.

გვაქვს ტოპონიმი **ჭუჭიახო**. იგი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ადამიანის ზედმეტ სახელს ჭუჭიას (თვალჭუტია), მაგრამ ხანურში ჭუჭა, ჭიჭე პატარასაც აღნიშნავს. ამდენად, ახოს სიპატარავის გამო შესაძლოა, ეწოდა ჭუჭიახო და სხვ.

როგორც დაკვირვებამ გვიჩვენა, აჭარის ტერიტორიის მკვიდრთა ყოფაში ძველთაგანვე გამოიყენებოდა საერთოქართველური, ხანური, ძველქართული თუ აჭარული დიალექტისათვის დამახასიათებელი ადამიანთა საკუთარი სახელები. ისტორიული მოვლენების კვალდაკვალ, ჩნდებოდა და ფეხს იკიდებდა სხვა ეროვნებათა საკუთარი სახელებიც, მაგრამ, ისევ ისტორიული ვითარებებიდან გამომდინარე, ქართულ ძირძველ კუთხეს, აჭარას, ამჟამად ნელ-ნელა უბრუნდება ადამიანია ქართული საკუთარი სახელები, თუმცა, გვაქვს ადამიანთა ისეთი საკუთარი სახელები, რომლებიც დღეისათვის, მიუხედავად მათი ძველქართულობისა, „არატრადიციულია“. მომავალში კი ეს საკუთარი სახელები შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენს ცხოვრებაში: **არძენა, აფშილა, ბარათა, გვარამი, გოგინა, გომანი, დუდია, ვაჩე, ზოი, ლემინი, ლომანი, ოლადა, ოსანა, ქავთარი** და სხვ.

კიდევ მრავალი საკითხის წამოწევა შეიძლება, მაგრამ ეს ერთი სტატიის მოცულობას სცილდება და უკვე მომავალი კვლევის მიმართუ-

ლებაა. ჩვენთვის მთავარი იყო გვეჩვენებინა ამ საკითხის აქტუალობა, რადგანაც, ისტორიული მოვლენების კვალდაკვალ, ბევრი რამ იცვლებოდა აჭარის მკვიდრთა ცხოვრებაში, სულიერ სამყაროში, ხოლო ტოპონიმები, გამონაკლისთა გარდა, რჩებოდა და მათში აისახებოდა აჭარის მკვიდრ ბინადართა ადგილსამყოფელი, განსახლება, ადგილმონაცვლეობა, ადგილთა კუთვნილება, რაც აუცილებელს ხდიდა პიროვნულ მითითებებს, პიროვნებათა სახელების ტოპონიმებში მოქცევას. ასევე, ხდებოდა ისტორიული მოვლენების პიროვნებათა სახელებთან დაკავშირება და მათი შესაბამის ტოპონიმებში ასახვა. ჩვენ ხელთ არსებული ეს ლექსიკური მონაცემები ქართული, ეროვნული სალექსიკონო ფონდის შემადგენელი მნიშვნელოვანი ნაწილი და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი კუთხის ისტორიისა და კულტურის კვლევისათვის საჭირო მასალაა.

Nanuli Noghaideli

Questions of Human Names (Anthroponymy and Toponym)

Summary

The history of nation can be reflected even in the human names. Toponymic data takes a significant part in the research of anthroponymy from the historical point of view. Adjarian toponymy delivers rich information about human names. The research of human names enables to observe historical processes at different periods of Adjarian life and find the human names being used in this oldest part of Adjara, many of which either haven't been preserved by the live speech, or have been changed through centuries, also nicknames, or human names having been borrowed from other language worlds, etc. From the practical point of view we can distinguish some proper names from anthroponymical nomenclature (e. g. Apshila, Gomani, Dudia, Vache, Lomani, Osana, Kavtari…). They can be widely used in our life.

Human names are considered to be a significant part of national vocabulary fund and reliable material for the investigation of the history and culture of our country.

ლიტერატურა

1. გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1997.

2. ზ. თანდილავა, ც. ნარაკიძე, ზანური ლექსიკური სუბსტრატის კვალი აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბ., 1986.

3. გ. კარტოზია, რამდენიმე საერთოქართველური ფუძისათვის ქართულსა და მეგრულ-ლაზურში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, II, თბ., 1979.

4. მიქელაძე, სადოქტორო დისერტაცია, ტოპონიმური თქმულება-გადმოცემები აჭარაში, ბათუმი, 2012.

5. ნ. ნოღაიდელი, შუახევის რაიონის საექსპედიციო მასალები (ხელნაწერი), ბათუმი, 2010 წ.

6. ნ. ნოღაიდელი, ლექსიკური ძიებანი, ბათუმი, 2013.

7. ი.სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმიკა, თბ., I-1958, II–1959;

8. ნ. სურმავა, სიტყვაწარმოების ზოგი თავისებურება აჭარულში. აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, V, თბ., 1986.

9. ტბეთის სულთა მატიანე–თბ., 1977.

10. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია II, თბ., 1977; V, თბ., 1990.

11. მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, VIII, თბ., 1992.

12. ჭ. ქირია, ლ. ეზუგბაია, ო. მემიშიში, მ. ჩუხუა–ლაზურ-მეგრული გრამატიკა, I, თბ., 2015.

13. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოლოგია, თბ., 1964.

14. ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.

15. ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1972.

16. ნ. ჩელებაძე, ნ. მიქელაძე–გვანცა-ლელას მთასთან დაკავშირებული თქმულების ზოგიერთი საკითხისათვის. ჩვენი სულიერების ბალავარი, VIII, თბ., 2016.

17. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართულის შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1952.

შუშანა ფუტკარაძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

ისტორიული ტაოს ქართული

ისტორიული ზემო ქართლის შემადგენელ ნაწილს – **ტაოს**–საქართველოს დიდებული წარსულის შენებაში ბევრი ბრწყინვალე ფურცელი ჩაუწერია. იგი იყო ჩვენი ქვეყნის სამხრეთ–დასავლეთის მტკიცე კედელი და ევროპულ (ბერძნულ) ცივილიზაციასთან დამაკავშირებელი მთავარი კარი. მისი საზღვარი სამხრეთ–დასავლეთით იყო „**გზა ქართლისა**“ – „**საქართველოს ყელი**“ („გურჯი ბოდაზი“), ხოლო სამხრეთ–აღმოსავლეთით – **გიაურდაღლარი**, ცნობილი ქარგა ფაზარ დაღლარის (ყვავების ბაზრის მთების) მთაგრეხილის ერთი მონაკვეთი (**გიაურდაღლარი – ურწმუნოთა მთები**). აქაურ მცხოვრებთა გადმოცემით, აქ იგულისხმება **ქართველთა მთები**, სადამდეც აღწევდა ისტორიული საქართველოს საზღვარი; ეს ადგილი მდებარეობს ერზრუმის ჩრდილოეთით (იხ. ჯუანშერი, ვახუშტი, ექვთ. თაყაიშვილი, ივ. ჯავახიშვილი).

ტაო გაშლილი იყო მდ. ჭოროხის აუზის სამხრეთ–დასავლეთ ნაწილში. იგი მოიცავდა ყოფილი **ოლთისის ოკრუგს, თორთომს, იშხანს**... ხშირად ტაოში შედიოდა **ისპირიც** (1, 199). ტაოს სოფლები გაშენებულია მდ. ჭოროხის (სათავეს იღებს **ბაიბურთისა** და **ისპირის** მთებიდან, რომლებიც ქმნიან **ზეკარს** – „**გურჯი ბოდაზს**“ – **საქართველოს ყელს**, **კარს**) შუა წელის მარჯვენა და მარცხენა შენაკადების ხეობებში, როგორიცაა: **მარჯვენა შენაკადი** – **ოლთისის წყალი** (გამოდის სევრიდაღის მთებიდან და თავისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით ქმნის დიდ ბასეინს). მას ერთვის მარჯვენა შენაკადები – **ბანას წყალი, ყანლის წყალი, სალაჩაურის წყალი**; მარცხენა შენაკადები – **სევრის წყალი** და **თორთომის წყალი**. ესენი ქმნიან **თორთომის ტბას**. მდინარე ჭოროხის **მარცხენა შენაკადია**, აგრეთვე **პარხლის წყალი** (ამასაც მრავალი შენაკადი აქვს. მათ შორის აღსანიშნავია **ქუაბაგი** და **არმენხევი**). ტაოს სოთლებს ზემოდან დაჰყურებს მაღალი მწვერვალები – **ალთიპარმაღი** ანუ **მასისი** (გ. ყაზბეგი, მარსისი). მდინარეების ღრმა ხეობებში გაშენებული

ტაოს სოფლები, კლდეებზე მიშენებული ძველებური სახელებით, მნახველს თვალწინ მოულოდნელ, ზღაპრულ სანახაობას გადაუშლის ხოლმე.

მდ. პარხლის ხეობის სოფლებია: **დიდღელე, დიდიხევი, პეტარა ინტკორი, დიდი ინტკორი, ვეჟანკეთი, ჭილათი, მახათეთი, სარიგრლი, ქისბორეთი (თისბორეთი), ხევმუდი, ოღდემი, წვევიბარი, არჯევანი, სოროხევი, ვანისხევი, ელიასხევი, ქორიეთი, ფიქალთავი, ნიკოლოვი, ბერთხევი, ფარიხევი, კრევლათი, კონწოლი, ფიჩხეთი, უტავი, ახალთი, დევთისა, ნავანევი, გუდასხევი, კუპრეთი, ბოწმინდა, ბალხიბარი, ქუაბაგი, კილიონი, ხევენგი, ხევრცუცი, არმენხევი, პარიხევი, ხევა, ქონობანი, ფიშნარ ხევი, იეთი, ველითავი, საფარანთე, სადგიყანა, წითლეკარი, ხუცეკარი, ჭედლიან კარი, ცერეკარი, ობლეკარი, დოლეკარი, ვაჩეკარი, გოდღეკარი, კლაეკარი**...

პარხლის წყლის ხეობა ისტორიულ წყაროებში ცნობილია, როგორც **საკავკასიძო** (კავკასიძეთა სამფლობელო), მდებარე ისპირ–ტრაპიზონის მთას გადმოღმა, რომელიც იშხნელის სამწყსოდ ითვლებოდა (2, 75–77).

მდ. ოლთისის ხეობაშიც არის ქართული სოფლები. ერთ–ერთი ასეთია „**ტაოსკარი**“ – **თაუსქერი**, სადაც ექვთ. თაყაიშვილს 1917 წელს უმასპინძლა **დევრიშ–ბეგ ხიმშიაშვილმა, დურსუნ–ბეგის შვილმა**, სახელოვანი წამებული გმირის–**სელიმ ხიმშიაშვილის** შვილიშვილმა. დაბა ტაოსკარი გაშენებულია ქვაბულში, სადაც **ტაოსკარის წყალი** ერთვის **სალაჩაურის წყალს** (მდ. ოლთისის შენაკადს). ექვთ. თაყაიშვილი წერს: „ძველ ისტორიულ სახელს ამ ქვეყნისას, „**ტაოს**“, რომელიც ცნობილია **ქსენოფონტეს** აღწერილობით მეოთხე საუკუნიდან ქრისტეს წინ, ახლა მოგვაგონებს მხოლოდ მარტო ამ დაბის სახელი, **ტაოსკარი**. ეს სახელი ზედგამოჭრილია ამ ადგილისათვის, ვინაიდან ტაოში ვიწრო კლდოვან გამოსავალს მდინარისას თუ ხევისას, **კარს** უწოდებენ“ (3, 368).

მდ. ოლთისის ხეობაშია, აგრეთვე, შემდეგი ქართული სოფლები – **ბანა (პენიაკი//ფანაქი), სოლომონისი, კოსორი, ორთული, ავჭალა** (მახლობლად მარილის სარეწია), **ოლორი, ორთისი, კიახი, ფანასკერტი, კარნავაზი, ანზავი, იშხანი, ჭიმჭიმი** (ჩილჩიმი)... აქვეა ქ. **ოლთისი** – „ქალაქი კარგი და კეთილ–ჰაოვანი. აქ არის ციხე მაგარი და დიდშენი. არს მეორე საჯდომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე“ (4, 683). მე–19 საუკუნის 30–იანი წლებიდან **ოლთისისა** და **ტაოსკარის გამგებლები** იყვნენ **ხიმშია-**

შვილები, რომლებმაც შეცვალეს **ათაბაგების (ჯაყელების) მმართველობა**.

მდ. თორთომის ხეობაშია ცნობილი სოფლები **ოშკი** (ეოშქ–ვანქ) და **ხახული.**

ტაოს რამდენიმე ქართული სოფელი ჭოროხის ხეობაშიც ვნახეთ. კერძოდ: **ქორთა, ხომხალი, ბინათი, უშხუმი, კოწახური, ჩევრელი, ოთხთა ეკლესია, ცრია, ხოთი, გუმფალი, ერთა ციხე, მელო**...

ტაო, კლარჯეთთან ერთად, საუკენეთა მანძილზე გამოდიოდა საქართველოს გაერთიანების მესაძირკვლედ. ბაგრატ III–ის დროს (978–1014), როცა გაერთიანებული საქართველოს დედაქალაქად **ქუთაისი** იქცა, ტაოც შედიოდა ბაგრატიონთა სახელმწიფოში. ტაოს დაწინაურება უკავშირდება **დავით III დიდის-კურაპალატის** სახელს (გარდ. 1001 წ.). იგი იყო ბაგრატიონთა ტაოს შტოს წარმომადგენელი, ტაოს მეფე.

დავით კურაპალატი მნიშვნელოვანი პოლიტიკური ფიგურა იყო ახლო აღმოსავლეთში. მეზობელ სამეფო-სამთავროებს შორის კეთილმეზობლურ ურთიერთობას ის აწესრიგებდა. ტაოს სამეფო მაშინ იმდენად ძლიერი იყო, რომ შეეძლო ბიზანტიის იმპერიაზე დახმარებაც კი. **979 წელს** დავით III კურაპალატი დაეხმარა იმპერატორ **ბასილ II-ს ბარდა სკლიაროსის აჯანყების ჩაქრობაში**. ამისათვის ბიზანტიის იმპერიის ხელისუფლებამ მას გადასცა ე.წ. „ზემონი ქუეყანანი“ ანუ ისტორიული ტაო-კლარჯეთის მხარეები. მისი მეფობის დროს **ტაოს სამეფოს საზღვარი მდ. არაქსზე გადიოდა.**

დავით III კურაპალატის მეთაურობით განხორციელდა მისი შვილობილისა გაზრდილის ბაგრატ III-ის გამეფებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის გეგმა. დავით აღმაშენებლის დროსაც ტაო გვევლინება გაერთიანებული საქართველოს „ოქროს ხანის“ ერთ–ერთ მესაძირკვლედ.

„ანატოლიისა და კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდეგ ოსმალებმა სულთან სულეიმან დიდის დროს (1552–1566) დაიკავეს არზრუმი, ვანი და ყარსი... ათაბაგ **ქაიხოსრო მეორის დროს (1545–1573) დაიპყრეს მთელი ჭოროხის აუზი**, სახელდობრ, **1550 წელს – ტაო**“ (1, 215). ამიერიდან ტაო, სამცხე–საათაბაგოსთან ერთად, შედიოდა ერზრუმის საფაშოში. მე–19 საუკუნის 30–იანი წლებიდან ტაოს გამგებლები არიან **ბეგები**

ხიმშიაშვილთა გვარიდან, სელიმ ფაშის შვილები – უსეინ–ბეგი ანზაველი და დურსუნ–ბეგი ტაოსკარელი.

1878–78 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომის შემდეგ, ბერლინის ტრაქტატით, რუსეთს დარჩა (საქართველოს დაუბრუნდა) ყარსის და ბათუმის ოლქები... როდესაც საქართველო განთავისუფლდა რუსეთისაგან და შექმნა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, ის ადგილები, რომელნიც შეადგენდნენ სამცხე–საათაბაგოს ნაწილებს, ითვლებოდა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში. მაგრამ ბოლშევიკების ხელმძღვანელობით წითელი არმიის ნაწილებმა 1921 წლის თებერვალში დაამხეს თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკა და სისხლისაგან დაცალეს... დაიწყო საქართველოს ტრაგედია. **1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულებით** ოსმალეთმა მიიღო ბოლშევიკებისაგან ბერლინის ტრაქტატის ძალით დაკარგული ტერიტორიები, მათ შორის **ოლთისის ოკრუგი, რომელშიც შედიოდა ისტორიული ტაო** (1,215, 226).

ამჟამად ისტორიულ ტაოს მოიცავს **იუსუფელის, ოლთისის, თორთომის, უზუნდურეს რაიონები** და წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიას.

ტაომ, კლარჯეთთან ერთად, უდიდესი როლი შეასრულა ქართული კულტურის ისტორიაში. აქაურ მონასტრებშია გადაწერილი უძველესი ტყავის ხელნაწერების უმრავლესობა. ქართულმა არქიტექტურამ, ხუროთმოძღვრებამ, ფერწერამ აქ მიაღწია განვითარების მწვერვალს. თავისი გრანდიოზულობით დღესაც აჯადოებს მნახველს **პარხალი, ოშკი, იშხანი, ოთხთა ეკლესია, ბანა**...

ტაო იყო მეათე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ–ერთი ცენტრი. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიმნოგრაფები და მთარგმნელები. მეცნიერთა აზრით (ექვთ. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე) ტაოელი უნდა იყოს ფილოსოფოსი და მთარგმნელი **იოანე ჭიმჭიმელი**.

ამ კუთხის შვილია ცნობილი ჰიმნოგრაფი **მიქელ მოდრეკილიც**, რომელიც მოღვაწეობდა ოშკის ლავრაში. კ. კეკელიძის აზრით, იგი არის ექვთიმე ათონელის ძმა (5, 175), მოღვაწეობდა მეათე საუკუნეში და იყო ტაო–კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი. ოშკის ლავრაში მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და ღვთისმეტყველი **გრიგოლ ოშკელი**.

ქართველ მკვლევართაგან ტაოს მხარეზე საინტერესო ცნობებს გვაწვდიან მკვლევარ-ისტორიკოსები **გიორგი ყაზბეგი** და **ექვთიმე თაყაიშვილი**.

ტაოს ქართულის კილო რომ უჩვეულოა, ეს კარგად შეუნიშნავს 1874 წლის ზაფხულში გ. ყაზბეგს, მდ. პარხლის ხეობის სამი სოფლის – **ქუაბაგის (კობაკი, გ. ყაზბეგი), არმენხევისა და პარხლის მეტყველების მაგალითზე**. თავისი მოგზაურობის დღიურში მას ასეთი შენიშვნა გაუკეთებია: „არმენხევისა და კობაკის მცხოვრებნი მეტყველებენ ძალიან დამახინჯებული ქართულით... განსაკუთრებული ინტონაცია და მეტყველების ჩქარი ტემპი ამ ხევების მცხოვრებთა მეტყველებას აძლევს ისეთ ხასიათს, რომლითაც იგი განსხვავდება ქართული ენის დანარჩენი კილოებისაგან... მკაცრი ბუნებრივი პირობები და კარჩაკეტილი ცხოვრება დიდ გავლენას ახდენს აქაურთა არა მარტო მეტყველებაზე, არამედ ადათ–წესებზედაც და ყოფაზეც“ (6, 119).

ისტორიული ტაოს ქართულენოვანი მოსახლეობის მეტყველების ენათმეცნიერული თვალსაზრისით შესწავლა ჩემამდე არავის უცდია. ამ მხარის მკვლევარ-ისტორიკოსთა ნაშრომებში (გ. ყაზბეგი (1874 წ.), ექვ. თაყაიშვილი (1917 წ.) დიალექტური ტექსტები, აქაურთა ქართული მეტყველების ნიმუშები, არა გვაქვს; ადრე არავის ჩაუწერია. ქართველმა ენათმეცნიერებმა ტაოელი ქართველების მეტყველების ნიმუშები პირველად იხილეს ჩემი მონოგრაფიის – **„ჩვენებურების ქართულის**“ I ტომში (1993 წ., გვ. 170-179). ტაოს ქართულის ლინგვისტურ ანალიზს ცალკე თავი მიეძღვნა ჩემს სადოქტორო დისერტაციაში – **„ქართული ენის სამხრულ-დასავლური დიალექტების თავისებურებანი ისტორიული ტაო-კლარჯეთისა და მუჰაჯირი ქართველების მეტყველების მიხედვით“**. სადოქტორო დისერტაციის დაცვა შედგა არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში 1995 წლის 5 მაისს; დისერტაციის სრული ტექსტი დებაჭდილია „ჩვენებურების ქართულის“ II ტომში (ბათუმი, 2016 წ.).

ისტორიული ტაოს ქართულენოვანი მოსახლეობის მეტყველებაზე ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაკვირვება დავიწყე 1989 წლის მარტიდან, როცა სამი თვით ვიყავი მივლინებული თურქეთის რესპუბლიკაში, იქ მცხოვრებ ქართველთა მეტყველების შესასწავლად.

ტაოს ქართულის შესასწავლად ისტორიულ ტაოში ვიმოგზაურე ოთხჯერ. პირველად ტაოს ვეწვიე 1989 წლის აგვისტოში. მეგზურობა და

დახმარება ითავეს წარმოშობით იმერხევლებმა, ცოლ–ქმარმა, მწერალმა **ისმაილ ყარამ (შავიშვილმა), ხატიჯე სარაჩმა** და ტაოელმა, სოფელ ქუბაბაგის მცხოვრებმა, **მუსტაფა იენიდუნიამ (ბერიძემ)**. პირველად მაშინ ჩავიწერე სოფელ ქუბაბაგის მეტყველების ნიმუშები. 1992 წლის ოქტომბერში მეორედ ჩავედი ტაოში; სოფლებში სიარულის დროს მეგზურობას გვიწევდა სოფელ ხევას მკვიდრი, ტაოელი **რამაზან ქეჩიჯი** (ქართული გვარი არ ახსოვს). ჩავიწერე სოფელ **ხევას** მეტყველების ნიმუშები. ტაოელებთან საუბრის ფრაგმენტები ჩავიწერე, აგრეთვე სოფლებში – **ელიასხევში, ჭილათსა** და **პარხალში**. შეზღუდული დროისა და უსახსრობის გამო ტაოელებთან საჭიროებისამებრ ვერ ვიმუშავე. ტაოს მეტყველების შესასწავლად მესამედ იქ ჩასვლა მოვახერხე 1993 წლის აგვისტოში. ვიმუშავე სოფელ **ჩევრელში.**

ტაოს ქართულენოვან სოფლებს მეოთხედ ვეწვიე 2014 წლის სექტემბერში, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად. დიალექტური მასალები ჩავიწერეთ სოფლებში–**ხევაში, იეთში, პარხალში, ჭილათსა** და **ქუბაბაგში**.

მოპოვებული მასალა გარკვეულ შთაბეჭდილებას გვიქმნის ტაოს ქართულის შესახებ, რომელსაც შესამჩნევად დაჰკრავს არქაული იერი. ტაოს მაღალმთიანეთის ქართული სოფლების მეტყველება ერთეროვანი არ არის. განსხვავება შეინიშნება ხეობების მიხედვით, რასაც თვით აქაურებიც ამჩნევენ ხოლმე. ენათმეცნიერული კუთხით განსაკუთრებით საინტერესოა **ქუბაბაგის (ქობაის) ხევის** ქართული, არქაიზმებითა და ნეოლოგიზმებით მდიდარი. ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს **არჯევანის ხეობის** ქართული, თუმცა დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი; ელოდება მომავალ მკვლევარს.

ისტორიული ტაოს ქართულენოვანი მოსახლეობის მეტყველებაზე დაკვირვებამ, დიალექტური ტექსტების ლინგვისტურმა ანალიზმა შესაძლებლობა მომცა ცალკე დამოუკიდებელ დიალექტად ჩამომეყალიბებინა **ტაოს ქართული.** ამის საფუძველს იძლევა ენათმეცნიერული, ეთნიკური და ისტორიული მონაცემები (ვრცლად ვსაუბრობთ ნაშრომში „**ტაოს ქართული**“, რომელიც მალე გამოქვეყნდება). ქართველ ენათმეცნიერთა უმრავლესობამ ჩემი მოსაზრება ჯერ კიდევ 20 წლის წინ გაიზიარა. ამჟამად ქართულ დიალექტოლოგიაში აღიარებულ დიალექტთა რიგში ირიცხება **ტაოს ქართულიც,** არქაიზმებითა და საინტერესო ნეოლოგიზმებით გამორჩეული კილო.

ტაოს ქართული შედის **ტაო-კლარჯულ დიალექტთა ჯგუფში, იმერხეულ** (ისტორიულ შავშურ) და **ნიგალურ** (ლივანურ)კილოებთან ერთად. ტაო-კლარჯული კილოების სახით ჯერ კიდევ ცოცხლობს ქართული ენის ფესვები უცხოეთის ცის ქვეშ მოქცეულ მდინარე ჭოროხის ხეობების ფერდობებზე შეფენილ ქართულენოვან სოფლებში.

ოთხ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ტაოს ქართული მოწყვეტილია დედაენასთან კავშირს, მის დაქვემდებარებელ კონტროლს, გარემოცულია უცხო ენობრივი სამყაროთი. იგი ცოცხლობს მხოლოდ ქართულ ოჯახებში, როგორც საოჯახო, შინაური ენა. საზოგადოდ კი ისტორიულ ტაოში გაბატონებულია თურქული ენა. მიუხედავად ასეთი მძიმე პირობებისა, ტაოს ქართული დღემდე ცოცხლობს და ვითარდება; ინარჩუნებს თავისთავადობას, გულში იტოვებს არქაულ ფორმებს და ნაკლებად უღებს კარებს უცხო ენობრივ მოვლენებს. ტაოელი ქართველები კიდეც ამაყობენ თავიანთი კილოთი; თავმომწონედ აცხადებენ: „თამარ დიდოფლის გურჯიჯა მაქუან ჩენაო“,–თამარ დედოფლის ქართული ენა გვაქვსო. ამ მამულიშვილურ საქმეში გადამწყვეტ როლს თამაშობს ოჯახის დედაბოძი, **ქართველი ქალი**, რომელიც თავისი კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით, უბეში სათუთად ინახავს მამა–პაპათა ბაგეებიდან მომდინარე დედაენას და ახალ თაობებს, დედის რძესთან ერთად, ამ ენითაც ასაზრდოებს.

გამძლეობითა და სიმტკიცით ტაო-კლარჯული კილოები შეიძლება შევადაროთ **კელტური ენის დიალექტებს** (შდრ. უელსის კელტური ინგლისში და ბრეტონული კელტური საფრანგეთში).

წინამდებარე ნაშრომში შევეცდებით მკითხველს გავაცნოთ ისტორიული ტაოს ქართულენოვანი სოფლების მოსახლეობის მეტყველების ძირითადი ენობრივი თავისებურებანი. განსაკუთრებით საინტერესო სურათს ქმნის ტაოს ქართულის ენობრივ ქსოვილში ჩაგვირისტებული გრამატიკული მოვლენები, მორფოლოგიურ-სინტაქსური არქაიზმები და ნეოლოგიზმები. ტაოს ქართულში საინტერესო ლინგვისტური სურათის შემქმნელ ფონეტიკურ თავისებურებათა შესახებ სხვა ნაშრომში გვექნება საუბარი.

ტაოს ქართულის მორფოლოგიური თავისებურებანი

1. სახელები:

ა) **არსებითი სახელი**: ხმოვანფუძიანი სახელები (საკუთარიცა და საზოგადოც) სახელობით ბრუნვაში დაირთავენ ბრუნვის ნიშანს –„**ი**“–ს სრული ხმოვნის სახით. მაგ. ჩემი **ანაი** – **აიშოი** მეტყოდა; **ჭევაი** გომოჩდება; „**გალმაი**“ ადგილის სახელია; **თივაჭჳავაი** არ დავტიე ამ სოფელშიო; **ყიაქჳეშაი** უჩანდა; ართვინის **იქეთაიც** სხვა სოდ ვიხვარათებთ; **დილაი** ამათია, ახლა გააშვითო; **ზემოთაი** საჩინოთია; „ალთიპარმაღი“ **ექსთითაი** თქმა არი; **წყარობალაი**, ალამელიგი ბლებია; დაგაყარე **მიწაი**!; დიდი **გზაი** აქვა; დაარტყა **უროი**; აქვა დიდი **ეზოი**; გეიარა **ტყეი**...

სახელობითი ბრუნვის ნიშნითაა გაფორმებული ხმოვანფუძიანი სახელით გადმოცემული ზოგიერთი ზმნიზედა. მაგ., **ადვილაი** მაადრის; **ადვილაი** წახვალო; **საღამოპირაი** ღუსუფელიდამ წამჳალთ; ყუელ **დღეი** თვალი ზებნის გურჯისტანიდამ მოსულებსა.... ამ შემთხვევაში სახელობითი ენაცვლება მოსალოდნელ ვითარებითსა და მიცემით ბრუნვებს.

როგორც ცნობილია, „ა“–ზე დაბოლოებული ზოგიერთი სიტყვა, სახელობითი ბრუნვის ნიშნის ზემოქმედებით, „ე“–ზე დაბოლოებულად იქცევა. ე.ი. ფუძისეული „ა“ იცვლება „ე“–თი ფონეტიკური ცვლილების შედეგად: აი→ეი→ეი→ე. ამ მოვლენას ბევრი მკვლევარი შეეხო (ვრცლად იხ. „ჩვენებურების ქართული“, ტ. II, 2016, გვ. 63-74; იმერხეული, სახელთა ბრუნება). ტაოს მეტყველებაში შეგვხვდა სიტყვა „**კვირე**“, რომელშიც აღნიშნული მოვლენა იჩენს თავს. მაგ., დღიები **კვირეში** დაყოფილია; **კვირეს** ედრება მორწყვის სირა...

იმერხეულის მსგავსად, ტაოს ქართულშიც შეიძლება შეგვხვდეს თანხმოვანფუძიანი სახელი სახელობით ბრუნვაში ფუძის სახით. ინფორმატორების მეტყველებაში ეს განსაკუთრებით შეინიშნება ტოპონიმების ჩამოთვლის დროს. მაგ., **ბინათ, უშხუმ, მახათეთ**... ესკი გურჯი სოფლებია; ზემოთ სამი თანე გურჯი სოფელია – **სოროკევ, ვანისკევ, ელიათკევ, ფიქალთავ, ბერთკევ, ფარიკევ**... ის რა **გემრიელ ხალხ** იყვნეს?!...

მიცემით ბრუნვაში თანხმოვანფუძიან სახელებს უმეტესად ეკარგებათ ბრუნვის ნიშანი. ფუნქციით ასეთი სახელი გამოდის დამატება–ობიექტებისა და ადგილის გარემოების როლში. მაგ., **პარეკევ** მოჩუენებია

ფერების ქორწილი; ჩეისვლებოდა **ჭანეთ**; მიცა ცულები **ასკერებ**; **დოდოფლებ** ჴელზე მენდილი ქონდენ და თემენას იჯებოდენ; **ქალებ** პირები არ უჩანდენ...

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული „**ს**“ უმთავრესად იკარგება მაშინ, როცა სახელი სუბსტანტიური მსაზღვრელის როლშია და წყობა მსაზღვრელსა და საზღვრულს შორის პრეპოზიციურია. მაგ. **ღვარი წყალ** ჩუუფაქებია; **მასისი გადაღმა** ლაზებია; **ზამთარი თოვლსა** რუვნალი უმსია...

მიცემით, ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში სახელები ხშირად წარმოგვიდგებიან ემფატიკური ხმოვნებით. ემფატიკური „**ა**“ ბრუნვის ნიშანს იცავს დაკარგვისაგან: სადგიყანი თავიდამ **თასა** შეხედავ; თამარ **დედოფალსა** ბაჭალა ყოლია; თამარ დოდოფალი **ღმერთისა** მოყჳარული ყოფილა; აქევრ ჯარებ **რუსისას** ჲესირათ (ტყვედ) უქნიან; ჲაზი **გურჯისა** არ ვიცი...

გვხვდება ემფატიკური „**ი**“–ც, რომლის შესახებ საინტერესო შეხედულებებია გამოთქმული საენათმეცნიერო ლიტერატურაში (7, 234–238; 8, 71–77; 9, 59–69). ემფატიკური „**ი**“ შეგვხვდა სოფელ ქუაბაგის მთქმელთა მეტყველებაში. მაგ. ბელქიდა, **ქჳები** თამარ **დოდოფლისი** დაწყობილია; **წინდა ქალისი** მოქსოვნილი არ უკადრია; **ქალისი მენდილი** მჴარზე ეკიდა; მაღლა **თასი** სახელი სანაცრიეა; ყოლ **ჭალასი** სახელი სხჳა არი; იმ **ბაჳშჳისი** ფეჴი ქვაში ჩაფლობილა; თმის დასაჭირნებელი ქონებია **ოქროსი**; **დღისი** თქვენია; მაღალ **ხმითი** ილაპარიკებენ...

ვითარებითი ბრუნვის ნიშნისეული „**დ**“ უმეტესად ფშვინვიერ „**თ**“–ს სახით გვხვდება: ამბობენ **ერთათ; ჲესირათ** იყო ჩავარდნილი...

იმერხეულის მსგავსად, აქაურთა მეტყველებაშიც იჩენს თავს რთული ბრუნვის ფორმები ე.წ. რთული ლოკალური ბრუნვები (10, 77), ორთანდებულიანი ლოკატივები. კერძოდ, დადასტურდა **სადაობით–გამოსვლითის** ნიმუშები: იმა გზისპირში მარჴვილი **ქვებზედამ** უუყუდებია; ერზრუმისკე **გზაზედამ** არი; ენით ხომ არა, **გულშიდამ** გელაპარიკები; ჭკჳა **თავშიდამ** გამჳა; წყაროსი წყლები **თებშიდამ** მოდინდება... ასეთი მაგალითების ფორმით **სადაობით – გამოსვლითის შთაბეჭდილება იქმნება** (ზე–დამ, ში–დამ), მაგრამ შინაარსი მხოლოდ სადაობითისა აქვს.

ებ–იან მრავლობით რიცხვში, „ე“–ზე დაბოლოებული სახელების ანალოგიით, „ა“–ზე დაბოლოებული სახელების ფუძეშიც თავს იჩენს ორი „ე“. **აე→ეე** სრული, რეგრესული კონტაქტური ასიმილაციის წყალობით. მაგ., ზემოთ ჩანს **თეები**; **დეები** მყავს...

ასეთ მაგალითებში ფონეტიკური ცვლილება შეიძლება უფრო შორს წავიდეს, ასიმილაციას მოჰყვეს დისიმილაცია: სირთიდამ რომ გადახედავ, **ქვიებია** (ქვაები→ ქვეები→ქვიები)... ასეთი ცვლილება დამახასიათებელია მესხურ–ჯავახურისა და აჭარულ–იმერხეულისთვისაც.

ნარ–თანიანი მრავლობითის ფორმები საკმაოდ ხშირად გამოიყენება. მაგ. **ზოგნი** წავლენ სახლისკე; **ბერ–ბებერნი** გომოინეს (გამოიარეს); გურჯიჯა მასზე **პატიტვანთ**, **წჷრილთ** არ იციან (წვრილთა); **კაცებთ თელთ** (მთლიანმა) იციან (კაცებთა, მთელთა); **ქჷაბელთ** და **ბალხელთა, ჰეველთა** იციან; ჭილათში ღარჭებმა **ზოგთ** იციან გურჯიჯა, **ზოგთ**–არა; **ნამუშავთ** მიართვი... ებ–იანი და ნარ–თანიანი ფორმები ერთმანეთის გვერდით გვხვდება. ტაოში ჯერ კიდევ სრულად არ გაბატონებულა ებ–იანი მრავლობითი.

ტაოს მეტყველებაში, ქართული დიალექტების მსგავსად, მრავლობითი რიცხვის გადმოსაცემად ზოგჯერ გამოყენებულია განყენებული ცნების (ზოგადობის) გამომხატველი „**ობა**“ სუფიქსი. მაგ., **ნადირობა** იქნება ახლა (ნადირი–ნადირები); **სოფლობა** დეიფლატა ამ გაზაფხულ; **ქალობა** მოყრილან ოზოში (სოფლები, ქალები)...

ბ) **ზედსართავი სახელი** „**პატარა**“ თითქმის არ გამოიყენება. მას ცვლის „**პატინა**“: ზმები (ძმები) მყავან ჩემზე პატინა... „პატარებს“ ენაცვლება, აგრეთვე, „**პატიტვანი**“: მასზე **პატიტვანებთ**, წჷრილთ, არ იციან; ჩვენ **პატიტვანი** ღარჭები ვიყავით...

„მოხუცი“ შეუცვლელია თურქულ სიტყვას „დაშლი“ (yaşlı-ხანშიშესული, მოხუცი): ემოი ახლა ზოლ **დაშლია**... „ძველი“ ზოგჯერ შეცვლილია თურქული სიტყვით „ესქი“ (eski-ძველი): აქა **ესქი** გურჯი სოფლებია; თამარ დედოფლის გურჯიჯა მაქვან, **ესქი**; **უზუნი** (uzun-გრძელი) ღამიები იცის ზამთარში.....

ხარისხის წარმოება აღწერითია. დამხმარე საშუალებად უმთავრესად გამოიყენება თურქული გაძლიერებითი ნაწილაკი „en“ (რომელიც დაახლოებით იგივე შინაარსს ატარებს, რაც გადმოიცემა სიტყვებით“ ყველაზე მეტად“, „უმეტესად“, „უმთავრესად“). მაგ., **ენ მაღალი** თა მასისია

აქვეყრობაში (უმაღლესი); **ენ დიდი** სახლი იმას აქვა; **ენ ესკი** (ძალიან ძველი) გურჯიჯა ქუაბაგ იციან.....

გ) **რიცხვითი სახელი** ტაოს მეტყველებაში გარკვეულ თავისებურებას წარმოაჩენს. ქართული თვლის სისტემა, როგორც ცნობილია, ნარევი ტიპისაა: „ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ–ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა ერთიდან ოცამდე და ასს ზევით... ოცობითია ქართული თვლა ოციდან ასამდე“ (10, 40).

ტაოს მეტყველებაში თვლის სისტემას არქაული იერი დაჰკრავს. „ძველი ქართულის თვლა ასს ზევით განსხვავდება თანამედროვე ქართულის თვლისაგან. თანამედროვე ქართულში, როგორც ვიცით, კავშირი „**და**“ მხოლოდ ოცეულებს ახლავს... თუ ოცეული არაა წარმოდგენილი, „**და**“–ც არსად არაა საჭირო: ას ერთი, ას რვა... ძველ ქართულში კი „**და**“ ჩვეულებრივ იხმარებოდა ყოველი საფეხურის შემდეგ: ათასეულიდან ასეულზე გადასვლისას (ოთხათას და ორას), ასეულიდან ათეულზე გადასვლისას (შვიდას და ოთხმეოც); **და** იხმარებოდა, აგრეთვე, მაშინაც, როცა რომელიმე საფეხური (კლასი) გამოტოვებული იყო, ვთქვათ, ასეულიდან ერთეულზე გადასვლისას (ას **და** ორი) და სხვა. ესაა ძირითადი წესი. მაგრამ აქა–იქ, რასაკვირველია, დაწყებულია ამ „**და**“–ს გამოტოვება... მაშასადამე, რთული რიცხვითი სახელების გადმოცემისას კავშირი „**და**“ ძველ ქართულში გაცილებით უფრო ხშირად იხმარებოდა, ვიდრე დღეს“ (11, 471). ტაოელები „**და**“–ს წარმოადგენენ არა მარტო ოცეულებთან (როგორც ეს დღევანდელ ქართულშია), არა მარტო ასის შემდეგ (როგორც ძველ ქართულში გვქონდა), არამედ, ამასთან ერთად, „**და**“ კავშირია გამოყენებული თვლის სისტემაში თერთმეტიდან ოცამდე. ითვლიან ასე: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექსი, შჳიდი, რჳა, ცხჳრა, ათი, ათერთმეტი, **ათ და ორი, ათ და სამი, ათ და ოთხი, ათ და ხუთი, ათ და ექსი, ათ და შჳიდი, ათ და რჳა, ათ და ცხჳრა, ოცი... ასი, ას და ერთი, ას და ორი, ას და შჳიდი... ას და ათი, ას ათერთმეტი, ას ათ და ორი, ას ათ და სამი... ას და ოცი**... მაგ., **ათდაორი წლისა** იქნება; **ათერთმეტი** თანე იქნება მაიც; **ათ და შჳიდი** წლისა გახდა...

ქართულ რიცხვით სახელებს (უმთავრესად მამაკაცთა მეტყველებაში) ხშირად ცვლის თურქული სიტყვები. ქართული რიცხვითებიც გამოიყენება, ოღონდ სპარსული წარმოშობის სიტყვის „**tane**“–ს (ცალი, ცალკეული რამ) თანხლებით, რომელიც მსაზღვრელის როლს ასრულებს.

მაგ., ზომოთ **სამი თანე გურჯი** სოფელია; ზომოთ ერთი **თანე გურჯი** არ არი; **ორი თანე ქითაბი მაქვა**...

„ოც“–ის შემცველ რთულ რიცხვით სახელებში ფონეტიკური ცვლილების შედეგად მიღებული გვაქვს ფორმები: „ოზდაორი“, „ოზდაათი“... მაგ., **ოზდაათი** კუამლი იქნება გურჯი (ოცდაათი→ ოძდაათი →ოზდაათი–ასიმილაცია, დეზაფრიკატიზაცია)... „ორთავენი“ ისმის როგორც „**ორთვენი**“. მაგ., **ორთვენიც** მოსულ იყვნეს პარხლი ქილისეში...

გვხვდება განუსაზღვრელი რიცხვის აღმნიშვნელი რაოდენობითი რიცხვითი სახელი „**აბლი**“ „მცირეს“, „ცოტას“ მნიშვნელობით. მაგ., ღუსუფელში ერმენი **აბლია**; **აბლი** შეიარ, გომოჩდება ყარამანლები; აქა ორი ცოლი **აბლის** ყავს, ბევრს – არა...

დ) **ნაცვალსახელის** გამოყენებაში შეინიშნება უმნიშვნელო ნიუანსები:

უკუქცევით–კუთვნილებითი ნაცვალსახელი „**თავისი“** ხშირად შეცვლილია „**მისი**“ ფორმით, რაც უნდა აიხსნას ლაზურთან სიახლოვით. მაგ., თავარმა უთხრა **მის** კაცებსა; დუუძახა **მის** ხალხსა; **მის** ასკრებ უთხრა... „**თავისი**“ ნაცვალსახელის ნაცვლად „**მისის**“ ხმარება მიჩნეულია დასავლური კილოების ნიშანდობლივ თვისებად, რომელიც, თავის მხრივ, ზანურ ნორმად ითვლება, რადგან ქართული „თავისი“//“თვისი“ ნაცვალსახელის შესატყვისი ფორმა ზანურსა და სვანურში არა გვაქვს. ამ მონათესავე ენებში მის მაგივრად გამოყენებულია მესამე პირის ნაცვალსახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: ზანურში –„**მუში**“, სვანურში– „**მიჩა**“ (12, 57).

„**ეს**“– ჩვენებითი ნაცვალსახელის მონაცვლე „**ამ**“ ფუძის მაგიერ ხშირად იხმარება „**ემ**“, რომელიც უმთავრესად აღმოსავლურ კილოებს ახასიათებს. მაგ., **ემის** ზომოთაი საჩინოთია; **ემ** კაცის დახვარათება (დალაპარაკება) რათ გინდა...

„**ისინი**“ ხშირად „**ისენი**“ ფორმითაა წარმოდგენილი: აქიდამ ჩამოვდენ **ისენი**...

როდესაც ჩვენებით ნაცვალსახელებს (ის, ისინი, იმათ...) თავში დაერთვის მნიშვნელობის გამაძლიერებელი „**აი**“ ჩვენებითი ნაწილაკი, მაშინ ფუძისეულ ხმოვანთან, ნაწილაკისეული ხმოვნის შეხვედრისას, ბოლოკიდური „ი“ იკარგება, „ა“ უშუალოდ შეერწყმის ნაცვალსახელს. ამასთანავე ნაცვალსახელის თავკიდური ხმოვანი გავლენას ახდენს „ა“–

ზე, იმსგავსებს მას და აქცევს „**ე**“ ხმოვნად. მაგ. **ეიმათ** დეეხვარათე (აი იმათ→აიმათ→ეიმათ); **ეისინი** არ მიცვნია; **ეის** თქვენ გახლიან?... ასევე ხდება ნაცვალსახელური წარომოშობის ზმნიზედებთანაც. მაგ. **ეიგერ** ჩვენი ქობაკი...

რთული ფუძის მქონე ჩვენებითი ნაცვალსახელების შემადგენელი კომპონენტები „**ნაირი**“, „**თანა**“, დიალ. „**ფერი**“ თითქმის არ შეგვხვედრია. მას ცვლის ფურქული „სოდ“ (soy–ჯიში, სახეობა, გვარი, გენი): ჩვენი სისხლი **ერთისოდა**; **ამსოდ** ხვარათობენ აქა...

განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „ყველა“ „ყოველი“ ზოგჯერ გვხვდება „**ყოლი**“ ფორმით: **ყოლი** ფეხის წაბიჯებაზე, ღერსა მისი სახელი ქვია; **ყოლი** ინსანი ამასა არ იქსა; ყოლი სიტყუა არ ითქმისა... (კომპლექსთა მონაცვლეობა: ვე→ო; ოვე→ო).

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები „**ვიღაცა**“, „**რაღაცა**“, „**რომელიღაცა**“ დასავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფორმით გვხვდება. საწარმოებელი „**ღა–ცა**“ ნაწილაკი შებრუნებული „**ცა–ღა**“ რიგით გვევლინება. მაგ., გევგენი, **რომელცხა** ხარფსა ეზეფ; **რაცხა** ჭმა გეიგონა; **ვინცხა** ბებერი იარება...(ცაღა→ცახა→ცხა: თანხმოვანთა ასიმილაცია, ხმოვნის დაკარგვა).

კითხვითი ნაცვალსახელი „**როგორი**“ გვხვდება, როგორც არქაული „**რაგჳარი**“ ფორმით, ისე დიალექტური „**რავლი**“, „**რავარი**“ სახით. მაგ. რუ **რავლია**, იცი?; **რავლია** ეს სიტყვა?; **რავლია** ჩემი გურჯიჯა?; **რაგჳარი** სიტყვები გინდანან?... „როგორი“ ასეთივე ფორმებით წარმოგვიდგება ვითარების ზმნიზედადაც: თოვლში **რავარ** ჩანს?; **რავლა** გუდუულია; **რავაი** ხარ?...

2. უ დ ე ტ რ ე ბ ი

ა) **თანდებული**.

„ში“ თანდებული შეიძლება შეგვხვდეს „**შიგან**“ ფორმით (შიგან →შიან→ ში). იგი, ძველი ქართულის მსგავსად, ცალკე დგას, ფუძეს არ ერთვის. მაგ. ამ **წყალ შიგან** ალაპალუდი იცის; **გულში შიგან** მაქვა; სოფელში **შიგან** ეცოდინებიან; სახლში **შიგან** მობძანდით...

„**ვით**“ თანდებული თითქმის ყოველთვის გვხვდება „**ვეთ**“ სახით: სიმღერა მოგჳინდა **სიმღერასავეთ** ნათქუამ სიტყუებზე; **ქვასავეთ** გამხდარა ჭმიადი; **წყაროსავეთ** უდენია გურჯიჯასა ამ კლდევნარში...

„თვის“ წარმოდგენილია „**თვინ**“, „**თუნ**“ ფორმით: **რისთვინ** იცი?; კაი ქალი **ჩემთვინ** გებევრება? იქა კილდიები შავია და კუპრეთი **იმითვინ** ქვია... **ასკრებითუნ**, პური **გომოცხობითუნ** ქერი და თივაჭვავაი არ დავტიე ამ სოფელშიო, უთქმია თამარ დოდოფალსა; **ჩემთუნ** უნდანან... „თვის“ (თვინ) თანდებულის წინ ბრუნვისნიშნისეული „ს“ უმეტესად დაკარგულია.

„**კენ**“ თანდებული უმთავრესად „**კე**“ ფორმით გვხვდება: **ქობაისკე** მივალ; **ქუაბაისკე, ჴევაისკე** გზა გეიკეთა; ვეჟანჭევი **პარხლისკე** მივა...

„**კე**“ ერთვის ზმნიზედებსაც. ასეთი ზმნიზედა ხშირად ნათესაობითი ბრუნვის ფორმით არის გაფორმებული: მობრუნდა **აქეთისკე**; ხუთ წელწადს იქედამ **აქეთისკე** წამუუყვანიან; **გაღმისკე** გედეიხედავ; ამათ ფეჴები **უკუნისკე** აბიან... შეგვხვდა მოქმედებითის ფორმითაც: **მაღლითკე** ველითავი გომოჩდება... არის შემთხვევები, როცა „**კე**“ დაერთვის ოდენ ზმნიზედურ ფუძეებს: პარხლის წყალი **აქეთკე** მოვა; **ზომოთკე** წახუალ; **ქომოთკე** წევდოდით...

შეგვხვდა სახელის მიცემითი ბრუნვის ფორმასთანაც: **მარჯვენასკე** წავალთ...

როგორც ცნობილია, „კენ“ მომდინარეობს „კერძო“–საგან, რომელიც მოითხოვდა მოქმედებითს, ან ვითარებითს (11, 602).

თანაობის გამოსახატავად გამოიყენება ზმნიზედა „**უკან**“, რომელიც „**თან**“ თანდებულისა და „**ერთად**“ ზმნიზედის ფუნქციით გამოდის. მაგ., **ჩემ უკან** გზელი აჰმედი იყო (ჩემ უკან–ჩემთან ერთად); ასკრებიც **მის უკან** გადმუანურია (მის უკან–მასთან ერთად); **მის უკან** საქმობდა; **ქალის უკან** მოიდოდა (ქალის ერთად, ქალთან ერთად)...

მოქმედებით ბრუნვას მართავს „**დამ**“ თანდებული. მაგ., გარეული თხები **იმათიდამ** არ ფთჴებიან; **ქუაბაგიდამ** ყოფილა ერთი ავჯი; მასისი **ზირედამ** მაღარა არი; სავრიათი **წყალიდამ** რუ გააკეთა; **ქობაიდამ** ჩომოველით; **ქომოდამ, ჴევისპირიდამ** გზა გეიკეთა; **საჩინოთიდამ** გედეიარ; **გურჯისტანიდამ** გადმეარა თამარ დოდოფალმა; ესენი **ჩენიდამ** არ არიანო; იტყვიან: **იქედამ, აჭარიდამ** გადმოსმულა ჩენი ზუელი...

„**მდე**“//„**მდის**“ თანდებული, სხვა ქართული დიალექტების მსგავსად, გვხვდება „**მდი**“, „**მდინ**“ სახით: ორი–სამი კილომეტრე იქნება **პარხალამდი**; ლეხტზე **მისლამდი** უნდა კაცსა სწავლაო; **დილამდი** ვერ მოღალეს; **დილამდი** ვერ დააცხრომლეს კამპური ბერი... სავრიათი რუმა

ათავებამდინ, წყალი **წაგდებამდინ** კიბილი ტვინები გამაყრევნიაო; **ყიამდი გასვლამდინ** ჩეიცვი; **სარიგოლამდინ** აბლი გზა დარჩა...

ბ) **ზმნიზედები**. „შიგან“ ხშირად ზმნიზედის ფუნქციითაც გამოიყენება. მაგ. **შიგან** ორმოზდაათი კუბამლი იქნება; ოთხმოცი ხანეა **შიგან**...

ზმნიზედას „**აქ**“ დაერთვის „**ზე**“ თანდებული და აჭარულ–იმერხეულის მსგავსად, მიიღება „აგზე“ (←აქზე). მაგ., მანქანა დიეყუდება **აგზე**; **აგზე** დეილანძა სახლი... (აქ+ზე→აქზე→აგზე. თანხმოვანთა რეგრესული ნაწილობრივი ასიმილაცია).

წარმოქმნილი ზმნიზედები – „აქაურობაში“, „იქაურობაში“ შეცვლილია „**აქნობაში**“, „**იქრობაში**“ ფორმებით: **აქნობაში** ყუნელა გურჯი ყოფილან; **იქნობაში** ქლიავი, ტყიმალი, კაკალა ბეური არი; **აქნობაში** ამსოდ (ასეთნაირად) ვიხვარათებთ (ვილაპარაკებთ)...

ხშირად ზმნიზედები წარმოდგებიან ფუძის სახით (მიცემითი, მოქმედებითი, ვითარებითი ბრუნვების ფორმათა ნაცვლად): **ცუდ** არ გეიარს; იმ **ხან** იყო; დღესაც **მის ადგილ** არი; ჩემ **გუერთ** მეიყვანეთ; ბებერი **წუელიხან** იქ გასულა...

თავისებური ელფერი დაჰკრავს ზმნიზედებს: **უჩუმათ** (ჩუმად), საღამოითობა (საღამოობით), **საღამოპირ**: **საღამოითობა** წუელავს; **საღამოპირ** ღუსუფელიდამ წამუალთ; ისინი **უჩუმათ** ვერ იხვარათებენ (ილაპარაკებენ)... „საღამოპირ“ გვხვდება აჭარულშიაც.

როგორც ვიცით, ზოგიერთი დროის გამომხატველი სიტყვა, მიცემითის ფორმით წარმოდგენილი, დროის გარემოების ფუნქციით აღჭურვილი, მსაზღვრელად დაირთავს „ვალ“ ზმნის მიმდეობას „მომავალი“ (მომავალ კვირას, მომავალ ორშაბათს...). ტაოს მეტყველებაში ასეთ მსაზღვრელად გამოიყენება წარსულ დროიანი ფორმა „მო–სულ–ი“. მაგ., **მოსულ** ხუთშაფათსა თოჭ–ნიჩაბი ასწიეთ (მომავალ ხუთშაბათს); **მოსულ** კვირეს ბათუმ ვიქნები...

ზედსართავის ვითარებითი ბრუნვის ფორმით წარმოქმნილ ზმნიზედებში ბრუნვისნიშნისეული „**დ**“, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში მოქცეული, კარგავს ჟღერადობას და ყრუ „**თ**“–დ იქცევა: **მაგრათ** ამუშავე; **წუანეთ** ჩანს; **ყუითლათ** გომოჩენილა; ცისარტყელას **ფერებათ** ეჩუენება დუნია...

კითხვითი ზმნიზედა „**როდის**“, აჭარულის მსგავსად, ფუძეს იმარტივებს „**დ**“–ს დაკარგვით: სამ დღეზე გედეარა, თუ **როისა**? ; **როის** დეგეხვარათა?; **როის** მიხჶალთ?...

იმერხეულის მსგავსად, ტაოს მეტყველებაში თავს იჩენს თურქულის გზით შემოსული ზმნიზედის შინაარსის გამომხატველი სიტყვები. მაგ., ითოვლა **ფენა** (არ. fena–ძლიერ, ძალიან...); მაგ ჭკჶითა **ჩეთინა** წახჶალ შენ შინაო (çetin–მაგარი, მტკიცე; მძიმე, რთული, ძნელი); **ხამდან–ხამდან**, იტყვის თავარი (hamdan–ხელმეორედ).ეს სიტყვები ასეთივე შინაარსითაა გამოყენებული, აგრეთვე, აჭარულში და იმერხეულში.

ტაოს ქართველთა მეტყველებაში გამოიყენება სიტყვა **ჰალადვენ**: **ჰალადვენ** იქ არი (არ. hal–ახლანდელი დრო... აქვს მრავალი მნიშვნელობა. ჰალ–ად–ვე(ნ)–ჯერ კიდევ, დღესდღეობით): თამარ დოდოფალის სახელი **ჰალადვენ** გჶახსოვს; **ჰალადვენ** ვიცით გურჯიჯა (ქართულად) ხვარათი (საუბარი)... ასეთივე შინაარსით გამოიყენება აჭარულსა და იმერხეულშიც... ტაოს ქართველთა მეტყველებაში გამოყენებული სიტყვა **„ჰალადვენ“** (ჯერ კიდევ, დღესდღეობით)- წარმოქმნილი ნეოლოგიზმი ე.ი. „**ჰალადვენ**“ ლექსემა, არაბულ-ქართულის ნაზავი ფორმაა; ამოტომაც საინტერესოა ენათა კონტაქტების შესწავლის თვალსაზრისით. გვხვდება იმერხეულშიცა და ზემო აჭარულშიც.

გ) იმერხეულის მსგავსად, აქაც გვხვდება თურქული **კავშირები**: მაცალკევებელი – **და–და** (ან–ან), **და–დადა** (ან–ანდა) და მაქვემდებარებელი „**ქი**“ (რომ). მაგ., ცხენზე, **დადა** ჯორზე დამსმიდენ; **და** ჩორბა უუღე, **და** ტათლი (ya)... შეხედა, **ქი** ფერჭულობენ; ღმერთ შეეხჶეწა, **ქი**, ღმერთო, ქჶა მან დააყენე; ყურზენი არ იქნება იმისთვინ, **ქი** მაღალია ჲერი (ადგილი)... ტაოს მეტყველებაზე დაკვირვებით, ცხადია, რომ მაცალკევებელი „**ან**“–„**ან**“ კავშირი მთლიანად გამოუდევნია ხმარებიდან თურქულ „**ya**“–ს, ხოლო მაქვემდებარებელი კავშირი „**რომ**“//„**რომე**“ ჯერ კიდევ გამოიყენება, მას მხოლოდ ზოგჯერ ცვლის თურქული „**ქი**“ (ki). „რომ“ „რომე“: გარეული თხები მუუწველია, **რომე** ბაჭალას აჭამოს ზე; თუთები **რომ** კარქა დამწიფდება, იმათა დავარყევთ, დავაცჶენთ ქილიმებზე (ფარდაგებზე)...

დ) „**უნდა**“ დამხმარე ზმნა, იმერხეულ–აჭარულის მსგავსად, აქაც **ნაწილაკად** არის ქცეული; სრული სახით თითქმის არ გვხვდება, შეკვეცილია. ტაოში უმთავრესად „**ნა**“–დ არის გადაქცეული. მაგ., ახლა ამას

რანა ვუყოთ? (რა უნდა→**რანა**); ამ ხუთშაბათ **ესნა** ამევლოთ (ეს უნდა→ესნა); სოფელი **ხალხინა** მეიკრიფოს... „**ნა**“, როგორც ჩანს, ენკლიტიკად არის ქცეული და გაბმულ მეტყველებაში წინა სიტყვასთანაა შერწყმული. ეს მოვლენა ნიშანდობლივია აჭარული და ტაო-კლარჯული დიალექტებისათვის.

კლარჯული კილოების მსგავსად, ტაოს მეტყველებაშიც გადმონაშთის სახით აქა–იქ წარმოჩნდება **კითხვითი „ა“ ნაწილაკის კვალი**. მაგ., მე არ **ვსვია**?; ცოლი არ **ქყავსა**?; ბათუმ **ხარა**?; წინწინ აქა მოსულ **ხართა**?... ძველი ქართულისათვის დამახასიათებელ ამ კითხვით ნაწილაკზე ყოველთვის მოდის მახვილი. „ა“ კითხვითი ნაწილაკი გამოიყენება მხოლოდ უკითხვითსიტყვო კითხვით წინადადებაში.

გაძლიერებითი ნაწილაკი „კიდევ“ (კიდეც) გვხვდება „**კიდო**“, „**კიდენა**“ ფორმით: რა გიხვარათო **კიდო**?; **კიდენა** გიზვირონ საქონელიო; **კიდო** მოით, **კიდო; კიდენა** ბეჯრი გეხვარათო, კიდენა!...

„**ხომ**“ კითხვითი ნაწილაკი შეგვხვდა „ხოშ“ ფორმით. ავადეველი **ხოშ** არ ხართა? **ხოშ** არ მოქწყინდენ ჩენთან ყოფნა?! **ხოშ** გითხარი წეღანა?... **ხოშ** დასტურდება ზემოაჭარის მაღალთმთიანი სოფლების მეტყველებაშიც, იმერხეულშიც.

„**ჰოდა**“ გამოთქმის მაგივრად გამოიყენება „**ეიდა**“ (თურქ. **ey**-შორისდ. ქართული „**და**“): **ეიდა**, თიდან პარხალ ნაწველი ჩამეიტანეს; **ეიდა**, შეეხეწა ღმერთსა; **ეიდა** წეველით ბურსას... „**ეიდა**“ ენათა საუკუნოვანი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითია.

თურქული ნაწილაკი „**იშთე**“ (işte-აი, სწორედ, ასე, ამრიგად) უმთავრესად ენაცვლება მისათითებელ „**აი**“ ნაწილაკს და ზმნიზედას „**სწორედ**“: სილამაზე ამ სიტყჳებშია, **იშტა!**; წომოვდეს, **იშტა**! ; ამსოდ ხვარათი (ლაპარაკი) იცის, **იშტა**!; დეინახა, **იშტა**!...

„**კიდევ**“, „**ჯერ კიდევ**“ ხშირად შეცვლილია თურქული სიტყვით „**დაჰა**“ (daha-კიდევ, ჯერ კიდევ): **დაჰა, დაჰა** ნუ მიძახი**, შენი თ**ჳალებისა!; იხვარათე (ილაპარაკე) **დაჰა**! კიდობანში ჩაჭუჭკული ქი გაქვა, ისენი მეიტანე სუფრაზე **დაჰა;** ბეჯრი დასახვარათებელი (სასაუბრო) **დაჰა** მაქვა (გვაქვს), არ წახვიდო! **აბლი** (ცოტა) დაყენდი (მოიცადე), შენი თჳალებისა, შენი თჳალები მომართჳი, **დაიაუ!** (დაო)...

ზ მ ნ ე ბ ი

1. **ზმნისწინი.**

ფონეტიკური პროცესების შედეგად შეცვლილია ზმნისწინისეული ხმოვნები. ტაოს მეტყველება ამ მხრივ ძირითადად იმეორებს იმერხეულ–ლივანურისათვის ნიშანდობლივ თავისებურებებს, მაგრამ ამავე დროს შეინიშნება გარკვეული ნიუანსებიც.

„**A**“ რიგის კომპლექსთა შორის აღსანიშნავია : **აუ → ოუ → უუ**.

ფუძისეული „**უ**“ ზემოქმედებს პრეევრბისეულ ხმოვანზე და იმსგავსებს ზოგჯერ ნაწილობრივ, ზოგჯერ–სრულად. **აუ → ოუ**: სახლი **დოუდგა**; **დოუმალავან** მიწაში; **ჩოუფლან** მიწაში; ალთუნი ვერ **წოულიან**; **გოუდენიან** ერმენები აქედამა... ამ მაგალითებში ასიმილაცია არის რეგრესული, ნაწილობრივი, კონტაქტური.

აუ → უუ: **დუუსართეს** ერთმანებზე; ჭელი **დუუსვა**; **დუუღამდა** წითლეკარ; **დუუზახა** მის ხალხსა; ჲუსუფელი **დუურქმევნიან**; ამისი კამპური, ღმერთო, **უუწიეო**; ჭევიპირში **ჩუუტანეს**; **გუუტეხია** თოფი; იმდენი **დუუხარჯნია**; **ჩუუყრია** მარილი... არის შემთხვევები ასეთ ფორმებში ორი იდენტური ხმოვნიდან ერთ–ერთის დაკარგვისა. მაგ., **გადუსკვია** ქვაზე თოფი (გადაუსკვია → გადუუსკვია → გადუსკვია)...

ოუ → უუ: **გამუუთლია** ასე; აქეთისკე **წამუუყვანიან**; **მუუყვანია** დოხტურთან...

აქაურთა მეტყველებაში ჭარბად გვხვდება ისეთი მაგალითები, სადაც ფუძისეული „**ი**“, ვიწრო ხმოვანი, იმსგავსებს წინამავალ ფართო „**ა**“ ხმოვანს ღიაობის მიხედვით და აქცევს „**ე**“ ხმოვნად. ხდება ნაწილობრივი, რეგრესული ასიმილაცია.

აი → ეი: თხა **წეიქცა**; ადვილა **წეისვლებაო**; ხოჯამ ნიქაინა (ჯვრის წერის ლოცვა) **ჩეიკითხოს**; ხღვარის (ხღვის) პირში **ჩეისვლებოდა**; თქვენ **ეიკიდევით**; გახვიდე, **დეინახავ**; **დეიწყეს** ფერჭული; აგზე **დეილანძა** სახლი; თივის ქოქები **გეიბაწვრის**. ფეჭები **გეისვენეფს**; გზა **გეიკეთა** თავრობამა ბაჭალამ (გოგონამ) მაშინ **გეიგნა**; **ეიყვანეს** მასისი წჭერში...

ამგვარ ცვლილებას შევხვდებით რთულ პრეევრბებშიაც: ზუელათ (ძველად) ამ ჴიდიდამ **გედეიარდენ**; გადაღმისკე **გედეიხედავ**; საჩინოთიდამ **გედეიარ;** მასისი თიდამ ლაზისტანში **გედეივლებოდა**; **გედეიტანდეს** ჯორით... ასიმილაციის შედეგად სახეცვლილი პრეევრბისეული ხმოვანი „ე“ (← ა) შემდგომ საფეხურზე თვით გამოდის ასიმილატორის როლში და

სრულად იმსგავსებს პრევერბისეულ წინამავალ ხმოვანს. ამ შემთხვევაში ასიმილაცია დისტანციურია, რეგრესულია და სრული.

ამგვარ ასიმილაციას (აი→ეი) ხელს ვერ უშლის პრეფიქსი პირის ნიშნები: შეშინებია თამარა დოდოფალსა, ქვებმა ასკრებინა (ჯარისკაცები უნდა) **გემიჯღუროსო (გამიჟლიტოსო)**; აღარ **გეგიშვებენ შენა აქევრი ხისიმ-ახრაბა (ნათესავ-მოყვრები)**...

საანალიზო მასალაზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ტაოს მეტყველება ამ მხრივ მსგავსებას ამჟღავნებს იმერხეულთან და განსხვავდება აჭარულისაგან.

როგორც კლარჯულის დანარჩენ კილოკავებსა და აჭარულში, ასევე ტაოს მეტყველებაშიც **აი→იი**. სასხვისო ქცევის „**ი**“ პრეფიქსი იმსგავსებს პრევერბისეულ „**ა**“ ხმოვანს სრულად პირველი და მეორე ობიექტური პირის ფორმებში: თვალი **დიგიქორდეს**; **დიმიღამდა** აქაო; თუალში ჩინი აღარ **დიმირჩა**; ხუთასი ბინი **დიმირჩება** დღეში; ხანჯელ ასი ბინი **დიმირჩება** ზვილაი; **ჩიმითუალა** ჯიფეში ფარა; **ჩიმითესლიმა** (ჩამაბარა, ჩამომითვალა) ყუელამფერი...

აჭარულ–კლარჯულის მსგასვად, ტაოს მეტყველებაშიც შეინიშნება ასიმილატორი „**ი**“ ხმოვნის (როცა იგი ფუძისეულია ან ფორმანტისეული) დაკარგვის შემთხვევები პრევერბისეულ „**ა**“ და „**ო**“ ხმოვნებთან ნაწილობრივი ასიმილაციის შემდეგ. მაგ., ღარჭი, ვიყავ, **მევღალოდი** (მოვიღალოდი→მევიღალოდი→მევღალოდი); ქალები **დევნახე** (დავინახე→დევინახე→დევნახე); ეს ბერი **დევჭირევითო** (დავიჭირევით → დევიჭირევით →დევჭირევით); **მევყარეთო** გოგოსიც, ბიჭისიც ბაბოები; **ჩევცმიდე** ყაზაღსა, არ შემცივა; ახალს **ჩევცვამთ**; ესნა **ამევღოთ**; სამ დღეზე **გადეარა** (გადაიარა→ გადეიარა→გადეარა)... ასევე იკარგება „**ვიდ**“ ზმნის ძირისეული „**ი**“ ხმოვანი პრევერბისეულ „**ა**“ ხმოვანთან ზემოქმედების შემდეგ: ფეჭდაჭეხ **წევდოდით**; ქომოთკე **წევდოდით;** მასისი თაზე **ევდოდით**...

ოი→ეი: **ჩამეიტანა** შეშა; თავრობამ ქვეით **ჩამეიყვანა**; წყალი **ჩამეიარს**; თიდამ **ჩამეიტანეს**; აღარ **მეიღალვიო**... ამ შემთხვევაში ფუძისეული „**ი**“ გავლენას ახდენს პრევერბისეულ „ო“ ხმოვანზე და იმსგავსებს რა, აქცევს „**ე**“–დ. „**ი**“ ხმოვანი იმსგავსებს „**ო**“ ხმოვანს იმ მხრივ, რომ უკანა არტიკულაციის ლაბიალურ ხმოვანს აქცევს წინა არტიკულაციის განივ ხმოვნად, ღიაობის მიხედვით დამსგავსება კი არ ხდება.

ეუ →ოუ →უუ: სასხვისო ქცევის „**უ**“ თავსართი იმსგავსებს „**შე**“ ზმნისწინისეულ „**ე**“ ხმოვანს სრულად: არ **შუუჭირდენო** თურქჩაო, იმითვინ; ოქულში არ **შუუჭირდენო**... ასეთი შემთხვევები იშვიათია, რადგან „**შე**“ ზმნისწინი ხშირად „**შა**“–დ არის ქცეული.

როგორც ცნობილია, ქართული ენის დიალექტებში თითქმის თანაბრად არის გავრცელებული (როგორც აღმოსავლურში, ისე დასავლურში) რეგრესული ასიმილაცია „**აე**“ კოლპლექსებში. ფუძისეული „**ე**“ იმსგავსებს პრევერბისეულ „**ა**“ ხმოვანს სრულად. **აე→ეე**: წყალ **გეერევა;** ვერ **დეეწევა;** ახალმოზდე (ახალგაზრდა) ღარჭები (ბავშვები) გურჯიჯა ვერ დეგეხვარათებიან (დაგელაპარაკებიან), ოქულში (სკოლაში) თურქჩა (თურქულად) კითხულობენ (სწავლობენ).....

ცვლილება ხდება რთულ პრევერბებშიც: არ **გედეერევა** ცხჷარი სხჷის ცხჷარში, ჭკჷიანები არიან (აე→ეე) ... ასეთ მაგალითებში გვაქვს დისტანციური ასიმილაცია: ნაწველით მე **დეგეშველები**; მე არ **გეგერევიო,** შენ საქმიეფშიო...

როგორც ცნობილია, ქართული დიალექტების ერთ ნაწილში (აჭარული, გურული, მესხური, ჯავახური) ამ პოზიციაში პროცესი გრძელდება, ვითარდება დისიმილაცია ასიმილაციის ბაზაზე: – **აე→ეე →იე**, რომელიც აჭარულში იღებს დასრულებულ სახეს, აღმავალ დიფთონგს (**იე→ჲე**). ტაოს მეტყველებაში, იმერხეულის მსგავსად, ძირითადად გვხვდება **აე→ეე**–ს ტიპის მაგალითები. იშვიათად შეიძლება წარმოჩნდეს **აე→ეე→იე** პროცესის შემთხვევები: მანქანა **დიეყუდება** აგზე (დაეყუდება →დეეყუდება→დიეყუდება)...

„**B**“ რიგის კომპლექსებიდან ტაოს მეტყველებაში ხშირია „**ოვა→ოა, უა→ჷა**“ კომპლექსთა ცვლილება დისიმილაციის შედეგად. პრევერბისეულ „ო“ ხმოვანს როცა მოსდევს საარვისო ქცევის პრეფექსი „**ა**“, დისიმილაციის შედეგად „**ო**“ უფრო ვიწროვდება და იქცევა „**უ**“–დ. იმერხეულისა და აჭარულის მსგავსად, „უ“ უფრო ვიწროვდება და უმარცვლო „ჷ“–დ წარმოჩნდება. სუბიექტის პირველი პირის ფორმებში უპირველესად იკარგება ხმოვანთა შორის მოქცეული პრეფიქსი „**ვ**“.

ოვა→ ოა →უა →ჷა: მაგას მე **მჷაფერებ** (მოვაფერებ→მოაფერებ →მუაფერებ→ მჷაფერებ); ღელეზე **მოჷახლოვდებოდი**; ტანებ **მჷაჭრიდი**... „ვალ“ ზმნის ფუძისეული „ვინია“ დაკარგული ერთი რიგის მაგალითებში:

საღამოპირაი **წამ**ჩალთ; დილაზე **ჩამ**ჩალთ; სარფ **მ**ჩელით; **წამ**ჩალთ სახლისკე...

„**C**“ რიგის კომპლექსთაგან ტაოს მეტყველებაში ხშირად გვხვდება ფონეტიკური ცვლილება – **ოე→ეე**. ფუძისეული „ე“ ხმოვანი იმსგავსებს პრევერბისეულ „ო“ ხმოვანს სრულად. გვაქვს რეგრესული ასიმილაცია, რომელიც კონტაქტურიც შეიძლება იყოს და დისტანციურიც. მაგ., იმათ გელი–მელი ვერ **მეეწევა**; ჩემ არაბას აქნა **მეეცადნა**; პარხალი წყალ **მეეტოლება**; წუიმაში იქ **მევედარეო**; დედეკაცსა ადრიანა **მეეწველა** ფურები...

ამ შემთხვევაში (ოე→ეე) კონტაქტური ასიმილაციით მიღებულ „ეე“ კომპლექსში, კლარჯული კილოების მსგავსად, ტაოს მეტყველებაში ცვლილება აღარ ხდება (აჭარულისაგან განსხვავებით, სადაც ეე→იე→ჲე). აღმოსავლური კილოების მსგავსად, აქაც იდენტურ ხმოვანთა თავშეყრა პრევერბებთან ბუნებრივი და ასატანია.

როგორც ცნობილია, „**C**“ რიგის კომპლექსებში შემოდის თითქმის თანაბარი ღიაობის ხმოვანთა და ამასთანავე, იდენტურ ხმოვანთა კომპლექსები.

„**ოე**“ კომპლექსის ფონეტიკური განვითარება დასავლურ კილოებში „A“ რიგის კომპლექსთა კანონზომიერებას მისდევს: ადგილ აქვს რეგრესულ ასიმილაციას (იხ. ზემოთ მოტანილი მაგალითები–**მეეტოლება**, **მეეწევა**...). მაგრამ აღმოსავლურ კილოებში ეს კომპლექსი „**B**“ რიგის წესს გასდევს (13, 122). ხდება წინამავალი ხმოვნის დავიწროება. თანაბარი ღიაობის ხმოვანთაგან (**ო–ე**) ერთ–ერთი, კერძოდ, „**ე**“ ხმოვანი განიმსგავსებს „**ო**“–ს და ავიწროებს მას, აქცევს „**უ**“ ხმოვნად, რომელიც ტაოს მეტყველებაში კიდევ უფრო ვიწროვდება, იქცევა „ჳ“–დ. ე.ი. ხდება დიფთონგიზაცია. მაგ., გურჯზე **გათხჳება** გჳიხარია გოგოსი (გათხოვება →გათხუება→გათხჳება)... ასევე ხდება სხვა შემთხვევაშიც: გურჯინა **ითხჳო**... შ. ძიძიგური წერს: „ეტყობა, „**ო**“ და „**ე**“ ხმოვნებს შორის ღიაობის მხრივ დიალექტურად განსხვავებაა: დასავლურ კილოებში „**ე**“ ვიწროა „**ო**“–სთან შედარებით, აღმოსავლურში–პირიქით: „**ო**“ ვიწროა „**ე**“–ზე (13, 122)). ტაოს მეტყველებაში კი რატომღაც ორივე რიგის მაგალითებს ვხვდებით...

ამრიგად, ზმნურ ფუძეებში რეალიზებული ხმოვანთა კომპლექსების ფონეტიკური პროცესების შედეგების გათვალისწინებით ნათელი ხდება, რომ ტაოს ქართული ექცევა კლარჯული კილოების ფარგლებში,

უფრო მეტ სიახლოვეს ავლენს აღმოსავლურ ქართულ ენობრივ სამყაროსთან (მესხურ–ჯავახური, ქართლური), ვიდრე დასავლურთან.

აღნიშნულის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ ტაოს ქართულში დასტურდება „**შე**“, „**მო**“, „**გამო**“, „**გადმო**“, „**შემო**“ ზმნისწინების დიალექტური ვარიანტები – „**შა**“, „**მა**“, „**გამა**“, „**გადმა**“, „**შამა**“, რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისათვის. მაგ.,თოფსა ადვილაი **მაადრისა**; თან იმას უსწორა, **მაადარა**; მა**მახვიეს** ჴელები ბეჭებზე; კაი იქნება, გურჯის დაზ **შაასწავლებდეთ** ღარჭებსა; ჩუენ გურჯისტანი ზალიან **შამაყვარეს**; ხესა **გამაათრევს** იქიდამა; **გამააჩინე** თეთრი ყია; ჩხერი წყალი **გადმაასხამს**...

ტაოს მეტყველებას კლარჯული კილოებისაგან გამორჩეულ იერს აძლევს სპეციფიკური პრევერბების გამოყენება, კერძოდ, რთული ზმნისწინების–„**შემო**“, „**ჩამო**“, „**წამო**“, „**გამო**“–ს მაგივრად „**შომო**“, „**ჩომო**“, „**წომო**“, „**გომო**“ ფორმების ხმარება. მაგალითები: **გამო → გომო**: შარშან **გომოველ** აქა; **გომოჭრილია** გზა; **გომოჩენილა** მიწიდამ ქოქები; იმის იქეთიდამ ვაჩეკარი **გომოჩნდება**; ხალხში **გომოჩენა** არ ქწადია?; **გომოჩდა** ქუაბაგი; ჩუენ არ გიმიგონია (გაგვიგონია), რით **გომოთხარეს**; **გომოდინდა** წყალი პარხალში; არაბას ყაიშსა **გომოჭირება** უნდა; ჩუენა იმ სოფლიდამ **გომოსულნი** ვართა; მასისი თიდამა შავი ზღვარი (ზღვა) **გომოჩინდება**...

შემო → შომო: თქუენ **შომოქხედე**; ცხენსა მუცელზე **შომოუჭირა** ყაიში (ქამარი).....

ჩამო → ჩომო: წყალი **ჩომოსულ** ადგილა ვაკე არი; ქომოთკე **ჩომოსლიხან** აგორდა ქვავნარი; წყალი ჭოროხლაქეთ **ჩომოა**; ქობაიდამ **ჩომოველი**; **ჩომოსულია** ჴევში; აქიდამ **ჩომოვდენ** ისენი; დოზერი რომ **ჩომოვდეს**, გააკეთებს გზასა; ეს ქარაფი არ **ჩომოწვეს** ჩუენზედ?!...

წამო → წომო: იქედამ წყალი **წომოა**; მე იქ ვერ **წომოვალ**; არ **წომოვდომდით**; **წომოი** (წამოდი) აქეთკე; **წომოაყენა** ბებერი; ზორ (ძლივს) **წომოდგა** ფეჴზე...

მოხეურ დიალექტში მარტივ ზმნისწინებში (და, გა, წა...) ზმინისწინისეული „ა“ ხმოვნის „**ო**“–დ ცვლა ახსნილია მოცემულ ზმნისწინიან ფორმაში „ჳ, **უა → ჳე → ო**“, „ჳ**ი → ო**“–ს გავლენით, რეგრესული ასიმილაციური ცვლილებებით. რთულ ზმნისწინებში (წამო...) კი ასეთი ცვლილება (გომოგუცუვდიან, შომოგურიგეს...) ჩათვლილია როგორც შედეგი გაუმლაუტებელი ხმოვნის მიერ პრევერბისეული ხმოვნების დამსგავსე-

ბისა. „ასიმილაციის ეს თავისებურება მოხეურში საერთოა ფერეიდნულთან და ინგილოურთან. ქართველური ენის დიალექტებიდან კი სვანურთან და ზანურთან“ (15, 202-205) .

ტაოს მეტყველებაში „**შომო**“, „**ჩომო**“, „**გომო**“, „**წომო**“ ზმნისწინიან ფორმებში „**ა**“, „**ე**“ ზმნისწინისეული ხმოვნების „**ო**“–დ ცვლა არც „**უ**“–ს ასიმილატორული ძალით აიხსნება და არც გაუმლაუტებული ხმოვნის ზემოქმედებით, რადგან ასეთი ბგერები ზმნურ ფუძეებში არა გვაქვს. ასეთი ცვლა მიგვაჩნია ზმნისწინისეულ ხმოვნებში სრული ასიმილაციის შედეგად. ზმნისწინისეული „**ო**“ ზემოქმედებს წინმავალ ასევე ზმნისწინისეულ „**ა**“, „**ე**“ ხმოვნებზე და სრულად იმსგავსებს რეგრესული, დისტანციური ასიმილაციის პირობებში. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ჭანურის გავლენაც, სადაც როგორც მარტივ, ისე რთულ პრევერბებში ჭარბობს ხმოვანი „**ო**“: **გოწო, გოლო, ოკო, დოდო, მოჟო, ოხო**,... **გოწოკიდეს** (ჩამოკიდეს), **დოდონჭუ** (ჩაუშვა, ჩაყო), **დოლოწკედუ** (ჩაიხედა); **გონწუც** (გახსნა) და ა.შ. (შდრ. 14, 30–41).

„**გამო**“ და „**შემო**“ ზმნისწინები შეგვხვდა „**გუმუ**“, „**შუმუ**“ ფორმითაც: **გუმუთლია** ასე; „**შუმუტორცნა** იბრაჰიმმა... (გამოუთლია→გამუუთლია→გუმუთლია... შემოუტყორცნა→შემუუტყორცნა→შემუტყორცნა→შუმუტყორცნა)... ასიმილატორის გაუჩინარების მაგალითები ასეთი ცვლილების დროს შენიშნულია მოხეურშიც, ფერეიდნულშიაც (16, 207;18,24). არნ. ჩიქობავა წერს, რომ ფერეიდნულ ქართველთა მეტყველებაში „ასიმილაციის პროცესები დაუბრკოლებლად ასხვაფერებს ზმნის გარეგნობას: მუბუკლეს←მოგვიკლეს... გუმუგუვიდა←გამოგვივიდა; გუმუგუზავნა←გამოგვიგზავნა; წუბუქვანა←წაგვიყვანა; გუბუგია←გაგვიგია“... (16, 207; 18,24).

ასეთი ფორმების გამოყენება დამახასიათებელია მხოლოდ ტაოს ქართულისათვის, კლარჯულ კილოებში სხვაგან არ შეგვხვედრია. ამ კუთხით ტაოს მეტყველების დეტალური შესწავლა ბევრ საინტერესო ფორმას გამოავლენს,რაც ძალიან საინტერესოა ენათმეცნიერული თვალსაზრისით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტაოს მაღალმთიანეთის სოფლებს კარის მეზობლობა აკავშირებს ლაზეთთან. მასისის მთიანეთის გადაღმა მხარეს (შავი ზღვისკენ) ლაზეთისა და ტაოს საზაფხულო იარაღებია, სადაც მთელ ზაფხულს ერთად ატარებენ ლაზები და ტაოელები. ალბათ, ამ პირობებმა წარმოქმნა ლაზურის მსგავსი ზმნისწინები ტაოს

მაღალმთიანეთში მცხოვრებ ქართველთა მეტყველებაში. ტაოურ კილოში გაჩენილი ასეთი ნეოლოგიზმების საფუძვლიანი შესწავლა წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ქართულ ენათმეცნიერებაში, კერძოდ, ენათა კონტაქტების (ქართულ-ლაზურის) კანონზომიერების ჩამოყალიბების საქმეში.

2. ზმნის პირი და რიცხვი

ტაოს მეტყველების ნიმუშებზე დაკვირვება (მასალის სიმცირის მიუხედავად) გარკვეულ ნიუანსებს წარმოაჩენს ზმნებში პირების გამოხატვასთან დაკავშირებით, კერძოდ:

ა) სუბიექტის პირველი პირის ფორმებში ხშირად დაცულია ორი პირის ნიშანი. როგორც ცნობილია, ორი სხვადასხვა პირის ნიშნის შენახვა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა სუბიექტად პირველი პირია და ობიექტად – მესამე (10, 186). სალიტერატურო ქართულში ამ შემთხვევაში ხშირად დაკარგულია ობიექტის ნიშანი. იმერხეულის მსგავსად, ტაოს მეტყველებაში უმთავრესად შენარჩუნებულია ორივე ნიშანი. მაგ., ჩვენ **დავჰცინით** იმათა; თამარ დოდოფალის ნათქვამებსა **ვსწერით**?; გამოსულში **დავჰსთესთ** დიკასა, ასლსა, სიმინდსა...

სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა ტაოს მეტყველებაში უმეტესწილად დაცულია. ამასთანავე, ძირითადად წარმოდგენილია პრეფიქსი „**ჰ**“, მისი ბგერინაცვალი „**ს**“ შედარებით იშვიათად ისმის. საგულისხმოა ისიც, რომ ეს ნიშანი გვხვდება წართქმითი ბრძნებითის ფორმებთანაც. მაგ., ნიჩაბი **აჰწიეთ**!; კიდევ **დაჰწერე**!; **გაჰკითხე** მაგათა!...

სუბიექტური ნიშანი მესამე პირის, სუფიქსი „**ს**“, თითქმის ყოველთვის დაკარგულია ზმნაში „**არის**“: იქა გზიპირში ფიქლები **არი**; კილდე გომოჭრილი **არი**...

„**აქვს**“ ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმებში, ლივანურის მსგავსად, ახალი ქართულის მიხედვით, პირის ნიშნად მოსალოდნელ „**ს**“ პრეფიქსს ცვლის „**ა**“: ერთ კაცსა აქაც **აქვა** ექსი თითი; კამპურიც აღარ **გაქვა**; სათქმელი რაი **გაქვა**?...

ტაოს მეტყველებაშიც, ლივანურის შესაბამისად, **ჰყავს, ძინავს,** „**აქვს**“ ზმნების მრავლობითი რიცხვის ფორმებში თავს იჩენს ორი „**ან**“ სუფიქსი, სადაც ერთი არის თემატური ნიშანი, ხოლო მეორე – პირისა და რიცხვის აღმნიშვნელი „**ან**“ ბოლოსართი, რომელიც ცვლის სალიტერა-

ტურო ქართულში დამკვიდრებულ „**თ**“–ს: საქმე ბეჟრი **აქვანან**; ღარჭები (ვაჟები) **ყავანან**; იმათა **ზინვანან** თივებში...

მრავლობითის აღმნიშვნელ „**თ**“–ს „**ან**“ და „**ეს**“ ბოლოსართები ცვლის როგორც დასახელებულ, ისე სხვა ზმნებშიც. მაგ., ჩემი თავი **ეამნეს** (ეამათ); სოფელი ზომოთკე **აქჟან** (აქვთ); ოქრო **ქონებიან** (ქონებიათ); **დავიწყებიან** ქართული (დავიწყებიათ); ამსოდ **გიყვარან** (გიყვართ) გურჯისტანი?!; ვირი ირემი **გონებიან**...

ტაოს მეტყველებას არქაულ იერს ჰმატებს სუბიექტური ნიშანი მესამე პირისა მრავლობით რიცხვში ბოლოსართი „**ეს**“ თანამედროვე ქართულით მოსალოდნელ **ენ//ნენ** ბოლოსართების ნაცვლად. თუ იმერხეულსა და ლივანურში ამ მოვლენის ნაშთებია საძებარი, ტაოს მეტყველებაში „**ეს**“ ბოლოსართი ჯერ კიდევ მკვიდრადაა შენარჩუნებული როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებთან. მაგ., ალმანიადამ **მოიდეს** აქა გურჯები; ერმენები (სომხები) **წევდეს**; ორი თანე გურჯი **მოიდეს**; ქალებიც **იყვნეს**, კაცებიც **იყვნეს**; ვინ **იყვნეს**, ვერ ვიცან; ბალ **მოკრეფდეს**, გაჭმებოდა; **ისხდეს** ჴევენგში, **წევდეს** ბეჟრი; ზომოთკე ქალები **მოდიოდეს;** ბევრ რამეს **მეტყოდეს**; ამხანაგები **მყვანდეს**,ბეჟრ რამესა **მეტყოდეს**; ჩუენ ნაცნობაში არ **იცოდეს**; წყალსა **გადააგდებდეს** ღელეში; ისე **იტყოდეს** დიდვანები; ისენი წინწინ ჴევენგში **იჟდეს** (იჟდესნიშნავს „ცხოვრობდნენ“); იქნედამ მარილი **ეიღებდეს**, ყაზიადი **ეიღებდეს**; **გედეიტანდეს** ჯორით; ისე **იტყოდეს** ზუელები; იქ **შემეყარნეს** გზაში; ის რა გემრიელ ხალხ **იყვნეს**?; კაცები ჴიდზე **დადგეს**; ღარჭები (ბიჭები) **გეიზარდეს**...

თავისებურება ახლავს ობიექტური პირის ნიშნების გამოყენებასაც.

კლარჯული კილოების შესაბამისად, ტაოს მეტყველებაშიც დაცულია ობიექტის მესამე პირის ნიშნები. „ჰ“, „ს“ პრეფიქსებით გამოხატულია როგორც პირდაპირი, ისე ირიბი ობიექტის მესამე პირი. მაგ., **დაჰთესვენ** ცერცვი, დიკა...; ვერ **შესჭამს**; **დაჰთესვენ ყანეფში**; **დასჭრეს** წმინდა ჭერები; **დაჰთესვენ** ჭვავი; **ჰძულან** ერმენები; **ჰპარვენ** მოსულებსა; ამას **გაჰკითხა** თავარმა; **გაჰკვეთს** მაგისი ნალოცი; **გაჰლეწეს** პური...

ლივანურის მსგავსად, ტაოს მეტყველებაშიც დასტურდება ე.წ. „**მაქჟს ჩუენ**“ ტიპის ზმნები . როგორც ცნობილია, ობიექტის მრავლობითი რიცხვის პირველი პირის გამოხატვა ქართულში ხდება თავსართ **გვ**-ს

საშუალებით (გვ-ხატავ-ს, გვ-წერს, გვ-იშენებს...). ძველი ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ძეგლის ენაში, ზოგიერთ დიალექტში (კერძოდ, ნიგალურ (ლივანურ) კილოში თავსართი „**გვ**“ შეცვლილია „**მ**“ თავსართით. ე.ი. ობიექტის პირველი პირი როგორც მხოლოობით, ისე მრავლობით რიცხვში გამოხატულია „**მ**“ თავსართით. ჩვენთვის ძვირფასი ლოცვის – „**მამაო ჩვენო**“-ს–ტექსტში მოცემული ოთხი ზმნური ფორმა, მრავლობით რიცხვის პირველ პირში მდგარი, წარმოდგენილია თავსართ **მ**-ანით. ე.ი. ობიექტური პირის მრავლობითი რიცხვის აღმნიშვნელი ნიშანია თავსართი **მ**: „პური ჩვენი არსობისა **მო<u>მ</u>ეც ჩვენ დღეს**; **მო<u>მ</u>იტევენ** ჩვენ თანანადებნი ჩვენნი; ნუ **შე<u>მ</u>იყვანებ** ჩვენ განსაცდელსა, **<u>მ</u>იხსენ** ჩვენ განსაცდელისაგან“. დასახელებულ ზმნებში მოსალოდნელი პრეფიქსი **გვ** შეცვლილია **მ** თავსართით. მაშასადამე, ძველ ქართულ ენას ახასიათებდა ასეთი მორფოლოგიური თავისებურება. „**მამაო ჩვენო**“, ცხადია უძველესი დროიდან მოდის.

ეს საკითხი ქართველ ენათმეცნიერთა შორის წლების მანძილზე საკამათოდ იყო ქცეული. გამოითქვა სხვადასხვა შეხედულება. სამწუხაროდ, ადრე არ იყო შესწავლილი ნიგალური (ლივანური) კილო (დიალექტი), რომელიც გავრცელებულია მდინარე ჭოროხის ხეობაში სოფელ მარადიდიდან ართვინამდე. ძირითადად მოიცავს ბორჩხის რაიონს (თურქეთის რესპუბლიკა). ნიგალის ხეობის ქართველების მეტყველებაში გაბატონებულია **მ-ანიანი** ფორმები. „**გვ“** თავსართიანი წარმოება ნიგალური კილოსათვის უცხოა. ასეთივე ვითარებაა ტაოურ კილოშიც.

ამ საკითხვან დაკავშირებით საინტერესო ნაშრომი შექმნა (19, 105-106) აკადემიკოსმა არნოლდ ჩიქობავამ და იწინასწარმეტყველა რომელიმე ქართულ კილოში ასეთი მორფოლოგიური თავისებურებების არსებობა ისტორიულად.

აკადემიკოსი არნ. ჩიქობავა სხვადასხვა პერიოდისა და სხვადასხვა სალიტერატურო სკოლიდან გამოსული წერილობითი ძეგლების ენის შედარებითი ანალიზის საშუალებით ამტკიცებდა: „**გ̃**“ (გვ) და „**მ**“ პრეფიქსები სხვადასხვა დიალექტური წრის მიერაა შემოტანილი შალიტერატურო ქართულში... „**გ̃“** პრეფიქსი აღმოსავლური დიალექტების კუთვნილებაა და სალიტერატურო ენის განვითარების ძირითად მიმართულებას მიჰყვება, ხოლო „**მ**“ პრეფიქსი მინარევია. **იგი დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზანურის მეზობელი სამხრული და დასავლური კილოებისათვის**. ამით აიხსნება მისი მოხშირებული ხმარება X-XI საუკუნეებში,

არაბობის დროს, როცა კულტურის განვითარების ცენტრში სამხრეთი საქართველო დგას და მისი გაქრობა მე-12 საუკუნიდან, იმ დროიდან, როცა სალიტერატურო ენისათვის კვლავ აღმოსავლეთ საქართველოს ცოცხალი დიალექტური მეტყველება ხდება საორიენტაციო... „**მაქუს ჩუენ**“ ტიპი აღიკვეთა ქართული სალიტერატურო ენის სინამდვილიდან მას შემდეგ, რაც გაწყდა კავშირი სამხრეთულ და დასავლურ ქართულ კილოებთან... „**მაქუს ჩუენ**“ ზანური ნორმა, ზუსტად რომ ვთქვათ, ის ნორმაა, რომელიც ზანურმა შემოგვინახა, მაგრამ **ზანურთან ახლოს მდგომი ქართული კილოებისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო**“ (19, 105-106).

დიდმა ენათმეცნიერმა არნ. ჩიქობავამ ეს დასკვნა გააკეთა თავისი მეცნიერული ალღოთი 1946 წელს, მაშინ, როცა არ მოიპოვებოდა არც ერთი დიალექტური ტექსტი, „მაქუს ჩუენ“ ტიპის ზმნების შემცველი. ეს ერთგვარ „**ენათმეცნიერული წინასწარმეტყველებას**“ ჰგავდა. ცხადია, ბევრ ენათმეცნიერს არ სჯეროდა. მაგრამ 1954 წელს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტმა **მერი ცინცაძემ** წაიკითხა მოხსენება „**კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი**“, სადაც საუბარი იყო აღნიშნულ სოფლებში „**მაქუს ჩუენ**“ ტიპის ზმნების არსებობის შესახებ (20, 3-19). მოგვიანებით ამავე საკითხზე მსჯელობდა **ნ. სურმავა** (21, 79).

ქართველმა ენათმეცნიერებმა ნიგალური კილოს ამსახველი ტექსტები, ამ ხეობის სოფლებში მცხოვრები ქართულენოვანი მოსახლეობის მეტყველების ნიმუშები, პირველად იხილეს ჩემი მონოგრაფიის – „**ჩვენებურების ქართული**“ – I ტომში 1993 წელს (იხ. გვ. 296-333). აღნიშნულ ტექსტებში მოცემულ ზმნებში ობიექტის პირველი პირის მრავლობითობა გამოხატულია „**მ“** თავსართით, ნაცვლად მოსალოდნელი „**გვ**“ პრეფიქსისა. ე.ი. ნიგალურ კილოში დღესაც ცოცხალია ე.წ. „**მაქუს ჩუენ**“ ტიპის ზმნური ფორმები. ასეთივე ვითარებაა ტაოურ კილოშიც. მაშასადამე, დადასტურდა აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას მოსაზრება, რომ „**მაქუს ჩუენ**“ ტიპის ზმნური ფორმები „**დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ზანურის მეზობელი სამხრული და დასავლური კილოებისათვის**... „**მაქუს ჩუენ**“ ზანური ნორმა, ზუსტად რომ ვთქვათ, ის ნორმაა, რომელიც **ზანურმა შემოგვინახა**, მაგრამ **ზანურთან ახლოს მდგომი ქართული კილოებისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო**“ (19, 105-106).

მართლაც, **ზანურის** (კერძოდ, ლაზურის) **მეზობელი სამხრული კილო გახლავთ ტაოური ქართული,** ხოლო **დასავლური კი ნიგალური (ანუ ლივანური) კილოა**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკითხველს გავაცნობთ ტაოურ ქართულში ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში მოცემულ „**მაქ̌ს ჩ̌ენ**“ ტიპის ზმნური ფორმების მაგალითებს:

მათი ლაპარიკი არ **მეამებიან** (მ–ეამები–ან – გვ–ეამება); რანა **მეთქვეს** (მ–ეთქვ–ეს – გვ–ეთქვა); ჩ̌ენ **მეახლეს** ისა (მ–ეახლ–ეს – გვ–ეახლა); **მეზარებიან** დათესვა ჩ̌ენა (მ–ეზარები–ან – გვ–ეზარება); ჩ̌ენ რა **მითხრეს**, იცი? (მ–ითხრ–ეს – გვ–ითხრ–ეს); ჩ̌ენა თამარ დოდოფლის გურჯ̌ია **მაქ̌ან** (მ–აქვ–ან – გვ–აქვს); ჩ̌ენ გურჯ̌ისტანი ზალიან **შამაყვარეს** (შა–მ–აყვარ–ეს – შე–გვ–აყვარ–ეს) ; ისინი ჩ̌ენ **მეტყვიან** (მ–ეტყვი–ან – გვ–ეტყვი–ან); **მაქ̌ან** ხილნარი (მ–აქვ–ან–გვაქვს**); მომკითხეს** საქმე (მოგვკითხეს)...

„მ“ თავსართი ამ ზმნებში ობიექტის პირველი პირის გამომხატველია მხოლოდ. ამ პირის მრავლობითობას კი ცალკე აფიქსები გამოხატავს, კერძოდ, „**ან**“, „**ეს**“ ბოლოსართები, რომლებიც ჩვეულებრივ, სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობას აღნიშნავენ ზმნაში (მესამე პირსა და მრავლობით რიცხვს):

წარმოების მიხედვით დასახელებულ ფორმებს ემთხვევა ზმნები, რომლებშიც წარმოდგენილია ობიექტის მხოლოობითი რიცხვის პირველი პირი და მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვით გადმოცემული სუბიექტის მესამე პირი. მაგ., იქევრი გუარები არ **მახსოვან** (მ–ახსოვ–ან–მე ისინი); ჯუსუფელში ნაცნობი **მყავან** (მ–ყავ–ან – მე, ისინი); ზმები (ძმები) **მყავან** ჩემზე პატინა (მ–ყავ–ან – მე, ისინი); ართვინში ამხანაგები **მყავან**; **მახსოვან** ზოგი; დედაც გურჯი **მყავდენ** და მამაც... ე.ი. დაცულია არქაული ვითარება. ანალოგიური შემთხვევები გავრცელებულია ხევსურულში, მთიულურში, კახურსა და ქართლურში (16, 236).

ზმნის დრო–კილოთა ფორმები

1. **თემის ნიშნები**. არის შემთხვევები, როცა ერთთემიანი და ხმოვანმონაცვლე ზმნები თემის ნიშნით არიან გაფორმებული. მაგ., წარნაქით **ვწერავთ** ფიცარზე; იმა **მოვკრეფავთ**; **ვიჭირავთ** თევზსა... როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული,ამ რიგის ზმნებზე „**ავ**“

სუფიქსის დართვის ტენდენცია სალიტერატურო ქართულშიც მოქმედებს, მაგრამ ერთობ შეზღუდულად (10-389).

შეინიშნება თემის ნიშანთა მონაცვლეობა: იმათ **წველავს**; იმით **ვაკეთავთ**; საღამომდი **ვიფერჭულავთ;** არც ლაპარიკს **ვწონოფ** (ვიწონებ); ჭელში **ვაგორავ**...

2. მწკრივთა წარმოება. უწყვეტლის სამივე პირში „**ავ**“ და „**ამ**“ თემისნიშნიანი ზმნები უმთავრესად წარმოდგენილი არიან „**ევ**“, „**ემ**“ სუფიქსით. როგორც ცნობილია, „**ავ–იან**“ და „**ამ–იან**“ ზმნებში ძველად „ა“–ს „**ე**“ ცვლიდა აწმყოს უწყვეტელის მწკრივის პირველსა და მეორე სუბიექტურ პირში, მესამეში კი დონის წინ „ი“ ჩნდებოდა, რომელიც წინამავალ ხმოვანს ამოიღებდა. ახალმა ქართულმა „**ავ**“ და „**ამ**“ სუფიქსთა ხმარება განაზოგადა, აწმყოდან უწყვეტელშიც გადაიტანა და საყოველთაოდ გაატარა (10, 425). ქართული დიალექტების ერთ ნაწილში „**ევდ**“ და „**ემდ**“ წარმოება გვაქვს. ტაოს ქართულში უწყვეტელსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში შეგვხვდა როგორც „**ევდ**“, „**ემდ**“, ისე „**ვიდ**“, „**მიდ**“–იანი წარმოების მაგალითები: **იკეცევდა** საკისურსა; ქომოთკე წამოსლიხან ბაბოი ჯორზე **დამსვემდა**; ცხენიდამ **ჩამომსმიდა**; ცხენზე იადა ჯორზე **დამსმიდენ**; **ჩევცმიდი** ყაზაღსა, არ შემცივა... ამრიგად, იმერხეული, მაჭახლური და ტაოს ქართული „ემდ“, „**ევდ**“// „**მიდ**“, „**ვიდ**“ –წარმოებას მისდევს.

პრეფიქსიანი ვნებითები აწმყოს მესამე პირში წარმოგვიდგენენ არქაულ ვითარებას. მაგ. აქა **იწურვის** წყალი; ზამთარში ნადირი ბეწრი იკვლების; კლდევნარი ნელნელობით **იშლების**; ხალხი აქა მაღალი **იზდების**; ესენიც სამათ **იყოფის**; ღარჭსა ახლაც ხომ არ **ეშინის**?...

აქაც შევხვდებით ე.წ. **მიმღეობით ზმნებს**. მიმღეობითი ზმნების აწმყოს გადმოსაცემად გამოიყენება ნამყოს ვნებითი გვარის ულ//ილ სუფიქსიანი მიმღეობა, რომელსაც ერთვის „ობ“ თემატური ნიშანი. მაგ., მოდიან და **პოვნილობენ** ოქროსა; ბებერი ირმებსა **ცნობულობდა**; ფურები გაზაფხულ **შოვნილობენ** ჭბიებსა; აღარ **წონილობენ** ჩუენ ნათქუამსა; ფეჭ **ტკენულობს** ეს ფური; **ვგონილობ** ძუელ ნოქუამებსა...

წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ზოგიერთ ზმნაში გვევლინება დაბოლოება „**ევ**“–ი, „**ე**“ სუფიქსის ნაცვლად. ეს სუფიქსი, როგორც ცნობილია, ძირითადად ქართლურსა და კახურს ახასიათებს; დასტურდება, აგრეთვე, რაჭულში, ზემოიმერულში, მესხურში, აჭარულსა და კლარჯულ კილოებში –ნიგალურსა (ლივანურსა) და იმერხეულში. მაგ.,

დეინახევით, ფენა კაი დასანახველია; თქუენ ჭვირთი **ეიკიდევით**; მე ამდონ ხვარათში (ლაპარაკში)**მომდალევით**; ეს ბერი **დევიჭირევითო**... „**ევ**“–ი დაბოლოების შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული.

აქაურთა მეტყველებაში დაცულია „**ენ**“ /**ნ**/ სუფიქსიანი ფორმები წყვეტილის მრავლობით რიცხვში. მაგ., **დევეჩვიენით** ამასა; **დეეხვარათენით** მეთქი, ვუთხარ იმასა; ვერ **გევგენით** კარქა; **დევევწიენით** ცხურებსა; ვერ **დავთესენით** ბეური; სახლი გონჯათ **გეეკეთნეს**...

მეორე კავშიროებითში „**ე**“ მწკრივის ნიშანი წარმოჩნდება „ო“–ს სახით: არ **შეშინდონ** მეთქი; გზა **მოქცონ** მაგათ; ადრე არ **მოკდონ** მილლეთი (ხალხი)... საქმესა ადრე **მორჩონ**; ღელეში **ჩოვდონ;** პარხალ აპრილში **წოვდონ**...

სოფელ ჭილათის მეტყველებაში დავადასტურეთ წყვეტილში მხოლოობით რიცხვში სუბიექტური მესამე პირის ნიშნად ხმოვანი „**ო**“ „ა“–ს ნაცვლად, რაც მეორე კავშირებითის დასახელებული მაგალითების ანალოგიით უნდა აიხსნას. მაგ., დღესა ერთი ღარჭი **მოკდო (ღარჭი–ბიჭი)** ჩემი მოზობლისი...

პირველ თურმეობითში ჭარბობს „ია“ ბოლოსართიანი წარმოება: ქორწილობაში იმდენი **დუუხარჯია**; **უთქვია** თამარ ქალსა; ოქრო აღარ **დასჩომია**; ბუდდა (პური) **დოუთესია**; ყანა **დოუხნია**; შვილები **გოუზდია** დათვსა.....

პირველსა და მეორე თურმეობითში ჭარბობს ნარჩართული ფორმები: ზოგსა გურჯიჯა **დავიწყნია**; ისინი **გამაყიდნია** ამ საქმემაო; ტვინები **გამაყრევნია**; **შამუუქნევნია** თოფი... ჩემ ერთ არაბას აქნა **მეცადნა**; **გეებედნა** ქი, კარგი იქნებოდა.....

3. კონტაქტის წარმოება. შუალობით კონტაქტის საწარმოებლად გამოყენებულ რთულ „**ევინ**“ ბოლოსართში იშვიათად შეგვხვდება „ი“ ხმოვნის მეტათეზისის მაგალითები: იმაზე ფეკ **მომასმევნიებდა** (მომასმ–ევინ–ებდა); ლეღვზე ტანებ **მომაჭრევნიებდა**; მოლსა (ბალახსა) თოკვითა **შემაკრევნიებდა**...

„**ინ**“ მაწარმოებლის **ნარი** თითქმის ყოველთვის იკარგება: ოქული (სკოლა) **ავიწყებიებს** გურჯიჯასა; სახლები ჩუენა ბეური **მაკეთებიესო**; ბეურსა **გაგაგნებიეფს** ე თელევიზიონი...

„**ინ**“ მაწარმოებლის დართვისას ზოგჯერ ფუძე კარგავს ფორმანტისეულ „**ვ**“–ს. მაგ., **ბაბასა უთქჭამს, რომე ბათუმ** თუღლა **მაზიდიესო** (მაზიდვინეს); ღმერთმა კიდევ **დაგჴანახიოს** ერთმანები (დაგვანახვინოს)...

4. **თავისებური ზმნები**: ა) ლივანურის მსგავსად, აქაურ მეტყველებაშიც შეინიშნება ერთი რიგის ზმნებში ფუძის ბოლოს უფუნქციო „**ა**“ ხმოვნის დართვა. მაგ., მე **მყავსა** იქა ამხანაგი; ისე **თქვესაო**, **იყვნესაო**; ბიჭ **აქორწილებდენაო**...

ბ) კლარჯულის მსგავსად, „**ზის**“, „**ჯდას**“ ზმნებთან, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, დაკავშირებულია სხვა შინაარსიც. კერძოდ, ნიშნავს–„**ცხოვრობს**“, „**სახლობს**“. მაგ., შენაც იქ **ძიხარ**? (ზ →ძ. ძიხარ–სახლობ, ცხოვრობ); მე ჭილათ **ვჟდავარ** (ჯ→ჟ. ვჟდავარ–ვსახლობ, ვცხოვრობ); ზველათ აქა ერმენები **მჟდარან**; ახლა **ჟდას** ბურსას ქალაქშიგან...

გ) ტაოს ქართულში სიტყვა „**ლაპარაკი**“ შეცვლილია „**ხვარათ**“–ით: ვერ **ვიხვარათეთ** კარქა (ვერ ვილაპარაკეთ); ართვინის იქეთაიც სხვა სოდ **ვიხვარათებთ**; მურღულელები იტყვიან:–„**ვილაპარიკებთ**“, ჩვენა–„**ვიხვარათებთ**“; ახლა ისნა **გიხვარათო**; **დეეხვარათენით** მეთქი, ვუთხარ იმასა; **მეხვარათა** ბასლიან რეჯებამა ბალხიდამ; ამდენი **გეხვარათე** გეყო, იშტა!; იმან კაი **ხვარათი** იცის; ბაბაი ცოცხალ ყოფილიყო, ჩემზე კარგა **დეგეხვარათებოდა**...

დ) „**გარიგება**“ „მიხვედრაა“, „გაგებაა“ ტაოელებისათვის. მაგ., ვერ **გავრიგდი** კარქა, კიდვენ თქვი (ვერ გავრიგდი–ვერ მივხვდი, ვერ გავიგე); **გამარიგე** კარგა!...

ე) „**ქმნა**“ ფუძემონაცვლე ზმნას მყოფადში „**ზმა**“ (ვიზამ, იზამს...) ენაცვლება, აწმყოში კი „**შვრომა**“ (ვშვრები). ტაოს მეტყველებაში კი, აჭარულ–კლარჯულის მსგავსად, აწმყოში შენაცვლებულია „**რჯა**“ (←სჯა) ძირი, საიდანაც „**რაე**“ ყოველთვის დაკარგულია. მაგ., სახლში **რაიჯებიან**? (რას შვრებიან?); თურქული სასწავლებელი **იჯება** ამასა (შვრება); ეს ყუმანდრობა **უჯება**; რასნა **ვიჯებოდეთ**, ვსაქმოფთ...

ვ) სოფელ ქუაბაგის მეტყველებაში დადსტურებული ზმნური ფორმა „**მიტავებ**“ (ობიექტის პირველი პირის ფორმა) უნდა მომდინარეობდეს „**ტევება**“ (წარტევება) სიტყვისაგან (ტევება–გაშვება, ნების რთვა; წარტევება.გაშვება, მიტოვება, თავაშვება, თავხედობა (იხ. ი. აბულაძე).

მაგ., რაღა **მიტავებ** და **მიტავებო**; დედამთილს **უტავებს** ნამეტარი; ორეთ-მენი (მასწავლებელი) **უტავებს** ორენჯებსა (მოსწავლეებს)...

ზ) „ი–ყავ“ ზმნაში „**ვ**“ ჩვეულებრივ უცვლელადაა შემონახული კავშირებითის ფორმებში: ხვალნა იყვეს სამშაფათიო; იყვეს მუშტერი... ამავე დროს მწკრივის ნიშნად „**ო**“–ს მაგივრად გვაქვს „**ე**“ (იყვეს–იყოს)...

თ) „**გაგულიანება**“ ნიშნავს „გაბრაზებას“, „გაწყრომას“: გოგოს ბაბოი **გაგულიანდა**; ნუ **მიგულიანდები**; ქალი **გაგულიანდა**...

ი) ფუძემონაცვლე ზმნა „**ქმნა**“ წყვეტილში ბოლოკიდურ „**ი**“–ს ნაცვლად პირველსა და მეორე პირში სისტემებრ „**ე**“–ს დაირთავს. მაგ., რა საქმე **ვქენე**; ამსოჲ საქმეები **ვქენე**; რატომ **ქენეთ** მაგსოჲ (მაგნაირი) საქმე?!...

კ) „**წვება**“ ზმნა გვხვდება პრეფიქსული წარმოებით „**იწვება**“. მაგ. თხები იქ **იწვებიან** მაღარაში; რავარ **იწვები** მაგსოჲ (მაგნაირ) ლოგინში?! მეაც **ვიწვები** და ვიქნები აქა... მსგავსი ცვლილება ვნებითის ფორმების წარმოებაში შენიშნულია ჯავახურშიც (22, 88).

ლ) დღევანდელი „სწავლობდნენ“ ფორმის მაგივრად ტაოს მეტყველებაში გამოყენებულია „**ისწავლიდენ**“ ფორმა, რაც არქაულ ვითარებაზე მიგვანიშნებს. როგორც ცნობილია, „სწავლა“ ძველ ქართულში ასეთ ფორმებს გვაძლევდა: ვისწავებ, ვისწავე, მისწავიეს. ახალ ქართულში აწმყოს ფორმა შეიცვალა, მის გამოსავლად საწყისი იქნა აღებული: **სწავლა–ვსწავლობ**. აქედან „**ლ**“ ყველა ფორმაში იქნა გატარებული: **ვის-წავლე**, **მისწავლია** (10, 477). მაგალითები ტაოს ქართულიდან; დიდვა-ნებიდამ **ვისწავლიდით** (ვსწავლობდით) გურჯიჯასა; ზის და **ისწავლის** „ყურანსა“ ეზბერაი (ზეპირად); რატომ არ **ისწავლით** ძუელ ადეთებსა?! ე. ი. დაცულია „**ი**“ თავსართი....

მ) „**ღლა**“ ძირის შემცველ ზმნებს ზმნისწინად მოუდის მხოლოდ „მო“: ის **მოღალულა**, **მევღალე**, **მეიღალა** (მო–ვ–ი–ღალ–ე→მევღალე)... გზაში **მევღალოდი** ძალიან; რატომ **მოღალულხარ** ასე?!; **მევღალვით**, მევსვენეფთ... „**ვიღლები**“–ს მაგივრად გვხვდება „**ვ–ი–ღალ–ვ–ი**. მაგ., ჲაშლი ვარ. მალე **ვიღალვი**; კაცები საქმეში **იღალვიან**.....

ნ) „**ატარებს**“ მაგივრად ამბობენ „**არუნიებს**“. მაგ., **მოგარუნიო** ქვეყანაო... ზოგჯერ ამ სიტყვაში თავს იჩენს მეტათეზისი; ესენი **გავანუ-რიო** ჴიდზე... მსგავსი ვითარებაა აჭარულსა და კლარჯულში.

იმერხეულის მსგავსად, ზმნა „**ეტყვის**“, ჩვეულებრივი მნიშვნელობის გარდა, აღნიშნავს „**ეძახის**“, „**უწოდებს**“: იმათ „ჭანი“ **ვეტყვით**; გათხვებულს „დედეკაც“ **ვეტყვით**; ჩვენ „**აბლი**“ **ვეტყვით**, მურღულელები „**ცოტაი**“ **ეტყვიან**...

ს ი ტ ყ ვ ა წ ა რ მ ო ე ბ ა

ზოგიერთი ნიუანსი შეინიშნება სახელთა წარმოქმნაშიაც. კერძოდ: ა) იმერხეულის მსგავსად, სუფიქსი „**იან**“ გამოყენებულია შტოგვარების საწარმოებლად. მაგ., მეხვარათა (მელაპარაკა) **ბასლიან** რეჯებამა მალხიდამ; გითხრაზუელი გვარები ქუბაბაგისა – **დევრიშიანნი, კაკულიანნი, სალეფიანნი, იუნუზიანნი, უჩაშიანნი. დადულიანნი, პეტოანნი**... ტაოს მეტყველება, კლარხულთან ერთად, ამ მხრივ ახლოს დგას ქართული ენის აღმოსავლურ დიალექტებთან.

ბ) „**ოვან**“ სუფიქსი ზედსართავებში ემსახურება თანაბრობითი ხარისხის გამოხატვას და ამასთანავე, ახლავს სიმრავლის გაგებაც. მაგ., წყარობალაი, ალამელიგი ბლებია, **დიდრუანი**; **მაღალვანი** ვართ ქუბელები (მაღალ–ოვანი→მაღალვანი); **ლამაზ–ლამაზვანი** ვაშლები გომოარჩია; **პატიტვანი** ყავს ღარჭები (პატინა–ოვანი→პატიტვანი–პატარები)...

გ) წარმომავლობის სახელების საწარმოებლად გამოიყენება „**ურ**“, „**ელ**“ ბოლოსართები. მაგრამ მათი ფუნქციები მტკიცედ არ არის განსაზღვრული, თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს. მაგ., უკანეთური კაცია **ქართული**, წინაი არა; ქალი **ქართული** მყავს; არიან **ქართულები**, იციან ქართული... **ქუბაბავრი** ურუმები, შავ–შავი ყურუმებიო; **ქუბელთ** და **ბალხელთა**, **ჰეველთა** იციან; **ჰევავრი** კეში, გაშეშებული, **ბალხური**– ბეჩიო, არ მევწონავთ... ე.ი. ადამიანთა სადაურობის გადმოსაცემად გამოყენებულია „**ელ**“, „**ურ**“ სუფიქსები.

„**ქართულ**“–ის მაგივრად ამბობენ „**ქართველებურ**“–ს: **ქართველებურს** მიგავს მათი ნათქვამი; **ქათველებური** სიღმერები ბეჭრი იცოდენ ზუელებმა (ძველებმა)...

„**ეულ**“ წარმომავლობის სუფიქსითაა ნაწარმოები სიტყვა „**ავადეულიი**“ (ავადეველი). მაგ., **ავადეველი** ხოშ არ ხართ? (ავადეველი–ავადმყოფი); **ავადეველი** წომოსულა ჲუსუფელიდამ...

დ) „**სა–ო**“–თია ნაწარმოები სიტყვა „საშიშო“: **საშიშო** არი ღამეში სიარული...

ე) „**მე–ე**“ აფიქსითაა გაფორმებული „მეცხრე“ (შეკუმშული ფუძით): **მეცხრე** ცხენით იარება; **მეცხვრეთ** იყო მაშინა (ჩ → ვ)...

„**მე–ე**“–ს მაგივრად ზოგჯერ გამოყენებულია „**მო–ე**“: ათასი ჭარბი **მოწველე** თხები ყოლია თაში; **მონახირე** დევკავენით თაში...

ვ) „**ნარ**“ (ნალ) ბოლოსართი, როგორც ცნობილია, დაერთვის მცენარის სახელის ფუძეს და აღნიშნავს ადგილს, სადაც ბლომად მოიპოვება ფუძით დასახელებული მცენარე (10, 144). ტაოს ქართულში ამ სუფიქსის გამოყენების არე საკმაოდ ფართეა. მას შეძენილი აქვს სხვა ფუნქციაც, კერძოდ, გამოხატავს მრავლობითობას. მაგ., ქართული **კარნალი** გეეღო (იგულისხმება: საქართველოს საზღვრის **კარები** გაეღო, გაიხსნა), თოვლსა **რუვნალი** უუვსია. რუ–ვ–ნალ–ი („ვ“ ჩართულია, გაჩენილი) – რუ–ებ–ი; ზამთარმა გაათეთრა **ჴევნარი** (ჴევნარი–ხევები); კაკალი **ხევნარი** იქნება (ხევნარი–ხეები); ქუები აგორდა, **კილდევნარი** (კლდე–ვ–ნარ–ი – კლდეები); უფრო ბეთი **გზევნარზე** ჩევდოდით (გზევნარი–გზები); **გზევნარი** ონდანსორა იქით წავა; მაშინ ეს მანქანის **გზევნარი** არ იყო... ჩვეულებრივი მნიშვნელობითაც გვხვდება: მადლობა, ძმაო, ჩვენი **კლდევნარი** დუნია რომე ამსოდ გიყვარან; **ფიშნარი** ჴევი გომოჩდა; **ვირიგუერდნალი** არი („ვირიგვერდა“ ბალახის სახელია).

ზ) უჩვეულოდ ჩანს ზოგიერთი მიმღეობა. მაგ., ღარჭი **ახუჭებული** ჰყოლია; ფიქლები არი, ასე **შეწკარებული**; მეტი **მომდრელი** ავჯი ყოფილა; **დამრჩალი** რაც არი, ის არი (დარჩენილი)...

თ) თხზულ სახელებში უმთავრესად შერწყმულია სინონიმები ან სინონიმებთან ახლოს მდგომი გამოთქმები: **ჯინ–ფერების** ქალაქია...

ტაოს მეტყველებაშიც დასტურდება კომპოზიციის ის სახე, რომელიც ასონანსის სახელით არის ცნობილი (10, 152). მაგ., იმათ **გელი–მელი** ვერ მეეწევა; **წყალი-მალი** მოწყდა აქა...

საანალიზო ტექსტების სიმცირის გამო მოკლებულნი ვართ ტაოს ქართულის მეტად მრავალფეროვანი და ენათმეცნიერულად ფასეული სურათის ხილვას.

სინტაქსური თავისებურებანი

1. **მსაზღვრელ–საზღვრული**

ა) კლარჯულის კილო–კავების მსგავსად, ტაოს მეტყველებაშიც შეინიშნება ტენდენცია თანხმოვანფუძიან ატრიბუტულ მსაზღვრელ–

საზღვრულს შორის შეთანხმების რღვევისა. მსაზღვრელი ისწრაფვის საზღვრულს შეუთანხმდეს ფუძის სახით. მაგ., **ჩემ ბაბოი** ბათომ გადმივლილა; **იმის ზირაიც** დუზია; **ჩვენ ზველანდელებმა** ისე მითხრეს; **ჩემ ემომ** იცის; გაკუჭდა **ერთ დედეკაცმა**; **ორმოც წლის** ზემოთკე იციან ყუელამა გურჯიჯა (ქართული)...

ბ) დასტურდება სუბსტანტიური მსაზღვრელის ნათესაობითი ბრუნვის ნიშნისეული სანის დაკარგვის შემთხვევები: **კაკალი ჭევნარი** იქნება; მიხვალ **წითლეკარი წყაროზე**; **სოფელი ხალხინა** მეიკრიფოს; **ზირი ჟავეც** იქნება; **პარხალი ქილისა** გუშკეთებია; **კიბილი ტვინები** გამაყრევნიაო; **ზამთრი თოვლსა** რუვნალი უუვსია; **ღვარი წყალ იქევრობა** ჩუუფაქებია; **პარხალი წყალ** მეეტოლება; **სადგიყანი თავიდამ** თასა შეხედავ; **ქუაბაგი თავში** მასისი თებია...

გ) აქა–იქ გვხვდება მსაზღვრელ–საზღვრულის არქაული წყობის (საზღვრულ–მსაზღვრელის) მაგალითები: აქავრ **ჯარებ რუსისას** დესირათ უქნიან; გურჯიჯეს გეხვარათები, მარა **დაზი გურჯისა** არ ვიცი; **კაცსა დაბერებულსა** „ბერი“ ვეტყვით...

დ) რიცხვითი სახელით გადმოცემულ მსაზღვრელთან საზღვრული გვხვდება მრავლობით რიცხვში. მაგ., **ათასი** ჭარბი მოწველე **თხები** ყოლია...

2. კრებითი სახელით გადმოცემული ქვემდებარე შემასმენელს ითანხმებს რიცხვში, შინაარსის მიხედვით. მაგ., **ხალხმა** ვეღარ **იცნეს;** ცხუარის **სური** თისკე **მივდოდენ...**...

3. გარდაუვალი ზმნის მეორე სერიის ფორმებთან ქვემდებარე შეიძლება შეგვხვდეს მოთხრობით ბრუნვაში. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ეს საკითხი საკმაოდ სრულად არის გაშუქებული. საანალიზო ტექსტების სიმცირის მიუხედავად, მაინც დაიძებნება რამდენიმე მაგალითი: **ბებერმა მობრუნდა**; **თავრობამ დეეხმარა**; თამარ **დედოფალმა შეშინდა**; **გაკუჭდა** ერთ **დედეკაცმა**...

4. ლივანურის მსგავსად, ტაოს მეტყველებაშიც დასტურდება თავისებური სინტაქსური კონსტრუქციები;კერძოდ, გარდამავალი ზმნის პირველი სერიის ფორმებთან პირდაპირი დამატება შეწყობილია სახელობითი ბრუნვის ფორმით, რაც უნდა აიხსნას ჭანურის გავლენით. მაგ., ამის იქით **მე თხა** აღარ **მოვკლავ**; **მარილი ეიღებდეს**; ეს **ყუმანდრობა უჯება**; **ყაზდაღი ეიღებდეს**; თურქსა **გოგო** არ **მივცემდით; ჰო, რა** ვიზახ-

დით?; დაჰთესვენ **ცერცვი**; **ქერი**...; **შორვა ვიქმოდით**. ჩვენ „**თივა**“ **ვიტყვით**, მურღულელები „**მოლი**“ **იტყვიან**; კაცსა დაბერებულსა „**ბერი**“ **ვეტყვით** (ამ შემთხვევებში–„ვიტყვით“, „ვეტყვით“–ზმნური ფორმები შინაარსობრივად უტოლდება სიტყვება: „ვეძახით“, „ვუწოდებთ“)....

გარდამავალი ზმნის მეორე სერიის ფორმასთან ქვემდებარე შეგვხვდა სახელობით ბრუნვაში. მაგ., **ხოჯა** ნიქაინა **ჩეიკითხოს**... ეს კი უნდა აიხსნას თურქული ენის გავლენით.

5. კლარჯული კილოების მსგავსად, ტაოს ქართულშიც არის შემთხვევები, როცა მიცემით ბრუნვაში მდგარი დამატება–ობიექტები, თანხმოვანფუძიანი სახელებით გადმოცემული, წარმოდგენილი არიან ფუძის სახით. მაგ., **ღმერთ** შეეხუწა; მის **ასკრებ** უთხრა; მიცა ცულები **ასკრებ**; აქავრ **ჯარებ** რუსისა უქნიან; მე **ღმერთ** შევეხუწები...

6. თანხმოვანფუძიანი სახელის უთანდებულო მიცემითით გადმოცემული ადგილის გარემოება წარმოდგენილია ფუძის სახით, ბრუნვის ნიშნის გარეშე: ჩეისვლებოდა **ჭანეთ**; **წითლეკარ** შეიარ; გზა **ვეჟანკეთ** ჩამჭა; **პარხალ** ნაწველი ჩომოიტანეს; აქედამ **ჲუსუფელ** მივა სასმელი წყალი; **სარფ** მუელით; მე **ჭილათ** ვჟდავარ; ჩევდა **პარეჭევ**... **სანი** ზოგჯერ გაუჩინარებულია ხმოვანფუძიანი სახელით გადმოცემულ ადგილის გარემოებასთანაც. მაგ., **სატალახე** გახვალ (სატალახეს)... ხმოვანფუძიანი სახელების უთანდებულო მიცემითით გადმოცემული ადგილის გარემოებები კი გვხვდება ბრუნვის ნიშნით: ერმენები **ამერიკას**, **ალმანიას** წასულან; **ხევას** ვიყავით...

7. ადგილის გარემოება გადმოიცემა ნათესაობით–მიცემითის რთული ფორმითაც: ჩემი ბაბოი გადმივლილა **თქვენსა**; **ჩვენსა** წყალი მოვა; მეო **თქვენსას** გადმოველო...

8. „**გან**“ თანდებულიან უბრალო დამატებას ნათესაობითში ენაცვლება ამავე თანდებულიანი მოქმედებითი. მაგ., **იმათიდამ** არ ფთხდებიან; კოვზებ ხვეწენ **ხიდამ**; **ცაცხვიდამ** აკეთებენ გობებსა.....

9. როგორც ცნობილია, „მოქმედებით ბრუნვას ძველად დაკისრებული ჰქონდა **გამოსვლითის ფუნქციაც**. ეს ფუნქცია მას რამდენადმე ახლაც შემონახული აქვს მთის კილოებში“ (10, 74). ნაშთის სახით შემორჩენილია ტაოს ქართულშიც. მაგ., ჩამეიარს და სადგიყანა ზირედამ **ქუაბაგით** მოდენილ წყალ გეერევა; **ვეჟანჭევით** გადმეიარეს; **ჭილათით** წომოვდენ; **მურკივეთით** გადმოსულან; **პარხლით** გოდმოვლილან...

10. არის შემთხვევები, როცა ვითარებითი ბრუნვის ფორმით სავარაუდებელი ვითარების გარემოება გადმოცემულია სახელობითი ბრუნვით. მაგ., **მეტი** მომდრელი ყოფილა (მეტად)... მსგავსი შემთხვევები დადასტურებულია აჭარულშიც (17, 165), იმერხეულშიც.

11. კლარჯული, კილოების მსგავსად, ტაოს მეტყველებაში დასტურდება უცხო ენობრივი სინტაქსური კალკები; კერძოდ: ან ნასესხებია ფრაზის წარმოქმნის პრინციპი, ანდა სინტაქსური კალკის სახელადი ნაწილი უცხო სიტყვაა, ზმნური კი ქართული. მაგ., **დილაი** რომე **გახდა** (გათენდა), თავარმა უთხრა; აქავრ ჯარებ რუსისა **დესირათ უქნიან** (დაუტყვევებიათ). შდრ. yesir- არ. ტყვე, მონა); შენ **ჰალალ არ გიზამო** (ჰალალ არ გიზამ არ შეგინდობ, არ გაპატიებ. შდრ. helal–არ. შარიათით ნებადართული, კანონიერი, გამართლებული)...

ისტორიული ტაოს ქართული სოფლების მეტყველება მრავალმხრივ საყურადღებოა. იგი კლარჯულ კილოებთან (იმერხეული, ნიგალური) შედარებით, უფრო არქაული იერის მქონეა, რასაც თვით ტაოელებიც ამჩნევენ. ერთ–ერთი მთქმელი კიდეც ამბობს: ჩუენა **თამარ დოდოფალის გურჯიჯა მაქუანო**.

ამრიგად, ტაოს ქართული წარმოაჩენს ჩვენი მშობლიური ენის განვლილი საფეხურების ცოცხალ სურათს. ამასთანავე, **სომხური, თურქული** და **ჭანური** ენების გავლენით წარმოქმნილი მრავალფეროვანი ნეოლოგიზმებითაც არის მდიდარი და გვიჩვენებს ენათა საუკუნოვანი კონტაქტების შედეგებს. ეს თვალსაჩინო გახდება ტაოს ქართულის ლექსიკური ანალიზის შედეგად. ამიტომ ტაოს ლექსიკა დამატებით კვლევას საჭიროებს. ყველაზე საყურადღებო და საამაყო მაინც ისაა, რომ ქართული ენის სიმტკიცე და გამძლეობა ყველასთვის ნათლადაა განცხადებული **იშხნელების, ოშკელების, ხახულარებისა** და **ბანელების** შთამომავალთა ბაგეთაგან მომდინარე დღევანდელი ტაოს ქართული სოფლების მეტყველებაში. ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ ტაოს ქართველთა მშობლიური ენის დეტალური შესწავლით მომავალში უსათუოდ გამოვლინდება საინტერესო კილოკავები, თქმები და ტაოს ქართულის სახით კიდევ უფრო უკეთესად გამოიკვეთება ქართული ენის ერთი ლამაზი შენაკადი, დამოუკიდებელი დიალექტი – ტაოს ქართული.

Шушана Путкарадзе

Грузинская речь исторического края Тао

Резюме

Исторический край Тао был населён народом грузинского происхождения – месхами, о чём свидетельствуют древнегреческие источники (Геродот, Страбон, Плиний и другие). Сёла Тао рассыпаны по склонам гор, расположенных вдоль берегов реки Чорохи.

В этом краю зародилась идея о создании единого грузинского государства. Владычество арабов не распространялось на край Тао. Здесь в середине X века царствовал Давид Куропалат, который подготовил основу для создания единого государства и был предвестником эпохи Давида Строителя.

С 1550 года край Тао оказался в пределах Османской империи. Сейчас он входит в состав Турецкой Республики. Почти 450 лет грузинское население Тао оторвано от Родины и грузинского языка. Однако несмотря на это, население высокогорных сёл и сегодня говорит по-грузински. В этом регионе проявилась необычайная устойчивость и твёрдость грузинского языка, который сохранил свою самостоятельность – основной лексический фонд, грамматический строй и фонетический состав.

Раньше интерес к этому краю был проявлен двумя известными учёными – Георгием Казбеги и Эквтиме Такаишвили (1874 г., 1917 г.). Однако ими не были записаны тексты с здешней грузинской речью.

Грузинская речь края Тао впервые научно изучена мной, автором данной статьи, были записаны тексты местного диалекта и произведён их лингвистический анализ. На основании этого анализа речь таойских грузин мной была определена в качестве независимого диалекта грузинского языка. Мою точку зрения по этому вопросу поддержали многие грузинские языковеды. Сейчас речь таойских грузин в грузинском языкознании официально признана независимым диалектом. Он распространён в высокогорных сёлах Юсуфельского района Артвинского вилайета (Турецкая Республика).

ლიტერატურა

1. თაყაიშვილი ექვ., სამუსლიმანო საქართველო, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991;

2. ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათ, 1987;

3. თაყაიშვილი ექვ., არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და სოფელ ჩანგლში 1907 წელს, იხ. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა „დაბრუნება“, ტ. I, გ. შარაძის საერთო რედაქციით, თბ., 1991;

4. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1970;

5. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1960;

6. ყაზბეგი გ., სამი თვე თურქეთის საქართველოში, ბათ., 1995;

7. თოფურია ვ., ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვების დაბოლოებანი, იხ. კრებული „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956;

8. ჩიქობავა არნ., სახელთა ბრუნების ისტორიიდან ქართულში, იხ. კრებული, „სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956;

9. უთურგაიძე თ., ქართული ენის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1966;

10. შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973;

11. იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957;

12. მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964;

13. ძიძიგური შ., ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, თბ., 1970;

14. ჩიქობავა არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936;

15. ჩიქობავა არნ., ფერეიდნულის მთავარი თავისებურებანი, ტუმ, ტ.7, ტფ., 1927;

16. ინაიშვილი გრ., ქართლური დიალექტი, I, თბ., 1974;

17. ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბათ., 1975;

18. ქავთარაძე ივ., ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985;

19. ჩიქობავა არნ., მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრინციპისათვის ქართული ზმნის უღვლილების სისტემაში, იკე, ტ. I, თბ., 1946;

20. ცინცაძე მ., კირნათ-მარადიდის მეტყველების თავისებურებანი, ბათუმის სახელმწიფო პედინსტიტუტის სტუდენტთა შრომები, I, ბათ., 1954;

21. სურმავა ნ., კირნათ-მარადიდის მეტყველების ერთი თავისებურების შესახებ, იკე, ტ. 29, თბ., 1990;

22. მარტიროსოვი არ., ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1972.

ნანი გუგუნავა
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი

ბედისწერა ემიგრანტი მწერლისა...

გრიგოლ რობაქიძე ემიგრანტული ცხოვრებით გულდამძიმებული მწერალია. მოუსვენრობამ, პესიმიზმმა, დევნილისათვის დამახასიათებელმა გამძაფრებულმა ნაღვლიანმა განწყობილებამ თავისებური ასახვა მის შემოქმედებაშიც ჰპოვა. შეიძლება ითქვას, რომ ემიგრანტულმა ცხოვრებამ განსაზღვრა მწერლის ლიტერატურული მიმართულება. მან სამ ათეულზე მეტი წელი გაატარა „უცხოობაში“. რამდენიმე ქვეყანაში, რამდენიმე ენაზე წერდა, „მეტყველებდა და აზროვნებდა, მაგრამ თავისი წინააღმდეგობებით აღსავსე ცხოვრება ერთ მრწამსში, ერთი სამშობლოს ერთგულებაში, ერთი მშობლიური ენის განდიდებაში, ფასეულობათა განცდის ერთ სისტემაში გალია“ (7, 3).

გრიგოლ რობაქიძე უპირველესად უსაზღვროდ შეყვარებულია სამშობლოზე, მის წარსულზე, ტრადიციებზე, კულტურაზე. ამიტომაც ლაღად ვერ გრძნობს თავს უცხოეთის ცის ქვეშ და განიცდის სულიერ ტკივილს, გაძლიერებული აქვს მიუსაფრობისა და სულით ობლობის განცდა. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი იძულებით გადაადგილებულია მშობლიური საქართველოდან. უმჯობესია, თვითონ მოვუსმინოთ მწერალს: „დავტოვე საბჭოეთი, რადგან მარქსის გეგმით არ შემეძლო (და არც შემიძლია) მოზმევა რისამე; არც აზრით და მით უფრო ხელოვნითი“.

აუტანელი იყო გრიგოლ რობაქიძისათვის საბჭოთა სინამდვილის სულისშემხუთველ გარემოში ყოფნა, სადაც იბრძოდნენ რაღაც ახლისათვის, ძველი ძლივსღა იდგა ფეხზე. სისხლი იღვრებოდა, მეფობდა ორპირობა, ორგულობა, უნდობლობა, ბეზღობა, ღალატი, შიში.

30-40-იანი წლების იდეოლოგიური დიქტატურა შემბოჭველი იყო თავისუფალი, შემოქმედებითი აზროვნებისათვის. სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ იყო პოლიტიკური დევნა, რეპრესიები...

იყო გაუსაძლისი გარემო და როგორც მწერალი ამბობს – „ქარი სუნთქვას აძნელებდა“. ასე აღმოჩნდა გრიგოლ რობაქიძე „მესამე ნაპირზე“ ემიგრანტული ცხოვრებით გამოწვეული სევდა-ვარამით და ნოსტალგიით.

მართალია, გრიგოლ რობაქიძე ევროპამ აღიარა, როგორც „მოგვი სიტყვისა“, ოსტატი „შემოქმედების უღრმესი საიდუმლოებისა“, მაგრამ სიმშვიდე ვერც აღიარებამ მოუტანა.

სამშობლოს ფესვებში სიღრმისეულად განტოტვილ გრიგოლ რობაქიძეს, უცხო მიწაზე მყოფს, ვინ იცის სულიერმა რეალობამ რამდენჯერ მოაგონა ქართველი დედის, სოფიოს სიტყვები: „უცხოობაში რაა სიამე“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი – „ბედი ქართლისა“).

ფესვებიდან მოწყვეტას გრიგოლ რობაქიძე მელანქოლიამდეც მიჰყავს – „...წარმოუდგენლად საშინელი წუთებიც არსებობს. უეც-რად თავს იმ ნაკადში შეიგრძნობ, რომ არავის ჭირდები, ზედმეტი ხარ, შორეული, უცხო – და მაშინ მხეცისებური მელანქოლია შეგიპყრობს – საშიში, როგორც ბასრი სამართებელი უეცრად გაგიჟებულის ხელში“ (3, 420).

გრიგოლ რობაქიძემ მშვენივრად იცის, რომ მისგან უცხო „მფარველი“ თავშესაფარის სანაცვლოდ ხარკს ითხოვს. ამასთან, არის ხარკი, რომელსაც ვერ გაიღებ. სწორედ მაშინ იწყება სულიერი დეპრესია და მწერალსაც მარტოსულს უხდება ბრძოლა თავის დასაცავად...

...ზეწოლა პირდაპირპროპორციულია პიროვნების სიმაღლისა, ნიჭიერებისა, ავტორიტეტისა. ამას არაერთხელ უსვამს ხაზს საუკუნის მწერალი და თავისი აზრის განსამტკიცებლად ერთგან გოეთესაც მოიშველიებს: „რაც უფრო მაღალაღმატებულია არსება, მით უფრო მეტად ექცევა იგი დემონების გავლენის ქვეშ. გოეთეს აქ მხედველობაში აქვს სახიფათო ზონა, რომლის მოქმედების არეც არსების ზრდასთან ერთად ფართოვდება“ (1, 41).

დიახ, რობაქიძე სწორედ დემონების გავლენით მოექცა სახიფათო ზონაში და „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. მაგრამ საფრთხის შემქმნელი მომენტები უცხო მიწაზე სხვაც ბევრი ჰქონდა. მათ შესახებ მწერალი თვითონვე მოგვითხრობს: „ომის ხანა. 1. მთხოვდნენ, რადიოთი მელაპარაკა. ავიცდინე სხვადასხვა მოსაზრებით. 2. გერმანიის ლაშქარი მიადგა კავკასიონს. ბრუსსელის ერთმა გაზეთმა (გერმანულ ენაზე გამოდიოდა) მომმართა წერილები მიმეწოდებინა კავკასიაზე. მივაწოდე – სილუეტი: „საქართველო და ჯვაროსნები“, „ივანე ორბელიანი“, „პრომეთეს ნაშიერნი“, „წმინდა მთები“, „იმამი შამილ“. ხედავთ, პოლიტიკური „აკცენტი“, რომელსაც ალბათ ელოდნენ, ავიც-

დინე. 3. მომმართეს მენახა ქართველი ტყვეები. ვინახულე ათასამდე – სხვადასხვა ბანაკებში. ვესაუბრებოდი მხოლოდ საქართველოზე... მრავალი ამ ტყვეთაგანი დაუბრუნდნენ სამშობლოს. ისინი დამიმოწმებენ: თუ როგორ ვიცდენდი საუბრისას პოლიტიკურ აკცენტებს... აი, მოკლედ ჩემი „ბიოგრაფია“ ომის გასწვრივ“ (2, 94).

პოლიტიკური აქცენტები მაინც ვერ აიცილა – აიძულეს ფიურერის სახე შეექმნა.

გრიგოლ რობაქიძე სწორედ ამის გამო დაგმეს, „როგორც ჰუმანიზმის და მორალური ფასეულობების უარმყოფელი. მასთან ურთიერთობას გაურბოდნენ გამომცემლები, არ იწვევდნენ ლიტერატურულ სალონებში, კოლეგებიც არიდებდნენ თავს. ამავე მიზეზით, ნობელის პრემიის კომიტეტმა უარი განაცხადა გრიგოლ რობაქიძის კანდიდატურის განხილვაზე“ (1, 4).

ჰიტლერზე რომ წიგნი არ დაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუხდებოდა ბერლინის დატოვება. საბჭოეთში ვეღარ დაბრუნდებოდა, რადგან იქ რეპრესირებული მეგობრების ბედი ელოდა. სხვა ქვეყანაში გახიზნული, ბერლინში მყოფ ემიგრანტ ქართველებს მოწყდებოდა და ესეც რომ არა, გადაადგილება ხომ სერიოზულ ფინანსებთან იყო დაკავშირებული? თავის გამოუვალ მდგომარეობას მწერალი კალისტრატე სალიას უზიარებს: „დავკარგე ხალისი, ეს უცინცხალესი ნაკადი სიცოცხლისა. ბერლინის მოშორება ჩემთვის ძნელია არამარტო იმის გამო, რომ ჩემი ყოფნა ბერლინში ჩემი სამწერლო მუშაობისათვის მეტად საჭიროა, არამედ იმის გამოც, რომ იქ გადმოხვეწილ ქართველთა კერაა... ქართველთა სათვისტომო. მოვცილდები ბერლინს – დავკარგავ ამ უკანასკნელ ნატეხს საქართველოისა. ამის ატანა ჩემთვის ადვილი არ იქნება... ჩემს სიცოცხლეში ასე მძაფრად არ მიგრძვნია ტომური ნათესაობა ჩვენი: ჩვენი სისხლი, ჩვენი მიწა, ჩვენი ფესვები, ჩვენი ისტორია, ჩვენი ბედი... ...კარგი იქნებოდა რამდენიმე ოჯახი მაინც ერთ ალაგას დავბინავდეთ სადმე... ძნელია ვიცი ამის განხორციელება, მაგრამ ხანდახან „ნატვრის“ გაზიარებაც კარგი რამეა... ჩემი საყრდენი ახლა ღმერთია და ლოცვა... რა მოგველის? სად ვიპოვოთ ნუგეში“ (6, 340).

გრიგოლ რობაქიძე შეეცადა ნაცვლად პოლიტიკურისა, მთავარი აქცენტი წიგნის მხატვრულ ღირებულებაზე გადაეტანა. ისიც უნდა ითქვას, რომ მან, როგორც მწერალმა და გონმეტყველმა, თავის თხზულებებში – „ჰიტლერი“, „მუსოლინი“, – ნათლად გამოავლინა ფსიქოანალიზის საოცარი უნარი, დიდი ერუდიცია და ნიჭიერება.

სამშობლოს დანატრებული, პატრიოტი ქართველი მწერალი, მითოსური საბურველიდან უცქერის და უღრმავდება ყოველივეს. ეჩვე-

ნება კიდეც, რომ ჰიტლერი სიტყვას – „სამშობლო“ – პირვანდელ აზრს უბრუნებს. თვითონც ხომ საქართველოსთვის ეძებდა ხსნის გზას, არ მოწონდა რასის გაფერმკრთალება და ამიტომაც „მიიზიდა“ ჰიტლერის თემამ.

მწერალი საკუთარ ინსტინქტზე დაყრდნობილი აღწერს ფიურერის ცხოვრებას, პოლიტიკურ გზას და მკითხველს თავისი დაკვირვების შედეგად გამოტანილ ანალიზს თავაზობს. ამგვარი ანალიზის სიღრმისეულ აღქმას ვერ ახერხებს მწერლის თანამედროვე მკითხველი. ეს, სამწუხაროდ, გვიან შეიგრძნო გრიგოლ რობაქიძემ და ერთგვარი სინანულითაც წარმოთქვა – „ისინი (მკითხველები) მხოლოდ ჩემს ფასადს ხედავენ, შინაგანი სივრცე მათთვის ჩაკეტილი იყო... ჩემი დანაშაული მხოლოდ ისაა, რომ საშიშროებით დამუხტულ ატმოსფეროში ჩემი გავლენის ძალა გადაჭარბებით შევაფასე და ამასთან, ვერც მკითხველის აღქმის უნარი გავითვალისწინე“ (2, 83).

ათეული წლების შემდეგ „ჰიტლერის მითოსური სილუეტის“ შემქმნელის მისამართით, გამოჩენილი ქართველი მწერლის, ბატონი როსტომ ჩხეიძის დამოკიდებულება რამდენიმე ყურადსაღებ კითხვაში აისახა:

„კი მაგრამ, რაკიღა ადოლფ ჰიტლერისათვის ძვირფასია მისი სამშობლო, სხვათა სამშობლოსაც მოკრძალებით მოექცევა?“

დაპყრობითი ომები განა ითვალისწინებს სხვათა სამშობლოების გაფრთხილებას?

გრიგოლ რობაქიძეს საქართველოს მხსნელადაც რომ ესახება ფიურერი და გულის ფანცქალით მოელის, როდის დაიძრებიან გერმანიის ჯარები საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგაც, ნუთუ მართლა სჯერა, რომ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას მიანიჭებენ მის სამშობლოს და აღუდგენენ სახელმწიფოებრიობას?“ (2, 94).

ამ კითხვების ავტორი დიდებულად ფლობს სიტუაციას, ბოლომდე წვდება მწერლის სულს, ესმის მისი გენისა და სისხლის ყივილი, ამიტომ კითხვების ფონზე დასკვნაც თავად გამოაქვს – „გარუსება გაგერმანელებით შეიცვლებოდა?

სანუკვარი და სასიცოცხლო დროც ეს იყო – სულის მოსათქმელი... ადვილად ვერც გაგერმანელებით გაგვაგერმანელებ-დნენ, ათასწლეულები რომ გადავლილიყო, ვიდრე საქმე რეალური შეიქმნებოდა და ვიდრე ყელში ძლიერად მოგვიჭერდა ეს ახალი ყულფიც და იმ თავქვეზეც დავეშვებოდით, მანამდე კიდევ ბევრი რამ მოხდებოდა.

იქნებ სულ შეცვლილიყო მსოფლიო-ისტორიული წესრიგი“ (2, 96).

ბატონი როსტომ ჩხეიძე უფრო შორს მიდის და სასიქადულო თანამოკალმის სათქმელს – „ბრალდებული“ მწერლის დასაცავ ალიბსაც გვთავაზობს: ეს წიგნები „ზოგადკულტურული თვალსაზრისითაც არანაკლებ მნიშვნელოვანიაო“, არის აქ, „შემთხვევითობაში სწორედაც ღვთაებრივი მინიშნების ანარეკლიო“... „აღიარებულ მწერალს ასე სრული მოკვეთისათვის როგორ იმეტებდნენ კრინტის დაუძვრელადო“... (2, 83).

„სამოქალაქო სიკვდილის ბრჭყალებში ჩაგდებულ“ ემიგრანტ მწერალს ნახევარი საუკუნის შემდეგ რაინდულად გამოესარჩლება აკაკი ბაქრაძეც – „გრიგოლ რობაქიძეს ნაკლებად აინტერესებდა შიშით, ეჭვით, ორჭოფობით შეპყრობილი ადამიანები, რომელნიც მუდამ გზაჯვარედინზე დგანან და ვერ გადაუწყვეტიათ საით წავიდნენ, რა მიმართულება აირჩიონ. პირიქით, იგი ყოველთვის ცდილობდა დაეხატა მთლიანი, ძლიერი, შეუპოვარი და უდრეკი ადამიანები, ვისთვისაც მიზანი ყოველთვის ნათელია. ვინც მიზნისკენ მიმავალ გზას არ გადაუხვევს“ (14, 198).

ეს ორი ნაწარმოები მწერლისათვის ერთგვარი ლიტერატურული ძიებაც იყო. პიროვნებათა პორტრეტების დასახატავად, სულაც არაა საჭირო მაინცდამაინც დადებითი გმირის ძებნა, მთავარია იპოვო სახასიათო ნატურა. საერთოდ მწერალი ემოციური ფიგურაა და მასზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენენ ძლიერი, გაუტეხელი ადამიანები. გრიგოლ რობაქიძეც აჰყვა მირაჟისეულ ზემოქმედებას თუ ცდუნებას, როცა „ადოლფ ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ დაწერა. „ეს ჩვეულებრივი ამბავია – წერს აკაკი ბაქრაძე – ღირსეული თუ უღირსი ადამიანებით წარსულშიც ხშირად აღტაცებულა მწერლობა. დღესაც ხდება ეს და მომავალშიც მოხდება“ (14, 168).

...იპოვა გრიგოლ რობაქიძემ თავისთავადი ორი ნატურა პორტრეტთა შესაქმნელად. იპოვა ცენტრალური ღერძიც მათი ხასიათების გასაშლელად. ჰიტლერის დასახატავად მისი ფარული შინასახე გამოიხმო და თვალების მკაცრ მზერას დაუქვემდებარა.

მუსოლონის პორტრეტს დაბადებით იწყებს. დედა-მშობელი მწერლის ფიქრთა სამყაროა, დაბადების ადგილი მღვიმეა, სადაც მხოლოდ „ჰომეროსის ჩრდილის თანხლებით“ არის შესაძლებელი შეღწევა.

აქ „ჰომეროსის ჩრდილის“ გამოჩენა საგსებით ადასტურებს იმას, რომ მწერლისათვის მუსოლინი არაა ჩვეულებრივი მოვლენა. გავიხსენოთ, რას ამბობს იგი თვით ჰომეროსის შესახებ – „პოეზიაში ჩემთვის პირველი სახელი ჰომეროსია... იგი მთლიანად მითისმქმნელი საწყისები და ცეცხლთა მწიფე თესლია“. შორეული მითოსური ფესვე-

ბი ასაზრდოებს რობაქიძისეულ მუსოლინსაც. ამიტომაც მწერალი კურთხეულ ადგილას, „მატრომანიის“ მღვიმეში შობილად წარმოისახავს თავისი წიგნის გმირს. ასეთი წარმოსახვა მხოლოდ ზემგრძნობიერი პოეტური შთაგონების შედეგია – „მღვიმე თავის წიაღში მიიღებს ამომავალი მზის სხივების ნაკადს; ზღვის ტალღების შრიალი არწყლულებს თრობას. დედამიწა შობს ჭაბუკს, რომელშიც „მზე ისევ და ისევ განახლებული სახით მოგვევლინება“ (1, 9-16).

გრიგოლ რობაქიძე ყოველთვის ცდილობს პიროვნებას სიღრმისეულად ჩაწვდეს სულში და მისი „არსის ხატი“ წარმოგვიდგინოს, მაგრამ ამავდროულად ეს პიროვნება საინტერესო უნდა იყოს მისთვის, როგორც იტყვიან, „უნდა ღირდეს ჩიტი ბრდღვნად“.

უთუოდ გასათვალისწინებელია ისიც, რომ როდესაც თხზულება „ადოლფ ჰიტლერი“ იწერებოდა (დაასრულა 1938 წელს), ფიურერში ვერავინ ამჩნევდა მომავალ ტირანს, არც საკონცენტრაციო ბანაკები არსებობდა, არც ებრაელთა დევნის ზღვარი იყო წრეს გადასული და არც საბჭოთა კავშირზე თავდასხმა ჰქონდა განხორციელებული. რა თქმა უნდა, „ანა ფრანკის დღიურებიც“ არ იყო შექმნილი. ბერლინიდან იენაში მატარებლით მგზავრობისას (გრიგოლი მწუხარებისაგან სასოწარკვეთილი იყო, რადგან თბილისში სამშობლოს მზეკაცები, ძმებივით ძვირფასი მეგობრები დაუხვრიტეს), ანა ფრანკის თანატოლი გოგონა დამწუხრებულს ნუგეშსაცემად ღია ბარათს აწვდის და ფოტოებზე მიუთითებს – „აი, ფიურერის სახლი; აი, თვითონ ფიურერი“... გრიგოლ რობაქიძე, სულით პოეტი, ბავშვის ამ გაუცნობიერებელ, იმპულსურ საქციელს ზეციურ გზავნილად, „სამოთხისებურ სიახლოვედ“ აღიქვამს. ამ დეტალშიც ხედავს რობაქიძე ფიურერის შემოქმედებით ძალას და წერს – „იგი ხალხის ენერგიას განასხეულებს და მისი პიროვნული არსიც ამ ენერგიით იკვებება“ (2, 84).

ვფიქრობ, ესაა მირაჟისეული ხილვა (გარემომცველი გარემოებით გამოწვეული) სამშობლოს უბედობით და პირადი ტრაგიზმით წამებული სულისა. რომ ეს არა, ჰიტლერზე დაწერილმა „წიგნაკმა“ როგორ მოიცვა ისეთი უძვირფასესი სახელები თუ მცნებები, როგორიცაა: მცხეთა, თბილისი, მზე განდობილი საკულტო სალოცავები, წმინდა ქალწულ ნინოს ვაზის ნასხლავისგან საკუთარი თმით შეკრული „ჯვარი“, ქართველთა ზიარება ქრისტიანობასთან, „კარდჰუს წმინდა საფლავი“... რად აგონდება „გრაალის მცველნი?!

...საიდან უიარაღოს „მამელუკის“ ასოციაცია ჰიტლერთან?!. რა კავშირი აქვს ამ „წიგნაკთან“ მოძმის ხელით განგმირული მამელუკის სასოწარკვეთილ გმინვას – „ვაი, ნანა?“... დასკვნა თვითონ გამოაქვს მწერალს – „ვისაც ეს ტკივილი ძარღვს არ შეუტოკებს, იგი სიტყვას

„სამშობლოს“, ფიურერის მიერ წარმოთ-ქმულს ვერასოდეს გაიგებს. ეს კი მართლაც მირაჟის კულმინაციური წერტილია, რომელსაც მწერლის შემოქმედებითი სიტყვისგან წარმოქ-მნილი ზედნაშენიც ახლავს – „გახდა იგი (ჰიტლერი) დედამიწის ძალების გამომაფხიზლებელი“.

ვერ გაითვალისწინა გრიგოლ რობაქიძემ, რომ ასეთი შეხედულებები თუ დებულებები მიუღებელი აღმოჩნდებოდა მისი თანამედროვე მსოფლიოსათვის

სავსებით ვეთანხმები ბატონ რობერტ ჩხეიძეს, როცა ამბობს: „გრიგოლ რობაქიძე ხშირად იხსენებს ისტორიას ამ წიგნაკში და ფიურერსაც ისტორიის შემქმნელად მოიხსენიებს. მაგრამ მისთვის ისტორია, არსებითად მითოსს გულისხმობს, რომლის კანონებითაც, გმირის გამოჩენამდე მხოლოდ სიბნელეა, გარშემო არიან ადამიანები და არა ხალხი, არის საცოდავი ყოფა და არა ცხოვრება მთელი სისავსით. და რაკიღა ჰიტლერი მითოსურ შარავანდში უნდა გაეხვეს, მაშ ისტორიაც პირობითობა უნდა იყოს და სხვა არაფერი, ისტორია – როგორც მითოსის, სულაც პარტიული მითოსის დამატება, საკუთარ საზრისსა და განვითარებას მოკლებული და ისე შემოტრიალებულ-შეტრიალებული, როგორც ესა თუ ის მითი მოითხოვს“... (2, 77-78).

მითოსის კანონებთან მორჩილებაც ბუმბერაზ მწერალს იმიტომ დაჭირდა, რომ ემიგრანტის უუფლებო მდგომარეობა ნახევარსიმართლის სათქმელ სიტუაციაში აყენებდა. მთავარ აზრს ქვეტექსტებს მიანდობდა და მერე გულწრფელ აღიარებას მეგობრებისადმი გაგზავნილ წერილებში აქსოვდა. აი, რას წერს იგი ნიკო კაზანძა-კისს: „ვინც ებრაელებს სდევნის, ის მშვილდის მოჭიმვის არეში მოხვდება. მშვილდის მომჭიმველი თუ ქრისტიანული სამყაროდანაა, მაშინ ის თავისთავს ღუპავს“ (იქვე).

ამას მწერალი მაშინაც გრძნობდა, როცა ჰიტლერზე ამ პატარა თხზულებას წერდა. ებრაელთა საკითხს მესამე რაიხის დროს შეიძლებოდა ჰიტლერელთა პოზიციიდან შეხებოდა, მაგრამ ამას თავი აარიდა. მეორეს მხრივ, რობაქიძეს ყოველი ხალხი ღვთაებრივი მრავალფეროვნების გამოვლინებად მიაჩნდა და მათ შორის ებრაული რასაც. მისი დუმილი სწორედ ამით იყო გამოწვეული“.

როცა ჰიტლერზე წერს რობაქიძე, იფიქრებ თავისივე ავტომედალიონს წარმოგვიდგენსო. „ხალხის ენერგიას განასხეულებს ფიურერი და ამ ენერგიითვე იკვებებაო“.

მწერალს მოძალებული სურვილი ჰქონდა ერის წინამძღოლად (ზოგადად) მშობლიურ ფესვებთან ჩაღრმავებული პიროვნება დაეხატა. იგი ხომ უცხოეთში თავს დედამიწიდან მოწყვეტილად გრძნობდა და მხოლოდ წინაპრის ფესვებთან შინაგანი სიახლოვე აცოცხლებდა.

სამშობლოს სიყვარულიდან გამომდინარე თანაზიარი განცდების შემდეგ რობაქიძისათვის მისაღები ხდება ფიურერის სიტყვები: „საკუთარ თავს რომ ჩავუღრმავდები, წმინდა გულს ვპოულობ და წინ ათასობით, ათიათასობით ადამიანიც რომ გადამიდგეს, არ შევეპუები“... გულისყურით უსმენს ფიურერს სიტყვის დიდოსტატი და თავის „გმირში“ მოსწონს ქმედების ისტორიული ნიჭი, გარდაქმნის სიმამაცე, მზაობა თავგანწირვისათვის, პრინცი-პულობა.

ვიმეორებ, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ჯერ 30-40-იანი წლებია და ევროპისათვის ცნობილი არაა ჰიტლერის რეალური სახე, მისი სამოქმედო ნაცისტური გეგმა და ასპარეზი.

ასე, რომ ამ ბუმბერაზი მწერლის თვალწინ დასურათხატებული მირაჟი (ნაწილობრივ მაინც) „წიგნაკის“ „გმირისა“ და ავტორის ზოგიერთი ზიარი თვისებების შედეგია.

ბოლომდე პრინციპულად იცავს გრიგოლ რობაქიძე თავს და მბრძანებლურადაც კი გაისმის მისი სიტყვები, მიმართული ამერიკული კომიტეტისადმი – „ამერიკულმა კომიტეტმა უნდა იცოდეს, რომ ჩემი თხზულება ჰიტლერზე არ არის „ნაცისტურად შეთხზული“.

თავის თხზულებაზე საუბარს იგი სამამულო ომის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგაც აგრძელებს: „ვერ შენიშნეს თხზულების შინაგანი ინტენცია – ალბათ აქ ომისგან შექმნილი ატმოსფერო ზემოქმედებდა... თუმცა მათ თვალთახედვას გამორჩა ერთი ადგილი, რომელიც დღეს რეტროსპექტულად განხილული, სწორედ რომ წინასწარმეტყველურად ჟღერს“ (6, 165).

„...ჰიტლერი უნდა გამოჩენილიყო, რათა ხელახლა შთაებერა სუნთქვა რასისათვის და დაეჩქარებინა გერმანელების ხალხად ქცევა?.. მანამდე ვინ იყვნენ თუ ხალხი არა – თუნდაც მეცხრამეტეს მიწურულს, ანდა მეოცის გარიჟრაჟზე?“ – როსტომ ჩხეიძის ამ კითხვაზე არაერთგზის აქვს პასუხი გრიგოლ რობაქიძეს თავის სხვადასხვა წერილებში. ეს კარგად ჩანს მის სტატიაშიც „გეორგ ზიმელი გერმანიის ბედის შესახებ“ (3, 251-253) და „ბრანდესი გერმანიის შესახებ“ (3, 281-285).

გერმანიის ბედით სულ არაა შეწუხებული მწერალი. მთელ ევროპას (გერმანიის ჩათვლით) მისი ობოლი მარგალიტი – საქართველო უჩევნია. ცხადი ერთი რამ არის – გრიგოლ რობაქიძე ადგენს ისტორიულ ქრონიკებს და უფრო ოცნების თარგზე განაწყობს.

ამაში მკითხველი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, როცა მწერლის სიტყვებს ჩაუღრმავდება – „ვინც ოცნებობს დიდ ევროპულ ქალაქში იცხოვროს, გარკვეულად იცოდნენ, რომ ეს „ცხოვრება“ მათთვის წამება იქნება. სრულიად სერიოზულად ვამბობ: რუსთაველის

გამზირს მე კურფიურსტენდამზე არ გავცვლი არაფრის გულისათვის... ევროპაში ცხოვრებაზე მეოცნებეებმა იცოდნენ, რომ აქ ახლა „შესანიშნავ ადამიანსაც“ უჭირს „ადამიანად“ იქცეს“ (3, 444).

გრიგოლ რობაქიძე – გენიალური შემოქმედი – უთუოდ რთული ეპოქის პირმშო და მესიტყვეა. რიგ გარემოებათა გამო, როგორც პავლე ინგოროყვა ბრძანებს, მასზე საუბარი „დიდ პასუხისმგებ-ლობას შეიცავს“. სულმნათი მკვლევარის ამ ფრაზას კონცეპტუალურს უწოდებს მეცნიერი, მთარგმნელი მანანა კვატაია და ასკვნის – ეს „ფრაზა დღესაც აქტუალურია“-ო.

სავსებით ვეთანხმები ასეთ მოსაზრებას. ამავდროულად ვფიქრობ, რომ დღევანდელი გადასახედიდან მეტი „სითამამე“ და დაინტერესება უნდა გამოვიჩინოთ ემიგრანტი მწერლის ცხოვრების გზისა და შემოქმედების შესაფასებლად და დასაფასებლადაც. დადგა დრო, როცა ბოლომდე უნდა მოვუსმინოთ გრიგოლ რობაქიძეს და ჩავწვდეთ შავი ნაღველით სავსე მწერლის სულს

გრიგოლ რობაქიძეს თვითონაც კარგად ესმის, რომ „ჰიტლერი“ (ეს არ ითქმის „მუსოლონზე“) ლიტერატურულ ასპექტს ცილდება და პოლიტიკური პასაჟებითაცაა დატვირთული, მაგრამ ნაწარმოებში ფარულად გატარებული ინტენციის შესახებ ხომ გარკვევით ლაპარაკობს? – „წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენს წინაა ეჭვით დაავადებული ადამიანი, ბოროტის მსურველი ცეცხლს უკიდებს ავადმყოფს, როგორც იაგო ოტელოს. იგი მოხერხებულად შეაპარებს სათქმელს... ესე იგი, იჭვნეულის სულში თანდათან ჩააწვეთებს იჭვს“... გრიგოლ რობაქიძე ცდილობს გაანელოს იჭვნეულის ცეცხლი და ფრთხილად უნათებს მას გონებას... ამ გზით უადვილებს სნეულს, დაიბრუნოს დაკარგული მთლიანობა... მწერალი მიიჩნევს, რომ ნაცისტური მოძრაობა განწმინდა ყველანაირი წიდისაგან და ასკვნის: მოძრაობის სულის-ჩამდგმელი... მითოსურ სახეში გადაიზარდა. ეს ფიგურა ემპირიული ჰიტლერი კი არაა, არამედ იგი გახლავთ თავისი თავის მეორე მე. კითხულობენ: შენ ხარ ეს, უნდა წაიკითხონ: „შენ უნდა იყო ეს“ (6, 82).

ისმის კითხვა – რატომ უნდა იყოს მიუღებელი ნებისმიერი მკითხველისათვის თხზულებაში ლიტერატურული თვალსაზრისით შერჩეული საინტერესო პასაჟები, როცა მწერალი მიისწრაფვის იქეთკენ, რომ მის მიერ დახატული გმირი იყოს არა „ის“, არამედ „ეს“.

არანაკლები მითქმა-მოთქმა გამოიწვია თავის დროზე რობაქიძის თხზულებამ – „მუსოლინი“, მაგრამ ლიტერატურაში სიღრმისეულად ჩახედული ნებისმიერი პიროვნება ვერ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ეს თხზულება თავისი „სამყაროსეული სურათებით“ და მაღალხატოვა-

ნებით, დიდი მწერლისა და მოაზროვნის ბრწყინვალე შემოქმედებითი ნიმუშია.

მწერალი თავისი თხზულების გმირს მითოლოგიურ და ფილოსოფიურ ჭრილში წარმოგვიდგენს.

გრიგოლ რობაქიძის თვალით დანახული დუჩე ტიტანური ენერგიისა და ძალმოსილების მატარებელია. ყოველთვის თვითონ ცდილობს „თვითქმნადობისათვის ახალი სახის საწვავი იპოვოს... იგი ცვლის ამ საწვავს – უკრავს ვიოლინოზე, იმპროვიზაციას ასრულებს, არის მწერალი, წერს დრამებს, ნოველებს, კრიტიკულ წერილებს, მოგონებებს; მოტოციკლეტის აწყობაც შეუძლია და მანქანის საჭესაც უზის, არის დიპლომირებული მფრინავი, თავგამოდებული მოთხილამურე. არის კარგი მოფარიკავე, მცურავი, ჯირითობს ცხენით. სალაშქროდ მთებში დადის“ (1, 46).

რობაქიძე ხატავს დუჩეს ყველა თავისი თვისებით და გამართლებასაც ცხოვრების წესში, სივრცეში, დროსა და გარემოში პოულობს.

მწერალი მოგვითხრობს: „დაიბადა იგი მდინარე პოს ვრცელ დაბლობში – ალპებს, ადრიატიკასა და აპენინებს შორის მდებარე რომანიაში. აქ ვულკანური ნიადაგი ადამიანს ამოუცნობი მშფოთვარებით ამაგნიტებს. ეს სრულიად ემთხვევა მუსოლინის ხასიათს. აქ დაუოკებელი ადამიანები ცხოვრობენ“.

მამისაგან ღვინის დაყენების საიდუმლო წესების შესრულებაც ისწავლა. მამა შვილს გლინტვეინსაც დააჭაშნიკებინებდა და შთააგონებდა, რომ ღვინო კურთხეულ სიტყვებს ითხოვდა დამჭაშნიკებლისაგან (ალბათ სადღეგრძელოს მაგვარს).

არა მგონია არსებულიყო რობაქიძის გარდა მეორე განსწავლული პიროვნება, რომელიც შეძლებდა ასეთი სკრუპულოზური სიზუსტით დაეხატა გარემო, სადაც დუჩეს მოუხდა აღზრდა – ბავშვობისა და ყმაწვილკაცობის წლების გატარება. უბრალოდ აქ წარმოდგენილია სწავლების სახალხო „აკადემია“, თავისი მითოსური და ღვთაებრივი „კანონებით“ გაღონიერებული. თითქოს მთელი ცხოვრება ფეხდაფეხ დაჰყვებოდა იტალიის მომავალ „საჭეთ მმართველს“ გენიოსი მწერალი.

ამ თხზულებაში გრიგოლ რობაქიძე ამჟღავნებს ფსიქოანალიზის საოცარ უნარს, უდიდეს ერუდიციას, საგნებისა თუ მოვლენების ფილოსოფიური წვდომის გამორჩეულ ნიჭს. ერთგან მწერალი აღნიშნავს: „მუსოლინისათვის საფრთხე თვითდისციპლინის ნაირსახეობაა და ამ საფრთხეში იწრთობს თავსო“. შეიძლებოდა, ამ ფრაზის აზრობრივი დატვირთვა პარალელურ სიბრტყეში გადაგვეტანა და

მივიღებდით იგივეს, ოღონდ რობაქიძის მისამართით ჩამოყალიბებულს. თუ ჩავუღრმავდებით გრიგოლ რობაქიძის ცხოვრებასა და ბედისწერას, იგი ზოგ შემთხვევაში ჰგავს მუსოლინისას. მასაც ჰერაკლეს მსგავსად ნესუსის მოწამლული პერანგი აცვია და ტრაგედიისაკენ მიაქანებს. ისიც დუჩეს მსგავსად „საზორელ“ ცეცხლში იწვის და ცდილობს პერანგიდან თავდახსნას, რაც თავგანწირვისაკენ მოუწოდებს. თავგანწირვა სიმამაცეს მოითხოვს. „სწორედ სიმამაცის წაყლობით იქცა საფრთხე თვითრეალიზაციის მისაღებად“. ეს უკვე მწერლის დასკვნაა.

„მუსოლინი... მზმელია ახალი იტალიისა“ – გვეუბნება მწერალი. რობაქიძესაც გერმანელი მწერლები თუ გამომცემლები თავის დროზე ახალსა და უჩვეულოს უწოდებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ მას მოვლენად აღიქვამდნენ. „გრიგოლ რობაქიძე ფლობდა გოლიათურ ენერგიას. მაგრამ წლების განმავლობაში მას ჰკლავდა და სულს უფერფლავდა ჯავრი სამშობლოსი... სამშობლოს – საქართველოს სიყვარული გრიგოლ რობაქიძის დაუცხრობელი სულის მარადიული ღელვა იყო. სამშობლო მან დასტოვა ბავშვივით ატირებულმა, და ამ ქვეყნიდან გავიდა მარადისობაში საქართველოსთან განშორების ღამაზი სევდით“ (13, 19).

მწერალი შემთხვევით როდი მოიხსენიებს თხზულებაში პლატონს, ჰერაკლეს, ჰომეროსს, დანტეს, მიქელანჯელოს, გოეთეს, ნიცშეს... გრიგოლი ეძებს თავისი გმირის მსგავსების ნიშნებს ამ გოლიათებთან. იგი პირდაპირ ხედავს მათ.

კონკრეტულ შემთხვევაში კიდეც აცხადებს: „დიახ, გოეთეს მსგავსად, მუსოლინიც საკუთარ თავზე მაღლდება მუდმივადო“.

რობაქიძისათვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მისი წიგნაკის გმირი „ძირისძირობამდე იცნობს სიტყვის სახვით ძალას“ (ისევე, როგორც დანტე).

მწერალი ერთმანეთისაგან განასხვავებს პოეზიის ნატიფ ნიმუშებსაც კი. ზოგს მიიჩნევს „ნათქვამ სიტყვად“, ზოგსაც „დაწერილ სიტყვად“ და უპირატესობას პირველს ანიჭებს. „მუსოლინის სიტყვა მუდამ „ნათქვამი“ სიტყვაა, ასკვნის იგი და უფრო შორს იხედება – „ის არც გულს მოცილებული ჩენჩოა და არც ცარიელი სიტყვა; ის ვაჟკაცურად გაისმის; ქვაში შობილი, – იგი სიტყვას ქვის ლოდში ძერწავს. მჭედლის შვილი კი – რკინაში ჭედავს მას. ქვას დაარქმევ თუ რკინას, მის სიტყვას მუდამ დარტყმის ძალა აქვს“ (1, 94).

ასეთი დარტყმის ძალა ჰქონდა თვით რობაქიძის სიტყვასაც, როცა „ჰიტლერი“ და „მუსოლინი“ წარუდგინა ევროპას. ასეთივე

დარტყმის ძალა ჰქონდა მის სიტყვას, როცა 1933 წელს, იენაში, გერმანულ ენაზე გამოსცა თავისი რომანი „ჩაკლული სული“.

გრიგოლ რობაქიძის დაინტერესებას მუსოლინისადმი ნიცშეს იდეებთან თანაზიარობაც უქმნიდა ლიტერატურულ ამინდს. ამ ფილოსოფოსის გავლენით დაწერილი დუჩეს წერილი მწერალს თავის თხზულებაშიც შეაქვს და იქედან დაფარული აზრების ნათელყოფასაც ცდილობს – „ამ ახალ იდეალის გასააზრებლად უნდა შეიქმნას თავისუფალ სულთა ახალი ნაირსახეობა, გამოწრთობილი ბრძოლაში, სიმარტოვესა და დიდ საფრთხეში. მათ ეცოდინებათ, რა არის ქარი, მარადიული თოვლი, მაღალი მთები და მყინვარები, და თამამად გაზომავენ უფსკრულების სიღრმეს“...

„იქნებ ამ დროს დუჩე საკუთარ თავზე წინასწარმეტყველებდა?“ – სვამს კითხვას გრიგოლ რობაქიძე.

კითხვა ბუნებრივიცაა. მუსოლინს ხომ დიდი ცხოვრებისეული წრთობა აქვს გავლილი!. და წრთობის ამგვარი პერიპეტიები არც გრიგოლ რობაქიძის პირადი და სამწერლო გზისთვისაა უცხო.

სამშობლოს მუსოლინისეული განცდა უცხო რომ ყოფილიყო ემიგრანტი მწერლისათვის, ვფიქრობ, არც ეს „წიგნაკი“ დაიწერებოდა. სამშობლოს მიღმა ეულად შთენილი გრიგოლ რობაქიძე გულმხურვალედ უსმენდა ყველას, ვინც სამშობლოს თემას პირა-დულზე წინ წამოწევდა და უპირველესად ცდილობდა, თავისი შეხედულება სარწმუნო გაეხადა ქართველი მკითხველისათვის (თუკი მომავალში ამის შესაძლებლობა იქნებოდა).

რობაქიძემ მშვენივრად იცის, რომ ბენუტო მუსოლინი იტალიურია თავისი კონკრეტული ორგანიზაციით, მაგრამ მიაჩნია, რომ იგი უნივერსალურია სულისკვეთებით. მწერალი თავიდან ბოლომდე ცდილობს, რომ ეს სულისკვეთება აღმოაჩინოს მასში და გადამდები გახადოს. ახერხებს კიდეც! იგი ხატავს თავის გმირს ისეთი ეგზოტიკური მინარევებით შეზავებული ფერებით, რომ წიგნის კითხვას მკითხველი ვერც თვალს მოწყვეტს და ვერც გულს. ეს უკვე მწერლის გამარჯვებაა!

მწერალს თხზულების წერისას წინ უდევს რამდენიმე ფოტოსურათი და მათგან სულის პორტრეტს ქმნის. რობაქიძე რატომღაც დარწმუნებულია, რომ მზერა არ ატყვილებს და შეუცდომლად ხედავს თავის გმირს. თვითონ ქმნის მწერლური ხედვისათვის ხელსაყრელ სიტუაციას და ახდენს დუჩეს არსების „უჩვეულო პოლარიზებას“. მუსოლინი ხან „ციდან ჩამოვარდნილი დემონია, ხან ჭეშმარიტად „ქვაშიშობილი“ „მატრომანიის პირმშო“, მითრას ნათესავი.

გრიგოლ რობაქიძის დაინტერესებას მუსოლინისადმი ნიცშეს შეხედულებებთან თანხვედრაც დაერთო და ეს გახდა ყველაზე მეტად ხელშესახები, როცა მასზე თხზულებას წერდა.

მაგრამ გერმანული ფაშიზმისაგან აწიოკებულ საბჭოეთს და ევროპას არც კი ჰქონდა სურვილი ჩაეხედა მწერლის ქვეტექსტებს მიღმა. ეს იყო საბედისწერო პამფლეტები, რომლის გამოც რობაქიძემ მოსვენება დაჰკარგა.

ბატონ აკაკი ბაქრაძის მეტად საგულისხმო ვერსიასაც თუ დავეყრდნობით, „უფრო რთული და არსებითი მიზეზიც არსებობდა“ გრიგოლ რობაქიძის „მისავიწყებლად“ – „გრიგოლ რობაქიძის შემოქმედება ეკუთვნოდა სიტყვაკაზმული მწერლობის იმ სახეობას, რომელსაც გერმანელები... მიწისა და სისხლის ლიტერატურას უწოდებდნენ.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ სახეობის ლიტერატურა საერთოდ დავიწყებას მიეცა. მიწა, სისხლი, რასა, ჯიში მკითხველს ნაციზმსა და ფაშიზმს ახსენებდა. ყველას შიშით აცახცახებდა და მათი გაგონება აღარ უნდოდა. შეხედულებანი ნელ-ნელა იცვლებოდნენ და კოსმოპოლიტურ ხასიათს იღებდნენ“ (14, 204).

გრიგოლ რობაქიძე იძულებული ხდება ახსნა-განმარტებებით „დააშოშმინოს“ საწინააღმდეგოდ დამუხტული ატმოსფერო. აი, რას წერს თავისუფალი ქვეყნის პოლიტიკური თავშესაფრის ბინადარი მწერალი, ასევე ემიგრანტს, პარიზში – გრიგოლ დიასამიძეს: „ჩემი ცნობილი წიგნი, რომელმაც არასასურველი ატმოსფერო შექმნა ჩემი სახელის გარშემო, ვერ იქნა ნამდვილად გაგებული ვერც მომხრეთა ბანაკში, იქ გამოყვანილი პიროვნებისა და ვერც მის მოწინააღმდეგეთა შორის. იქ იდუმალი მეთოდით გაყვანილია 8 „თუ“: „თუ ასე მოიქცა“ ეს არაა ცხადად ნათქვამი, ხოლო „შინაგან“ იგი ხაზგასმით თქმულია: ჩემი რა ბრალია, თუ, ამ 8 „თუ“-ში ერთიც არ იქმნა გამართლებული. შარშან შემოდგომაზე, დავსწერე „ჩემი განმარტება“, რომელიც თვითონ წიგნზე უფრო ვრცელია. იქ ვიძლევი „შიფრს“ წიგნის ნამდვილი გაგებისათვის (ამ „თუ“-ების შესახებ ვესაუბრე ერთ გამოჩენილ გერმანელს ჯერ კიდევ 14.10.1942, როცა გერმანია მარჯზე მარჯს დღესასწაულობდა. ეს აღნიშნულია განმარტებაში): ოდესღაც გამოქვეყნდება უთუოდ. ვინც კი წაიკითხა – განცვიფრებული დარჩა. „განმარტებას“ გაეცნენ აქაურნი სათანადო უწყებანი. არავითარი დაბრკოლება არ ამართულა ჩემს წინაშე... მუდმივი თავშესაფრის უფლებაც კი მომცეს, რომელსაც ძვირად თუ ვისმე არგუნებენ... ბედს ვერ დავემდურები. აქ შეძლება მომეცა – მძლავრად გამეშალა ჩემი შემოქმედება. მოვათავე ოთხი წიგნი: 1. „ისრაელი, როგორც საიდუმლოება და

ბედისწერა“, 2. „ატლანტური ზმანება, ანუ ქართული მითოსი“, 3. „იზიდას წყაროსთან“, 4. „ფრიდრიხ ნიცშე“ (5, 194-195).

დიდხანს არ მოუხსნა (და საერთოდ მოუხსნა კი?) ევროპამ „ბრალდება“ გრიგოლ რობაქიძეს „ჰიტლერისა“ და „მუსოლინის“ გამო. გაჰყვა ეს ბრალდება სიცოცხლის ბოლომდე. თავის მართლება მას უახლოეს მეგობრებთანაც უხდება. ამის გამო სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი, კონსტანტინე სალიას წერს: „მოვიქანცე, დავიღალე; ამდენი წერით, ამდენი მიხვევ-მოხვევით, ამდენი ახსნით – ამ უკანასკნელ დღეებში. ნერვები ამეშალა, გუშინ ღამით არ მძინებია. რა იქნებოდა ორი დღით მაინც მოსულიყავით აქ? ქართული საწერი მანქანა მაინც გამაჩნდეს!“ (6, 270).

ბედისადმი უკმაყოფილებით, მძიმე საფიქრალით, პრობლემებითა და წუხილითაა სავსე მეორე ბარათიც: „ჩემი მძიმე ყოფა გრძელდება, მაგრამ გულს არ ვიტეხ მაინც... ბევრი რამ მაქვს კიდევ მოსასრულებელი და გადასამუშავებელი. ბევრი, ბევრი რამ მაქვს სათქმელი კაცობრიობისათვის. მარგუნებს ბედი სათქმელის დაწერას? აი, რა მაწუხებს“...

მიხეილ წერეთლისადმი გაგზავნილ წერილშიც ნათლად ჩანს პოეტის დაჭრილ-დაჩეხილი სულის ტკივილი. მაგრამ ამავდროულად, აქ უნარიც ჩანს იმისა, რომ საკუთარ თავშივე იპოვოს ძალა სულის გადარჩენისათვის. გრიგოლი ახერხებს მისივე ბედში მყოფი მეგობარიც გაამხნევოს. გაამხნევოს არა უბრალო იაფფასიანი სიტყვებით, არამედ დასაბუთებული, სიბრძნისეული ლოგიკით, ქართული სიტყვის მადლმოსილებით – „პირველთაური“ სიტყვის ძალით: „ორივეს დიდი უბედურება დაგვატყდა თავს. რა ვქნათ? ჩვენი, ორივეს საყრდენი ახლა უფალია. მივენდოთ მას... წუთსა სასოწარკვეთისასა გვანუგეშებს „ჯვარი ვაზისა“, გაგვამხნევებს ხრმალი დავით აღმაშენებლისა, მოგვანათებს შარავანდედი თამარის, გაგვამაგრებს წამებული ქეთევან – დაგვლოცავს ჩვენი ერის თაურმდგენი: დიდი კარდუ. ეს „სოფელი“ „სადგურია“ მხოლოდ. „სამყარო“ – მარადისობაა. რაც ამ სოფლად მოვიპოვეთ, ნაყოფს იგი იმ სოფლად გამოიღებს. ეს უნდა ახსოვდეს ყველას ჟამ-ყოველ – ეს უნდა გვახსოვდეს ჩვენც, შენ და მეც, ეგზომ დატანჯულთ“ (6, 318).

1945 წელს, როცა საბჭოთა ჯართა მიერ ალყაშემორტყმული ბერლინი ცეცხლისქვეშ ნადგურდებოდა, რობაქიძეს იქ ყოფნის საშიშროება შეექმნა. საქართველოში მცხოვრები ქართველი მწერლები (კონსტანტინე გამსახურდიას თაოსნობით) და ემიგრა-ციაში მყოფნიც სერიოზულად დააფიქრა ამ გარემოებამ და დაიწყეს ზრუნვა მისი ბერლინიდან გაყვანასთან დაკავშირებით.

გრიგოლ რობაქიძე ნიკო კაზანძაკისს წერს: „...1945 წლის აპრილში, უეცრად ჩემთან ერთი ქართველი გამოჩნდა, რომელმაც მხოლოდ ჩემი სახელი იცოდა. ეს გახლდათ ის, რომელმაც მოახერხა ჩემი გერმანიიდან გაქცევა არა მხოლოდ ოსტატურად, არამედ ფანტასტიკურადაც. 23 აპრილს უკვე შვეიცარიის მიწაზე ვიყავით. მე, ჩემი მეუღლე და ჩემი ნათესავი ქალიშვილი. შვეიცარიამ დიდებუ-ლად მიგვიღო. ამ მართლაცდა თავისუფალმა ქვეყანამ მაჩუქა მე სიმშვიდე და მოსვენება. ახალი პერიოდი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში – შინაგანი ჩაღრმავებისა და აზროვნების განწყობის ძირეული გადასინჯვის პერიოდი“ (6, 84).

ასეთია ბედისწერა ემიგრანტი მწერლისა. არ შეიძლება არ დაეთანხმო ასევე ემიგრანტ ქართველს (მეცნიერს, პროფესორს, თეოლოგს) გრიგოლ ფერაძეს, როცა მილიონობით ქართველი ემიგრანტის ცხოვრების გზას ჩვენივე ერისა და მაცხოვრის განსაცდელს ადარებს: „...დღევანდელი დღიდან იწყება ტანჯვა და ხეტიალი ღვთის ადამიანთა შორის, – მისი, ვინც სამშობლო დასტოვა და საყდარი ცისა და გადმოვიდა ადამიანთა შორის და დადის მას შემდეგ იმ ადამიანთა შორის უსამშობლოდ და უსახლკაროდ, მიადგება ყოველი ადამიანის გულს და სთხოვს მას ბინას თავისთვის... ჩვენც ვართ გადმოხვეწილნი და მე არა მგონია, რომ სხვას რომელიმეს ისე ესმოდეს კარგად ფსიქოლოგია უსახლკარო და უსამშობლოსი, როგორც მას, ვისაც ჰქონია ოდესღაც კარგი მამული (8, 274).

ამიტომ გრიგოლ რობაქიძე, როგორც ყველა ემიგრანტი მწერალი, მუდმივად სამშობლოს ძიებაშია და ერთადერთ ხსნას ხედავს – უხსნის „ღვთიურ სიტყვას თავის გულის კარებს და გაიხდის მას თავის მეგობრად“.

მწერლის „ღვთიურ სიტყვას“ დამფასებლებიც ბევრი ჰყავდა იმ დროისათვის დასავლეთში აღიარებულ მწერალთა და მეცნიერთა შორის: თომას მანი, შტეფან ცვაიგი, არმინ ზიგრისტი, რუდოლფ კარმანი, ნიკოლაუს ზომბართი, რომენ როლანი, ფრიდრიხ ჰოიენტი, ჰერმან ვაიზერლინგი, ნეადერ ნილსონი, პეშკე, ბრუტო გოტცი, მარტინ ბუბერი, ნიკო კაზანძაკისი და მრ. სხვ.

მაგრამ არც ეს იყო „შვება უბედურისა“. არ იყო, რადგან დიდი მწერალი და მოაზროვნე სიღრმისეულად ჭვრეტდა უფსკრულის ფსკერს, საითკენაც მიემართებოდა მისი თანამედროვე სამყარო. ყველაფერში თაურსაწყისს ეძებდა და ტრაგიკულად გრძნობდა ფესვებიდან მოწყვეტას.

დადგა ტაროსი საქართველოში და დაუბრუნდა გრიგოლ რობაქიძე თავის წიაღს. დაუბრუნდა წიაღს არა ფიზიკური სხეულით, არა-

მედ მწერლის და მოაზროვნის ყველასაგან განსხვავებული, ღრმა და ფერადოვანი სამყაროთი – „სიცოცხლის ღვენთით, ჩუმით და ჯერაც უთქმელით“.

დაუბრუნდა ერს საქართველოში შერისხული კლასიკოსი – დიდი მწერალი და მოაზროვნე. დაგვიბრუნდა და მოგვიტანა „იმ პერიოდის ქართული თუ ევროპული ყოფის მატიანე... ენაწყლიანი, ჩუქურთმიანი ტექსტებით ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელი ლიტერატურა“ (3, 476-477).

დიდებული საქმე ითავეს ქართველმა მთარგმნელებმა (დალი ფანჯიკიძე, მანანა კვატაია, ნანა გოგოლაშვილი, თამარ კოტრიკაძე, ეთერ ქავთარაძე, ნათია ორმოცაძე), როცა ქართველ მკითხველს თავიანთ თარგმანებში მიაწოდეს გერმანულიდან და რუსულიდან ქართულ ენაზე ამეტყველებული გრიგოლ რობაქიძე.

მწერლისადმი დიდ ინტერესსა და პატივისცემაზე მეტყველებს გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ „უცნობი გრიგოლ რობაქიძის სერიით გამოცემული წიგნები“.

გრიგოლ რობაქიძით ინტერესდებიან ქართული თეატრები. ჯერ კიდევ 1930 წელს, „ლამარას“ დადგმა წარმატებით განახორციელა თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრმა (რეჟისორი – სანდრო ახმეტელი). 65 წლის შემდეგ, 1995 წლის 25 ივლისს, ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში შედგა პრემიერა სპექტაკლისა „ლამარა“ (დამდგმელი რეჟისორი – ლევან მირცხულავა).

შექმნილია ლიტერატურულ-მუსიკალური კოლაჟი „სიყვარული მესამე ნაპირზე“ (რეჟისორი – ანდრო ბეროშვილი). მონაწილეობენ მსახიობები: რევაზ თავართქილაძე, ჯემალ მონიავა, ნინელი ჭანკვეტაძე, თინათინ ელბაქიძე, კახა არჩვაძე, ლალი ანთაძე.

სულ ახლახან თბილისსა და ბათუმში დაიდგა გრიგოლ რობაქიძის ცხოვრების ამსახველი სპექტაკლები. დედაქალაქში შექმნილია გრიგოლ რობაქიძის საზოგადოება.

ისიც, რომ შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის განყოფილებას ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განხრა დაემატა, იმაზე მეტყველებს, რომ „შავნაღვლიანთა“ სული უბრუნდება თავის წიაღს.

„ეს ხანი არის, იმწყვდევს არწივი მშვინვას შენეულს და, ფრთაშესხმით ჩვენსა ზედან გარდმოატარებს – და გვამცნობს ესრეთ მზის მხილავი: მოვალსო იგი, ჟამსა როსმე კვალად მოვალსო!“ (7, 101).

Nani Gugunava
Doctor of education, professor

Fate of the emigrant writer

S u m m a r y

Grigol Robakidze is the victim of his age that made him leave the worshipped homeland. The fate had prepared the life of an emigrant for him.

The work discusses this very point and explains the real reasons of the writer's misery and his frequent forced bifurcation. Here you can find the answers to the following periphrases, which were caused by the emigrant's fate: "anxiety beyond peace" or "braking within action".

The article distinctly underlines the time and space of the creation of governing compositions ("Hitler", "Mussolini").

The polysemantic "psychic profile" of his subconscious for the writer is the mystery of the moon's affect. The hint to the writer's ability to access the depths of the mythology is dominant in the given article.

Finally, the main point of the issue – nothing can bring the complete happiness, even so great public recognition, while the soul of the creator is being burnt in the fire of longing for the homeland. This is the very fate of the emigrant writer

ლიტერატურა

1. რობაქიძე გრ., მუსოლინი, თბ. გამომცემლობა „არტანუჯი", 2010.

2. რობაქიძე გრ., ჰიტლერი, თბ. გამომცემლობა „არტანუჯი", 2010.

3. რობაქიძე გრ., ომი და კულტურა, თბ. გამომცემლობა „არტანუჯი",2014.

4. გუგუნავა ნ., ქართველ ემიგრანტთა კულტურული მემკვიდრეობიდან, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათ. 2015.

5. შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ (წიგნი მეორე), თბ. „მერანი", 1993.

6. რობაქიძე გრ., პირადი მიმოწერა, გამომცემლობა „არტანუჯი", თბ. 2012.

7. რობაქიძე გრ., ავტომედალიონი, გამომცემლობა „ინტელექტი", თბ. 2013.

8. გამონათლევი I – სამეცნიერო და მხატვრულ-პუბლიცისტური წერილების კრებული. გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი", ბათ, 2015.

9. ნიკოლეიშვილი ავთანდილ – XX საუკუნის ქართული მწერლობა, გამომცემლობა „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ქუთაისი, 2002.
10. ჟ. ბედი ქართლისა, პარიზი, 1962.
11. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 27.02.2015.
12. სიყვარული მესამე ნაპირზე, გამომცემლობა „პეგასი“, 2008.
13. გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 19 ივლისი, 2009.
14. ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი (ტომი მეორე), თბ. 2004.

ოთარ თურმანიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ქართული სამართლის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში[1]

ივანე ჯავახიშვილის შრომებში ქართული სამართლის ისტორიის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მეცნიერი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას სამეცნიერო მუშაობის დასაწყისიდანვე შეუდგა. პირველ რიგში შეისწავლა ქართული სამართლის ისტორიოგრაფია. მეცნიერულად შეაფასა ამ მიმართულებით კვლევის შედეგები, აჩვენა ნაკლოვანებები და ხარვეზები. ივანე ჯავახიშვილმა გაანალიზა და შეაჯამა ქართული სამართლის ისტორიის პირველი მკვლევრების – ანტონ ფურცელაძის, თედო ჟორდანიას, ექვთიმე თაყაიშვილის, სარგის კაკაბაძის დამსახურება ამ დარგში. მეცნიერულად განსაზღვრა ქართული სამართლის ისტორიის კვლევაში მიღწეული დონე. ამის შედეგად ფუნდამენტური გამოკვლევები შექმნა. 1919 წელს გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორიის პირველი წიგნი, რომელშიც შესწავლილია საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ძირითადი საკითხები და მოცემულია საყურადღებო ცნობები მოსახლეობისა და სამოხელეო ინსტიტუტების შესახებ.

მომდევნო წლებში მკვლევარმა სამართლის საკითხების შესწავლის არეალი გააფართოვა და კიდევ მეტად გააღრმავა. 1928 წელს გამოვიდა ქართული სამართლის ისტორიის პირველი ორი წიგნი. შემდეგ გამოაქვეყნა მეორე წიგნის ორი ნაკვეთი. ამ წიგნებში შესწავლილია

[1] მოხსენება წაკითხულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესიაზე, 2016 წლის 5 მაისს.

ქართული სამართლის ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან XVIII საუკუნის დასასრულამდე.

ივანე ჯავახიშვილის შრომების ყველაზე დიდი ღირსებაა მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზა. სახელოვანი მეცნიერი კარგად იცნობდა ძველ ბერძნულ, ლათინურ, სპარსულ, სომხურ, აღმოსავლურ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ და სხვა ქვეყნების სამართლის ძეგლებს, ქართული სამართლის წყაროების შეპირისპირების შედეგად მოგვცა საყურადღებო დებულებები და დასკვნები. ძალზე მნიშვნელოვანია და ამავე დროს მომავალი თაობისათვის სამაგალითოა ივანე ჯავახიშვილის მიდგომა საერთო საისტორიო წყაროებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქართული სამართლის ძეგლების მიმართ. იგი გულმოდგინედ, სიღრმისეულად იკვლევს ქართულ საისტორიო ლიტერატურას. ივ. ჯავახიშვილმა მეცნიერულად განიხილა არა მარტო სამართლის, არამედ სახელმწიფო წესწყობილების, სამოხელეო ინსტიტუტების საკითხები. მის შრომებში მაღალ დონეზეა შესწავლილი ქართული სამართლის დარგები, ნაჩვენებია ეროვნული თავისებურებანი. ივ. ჯავახიშვილის შრომებში დასმული და გადაწყვეტილი საკითხები დღესაც ინარჩუნებს აქტუალობას.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ივანე ჯავახიშვილის კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. მეცნიერი საერო და საეკლესიო სამართლის ძეგლების შესწავლის, საკითხების შერჩევის, გაანალიზების წინაპირობად თვლის ისეთი იურიდიული ტერმინოლოგიის განმარტებას, როგორიცაა: „კანონი“, „წესი“, „განგება“, „სჯული“, „განჩინება“, „კარი“, „სამართალი“, „კოდიკოი“, „დიგესტნი“ და ა.შ. აღნიშნული ტერმინები გვხვდება ქართული სამართლის ძეგლებში. ამასთან, ივ. ჯავახიშვილი იძლევა ძველი ბერძნული და რომაული სამართლიდან ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში შემოტანილი და გავრცელებულ ტერმინებს (ჯავახიშვილი, 1982:24-36).

ივ. ჯავახიშვილის ქართული სამართლის ისტორიის შექმნისათვის გამოყენებული აქვს სხვადასხვა სახის წყაროები. მათგან პირველ რიგში აღსანიშნავია საეკლესიო სამართლის ძეგლები. მეცნიერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მსოფლიო საეკლესიო კრებების საკანონმდებლო აქტებს, რამდენადაც ისინი საქართველოში მოქმედებდნენ. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერდა: საერთაშორისო სამართლის კანონმდებლობის გამოყენების გარეშე ქართული სამართლის ისტორიის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა (ჯავახიშვილი, 1982:). ამიტომ ივ. ჯავა-

ხიშვილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა საერთაშორისო სამართლის ძეგლების ქართულად თარგმნას. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით საერთაშორისო სამართლის ძეგლების თარგმნა იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მკვლევარი გაეცნობა იურიდიულ ტერმინოლოგიას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია ქართული საკანონმდებლო აქტების შექმნისათვის. დიდია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დამსახურება საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების შექმნაში. ჯერ კიდევ VI საუკუნეში აქ შეიქმნა „დიდი სჯულის კანონი“, რომელშიც სამართლის საკითხები დალაგებულია სისტემატურად და ქრონოლოგიის დაცვით. მნიშვნელობა აქვს იმასაც, რომ საეკლესიო სამართლის ძეგლებში სამოქალაქო კანონმდებლობაც არის მოცემული (ჯავახიშვილი, 1982:38).

ივანე ჯავახიშვილმა არგუმენტირებულად დაასაბუთა „დიდი სჯულის კანონის“ პირველი მთარგმნელის, ექვთიმე მთაწმინდელის ვინაობა. ამ დასაბუთების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ კორნელი კეკელიძეს პირველ მთარგმნელად არსენ იყალთოელი მიაჩნდა. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით „დიდი სჯულის კანონი“ ქართულად ითარგმნა XI-XII საუკუნეების მიჯნაზე და ეს არის რიგით მეორე თარგმანი, რომელიც არსენ იყალთოელმა შეასრულა (ჯავახიშვილი, 1982:40-42).

საისტორიო ლიტერატურის გაანალიზების შედეგად, ივ. ჯავახიშვილმა განავითარა დებულება, რომ საქართველოში მსოფლიო საეკლესიო კრებების საკანონმდებლო აქტების ქართულად თარგმნა VI-VII საუკუნეებში მიმდინარეობდა. არგუმენტირებულად აკრიტიკებდა იმ შეხედულებას, თითქოს კანონიკური ძეგლების თარგმნა XI საუკუნიდან იწყება (ჯავახიშვილი, 1982:44-45). ამასთან, სახელოვანი მეცნიერი მაღალ შეფასებას აძლევს ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობით საქმიანობას, თარგმნილი სამართლის აქტების საქართველოში გავრცელებასა და გამოყენებას.

კანონიკური სამართლის ძეგლებიდან ჩვენამდე შემონახულია რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრების ოქმები და კანონი „ძეგლისწერა“. ამ საკანონმდებლო აქტს ივ. ჯავახიშვილი მაღალ შეფასებას აძლევს. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით „ძეგლისწერა“ ქართული საეკლესიო სამართლის საუცხოო ძეგლია და როგორც შინაარსობრივად, ისე გარეგნულადაც საინტერესო ნაწარმოებია და შეიცავს ძვირფას ცნობებს ქართული საერო სამართლის ისტორიისათვისაც (ჯავახიშვილი, 1982:57-58).

ივ. ჯავახიშვილს გარჩეული აქვს „ძეგლისწერის“ ოთხივე თავი. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს მესამე თავზე, რომელშიც მოცემულია დავით აღმაშენებლის ქება და ეს შემთხვევითი არ ყოფილა. საეკლესიო კრების მოწვევის მიზანიც ის იყო რომ, კანონიკური სამართლითაც დადასტურებულიყო მეფის ძლიერი და უზენაესი ხელისუფლება. ამასთან, „ძეგლისწერით“ რეგულირდებოდა საეკლესიო წესწყობილების შიდა სამზარეულო, განსაზღვრული იყო მისი ადგილი და როლი ქვეყნის ცხოვრებაში, მღვდელმსახურთა საქმიანობისა და ზნეობრივი ქცევის წესები.

ქართული კანონიკური სამართლის საყურადღებო ძეგლია 1263 წლის საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება. ივ. ჯავახიშვილის ეს ძეგლი განხილული აქვს ისტორიულ კონტექსტში. ამასთანავე იგი ფრიად საგულისხმო ცნობებს შეიცავს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის X-XIII სს-ში არსებული უფლებრივი დამოკიდებულების გასათვალისწინებლადაც (ჯავახიშვილი, 1982:59).

კანონიკური სამართლის ძეგლებიდან ივ. ჯავახიშვილს მოკლედ განხილული აქვს 1767-1768 წლების განჩინება. იგი ანტონ კათოლიკოსს შეუდგენია 1767 წელს და მომდევნო წელს ერეკლე მეორემ დაამტკიცა. ამ ტექსტში, წმინდა საეკლესიო საკითხების გარდა, გადმოცემულია ქართული ხალხური ზნე-ჩვეულებანი, წარმართობის გადმონაშთები და სისხლის სამართლის ზოგიერთი საკითხი, აღნიშნულია სასჯელის ზომები დანაშაულებრივ ქმედებაზე.

ქართული სამართლის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერო საკანონმდებლო ძეგლებს. ივ. ჯავახიშვილს განხილული აქვს „ხელმწიფის კარის გარიგება“, „დასტურლამალი“, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადება“, „ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი“, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, ერეკლე მეორისა და გიორგი XII-ის სამართლის აქტები და სხვა. მართალია, ამ ძეგლების განხილვის ქრონოლოგია დაცული არ არის, მაგრამ ისინი შესწავლილია ისტორიულ-შედარებითი მეთოდით და გაკეთებულია საყურადღებო დასკვნები.

სამართალი მჭიდროდაა დაკავშირებული სახელმწიფოსთან. ისინი მთლიანობაში განიხილება. როგორც ცნობილია, სახელმწიფო სამი ნაწილისაგან შედგება: ტერიტორია, მოსახლეობა და პოლიტიკური ხელისუფლება. წყაროების კრიტიკულად განხილვის შემდეგ ივ. ჯავახიშვილი აშუქებს ქართული სახელმწიფოს ისეთ მხარეებს როგორიცაა ტერიტო-

რია, მოსახლეობა და პოლიტიკური ხელისუფლება. ტერიტორიას გამოხატავს ტერმინებით „სახელმწიფოს მიწა-წყალი“. მეცნიერის აზრით, სახელმწიფოს მიწა-წყლის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინი „სოფელი“. VIII საუკუნიდან მოყოლებული ამ ტერმინის ნაცვლად გამოიყენებოდა „ქვეყანა“. გაჩნდა ტერმინი „ქვეყანაი ქართლისაი“, „სამეფო ქვეყანა“. XII საუკუნიდან მომცრო საგამგეო ერთეულს, „ხევი“ ეწოდებოდა. ამავე ხანაში გაჩნდა ტერმინი „თემი“, რომელიც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც ქვეყანა (ჯავახიშვილი, 1982:186).

ივ. ჯავახიშვილს ისტორიულ-შედარებითი მეთოდის გამოყენებით სიღრმისეულად აქვს განხილული სახელმწიფოს ისეთი ძირითადი ნაწილი, როგორიცაა მოსახლეობა. ძველ ქართულში მოსახლეობის აღსანიშნავად გამოიყენებოდა ტერმინები „მკვიდრნი“, „ტომი“, „თესლი“, „ერი“. მეცნიერის აზრით „ნათესავი“ ეროვნებას უდრიდა, ხოლო „ტომი“ ეროვნების ერთ-ერთ შტოს, ანუ თემს. „ნათესავი“ ჩამომავლობასაც გულისხმობდა. მეცნიერის აზრით, „ერი“, რომელიც ძველ ქართულ ძეგლებშია მოცემული, ხალხსა და ჯარსაც ნიშნავდა. მაგრამ განვითარებული ფეოდალიზმის დროს „ერი“ უფრო მეტად ხალხს ნიშნავდა და ფართოდ დამკვიდრდა საზოგადოებაში (ჯავახიშვილი, 1982:192–193).

ივ. ჯავახიშვილი იკვლევს მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობასაც. დახასიათებული აქვს მოსახლეობის სოციალური ჯგუფები და წოდებები. ადრეფეოდალურ ხანაში ქართული მოსახლეობა წარმოჩენილი აქვს ორი დიდი ჯგუფით: „აზნაურები“ და „უაზნონი“. განვითარებული ფეოდალიზმისა და გვიანფეოდალურ ხანაში ასევე ორი ჯგუფით – „მსოფლიო“ ანუ „მდაბიონი“ (სოფლის მცხოვრებლები და „მოქალაქენი“ (ქალაქის მოსახლეობა).

ქართული წყაროების გულდასმით შესწავლის შედეგად ივ. ჯავახიშვილი იძლევა სახელმწიფო ხელისუფლების დახასიათებას. მეცნიერს გაშუქებული აქვს სახელმწიფოს ისეთი მნიშვნელოვანი ნიშანი, როგორიცაა „მოხელეთა დანაწილება“. გამოყოფს ორი – ცენტრალური და ადგილობრივი კატეგორიის მოხელეებს:. ცენტრალურში შედიოდნენ დარბაზის კარის მოხელეები, ხოლო მეორეში–საქვეყნოდ გამრიგენი. ცენტრალური მოხელეები დარგობრივი პრინციპით მართავდნენ ქვეყანას და ცნობილი იყვნენ უხუცესის სახელწოდებით. დიდმნიშვნელოვანი დარგების ხელმძღვანელებს ვაზირი ეწოდებოდა.

ივანე ჯავახიშვილს პირველწყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი აქვს მეფის ხელისუფლების სამართლებრივი საკითხები, დასაბამიდან ერთიანი მონარქიული სამეფოს შექმნისა და ფუნქციონირების პირობებში. ხაზგასმულია საეკლესიო და სამეფო რეფორმების მნიშვნელობის შესახებ. დავით აღმაშენებლის რეფორმების შეფასების შემდეგ ახასიათებს ბაგრატ მესამის პოლიტიკას და სახავს პრაქტიკულ ღონისძიებებს სამეფო ხელისუფლების განმტკიცების გზაზე. მეცნიერი საინტერესოდ განიხილავს ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურ პროგრამას და აკეთებს საყურადღებო დასკვნას: მეჭურჭლეთუხუცესის პროგრამით, მეფეს მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება რჩებოდა, საკანონმდებლო ხელისუფლება კი მარტო „კარავში“ დასხდომილთ უნდა ჰქონოდათ“ ((ჯავახიშვილი, 1984:134). მეორე დასკვნის მიხედვით ყუთლუ-არსლანის პროგრამა ნიშნავდა იმას, რომ „საქართველოს მანამდე არსებული მონარქიული წესწყობილება რესპუბლიკურით უნდა შეცვლილიყო (ჯავახიშვილი, 1984:141).

სამეფო სახლის შემადგენლობის, ტახტის მემკვიდრის აღზრდისა და მეფის კურთხევის წესის აღწერის შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი იხილავს სამეფო ხელისუფლების ნიშნებს: „გვირგვინი“, „პორფირი“ (მოსასხამი), „სკიპტრა“ (კვერთხი), „მახვილი“, „საყდარი“ და „საჯდომი“, „ძეგლი ცხოვრებისა“, „დროშა“. მოცემული აქვს ყველა ამ ნიშნის განმარტება და ანალიზი. საქართველოს დროშა ორი ფერისა ყოფილა (თეთრი და წითელი), რომელზეც გამოხატული იყო წმინდა გიორგი (ჯავახიშვილი, 1984:161).

ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლისათვის ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „ხელმწიფის კარის გარიგებას“ და „დასტურლამალს“. მეცნიერი ზედმიწევნით იხილავს ამ ძეგლებს, განსაზღვრავს მათ მნიშვნელობას იმდროინდელ სახელმწიფოს ცხოვრებაში, აღადგენს დაზიანებულ ნაწილებს. „ხელმწიფის გარიგება“ და „დასტურლამალი“ სახელმწიფო სამართალს, ფაქტობრივად თანამედროვე კონსტიტუციებს წარმოადგენენ, რომლებშიც მოცემულია სახელმწიფო მართვის წესები, ფორმები, სტრუქტურები, განსაზღვრულია მოხელეთა უფლებამოსილებანი. ამ ძეგლების შედგენით ფაქტობრივად კანონმდებლობით გაფორმდა მეფის მონარქიული ხელისუფლება. ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ მსჯელობს, მეფის ხელისუფლებასთან ერთად, დარბაზისა და სავაზირო ინსტიტუტების შესახებ.

დარბაზი მეფის სათათბირო ორგანო იყო, რომელსაც იწვევდნენ დიდ დღესასწაულებთან დაკავშირებით, საგანგებო ვითარებაშიც. კანონმდებლობით დადგენილია დარბაზის მონაწილეთა სია, რიგი და ქცევის წესები.

ივ. ჯავახიშვილის დამსახურება ისიც არის, რომ მან დაადგინა „ხელმწიფის კარის გარიგების“ შედგენის თარიღი (XIV ს–ის პირველი ნახევარი) და ავტორის ვინაობა. მეცნიერის ვერსიით „ხელმწიფის კარის გარიგების“ ავტორი უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოდან, კერძოდ ქუთაისიდან, რომელიც XIV საუკუნეში ცხოვრობდა (ჯავახიშვილი, 1982:73-74). ივ. ჯავახიშვილი ზედმიწევნით განიხილავს „მეფის კურთხევის წესსაც“. მართალია, ეს წესი ხელმწიფის კარის გარიგების“ ხელნაწერს არ ახლავს, მაგრამ მეცნიერის აზრით მისი განუყოფელი ნაწილია.

ხელმწიფის კარის გარიგების დაწერის დროს საქართველოში 6 ვეზირი იყო: მწიგნობართუხუცესი, ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ივ. ჯავახიშვილის განმარტებით მწიგნობართუხუცესი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი და მეჭურჭლეთუხუცესი შედარებით ძველია, ვიდრე ათაბაგი და მსახურთუხუცესი. ათაბაგის ინსტიტუტი შემოიღეს თამარ მეფის დროს, ხოლო მსახურთუხუცესი გავაზირდა რუსუდანის მეფობისას. ხელმწიფის კარის გარიგებით დადგენილია ვაზირთა უფროს-უმცროსობა. პირველი ადგილი ეკავა მწიგნობართუხუცესს. შემდეგ რიგრიგობით–ათაბაგი, ამირსპასალარი, მანდატურთუხუცესი, მეჭურჭლეთუხუცესი და მსახურთუხუცესი. ხელმწიფის კარის გარიგებით „პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა სწორი არის“ (ჯავახიშვილი, 1982:379).

ვაზირთა ინსტიტუტის დახასიათებისას ივ. ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მეჭურჭლეთუხუცესისადმი. ფაქტობრივად, მეჭურჭლეთუხუცესი ყველა ვაზირის თანასწორი იყო. ეს აიხსნება სახელმწიფო შემოსავლების დიდი ოდენობით. XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველოს ყოველწლიური სახელმწიფო შემოსავალი საფრანგეთის სახელმწიფო ბიუჯეტს აღემატებოდა. მაგრამ დარბაზობის დროს მეჭურჭლეთუხუცესი „ორთა ვაზირის“ ჯგუფში შედიოდა („სამთა-ვაზირის“ ჯგუფში შედიოდნენ ათაბაგი, ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი) (ჯავახიშვილი, 1982:377).

ივ. ჯავახიშვილს ასევე მდიდარი პირველწყაროების საფუძველზე შესწავლილი აქვს ადგილობრივი რანგის მოხელეები, ანუ საქვეყნოდ გამრიგენი. მათ შორის: ერისთავთ-ერისთავი (ერისმთავარი), ერისთავები,

ციხისთავი, ხევის უფროსი, სოფლის მამასახლისი, გზირი, მონაპირე. მეცნიერის აზრით, „გზირი“ ამბავის მომტანსა და წამღებს ეწოდებოდა და ეს ტერმინი ქართულიდან მომდინარეობს მონაპირე“ ახალშემოერთებულ ქვეყანაში საგანგებო ხელისუფალს წარმოადგენდა (ჯავახიშვილი, 1982:333, 340). ივ. ჯავახიშვილი დამპყრობი ქვეყნების (ირანი, არაბები და სხვა) მიერ საქართველოში შემოღებულ სამოხელეო ინსტიტუტებსაც ახასიათებს („ამირა“, „ამირთ-ამირა“, „მარზპანი“ და სხვა).

სახელმწიფო სამართლის მეორე უმნიშვნელოვანესი ძეგლი „დასტურლამალი“ XVIII საუკუნეში შეიქმნა. იგი ვახტანგ VI-ის დავალებით და აქტიური მონაწილეობით შეადგინა „სწავლულ კაცთა“ კომისიამ. ივ. ჯავახიშვილმა „დასტურლამალის“ ხელნაწერები შეაჯერა, აღადგინა დაზიანებული ნაწილები, გაანალიზა და მეცნიერული კეთილსინდისიერებით გამოიტანა დებულებები და დასკვნები. „დასტურლამალი“ ითვალისწინებს ხელმწიფის კარის გარიგების დებულებებს, ამასთან, მასში აისახა XV საუკუნის შემდეგ ქვეყანაში შექმნილი ვითარება. საქართველო დაშლილია სამეფო-სამთავრებად, შესუსტებულია მეფის ხელისუფლება. „დასტურლამალის“ 34-ე მუხლში ნათქვამია: საქართველოს მეფენი დროთა განმავლობაში ისე დადაბლებულან, რომ მხოლოდ მეფის სახელი შემორჩათ (დოლიძე, 1965:237-327).

„დასტურლამალის“ ძირითადი მოთხოვნა იყო მეფის ხელისუფლების გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით ძეგლში ნათქვამია: „...შეუძლებლად მეფობას უქმნელობა სჯობს და ხელის აღება“ (იქვე). „დასტურლამალი“ მეფეს ანიჭებდა უზენაეს ხელისუფლებას. მეფის საკუთრებას შეადგენდა მთელი სამეფო. ამის თაობაზე „დასტურლამალში“ ნათქვამია: „წყალი, შეშა და ბალახი“ მეფის საკუთრებაა. მეფეს უფლება ენიჭებოდა დაენიშნა ისეთი პატარა რანგის მოხელეები, როგორიც იყვნენ სოფლის მამასახლისები და სხვები („დასტურლამალი“, მუხლი 24; (დოლიძე, 1965). ივ. ჯავახიშვილს გარჩეული აქვს „დასტურლამალის“ ის ნაწილი, სადაც საუბარია ეკლესიასა და მის როლზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მართალია, „დასტურლამალში“ აღნიშნულია, რომ მეფე და კათალიკოსი თანასწორი არიან, მაგრამ მკაფიოდ ჩანს მეფის უზენაესი ხელისუფლების როლი მთლიანად საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მეფე აძლევდა ეკლესიას სიგელებს მამულების ბოძების, გადასახადების აკრეფის, საეკლესიო ყმების მორჩილების, გარდაცვლილი კათოლიკოსის

ქონების გადანაწილების შესახებ და სხვა საკითხებში (დოლიძე, 1965:175).

XVIII საუკუნეში გაუქმებულია ათაბაგის ინსტიტუტი. ვახტანგის სამართლის მიხედვით სამეფო ტახტის მემკვიდრის აღზრდა მეფის საგვარეულოს მოვალეობა იყო. დანარჩენი ვაზირები ძალაში დარჩნენ. ცხადია, მათი ფუნქციები და როლი, მოქმედების არეალი შეზღუდულია. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში სახელმწიფო სამართლის ძეგლი აღარ შექმნილა. მაგრამ ერეკლე მეორის დროს გამოიცა ზოგიერთი სამართლებრივი აქტი, რითაც მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურებმა, ფორმებმა. ერეკლე მეორის დროს დიდი დარბაზის პარალელურად შეიქმნა მცირე საბჭო, როგორც მუდმივმოქმედი ორგანო. შეიქმნა საგანგებო საბჭო, რომელზედაც საგარეო და სამხედრო საკითხები იხილებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გაუქმებულია მწიგნობართუხუცესის თანამდებობა, მეფის შემდეგ პირველი სახელმწიფო მოხელე იყო სახლთუხუცესი, რომლის ფუნქციებში შედიოდა სამეურნეო-საფინანსო, სარევიზიო-საკონტროლო საკითხები, მოხელეთა დანიშვნა, ლაშქრობა-ნადირობა. იგი მეჯლისის სხდომის დროს მეფის წინ იჯდა. ერეკლე მეორის დროს მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცვლილება იყო სამდივნოს შექმნა, რომელიც კანცელარიის როლს ასრულებდა. აღადგინეს სახელმწიფო მართვის დარგობრივი პრინციპი. შეიქმნა სამხედრო და საპოლიციო სახელმწიფო უწყებები. საპოლიციო უწყებების მნიშვნელოვანი მოხელეა ბოქაულთუხუცესი, რომელსაც წესრიგის დაცვა ევალებოდა. მართლმსაჯულების საქმეების გამგებლობისათვის შეიქმნა მდივანბეგის ინსტიტუტი. უმაღლესი მსაჯული მეფე ითვლებოდა. მართვის ყველა სფეროს ჰყავდა თავისი მდივანი. შეიცვალა ადგილობრივი მართვის მოხელეების სტატუსი. „საქვეყნოდ გამრიგეოს“ ნაცვლად შემოიღეს მოურავის ინსტიტუტი.

ივ.ჯავახიშვილმა შეისწავლა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის წყაროები. ჩვენამდე მოაღწია ბაგრატ კურაპალატის (978-1014 წწ.) სამართლის წიგნის ნაწყვეტებმა, რომლებიც შეტანილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში. ივ. ჯავახიშვილი ზედმიწევნით იხილავს „ძეგლის დადებას“ და ვახტანგ VI-იჩს სამართლის წიგნს. მეცნიერმა დაადგინა „ძეგლის დადების“ შედგენის თარიღი (1325-1338 წლები). აღსანიშნავია, რომ „ძეგლის დადება“ ექვთიმე თაყაიშვილმა აღმოაჩინა,

ხოლო 1913 წელს სარგის კაკაბაძემ მაღალ დონეზე გამოსცა იგი. ძეგლი ინგლისურ ენაზე თარგმნა ოლივერ უორდროპმა.

გიორგი ბრწყინვალეს მეფობამდე საქართველოს ცენტრალური ხელისუფალნი მთიულეთის მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებაში არ ერეოდნენ. ამიტომ ამ მხარეში ფეხი მოიკიდა ძალმომრეობამ და სხვა ბოროტმოქმედებამ. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ეს ქმედებები ისე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, რომ მისი სამართლებრივი მოწესრიგება აუცილებელი გახდა (ჯავახიშვილი, 1982:96).

„ძეგლის დადებაში“ დანაშაულზე სასჯელი გამკაცრებულია. საერთოდ „ძეგლის დადებაში“ სამართლის სამი ტერმინია გამოყენებული „სისხლი“, „პატივი“ და „განჩინება“. „სისხლი“ სისხლის სამართლის დანაშაულებისათვის დაწესებული სასჯელი იყო. „პატივი“ მოხელეებისა და სხვა თანამდებობის პირებისათვის გამოიყენებოდა. „განჩინება“ სასაქმოს სახელით მოიხსენება.

ბექა-აღბუღას სამართალს ასევე ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. მისი მოქმედების არეალი იყო მესხეთ-ჯავახეთი, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი. იგი ამ რეგიონებისათვის სავალდებულო საკანონმდებლო ძეგლი ყოფილა. ხელნაწერი თედო ჟორდანიამ აღმოაჩინა. ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული კეთილსინდისიერებით აფასებს ყველა მკვლევარის წვლილს ვინც ამ ძეგლის გამოცემასა თუ შესწავლაში შეიტანა (თ.ჟორდანია, ნ.ურბნელი, ს.კაკაბაძე და სხვები). ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შედგენის ქრონოლოგია (ბექას სამართალი დაწერილია XIII საუკუნის ბოლოს, ხოლო აღბუღას – XIV საუკუნის მეორე ნახევარში).

ბექა-აღბუღას სამართლით სამცხე-საათაბაგოში რეგულირდებოდა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო დანიშნულებანი. გათვალისწინებულია სასჯელის ნორმები. ბექას სამართლის მიხედვით ქურდობაზე დაწყებული იყო მკაცრი სასჯელი: ორივე თვალის დათხრა, ხელ-ფეხის მოჭრა; აღბუღას სამართალში სასჯელი შემსუბუქებულია: თუ კაცმა ცხენი და სხვა მოიპაროს და სახეზე აქვს, ნაქურდალი დააბრუნოს, აგრეთვე მოპარული ორმაგად აუნაზღაუროს. განმეორების შემთხვევაში ორივე თვალი დასთხაროონ, ხელ-ფეხი მოჭრან. თვალების დათხრა და ხელ-ფეხის მოჭრა თამარ მეფის წინარე ხანაშიც ყოფილა, მაგრამ თამარმა გააუქმა. გამონაკლისის სახით ამ სასჯელისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო (ჯავახიშვილი, 1982:111).

აღბუჯას სამართლის შემდეგ საქართველოში (XVI-XVII სს.) ახალი სამართლის წიგნი აღარ შექმნილა. მხოლოდ XVIII ს-ის პირველ ნახევარში შეადგინეს ახალი სამართლის წიგნი კოდიკოი (კოდექსი). ივ. ჯავახიშვილის განმარტებით XVIII საუკუნეში ქართული სამართლის წიგნის შედგენის აუცილებლობას ვახტანგ VI იმით ხსნიდა, რომ საქართველოში უცხოური სამართალი არ გამოდგებოდა, რადგან უცხოური კანონები არ შეეფერებოდა ქართულ სინამდვილეს. მიუხედავად ამისა, ვახტანგ VI-ის დავალებით ითარგმნა სომხური და ბერძნული სამართლის წიგნები. ივ. ჯავახიშვილმა მოკლედ განიხილა სომხური სამართლის წიგნი. ამის შემდეგ შედარებით ფართოდ გააშუქა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი კოდიკოი. მეცნიერის შეფასებით ვახტანგის სამართლის ძეგლები თავისი დროის მიხედვით მაღალ დონეზეა შედგენილი და ქართული საკანონმდებლო შემოქმედების მნიშვნელოვანი და საყურადღებო ძეგლია (ჯავახიშვილი, 1982:114-116).

მაშინდელ საქართველოში სამართლის კოდექსები დარგების მიხედვით არ შექმნილა. არსებულ იურიდიულ ძეგლებში კომპლექსურადაა მოცემული როგორც სისხლის სამართლის, ისე სამოქალაქო სამართლის საკითხები. ივ. ჯავახიშვილი სისხლის სამართლის, საკორპორაციო და სამოქალაქო სამართლის განხილვისას არგუმენტირებულად წარმოაჩენს საქართველოსათვის დამახასიათებელ თავისებურებებს. ამასთან, შესწავლილია სამართლის ზოგადი საფუძვლები, განვითარების ეტაპები, მაშინდელი იურიდიული ტერმინოლოგია, რომელიც სამართლის ძეგლებშია გამოყენებული: „კანონიერება“, „უკანონობა“, „ბრალი“, „ცოდვა“, „დანაშაული“, „ბოროტმოქმედება“ და სხვა. აღნიშნული ტერმინოლოგია განხილულია არა მარტო ენობრივად, არამედ შინაარსობრივადაც (ჯავახიშვილი, 1982:190-193).

სისხლის სამართლის განხილვისას ივანე ჯავახიშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს დანაშაულის ისეთ სახეებზე, როგორიცაა „განდგომა და ღალატი“, „მეფის შეურაცხყოფა“. ისინი პოლიტიკურ დანაშაულად ითვლებოდა და სიკვდილით დასჯასაც ითვალისწინებდა. „განდგომასა და ღალატზე“ მეორე სასჯელი იყო ქვეყნიდან „გაძევება“. ასევე მკაცრი სასჯელი დაწესებული იყო მეფის სიტყვიერად და საჯარო გამოსვლების დროს შეურაცხყოფაზე. პირველ შემთხვევაში ენას ამოკვეთდნენ, მეორედ – თავს მოკვეთდნენ (ჯავახიშვილი, 1984:215-217). კანონმდებლობით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლებოდა ცოლი-

სა და ქმრის ღალატი და ამ კატეგორიის დანაშაულისათვის გამოიყენებოდა იურიდიული ტერმინები: „სიძვა“, „ცდუნება“, „მრუშობა“, ქალწულობა“). ივანე ჯავახიშვილის შრომებში მოცემულია სამართლის ამ კატეგორიების განმარტება და სასჯელის ზომები. ისტორიულ ჭრილშია განხილული სისხლის სამართლის ისეთი დანაშული, როგორიცაა მკვლელობა და მეკობრეობა. ადრე ამ დანაშაულზე სიკვდილით დასჯა იყო გათვალისწინებული. მაგრამ თამარ მეფემ გააუქმა სიკვდილით დასჯა. მკაცრი სასჯელი მხოლოდ მეკობრეობაზე დარჩა. საკუთრების ხელყოფა (ქურდობა და ძარცვა) სისხლის სამართალში გადიოდა, მაგრამ სასჯელი მკაცრი არ ყოფილა.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს საკორპორაციო სამართლის შესახებაც. თუმცა მისი არეალი შეზღუდული იყო. საკორპორაციო სამართალი არეგულირებს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამართლებრივ საკითხებს. ასეთები მაშინ იყო ვაჭართა და ხელოსანთა ორგანიზაციები. საკორპორაციო სამართლის განხილვისას ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს თანამდებობის პირთა დანაშაულის შესახებ. ამ სახის დანაშაულად ითვლებოდა „ორგულობა“, „ღალატი“, ქრთამის აღება, მოხელეთა დაუდევრობა, კანონისა და დებულების დარღვევა და სხვა. სისხლის სამართლის დანაშაულს მიეკუთვნებოდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ცილისწამება; ივანე ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ამ კატეგორიის სამართალდარღვევებისათვის დაწესებული სასჯელები. მძიმე სასჯელი იყო დადგენილი ორგულობაზე, ღალატზე, ცილისწამებაზე (ჯავახიშვილი, 1984:246-247).

ივანე ჯავახიშვილი შედარებით ფართოდ აშუქებს სამოქალაქო სამართლის საკითხებს. მართალია, მაშინდელ საქართველოში სპეციალური სამოქალაქო სამართლის კოდექსი არსებობდა, მაგრამ ამ კატეგორიის დანაშაულის სახეები და სასჯელები მოცემულია საერთო სამართლის ძეგლებში. მათი ანალიზისა და შეჯერების შედეგად მეცნიერი განიხილავს საოჯახო-საქორწინო სამართლის საკითხებს: ქალისა და კაცის შეუღლებას, ოჯახის შექმნას, საქორწინო ასაკის ზღვარს, გათხოვების კანონიერებას. სამართლის მიხედვით ქალის გათხოვება შეიძლებოდა მხოლოდ 16 წლიდან. ოჯახის შექმნის მეორე დამაბრკოლებელი გარემოებანი იყო ნათესაობა, როგორც ხორციელი, ისე სულიერი. ამასთან, კანონიკური სამართალი ქრისტიანებს სამჯერ ქორწინების უფლებას აძლევდა. მეოთხედ ჯვრისწერა კი აკრძალული იყო, თუმცა მეორე ქორ-

წინებაც მოსაწონი არ ყოფილა. გამონაკლის შემთხვევაში უკანონო ცოლ-ქმრობაც ფიქსირდება იმდროინდელი სამართლის ძეგლებში (ჯავახიშვილი, 1984:266-267).

საოჯახო-საქორწინო სამართალი ცოლ-ქმრის ქონებრივ-საკუთრებით ურთიერთობასაც არეგულირებდა. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით ცოლ-ქმრის ქონება სამი წყაროსაგან შედგება: „მამული“, „დედული“ და „მონაგები“. ცხადია, „მამული“ ეკუთვნოდა ქმარს, „დედული“ ანუ მზითევი–ქალს, ხოლო „მონაგები“ – ორივეს. შვილებს „მამულიც“ და „დედულიც“ ერგებოდათ. თუ ქალს მოიტაცებდნენ, მას მზითვს არ აძლევდნენ (ჯავახიშვილი, 1984:270-272).

ქართული და უცხოური წყაროების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, ივანე ჯავახიშვილი საკუთრებისა და მემკვიდრეობით სამართალს განიხილავს ისტორიულ კონტექსტში. ქართული საეკლესიო სამართლის მიხედვით შვილებს, განურჩევლად სქესისა, მემკვიდრეობის თანასწორი უფლება ჰქონდათ. იმ შემთხვევაში, თუ მამრობითი სქესის მემკვიდრე არ იყო, საკუთრება ქალზე გადადიოდა. თუ მემკვიდრე საერთოდ არ მოიძებნებოდა, მაშინ დარჩენილი ქნება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა. სამემკვიდრეო სამართალი ითვალისწინებდა ქონების (საკუთრების) ანდერძით მიკუთვნებას. სამართალი ითვალისწინებდა აგრეთვე ანდერძის ზეპირ და წერილობით ფორმას. დიდმნიშვნელოვანი საქმეების შესახებ აუცილებელი იყო წერილობითი ანდერძი (ჯავახიშვილი, 1984:273-275). ამ კუთხით მნიშვნელოვანი ყოფილა უცხოური სამართლის გავლენა. ამასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: „ქართული სამართლის კანონიერი სახე რომაულ-ბიზანტიური სამართლის ნორმებს მისდევს“ (ჯავახიშვილი, 1984:277).

ქართულ სამართალში დამკვიდრებული იყო ქონებისა და საკუთრების ზოგადი იურიდიული ტერმინები და მფლობელობის სახეობანი. რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სასარჩელო საკითხების გადაწყვეტისას. ივანე ჯავახიშვილის კარგად აქვს შესწავლილი ქართული სამართლის ეს ტერმინები და მფლობელობის სახეები: ნივთი, სახმარი, უხმარი, ჭურჭელი, ქონება, საქონელი, მამული, მონაგები და ა.შ. მეცნიერის განმარტებით „სახმარი“ უძრავ-მოძრავი ქონების აღმნიშვნელია, ხოლო „ჭურჭელი“–მოძრავი უსულო საკუთრებისა და ქონების. „მამული“ იყო უძრავი ქონების აღმნიშვნელი, რომელიც ორ ნაწილისაგან შედგებოდა: სამემკვიდრეო და მემკვიდრეობის არმქონე, ე.ი. უპატრონო. განმარ-

ტებულია მონაგებისა და მემკვიდრეობის არსი და სახეები (ჯავახიშვილი, 1984:278-287).

ძველ ქართულ სამართალში გამოიყენებოდა უძრავი ქონების გასხვისების რამოდენიმე ტერმინი: „განჩემებაი“, „განთავსებაი“, „გადასხურებაი“. ივანე ჯავახიშვილის შრომებში აღნიშნული ტერმინები განმარტებულია შინაარსობრივად და ენობრივადაც. პირველი ორი ნიშნავს გამოყოფას, განცალკევებას, ხოლო მესამე–სხვა პირისათვის გადაფორმებას, მიკუთვნებას (ჯავახიშვილი, 1984:289-290). მეცნიერმა ზედმიწევნით შეისწავლა საკუთრებისა და ქონების უფლების დაკარგვის საფუძვლები, მიზეზები, პირობები, საბუთების კანონიერების ფორმები და ამის თაობაზე სასარგებლო საქმეების პროცედურები (ჯავახიშვილი, 1984:303-308).

ივანე ჯავახიშვილმა დაწვრილებით შეისწავლა ქართული ვალდებულებითი სამართალი. თემა განხილულია ნაშრომის რვა თავში (18 პარაგრაფი). მეცნიერის მიხედვით საქართველოში ვალდებულებათა არსის, შეთანხმებისა და პირობის დადებისათვის მტკიცე წესი ყოფილა ჩამოყალიბებული. ვალდებულებითი ხელშეკრულება ორგვარი იყო: ზეპირი და წერილობითი, რომელთა არჩევა მხარეთა სურვილზე ყოფილა დამოკიდებული. წერილობითი ხელშეკრულება მაშინ ფორმდებოდა, როდესაც საქმე ეხებოდა დიდმნიშვნელოვან საკითხებს (ჯავახიშვილი, 1984:309-310).

ვალდებულებითი სამართლით რეგულირდებოდა „სყიდვა-გაყიდვა“, „წყალობა“, „შეწყალება“, „შეწირულება“, „ბოძება“, „ჩუქება“ და სხვა. ივანე ჯავახიშვილის მიერ შინაარსობრივად და ენობრივად განმარტებულია ვალდებულებით სამართალთან დაკავშირებული იურიდიული ტერმინები. ვალდებულებით სამართალში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მიწის საკითხს. სამართალი ითვალისწინებდა მიწის აღება-მიცემას სამოსახლოდ, საღალოდ, საბეგროდ, საიჯაროდ, ახალი კულტურების (ვენახი) გასაშენებლად. ამ მიმართულებით დადგენილი იყო სამართლებრივი წესები და ფორმები, გათვალისწინებულია ხელშეკრულების დარღვევისათვის საზღაური და სხვა.

ვალდებულებითი სამართალი აწესრიგებდა აგრეთვე სესხისა და ვალის საკითხებს. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით მაშინდელ საქართველოში ტერმინი სარგებელი არ გამოიყენებოდა. სამართლის ძეგლებში ვალისა და სესხისათვისაც გამოყენებაში ყოფილა ტერმინი „ვახში“. მეცნიერს არგუმენტირებულად აქვს გაანალიზებული მსესხებლის, მევა-

ლის, მევახშის სამართლებრივი ურთიერთობის საკითხები, განსაზღვრულია თავდედობისა და გირაოს დანიშნულება, ეს უკანასკნელი სამართლის ძეგლებში ცნობილია „წინდის“ სახელწოდებით (ჯავახიშვილი, 1984:327-331).

საისტორიო პირველწყაროებისა და სამართლის ძეგლების დაწვრილებითი ანალიზის შედეგად ივანე ჯავახიშვილი აშუქებს სასამართლო საქმის ორგანიზაციას. საინტერესოდაა შესწავლილი სამოსამართლო უწყებები და დაწესეულებები, მათი შემადგენლობა, მათთან დაკავშირებულია იურიდიული ტერმინოლოგია. ადრეფეოდალურ და განვითარებული ფეოდალიზმის საქართველოში ორი მთავარი სასამართლო უწყება იყო: სამეფო და საეკლესიო (საკათალიკოსო). საკუთარი სასამართლოები ჰქონდათ სომხურ და მუსლიმანურ ეკლესიებს, საკორპორაციო დაწესებულებებს. ივანე ჯავახიშვილის განმარტებით მაშინდელ მართლმსაჯულებაში გამოიყენებოდა სამართლის ტერმინები „მსაჯული“ (მოსამართლე), „განსჯაი“ (საქმის გარჩევა, მსჯავრის დადება), „სამსჯავრო სახლი“, „საბჭო“, „საჯო კარი“. ეს უკანასკნელი უმაღლესი სასამართლო დაწესებულება იყო, რომელიც პირველი ინსტანციის გადაწყვეტილებებს იხილავდა, როდესაც რომელიმე მხარე უკმაყოფილო იყო (ჯავახიშვილი, 1984:337-342).

გარდა ამისა, საქართველოში მაშინ არსებობდა განსაკუთრებულ საქმეთა სპეციალური სასამართლოები: „მპარავთ-მეძებელნი“ და სისხლის სამართლის. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით „მპარავთ-მეძებელთა“ მოვალეობას შეადგენდა მპარავთა ძებნა, აღმოჩენა, დევნა და გასამართლება. ამასთან ერთად მართლმსაჯულების სისტემაში არსებობდა სპეციალური მოხელეები, რომელთაც „ჩენილნი“ ეწოდებოდა. მათი მოვალეობა იყო დამნაშავეთა მეპყრობა, გასამართლება და განაჩენის აღსრულება (ჯავახიშვილი, 1984:343-344). რაც შეეხება სასამართლოს შემადგენლობას, იგი წარმოდგენილი იყო სამი მსაჯულით (მოსამართლე). „საჯო კარში“ შედიოდნენ მწიგნობართუხუცესი, საწოლის მწიგნობარი და ზარდახნის მწიგნობარი. უმაღლეს მსაჯულად მეფე ითვლებოდა, რომელიც განსაკუთრებულ საქმეებს იხილავდა (ჯავახიშვილი, 1984:347-348). ქართულ სამართლის ძეგლების მიხედვით, დანაშაულის გამომჟღავნებისათვის დასმენაც გამოიყენებოდა. ინფორმაციის შეგროვებას სპეციალურად შერჩეული პირები ახდენდნენ. სამართალი ითვალისწინებდა საფუძვლიან გამოძიებას, რომელიც გასამართლებას წინ უსწრებდა.

მსაჯულის საბოლოო დასკვნას ბრალდებულის ბრალეულობის შესახებ „მსჯავრი“ ერქვა. ხოლო სასჯელის – განაჩენი ეწოდებოდა (ჯავახიშვილი, 1984:350-355).

ქართული მართლმსახულების მიხედვით დადგენილია დანაშაულისათვის სასჯელის სახეები: „სასჯელი“, „სისხლი“, „მისაგებელი“. მძიმე დანაშაულისათვის გამოიყენებოდა სასჯელი „სისხლი“ (მკვლელობა, დაჭრა). იყო შემთხვევები, როდესაც სასჯელი („სისხლი“ ქონებრივი ზარალის ანაზღაურებისათვის გამოიყენებოდა. ბოროტმოქმედებისათვის მოსამართლის მიერ გამოტანილ განაჩენს „სასჯელი“ ერქვა. ხოლო „მისაგებელი“ ითვალისწინებდა ჩადენილი ბოროტებისათვის სამაგიეროს ზღვევას (ჯავახიშვილი, 1984:358-359). საერთოდ ძველ ქართულ სამართალში სასჯელის მრავალი სახე არსებობდა. ივანე ჯავახიშვილმა ქართულ სამართალში დამკვიდრებული სასჯელის სისტემა ხუთ ჯგუფად დაყო: პირველი ჯგუფი ქონებას ეხებოდა, მეორე–თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებდა, მესამე–გვემას, მეოთხე–ასოთა მიღება ანუ განპატიჟებას (გამოყვერვა), მეხუთე–სიცოცხლის მოსპობას. მეცნიერის მიერ განმარტებულია სასჯელის ხუთივე ჯგუფის არსი და რაობა (ჯავახიშვილი, 1984:360-362).

„ასოთა მიღება ანუ განპატიჟება“ იშვიათად გამოიყენებოდა. იგი გათვალისწინებული ყოფილა მოღალატე უფლისწულებისათვის, რომ მემკვიდრე არ დარჩენოდა. ღალატისა და აჯანყებისათვის გამოიყენებოდა ისეთი სასჯელი, როგორც იყო თვალების დაწვა და დათხრა („ბნებლობა“ და „სიბრმით დასჯა“), თავის მოკვეთა, კლდიდან გადმოგდება („მესისხლეობა“) და სხვა (ჯავახიშვილი, 1984:369-372).

ივ. ჯავახიშვილი საფუძვლიანად შეისწავლა პენტიტენციალური დაწესებულებები, რომელთა აღმნიშვნელი ტერმინები ყოფილა: „საპყრობილე“, „სადილეგო“ (დილეგი), „ციხე“, „საკანი“ (ბნელი საპყრობილე). მეცნიერი მიუთითებს სასჯელის ისეთი სახეების შესახებ, როგორიცაა თავისა და წვერის გაპარსვა, ბორკილის დადება. მეკობრეობისათვის სამართალი ითვალისწინებდა ჩამოხრჩობასაც. ამ საკითხების გაანალიზების შედეგად ივანე ჯავახიშვილი დაასკვნის: საერთოდ სიკვდილით დასჯა იშვიათი წესი იყო საქართველოში. ქართულ სამართალში ასეთი სასჯელი მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის არსებობდა (ჯავახიშვილი, 1984:372).

ივანე ჯავახიშვილის ნაშრომების ბოლო ნაწილში შესწავლილია იმხანად არსებული მოძღვრებანი სამართლის სისტემისა და სასჯელის თაობაზე. თავდაპირველად, ეს მოძღვრება საეკლესიო სამართლის მწერლობაში შეიქმნა. შემდგომში საერო სამართლის ლიტერატურაშიც აისახა. ქრისტიანობამდე პირველი სასჯელი იყო ექსორია (სამშობლოდან გაძევება). შემდგომ – წარღვნა. მაგრამ დანაშაული არ აღმოფხვრილა. ამის შემდეგ ღვთაების მიერ შემოღებული იყო სასჯელის ახალი სახე – „ხორციელი ტანჯვა“. ესეც ნაკლებეფექტიანი აღმოჩნდა. იესო ქრისტემ დააწესა ცოდვათა მონანიება. მიუხედავად ამისა, დანაშაულობანი გრძელდებოდა. ამის შემდეგ მთლიანად ქრისტიანულ სამყაროში სასჯელი გამკაცრდა. დაწესდა ქონებრივი საზღაურის სასჯელი. ამით დანაშაულის რაობაში არსებითი ცვლილება მაინც არ მომხდარა (ჯავახიშვილი, 1984:374-379).

საეკლესიო და საერო უწყებათა მიზანი იყო ადამიანთა გამოსწორება. ამიტომ სამართლის მოძღვრებათა შემქმნელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ გონივრული ლმობიერი სასჯელის შემოღებას. ამას ქადაგებდნენ ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები, ეფრემ მცირე და სხვები. მათ მოძღვრებაში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანებისათვის მშვიდობიანი გარემოს შექმნა, კეთილდღეობაზე ზრუნვა.

Otar Turmanidze
Research fellow of Niko Berdzenishvili institute
Doctor of history

Georgian Law history issues in Ivane Javakhishvili works

Summary

Georgian law history issues occupy special place in IvaneJavakhishvili works. First of all, scientists studied the Georgian law historiography.

IvaneJavakhishvili studies Georgian law history issues based on rich sources. The article is duly evaluated IvaneJavakhishvili merit of Georgian and

foreign sources of analysis, evaluation, the use of the case. From these sources IvaneJavakhishvili studied canonical, state and sectoral law issues.

The article deals with the organization issues of the Georgian court, court forms, the composition of the jury, faces sentencing. It covers criminal, civil, family-marriage law and other issues.

წყაროები და ლიტერატურა

1. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი). თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI. თბილისი, 1982.
2. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი მეორე), თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი VI. თბილისი, 1982.
3. ივანე ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე). თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი VII. თბილისი, 1984.
4. ისიდორე დოლიძე, ქართული სამართლის ძეგლები. თბილისი, 1965.

ოლეგ ჯიბაშვილი
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
უფროსი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

ჯანდაცვის განვითარების ისტორიიდან ქედის მუნიციპალიტეტში

ჯანმრთელობის დაცვის თვალსაზრისით, ქედის მუნიციპალიტეტის თანამედროვე ტერიტორიის ფარგლებში, ისევე, როგორც მთელს აჭარაში, გვიან შუა საუკუნეებში, XIX საუკუნის თითქმის მთელ სიგრძეზეც კი, საკმაოდ მძიმე მდგომარეობა იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის ოსმალთა ბატონობის პერიოდზე, როცა ავადმყოფობებს შელოცვებითა და ხალხური მედიცინის საშუალებებით ებრძოდნენ. ხალხურ მედიცინას ყოველთვის გააჩნდა და დღესაც გააჩნია თავისი დადებითი მხარეები, მაგრამ, იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, უმრავლეს შემთხვევაში იგი უძლური იყო ჯეროვნად შეწინააღმდეგებოდა მძიმე დაავადებებს და საჭირო დახმარება გაეწია შეჭირვებული მოსახლეობისათვის. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობისათვის რეალურ იმედს, ასე თუ ისე, მაინც სახალხო მკურნალები წარმოადგენდნენ.

ერთ-ერთი ასეთი სახალხო მკურნალი იყო სწორედ სოფ. ძენწმანში მცხოვრები ხასან მიქელაძე, რომლის ოჯახშიც 1853 წელს დაიბადა აბდულ მიქელაძე. აბდულმა სასულიერო განათლება მიიღო, მაგრამ მამის ხელობას გაჰყვა და ყვავილის აცრა და ავადმყოფთა მკურნალობა დაიწყო, რის გამოც მისთვის "მკურნალი" შეურქმევიათ (მიქელაძე, 1991: 4). შემდგომში იგი აქტიურად თანამშრომლობდა ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილთან და გაზეთ "ივერიასთან". აბდულ მიქელაძის მიერ "ივერიაში" გამოქვეყნებული წერილებისა და კორესპოდენციების საშუალებით მთელი საქართველო გაეცნო 1880-90-იანი წლების აჭარაში არსებულ მძიმე და აუტანელ ვითარებას, მათ შორის ჯანდაცვის სფეროშიც.

საინტერესოა, რომ თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მხოლოდ მიქელაძეების ოჯახი არ ყოფილა ხალხური

მედიცინის დარგში გათვითცნობიერებული. მოსახლეობაში შემონახული იყო ძველი ქართული საექიმო წიგნები – "კარაბადინები", რომელთა საშუალებითაც დაავადებებს მკურნალობდნენ ხოლმე. გაზ. "ივერიის" 1893 წლის 17 ოქტომბრის ნომერი გვამცნობს: "ს. აგარაში, ქართველ მაჰმადიანებში ბ-ნ აბდულ მიქელაძეს ერთ ქართველ მაჰმადიან ოჯახში პატარა ძველი ქართული ხელნაწერი შემოკლებული კარაბადინი უპოვნია, რომელიც ერთ ქართველ მაჰმადიანის მანდილოსანს ჰქონია და ამბობენ, ეს ორასის წლისა არისო. ამ მოხუცს ეს ხელნაწერი ძლიერ ფაქიზად შეუნახავს და კითხვაც კარგად იცის თურმე" (მიქელაძე, 1991: 79).

როგორც პროფ. რ. სურმანიძე მიუთითებს, "კარაბადინები ქვემო აჭარაში სხვა ოჯახებშიც ყოფილა. კარაბადინს ხმარობდნენ სოფელ საღორეთში და გეგელიძეებში. თვით აბდულ მიქელაძე "ივერიაში" წერდა, რომ გეგიძეს აქვს კარაბადინი, წერა-კითხვაც იცის და ბნედით დაავადებულებსაც მკურნალობსო" (მიქელაძე, 1991: 24).

ყოველივე აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ოსმალთა ხანგრძლივ ბატონობას ვერ მოუხერხებია მთლიანად გაექრო აჭარაში მრავალსაუკუნოვანი ქართული ხალხური მედიცინა, რაც მცირე შეღავათს მაინც აძლევდა ღვთის ანაბარა მიტოვებულ კუთხეს. თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ დაავადებებთან საბრძოლველად ეს საკმარისი არ იყო. ამდენად, ჯანდაცვის თვალსაზრისით, ოსმალთა ბატონობის ხანა ფრიად მძიმე იყო და მოსახლეობა მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძვლებზე დამყარებულ სამედიცინო მომსახურებას.

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ აჭარა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეებთან ერთად, რუსეთს გადაეცა. თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორია ქვემო აჭარის უბანში გაერთიანდა, რომელსაც ხშირად ქედის მაზრასაც უწოდებდნენ. რუსეთის იმპერიამ თანდათან დაიწყო აქაური ყოფის საკუთარი შეხედულებებისამებრ გარდაქმნა. ცვლილებები შეეხო ჯანდაცვის სფეროსაც, თუმცა უნდა ითქვას, რომ საკმაოდ უმნიშვნელოდ. როგორც ირკვევა, რუსეთის საგუბერნიო ხელისუფლებამ 1896 წელს შიდამთიან აჭარაში პირველად ქედაში გახსნა სამკურნალო დაწესებულება (სდსინ, 2008: 579). მაგრამ იგი არ იყო გათვალისწინებული სტაციონარული მკურნალობისათვის და მხოლოდ ამბულატორიულ ავადმყოფებს იღებდა (შუახევი, 2008: 353). ექიმი, რომელიც წესით მუდმივად საექიმო პუნქტში უნდა ყოფილიყო, იშვიათად ადიოდა ქედაში (პერტია, 1958: 27-28), რაც არაეფექტურს ხდიდა მის საქმიანობას.

ქედის საექიმო პუნქტის შესახებ თ. სახოკია შემდეგ ცნობას გვაწვდის: "ნამდვილი სამკურნალო მეცნიერების მსახურნი აჭარაში ამ

ოთხი-ხუთი წლის წინათ დაინახეს მცხოვრებთა, როცა სოფ. ქედაში საგუბერნიო საექიმო უწყებამ სამკურნალო გახსნა. სამკურნალოს გახსნისთანავე ქედაშივე განწესებულ იქნენ ერთი მკურნალი, ერთი ბებია ქალი, ფერშალი ქალი და ერთიც ფერშალი-კაცი. სამკურნალო მხოლოდ გარედან მოსიარულეთათვის არის დაარსებული და მისი შენახვა წელიწადში ოთხას თუმნამდე ჯდება. დღეში ზოგჯერ 25 კაცი მოდის საექიმოდ, უფრო მამაკაცები, დედათა სქესისანი ჩვენებურ ექიმს გაურბიან. ისევ ფერშალ ქალს თუ ეჩვენებიან, ისიც როცა კარამდე არიან მიღწეულნი. მაგრამ სამწუხარო ის გარემოებაა, რომ არც ბებია-ქალმა და აღარც ფერშალმა ქალმა ქართული ენა არ იციან, რომ გააგებინონ რამე მათთან რჩევის სათხოვნელად მისულ აჭარელ ქალებს" (სახოკია, 1985: 246).

ქედის სამედიცინო პუნქტით, ძირითადად, სარგებლობდნენ მხოლოდ ქედისა და ახლომდებარე სოფლის მცხოვრებლები, თუმცა ვერც ისინი იღებდნენ სრულყოფილ მომსახურეობას, ვინაიდან საექიმო პუნქტის სამკურნალო პოტენციალი საკმაოდ დაბალი იყო. განსაკუთრებით ჭირდა მოშორებულ სოფლებზე ზრუნვა, რაც უგზოობით იყო გამოწვეული. ძალიან ჭირდა მძიმე ავადმყოფების გადმოყვანა. ქედის სოფლებში მძინვარებდა მალარია, ჩიყვი და მრავალი ინფექციური დაავადება, მათ შორის ტუბერკულიოზი.

1880-90-იან წლებში ქედის მაზრაში არსებულ მძიმე სამედიცინო მდგომარეობასა და ფართოდ გავრცელებულ სხვადასხვა ინფექციურ დაავადებებზე ხშირად მიუთითებდა ზემოთ ნახსენები ა. მიქელაძეც "ივერიაში" გამოქვეყნებულ თავის კორესპოდენციებში, სადაც იმასაც აღნიშნავდა, რომ ხელისუფლება ვერავითარ ქმედით პრევენციულ ზომებს ვერ მიმართავდა და ვერ ახერხებდა მოსახლეობის დაცვას (მიქელაძე, 1991: 21-23).

XX საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. მართალია, 1904 წელს ქედაში მხოლოდ საფერშლო პუნქტი არსებობდა, რომელიც ხულოს საავადმყოფოს ემორჩილებოდა (პერტია, 1959: 29), მაგრამ შემდგომში მას კვლავ აღუდგა საექიმო პუნქტის სტატუსი. 1910 წლისათვის ხულოსა და ქედის საექიმო პუნქტებს, ორივეს ერთად, 12 საწოლი ჰქონდათ. ანუ, შესაძლებელი იყო მძიმე ავადმყოფებისათვის სტაციონარული მკურნალობა გაეწიათ. 1910 წელს ეს პუნქტები 13 ავადმყოფს მოემსახურნენ, ხოლო 1913 წელს – 34-ს (სდსინ, 2008: 581).

"1916 წ. იანვარში სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირმა ბათუმში, სასტუმრო "იმპერიალის" შენობაში, აგრეთვე, ხულოში, გახსნა 50-საწოლიანი, ხოლო მარადიდსა და ქედაში – 25-საწოლიანი საავად-

მყოფოები. ქედაში საავადმყოფოს საკუთარი ორ-სართულიანი სახლი დაუთმო ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, პროფესიით ექიმმა ყადირ შერვაშიძემ. თუმცა, წლის ბოლომდე სამივემ შეწყვიტა საქმიანობა. პირველი მსოფლიო ომისა და უცხოელ ოკუპანტთა მოსვლის შემდეგ ის პუნქტებიც გაუქმდა, ადრე რომ მოქმედებდა" (სდსინ, 2008: 582). სხვათა შორის, დღეისათვის არსებული მონაცემებით, ყადირ შერვაშიძე, რომელიც წარმოშობით ქედის მაზრიდან იყო, გახდა პირველი წარმომადგენელი აჭარიდან, ვინც რუსეთის იმპერიაში აკადემიური სამედიცინო განათლება მიიღო. მან 1914 წელს ტარტუს უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი დაამთავრა. იგივე უნივერსიტეტი დაამთავრა, აგრეთვე, ყადირის მეუღლემ ნადეჟდა ვარლამის ასულმა ბახტაძე-შერვაშიძისამ, რომელიც პირველი სტომატოლოგი ქალი იყო აჭარაში (სურმანიძე, 2001: 111-112).

როგორც ვხედავთ, რუსეთის იმპერიის მფლობელობის პერიოდში ქედის მაზრის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონე კვლავ საკმაოდ დაბალი რჩებოდა. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ოსმალურ პერიოდთან შედარებით ვითარება გარკვეულწილად გაუმჯობესდა და ჯანდაცვის სფეროში პროფესიონალურ სამედიცინო მომსახურებას ჩაეყარა საფუძველი.

თავისი ხანმოკლე არსებობის პერიოდში ვითარების გამოსწორება ვერც 1918-1921 წლების საქართველოს I რესპუბლიკის ხელისუფლებამ შესძლო. ამ ხანებში მომხდარი ფაქტებიდან აღნიშვნის ღირსია წითელი ჯვრის საზოგადოების საქმიანობა, რომელმაც თავისი სამედიცინო ბრიგადები გაგზავნა ქედის, ხულოსა და ქობულეთის სოფლებში (სდსინ, 2008: 582). თუმცა, თავისთავად ცხადია, რომ ასეთი ღონისძიებები ვერ დააკმაყოფილებდნენ მოსახლეობის ფართო მოთხოვნილებებს სამედიცინო მომსახურების საქმეში.

აღნიშნულ პერიოდში აჭარაში არსებულ საერთო ვითარებაზე გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ერთი საინტერესო ფაქტიც. კერძოდ, ბათუმის საქალაქო საავადმყოფო, "რომელიც ექსპლუატაციაში შევიდა 1902 წლის 3 ოქტომბერს" (პერტია, 1959: 20), 1918 წლის აპრილში, თურქთა მიერ განხორციელებული ოკუპაციის გამო, ქ. ფოთში გადავიდა, საავადმყოფოს შენობა კი თურქების სამხედრო ჰოსპიტალმა დაიკავა. რეგიონში შეიქმნა მძიმე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ფონი, რამაც წარმოშვა "მასობრივ დაავადებათა და ინფექციურ სნეულებათა გავრცელების პირობები". იმავე 1918 წელს ბათუმსა და მის ახლო მდებარე რაიონებში იფეთქა პარტახტიანი ტიფის ეპიდემიამ, რამაც თურქული ხელისუფლება აიძულა დათანხმებოდა ბათუმში დარჩენილი ქართველი და რუსი ექიმების მოთხოვნას საა-

ვადმყოფოს ხელახალი გახსნის თაობაზე. 1919 წლის დასაწყისში ქუთაისის ქუჩაზე, ყოფილ სასტუმრო "იმპერიალის" შენობაში მართლაც ამოქმედდა საავადმყოფო (პერტია, 1959: 26), მაგრამ ადვილი წარმოსადგენია, რა შესაძლებლობები ექნებოდა მას დახმარების ხელი გაეწვდინა ბათუმიდან მოშორებული სოფლებისათვის, მათ შორის, ქედის მაზრის მოსახლეობისათვის.

1920 წლის ივლისში უცხოელ ინტერვენტთა ოკუპაცია დასრულდა და აჭარაში ქართული ხელისუფლების იურისდიქცია აღსდგა. თავისთავად ცხადია, იმ ხანმოკლე და ყოველმხრივ რთულ დროში, რაც იარსება ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებელმა რესპუბლიკამ, ხელისუფლება ვერანაირ ქმედით ღონისძიებებს ვერ გაატარებდა ჯანდაცვის სფეროში. ამ თვალსაზრისით ქედის მაზრის მოსახლეობა კვლავ არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ვითარების გაუმჯობესება დაიწყო და ეტაპობრივად გაგრძელდა საბჭოთა პერიოდში.

სახელმწიფოებრივ-იდეოლოგიური საფუძვლებიდან გამომდინარე, საბჭოთა პერიოდში მეტი ყურადღება დაეთმო მოსახლეობის მასობრივი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობსების საქმეს. აჭარაში საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე დღეს, 1921 წლის 18 მარტს, ჩამოყალიბდა აჭარის ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატი (სურმანიძე, 1972: 3-4), ხოლო იმავე წლის 7 ნოემბერს, აჭარის ღარიბთა კომიტეტების I ყრილობაზე მიიღეს დადგენილება, სადაც ნათქვამი იყო: "ეთხოვოს მთავრობას, რათა უმოკლეს დროში ყველა რაიონში გაიხსნას საავადმყოფო, ხოლო თემებში – საფერშლო პუნქტები, სადაც მშრომელები ისარგებლებენ უფასო სამედიცინო მომსახურებით" (სურმანიძე, 1972: 16). საკითხი განმეორებით დაისვა აჭარის ასსრ საბჭოების I ყრილობაზე, რომელიც ბათუმში გაიმართა 1922 წლის 10 იანვარს. ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს დაევალა აჭარის ყველა რაიონსა და თემში საექიმო და ფარმაცევტული პუნქტების გახსნა და მათი უზრუნველყოფა აუცილებელი მედიკამენტებით (სურმანიძე, 1972: 59). ამ მხრივ საქმიანობა მართლაც გააქტიურდა, მათ შორის, ქედის მაზრაშიც, თუმცა პროცესები რთულად და ძნელად მიდიოდა.

თავიდანვე დაისვა საკითხი მაზრის ცენტრში სამკურნალო-სამედიცინო დაწესებულების ამოქმედებისა და სრულყოფილი ფუნქციონირების შესახებ. 1922 წლის ნოემბერში ქედის მაზრის საბჭოების ყრილობამ თხოვნით მიმართა აჭარის ჯანდაცვის სახალხო კომისარიატს განსაკუთრებული ყურადღება მიქცეოდა ქედაში გახსნილ სტაციონარს, რადგანაც იმხანად აქ არსებული საავადმყოფო არ იყო სათანა-

დოდ აღჭურვილი. განსაკუთრებით იგრძნობოდა საწოლების სიმცირე (კომახიძე, 2011: 83). 1924 წლისათვის ქედაში ფუნქციონირებდა 10-საწოლიანი საავადმყოფო (პერტია, 1959: 92). მომდევნო წლებში ეტაპობრივად მიმდინარეობდა როგორც საავადმყოფოს მატერიალ-ტექნიკური ბაზის, ისე სამედიცინო პერსონალის რაოდენობისა და კვალიფიკაციის ზრდის პროცესი.

1922 წლიდანვე დაიწყო ქედის მაზრის სოფლებში საფერშლო-საბებიო პუნქტების გახსნა. მკვლევარ თ. კომახიძის მიხედვით, პირველი ასეთი პუნქტი 1922 წელს გაიხსნა სოფ. ცხმორისში, ხოლო 1924 წელს – მერისსა და საღორეთში (კომახიძე, 2011: 83). რამდენადმე განსხვავებულ ცნობებს გვაწვდის მკვლევარი ნოდარ გათენაძე. მისი მონაცემებით, ცხმორისის საფერშლო-საბებიო პუნქტი ჯერ კიდევ საბჭოთა წყობილების დამყარებამდე არსებობდა, მერისში 1924 წლის მაისში გახსნილა, ხოლო საღორეთის (პირველი მაისი) საფერშლო პუნქტის გახსნის თაობაზე მაზრის აღმასკომს შუამდგომლობა ამავე წლის 24 აგვისტოს აღუძრავს (გათენაძე, I, 1968: 4).

1924 წლის იანვრისათვის ქედის საავადმყოფოსა და ცხმორისის საფერშლო-საბებიო პუნქტში სულ 7 კაცი მუშაობდა: ერთი ექიმი, ორი ექიმის თანაშემწე, ორი ბებია-ქალი და ორიც მოსამსახურე პერსონალი (გათენაძე, I, 1968: 4). ასეთი კონტიგენტი, თავისთავად ცხადია, ვერ გაწვდებოდა მთელი მაზრის მოთხოვნილებებს.

საღორეთის საფერშლო-საბებიო პუნქტს, როგორც მოქმედს, არ მოიხსენიებს მკვლევარი ამბროსი პერტიაც (წლების განმავლობაში იგი იყო აჭარის არ ჯანმრთელობის სახალხო კომისრის მოადგილე), რომელიც მთელი აჭარის მასშტაბით 1924 წლისათვის ასეთ ობიექტს (მკვლევარი მათ საექიმო პუნქტებს უწოდებს) 14 სოფელში ასახელებს. ეს სოფლებია: ჩაისუბანი, ხელვაჩაური, ხუცუბანი, ლეღვა, ჩაქვი, აჭარისწყალი, მახუნცეთი, ცხმორისი, მერისი, ჭვანა, სხალთა, დიდაჭარა, უჩამბა და ოლადაური. მახუნცეთი ამ დროისათვის ადმინისტრაციულად არ შედიოდა ქედის მაზრაში, ამიტომ იგი დასახელებული არ აქვთ არც თ. კომახიძეს და არც ნ. გათენაძეს.

ა. პერტიას ცნობით, 1930 წელს ქედის რაიონში (ამ წელს ქედის მაზრას რაიონი ეწოდა) შემდეგი სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები არსებობდა:

1. ქედის 15-საწოლიანი საავადმყოფო ამბულატორიით;
2. დედათა და ბავშვთა კონსულტაცია;
3. მერისისა და ცხმორისის საექიმო პუნქტები;
4. ქედის აფთიაქი;

მახუნცეთის საექიმო პუნქტი კი მითითებულია ბათუმის რაიონში (პერტია, 1959: 93).

ამდენად, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ფარგლებში საფერშლო-საბებიო პუნქტი 1924 წლისათვის ფუნქციონირებდა 3 სოფელში – ცხმორისში, მერისსა და მახუნცეთში, ხოლო საღორეთის საფერშლო პუნქტი 1930 წელსაც კი ჯერ კიდევ არ იყო ექპლუატაციაში შესული.

1936 წლისათვის ქედის საავადმყოფოს შესაძლებლობები 20-საწოლამდე გაიზარდა, აქედან 10 ქირურგიულ-გინეკოლოგიური საწოლი იყო, რაც ასევე სამკურნალო პოტენციალის ზრდისა და პროფილური დანაწილების მაჩვენებელია. საავადმყოფოს შტატში ირიცხებოდა 2 ექიმი, 4 საშუალო და 6 უმცროსი სამედიცინო პერსონალი (პერტია, 1959: 95).

როგორც ვხედავთ, წინა პერიოდებთან შედარებით, საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში გარკვეული ღონისძიებები მართლაც განხორციელდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლების მიზნით. ამან, რათქმა უნდა, თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. მართალია, ამ სფეროში კიდევ უამრავი გადაუჭრელი პრობლემა არსებობდა, მაგრამ გარკვეული მიღწევები ნამდვილად სახეზე იყო.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ინფექციური სნეულებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარების საქმეს. ასე მაგალითად, 1920-იანი წლების შუა ხანებში ქედის მაზრაში ფართოდ იყო გავრცელებული მუცლის ტიფი, რასაც მსხვერპლი ახლდა თან. მისი პრევენციის მიზნით 1925 წ. აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის კომისარიატმა ქედაში მიავლინა ამ დარგის სპეციალისტები, ექიმები შ. საბაშვილი და ს. თოფურია (გათენაძე, I, 1968: 4). ექიმი შ. საბაშვილი ორი ფერშლით მომდევნო წელსაც იქნა გაგზავნილი ტიფის წინააღმდეგ საბძოლველად (გათენაძე, II, 1968: 4). "სათანადო დეპროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებისა და საჭირო მკურნალობის შედეგად ეს მეტად საშიში სენი მაზრაში 1932 წლისათვის ლიკვიდირებულ იქნა" (კომახიძე, 2011: 83). უფრო ადრე, "1923 წლისათვის მოხდა ქოლერისა და შავი ჭირის ეპიდემიის სრული ლიკვიდაცია. სხვა ინფექციური დაავადებების სალიკვიდაციოდ ტარდებოდა საყოველთაო მასობრივი აცრები" (სდსინ, 2012: 476).

1927 წელს მოსახლეობაში ჩიყვის გავრცელების საკითხების შესასწავლად ქედის მაზრაში გაიგზავნა სოლიდური ექსპედიცია, რომ-

ლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ დოცენტი ი. ასლანიშვილი, გ. გოგოლაძე, დ. ბერეჟიანი, თ. მდივანი, გ. ინასარიძე და ვ. თელაშვილი. ექსპედიციამ დიდი მუშაობა ჩაატარა. გასინჯული 4777 მცხოვრებიდან ჩიყვი აღმოაჩნდა 1508 კაცს ანუ 31,5 %-ს (გათენაძე, II, 1968: 4), რაც ძალიან ცუდი და საგანგაშო მაჩვენებელი იყო. დაავადების წინააღმდეგ გატარდა სათანადო ღონისძიებები.

ქედის რაიონში ჯანდაცვის სფეროში უმთავრესი დატვირთვა, რა თქმა უნდა, რაიონულ საავადმყოფოზე მოდიოდა. როგორც ზემოთ ვნახეთ, მისი გაფართოება-განვითარებისათვის ზრუნვა საბჭოთა წყობილების დამყარების პირველსავე წლებში დაიწყო. ყურადღება ექცეოდა კადრების საკითხსაც და, შესაძლებლობის ფარგლებში, აქ თავიდანვე კვალიფიცირებულ სპეციალისტებს უშვებდნენ სამედიცინო საქმის უკეთ ორგანიზებისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების მიზნით. ასე მაგალითად, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის სპეციალრი ბრძანებით ქედაში მივლინებული იქნა ექიმი მ.მირიმანოვი (სურმანიძე, 2001: 111-112), ხოლო 1923 წლის იანვრიდან ქედის საავადმყოფოს გამგედ დაინიშნა შემდგომში ცნობილი ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, აჭარაში მეან-გინეკოლოგიის დარგის დამფუძნებელი იოსებ ჩარკვიანი (კომახიძე, 2011: 83). მართალია, ი.ჩარკვიანი დიდიხანს არ დარჩენილა ამ პოსტზე და იგი მალე ქ. ბათუმში გადმოიყვანეს, მაგრამ მის შემდგომაც ქედის საავადმყოფოს სათანადო განათლება მიღებული, კვალიფიცირებული სპეციალისტები ედგნენ სათავეში. მაგ. 1924 წლის მაისში გამგე იყო გ.კუპრაშვილი, ექიმი-თერაპევტი კი მ.ფირალიშვილი (გათენაძე, I, 1968: 4). ანუ საკითხისადმი მიდგომის პრინციპი არ შეცვლილა.

საერთოდ, ადგილობრივი კვალიფიცირებული კადრების სიმცირის გამო, საბჭოთა წყობის პირველ ათწლეულებში აჭარის რაიონებში და მათ შორის ქედაშიც ორგანიზებული წესით იგზავნებოდა სპეციალისტები როგორც საქართველოს სხვა კუთხეებიდან, ისე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რეგიონიდან. ეს ეხებოდა არა მარტო ექიმებს, არამედ დაბალ სამედიცინო და დამხმარე პერსონალსაც. ასე მაგალითად, ლანჩხუთის რაიონის სოფ. ჯურყვეში დაბადებული გალინა მურვანიძე 1936 წელს, ბათუმის სამედიცინო ტექნიკუმის საფერშლო-საბებიო კურსების დამთავრების შემდეგ, აჭარის ასსრ ჯანდაცვის კომისარიატმა ქედის საავადმყოფოში მიავლინა ექთნად. მალე მან ქედელ მურად ნაკაშიძესთან ერთად ოჯახი შექმნა, აქვე დარჩა და 30 წელზე მეტ ხანს ღირსეულად ემსახურებოდა თავის საქმეს. მინიჭებული აქვს მთავრობის მაღალი ჯილდოები (“კოლმეურნე”, №69, 1968: 3). იულია დუდნიჩენკო ოდესის ოლქის სოფ. მარიანოვკიდან იყო. 1938

წელს იგი ქედის საავადმყოფოში მზარეულად იწყებს მუშაობას. 1941-45 წლების ომის დაწყების დაწყების შემდეგ ფრონტზე წავიდა, რომლის დამტავრების შემდეგ ისევ ქედაში დაბრუნდა. მიღებული აქვს ჯილდოები როგორც საბრძოლო, ისე შრომითი დამსახურებისათვის ("კოლმეურნე", №69, 1968: 2). მსგავსი მაგალითი ბევრი შეიძლება დასახელდეს.

საყურადღებოა, რომ 1940 წლისათვის ქედაში გაიხნა სასწრაფო დახმარების პუნქტი, რომელსაც თავიდან ერთი ავტომანქანა, სამი ექიმი, ამდენივე ექთანი, სანიტარი და მძღოლი ემსახურებოდა (სურმანიძე, 2001: 282). ანუ დაკომპლექტებული იყო სამი მობილური ჯგუფი.

ამდენად, საბჭოთა პერიოდის პირველ ათწლეულებში (ომისწინა პერიოდი) ქედის რაიონის ჯანდაცვის სფეროში საკმაოდ დადებითი ძვრები შეინიშნება: აღდგა და ეტაპობრივად გაუმჯობესდა ქედის საავადმყოფოს ფუნქციონირება, სოფლებში დაიწყო საფერშლო-საბებიო და საექიმო პუნქტების გახსნა, ყურადღება დაეთმო რაიონის მედიკამენტებითა და კვალიფიცირებული კადრებით მომარაგების საკითხს და სხვ., მაგრამ ეს პრობლემებთან ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი იყო და მრავალი მწვავე და მოუგვარებელი საკითხი ჯერ კიდევ ელოდა თავის რიგს.

1941 წლის 22 ივნისს გერმანიის მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმით დაიწყო ომის უმძიმესი წლები, რამაც ქვეყანაში შექმნა განსაკუთრებული ვითარება და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებისა და დაწესებულებების წინაშე მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანები დააყენა.

ომის დაწყების პირველივე დღეებიდანვე აჭარის სამედიცინო პერსონალის 24% ფრონტზე გაიწვიეს (სდსინ, 2012: 478). ეს ფაქტი საფუძვლიანად ართულებდა წარმატებულ სამედიცინო საქმიანობას, მითუმეტეს, რომ ახლა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ფრონტიდან მიღებული დაჭრილებისთვისაც უნდა გაეწიათ დახმარება-მკურნალობა. მართალია, ქედის საავადმყოფოს დაჭრილი მეომრები არ მიუღია სამკურნალოდ, მაგრამ მედიცინის მუშაკთა და მედიკამენტთა საერთო სიმცირე აქაც აისახა ჯანდაცვის სფეროს მუშაობაზე.

ომის წლებიდან აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ მამაკაცების მხარდამხარ საერთო საქმიანობაში უფრო აქტიურად ჩაებნენ ქალები. ასე მაგალითად, 1942 წელს, ინსტიტუტის დამთავრებისთანავე, მეანგინეკოლოგი მემნუნე უსტიაშვილი მიავლინეს ქედის რაიონში, დანდალოს საექიმო უბნის გამგედ, სადაც 2 წელი დაჰყო, ხოლო შემდეგ 1 წელი ქედის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმად მუშაობდა

(სურმანიძე, 2003: 153), 1945 წელს იგი გადმოიყვანეს ბათუმის საშობიარო სახლის ორდინატორად (სურმანიძე, 2003: 154).

1941-1945 წლების ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრება თანდათან თავის კალაპოტში ჩადგა. ეტაპობრივად დაიწყო სამედიცინო პერსონალისა და სამკურნალო საშუალებათა დეფიციტის შევსების პროცესი. ასე მაგალითად, თუ 1941 წლისათვის აჭარაში მყოფი 204 ექიმიდან რაიონებში მსახურობდა 70 კაცი, 1946 წელს 283 ექიმიდან რაიონებში მოღვაწეობდა 78, 1947 წელს – 343-დან 97, 1948 წელს – 395-დან 115, 1949 წელს – 401-დან 133, 1950 წელს – 434-დან 157 კაცი და ა.შ. (პერტია, 1959: 53). 1957 წლისათვის აჭარის 586 ექიმიდან რაიონებში უკვე 172 ეწეოდა საქმიანობას, აქედან 19 კაცი ქედის რაიონზე მოდიოდა (პერტია, 1959: 54). სამედიცინო პერსონალს შორის განუხრელად იზრდებოდა უმაღლესი განათლება-მიღებული ადგილობრივი კადრების რიცხვი.

გაუმჯობესება დაეტყო მატერიალურ-ტექნიკურ ბაზასაც. 1947 წლისათვის აჭარის სოფლის მოსახლეობას ემსახურებოდა 51 საექიმო უბანი, 8 რაიონული და სასოფლო საავადმყოფო და 19 საფერშლო-საბებიო პუნქტი. სსრკ ჯანდაცვის მინისტრის 1949 წლის №870 ბრძანების თანახმად დაიწყო სოფლად 5-10-15 საწოლიანი საუბნო საავადმყოფოების გახსნა. იმავე წელს ქედის რაიონში აწჰეს-ის საექიმო პუნქტს გადაეცა 13-ოთახიანი შენობა, სადაც 10-საწოლიანი საავადმყოფო გახსნეს, ამათგან 5 საწოლი გამოყოფილი იყო მშობიარეთათვის. 10-საწოლიანი საავადმყოფოები გაიხსნა აგრეთვე ცხმორისსა და მერისში. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ 5-10 საწოლიანი საავადმყოფოები, სადაც ხშირად მოუწესრიგებელი იყო ავადმყოფთა მოვლა, კვალიფიციური გამოკვლევა, დიაგნოსტიკა და მკურნალობა, მაღალი ავტორიტეტით ვერ სარგებლობდა მოსახლეობაში. სოფლელთა აბსოლუტური უმრავლესობა უპირატესობას საქალაქო, უკიდურეს შემთხვევაში კი რაიონულ საავადმყოფოებს ანიჭებდა (სურმანიძე, 2003: 332-333).

ამდენად, მიუხედავად პროგრესული ძვრებისა, ომისშემდგომ წლებში, საკმაოდ დიდხანს, ვითარება კვლავ რთული რჩებოდა. სამედიცინო მომსახურებისა და ჯანდაცვის საქმეში ამ პერიოდში არსებული საერთო მდგომარეობის შესახებ ისტ. ო.თურმანიძე მიუთითებს: "XX საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისში ჯანმრთელობის დაცვის ქსელი არასაკმარისი იყო მოსახლეობის ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის. არ კმაროდა სამკურნალო სტაციონალური და პროფილაქტიკური დაწესებულებები, ექიმები და სამედიცინო პერსონალი, დაბალ დონეზე იდგა მომსახურების კულტურა. სუსტი იყო

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ნაწილი განთავსებული იყო უვარგის შენობებში. ზოგიერთი მათგანი განთავსებული იყო ყოფილი მეჩეთების შენობაში. სოფლების უმრავლესობაში საერთოდ არ არსებობდა სამედიცინო დაწესებულებები" (თურმანიძე, 2005: 469-470).

ომისშემდგომ პერიოდში მეტი ინტენსიობით წარიმართა სამედიცინო სფეროს განვითარება. აჭარაში გაიხსნა ახალი სამედიცინო დაწესებულებები, მათ შორის, სპეციფიკური დაავადებების საწინააღმდეგო დისპანსერები (ტუბერკულოზური, ფსიქონერვოლოგიური, ენდოკრინოლოგიური, ონკოლოგიური, კანისა და ვენერიულ სნეულებათა და სხვ.). სპეციალისტების მითითებით, ამ დისპანსერებმა განსაკუთრებით დადებითი როლი შეასრულეს დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეტი ყურადღება დაეთმო სოფლის პრობლემებს. 50-იანი წლებიდან დაიწყო რაიონული სამედიცინო ქსელის გაფართოება. მსხვილ სასოფლო საბჭოებში და სოფლებში გაიხსნა ახალი საავადმყოფოები, რამაც სამედიცინო სამსახური უფრო მოქნილი და ოპერატიული გახადა. ამ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო სამშობიარო სახლებისა და ქალთა კონსულტაციების გაერთიანება, რამაც გააუმჯობესა ორსულთა და მშობიარეთა, აგრეთვე, ახალშობილთა სამედიცინო დახმარება და მათ შორის პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარება (სდსინ, 2012: 479).

1951 წელს ქედის საავადმყოფოში დაიდგა რენტგენის აპარატი, რაც ასე აუცილებელი იყო ნორმალური სამედიცინო მომსახურებისათვის.

1957 წლისათვის ქედის რაიონში ფუნქციონირებდა 1 რაიონული საავადმყოფო 35 საწოლით, 3 საუბნო საავადმყოფო ჯამში 20 საწოლით, 4 სოფლის ამბულატორია, 8 საფერშლო-საბებიო პუნქტი და 1 სანეპიდსადგური (პერტია, 1959: 100). გარკვეულწილად გაფართოვდა სააფთიაქო ქსელიც: თუ ომის წლებში ქედის რაიონში 1 აფთიაქი ფუნქციონირებდა, 1957 წლისათვის ეს ციფრი ორამდე გაიზარდა (საბჭოთა აჭარის.., 1961: 157).

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სტრუქტურის გამარტივების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის №96 დადგენილების საფუძველზე, 1958 წლის 1 მარტიდან რესპუბლიკის ყველა რაიონულ ცენტრში ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება, რაიონული საავადმყოფო და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური გაერთიანდა ერთიან დაწესებულებად – რაიონულ საავადმყოფოდ (პერტია, 1959: 68).

აღნიშნული დადგენილების საფუძველზე, რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმი ერთდროულად ითვლებოდა რაიონის მთავარ ექიმად და ექვემდებარებოდა რაიაღმასკომსა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს. რაიონში ჯანმრთელობის დაცვის საქმისადმი ხელმძღვანელობა დავალებული ჰქონდა რაიონის მთავარ ექიმს.

წლების მანძილზე ქედის რაიონში ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საქმეს ხელმძღვანელობდნენ ნიაზ ხალვაში, ნოდარ ჩხაიძე, ც.ნაკაშიძე, ზ.ბერიძე, ამირან გათენაძე, არჩილ დიასამიძე, მ.შანიძე და სხვ.

რეორგანიზაციის პარალელურად, "XX საუკუნის 50-80-იან წლებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო დაფინანსება განუწყვეტლივ იზრდებოდა. თუ 1955 წელს სახელმწიფო დაფინანსება 3,5 მილიონ მანეთს შეადგენდა, 1960 წელს 5,5 მილიონ, 1965 წელს – 7,9 მილიონ, 1970 წელს – 10,8 მილიონ, 1875 წელს – 12,1 მილიონ, 1980 წელს – 15,9 მილიონ, ხოლო 1986 წელს 17,9 მილიონ მანეთამდე – 5,1-ჯერ მეტად გაიზარდა" (თურმანიძე, 2005: 471).

1960-იანი წლებიდან მდგომარეობა ქედის რაიონშიც გაუმჯობესდა, ხოლო წინა პერიოდებთან შედარებით სამედიცინო მომსახურების სფეროში ყველაზე მეტი 70-80-იან წლებში გაკეთდა.

მაგ., სამედიცინო მომსახურებისათვის 1968 წელს რაიონში გამოყოფილი იყო 417 470 მანეთი. 1969 წლისათვის ეს თანხა გაიზარდა და შეადგინა 524 455 მანეთი (ანუ 106 985 მან.-ით მეტი). 1968 წელთან შედარებით 1969 წელს 25,5 საშტატო ერთეულით გაიზარდა აგრეთვე რაიონის სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებულ პირთა რიცხვიც და შეადგინა 228 ერთეული ("კოლმეურნე", №1, 1970: 2). ასეთი ზრდა, მეტ-ნაკლებად, შემდეგ წლებშიც მიმდინარეობდა.

საინტერესოა რაიონის მთავარი ექიმის ნ.ჩხაიძის მოხსენება, რომელიც გაზ. "კოლმეურნის" 1970 წლის 20 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა. მოხსენებაში ვკითხულობთ: "ამჟამად (ანუ 1970 წ.-ის ზაფხული – ო.ჯ.) რაიონის მოსახლეობას სამედიცინო მომსახურებას უწევს ოცდათვრამეტნახევარი საშტატო ერთეული ექიმისა და ასოცდახუთნახევარი საშუალო-სამედიცინო პერსონალი. რაიონს ემსახურება ერთი რაიონული და 3 სოფლის საუბნო საავადმყოფო 100-120 საწოლით, 5 სასოფლო ამბულატორია, 20 საფერშლო-საბებიო პუნქტი, რაიონული პოლიკლინიკა, სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური, რაიონის აფთიაქი, ერთი საუბნო აფთიაქი, 12 საფერშლო-საბებიო პუნქტებთან მოძრავი აფთიაქი, სანეპიდსადგურთან სანიტარული პროფილაქტიკურ-დეზინფექციური განყოფილება" (ჩხაიძე, 1970: 4).

1970 წლისათვის ქედის რაიონში ფუნქციონირებდა 3 აფთიაქი (საბჭოთა აჭარის.., 1981: 169), 1973 წელს კი დასრულდა და ექსპლოატაციაში შევიდა 120-საწოლიანი რაიონული საავადმყოფოს კაპიტალური შენობა, რომლის აგების ინიციატორი იყო ცნობილი ექიმი ირაკლი დიასამიძე (აჭარის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი 1954-1973 წწ.) (კომახიძე, 2011: 83).

ახალი საავადმყოფოს გახსნამ კიდევ უფრო დიდი სტიმული მისცა რაიონული სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელის ყოველწლიურ გაფართოებას. მართლაც, რაიონის მთავარი ექიმის მ.შანიძის 1981 წლის 20 ივნისის საგაზეთო ანგარიში გვაუწყებს, "რაიონის მოსახლეობას ემსახურება ერთი ცენტრალური რაიონული, 2 საუბნო საავადმყოფო, 3 საექიმო ამბულატორია, 3 აფთიაქი, ერთი სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური სადგური და 26 საფერშლო-საბებიო პუნქტი. სამკურნალო დაწესებულებებში მუშაობს 24 ექიმი და 162 ექიმის თანაშემწე. თავდადებული შრომით გამოირჩევიან ექიმები ა.მანველიძე, დ.თურმანიძე, ა.დიასამიძე, ექთნები ფ.ვარშანიძე, ი.ანანიძე, რ.ჭყონია, ნ.დიასამიძე, ა.დევაძე და სხვა მრავალი" ("კოლმეურნე", №73, 1981: 4).

გაიზარდა ექიმთა და სხვა სამედიცინო პერსონალის პროფესიული დონე, გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი, სამედიცინო დაწესებულებები აღიჭურვა იმდროისათვის თანამედროვე ტექნიკით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ძველი დროიდან დაწყებული XX საუკუნის ბოლომდე ქედის რაიონში სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით საუკეთესო პერიოდი 1970-80-იანი წლები იყო. ამ მხრივ სავსებით ვეთანხმებით მკვლევარ ოთარ თურმანიძის დასკვნას, რომელიც აჭარაში ომისშემდგომ წლებში შექმნილ ზოგად სურათს აფასებს მედიცინის დარგში.

აღნიშნული შეფასების მიხედვით, "XX საუკუნის 50-80-იან წლებში აჭარაში მნიშვნელოვანი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაში. საგრძნობლად განმტკიცდა ჯანმრთელობის დაცვის მატერიალ-ტექნიკური ბაზა, გაიზარდა სამედიცინო კადრების რაოდენობა, ამაღლდა მომსახურების კულტურა, მაგრამ ჯანმრთელობის დაცვის საერთო მდგომარეობა ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნებს, საზღვარგარეთის ქვეყნების მიღწევებს. ამ წლების მიღწევები ფასდება მხოლოდ აქაურ წარსულთან შედარებით. ამის მიხედვით კი წინსვლა შესამჩნევი იყო" (თურმანიძე, 2005: 498).

ფაქტობრივად, იგივე სურათი იყო კონკრეტულად ქედის რაიონშიც. ანუ, 1950-60-იან წლებში სამედიცინო მომსახურების სფეროში

ჩატარებულმა ღონისძიებებმა, რაც მიზნად ისახავდა მდგომარეობის გაუმჯობესებას, გარკვეულწილად, თავისი შედეგები გამოიღო. ვითარება კიდევ უფრო გაუმჯობესდა 1970-80-იან წლებში, მაგრამ ეს მხოლოდ წინა პერიოდებთან შედარებით, საერთაშორისო სტანდარტებთან მიმართებაში კი ქედის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის სფეროში არსებული მდგომარეობა აშკარად ჩამორჩებოდა დროის მოთხოვნილებებს. მიუხედავად ამისა, წინა პერიოდებთან შედარებით, სწორედ ამ წლებში იქნა მიღწეული საუკეთესო შედეგები სოფლის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მასობრივი უზრუნველყოფის საქმეში.

1980-90-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა კავშირის დაშლამ და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში დატრიალებულმა ცნობილმა მოვლენებმა კატასტროფული ცვლილებები გამოიწვია ქვეყნის ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის ჯანდაცვის დარგშიც. თავისთავად ცხადია, სიტუაცია გაუარესდა ქედის რაიონშიც, თუმცა, აჭარის რაიონებში უფრო უკეთესი ვითარება შენარჩუნდა, ვიდრე საქართველოს სხვა კუთხეებში იყო.

90-იანი წლების ბოლოს მდგომარეობა ქვეყანაში თანდათან სტაბილიზაციისაკენ წავიდა. რეაბილიტაციას დაექვემდებარა სამედიცინო დარგიც. 2000 წლის მონაცემებით ქედის რაიონში ფუნქციონირებდა შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები: რაიონული საავადმყოფო 1 (110 საწოლით), პოლიკლინიკა – 1, ქალთა კონსულტაცია – 1, ამბულატორია – 5, საფერშლო-საბებიო პუნქტი – 31, სასწრაფო დახმარების სადგური – 1 (სასწრაფო დახმარების მანქანების რაოდენობა – 2), აფთიაქი – 8, სამედიცინო პესონალი – 292, ექიმი – 37; რაიონული ეპიდემიოლოგიური სადგური – 1, საექიმო დაწესებულებები, რომლებიც ამბულატორიულ და პოლიკლინიკურ დახმარებას უწევდნენ მოსახლეობას – 29" (კომახიძე, 2011: 84).

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 26 იანვრის №11 დადგენილებით „ჰოსპიტალური სექტორის განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ", საქართველოს შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ 2008 წელს განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის ცენტრების რეაბილიტაცია. 2010 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებდა სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული ქედის მუნიციპალური საავადმყოფო, ქედის მუნიციპალური პოლიკლინიკა, ქედის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური (სასწრაფო სამედიცინო სამსახურს გააჩნია 3 ავტომანქანა უაზ 3962) (ქედის მუნიციპალიტეტის.., 2012: 61)

იმავე 2010 წლისათვის ქედის მუნიციპალიტეტში საფერშლო-საბებიო პუნქტი ფუნქციონირებდა შემდეგ სოფლებში: ახო, მეძიბნა,

დოლოგანი, ზვარე, წონიარისი, მერისი, ცხმორისი, დანდალო; სულ 8 სოფელში; ხოლო სოფ. აგარაში მოქმედებდა სამედიცინო ამბულატორია (კომახიძე, 2010: 215-218)

2011 წლის ბოლოს ექსპლუატაციაში შევიდა სადაზღვევო კომპანიის „იმედი ელ ინტერნეიშენალის“ მიერ აშენებული 25 საწოლიანი თანამედროვე სტანდარტების სტაციონარი (ქედის მუნიციპალიტეტის.., 2012: 61).

დღეისათვის არსებული მდგომარეობით კი ქედის მუნიციპალიტეტში მოქმედებს შემდეგი სამედიცინო დაწესებულებები: **შპს „უნიმედი აჭარა” ქედის სამედიცინო ცენტრი** (დაბა ქედა, რუსთაველის ქ. № 14, მენეჯერი – ფრიდონ სირაბიძე)**, სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური 03”** (დაბა ქედა, რუსთაველის ქ. № 14, მენეჯერი – ამირან ცინცაძე) და **სსიპ აჭარის არ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქედის განყოფილება** (დაბა ქედა, კოსტავას ქ. № 2, უფროსი – შოთა შარაძე); გარდა ამისა ფუნქციონირებს ქედის თემების 11 საექიმო ამბულატორია (**დაბა ქედის, მახუნცეთის I და II, პირველი მაისის, მერისის, ოქტომბრის, ზვარის, წონიარისის, ცხმორისის I** და **II, დანდალოს)**. და 39 სამედიცინო პუნქტი **(გულების, აქუცის, ორცვის, ძენწმანის, დოლოგნის, ჭინკაძეების, უჩხითის, ნამლისევის, ქვედა ბზუბზუს, ზედა ბზუბზუს, მილისის, ზუნდაგის, ზედა მახუნცეთის, აგარის, საღორეთის, კოლოტაურის, სილიბაურის, სიხალიძეების, კუჭულას, მეძიბნის, გოგინიძეების, ვაიოს, კვაშტის, სირაბიძეების, ზესოფელის, ვარჯანისის, სასადილოყელის, აბუქეთის, ცხმორისის, ბარამულის, გეგელიძების, ახოს, გობრონეთის, კოკოტაურის, ჩეტკიძეების, ბალაძეების, ჯალაბაშვილების, ხარაულის, არძენაძეების)** (http://keda.ge/სამედიცინო მომსახურება).

აი, ზოგადად ასეთი იყო ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა თანამედროვე ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ფარგლებში დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

Oleg Jibashvili
Niko Berdzenishvili Institute
Senior Researcher
Doctor of History

From the History of Healthcare at Keda Municipality

Summary

The article studies the healthcare situation in the frames of Keda municipality in different periods. On bases of scientific literature and periodicals the dynamic of healthcare development, the growing of medical institutions and the staff in the terms of quantity, technical bases and professional preparation. The activities of some physicians from keda are also shown.

ლიტერატურა:

1. **გათენაძე, I, 1968:** – გათენაძე ნ., მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი 1921-1927 წლებში (წერილი პირველი), – გაზ. "კოლმეურნე", 1968, 12 ოქტომბერი, №120.

2. **გათენაძე, II, 1968:** – გათენაძე ნ., მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებანი 1921-1927 წლებში (წერილი მეორე), – გაზ. "კოლმეურნე", 1968, 26 ოქტომბერი, №126.

3. **თურმანიძე, 2005:** – თურმანიძე ო., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946-1990 წწ.), ბათუმი.

4. **"კოლმეურნე", №69, 1968:** – გაზ. "კოლმეურნე", 1968, 15 ივნისი, №69.

5. **"კოლმეურნე", №1, 1970:** – გაზ. "კოლმეურნე", 1970, 1 იანვარი, №1.

6. **"კოლმეურნე", №73, 1981:** – გაზ. "კოლმეურნე", 1981, 20 ივნისი, №73.

7. **კომახიძე, 2010:** – კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, I, ბათუმი.

8. **კომახიძე, 2011:** – კომახიძე თ., აჭარის ენციკლოპედიური ცნობარი, II, ბათუმი.

9. **მიქელაძე, 1991:** – მიქელაძე ა., წერილები აჭარიდან, – შეადგინა, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბილისი.

10. **პერტია, 1958:** – პერტია ა., ნარკვევი აჭარაში ჯანმრთელობის დაცვის ისტორიიდან, ბათუმი.

11. **საბჭოთა აჭარის.., 1961:** – საბჭოთა აჭარის 40 წელი (სტატისტიკური კრებული), ბათუმი.

12. **საბჭოთა აჭარის.., 1981:** – საბჭოთა აჭარის 60 წელი (საიუბილეო სტატისტიკური კრებული), ბათუმი.

13. **სდსინ, 2008:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. აჭარა, III, ბათუმი.

14. **სდსინ, 2012:** – სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, IV, ბათუმი.

15. **სახოკია, 1985:** – სახოკია თ., მოგზაურობანი(გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი), ბათუმი.

16. **სურმანიძე, 1972:** – სურმანიძე რ., ჯანმრთელობის დაცვის სათავეებთან, ბათუმი.

17. **სურმანიძე, 2001:** – სურმანიძე რ., რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, წ. I, ბათუმი.

18. **სურმანიძე, 2003:** – სურმანიძე რ., რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში, წ. II, ბათუმი.

19. **ქედის მუნიციპალიტეტის.., 2012:** – ქედის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული გეგმა (2012-2022 წწ.), ბათუმი

20. **შუახევი, 2008:** – შუახევი (ისტორიული-პუბლიცისტური ნარკვევები, ბათუმი.

21. **ჩხაიძე, 1970:** – ჩხაიძე ნ., მედიცინის მუშაკის დღე – სახალხო ჯანმრთელობისათვის ზრუნვა ჩვენს რაიონში, – გაზ. "კოლმეურნე", 1970, 20 ივნისი, №69.

22. **http://keda.ge/სამედიცინო მომსახურება** – ქედის მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდი, სამედიცინო მომსახურება, ინტერნეტ-მისამართი:

http://keda.ge/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%9D-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%9B%E1%

83%A1%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/

იოსებ სანიკიძე
ფილოლოგიის დოქტორი

ილია ჭავჭავაძის ბრძოლა „საქართველოს მოამბის" დაარსებისათვის

ჟურნალი „საქართველოს მოამბე" XIX საუკუნის 60-იანი წლების ახალი აზროვნების დასაწყისია არა მარტო ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო თვალსაზრისითაც. სწორედ ამ ჟურნალმა მოახერხა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ინტელიგენციის აზროვნების ახალ ეტაპზე გადასვლა, რომელიც ჯერ ახალგაზრდა თერგდალეულთა სახით გამოიკვეთა, ხოლო შემდგომ, ცოტა მოგვიანებით, 1870-იანი წლების დამდეგისათვის „ახალი ახალგაზრდობის" ჯგუფის წევრების ასპარეზზე გამოსვლით, რომელთაც ღირსეული წვლილი შეიტანეს ილიასეული იდეოლოგიის ცხოვრებაში დასამკვიდრებლად. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძე, როდესაც მას ჟურნალ „ცისკარში" ძველი თაობის იდეოლოგები მკაცრად დაუპირისპირდნენ, გადაწყვეტილებას იღებს დააარსოს ყოველთვიური ჟურნალი, რომელიც არ იქნებოდა მხოლოდ ლიტერატურულ საკითხთა მომცველი. პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცვლილებებით აღსავსე 60-იანი წლების ქართული სინამდვილე მოითხოვდა მრავალ საჭირბოროტო კითხვაზე პასუხის გაცემას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი აჩქარებული ტემპით მოძრაობდა და თუკი რეალურ პასუხს საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ მიიღებდა, ქვეყნის ინტელექტუალური კატასტროფა გარდაუვალი იყო. ილიას შეუძლებლად მიაჩნდა ცხოვრების წინსვლა-განვითარება, თუკი ქართველი მკითხველი მისთვის საინტერესო საკითხებზე ნათელ პასუხს ვერ მიიღებდა. კითხვები მართლაცდა მრავლად იყო დაგროვილი: უმძიმესი სოციალური ფონი, უკიდურესი სიღატაკე და გაჭირვება, თაობათა შორის არსებული უთანხმოება, მოსახლეობის დაბალი წიგნიერება და განათლება – საუკეთესო საშუალება იყო დამოუკიდებლობადაკარგული ქვეყნის არა მხოლოდ ეკონომიკური და პოლიტიკური, არამედ მორალური დეგრადირებისა და დაცემისა. ახალგაზრდა

რედაქტორმა შესანიშნავად იცოდა, რომ დიდი სირთულის წინაშე აღმოჩნდებოდა. მას კარგად ესმოდა, რომ ქართული ლიტერატურის, ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, ქვეყანაში არსებული უმძიმესი კრიზისის დაძლევაში ჟურნალ „საქართველოს მოამბეს" განსაკუთრებული როლი უნდა შეესრულებინა.

აქედანვე უნდა ითქვას, რომ სწორედ ჟურნალის საუკეთესო ტრადიციები დაედო საფუძვლად ქართული პოლიტიკის, ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების მთელს შემდგომ წინსვლას. რა ნაბიჯების გადადგმა იყო ამისათვის საჭირო? რა უნდა სცოდნოდა რედაქტორს? რა თქმა უნდა, პირველ რიგში ის, თუ რა იყო საჭირო ჟურნალის გამოცემისათვის: როგორი და რა სახის პროგრამა უნდა ჰქონოდა? რა იქნებოდა ჟურნალის შინაარსი და მიზანდასახულობა? რამდენი და რა სახის განყოფილებები ექნებოდა ჟურნალს? როგორი იქნებოდა გამოწერის წესი? ჟურნალის ფასი რამდენად იქნებოდა ხელმისაწვდომი დაბალი სოციალური ფენისათვის? რა პერიოდულობით გამოიცემოდა ჟურნალი? ეს და სხვა მრავალი კითხვა, რომლებზედაც ახალგაზრდა რედაქტორს პასუხები უკვე გააჩნდა, საჭიროებდა ქართული მოწინავე ინტელიგენციის მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას მოსალოდნელი საქმიანობის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. ილიას ასევე კარგად ესმოდა, რომ გასათვალისწინებელი იყო კავკასიის საცენზურო კომიტეტის დამოკიდებულება პერიოდული გამოცემებისადმი და ზოგადად, თავისუფალი სიტყვისადმი. მნიშვნელოვანი იყო, აგრეთვე, პერიოდული გამოცემის სახელწოდება, რომელსაც არა მხოლოდ ქართველი მკითხველი საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. სწორედ ამიტომაც, ცალკეულ პერიოდულ გამოცემათა დამაარსებლები ცდილობდნენ სათაურშივე გამოეხატათ დამოკიდებულება ეროვნული ფასეულობებისადმი, რითაც ერთგვარად იზრდებოდა მკითხველთა სიმპათია პერიოდული გამოცემის მიმართ.

სახელწოდება „საქართველოს მოამბე" ამ მხრივ ნამდვილად მისაბაძი იყო ქართველი მკითხველისათვის. თუ მანამდელი პერიოდული გამოცემები უფრო ტრადიციულ ზოგად ლიტერატურულ ტენდენციებზე ამახვილებდნენ ყურადღებას, ამ შემთხვევაში ყველაზე უმთავრესი სწორედ ეროვნული – მშობლიური ქართული აღმოჩნდა და მას „საქართველოს მოამბე" ეწოდა.

ილიას ასევე ძალიან კარგად ესმოდა, რომ ჟურნალში დაბეჭდილი მასალის შინაარსი პირდაპირპროპორციული უნდა ყოფილიყო მკითხველი საზოგადოების ეროვნული ინტერესებისა. ამის გამოცდილება ილიას ჯერ კიდევ ჟურნალ „ცისკრიდანაც" ჰქონდა, როდესაც სწორედ მან, პირველმა გამოუცხადა ბრძოლა რუტინას, სიძველს,

ჩამორჩენილობასა და ზედაპირულობას. გავიხსენოთ მისი წერილი ..ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვიდან შეშლილის თარგმანზედა", რომელიც ივანე კერესელიძის ჟურნალმა „ცისკარმა" 1861 წლის აპრილის ნომერში დაბეჭდა („ცისკარი", 1861, №4). ახალგაზრდა რედაქტორი ძალზე კარგად იცნობდა 1860-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილეს, თუ რას წარმოადგენდა და ვინ იყო იმდროინდელი ქართველი მკითხველი? როგორი იყო მათი სულიერი და გონებრივი ავლადიდება, რას მოითხოვდა იგი რედაქტორისა თუ ჟურნალისაგან. XIX საუკუნის 60-იანი წლები ქართული ინტელიგენციის დიფერენცირების პროცესია. ასპარეზზე – ვაჭართა, ხელოსანთა, სასულიერო წოდების პირთა ოჯახების წარმომადგენლები გამოდიან. სწორედ ესენი არიან ნამდვილი მკითხველები, ეროვნული საქმის გულშემატკივრები, ღარიბ–ღატაკები კი ჯერ კიდევ მტკიცედ არ არიან დამკვიდრებული საზოგადოებრივ ასპარეზზე. ეს ის პერიოდია, როცა ქართველ მკითხველთა დიდი ნაწილი მოუმზადებელია მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცვლილებებისათვის, მათ უმეტესობას – „ყარამანიანისა" და „ვისრამიანის" გარდა, არაფერი წაეკითხა. ამ სინამდვილის საუკეთესო მაგალითია ვინმე ტატო მაყაშვილი, რომელიც 1860 წლის სექტემბრის „ცისკარში" წერს: „ ... დამაფიქრა ბაქარ ქართლელის წიგნმა და შემაწუხა, ასე მგონია ჩემი გულითადი მეგობარი ჩამოსულა და ბაქარ ქართლელისათვის უანბნია ჩემი გარემოება-მეთქი. „ცისკარი" ვეღარ გამოვიწერე და უფალი რედაქტორი, რადგანაც მიცნობდა, უფასოდ მიგზავნიდა „ცისკარსა"... მიყვარს სხვამ წაიკითხოს და მე ყური ვუგდო იმ წიგნსა, რომელშიაც მე ფული მიმიცია... არ ვიცი რას მივაჩემო? დიდკაცობასა, დაუდევნელობასა თუ ზარმაცობასა. თავი ისე გავიმართლე, ბევრი წავიკითხო, თვალები მეტკინება მეთქი... ამ მიზეზებს ვფიქრობ და მეზარება წაკითხვა..." („ცისკარი",1860 წ. №9).

ქართული ჟურნალის მეორე უსერიოზულეს ამოცანას წარმოადგენდა ერთგულ, ნიჭიერ, ღირსეულ თანამშრომელთა მოზიდვა და „საქართველოს მოამბის" მასალებით უზრუნველყოფა. ილიას შესანიშნავად ესმოდა, რომ გ. ერისთავის ჟურნალი „ცისკარი" (1852-53) მასალების ნაკლებობას გადაჰყვა. მკითხველი საზოგადოების ინდიფერენტული დამოკიდებულება ლიტერატურისადმი ცუდ გავლენას ახდენდა მწერალთა განწყობასა და მუშაობაზე, მას ძირითადად ქველმოქმედების ხასიათი ჰქონდა. ნიჭიერ, მაგრამ ეკონომიურად გაჭირვებულ მწერლებსა და პოეტებს ჰონორარს ვერ უხდიდნენ. ენთუზიაზმის ხარჯზე არსებული ლიტერატურული ჟინი სადამდე გაძლებდა? ქართ-

ველ მეცნიერთაგან არავინ იყო დამფინანსებელი და ამდენად, ჟურნალს დამოუკიდებელი მატერიალური სახსარი არ გააჩნდა. მთლიანად ქართველ ხელისმომწერებზე იყო დამოკიდებული ჟურნალის არსებობა. ხელისმომწერები კი, მოგეხსენებათ, დაბალი სოციალური წრის წარმომადგენლები იყნენ და ამდენად, მათ ჟურნალის მთელი წლით გამოწერაც კი უჭირდათ. ეს ყველაფერი დიდი წნეხის ქვეშ ამყოფებდა პერიოდულ გამოცემებს და ამასთან, დაბლა სწევდა ლიტერატურული ნაწარმოების ხარისხს.

რა უნდა ყოფილიყო შექმნილ ვითარებაში ყველაზე საუკეთესო გამოსავალი? როგორ მოახერხებდა ახლად დაარსებული „საქართველოს მოამბე" მძიმე სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის გადალახვას? ამ საქმეში, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ილიას ნიჭიერებას, წინდახედულებასა და თავდადებას ჰქონდა, რომელსაც ბრწყინვალედ ესმოდა, რომ თუ არა იდეურ თანამოაზრეთა წრე, ის გუნდი, რომელიც ერთად შეებრძოლებოდა არსებულ რუტინას, მიზანი მიღწეული ვერ იქნებოდა. ილია გვაფრთხილებდა, იგონებს ი. მანსვეტაშვილი: „ყმაწვილებო, არ მიღალატოთ, თორემ, ხომ იცით, თუ პაჭიჭს ერთი წვერი მოერღვა, გათავდა, პაჭიჭი ბოლომდე ჩაირღვევა, იმის შველა შეუძლებელია. მეც ასეთი თვისება მაქვს, მე შუა გზაზე დადგომა არ ვიცი... რაც არ უნდა მძიმედ დატვირთული ურემი იყოს, უკან არ დავიხევ, ხრამიდგანაც ამოვიტან, თუ უღელში შესაფერისი ტოლები მეყოლებიან, მხარს დამიჭერენ." (მანსვეტაშვილი, 1936:85). ასეთ ბირთვად კი მას მიაჩნდა ლიტერატურულ ასპარეზზე ისეთ გამოცდილ პიროვნებათა ერთობა, როგორებიც იყვნენ: პ. უმიკაშვილი, ვ. თულაშვილი, დ. ყიფიანი, ივ. ბერიძე, ი. პოლტორაცკი, პ. ნაკაშიძე. ი. წინამძღვრიშვილი, მ. ჩიკოიძე, ნ. ნიკოლაძე, აკ. წერეთელი. საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ილია თავის თანამოაზრეებთან ერთად ხშირად მართავდა კერძო კრებებსა და განხილვებს თბილისის სხადასხვა თაობის წარმომადგენლებთან. ილია ასევე ინტენსიურ მიმოწერას აწარმოებდა პეტერბურგელ სტუდენტებთან – კირ. ლორთქიფანიძესთან, გ. წერეთელთან... მიუხედავად ახალგაზრა ასაკისა, ილია ყველანაირად ცდილობს საქმის წამოსაწყებად ძალების მაქსიმალურ მობილიზებას. ამ მიზნით მან დასავლეთ საქართველოში „საქართველოს მოამბის" სასარგებლოდ მუშაობა თხოვა ისეთ ნიჭიერ და საინტერესო ადამიანებს, როგორებიც ნ. ნიკოლაძე, ნ. ღოღობერიძე, ი. მამაცაშვილი, გ. ღოღობერიძე იყვნენ. ჟურნალის სასარგებლოდ ილიამ პროფესიონალ და არაპროფესიონალ ლიტერატორთა მთელი გუნდი აამუშავა და საუკეთესოდ წარმართა პროპაგანდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში: კახეთი, იმერეთი, გურია,

ქართლი, სამეგრელო... ისინი საქართველოს ფარგლებსაც გასცდნენ და მოიცვეს: პეტერბურგი, მოსკოვი, ხარკოვი, სარატოვი, როსტოვი...

ამ დიდ ენთუზიაზმს ილიას მიმართ მთელი რიგი წინააღმდეგობაც თან ახლდა ხოლმე რიგ თანამშრომელთა მხრიდან. ზოგიერთ მათგანს ეჭვი შეპარვია, რამდენად გაამართლებდა ჟურნალი და ეყოლებოდა თუ არა მას ხელისმომწერი. ამის თაობაზე საინტერესოა ნიკ. ღოღობერიძის ერთი კერძო ბარათი მიწერილი კირ. ლორთქიფანიძისადმი 1863 წელს. „... მე ვუთხარი ილია ჭავჭავაძეს, რომ შეუძლებელს საქმეს იწყობთ თქო. არავინ მომზადებულნი არა ვართ-თქო ამ საქმისათვის და სხვადასხვა. ამაზედ მან მოიყვანა ჩვეულებრივი თავისი არგუმენტი: სულ ამას ვამბობთ და საქმეს ხელს არ ვკიდებთო. რომ დავიწყებთ ჟურნალის გამოცემას, მაშინ გამოჩნდებიან მწერლებიცო და ჩვენც გავიწვრთნებით წერაშიო. (კალანდაძე,1985:25). ილია ჭავჭავაძეს 1862 წლის თებერვალში შეაქვს განცხადება კავკასიის მთავარმართებლობის კანცელარიაში ჟურნალის გამოცემის ნებართვაზე. ამ პერიოდში კავკასიის მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი, ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტი, გრ. ორბელიანია. სწორედ გრიგოლ ორბელიანის ხელმოწერით დამტკიცებული იქნა ჟურნალ „საქართველოს მოამბის" პროგრამა. „გრ. ორბელიანმა უდავოდ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია ამ საქმეში ახალგაზრდა მოღვაწეს." (მახარაძე,1957:125). 1862 წ. ოქტომბრის „ცისკარში" დაიბეჭდა ცნობა: „1863 წ. იანვრიდამ გამოიცემა ტფილისში ახალი ქართული ჟურნალი „საქართველოს მოამბე". ამ ჟურნალში მთელი წლის განმავლობაში შემოვლენ შემდგომნი ნაწილები:

1. წმინდა სალიტერატურო (ლექსები, მოთხრობები, დრამები, კომედიები, ნათარგმნი...)
2. ისტორიული: საზოგადო ისტორია. განსაკუთრებით საქართველოსი და კავკასიისა.
3. საპოლიტიკო და სოფლური ეკონომია
4. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
5. სხვადასხვა ანბავი
6. დამატება

ამ პროგრამას ამჟამად არაფერს ვუმატებთ, რაც შეეხება ჟურნალის ხასიათს და მიმართულებას იმაზედ არაფერს ვიტყვით; ჩვენ ვირჩევთ, რომ თვითონ ჟურნალმა გამოიჩინოს თავისი თავი, თვითონ საქმეში გამოსთქვას თავისი ხასიათი და არჩეული გზა. ეს ემჯობინება ყოველ წინასიტყვაობას. ჩვენ გვსურს ვემსახუროთ საზოგადოებას, ვარგოთ და გამოვადგეთ, ამისათვის ვიკისრეთ ჟურნალის გამოცემა, სურვილი ჩვენი გულწრფელია და ჭეშმარიტი, და თუ ღონე

შეგვეწევა და ცოტათი მაინც აღვასრულეთ ჩვენი სურვილი, ამისაც კმაყოფილი ვიქნებით. ჩვენის მხრით, რასაც კი შევსძლებთ, არას დავზოგავთ, დანარჩენი თვით საზოგადოებაზედ ჰკიდია".(ცისკარი, 1862, №10). ილია ჭავჭავაძემ ჟურნალის თითოეულ განყოფილებას ნიჭიერი და თავისი საქმის პროფესიონალები ჩაუყენა. „ისტორიული ნაწილის რედაქტორი ნიკო ღოღობერიძე, სხვადასხვა ამბავი – დავით ყიფიანი, საპოლიტიკო და სოფლიური ეკონომია – ივ. სერებრიაკოვი. ამგვარად ჟურნალს გარს უნდა მოხვეოდნენ ლიტერატურის კეთილმოღვაწენი და ერთმანეთის შემწეობით და თანამშრომლობით ლიტერატურა დაეყენებინათ ღირსეულ ხარისხზედ. („კრებული", 872, №8-9). ასეთმა პრინციპულმა და დაუზარელმა, მუხლჩაუხრელმა საქმიანობამ და პროპაგანდამ დიდი ავტორიტეტი მოუპოვა ჯერ კიდევ გამოსვლამდე „საქართველოს მოამბეს". სანამ ჟურნალი „საქართველოს მოამბე" დღის სინათლეს იხილავდა, მას დაახლოებით 500 ხელისმოწერი გაუჩნდა... ტირაჟი კი 700-ს აღწევდა. ჟურნალის I ნომერი 1863 წლის 7 თებერვალს მიიღო ქართველმა მკითხველმა. იბეჭდებოდა გაბრიელ მელქუმიანცისა და ამბარცუმ ენფიანჯიანცის სტამბაში. ილია თავად ასწორებდა კორექტურას. თორმეტი ნომერი დაყოფილია ოთხ ტომად. გამოდიოდა ყოველთვიურად „შვიდი თაბახიდამ ათამდე – 122 – 160 გვერდი."(კალანდაძე,1985:30). გამოწერა - „შინ გაგზავნით" წლიურად ერთი თუმანი, გაუგზავნელად ცხრა, ცალკე ნომერი 85 კაპიკი. რედაქცია მოთავსებული იყო 1863 წლის ივლისამდე გოლოვინის, (ამჟამინდელი რუსთაველის პროსპექტი), ივ. მუხრანსკის სახლში; ეხლანდელი კავშირგაბმულობის სამინისტროს შენობა. ივლისიდან ოლღა გურამიშვილის მამიდას სიდონია სევარსამიძისეულ სახლში გადავიდა.

ილია ჭავჭავაძის სარედაქციო კოლეგიალურ მუშაობაზე გრიგოლ ყიფშიძე მოგვითხრობს: „მთელი რედაქცია იღებდა მონაწილეობას წერილების სწორებაში იმის მეთაურობითა და ხელმძღვანელობით. ეს იყო ღამ-ღამობით. უსხედით გარშემო მაგიდას თანამშრომელნი და ვასწორებდით ჩვენისა და სხვის წერილების ენას. ღამე გატყდებოდა, მამლები ყივილს დაიწყებდნენ და თავს დაგვათენდებოდა ამ მუშაობაში; ისე დავიჭანცებოდით, რომ სავატობა აღარ გვქონდა, ილიას-კი არ მახსოვს, ან დაღლილობა შემჩნეოდეს, ან ძილი მოჰკიდებოდეს, ისეთს ხალისზედ და ჯავარზედ იყო უკვე ორმოცდაათს წელს გადაცილებული კაცი. (ყიფშიძე,1907:98-99)

ილია რედაქტორობის პერიოდში ყოველნაირად ცდილობს, პოზიცია, რომელსაც თავად ადგას, თავისსავე თანამშრომელთა პუბლიცისტურ წერილებში გამუღავნდეს და ჟურნალში დაიბეჭდოს. დიდი

პოეტური ნიჭი – ნასაზრდოები და ნაპურები დროის შეგრძნების მეტად მაღალი გემოვნებით, იშვიათი კრიტიკული ანალიზის უნარითა და წინათგრძნობით, ილია ჭავჭავაძეს სძენდა უნარს გამოუვალი კრიტიკული სიტუაციიდან უმტკივნეულოდ გამოსვლისა. ილიას გონებრივი ჰორიზონტი ფართო და ყოვლისმომცველი იყო. იგი არასდროს იფარგლებოდა მხოლოდ ნაციონალიზმის ნიშნით. ბრწყინვალედ იცნობდა ევროპულ და რუსულ (საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, რუსეთი, იტალია), (მას გარიბალდის პორტრეტი სამუშაო კაბინეტში ეკიდა), სახელმწიფოთა საზოგადოებრივ – პოლიტიკურ – ლიტერატურულ მემკვიდრეობას. ამ ცოდნათა ანალიზის საფუძველზე ჩამოუყალიბდა გარკვეული მსოფლმხედველობა, რომელიც თავიდან ბოლომდე „ქართული დვრიტით" იყო გაპოხიერებული და სამშობლო ქვეყნისადმი ერთგულ სამსახურს ისახავდა მიზნად. უპირატესობა კი საჟურნალო საქმიანობაში, პუბლიცისტისა და რედაქტორის მხრიდან, ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს ენიჭებოდა, როგორებიც იყო: ბატონყმური ინსტიტუტის კრიტიკა, ძველთაობელთა მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიის ბოლომდე გახსნა, ეკონომიკური საკითხების წინა პლანზე წამოწევა, პოლიტიკური საკითხები, ევროპული აზროვნება და მსოფლმხედველობა, მკითხველისადმი სიმპათია, მაგრამ არა რიდი, შიში და მოკრძალება. ილიას ესმოდა, რომ საკუთარი თავის დაბალი ლიტერატურული გემოვნების მქონე მკითხველებამდე გაყადრება, ვერც ერთ შემთხვევაში წარმატებული ვერ იქნებოდა. მოცემულ მომენტში ფიქრი იმაზე, თუ ვის მოეწონებოდა მისი ნათქვამი, ვის მოულბობდა და მოუფონავდა გულს ან ვის გულს გაახარებდა, შეუძლებელი იყო. საინტერესოა ჟურნალთან დაკავშირებით ცნობილ ადამიანთა შეხედულებები. ნიკო ნიკოლაძე ცოტა მოგვიანებით ამბობდა: „...დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის" საქმე, მაგრამ არც 1863 წელს იყო ეს დაფარული ვისმესთვის, ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს" უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა გზა, შეექმნა ახალი სასიყვარულო მიზანი – მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება".(ნიკოლაძე, „კრებული", 1872, №10-12). ასევე საინტერესოა ცნობილი ქართველი მოაზროვნის არჩილ ჯორჯაძის სიტყვები: „გარდა სარედაქციო წერილებისა,–აღნიშნავდა არჩილ ჯორჯაძე–ჟურნალის მიმართულება ისახებოდა შინაური ცხოვრების მატიანეში. საუბედუროდ, საცენზურო პირობების გამო, ამ ხასიათის წერილებს ბევრს ვერ ვხედავთ ჟურნალში, ხოლო, რაც დაწერილია, დიდი ყურადღების ღირსია".(ჯორჯაძე,1913:79). „მოამბის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში შესანიშნავ მოვლენად დარჩება სამუდამოდ. მკითხ-

ველმა საზოგადოებამ პირველად ნახა და შეიტყო, რა არჩევით უნდა იბეჭდებოდეს ნაწერი, რა სიცოცხლე უნდა ეტყობოდეს ნაწერსა და როგორ უნდა ელაპარაკებოდეს მწერალი მკითხველს... ილია ჭავჭავაძემ მისცა ამგვარად ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურასა. იმის კრიტიკულ სტატიამდინ არც კი იცოდნენ, რა არის მიმართულება ლიტერატურისა ანუ კაცისა. თვით ამ სიტყვის შემოღება, „მიმართულება", ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის," – წერდა პ. უმიკაშვილი ჟურნალ „კრებულში" (1872, №8-9).

თამამად შეიძლება ითქვას, ილია ჭავჭავაძის ფენომენალური ნიჭის დასტური ჟურნალი „საქართველოს მოამბეცაა", რომელმაც ღირსეულად გაუღო სინათლისა და სიმართლის კარები ყველა ქართველს, განურჩევლად ასაკისა და წოდებრივი ცენზისა და აჩვენა ყველას ერთად და ცალ-ცალკე, როგორი რუდუნება, შრომისმოყვარეობა და თავდადებაა საჭირო უმეცრების, ჩამორჩენილობისა და სიბნელის მძიმე უღლის მოსაშორებლად, სამშობლო ქვეყნის გაძლიერებისა და თავისუფლებისათვის. მართალია, ამ დიდ და საშვილიშვილო გზაზე მას ხშირად უხდებოდა მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა თვით თავის თანამოძმეთა მხრიდან, მაგრამ არჩეული გზიდან ილია ჭავჭავაძეს არ გადაუხვევია, ეროვნული ინტერესები მეორეხარისხოვან პრობლემად არასოდეს უქცევია. მის მიერ განვლილი გზა არის ნათელი დასტური იმისა, რაოდენ ტიტანური შრომა და გარჯაა საჭირო იმისათვის, რომ ერმა წმინდანის სახელი მოგანიჭოს და „ილია მართალი" გიწოდოს.

Ioseb Sanikidze
Editor of the newspaper "Batumi University"

The struggle of Ilia Chavhavadze for establishing a Georgian journal „moambe"

Summary

Ilia Chavchavadze's magazine "Saqartvelos Moambe" is a clear demonstration of development and advancement of Georgian public opinion in the beginning of 60-s of XIX century. It played an important role in growing and progression of national awareness of Georgian readers. The magazine published by Ilia's effort turned out a real supporter for ordinary Georgians. Simultaneously the same readers were able to find some comfort and hope in it. It shall be said with proud that "Saqartvelos Moambe" helped much the formation of critical thinking and its realization among Georgians.

ლიტერატურა:

1. „ცისკარი", 1861, №4
2. „ცისკარი" 1860 წ. №9
3. ი. მანსვეტაშვილი, მოგონებანი, თბ.1936.
4. „ცისკარი" 1860 წ. №9
5. ალ. კალანდაძე, ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ.III, თბ. 1985
6. აპ. მახარაძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, თბ. 1957
7. „ცისკარი", 1862, №10
8. „კრებული", 1872, №8-9
9. გ. ყიფშიძე, ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება", თბ. 1907
10. ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, „კრებული", 1872, №10-12
11. არჩ. ჯორჯაძე, ტ.V, 1913

ნუგზარ ჩხაიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში წარმოქმნილი სიძნელეები და მათი გადაჭრის გზები

სოციოლოგიური კვლევების ჩატარებისას, ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემად რჩება რესპონდენტების ნაწილის უარი გამოკითხვაში მონაწილეობაზე ან პასუხების არგაცემა ზოგიერთ დასმულ შეკითხვაზე. რესპონდენტების ასპროცენტიანი მონაწილეობა სოციოლოგიურ გამოკითხვებში ჯერ კიდევ მიუღწეველი იდეალია. დასმულ შეკითხვებზე პასუხგაუცემლობა მრავალი მიზეზითაა განპირობებული (რესპონდენტთა არაინფორმირულობა, არაკომპენტენტურობა, უყურადღებობა და ა.შ.). ასეთი ვითარება საკმაოდ უარყოფითად მოქმედებს სოციოლოგიური კვლევის სანდოობის ხარისხზე. სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებისას თუ მკვლევარს უჭირს იმის დადგენა, გამოსაკითხ პირთა რა კატეგორია, რატომ და რომელ კითხვებზე არ სცემს პასუხს, მაშინ საქმე გვაქვს ნაკლებად სანდო სოციოლოგიურ კვლევასთან.

ჩვენი აზრით, ნებისმიერი სოციოლოგიური კვლევის მეთოდიკა არ იქნება სრულყოფილი მანამ, ვიდრე არ იქნება შესწავლილი ის მიზეზები, რომელთა გამოც ამბობს უარს სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი.

ამ პრობლემის გადაჭრა საკმაოდ რთულია. სოციოლოგები ვარაუდობენ, რომ სიძნელეები ძირითადად სამი ფაქტორითაა განპირობებული: 1) შეკითხვებზე პასუხების არგაცემა განპირობებულია რესპონდენტთა გარკვეული ჯგუფის პიროვნული მახასიათებლებით; ბ) ანკეტის შეკითხვებზე რესპონდენტი ვერ პასუხობს იმიტომ, რომ მკვლევარის მიერ დასმული შეკითხვები ბუნდოვნად არის ფორმულირებული და ამის გამო ისინი გაუგებარია გამოსაკითხ პირთა ნაწილისთვის; გ) რესპონდენტის

უარი განპირობებულია, თვით სოციოლოგიური გამოკითხვის პროცესში წამოჭრილი ამა თუ იმ სიძნელეებით (მაგ. ათეისტმა შეიძლება უარი თქვას რელიგიური ხასიათის სოციოლოგიურ კვლევაში მონაწილეობაზე).

სოციოლოგიური პრაქტიკიდან გამომდინარე, ძალიან უჭირთ ანკეტაში დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ხშირად საერთოდ უარს ამბობენ მასში მონაწილეობაზე ხანდაზმული მარტოხელა ადამიანები, უმეტესწილად ქალბატონები. სავარაუდოდ, ეს ძირითადად განპირობებული უნდა იყოს მათი კომპეტენციის დაბალი დონით.

სოციოლოგიური კვლევების ჩატარებისას გამოიკვეთა, რომ მასში მონაწილეობაზე უარს ქალაქელებზე უფრო ხშირად სოფლად მცხოვრები პიროვნებები აცხადებენ. ამის ძირითადი მიზეზი, ჩვენი აზრით, ქალაქში მცხოვრებთა განათლების უფრო მაღალი დონეა. ეს ვარაუდი დასტურდება იმითაც, რომ მაღალგანვითარებულ, ურბანიზებულ ქვეყნებში ჩატარებულ სოციოლოგიურ გამოკითხვებშიც იგივე სურათი იკვეთება.

სოციოლოგების ნაწილში გავრცელებულია აზრი, რომ სოციოლოგიურ გამოკითხვაში რესპონდენტთა ნაწილი უარს მხოლოდ იმიტომ ამბობს, რომ ვერ ხედავს ამ კვლევის ისეთ შედეგს, რომელიც დადებით გავლენას იქონიებს მისი და მისი ოჯახის ცხოვრების პირობებზე. არიან ისეთებიც, რომლებიც შიშობენ, რომ თუ სოციოლოგიურ გამოკითხვაში მიიღებენ მონაწილეობას და დასმულ შეკითხვებს გულწრფელად უპასუხებს, ამით „გასცემენ“ თავიანთი პირადი ცხოვრების გარკვეულ „საიდუმლოებებს“.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ არსებობენ პიროვნებები, რომელთათვის სოციოლოგიური კითხვარის ხარისხს არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. უარი სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე, ძირითადად განპირობებულია მათი გარკვეული ფსიქოლოგიური თავისებურებებით. ასეთი ვითარება არც თუ ისე იშვიათად აბრკოლებს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის სრულფასოვნად ჩატარებას.

დაფიქსირებულია სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის ისეთი „ეგზოტიკური“ მიზეზი, როგორიცაა რესპონდენტის გამოკითხვის დრო. ასეთ შემთხვევაში „დამნაშავე“ უფრო მეტად სოციოლოგია, ვიდრე რესპონდენტი. სოციოლოგმა უნდა გაითვალისწინოს რესპონდენტისთვის ხელსაყრელი დრო და მხოლოდ იმ პერიოდში ჩაატაროს გამოსაკითხი პირის ინტერვიურება.

გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზად რესპონდენტის მხრიდან ხანდახან გვევლინება სოციოლოგის ქცევის მანერა

გამოკითხვის პროცესში. არის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტი უარს ამბობს გამოკითხვაში მონაწილეობაზე იმის გამო, რომ არ მოეწონა, მაგალითად, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა: ინტერვიუერის კატეგორიული ტონი, მისი გარეგნობა, ჩაცმულობა, ეროვნული წარმომავლობა, მასზე მანიპულაციის განხორციელების მცდელობა ინტერვიუერის მხრიდან და ა.შ..

რესპონდენტთა ნაწილი სოციოლოგიურ გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის ძირითად მოტივად აცხადებს ერთი შეხედვით ისეთ უცნაურ მიზეზს, როგორიცაა ანკეტის მოცულობა. ჩვენთან, რატომღაც ძალიან უარყოფითად აღიქვამენ მრავალშეკითხვიან, დიდი ზომის ანკეტებს. გამომდინარე ასეთი ვითარებიდან, უმჯობესია ანკეტა არ იყოს დიდი მოცულობის. ზოგჯერ პრობლემები იქმნება შეკითხვების ფორმულირებასთან დაკავშირებით. არის შემთხვევები, როდესაც ის, რაც შეკითხვაში ცხადი და გარკვეულია ინტერვიურისთვის, გაურკვეველია რესპონდენტისთვის. მაგ. ნ. ბერძენიშვილის სახელობის ს.კ.ი. მიერ საბჭოთა პერიოდში, აჭარის სოფლებში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვებიდან გაირკვა, რომ სიტყვა „კოლექტივი“ ანკეტაში დაკონკრეტებას საჭიროებს, რადგან რესპონდენტთა ნაწილი სიტყვა „კოლექტივის“ ქვეშ მოიაზრებდა მთელ კოლმეურნეობას, ნაწილი კი მხოლოდ საკუთარ ბრიგადას გულისხმობდა.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც საბჭოთა პერიოდში რესპონდენტები უარს ამბობდნენ გამოკითხვაში მონაწილეობაზე, იყო ეჭვი იმის თაობაზე, რომ დაირღვეოდა გამოკითხვის ანონიმურობა. მაგ. ზოგიერთ ორგანიზაციაში, სადაც იგეგმებოდა ნ. ბერძენიშვილის სახ. ს.კ.ი. მიერ სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება, ის არ ჩატარდა მხოლოდ იმის გამო, რომ რესპონდენტებს ეშინოდათ გამოკითხვის შედეგები არ მომხდარიყო მათი ხელმძღვანელობის ხელში.

1970-80-იან წლებში თითქმის შეუძლებელი იყო ე.წ. პარტიულ-სამეურნეო აქტივის სოციოლოგიური გამოკითხვა. სამსახურის დაკარგვის შიშით, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ანკეტის შინაარსის გაცნობისთანავე უარს ამბობდა გამოკითხვაში მონაწილეობაზე.

იმ პერიოდში, ასევე თითქმის შეუძლებელი იყო სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარება რელიგიურ თემაზე. მოსახლეობის უმეტესობა საგანგებოდ მალავდა თავის აღმსარებლობას და თავს იკავებდა შეკითხვებზე პასუხის გაცემისგან.

იყო შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ორგანიზაციაში სოციოლოგიური გამოკითხვის ჩატარებას ართულებდა ადგილობრივი მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელობის პოზიცია. მაგ. 1981 წელს ნ. ბერძენიშვილის ს.კ.ი.-ის მიერ დაწყებული სოციოლოგიური კვლევა სალიბაურის საბჭოთა მეურნეობაში ჩაიშალა იმ მიზეზით, რომ მისმა ხელმძღვანელობამ თანამშრომლებს მიუთითა იმის თაობაზე, რომ დასმულ შეკითხვებზე მხოლოდ დადებითი პასუხები გაეცათ. ასეთმა ვითარებამ დააკნინა გამოკითხვის ხარისხი, შეამცირა მისი სანდოობის დონე და ჩვენ იძულებულნი გავხდით შეგვეწყვიტა კვლევა.

სოციოლოგიურ გამოკითხვაში დასმულ შეკითხვებზე რესპონდენტის მხრიდან პასუხებზე თავის არიდების პროფილაქტიკის საუკეთესო საშუალებად გვესახება რესპონდენტის ინფორმირება იმის თაობაზე, რომ მის მიერ პასუხგაცემული ანკეტა მოთავსდება კონვერტში და დაილუქება (ამის გაკეთება შეიძლება შევთავაზოთ გამოსაკითხ პირსაც იყოს შეთავაზებული). ასეთი ქმედება მნიშვნელოვნად აამაღლებს ნდობას სოციოლოგიური კვლევისადმი და ძალიან ბევრ შემთხვევაში გადააფიქრებინებს რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობაზე უარის თქმას.

ხშირად გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზია შეკითხვაზე პასუხების ვარიანტების სიმცირე და პრიმიტიულობა. მაგ. დასმულ შეკითხვაზე მოგწონთ თუ არა ესა თუ ის პიროვნება, პასუხი შემოიფარგლება „დიახ“ და „არა“-თი. საჭიროა პასუხები იყოს დიფერენცირებული და მრავალვარიანტული, რაც დააინტერესებს რესპონდენტს აქტიურად მიიღოს მონაწილეობა გამოკითხვაში. ზემოთ დასმულ შეკითხვაზე მრავალვარიანტიანი პასუხის მოდელი შეიძლება, პირობითად, შემდეგნაირი იყოს: ა) ძალიან მომწონს; ბ) საკმაოდ მომწონს; ე) არ მომწონს; ვ) უფრო არ მომწონს, ვიდრე მომწონს; ზ) ძალიან არ მომწონს; თ) მეზიზღება; ი) მიჭირს პასუხის გაცემა.

არსებობენ ე.წ. „მერყევი“ და „გაუბედავი“ რესპონდენტებიც. მათთან ურთიერთობისას, მთავარია მათი დათანხმება გამოკითხვაში მონაწილეობაზე, რაც მყარი არგუმენტების მოშველიებით უნდა მოხდეს. ასეთი რესპონდენტები, სოციოლოგების აზრით, არაფრით ჩამოუვარდებიან თავიანთი პასუხების ხარისხით იმ რესპონდენტებს, რომლებიც ყოველგვარი წინააპირობის გარეშე დათანხმდნენ გამოკითხვაში მონაწილეობაზე. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თუ რესპონდენტი ძალიან ჭირვეულობს, უმჯობესია მასთან ურთიერთობები შეწყდეს და მოხდეს

მისი ჩანაცვლება სხვა რესპონდენტით. სოციოლოგიაში ასეთი ქმედება საკმაოდ გავრცელებულია და მას პირობითად „შერჩევის რემონტი“ ეწოდება.

არის შემთხვევები, როდესაც რესპონდენტი ანკეტაში „აღმოაჩენს“ ისეთ შეკითხვას, რომელზეც პასუხის გაცემა მას არ სიამოვნებს. მაგ. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლის მიზნით, ზოგიერთ ანკეტაში შეაქვთ შეკითხვა ასეთი ფორმულირებით – „შიმშილობს თუ არა თქვენი ოჯახი“ – ასეთი არაკორექტული შეკითხვის გამო, რესპონდენტთა ნაწილმა შეიძლება თავი შეიკავოს გამოკითხვაში მონაწილეობისგან. ამ შემთხვევაში უმჯობესია ეს შეკითხვა უფრო „რბილი“ ფორმულირებით ჩამოვაყალიბოთ. მაგ. „როგორია თქვენი ოჯახის მატერიალური მდგომარეობა“.

რესპონდენტთა ნაწილი სხვადასხვა მიზეზების გამო ძალიან უფრთხის პოლიტიკური ხასიათის შეკითხვებს. რესპონდენტმა ამ გარემოების გამო უარი რომ არ თქვას გამოკითხვაში მონაწილეობაზე, უმჯობესია, პირდაპირ კი არ ვკითხოთ, რომელ პოლიტიკურ პარტიას ან პოლიტიკოსს უჭერს მხარს არჩევნებზე, არამედ გაცილებით ეფექტური იქნება მას შევეკითხოთ, თუ რომელი პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკოსი ესიმპათიურება უფრო მეტად. უკიდურეს შემთხვევაში კი შეიძლება შევეკითხოთ იმის თაობაზე, რომ ხელისუფლების სათავეში ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემთხვევაში, შეიცვლება თუ არა ვითარება ქვეყანაში მოსახლეობისთვის სასიკეთოდ. ამ კითხვაზე პასუხი ირიბად დაადასტურებს რესპონდენტის პოლიტიკური აქტიურობის დონეს და პოლიტიკურ სიმპათიებს.

ხშირად გამოკითხვაში მონაწილეობაზე უარის თქმის მიზეზი არის ე.წ. კითხვა-ფილტრების ხშირი გამოყენება სოციოლოგიურ ანკეტაში. კითხვა-ფილტრით დგინდება, თუ რამდენად გულწრფელია რესპონდენტი თავის პასუხებში. მაგ. შეკითხვაზე–დადიხართ თუ არა ხშირად ბათუმის დრამატული თეატრის სპექტაკლებზე, თუ რესპონდენტი დადებით პასუხს სცემს, ხოლო მომდევნო შეკითხვაზე–დაასახელოს თეატრის სამი საუკეთესო სპექტაკლი და სამი მსახიობი, არა აქვს პასუხი, აშკარაა, რომ ის ცრუობს. სოციოლოგების აზრით, კითხვა-ფილტრების ხშირი გამოყენება ზრდის ანკეტის მოცულობას და ართულებს კვლევის ჩატარებას. ამიტომ მათი გამოყენება არაფერს მატებს სოციოლოგიური

კვლევის ხარისხს და უმჯობესია რესპონდენტთა გამოკითხვა ტრადიციული მეთოდით ჩატარდეს.

სოციოლოგიას, მის პრესტიჟს, დიდ ზიანს აყენებს პოლიტიკურად ანგაჟირებული კვლევები. როგორც ცნობილია, 2016 წლის ოქტომბერში საქართველოში ტარდება საპარლამენტო არჩევნები. „მოწინავე“ პოზიციებს ამ არჩევნებისადმი მიძღვნილ კვლევებში ტრადიციულად იკავებენ ამერიკული „წარმოშობის“ „საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი“ – „აი-რაი“ და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი–„ენ-დი-აი“. ამ ორგანიზაციების კვლევები რომ არასანდოა, დადასტურდა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. მაგ. მაშინ არჩევნებამდე სამი კვირით ადრე „ენ-დი-აიმ“, დამარცხებულ პარტიას („ნაციონალური მოძრაობა“) სამჯერ უფრო მაღალი მაჩვენებელი „დაუხატა“, ვიდრე გამარჯვებულის („ქართული ოცნება“). ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა სოციოლოგიის ისტორიაში. მსგავსი რამ არასოდეს მომხდარა. ხოლო „სიმპათიის რეიტინგში“ ბიძინა ივანიშვილს არა მარტო მ. სააკაშვილი უსწრებდა მნიშვნელოვნად, არამედ „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი გიორგი თარგამაძეც. იმავე ორგანიზაციების მიერ ახლახან ჩატარებულ „კვლევებშიც“ იგივე სიტუაცია განმეორდა– ყველაზე მოწონებულ პოლიტიკოსად „ნაციონალი“ დავით ბაქრაძე გამოცხადდა, ხოლო ბიძინა ივანიშვილის რეიტინგი პირიქით–ყველაზე დაბალი აღმოჩნდა. ამას თუ დავუმატებთ ერთ ისეთ სოციოლოგიურ „საოცრებას“, როდესაც „ენ-დი-აის“ მიერ 2012 წლის არჩევნებამდე გამოქვეყნებულ პოლიტიკურ რეიტინგებსა და არჩევნებზე დაფიქსირებულ რეალურ შედეგებს შორის დაფიქსირებულია 41%-იანი სხვაობა (ყველა ეს მასალა დევს ინტერნეტში, ამიტომ ჩვენ აღარ შევუდგებით მის დეტალურ განხილვას), შეიძლება ცალსახად დავასკვნათ, რომ ზემოთაღნიშნულ სოციოლოგიურ კომპანიებს ქართული საზოგადოება შეცდომაში შეგყავს.

ყოველივე ეს ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ ეს ორგანიზაციები „ნაციონალური მოძრაობის“ და პირადად მ. სააკაშვილის ინსტრუქციების მიხედვით მოქმედებენ. ასეთი ქმედების მიზანი ნათელია–„ნაციონალები“ გრძნობენ, რომ არჩევნებს წააგებენ და ამიტომ აკეთებენ ყველაფერს, რათა დაამკვიდრონ მოსაზრება არჩევნების გაყალბების შესახებ, ხოლო უშუალოდ არჩევნების დღეს ყალბი ეგზიტპოლებისა და საარჩევნო უბნებზე პროვოკაციების გზით შეეცდებიან უცხოელ დამკვირვებლებსა და მთელ ცივილიზებულ სამყაროს აღუძრან ეჭვი არჩევნების რეზულტა-

ტების მიმართ, რამაც შეიძლება არჩევნების ლეგიტიმურობა სათუო გახადოს. სამწუხაროდ, ამერიკასთან და ევროკავშირთან ურთიერთობების „გაფუჭების“ შიშის გამო, პარტია „ქართულ ოცნებას“ ბოლომდე არ მიჰყავს სოციოლოგიური მანიპულაციების გამოაშკარავებისა და მათი ავტორების მხილების პროცესი. უნდა ითქვას ისიც, რომ დღეს არსებობს აბსოლუტურად თავისუფალი მოქმედების ველი იმათთვის, ვისაც გაუჩნდება პრეტენზია, იკვლიოს საზოგადოებრივი აზრი. ამ თავისუფლებას კი ზოგიერთი სოციოლოგიური კომპანია ბოროტად იყენებს.

ზოგადად, უნდა ითქვას, რომ ნებისმიერი სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების დასაბუთებულ შეფასებას სჭირდება კვლევის შიდა „სამზარეულოს“ ცოდნა და დროის იმავე მონაკვეთში ჩატარებული სხვა ანალოგიური კვლევა, რომელიც მონაცემების შედარების შესაძლებლობას მოგვცემს. „სამზარეულოს“ ცოდნაში იგულისხმება საველე კონტროლის ჩატარებაც, როდესაც შესაძლებელია რესპონდენტთაგან მიღებული ინფორმაციის გადამოწმება. სოციოლოგიური კვლევების სოლიდური დამკვეთები (მაგ. გაეროს ორგანიზაციები), კვლევების სანდოობის ამაღლების მიზნით, სპეციალურად ქირაობენ სხვა სოციოლოგიურ კომპანიებს, რომელთაც საველე სამუშაოების მონიტორინგი ევალებათ. „ენ-დი-აი“ და „აი-რაი“ ასე არ იქცევიან. ამ ორგანიზაციების მიერ, სოციოლოგიური გამოკითხვების წარმოების პერიოდში საქართველოში არც ერთი ალტერნატიული კვლევა არ ჩატარებულა. მაშასადამე აღნიშნული კვლევების შედეგები ეჭვის ქვეშ დგება და მოსახლეობის დიდი ნაწილი მას უნდობლობას უცხადებს.

ზოგადად თუ ვიტყვით, მიუხედავად დიდი მცდელობისა, არაზუსტი რეიტინგების გავრცელებას მოქალაქეთა პოლიტიკურ არჩევანზე დიდი გავლენის მოხდენა მაინც არ შეუძლია. ამ მხრივ სოციოლოგიის შესაძლებლობების გადაჭარბებით შეფასება არასწორია. სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგებს არ შეუძლია არსებული რეალობის შეცვლა და პოლიტიკური განწყობების მასობრივად პროვოცირება. ამის პოტენცია უფრო მეტად აქვთ ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომლებიც საზოგადოებასთან კომუნიკაციის ბერკეტებს ფლობენ. თუმცა, კარგად ჩატარებული სოციოლოგიური კვლევა უნდა იძლეოდეს ობიექტურ ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ როგორია საზოგადოების პოლიტიკური განწყობა.

სოციოლოგიური კვლევების კუთხით სიტუაციის გამოსწორება შეიძლება ისეთი მძლავრი ქართული (მათ შორის რეგიონული) ალტერნა-

ტიული ცენტრების ჩამოყალიბების გზით, რომელთა კვლევის შედეგები სანდოობის მაღალი ხარისხით ისარგებლებდა. სამწუხაროდ, დღეისათვის „ენ-დი-აის“ და „აი-არ-აის“ ფსევდორეიტინგები რჩება საქართველოთი დაინტერესებული ყველა სახელმწიფოს, ორგანიზაციის და კონკრეტული პირებისთვის ინფორმაციის ერთ-ერთ და არცთუ იშვიათად, ერთადერთ წყაროდ. პოლიტიკოსების ნაწილი კი მათზე სრული სერიოზულობით მსჯელობს, რაც უარყოფითად აისახება ქვეყნის იმიჯზე.

სოციოლოგიური კვლევის შედეგებმა ობიექტურად რომ ასახოს არსებული რეალობა, საჭიროა მნიშვნელოვანი, სახელმწიფო მასშტაბის ყველა კვლევა ერთსა და იმავე პერიოდში, ერთი და იგივე მეთოდოლოგიით და იდენტურად ფორმულირებული კითხვებით ჩატარდეს. სოციოლოგიური კვლევების სანდოობის ხარისხის ამაღლებას ხელს შეუწყობს, აგრეთვე, ინტერვიუერების პლანშეტური კომპიუტერებით აღჭურვა. ამ შემთხვევაში მათ შეეძლებათ ინტერვიუს ჩაწერა და შესაბამის ბაზაში ატვირთვა, რაც მოხსნის სოციოლოგიური კვლევის თაობაზე არსებულ ეჭვებს.

ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას – წინასაარჩევნო კვლევების სანდოობის ხარისხი ყოველთვის დადგება ეჭვის ქვეშ, თუ სოციოლოგიური კვლევის სტანდარტების დაცვას თვალი არ მიადევნა პროფესიულმა მონიტორინგულმა ჯგუფმა. სამწუხაროდ, ასეთი სტრუქტურა ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით არ არსებობს.

ჩვენი აზრით, ასეთი სავალალო მდგომარეობის გამოსწორება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს ხელისუფლება, შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დააფუძნებს მძლავრ ეროვნულ სოციოლოგიურ ცენტრებს, მათ შორის აჭარაშიც.

ასეთი სტრუქტურების ჩამოყალიბების შემთხვევაში, აღარ იქნება იმის საჭიროება, რომ იფუნქციონირონ სოციოლოგიურმა კომპანიებმა, რომელთა საქმიანობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

Нугзар Чхаидзе

Некоторые вопросы достоверности социологическых исследований

Р е з ю м е

В статье подчёркнуто, что репрезентативность выборки являеться важнейшим фактором доставерности социологических исследований.

Особо подчёркиваеться, что теоретическое обоснование репрезентативности возможно только тогда, когда выборка и генеральная совокупность не различаются по определяюшим данное явление факторам. Однако это невозможно установить до начала исследования, поскольку целью исследования, как правило, и является выявление этих факторов. Именно поэтому обсолютной уверенности в правильности индуктивных обобшений на основе изучения выборки не может быть никогда.

ვახტანგ მიქაშავიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჟანი მიქაშავიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი

ტურიზმი და დაცული ტერიტორიები

ეკოტურიზმისა და დაცული ტერიტორიების განვითარება – ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებელი პირობა

ტურიზმი, როგორც თანამედროვე ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი, ახალი ათასწლეულის დასაწყისში, ამ საუკუნის სოციოკულტურულ ფენომენად იქნა აღიარებული. თანამედროვე ტურიზმმა, როგორც სწრაფად განვითარებადმა დარგმა, მოიცვა ეკონომიკისა და საზოგადოების თითქმის ყველა სფერო და შეიძლება ითქვას, შეცვალა საზოგადოებრივი სამყარო. ტურიზმი ეკონომიკისა და ბიზნესის წარმატებული განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი გახდა. მისი როლი და მნიშვნელობა განუწყვეტლივ იზრდება როგორც მსოფლიო ეკონომიკაში, ისე ცალკეულ ქვეყნებსა და საზოგადოებაში მთლიანად. რაც შეეხება საერთაშორისო ტურისტულ შემოსავლებს მან საექსპორტო შემოსავლების ჩათვლით მიაღწია რეკორდულ ნიშნულს -1,5 ტრილიონ აშშ დოლარს ანუ საშუალოდ 4 მლრდ აშშ დოლარს დღეში.

ეკონომიკურ-სტატისტიკური მონაცემებით ტურიზმმა, როგორც საექსპორტო კატეგორიამ დაიკავა მეოთხე ადგილი მსოფლიოში სათბობის, ქიმიკატების და კვების პროდუქტების შემდეგ და ამასთან, ერთად პირველი ადგილი ბევრი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაში.

რაც შეეხება საქართველოს, იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდა ტურისტული ქვეყანაა. მისი ტურისტული პოტენციალიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მას ჯერ კიდევ მომავალი წინ აქვს, იგი განვითარების საწყის ეტაპზეა. 2014 წელს საერთაშორისო ტურსტულმა შემოსვლებმა საქართველოში შეადგინა ორი მილიონ 218 ათასი ტურისტი, ხოლო შემოსავლებმა 1 მილიარდ 787 ათასი აშშ დოლარი. საქართველოს, როგორც მდიდარი ტურისტული პოტენციალის ქვეყნისათვის, ეს მაჩვენებლები ძალიან მცირეა და ჩვენი აზრით, არც ისე დიდი დრო დასჭირდება მის გაორმაგებას.

საქართველოში მრავალფეროვანი ბუნებრივ-გეოგრაფიული რესურსებია. ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და ტრადე-

ციული სამეურნეო საქმიანობის მდიდარი გამოცდილების მქონე ქვეყნებისათვის ტურიზმის განვითარება შეიძლება მიჩნეული იქნას ქვეყნის ეკონომიკის დაჩქარებული აღმავლობის, მისი ეკონომიკური უსაფრთხოების რეალურ საშუალებად. საქართველოს ხილვით აღფრთოვანებულმა მრავლისმნახველმა მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბატონმა ფრანჩესკო ფრანჯიალიმ წარმოთქვა სიტყვები: „მე ვნახე საქართველო და დავრწმუნდი, რომ ეს პატარა ქვეყანა „განწირულია“ დიდი ტურიზმისათვის. ამ სიტყვებით პირდაპირ აღიარებულია, რომ ტურიზმი საქართველოს მომავალია, რომ დიდი ტურიზმი ამ ქვეყანაში აუცილებლად განვითარდება, მაგრამ საკითხი ასე დგას: მალე დადგება ეს დრო თუ იგი გახანგრძლივდება (შუბლაძე, 2004:9-10, 7). მართლაც, რომ გასაკვირია ამ პატარა ქვეყნის მრავალფეროვნება. ჩვენს ქვეყანაში წარმოდგენილია თითქმის ყველა კლიმატი ტროპიკების გარდა. იგი დაჯილდოებულია შესანიშნავი ბუნებით, რბილი კლიმატით, რბილი ჰავით, დიდებული კავკასიონის მთებით, ზღვის ულამაზესი ქალაქებით, 756 ტბით, 2600 მდინარით, ჩანჩქერებითა და უნიკალური პირველქმნილი ლანდშაფტით, 102 კურორტითა და 182 საკურორტო ადგილით, 2400-მდე მინერალური და თერმული სამკურნალო წყლებით. იგი მდებარეობს ევროპასა და აზიის შესაყარზე. სიახლოვის გამო საქართველოში მგზავრობა მოსახრეხებელია როგორც ევროპის, ისე აზიის მცხოვრებთათვის.

ქართული სახელმწიფო ითვლის 3000 წელს. იგი უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. ძველი ქრისტიანული კულტურით, უძველესი დამწერლობით, ლეგენდებითა და ტრადიციებით. ჩვენი ქვეყნის კულტურისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდათ ძველ ბერძნებს, რომაელებს. ჯერ კიდევ ოცდაათი საუკუნის წინ ძველი ბერძნული ლეგენდის მიხედვით მაშინდელ ქართულ სახელმწიფოში „კოლხეთში“ იმოგზაურეს არგონავტებმა ოქროს საწმისის ქვეყნის მოსანახულებლად, რითაც საფუძველი დაუდეს საქართველოში ტურიზმის 3000 წლიან ისტორიას.

საქართველოში ქრისტიანობას ქადაგებდნენ ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. მას გააჩნია უდიდესი ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა, ქართული ფილოსოფიის უნიკალურ ნიმუშებს, ცეცხლოვან ცეკვებს და მრავალხმიან პოლიფონიურ სიმღერებს აღფრთოვანებაში მოჰყავთ მრავლისმნახველი მსოფლიო ტურისტები.

საქართველო უძველესი დროიდან ასრულებდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ხიდის როლსა და ფუნქციას, მხოლოდ 1454 წლიდან კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ, დაკარგა ქვეყანამ ეს

ფუნქცია. დაცემის 300 წლის განმავლობაში იგი იყო ირანისა და თურქეთის გავლენის ქვეშ, ხოლო ბოლო მთელი 200 წლის მანძილზე იმყოფებოდა რუსეთის შემადგენლობაში ერთ-ერთი პროვინციის სახით და მხოლოდ 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადდა ქვეყნის დამოუკიდებლობა და საქართველომ დაიმკვიდრა თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიო თანამეგობრობაში.

საქართველო ჯერ კიდევ უცნობი ქვეყანაა მსოფლიოში და ამდენად, საინტერესოა მისი აღმოჩენა ყველა მოგზაურისათვის თუ ტურისტისათვის. ამ ქვეყნის მონახულების სურვილს კიდევ უფრო აძლიერებს 1999 წელს განხორციელებული მსოფლიო მნიშვნელობის არქეოლოგიური აღმოჩენა, როდესაც თბილისთან ახლოს, დმანისში გათხრების დროს ნაპოვნი იქნა პალეოლითური პერიოდის უძველესი ადამიანის – ჰომო-ერექტუსის – (გამართულად მოსიარულე პირველყოფილი ადამიანის) – ჩონჩხის ფრაგმენტები, რომელიც თარიღდება 1 მილიონ 700 ათასი წლით. ამ აღმოჩენით საქართველო პირველი ევროპელის სამშობლოდ იქცა (შუბლაძე, 2004, 71, 72, 75).

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მდიდარი ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების გათვალისწინებით ტურიზმის განვითარებას უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ჩვენი ქვეყანა, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ტერიტორიული სიმცირის მიუხედავად, გამოირჩევა მრავალფეროვანი და მკვეთრად განსხვავებული კლიმატით, მთებითა და ლანდშაფტებით, ჰიდრომინერალური რესურსებით და საკურორტო ადგილებით, დაცული ტერიტორიებით, ეროვნული პარკებით, კულტურულ-ისტორიული ძეგლების სიუხვით, შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობებით, რომელთა უნიკალური შეხამება ქმნის ქვეყნის ტერიტორიის უმეტესი ნაწილის საერთაშორისო მნიშვნელობის რეკრეაციულ ზონად ჩამოყალიბების შესანიშნავ პირობებს.

საქართველოში ტურიზმის განვითარება მნიშვნელოვნად გაზრდის როგორც საბიუჯეტო შემოსავლებს, ასევე ხელს შეუწყობს ინფრასტრუქტურისა და კომუნალური მომსახურების ობიექტების მოდერნიზაციის და ახალის მშნებელობას. მას შეუძლია ერთგვარი კატალიზატორის როლი შეასრულოს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, ტურისტულ კომპლექსთან დაკაშვირებული მრავალი დარგის აღორძინებაში, ახალი სამუშაო ადგილების შექმნაში, სიძნელეების დაძლევასა და ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში და სხვა. ტურიზმის განვითარებისათვის დადებით ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ ჩვენს ქვეყანას ტურიზმის ძველი ტრადიცია და ისტორია გააჩნია.

უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის ქვეყანაში 500 ტურისტულ-რეკრეაციული დაწესებულება ფუნქციონირებდა 120 ათასი საწოლით. აქედან, 25% მოდიოდა სამკურნალო დაწესებულებებზე (სანატორიუმები და სამკურნალო პანსიონატები), 54% დასასვენებელ სახლებსა და ბაზებზე, პიონერთა ბანაკებზე, ხოლო 21% ტურისტულ ობიექტებზე. იმ დროს ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარებით საქაოთველო საბჭოთა სივრცეში მესამე (რუსეთის და უკრაინის შემდეგ), ხოლო ფართობის ერთეულზე და ერთ სულ მოსახლეზე ტურისტთა რაოდენობით პირველ ადგილზე იყო. წელიწადის განმავლობაში ქვეყანაში საგზურის და არორგანიზებულად დაახლოებით 4,5 მლნ ტურისტი დასასვენებლად ჩამოდიოდა. 1990 წლების დასაწყისისათვის განვითარებულმა მოვლენებმა დიდად დააზარალა საქართველოს ტურისტული ინდუსტრია და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკა, თავდაპირველად შეაფერხა ტურისტების ჩამოსვლა, 1995 წლიდან კი კვლავ დაიწყო მათი თანდათანობითი მატება (პავლიაშვილი, 2003:172-173).

ამ მცირე შესავლის შემდეგ მივუბრუნდეთ ჩვენს თემას: „ტურიზმისა და დაცული ტერიტორიების განვითარება – ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებლობის პირობა.“

როგორც წესი, გარემოს ლოკალური ცვლილებები უფრო მასშტაბურ მოვლენებს უდევს საფუძვლად, საბოლოო ჯამში კი ანთროპოგენური მოვლენა გლობალურ ხასიათს იძენს. ეს თავის მხრივ, მიზეზია მრავალი გლობალური ხასიათის მქონე უარყოფითი მოვლენებისა, კერძოდ ბოლნისლის, მჟავე წვიმების, ტემპერატურის გლობალური მომატების, იონურ შრეში ცვლილების და ა.შ. გარემოზე ანთროპოგენური მოქმედება ხშირად ისეთ მოვლენებს იწვევს, რომელთა წინასწარი გათვალისწინება თითქმის შეუძლებლია, ხოლო ზემოქმედების შემდგომი გაღრმავება თვით ადამიანის ჯანმრთელობისა და საბოლოო ჯამში მის არსებობას უქმნის საფრთხეს. „გლობალური თერმოდინამიკური კრიზისის დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ენერგიის ახალ წყაროებზე გადასვლით, ხოლო „ეკოლოგიური სისტემების საიმედოობის: კრიზისის დასაძლევად საჭირო იქნება მეცნიერულად დასაბუთებული ეკოლოგიური დაგეგმარება, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებისა და ბუნების კოევოლუციას[1], საზოგადოების აშკარა გამოფხიზლება მეოცე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც გამოჩნდა ეკოსისტემის დეგრადირების სიმპტომები და ადამიანმა აშკარად დაინახა ეკოლოგიური კრიზისის ნიშნები.

[1] კოევოლუცია – თანაგანვითარების პროცესი.

ამჟამად მთელი რიგი სახელმწიფოს ეკოლოგიურ დოქტრინაში ხაზგასმულია, რომ ბუნების შენარჩუნება და გარემოს გაუმჯობესება სახელმწიფოს და საზოგადოების საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებებია. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გარემოს განვითარების საკითხებზე ჩატარებულ კონფერენციაზე მიღებული სამი ისტორიული დოკუმენტიდან ერთ-ერთი – XXI საუკუნის „დღის წესრიგი“ (პროგრამა 21) ეხებოდა XXI საუკუნის სოციალურ და ეკონომკიურ საკითხებს, ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას და პროგრამის ხორცშესხმის საშუალებებს.

„პროგრამა-21“-ის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხებია: ადამიანის უფლება იცხოვროს ჯანსაღ გარემოში და სრულ ჰარმონიაში ბუნებასთან, გარემოს დაცვა, როგორც მდგრადი განვითარების განუყოფელი ნაწილი, ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის სრულყოფა, უარის თქმა მდგრადი განვითარების ხელისშემშლელ ტექნოლოგიებზე.

ამჟამად, როდესაც პლანეტაზე შექმნილი სიტუაცია ზოგადსისტემური მსოფლიო ეკოლოგიური კრიზისის ხასიათს იღებს, კაცობრიობას პლანეტისა და საკუთარი თავის გადასარჩენად ერთადერთი გამოსავალი რჩება, ზემოხსენებული „რევოლუციური გზით“, ანუ მეურნეობის თვისებრივად ახალ ტექნოლოგიებზე გადასვლის გზა. ამ „ახალი“ ტექნოლოგიების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ეკოლოგიური ტურიზმი, რომელიც მიმართულია ბუნებაში ადამიანთა არაორგანიზებული, ქაოტური ხასიათის მქონე დასვენების ჩანაცვლებაზე ბუნების დაცვაზე ორიენტირებული ტურიზმით.

1990 წელს ეკოლოგიურ ტურიზმს ოფიციალური სტატუსი მიანიჭეს, რაც ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმების მოწვევის და საკუთარი არაკომერციული ორგანიზაციების შექმნის უფლებას იძლევა. „ეკოლოგიური ტურიზმის“ მრავალი დეფინიციიდან ყველაზე მოკლე და ტევადი განსაზღვრება აქვს მიღებული ტურისტულ ორგანიზაციას (UBVITO): ეკოტურიზმი მოიცავს ბუნებრივი ტურიზმის ყველა ფორმას, როდესაც ტურისტების ძირითად მოტივაციას ბუნებაზე დაკვირვება და მასთან დაახლოება წარმოადგენს.

ბუნებრივი ტერიტორიების რეკრეაციულმა დეგრადაციამ განაპირობა ტურისტულ პრაქტიკაში ბუნების დაცვის რიგი ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობა, ე.ი. რეკრეაციული ბუნებათსარგებლობის პრაქტიკაში ეკოლოგიური მენეჯმენტის ტექნოლოგიების დანერგვა. ამჟამად ანთროპოგენური პრეისინგი შეინიშნება ტურიზმის ყველა სახეობასა და ტურინდუსტრიის ყველა სექტორში. ამან განაპირობა ახალი დაცული ბუნებრივი ტერიტორიების შექმნისათვის საქმიანობის

გააქტიურება მეოცე საუკუნის 80-იან წლებში. სწორედ ეს პერიოდი ე.ი. XX საუკუნის 70-80-იანი წლები ითვლება ეკოლოგიური ტურიზმის ფორმირების პერიოდად.

პირველი ეროვნული პარკი დაფუძნდა ჩრდილოეთ ამერიკის ტერიტორიაზე 1872 წელს, ბუნების უნიკალური ქმნილებების შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით;

1872 წლის 1 მარტს აშშ კონგრესმა მიიღო კანონი, რომლის თანახმად იელოუსტონის ტერიტორია გამოაცხადა დაცული სამეურნეო საქმიანობიდან ამოღებული, მთელი ხალხის კეთილდღეობისა და სიამოვნებისთვის. ამ პარკის დაარსებამ საფუძველი ჩაუყარა ბუნების დასაცავად მიმართულ მოძრაობას სხვა ქვეყნებშიც. რის შედეგად XX საუკუნის ბოლოს პლანეტის უნიკალურ ბუნებრივ ტერიტორიებზე მრავალი ეროვნული პარკი შეიქმნა. ეს პროცესი კიდევ უფრო გააქტიურდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ: თუ 1950 წლამდე 39 ქვეყანაში 200-მდე პარკი ითვლებოდა, 1989 წელს მათმა რიცხვმა 1000-ს გადააჭარბა.

1983 წელს გაეროს ეგიდით შეიქმნა კომისია „გარემოს პრობლემებისა და განვითარების საერთაშორისო კომისია.“ 1987 წელს ამ კომისიამ გაეროს გენერალურ ასამბლეაზე განსახილველად წარადგინა მოხსენება „ჩვენი საერთო მომავალი.“ კომისიის დასკვნით ბიოსფეროს დეგრადირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მასობრივი სიღატაკეა, რაც ყოველმხრივ ამუხრუჭებს საზოგადოებრივ პროგრესს და გარემოს უარყოფით ცვლილებას უწყობს ხელს. სიღატაკე აიძულებს მოსახლეობას დღეს გამოიყენოს ის, რაც ხვალისთვის იყო გათვალისწინებული: ჩეხოს ტყეები და სხვ. საწვავის უქონლობის გამო ზეინტენსიური ექსპლუატაციით გამოფიტოს მიწები, გააუდაბნოოს საძოვრები და ა.შ.

პლანეტის ღარიბი მოსახლეობა მნიშვნელოვნად აღემატება მდიდრებს. ინდუსტრიულ ქვეყნებში კონცენტრირებული მოსახლეობის 25%, რომელიც საერთო პროდუქციის თითქმის 80% იყენებს. ამავე დროს განვითარებადი ქვეყნები, რომელთა მოსახლეობა 75%-ია, სარეთო დოვლათის მხოლოდ 20%-ს მოიხმარს.

კომისიის განმარტებით „მდგრადი განვითარება არის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გზა, დაფუძნებული გარემოს სტაბილურ მდგომარეობაზე, ეს გზა უნდა პასუხობდეს თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და ამავე დროს მომავალი თაობების განვითარების პერსპექტივებსაც ითვალისწინებდეს“ (ალხანიშვილი, 2010:28-48).

საქართველოში ბუნებისდაცვით საქმიანობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. წყაროები მეტყველებს შორეულ წარსულში შექმნილ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებიც მიმართულია ტყეებისა და ნადირ-ფრინველის დასაცავად. ჯერ კიდევ XII საუკუნის სიგელებში მოხსენიებული არიან „ტყის მცველნი“, „ტყის უხუცესნი“. სხვადასხვა დროის სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული იყო წყლის, ტყის, საძოვრების დაცვა. ამას გარდა იცავდნენ ცალკეული ფრინველების (ქორისა და შავარდნის) ბუდეებს, ნადირობა იკრძალებოდა “... პეპლობისასა და პირუტყვთა ახურებისასა, აგრეთვე ბარტყეობისა და ნუკრობისა დროსა...“

1996 წელს მიღებულმა „დაცული ტერიტორების სისტემის შესახებ“ კანონმა შექმნა იურიდიული საფუძველი დაცული ტერიტორიების დასაარსებლად. შედეგად საქართველოში დაკანონდა საერთაშორისო კრიტერიუმებისა და ნორმების შესატყვისი დაცული ტერიტორიების კატეგორიები და მათი ჩამოყალიბების პროცედურა, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) რეკომენდაციებს ემყარება.

ზემოთხსენებული კანონის თანახმად, საქართველოში შეიძლება არსებობდეს შემდეგი სახის დაცული ტეორიტორიები:

დაცული ტერიტორია	მიზანი	კატეგორია
სახელმწიფო ნაკრძალი	მკაცრი დაცვა, საგანმანათლებლო და არამანიპულაციური კვლევების სპეციალური ნებართვით	I
ეროვნული პარკი	ეკოსისტემის კონსერვაცია, განათლება, ტურიზმის განვითარება	II
ბუნების ძეგლი	ბუნების თავისებურებების კონსერვაცია (მცირე ზომის განსაკუთრებული ტერიტორიის დაცვა)	III
აღკვეთილი	ბუნების დაცვა და შენარჩუნება აქტიური მართვის გზით	IV
დაცული ლანდშაფტი	ლანდშაფტის და/ან ზღვის აკვატორიის კონსერვაცია და ტურიზმის განვითარება	V
მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება	VI

შესაძლებელია კიდევ ორი კატეგორიის – ბიოსფერული რეზერვატისა და მსოფლიო მემკვიდრეობის უბნის – შექმნა.

დღეისათვის საქართველოში 18 ნაკრძალია, 5 ეროვნული პარკი, 3 ბუნების ძეგლი, 11 აღკვეთილი, 1 დაცული landშაფტი.

შენიშვნა: ამ კანონის გამოსვლის შემდგომ (2008 წ.) საქართველოს დაცულ ტეორიტორიებს შეემატა რამდენიმე ეროვნული პარკი და სხვა კატეგორიების დაცული ტერიტორიები. ამგვარად დღევანდელი მდგომარეობით ყველა კატეგორიის დაცული ტერიტორიის საერთო ფართი ქვეყნის ტერიტორიის 6%-ს აღემატება.

იგეგმება კიდევ რამდენიმე ეროვნული პარკისა და ბუნების ძეგლის დაარსება.

ეროვნული პარკების ტერიტორიაზე დადგენილია საგანგებო დაცვის დიფერენცირებული რეჟიმი ამ ტერიტორიების ისტორიული, კულტურული და სხვა თავისებურებების გათვალისწინებით. ეროვნული პარკების ტერიტორიაზე გამოიყოფა შემდეგი ზონები:

– ნაკრძალის (აკრძალულია ყოველგვარი სამეურნეო საქმიანობა და ტერიტორიის გამოყენება სარეკრეაციოდ);

– საგანგებოდ დაცული (უზრუნველყოფილია ბუნებრივი კომპლექსების და ობიექტების დაცვის პირობები, დაშვებულია მკაცრად რეგულირებადი შესვლა);

– შემეცნებითი ტურიზმის (გამიზნულია ეროვნული პარკის ღირსშესანიშნავი ობიექტების გასაცნობად და ეკოლოგიური განათლების მისაღებად;

– სარეკრეაციო (დასვენებისათვის განკუთვანილი);

– ისტორიულ-კულტურული ობიექტების დაცვის;

– მნახველთა მომსახურების (განთავსებულია დამის თევისა და კვების, აგრეთვე – კულტურული, საყოფაცხოვრებო და საინფორმაციო მომსახურების ობიექტები);

– სამეურნეო დანიშნულების (ხორციელდება ეროვნული პარკის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი სამეურნეო საქმიანობა) [მაისურაძე, 2008 : 103-106].

მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს შორის რომელთათვისაც დამახასიათებელია ბიომრავალფეროვნება, კავკასიას გამორჩეული ადგილი უჭირავს. მისთვის დამახასიათებელია ფლორისა და ფაუნის განსაკუთრებული მრავალფეროვნება. სადაც გვხვდება მცენარეებისა და ცხოველების მრავალი ენდემური სახეობა.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და მისი გააზრებული მიზანმიმართული გამოყენება. ამ

პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი რეალური გზაა დაცული ტერიტორიების ქსელის შექმნა და მისი ახალი, უფრო მოქნილი, რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებასა და აღმავლობასთან დაკავშირებული სისტემის შექმნა. ჩვენს ქვეყანაში დაცული ტერიტორიების და, განსაკუთრებით, ეროვნული პარკების ჩამოყალიბება, მათში ტურისტული საქმიანობის გეგმაზომიერი და გააზრებული განვითარება ხელს შეუწყობს არა მარტო ეკოსისტემის რეაბილიტაციას, არამედ მოიტანს მაღალ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. კერძოდ, შემოსავლებს, როგორც რეგიონის მოსახლეობისათვის, ისე მთლიანად ქვეყნისათვის [მეტრეველი, 2004:29].

ჩვენს ქვეყანას და მის თითოეულ რეგიონს ეკოტურიზმის შესანიშნავი პერსპექტივა გააჩნია. ეს განპირობებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ: ბუნებრივი ლანდშაფტების დიდი ნაირფეროვნებით, კლიმატური ზონების ფართო სპექტრით, უნიკალური ეკოსისტემებით, ბუნებისა და ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლით, წესჩვეულებათა მრავალფეროვნებით, ფოლკლორის უნიკალურობით და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, აქ მცხოვრებ ხალხთა უძველესი ისტორიით, თვითმყოფადი კულტურით, ტრადიციებით და სტუმართმოყვარეობით. ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარება შესამჩნევ გავლენას მოახდენს ქვეყნის პერიფერიული რეგიონების ეკონომიკაზე.

ამჟამად ჩვენი კვლევის საგანს შეადგენს ეკოტურიზმისა და დაცული ტერიტორიების განვითარების ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების აუცილებელი პირობა. საკვლევ თემად ამ ეტაპზე შევარჩიეთ აჭარისა ავტონომიური რესპუბლიკის ტურისტული ცენტრის ბათუმის ტურისტული ტერიტორიის მტირალას ეროვნული პარკი და მის მიმდებარე ტერიტორიასთან არსებული სივრცე.

ბათუმის ტურისტული ცენტრის ბუნებრივ-რეკრეაციულ და ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობის მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ მის ტერიტორიაზე მდებარეობს მტირალას ეროვნული პარკი, ხოლო რამდენიმე კილომეტრის დაცილებით კინტრიშის ნაკრძალი და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ქობულეთის ნაკრძალს, ქობულეთის აღკვეთილს და ქობულეთის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიას.

დაცული ტერიტორიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმით, რომ ისინი შეიცავენ საგანგებო ეკოლოგიური, ისტორიული და ესთეტიკური ღირებულების მქონე ბუნებრივ კომპლექსებს და განკუთვნილი არიან ბუნებს დაცვის, მეცნიერულ-კულტურული მიზნებისა და რეგულარული ტურიზმისათვი. ამ ტერიტორიებზე მოქმედებს საგანგე-

ბო დაცვის რეჟიმი მათი სხვადასხვა თავისებურებათა გათვალისწინებით.

მტირალას ეროვნული პარკის შექმნის მიზანი იყო ამ ტერიტორიაზე არსებულ რელიქტურ მცენარეთა და ენდემურ ცხოველთა სამყაროს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი შეტანილია ICUN-ის წითელ ნუსხაში, გადარჩენა და კონსერვაცია, მტირალას ეროვნული პარკის ტერიტორია რელიქტურ მცენარეთა იშვიათი მრავალფეროვნებით ხასიათდება აქ გავრცელებულ მცენარეთა უმეტესობა პალეოლითური პერიოდის გადარჩენილი სახეობების ძველი, თბილი და ტენიანი ჰავის ტყის მცენარეების კოლხურ რეფუგიუმს (თავშესაფარს) წარმოადგენს (მტირალას ეროვნული პარკი, 2008:12-16). პარკში ვიზიტორს საშუალება აქვს დატკბეს ბუნების მშვენიერბით, მოაწყოს საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურები, მოინახულოს აჭარის ისტორიულ-კულტურული ძეგლები, რაც ეკოლოგიური ტურიზმის განვითარების საკმაოდ კარგ პოტენციალს განაპირობებს.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული პარკის სიახლოვეს ბათუმის, გონიოს, სარფის, კვარიათის და ჩაქვის კურორტებზე კარგადაა განვითარებული საზაფხულო ტურიზმი. მის სიახლოვეს მდებარე მთიან სოფლებში შესაძლებელია ეთნოგრაფიული ტურიზმის განვითარებაც.

მტირალას ეროვნული პარკი გვევლინება ერთადერთ დაცულ ზონად, რომლის ბაზაზეც სამთო და ეკოტურიზმის საზღვაო ტურიზმთან შეხამების სრულყოფილი მოდელი ამქმედდება. ეს უეჭველია გამოიწვევს ტურისტული ნაკადების მნიშვნელოვან ზრდას და ახალი ინვესტიციების მოზიდვას, რაც აჭარას საუკეთესო ეკონომიკურ პერსპექტივას უსახავს. ვიზიტორთა შემოსვლა მოსახლეობისათვის მდგრადი შემოსავლის წყარო გახდება, რაც ცხადია, აამაღლებს ველური ბუნების ხელუხლებლად შენახვის მოტივაციას, ანუ ცხოვრებაში გატარდება პრინციპი: პარკი ეხმარება რეგიონს, რეგიონი კი პარკს.

კინტრიშის ნაკრძალის შექმნა კოლხური წაბლნარი და წიფლნარი ქვეტყის დაცვას, ასევე ადგილობრივი ფაუნის შენარჩუნებას ისახავდა მიზნად. კინტრიშის ნაკრძალის ფლორისათვის აჭარის ენდემების, კერძოდ, მდიდარი მარადმწვანე ქვეტყის, გვიმრების და ლიანების სიმრავლეა დამახასიათებელი. ადგილობრივ ფაუნას მოიცავს აჭარისათვის დამახასიათებელ თითქმის ყველა სახეობას (საქართველოს დაცული ტერიტორიები 2007:101-108).

კინტრიშის ნაკრძალს საკმაოდ კარგი ტურისტული პოტენციალი გააჩნია ეკოტურიზმის განვითარებისათვის. ის სულ რაღაც ოციო-

დე კილომეტრზეა განლაგებული კურორტ ქობულეთიდან, სადაც მაღალი დონის მრავალრიცხოვანი სასტუმროებისა და რესტორნების გარდა, არსებობს ოჯახური სასტუმროებიც. ქობულეთიდან შესაძლებელია ნაკრძალში საწყლოსნო, ეთნოლოგიური, ეკოლოგიური და ფრინველებზე დაკვირვების ტურების მოწყობა. თუმცა, ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ქუბულეთის დაცული ტერიტორიები შეიქმნა უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების, როგორც მაღალი ღირებულების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის გადარჩენის მიზნით. აქ ვიზიტიორებს შეუძლიათ იხილონ მსოფლიოში ყველაზე ხელუხლებელი ტორფნარები „ისპანი I“ და „ისპანი II“. ეს უკანასკნელი 1996 წლიდან „RAMSAZ“-ის საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიან ტერიტორიადაა მიჩნეული (საქართველოს დაცული ტერიტორიები 2007:106-109).

ქობულეთის ნაკრძალი ხელსაყრელი ადგილია ფრინველთა დაკვირვებისა და საფეხმავლო მარშრუტების ვიზიტორთა მიღებასა და მათი მოგზაურობის დაგეგმვას უზრუნველყოფს დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციულ შენობაში არის ვიზიტორთა ცენტრი, სადაც არის 3 ორადგილიანი ნომერი. შესაძლებელია მხოლოდ სასწავლო შემეცნებითი ტურიზმის მოწყობა აღკვეთილის დასავლეთ საზღვრის გასწვრივ. მოსწავლეებსა და სტუდენტებს საშუალება აქვთ გაეცნონ ჭარბტენიან ეკოსისტემებს. ამ ტერიტოგრიაზე ვიზიტორს შეუძლია მოინახულოს ნამოსახლარები შუა ბორინჯაოს ხანის და ანტიკური ეპოქის „ფიჭვნარი“, რომელიც ისპანის დაცული ტერიტორიების ჩრდილო-დასავლეთ მხარეს, მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის შესართავებთან მდებარეობს და სხვ.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, რეგიონში ეკოტურიზმების განვითარებისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა ჭოროხის დელტა (ფრინველთა დაკვირვებისათვის), მაჭახლის ხეობა, ბათუმის ბოტანიკური ბაღი და საერთოდ მაღალმთიანი აჭარა.

როგორც ცნობილია, დაცული ტერიტორიების მდგრადი განვითარება დამოკიდებულია საკუთარ შემოსავლებზე. მტირალას დაცული ტერიტორიის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებით გავაანალიზეთ სამი დაცული ტერიტორიის შემოსავლების მიხედვით აღმოჩნდა, რომ 2009-2012 წლებში ქობულეთის, კინტრიშის დაცულ ტერიტორიებს არა აქვთ დამატებითი შემოსავლები და მარტო ბიუჯეტის იმედად არიან. რაც შეეხება მტირალას ეროვნულ პარკს, საანალიზო პერიოდში მან გარდა ბიუჯეტის სახსრებისა მიიღო დამატებითი შემოსავალი 385 ლარის ოდენობით. რა თქმა უნდა ასეთ პირობებში დაცული ტერიტორიის მდგრად განვითარებაზე ლაპარკი ზედმეტია.

ამჟამად მდგრადი განვითარების პროცესში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკური საქმიანობისა და ფინანსების სახელმწიფო ბერკეტების გამოყენებას, ამ თვალსაზრისით საინტერესოა განვითარებული ქვეყნების წარმატებული გამოცდილების დანერგვა ბათუმის ტურისტული ცენტრის განვითარებაში. იგი ითვალისწინებს პირდაპირ საბიუჯეტო დოტაციების და ტრანსფერების, პირდაპირი ინვესტიციების, საგადასახადო შეღავათების და სხვ. პრეფერენციები გამოყენებას. სამწუხაროდ, ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან ასეთი ფინანსური მხარდაჭერა შეუძლებელია ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში ფინანსური რესურსების სიმწირის გამო. ჩვენი აზრით, ამ პირობებში ბათუმის ტურისტული ცენტრის გავითარებისათვის საჭიროა ირიბი სახელმწიფო მხარდაჭერის ფორმების უფრო აქტიურად და გაბედულად გამოყენება. ამ მიზნით დღეისათვის მიზანშეწონილია დაინერგოს პრეფერენციების სხვადასხვა სახე. კერძოდ, ისეთები, როგორიცაა საგადასახადო კრედიტი, საგადასახადო არდადეგები. ტურისტული საგნების ზოგიერთი სახეობის წარმოებისა და იმპორტის გადასახადიდან გათავისუფლება, საგადასახადო განაკვეთის შემცირება (დიფრენცირება), გადასახადის დროის გადავადება, ადრე გადახდილი გადასახადის დაბრუნება, უცხოური ინვესტორების მოზიდვაში სახელმწიფოს ხელშეწობა და ფინანსური მხარდაჭერის სხვა ფორმები (მესხია, 2010:9).

ალბათ, მსოფლიოში არ არსებობს დაცული ტერიტორია, რომლის კეთილმოწყობაზე მნიშვნელოვანი ფინანსური დანახარჯები არ გაწეულიყოს. ყველაზე მცირე, საჭიროა პარკის მიმდებარე ზონის გაკეთილშობილება, რომელიც არ შედის დაცულ ტერიტორიაში, მაგრამ გეოგრაფიულად მასთან არის დაკავშირებული და იქ არსებული ინფრასტრუქტურა ემორჩილება დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციას. უცხოური გამოცდილების თანახმად უნდა მოეწყოს ავტომანქანების სადგომები, აშენდეს სასტუმრო კვების ბლოკით, მოეწყოს ბავშვთა ატრაქციონები, სადემონსტრაციო დარბაზი, აგრეთვე დარბაზები დაცულ ტერიტორიაზე არსებული ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა სურათებით და ა.შ. ეროვნული პარკის დათვალიერების შემდეგ ტურისტებს უნდა ჰქონდეთ თავისუფალი დრო კულტურული გამოყენებისათვის. ისინი არ უნდა შეიზღუდონ, თუ საშუალებაა დასვენებისათვის გამოიყენოს ტურიზმის სხვა სახეობები. ჩვენ ამჟამად ვეხებით ეროვნულ პარკს, რომელმაც სხვადასხვა სახეობის ტურისტული პროდუქტი უნდა შესთავაზოს დამსვენებელს. ტურისტებისათვის საინტერესოა სათავგადასავლო ტურზმი. ამ მხრივ ბათუმის ტურისტულ ცენტრს შეუზღუდავი პოტენციალი გააჩნია. ტურისტები-

სათვის შესაძლებელია შეთავაზებული იქნეს სპორტული და გასართობი ტურების მრავალი სახეობა. როგორც ცნობილია, ბათუმი გარშემორტყმულია დაბალი და საშუალო მთიანი სისტემით, საკმაო დაქანება აქვს მტირალას მოსაზღვრე ტერიტორიებსაც, რაც კარგ პირობებს ქმნის ზამთრის სეზონზე სპეციალური დანადგარის საშუალებით გათოვლიანების პირობებში სამთო-სათხილამურო ტურიზმის განვითარებისათვის. ამასთან ერთად, აქ შეიძლება მოეწყოს გაუკვალავ თოვლზე თხილამურებით დაშვება, რაც კიდევ უფრო საინტერესოს გახდის სპორტის ამ სახეობას. მთებში ტურისტული სეზონის პირობებში შესაძლებელია დრეფტინგის განვითარება. ესაა მთის მდინარეებზე რეზინის ნავებით დაშვება. ამ მხრივ დიდი პოტენციალი არსებობს ბათუმის ტურისტული ცენტრიდან უახლოესი მდინარეების აჭარისწყლისა და ჭოროხის მდინარეების გამოყენების თვალსაზრისით. ბათუმის შემოგარენი შეიძლება გამოყენებული იქნეს ფრინველებზე ნადირობისათვის, თევზაობისათვის, აგრეთვე რაც მთავარია, საჰაერო ბურთით მოგზაურობისათვის და დელტაპლანერიზმის განვითარებისათვის.

ბათუმის ტურისტულ-რეკრაციულ ზონაში დაივინგის (წყალში ჩაყვინთვა) განვითარების დიდი პოტენციალი არსებობს. ეს ახალი, სწრაფად განვითარებადი ტურიზმის პერსპექტიული ქვესახეობაა. მისი ერთ-ერთი უპირატესობაა ის, რომ მან მოიცვა მთელი მსოფლიო და არ გააჩნია სეზონურობა.

აჭარაში და კერძოდ ბათუმის ტურისტულ ცენტრში სპორტულ ტურიზმს უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ტურიზმის ეს ქვესახეობა თავისთავად მოიცავს ორ მიმართულებას ტურისტისათვის – პირველი, როდესაც ტურისტი თავად მონაწილეობს სპორტის ამა თუ იმ სახეობაში და მეორე, როდესაც ესწრება სპორტულ ღონისძიებებს (ტურნირებს, ჩემპიონატებს და ა.შ.). პირველ შემთხვევაში ქალაქ ბათუმმა ორიენტაცია ძირითადად უნდა აიღოს ჩოგბურთის საერთაშორისო ტურნირებზე, ავტორალის, აგრეთვე ჭიდაობის სხვადასხვა სტილით შეჯიბრების მოწყობაზე, ტრამპლინიდან ხტომაზე, ქვიშის რაგბის ტურნირების ჩატარებაზე უცხოელი ტურისტების მონაწილეობით. ასევე პერსპექტიული და სასარგებლო იქნება საიალქნო სპორტის მოყვარულთა მოზიდვა. საიალქნო სპორტის განვითარების ფართო შესაძლებლობას იძლევა შავი ზღვისპირეთის ბათუმის საუკეთესოდ დაცული ყურე, თუმცა ამისათვის აუცილებელია სანაპიროზე საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისი იახტკლუბების და ასევე რამდენიმე მცირე ნავმისადგომის მოწყობა (კობალაძე, 2010:14).

ჩვენ მაგალითები მოვიყვანეთ, რათა დავარწმუნოთ მკითხველი, რომ მაღალგანვითარებული ქვეყნების ეროვნულ პარკებში ერთი საათით, თუგინდ ერთი დღით არ მიდიან. რადგანაც იქ იმდენი სანახაობაა და თანაც მეტად საინტერესო, რომ ვერც ერთი ადამიანი ვერ შეძლებს მის დათვალიერებას ერთი დღის მანძილზეც კი. სწორედ ამიტომაა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დაცულ ტერიტორიებს ყოველწლიურად 14 მილიონ აშშ დოლარზე მეტი შემოსავალი მოაქვთ, რაც საკმარისია ბიუჯეტის ვალდებულების გასასტუმრებლად და დანარჩენი თანხა ხმარდება პარკის განვითარებას და ბუნების მრავალფეროვნების შენარჩუნებას.

როგორც პრაქტიკა მოწმობს, მსოფლიოში ფართოდაა გავრცელებული დაცული ბუნებრივი ტერიტორიების საქმიანობის სამი ძირითადი მიმართულება:

– სახელმწიფო ბიუჯეტიდან ყოველწლიური ასიგნება;

– გადასახადები და მოსაკრებები, რომლებიც უშუალოდ ხმარდებიან ბუნების დაცვას და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსებას;

– გრანტები და კერძო პირების შემოწირულობანი, საზოგადოებრივი, არასამთავრობო, ბუნების დაცვის ტურისტული ფონდები.

ქვემოთ განხილული ღონისძიებანი, რომლებიც გამოიყენება დასავლეთის ქვეყნებში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დასაფინანსებლად; მათი უმრავლესობა შეიძლება გამოყენებული იქნას დაცული ბუნებრივი ტერიტორიების ფინანსური შემოსავლების ზრდისათვის საქართველოში, კერძოდ ესენია:

– ეროვნულ პარკებში უცხოელთათვის უფრო მეტი შესასვლელი ღირებულების დაწესება, ვიდრე ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

– სეზონის პერიოდში შესასვლელი ღირებულების გადიდება;

– უნიკალური ეკოსისტემის, ობიექტების, მოვლენების, ღირსშესანიშნაობათა მქონე პარკებში შესასვლელი ღირებულების გაზრდა;

– დამატებითი გადასახადი ახალი საინტერესო, ან ექსკლუზიური მარშრუტების დამუშავებისა და განხორციელებაზე პარკის გამცილებლის თანხლებით;

– ფასიანი ლიცენზიების შემოღება აქტიური დასვენების ისეთ სახეებზე როგორიცაა ალპინიზმი, მღვიმეების მონახულება და სხვ.

– ბუნების დაცვის საქმიანობის დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება გახდეს გადასახადები და მოსაკრებები, მიმართული უშუალოდ ბუნების დაცვაზე და დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაფინანსებაზე. მათ რიცხვს ეკუთვნის:

– ბუნებით მოსარგებელთა გადასახადი, (მაგალითად გადასახადი დაცული წყალგამყოფების ტერიტორიაზე, წყლის მოხმარებისათვის);

– დაცულ ბუნებრივ ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურების (რესტორნების, მაღაზიების, სასტუმროების,.ტურისტული კომპანიებისა და ა.შ.) მფლობელთა შენატანების გადიდება. ეს ბუნებრივია, რადგან დაცული ბუნებრივი ტერიტორიები ახდენენ ტურისტული ნაკადების ფორმირებას, უზრუნველყოფენ რეკლამას საკუთარ ტერიტორიაზე არსებული სერვისის წარმოებისათვის;

– გადასახადი დაცულ ბუნებრივ ტერიტორიებზე ან მის ახლოს არსებული გზებით სარგებლობაზე;

– სასტუმროს მცხოვრებთა ანგარიშში შედის მცირე დამატება ბუნების დაცვაზე. ეს თანხა სასტუმროში ცხოვრების საერთო ღირებულების 1-2%-ს შეადგენს. აღნიშნული დამატება ხორციელდება ნებაყოფლობით, რის შესახებაც აღნიშნული ბლანკზე არის სპეციალური ჩანაწერი, თუმცა როგორც პარქტიკამ აჩვენა, ბევრი მათგანი უარს ამბობს ამ დამატებით გადასახადზე;

– გადასახადი სანადირო და თევზსაჭერ აღჭურვილობაზე. მაგალითად, აშშ-ში შემოღებულია აქციზი 11%-ის ოდენობით, სანადირო იარაღის და მასალის გაყიდვაზე; ამ თანხის 0,5% მიდის ველური ცხოველების რიცხოვნობის აღდგენის ასოციაციის დაფინანსებაზე.

– გადასახადი და მოსაკრებები მომპოვებელი მრეწველობიდან. აშშ-ში მიწის, წყლის დაცვის ფონდში ყოველწლიურად შემოდის მილიარდ დოლარზე მეტი იმ მოსაკრებების ხარჯზე, რომელსაც იხდიან ნავთობის კომპანიები ნავთობის და გაზის საბადოებით სარგებლობის უფლებაზე.

– შემოსავლები, ლატარიის ბილეთების, საფოსტო მარკების გაყიდვიდან და ა.შ.

– ჯარიმა არაკანონიერი მერქნის დამზადებაზე, ნადირობასა და თევზჭერაზე. ზოგიერთ ქვეყანაში დაცული ბუნებრივი ტერიტორიების რეჟიმის დარღვევისათვის ჯარიმის ნაწილი, ან მთელი თანხა მიდის ამ ტერიტორიების მართვის ორგანიზაციაზე;

– ჯარიმა გარემოს კომპონენტებზე (ჰაერის, წყლის) დაჭუჭყიანებაზე. ბევრი დასავლეთევროპული ქვეყანა აგრეთვე, ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი) აქვთ გარემოს დაცვის ეროვნული ფონდი, რომელიც ფინანსდება გარემოს გაჭუჭყიანებისათვის გადასახადების და ჯარიმების ხარჯზე;

– სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციიდან შემოსავლები. ისეთი ქვეყნების მთავრობა, როგორიცაა პერუ, ეკვადორი, სახელმწი-

ფო საწარმოთა პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების ნაწილს იყენებს დაცული ბუნებრივი ტერიტორიების დაცვისა და ბუნების დაცვის ახალი ფონდების მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

ზემოთ ჩამოთვლილი გადასახადები, მოსაკრებები და ჯარიმები უნდა განხილული იქნას, როგორც დამატება ბიუჯეტიდან მუდმივ ასიგნებებზე. თუმცა საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, რეკრეაციიდან შემოსული თანხების დიდი ნაწილი მიდის ქვეყნის ბიუჯეტში და არ ბრუნდება შემდეგში ბუნების დასაცავად.

ბუნების დაცვის საქმიანობის დაფინანსების წყაროს შორის მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო დონორული შემწეობა. ბუნების დაცვის ტურისტული ფონდები არის გავრცელებული გზა განვითარებად ქვეყნებში დაუცველი ბუნებრივი ტერიტორიების ხანგრძლივი დაფინანსების უზრუნველსაყოფად. ასეთი ფონდები შეიძლება შეიქმნას პარკის, პარკების სისტემის დაცვის საქმიანობის ცალკეული სახის ფინანსური დახმარების მიზნით. ტურისტულ ფონდებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვა იურიდიული ფორმა.

– ნაჩუქრობის ფონდი – ფონდები, რომლებიც განავითარებენ თავის კაპიტალს სამთავრობო, სახაზინო ობლიგაციებით, აქციებისა და ფასიან ქაღალდებში, რათა ჰქონდეთ მუდმივი შემოსავალი, ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ეს ფონდები იყენებენ ინვესტიციებიდან ყოველწლიურ შემოსავალს, მაგრამ არ ეხებიან საწყის კაპიტალს.

– საამორტიზაციო ფონდები – ხარჯავენ ინვესიტიციიდან არა მარტო ყოველწლიურ შემოსავალს, არამედ ძირითადი კაპიტალის ნაწილსაც, მთლიანად ხარჯავენ რა მას 10-20 წლის მანძილზე. ამასთან საერთაშორისო დონორები თვლიან, რომ ქვეყანამ, რომელიც სარგებლობს დონორული შემწეობით, 10-20 წლის მანძილზე უნდა მიაღწიოს ისეთ დონეს, რომ დამოუკიდებლად შეძლოს ბუნების დაცვის დაფინანსება.

– საბრუნავი ფონდები – განუწყვეტლივ იღებენ ახალ შემოსავლებს ანარიცხებიდან, ჯარიმებიდან და ცდილობენ შემოსული თანხები დახარჯონ შედარებით ჩქარა და სხვ. (ალხანიშვილი, 2010:165-169).

თუ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ბიზნეს-ორგანიზაციისა და მთელი საზოგადოების ძალისხმევით ამ ღონისძიებათა მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც განხორციელდა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მიღებული თანხა საკმარისი იქნება საქართველოს დაცული ტერიტორიების მიერ ბიუჯეტის ვალდებულებების გასასტუმრებლად და დარჩენილი თანხა საკმარისი იქნება ეროვნული

პარკისა და სხვა დაცული ტერიტორიების განვითარებისა და დაცულ ტერიტორიებზე ბიომრავალფეროვნების შესანარჩუნებლად.

VakhtangMikashavidze
ZhaniMikashavidze

Maintenance of the Biodiversity as an Essential Circumstances of the Development of Ecotourism and Protected Areas

Summary

On the current stage of our country – maintenance of the natural and cultural inheritance gains the special importance and its reasonable deliberate utilization. Ecological tourism provides saving the living environment and supports not only rehabilitation of the ecosystem but also has high economic results as for the population of the region so for the whole population of the country.

Batumi touristic center as well as the whole country itself has got the big potential of the ecotourism which is conditioned by the warm subtropical climate, exotic beauty of the seacoast of the Black Sea and microclimate that is characteristic for the local resorts, unique, diverse landscape of the mountain and valleys and many others. Existence of Mtirala National Park, Kobuleti Protected Areas and Kintrishi reservation also speaks about the national inheritance of Batumi touristic center. Except all above mentioned special importance and role for the regional ecotourism development plays Chorokhi delta, Matchakhela gorge, Batumi Botanical Garden, Seaside Park. Visitors d have an opportunity to take chance and admire the beauty of the nature, to arrange their own wakeboarding, ethnologic, ecologic and birdwatching tours, also the visitors are enable to visit historic, cultural ad architecture monuments and other sightseeing. Development of the ecotourism will cause the significant growth of the tourist flow and attracting new investments, it will design the best economic perspective for Ajara.

ლიტერატურა

1. ალხანიშვილი 2010: ალხანიშვილი ნ. ეკოლოგიური ტურიზმი, გამომც. „უნივერსალი“, 2010, გვ. 200.

2. კობალაძე, 2010:კობალაძე ლ. საქართველოს ტურიზმისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოკლევადიანი და გრძელვადიანი განვითარება, თბ., 2010.

3. მაისურაძე, 2008:21, 18-30- მაისურაძე დ., ვერბეცკი ი., ხუციშვილი თ., ეკოლოგიური ტურიზმის საფუძვლები, თბ., 2008

4. მეტრეველი, 2004:29- მეტრეველი მ., ტურიზმი და გარემოს დაცვა (ეკოტურიზმის საფუძვლები), გამომც. შპს „ფორმა“, 2004, გვ. 307.

5. მტირალას... 2007: 12-16, მტირალას ეროვნული პარკი, თბ., 2008, 32 გვ.

6. პავლიაშვილი, 2003:172, 173, პავლიაშვილი ნ. ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა, საქართველოს გეოგრაფია, ნაწ. II, გამომც. „იმედის სერვიზი“.

7. საქართველოს კანონი ტურიზმისა და კურორტების შესახებ.

8. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1996.

9. საქართველოს კანონი მტირალას ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ, 2007.

10. საქართველოს კანონი ქობულეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ, 1998.

11. საქართველოს კანონი კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალის და დაცული ლანდშაფტის შესახებ, 1955.

12. საქართველოს... 2007; 10:108- საქართველოს დაცული ტერიტორიები. გამომც. „წიგნის სახლი“, თბ., 201, 248 გვ.

13. სტატისტიკა 2015- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, 2015.

14. შუბლაძე, 2004:9, 10, 7- შუბლაძე გ. საქართველოში ტურიზმის განვითარების მაკროეკონომიკური მექანიზმი (სიღარიბის დაძლევის კონტექსტში), საკანდ. დისერტაცია, თბ., 2004, 146.

15. ღვინჯილია, 2014:241-242- ღვინჯილია მ. დაივტურიზმი და მისი შესაძლებლობები საქართველოში, კრ. ტურიზმი, ეკონომიკა და ბიზნესი, გამომც. „უნივერსალი“.

კონსტანტინე ღლონტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი

ტურიზმის წარმოშობისა და განვითარების ზოგიერთი ასპექტი[1]

ტურიზმი სოციალურად განსხვავებული მოვლენაა. დღეს იგი დაკვირვებისა და მომეტებული ყურადღების საგნადაა ქცეული მსოფლიოში. განსაკუთრებით, მისი სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები იწვევს მკვლევართა ინტერესს. სოციოლოგია, როგორც საზოგადოებრივი სოციალური ორგანიზმებისა და ურთიერთობის შემსწავლელი მეცნიერება, ფართოდაა ჩაბმული ამ კვლევაში.

დღეს წინა პლანზეა წამოწეული ტურისტებისა და დამხვედრი ქვეყნების მოსახლეობის ურთიერთკავშირის ეფექტური მართვის საკითხები, რომლებმაც უნდა გამოავლინოს, რა გავლენას ახდენს საზოგადოება ტურიზმის გეგმაზომიერ განვითარებაზე, ან რა ხერხებითა და მეთოდებით ცდილობს მისი მოსალოდნელი ბუნებრივი ან ხელოვნური შეფერხებების თავიდან აცილებას (გელდნერი, რითჩი, 286).

მოგზაურობა პრობლემური მოვლენაა დროის, რესურსების, ფინანსების, განსხვავებული სიტუაციების და სხვა ხელშემშლელი პირობების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს რეალურად არსებული სოციალური ურთიერთობების მართვას მოგზაურთა წინაშე არსებული პრობლემების შესაბამისად გადაწყვეტის თვალსაზრისით. ბუნებრივია აქ იგულისხმება მოსახლეობის ადგილობრივ ზნე-ჩვეულებებში ჩართვა, მასში გარკვევა, სამეურნეო-კულტურული ცხოვრების ფორმების გაცნობა, მომზადება საკითხებისადმი ინტელექტუალური მიდგომის მიზნით.

[1] „ჩვენ ვმოგზაურობთ დიდ მანძილზე და ვკვეთთ ოკეანეებს იმის სანახავად, რასაც არ ვაქცევთ ყურადღებას, როდესაც ის ჩვენს თვალწინაა. ალბათ ბუნებაა მოწყობილი ამგვარად – მივილტვით იმისაკენ, რაც ჩვენგან შორს არის და უყურადღებოდ ვტოვებთ იმას, რაც ჩვენს ირგვლივაა“. პლინიუს უმცროსი; ძვ.წ. II საუკუნე (იხ. ჩარლზ რ. გელდნერი ჯ.რ. ფრენტ რითჩი, ტურიზმი. საფუძვლები, პრაქტიკა თეორია, გამომცემლობა ბათუმი, „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი”, გვ. 53, 2013.

მეტად მნიშვნელოვანია ეროვნული ურთიერთობათა გააზრება-გაგება, ადამიანთა მრავალწახნაგოვანი აზრებსა და მათი გამოვლენის ფორმებში წვდომა. ისინი უსათუოდ ამაღლებენ მოსახლეობასთან გაცნობის მნიშვნელობას და სხვისი სამშობლოსადმი პატივისცემის გრძნობის აღიარებას. არც ჯანსაღი სამოგზაურო კონსულტაციების გამართვაა ასეთ შემთხვევაში უინტერესო. იგი სტიმულს აძლევს ამგვარი მუშაობის სარგებლიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, ხაზს უსვამს მის პერსპექტივებს.

ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ტურისტების ქცევები და მანერები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების სტილზე, მით უმეტეს თუ საქმე გვაქვს ნაკლებად განვითარებულ სოციალურ გარემოსთან. ასეთ შემთხვევაში ტურისტებისა და მასპინძელი საზოგადოების სოციალური ურთიერთობების ურთიერთგაცვლამ შეიძლება დადებითი გავლენა მოახდინოს ორთავე მხარის ხასიათზე, დამახასიათებელ ნიშნებზე, მათ გაცნობასა და სათანადოდ შეფასებაზე (გელდნერი, რითჩი, 287).

დროთა განმავლობაში მოსახლეობის სამოგზაურო ინტერესები იცვლება. ამაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათ შორის, ომები, სამოქალაქო მშენებლობა, ინფორმაციები ახალი, სხვადასხვა სახის კონტინენტების შესახებ, მოქმედებებში წაბაძულობა, რაც ზოგჯერ ბევრი რამის შუამავლად გამოდის.

თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებმა გააფართოვა ლტოლვა სხვა ქვეყნებისა და ხალხებისადმი. ცხოვრების მაღალი დონით დაინტერესება და იმედი არსებულ პოლიტიკურ სივრცეში ამ დონის კიდევ უფრო ამაღლებისა, განსაკუთრებული ყურადღების საგნად იქცევა.

მოგზაურობისათვის აუცილებელია დისკრეციული (სუფთა) შემოსავალი (თუმცა რიგ შემთხვევაში ამის გარეშეც აღწევენ მიზანს). ცხადია მოგზაურობა მხოლოდ ერთი, ეკონომიკური ინტერესებით არ ამოიწურება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ტურისტული მოგზაურობის სიხშირე წარმოუდგენელია ოჯახურ შემოსავალთან კავშირის გარეშე. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას: ტურიზმი და აღნიშნული შემოსავალი პირდაპირ კავშირშია ერთმანეთთან.

აღიარებულია. რომ განათლება და მაღალი კულტურა ადამიანთა ინტერესის გაფართოების საფუძვლია, იგი სხვა, შესაფერის პირობებთან ერთად ტურიზმის სტიმულირებაზეც ახდენს გავლენას და მის მრავალმო-

დელურობას უწყობს ხელს. ტურისტული მოგზაურობის მოდელებიდან დღეს საყოველთაოდ ცნობილია მოგზაურთა კლუბები, ეკონომიკური ჯგუფები, წამახალისებელი ტურები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ორგანიზაციები და ა.შ. ყველა მათი სოციალური ინტერესი სავსებით ცნობილია საზოგადოებისათვის.

ტურიზმის ინფორმაციული უზრუნველყოფა დღეს ერთ-ერთ საყურადღებო საკითხთა სფეროს ეკუთვნის. იმის გამო, რომ, რიგ შემთხვევებში მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა მოკლებულია ინფორმაციულ წყაროებს კურორტებისა და მათთან დაკავშირებული ობიექტების შესახებ. ზოგიერთი ქვეყანა ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ მხარეს, ზოგიერთი კი პირიქით, ადვილად ამყარებს ორგანიზაციულ წესრიგს ამ მხრივ (გელდნერი, რითჩი, 2013:300).

დღეისათვის უაღრესად პროგრესირებადია შიგა ტურიზმი. ბევრ ქვეყანაში დაბალშემოსავლიანი ჯგუფებისათვის იგეგმება გასვლითი ტურები, რომლის ორგანიზატორები ეროვნულ ტურისტული ორგანიზაციებთან ერთად იწვევენ მეზობელი ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებს საერთო ინტერესების მქონე პროგრამების შესამუშავებლად (გელდნერი, რითჩი, იქვე).

სოციოლოგიის დიდი ინტერესი ტურიზმისადმი სავსებით გასაგებია – მოგზაურობა, როგორც ძველთაგანვე კარგადაა ცნობილი, დადებით გავლენას ახდენს ინდივიდებზე, კოლექტივებსა და საერთოდ განსხვავებულ სოციალურ ჯგუფებზე. ამ პროცესში ხდება ცვლილებები არა მხოლოდ საერთო ხედვებში, ქცევებში, გაგება-შეფასებებში, არამედ ყველა სახის შემეცნებით სფეროშიც, სინადვილისადმი ღრმად წვდომის შესაძლებლობის გამომუშავებაში.

უცხო გარემოში მოგზაურობისას ადამიანები ამჩნევენ პრობლემებს არა მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ქვეყნების მიერ გადასაწყვეტს, არამედ კაცობრიობისათვის თანაბარი მნიშვნელობის მქონეს. მათი მოთხოვნილების შესაბამისად გადაწყვეტა, დადებითი მოვლენა იქნებოდა როგორც ცალკეული ქვეყნების მაგალითზე, ისე საერთაშორისო სიტუაციების გათვალისწინებითაც.

მოგზაურობა ამცირებს კულტურულ დისტანციებს, ააშკარავებს არსებულ შეუსაბამობებს, აძლიერებს პიროვნების და საზოგადოების დაახლოების შესაძლებლობას.

მომავალი რეალური მოთხოვნილებებისა და მომსახურების პრობლემების უკეთ გაგებას ითხოვს. ამისათვის აუცილებელია დემოგრაფიული, ეკონომიკური და სოციალური მოვლენებისადმი ყურადღების გამახვილების მაქსიმუმი, რაც დადებითად აისახება მთელს ტურისტულ ინდუსტრიაზე, მის მრავალრიცხოვან მომხმარებლებზე, საერთოდ უაღრესად მნიშვნელოვან თეორიულ და პრაქტიკულ ინტერესებზეც.

აუცილებელია ცნობისმოყვარეობის შემოქმედებითობა, როგორც ცალკეული ქვეყნის, ისე მსოფლიოს განვითარების არაერთგვაროვანი ტენდენციებისადმი, მომავალი, მოსალოდნელი პრობლემების უკეთ განსაზღვრისათვის.

ტურიზმის პოლიტიკა არ თავსდება მხოლოდ იმ კანონებსა და დირექტივების ერთობლიობაში, რომლებსაც ზემდგომი ორგანოები გამოსცემენ. იგი უპირველესად იმ ერთობლივი, თანმიმდევრული და ორგანიზებული ღონისძიებების შედეგია, რომელთა წარმატება პრინციპულ და შემოქმედებით საქმიანობაზეა დამოკიდებული (მეტრეველი, 2011:156, ჩაგანავა, 2012:12-63).

ტურიზმის ფილოსოფია, როგორც მისი ძირეული ინტერესების ერთობლიობა, საკმაოდ რთულია, იგი აირეკლავს იმ სოციალურ შეხედულებებსა და ფასეულობებს რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მოვლენების რეალური შეფასებისათვის. ტურიზმის მიზნები გარკვეული შედეგების დაფიქსირებაა, იგი ახასიათებს ტურიზმის სისტემას მოცემულ დროსა და ჩარჩოებში. ამ მიზნების რეალიზება უკვე დროის გარდაუვალ მოთხოვნად იქცა.

მოგზაურობა სხვადასხვა მიზნითა და მასშტაბით შორეული წარსულიდან დაიწყო. თავდაპირველი კრუიზი რომელიც ეგვიპტელების სახელს უკავშირდება ძვ. წ.ა. 1480 წლით თარიღდება.[2]

ჩვენს დრომდე მოღწეულ ჩანაწერებსა და ექსპონატებში მსოფლიო ხელოვნების უიშვიათესი კვალია შემორჩენილი. საკუთარი ვიზიტის დამადასტურებელ საბუთებზე მოგზაურები სხვადასხვა სახის წარწერებს ტოვებდნენ, საიდანაც ნათლად ჩანს ტურიზმთან დაკავშირებული იშვიათი ნივთების შეძენის დიდი სურვილი. ანტიკური სამყაროდან მოყოლებუ-

[2] არის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ტურისტული გიდის (ექსკურსიამძღოლის) პირველი კონცეფცია ძვ.წ. 4000 წლიდან გააჩნდათ ძველ შუმერებს.

ლი ტურისტული ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ყოველ დროის ტურისტის სავალდებულო მოთხოვნილებასა და ოცნებას წარმოადგენდა. ამ მოთხოვნილების განხორციელების რეალური შედეგი მსოფლიოს იმ შვიდი საოცრებების ხილვაში გამოიხატებოდა, რომლებიც დღესაც ადამიანთა აღფრთოვანების საგნადაა ქცეული (ესენია: ეგვიპტის პირამიდები, ბაბილონის დაკიდული ბაღები, ჰალიკარნასის მავზოლიუმის აკლდამა (რომელიც ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა), საბერძნეთში ოლიმპოს მთაზე მდებარე ზევსის ქანდაკება, როდოსის კოლოსი ეგვიპტეში, ალექსანდრიაში მდებარე ფაროსის შუქურა, არტემიდის ტაძარი ეფესოში (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა). ამათგან სადღეისოდ მხოლოდ ეგვიპტის პირამიდები შემორჩა თანამედროვეობას (გელდნერი, რითჩი, 2013:53-54,).

გადაადგილების საშუალებების გაუმჯობესებამ თანდათან უფრო ფართო ხასიათი მიიღო. სამომავლო გზებთან ერთად ახლა მოგზაურობას კონტინენტთა ერთმანეთთან დაკავშირების მოთხოვნილებაც გაუჩნდა, რომელშიც უმეტესად, სამხედროები, სახელმწიფო მოხელეები და ქარავნებიც კი მონაწილეობდნენ. აღსანიშნავია, რომ რომაელი იმპერატორის ტრაიანეს (ახ.წ. 98-117 წ.წ.) მიერ გაყვანილი გზების ქსელმა 50000 მილს მიაღწია. ამ საქმიანობის დეფიციტი არც ძველ საბერძნეთში იგრძნობოდა (გელდნერი, რითჩი, 2013: 56).

შუა საუკუნეებში მოგზაურობამ შორს, იტალიიდან ჩინეთში გადაინაცვლა. იგი იტალიელი მოგზაურის მარკო პოლოს სახელთანაა დაკავშირებული და მე-13 საუკუნით თარიღდება[3]. მისი შთაბეჭდილებები პირველი წიგნია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ მიმავალი ადამიანების გზაზე (გელდნერი, რიჩი, 2013:56).

ძვ.წ. 2000 წლიდან ა.წ. 500 წლამდე პერიოდი ხმელთაშუა ზღვისპირეთში ტურიზმის ინდუსტრიის“ ხანადაა აღიარებული. თანამედროვეები ბერძნულ სასტუმროებსა და თავშესაფრებს იმ დროის საოცრებებს უწოდებდნენ. ასეთი მშენებლობების ფართო ხასიათს არაერთი ჩანაწერი გვიდასტურებს, განსაკუთრებით ამ მოგზაურობათა შედეგები. არის ცნობა, რომ ქ. ეფესს (მცირე აზიაში) ძვ.წ. ა. 334 წლიდან, ალექსანდრე მაკედონელის მიერ დემოკრატიული მმართველობის დამყარების

[3] მრავალი საგულისხმო წყარო საგანგებოდ მიუთითებს, რომ ძველი ბერძნები დასვენება-გართობასა და ავადმყოფთა მკურნალობას პირდაპირ უკავშირებდნენ მოგზაურობასა და ტურიზმს.

შემდეგ, სეზონის განმავლობაში 700 000 ტურისტი მოაწყდა (გელდნერი, რითჩი, 2013: 59) .

მომდევნო ხანაში, კერძოდ XIV საუკუნეში, თავიანთი ჩანაწერებით მოგზაურები დიდ ინტერესს აღძრავდნენ ამ საქმით დაინტერესებულ ადამიანებში. საუკეთესო საცნობარო მასალაა პოეტ ბასკოს ჩანაწერებში XV საუკუნის იაპონიის შესახებ, ხოლო გოეთეს დღიურები იტალიის შესახებ (1786-1788 წ.წ.) საკუთარი მოგზაურობის თავგადასავლებზე არსებულ ლიტერატურათა შორის ნამდვილი შედევრია (ლუხუტაშვილი, ჯულაყიძე, 2009:3-4).

XVII-XVIII საუკუნეებში სამოგზაურო უპირატესობა დიპლომატებისაკენ გადაიხარა. ევროპის ქალაქებში „სტუმრობის“ შედეგები ნათლად ადასტურებს ამ მოგზაურთა ფართო დიპლომატიურ, პოლიტიკურ ეკონომიკურ და სამეცნიერო მიზნებს.

ნამდვილი ტურისტული აგენტები ევროპაში XIX საუკუნის დასაწყისში ჩნდება. 1841 წელს ინგლისელმა თომას კუკმა პირველმა იმოგზაურა სპეციალური მატარებლით 570 მგზავრთან ერთა. ამ მანძილის სიგრძე 12 მილს აღწევდა; სწორედ კუკის ტრანსპორტი ითვლება პირველ „საზოგადოებრივ -საექსკურსიო“ მატარებლად. საინტერესოა, ისიც რომ 1850 წლიდან ევროპაში გაჩნდა „მოგზაურობის ორგანიზაციის“ ბიზნესიც (ლუხუტაშვილი, ჯულაყიძე, 2009: 66). ბევრი რამ, მათ შორის სამოგზაურო მოძრაობის ორგანიზაცია თანდათან უმჯობესდებოდა საკვებით და სხვა ძირითადი საშუალებებით უზრუნველყოფის აუცილებლობასთან ერთად.

სულ მალე მოძრაობის საშუალებებმა თანდათან წყალზე გადაინაცვლა, ორთქლის გემები ამ მიზნისათვის შესანიშნავი „აღმოჩენა“ იყო. მე-19 საუკუნეში სარკინიგზო მოძრაობამ ინგლისში ახალი, უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა და მალე მგზავრთა რაოდენობამ მილიონს გადააჭარბა.

ამავე საუკუნეში საავტომობილო ტრანსპორტი უკვე გადაადგილების ძირითადი საშუალების სახეს იღებს, რაც ამერიკელი ჰენრი ფორდის სახელს უკავშირდება (გელდნერი, რითჩი, 2013: 67); მომდევნო პერიოდში მოძრაობის ინტენსივობის გამო საჰაერო ტრანსპორტს მიენიჭა უპირატესობა და იგი რეალურად ჩადგა გადაადგილების ძირითად საშუალებათა შორის, ხოლო უფრო გვიან რეაქტიულმა ძრავებმა მთელი გადატრიალება მოახდინა ამ სფეროში.

XX საუკუნის 60-იან წლებში ტურიზმის უპირატესობა აშკარად გამოიკვეთა. წარმოიშვა ფილოსოფია „**ტურიზმი–განვითარებას**“. ახლა ამ საქმიანობაში ჩაბმამ მრავალრიცხოვანი კადრები მოითხოვა. ტურიზმი და „მოგების ფილოსოფია“ უკვე მჭიდროდ გადაეჯაჭვა ერთმანეთს, მათვე დაუკავშირეს ადგილობრივი ეკონომიკების სტიმულირება და ცხოვრების პირობების გაუმჯობესება. მაგრამ ეს ერთმნიშვნელოვანი მოვლენა არ იყო, მას ჰყავდა მოწინააღმდეგები, კრიტიკული მოსაზრებების ავტორები, განსაკუთრებით ეკონომისტები, რომლებიც არგუმენტირებულ აქცენტებს აკეთებდნენ „დაბალი შემოსავლების“ თეორიის სასარგებლოდ. შემდეგ ამ პროცესში ფსიქოლოგები, „სოციოლოგები, პოლიტოლოგები და ეკოლოგებიც ჩაერთო. ისინი კრიტიკულად უყურებდნენ აღნიშნულ პროცესებს და კამათსაც უფრო მწვავე ტონს აძლევდნენ.

დღეს, საყოველთაოდ აღიარებულია ტურიზმი როგორც ინდუსტრია (მეტრეველი, 2008:82), რომლის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ყოველგვარ მოლოდინს გაცდა. მან დიდი ხანია მიიღო მოსახლეობის მსოფლიო მიგრაციის ფორმა. მის მაღალ რეიტინგს სხვადასხვა ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთგაცნობის მნიშვნელოვან პროცესს უკავშირებენ.

მიუთითებენ რომ ტურიზმის მასობრივი ხასიათი მოსახლეობის შვებულების პერიოდს ემთხვევა. ამ დროისათვის ადამიანთა 32% სოფელს ელტვის, 20% ქალაქს, 16-17% სანატორიუმებს, დასასვენებელ სახლებს და სხვა გამაჯანსაღებელ სპორტულ-ტურისტულ კერებს (მეტრეველი, 2003:19). ამავე დროს, კიდევ უფრო იკვეთება მისი განსაკუთრებული შემეცნებითი მნიშვნელობა, როგორც ადამიანთა თვალსაწიერის გაფართოების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალება.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში, ადამიანის მოძრაობის მკვეთრად შემცირების პირობებში, მექანიზაცია-ავტომატიზაციამ, პროგრესული მართვის ჩარხებმა და სხვა ტექნიკურმა სიახლეებმა მოიკიდა ცხოვრებაში ფეხი. მძიმე ფიზიკური შრომის ნაცვლად თანდათან მკვიდრდება გონებრივი შრომა. ნერვიულ გადატვირთვასთან ერთად იცვლება ადამიანის აზროვნების ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ფუნქციები, რაც სერიოზულ გავლენას ახდენს მის ჯანმრთელობაზე. დამტკიცებულია, რომ უძრაობით გამოწვეული უარყოფითი შედეგების უტყუარი წამალია ტურიზმი, რასაც ერთხმად ადასტურებენ მეცნიერული გამოკვლევე-

ბი და დაკვირვებები. ნაწილობრივ ამითაცაა განპირობებული რომ ტურიზმზე მოთხოვნილება დღეს არნახულ მასშტაბებს აღწევს.

სადღეისოდ ტურიზმზე მოთხოვნილება ინტენსიურად იზრდება. ეს პროცესი ბევრ რაიმეს უკავშირდება. მასში ჩადებული ინვესტიციები ბიძგს აძლევს დიდ სოციალურ-ეკონომიკურ ეფექტს და თანდათან იქცევიან შემოსავლებისა და ეკონომიკური ძლიერების წყაროდ.

საერთაშორისო ტურიზმი დღეს ახორციელებს მშვიდობის ფუნქციას, ამკვიდრებს ადამიანთა შორის საქმიან კონტაქტებს, ხელს უწყობს კულტურულ და მეცნიერულ კავშირებს, კეთილსასურველს ხდის ხალხებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს.

საქართველოს შესანიშნავი ბუნებრივ-კლიმატური პირობების გამოყენებას ტურიზმის განვითარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება, მათ შორის აჭარის მთისა და ზღვის საუკეთესო კლიმატის უნიკალური შეხამება აშკარად ხელს უწყობს ამ გამორჩეული მხარის ნამდვილი საერთაშორისო მნიშვნელობის დასვენებისა და ჯანმრთელობის გაჯანსაღების აღიარებულ კერად გადაქცევას (აჭარა, 2016:272)

მდიდარი მატერიალური და კულტურული მემკვიდრეობის მქონე აჭარა უცხოელთა დაკვირვებისა და აღქმის უაღრესად საინტერესო ობიექტი იყო. მისი განვითარებული მრავალმხრივი შუასაუკუნეობრივი კულტურული მემკვიდრეობა დღეს ასეულობით ძეგლს აფიქსირებს.

აჭარის საკურორტო რესურსები ადრიდანვე მოექცა უცხოელთა ყურადღების ცენტრში, ხოლო მომდევნო ხანაში, საქართველოს სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში მისი გადასვლის შემდეგ მან მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია, აშკარად გაუმჯობესდა და გამრავალფეროვნდა მისი შესაძლებლობები.

ამჟამად აჭარაში დაფიქსირებულია მრავალი საკურორტო ცენტრი, რომლებმაც უკანასკნელ წლების განმავლობაში მილიონ ნახევრამდე ტურისტი მიიზიდა (აჭარა... 2016: 72). ამ პროცესს ხელს უწყობს, აგრეთვე, აქტიური სამუზეუმო საქმიანობა, რომლის მასშტაბებმა რაიონული დაქვემდებარების ცენტრებშიც გადაინაცვლა. უნდა აღინიშნოს, რომ გამორჩეული არქიტექტურული სტილით ნაგები აჭარის მატერიალური კულტურის ცენტრები საუკეთესო საშუალებაა უცხოელი ტურისტების ჩვენს ქვეყანაში მოზიდვისათვის (აჭარა,206: 275).

მიწათმოქმედების მევენახეობისა და მეღვინეობის განთქმულ ქვეყანაში – საქართველოში, აჭარას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი მაღალხარისხოვანი და მაღალპროდუქტიული ყურძნის ჯიშებით სპეცია-

ლისტებისა და მომხმარებლის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

მეციტრუსეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის, ხელოსნობისა და სხვა სამეურნეო დარგების ოდითგანვე განვითარების მაღალი დონით, აჭარას ყოველთვის ღირსეული ადგილი ეკავა ქვეყნის საერთო სივრცეში, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის მის ტურისტულ ფუნქციებს.

ის ფაქტი, რომ ტურიზმით დაკავებულია მსოფლიო მოსახლეობის 9% ბევრის მთქმელია. საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების 32% ხომ ტურიზმზე მოდის. ტურისტების რაოდენობის ზრდამ აჭარაში, ბოლო წლებში ხუთნიშნა ციფრს გადააჭარბა და ასეულ ათასამდე გაიზარდა, რაც ამ სფეროში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და მომსახურების საერთაშორისო დონესთან გათანაბრების აუცილებლობას მოითხოვს.

მაღალხარისხოვანი სპეციალისტების მომზადების აუცილებლობამ საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ტურიზმის სპეციალობის შემოღება განაპირობა. ამის თვალსაჩინო მაგალითია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში ტურიზმის ფაკულტეტის გახსნა (აჭარა, 2016:5-6), სადაც ტურიზმის საყოველთაოდ ცნობილი კატეგორიიდან (ეთნოკულტურული, ისტორიული, ეკოლოგიური, რეკრეაციული, ბიზნესტურიზმი) ყველას განვითარების ხელსაყრელი პირობებია შექმნილი.

ტურიზმი განუზომლად წინ მიდის და მისი ყველა პრობლემის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, თუ იგი რეალურად დაექვემდებარება ჩვენი ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების ინტერესებს.

Константин Глонти

Некоторые аспекты происхождения и развития туризма

Р е з ю м е

Туризм зародился в отдаленном историческом прошлом. Он тесно был связан с путешествием, торговлей и с дипломатическими взаимоотношениями. В последующие века туризм с формальной и содержательной стороны заметно преобразовался, в особенности после второй мировой войны, когда туризм превратился в настоящее мировое явление.

ლიტერატურა

1. აჭარა ტურისტულ-მხარეთმცოდნეობითი რესურსები, გამომცემლობა „ბათუმის „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2016.

2. ჩარლზ რ., გელდნეირი ჯ.რ. ბრენტ რითჩი, ტურიზმი, საფუძვლები, პრაქტიკა, თეორია; გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, საქართველო, 2013.

3. მანანა ლუხუტაშვილი, ემზარ ჯულაყიძე, ტურიზმის მენეჯმენტი, საგამომცემლო ცენტრი, ქუთაისი, 2009.

4. მარინა მეტრეველი, ტურიზმის ეკონომიკა და პოლიტიკა, თბილისი, 2011.

5. მარინა მეტრეველი, ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის საფუძვლები, თბილისი, 2008.

6. მარინა მეტრეველი, ტურიზმის სახელმძღვანელო ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის, თბილისი, 2003.

7. მარინა მეტრეველი, გარემო და ეკოტურიზმის მენეჯმენტი, თბილისი, 2012.

8. პაატა ჩაგანავა, ტურიზმის პოლიტიკა, თბილისი, 2012.

ოთარ თურმანიძე
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ერთი სოფლის რეპრესირებულთა ისტორია
(საარქივო, პრესისა და ეთნოლოგიური მასალების მიხედვით)

რეპრესიებს საქართველოში მსხვერპლად შეეწირა ათასობით უდანაშაულო ადამიანი. უპრეცედენტო იყო საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის დროს განხორციელებული რეპრესიები. მის მასშტაბსა და სისასტიკეს მოწმობს თუნდაც აჭარის ერთი სოფლის-სამოლეთის რეპრესირებულთა ისტორია.

სოფელი სამოლეთი შუახევის მუნიციპალიტეტის უჩამბის საკრებულოში შედის. იგი შეფენილია მთის კალთებზე და სამი უბნისაგან შედგება: სამოლეთი, მოფრინეთი და ლაკლაკეთი. ეს სასოფლო უბანები ისეა გადანასკვული ერთმანეთზე, რომ ვერ გაარჩევ სად არის მათი გამყოფი. სამოლეთი მჭიდროდაა დასახლებული. 1937 წლისათვის სოფელში 100-მდე კომლი სახლობდა (სამოლეთის უბანში-22, მოფრინეთის-38, ლაკლაკეთის უბანში-39). მცირე მიწიანობის გამო მოსახლეობა ღარიბად ცხოვრობდა, ვერ მოჰყავდათ საკმარისი სარჩო-საბადო და გარე სამუშაოზე მუშაობით ირჩენდა თავს.

გასაბჭოებამდე სამოლეთის მკვიდრნი გარე სამუშაოზე დადიოდნენ სეზონურად ართვინის ოკრუგში (სამთამადნო მრეწველობა), ბათუმში, ჭიათურაში, ახალციხესა და სხვა კუთხეებში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნა სახელმწიფო ორგანოების, პარტიული და საზოგადროებრივი ორგანიზაციების, სავაჭრო და კოოპერაციულ სისტემაში და სხვა დარგებში. სამოლეთის ახალგაზრდობის ნაწილი საბჭოთა ხელისუფლების სამსახურში ჩადგა, რითაც ოჯახს შემოსავლის ახალი წყარო გაუჩნდა.

ისტორიული ბედუკუღმართობის გამო სამოლეთის მოსახლეობა, ისე როგორც საერთოდ აჭარისა, ჩამორჩა ევროპის ცივილიზაციას. ოსმალთა ბატობობის დროს სოფლის მოსახლეობაში გავრცელდა მუსლიმანური წეს-ჩვეულებები, მათ შორის ქალის განსაკუთრებული ჩაცმულობა-ჩადრი. მართალია, ისინი საერთო ქართულ რელიგიურ

რწმენას და წეს-ჩვეულებებს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მისი დაძლევა ძალადობით, რეპრესიებით, თანაც რეკორდულად მოკლე დროში მოსახლეობის მხრიდან საპასუხო რეაქციას იწვევდა. ეს თავისებურება, რომელიც მთლიანად რეგიონისათვის იყო დამახასიათებელი, ვერ გაითვალისწინა საქართველოს საბჭოთა ხელისფლების ცენტრალურმა და აჭარის საოლქო ხელმძღვანელობამ.

საბჭოთა ხელსუფლების ორგანოებმა 1927 წლიდან გააძლიერეს საგანგებო ღონისძიებები რელიგიური აღმსარებლობის და ქალების მიერ ჩადრის ტარების წინააღმდეგ. მოსახლეობაში იმდენად ძლიერი იყო რელიგიური ფანატიზმი, ქალების მიერ ჩადრის ტარების ჩვეულება, რომ საგანგებო, ბრძანებლურ-ადმინისტრაციული ღონისძიებანი სასურველ შედეგებს ვერ იძლეოდა. სამოლეთის მოსახლეობა, აჭარის სხვა სოფლების, მსგავსად გამოვიდა ხელისუფლების წინააღმდეგ. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მითითებით ხულოს მაზრის ხელმძღვანელები ა. კალანდაძე და რ. ხოზრევანიძე სოფლიდან სოფელში დადიოდნენ და ადმინისტრაცილი მეთოდებით, შანტაჟითა და პოლიციური ძალის გამოყენებით ცდილობდნენ მოსახლეობის მიერ რელიგიური აღმსარებლობის აღკვეთას და ჩადრის ტარების აკრძალვას. მათი დავალებით სოფელ სამოლეთში რამდენიმე პიროვნება, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს ასეთი ზომების გატარებას, დააპატიმრეს, სატუსაღოში ჩასვეს და აწამებდნენ. კრებებზე, რომლებიც რელიგიასა და ჩადრის ტარებასთან დაკავშირებით ეწყობოდა, შეურაცხყოფას აყენებდნენ მამაკაცებთან ერთად ქალებსაც (აცსა, ფ. პ-1, ან 1, ს).

რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლისა და ქალების მიერ ჩადრის მოხდის კამპანიასთან დაკავშირებით ხელისუფლების საგანგებო ადმნისტრაციულმა ღონისძიებებმა მოსახლეობის მასობრივი მღელვარება გამოიწვია, რომელიც 1929 წელს სახალხო აჯანყებაში გადაიზარდა.

ანტისაბჭოთა მოძრაობის მასობრიობის გამო ხელისუფლებამ ვეღარ გაბედა აჯანყების აქტიური მონაწილეების მკაცრად დასჯა. საბჭოთა ხელისუფლების ამიერკავკასიისა და საქართველოს ცენტრალურმა ორგანოებმა ამინისტია გამოაცხადეს. მიუხედავად ამისა, რეპრესიები მაინც გატარდა. ხულოს მაზრიდან რუსეთში შვიდი ხოჯა გადაასახლეს, რომლებიც აჯანყების სულიერი ხელმძღვანელები იყვენ. სოფელ სამოლეთში მოსახლეობის 1929 წლის ანტისაბჭოთა გამოსვლას ხელმძღვანელობდა აქაური ხოჯა ოსმან ქელეშის ძე რამიშვილი, რომელიც შემდგომში პოლიტიკური დევნის გამო თურქეთში

გადაიხვეწა. აჯანყების აქტივისტებს, რომლებიც ადგილზე დარჩნენ, ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა.

ყველაზე უფრო მასობრივი რეპრესია, რომელიც სამოლეთის მოსახლეობამ განიცადა, იყო კოლექტივიზაცია. სამოლეთში მემამულე-თავადაზნაური (ბეგი) საერთოდ არ ყოფილა. მოსახლეობის უმრავლესობა ღარიბი იყო. ცხადია იყვნენ საშუალო კატეგორიის გლეხებიც. XX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე კულაკთა კატეგორიას მიაკუთვნეს მხოლოდ ერთი მეურნე - ილიას ასანისძე ბერიძე (ჩიტოღლი). მართალია, მას კულაკისათვის დადგენილი შემოსავალი სოფლის მეურნეობიდან არ ჰქონდა, მაგრამ გააჩნდა პატარა სავაჭრო დუქანი და წვრილმანი საქონლით ვაჭრობდა. აქედან ამონაგების გათვალისწინებით კულაკთა სიაში შეიყვანეს და გააკულაკეს (აცსა, ფ. რ-49 ან. 1, ს. 112, ფრც. 96). 1930 წელს შეიქმნა სამოლეთის კოლმეურნეობა მიწის საზიაროდ დამმუშავებელი ამხანაგობის („ტოზი“) სახით. 1937 წლის მეორე ნახევარში სასოფლო სამეურნეო არტელად გარდაქმნეს. კოლექტივიზაცია განხორციელდა ძალადური მეთოდებით, გლეხობის შანტაჟის გზით. სოფლის რამდენიმე მეურნე, ამ შანტაჟის მიუხედავად, კოლმეურნეობის გარეშე დარჩა. მაგრამ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წინ კოლმეურნებაში მაინც ჩააბეს, თანაც დასაჯეს-0,75 ჰექტარის ნაცვლად, რაც გათვალისწინებული იყო სასოფლო სამეურნეო არტელის წესდებით, 0,25 ჰექტარი მიწა მიუზომეს საკარმიდამო ნაკვეთის სახით. საბჭოთა კავშირის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მხოლოდ 1989-1990 წლებში აღიარა ძალადური კოლექტვიზაცია, როგორც სოციალურ ეკონომიკური რეპრესია (გაზეთი „კომუნისტი“ 1989, 7 იანვარი, 1990, 15 აგვისტო).

სულიერი ტანჯვით, ადამიანური ღირსების შელახვით უმაგალითო იყო რეპრესიები, რომელიც სამოლეთის მოსახლეობამ განიცადა 1937-1938 წლებსა და მომდევნო პერიოდში. 1937-1940 წლების პოლიტიკურ რეპრესიებს მსხვერპლად შეეწირა 28-მდე უდანაშაულო ადამიანი, მათ შორის იყვნენ სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციის თვალსაჩინო მოღვაწეები, სამეურნეო და კოოპერაციული დარგის ხელმძღვანელი მუშაკები, სასულიერო წოდების წარმომადგენლები, რიგითი ადამიანები, რომელთაც პოლიტიკაზე საერთოდ წარმოდგენა არ ჰქონდათ. რეპრესიერებულთა შორის პირველ რიგში აღსანიშნავია საბჭოთა ხელისუფლების აპარატში მომუშავე და სასულიერო პირები. მათ შორის: ზექერია ლორთქიფანიძე, სულეიმან ბეჟანიძე, ნური გამრეკელიძე, შაქირ თურმანიძე, რომლებიც ავტონომიური

რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ.

ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძე სოფელ სამოლეთში (მოფრინეთის უბანი) 1892 წელს დაიბადა. მისი ოჯახი ღარიბ გლეხთა კატეგორიას ეკუთვნოდა. დურსუნს სამი შვილი ჰყავდა–1 ვაჟი და 2 ასული. მამის გარდაცვალების შემდეგ ზექერია ბიძაშვილთან ერთად ცხოვრობდა, მას სოფელში საკუთარი სახლიც არ გააჩნდა.

ზექერია ლორთქიფანიძე შრომაში ბავშვობიდანვე ჩაება. ჯერ კიდევ ჭაბუკი სამუშაოს საძებნელად ბათუმში წავიდა. ერთხანს ჩაქვის საუფლისწულო მამულში მუშაობდა, მაგრამ მას სოფელთან კავშირი გაწყვეტილი არ ჰქონდა და დროგამოშვებით თავის საოჯახო მეურნეობაშიც მუშაობდა.

მართალია, ზექერია ლორთქიფანიძე დაბალი განათლებით იყო, მაგრამ მშობლიურ ქართულთან ერთან თავისუფლად ფლობდა რუსულ და თურქულ ენებსაც. ზექერია ლორთქიფანიძეს ხელმძღვანელობის, თავკაცობის ბუნებით ნაბოძები ნიჭი გააჩნდა: იყო კარგი მჭერმეტყველი, წარმოსადეგი, ბრძენი, პრინციპული, თავმდაბალი, გამჭრიახი, მოყვასი, მიუკერძოებელი, დაკისრებული საქმის ერთგული შემსრულებელი, ფუტკარივით მშრომელი. სწორედ ამ თვისების გამო იგი საზოგადოების, კერძოდ, მაღალი პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ყურადღების არეალში აღმოჩნდა.

ზექერია ლორთქიფანიძე 1921 წლიდან აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში. სექტებერში აირჩიეს ბათუმის ოლქის გლეხთა ცენტრალური კომიტეტის წევრად, ხოლო ნოემბერში-რევკომის თავმჯდომარის მოადგილედ. 1922 წლის იანვარში დანიშნეს აჭარის მილიციის მთავარი სამმართველოს უფროსად. მომდევნო წლებში მუშაობდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) მდივნად, ხულოს მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ (1926 წ. 3 თებერვალი -1 აპრილი), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის მდივნად, მიწადმოქმედების სახალხო კომისრად, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, 1929 წლის 14 მაისიდან კი- თავმჯდომარედ, 1930-1937 წლებში (დაპატიმრებამდე) იყო აჭარის ცაკის თავმჯდომარე.

ზექერია ლორთქიფანიძის დიდ ავტორიტეტს მოწმობს ისიც, რომ 1930 წლიდან არჩეული იყო საქართველოს ცაკის წევრად, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პლენუმისა და ბიუროს წევრად. 1935 წელს აირჩიეს საბჭოთა კავშირის ცაკის ეროვნებათა საბჭოს წევრად. აჭარის

სახალხო მეურნეობის განვითარებაში მიღწევებისათვის 1935 წლის 20 ნოემბერს დააჯილდოვეს ლენინის ორდენით. სამოლეთის ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებულმა და აღზრდილმა ჭაბუკმა ასეთ მაღალ კარიერას თავისი ნიჭისა და ხელმძღვანელობისათვის დამახასიათებელი სხვა ბუნებრივი თვისებებით მიაღწია.

საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე ასეთი დამსახურების მიუხედავად ზექერია ლორთქიფანიძეს მავნებლობა დასწამეს, კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად, ხალხის მტრად შერაცხეს და 1937 წლის 19 ივლისს დააპატიმრეს. ლ. ბერიას მითითებითა და ინსტრუქციით შინსახკომის და პროკურატურის მუშაკებმა 1937 წლის 24-28 სექტემბერს ბათუმში სასამართლოს პოლიტიკური სცენარი დადგეს, 28 სექტემბრის განჩინებით, სხვა სასჯელმისჯილებთან ერთად, დახვრიტეს. ფალსიფიცირებული ბრალდებით ზექერია ლორთქიფანიძე თითქოს ამზადებდა სახალხო აჯანყებას აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენისათვის, დაკავშირებული იყო უცხოეთის დაზვერვასთან, მათგან იღებდა ინსტრუქციებსა და ფულს. თურმე ზ. ლორთქიფანიძეს ანტისაბჭოთა მუშაობა დაუწყია 1928 წლიდან, ხოლო 1933 წელს შეუქმნია „კონტრრევოლუციურ-მავნებლური, დივერსიულ-ტერორისტული საჯანყებო კომიტეტი“ (გაზეთი „კომუნისტი“ 1937, 26 სექტემბერი (№220).

ზექერია ლორთქიფანიძის დაპატიმრების ორი დღის შემდეგ დააპატიმრეს მისი მეუღლე ესმა ოსმანის ასული დავითაძე-ლორთქიფანიძისა, რომელსაც თითქმის სამი თვის წამების შემდეგ, საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით, 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს და ციმბირში გადაასახლეს. ფალსიფიკაციის შენიღბვისათვის გამოიყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლები: 58-2 (შეიარაღებული აჯანყება) და 58-11 (ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის). სასჯელმოხდილი, მაგრამ ფიზიკურად და სულიერად გატეხილი 1947 წელს გაათავისუფლეს. 1949 წლის 26 იანვარს, როგორც „საბჭოთა ხელისუფლებისადმი არასანდო“, მუდმივ საცხოვრებლად გაასახლეს ისევ შორეულ ციმბირში. ი.ბ. სტალინის სიკვდილის შემდეგ დაიწყო რეპრესილებულთა რეაბილიტაცია. ესმა ლორთქიფანიძე გასახლებიდან დაბრუნდა 1955 წელს. მისი რეაბილიტაცია მოხდა 1956 წელს. ამავე წლის 7 ივლისს ესმა ლორთქიფანიძემ განცხადებით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს, რომელშიც მოკლედაა აღწერილი ოჯახის ტრაგიკული ბედი და მოითხოვდა ქმრის რეაბილიტაციას. 1957 წელს გან-

ხორციელდა ზექერია დურსუნის ძე ლორთქიფანიძის რეაბილიტაცია. საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს 1989 წლის 16 იანვრის ბრძანებულების საფუძველზე კი ესმა ლორთქიფანიძის რეაბილიტაცია (სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა. თბ; 2001, გვ.55). ზექერია ლორთქიფანიძის მეუღლე და შვილები ვეღარ მოესწრენ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 მარტის კანონს „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ.“

1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდნენ სამოლეთელი სულეიმან ბეჟანიძე, ქერემ და ნური გამრეკელიძეები, შაქირ თურმანიძე, სულეიმან ბერიძე, შაქრის ბერიძე, ჰესრეთალ სამოლიძე, იუსუფ თურმანიძე, მუხამედ ვარშანიძე, მემედ თურმანიძე, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებში მუშაობდნენ და წარმატებულ მუშაკებად ითვლებოდნენ. მათ შორის მნიშვნელოვან თანამდებობრივ კარიერას მიაღწია სულეიმან იუსუფის ძე ბეჟანიძემ. იგი დაიბადა 1906 წელს გლეხის ოჯახში. დაამთავრა სოფლის დაწყებითი სკოლა. დედით ადრე დაობლებული მამას ეხმარებოდა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. მისი ბუნებრივი მოწოდება საზოგადო და სახელმწიფო სამსახური იყო. 17 წლის სულეიმან ბეჟანიძე კომკავშირელი გახდა. 1924-1926 წლებში სწავლობდა ბათუმის პარტიულ სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა კომკავშრისის ხულოს რაიკომის მდივნად. 1931 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი იყო. 1932 წლის სექტემბრიდან 1934 წლის მაისამდე მუშაობდა ხულოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ. შემდეგ იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავჯდომარე. 1935-1936 წლებში მუშაობდა აჭარის იუსტიციის სახალხო კომისრად და პროკურორად. 1936 წლის 21 ოქტომბერს დანიშნეს ხულოს რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავჯდომარედ (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს. 3135, ფრც 2-5).

მართალია, სულეიმან ბეჟანიძე იყო ზექერია ლორთქიფანიძის დისშვილი, მაგრამ მაღალ თანამდებობრივ კარიერას მიაღწია თავისი ნიჭითა და შრომისმოყვარეობით, დაკისრებული მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი და პასუხისმგებლური დამოკიდებულებით. მან გამოავლინა ადამიანებთან ურთიერთობის არაჩვეულებრივი უნარი. ზ. ლორთქიფანიძესთან ერთად ს. ბეჟანიძეც დააპატიმრეს და იმავე სასამართლოს განჩინებით ბათუმში დახვირტეს. ნიშანდობრივია, რომ 11 ბრალდებულიდან, რომელთა „ბრალეულობა“ 1937 წლის სექტემბრის

ფალსიფიცირებულ საჩვენებელ სასამართლო პროცესესზე იხილებოდა, ორი ბრალდებული სოფელ სამოლეთიდან იყო.

საოცარი ის არის, რომ ზექერია ლორთქიფანიძე, როდესაც თავის სოფელს ეწვეოდა, მოსახლეობა რამდენიმე კილომეტრით ფეხით მიაცილებდა და განუსაზღვრელი იყო ხალხის მისდამი პატივისცემა. სასამართლოს სხდმოების მიმდინარეობის დროს ლ. ბერიასა და მისი თანამზრახველების დავალებით საწარმო-დაწესებულებსა და სოფლად სპეციალურ კრებებს ატარებდნენ, სადაც დამსწრეებს არწმუნებდნენ და აიძულებდნენ გამოეთქვათ ის აზრი, რასაც რეპრესიის ორგანიზატორები თხზავდნენ: ბრალდებულები თითქოს იყვნენ მავნებლები, ხალხის მტრები, მოღალატეები, რომელთა მიზანი თურმე იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის აღდგენა. 1937 წლის 25 სექტემბერს სოფელ სამოლეთის კრებამ პარტიის ხულოს რაიკომის მდივნის ვ. დვალის მოხსენების შემდეგ მოითხოვა მსჯავრდებულთა დახვრეტა (აცსა, ფ. პ-12, ან. 2,ს.75, ფურც. 1-139). ამასვე მოითხოვდნენ აჭარაში გამართული კრებებისა და მიტინგების მონაწილეები. ეს იმაზე მიგვანიშნებს, თუ რამდენად გარყვნილი იყო საბჭოთა კომუნისტური ელიტა და როგორ გადაგვარებული, დაშინებული და დაშანტაჟებული გახდათ მოსახლეობის ნაწილი, ვინც ამართლებდა და იწონებდა უდანაშაულო ადამიანების რეპრესიებს.

სამოლეთელი ძმები ნური და ქერემ გამრეკელიძეები, მათი მამა შაქირი 1937 წელს მავნებლის, ხალხის მტრის იარლიყით ბათუმში დახვრიტეს. ერთი ოჯახიდან სამი უდანაშაულო ადამიანის ერთდროულად დახვრეტა საერთოდ საზოგადოების, სოფლის, საგვარეულოს, ოჯახისათვის გამაოგნებელი და გამანადგურებელი იყო.

ნური გამრეკელიძემ ხანმოკლე, მაგრამ საქმით დატვირთული ცხოვრების გზა განვლო. დაიბადა 1905 წელს სოფელ სამოლეთში. 1917-1924 წლებში მუშაობდა სოფლის მეურნეობაში. 1924-1926 წლებში სწავლობდა ბათუმის პარტიულ სკოლაში, დამთავრების შემდეგ ხულოში მუშაობდა სამაზრო აღმასკომის განყოფილების გამგედ. 1927 წლის მარტიდან სექტემბრამდე იყო საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი. 1927 წლის სექტემბრიდან 1931 წლის მარტამდე იყო ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის მსმენელი, დამთავრების შემდეგ 1932 წლის იანვრამდე მუშაობდა პარტიის ქობულეთის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, შემდეგ გადმოიყვანეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცაკის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ, სადაც 1933 წლის თებერვლამდე მუშაობდა. 1933 წლის თებერვლიდან -1934 წლის დეკემბრამდე იყო ბათუმის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექტორის მოადგილე პო-

ლიტიკურ დარგში. 1934 წლის დეკემბრიდან დაპატიმრებამდე მუშაობდა ხულოს რაიონის მიწათმოქმედების განყოფილების გამგედ და რაიაღმასკომის თავმჯობარის მოადგილედ. დაპატიმრების დროს რაისაბჭოს აღმასკოის თავმჯდომარე იყო (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს. 2140, ფრც. 230).

ნური გამრეკელიძე ენერგიული, პრინციპული, საქმისადმი თავდადებული პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე იყო. იგი ერთგულად ესახურებოდა იმ საქმეს, რასაც აკისრებდნენ. მიუხედავად ამისა რეპრესიების ორგანიზატორები ამას არაფრად აგდებდნენ. ნური გამრეკელიძეს, როგორც ასობით უდანაშაულო სხვა ადამიანს, მავნებლობა დააბრალეს. ყალბი ბრალდება შემდეგში გამოიხატებოდა: ხულოს რაიონში დაავადებული ჯიშიანი პირუტყვი შემოიყვანეს შვედეთიდან და რუსეთიდან. ამის შედეგად დაავადება გადაედო კოლმეურნეობების პირუტყვს. 1936 წელს შვედეთიდან შემოყვანილი 10 სული ბუღა მწარმოებელი ბათუმიდან ხულომდე ფეხით გადაიყვანეს კარანტინის გავლის გარეშე, რასაც მოჰყვა პირუტყვის დაცემა. ზოგიერთ კოლმეურნეობაში სასილოსე კოშკები ააგეს მავნებლურად-მათში ჰაერი შედიოდა, თანაც ისეთ ადგილას ააგეს, რომელსაც ეზო არ გააჩნდა და მზის სხივი არ შედიოდა, თითქოს ხელოვნურად არ ასრულებდნენ სილოსის ჩადების გეგმას.

ბრალდება ისიც იყო, რომ თურმე გადიდებული იყო თამბაქოს წარმოების გეგმა. ნური გამრეკელიძის დავალებით მიწათმომწყობი გლეხებს დანაწევრებულად, სხვადასხვა ადგილას უზომავდა საკარმიდამო ნაკვეთებს, ზოგს მეტს, ზოგსაც ნაკლებს. რაიონში შემოიტანეს ხეხილის გამხმარი ნერგები, რაც დიდხანს არ დარგეს. ადვილი დასაშვებია, რომ სოფლის მეურნეობაში ნაკლოვანებები და ხარვეზები იქნებოდა, მაგრამ მას არავითარი კავშირი არ ჰქონდა მავნებლობასთან. რეპრესიების ორგანიზატორებმა ბრალდებად ისიც წაუყენეს, რომ ნური გამრეკელიძის მამა - შაქირი იყო ხოჯა და მეჩეთში ეწეოდა წირვა-ლოცვას. ნური გამრეკელიძე 1937 წლის სექტემბერში დააპატიმრეს და ნოემბერში საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის" დადგენილებით დახვრიტეს.

1937 წლის ნოემბერში დახვრიტეს ნური გამრეკელიძის უფროსი ძმა ქერემი, რომელიც ქ. ბათუმში მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე და წარმატებულ მუშაკად ითვლებოდა. მას დასწამეს მავნებლობა და ხალხის მტრად მონათლეს. ნური და ქერემ გამრეკელიძეების რეაბილიტაცია მოხდა 1957 წელს (გაზეთი „აჭარა", 2015 წლის 31 იანვარი). ტრაგიკული იყო ქერემ და ნური გამრეკელიძეების მამის შაქირ გამრეკელიძის ბედი. ის 1937 წელს დააპატიმრეს

მოტივით, რომ იყო ხოჯა და სასტიკი წამებით დაასრულებინეს სიცოცხლე.

„ტრაგიკულ 37-ს“ მსხვერპლად შეეწირა სამოლეთელი შაქირ ყემბერის ძე თურმანიძე, რომელიც 19 წლის ასაკიდან ჩაება საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობაში. შაქირ თურმანიძე დაიბადა 1905 წელს შუახევის რაიონის უჩამბის საკრებულოს სოფელ სამოლეთში გლეხის ოჯახში. სოფლის დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ იმავე სკოლაში მუშაობდა კურიერად. 1924-1926 წლებში ბათუმის პარტიული სკოლის მსმენელი იყო. სკოლის დამთავრების შემდეგ ხულოს მაზრაში მუშაობდა ჯერ სამაზრო აღმასკომის სისტემაში, ხოლო 1928 წლიდან-კომკავშირის სამაზრო კომიტეტის მდივნად, 1929 წლის სახალხო მღელვარების გამო გაათავისუფლეს თანამდებობიდან, გადმოიყვანეს ქალაქ ბათუმში სავაჭრო დაწესებულებათა მუშაკების პროფესიული კავშირის თავმჯდომარედ.

შაქირ თურმანიძე 1934 წლიდან კვლავ ხულოს რაიონში მუშაობდა, თავდაპირველად მიწადმოქმედების განყოფილების გამგის მოადგილედ და ენერგიულად იბრძოდა რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. 1936 წელს დანიშნეს ხულოს რაიონის ჯანმრთელობის დაცვის უწყების ინსპექტორად, როდესაც განყოფილება შეიქმნა ის გამგედ გადაიყვანეს. შაქირ თურმანიძეს განზრახული ჰქონდა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლის გაგრძელება. რადგანაც მას საშუალო განათლება არ ჰქონდა, პარტიის ხულოს რაიონის კომიტეტის 1937 წლის 5 იანვრის დადგენილებით მიავლინეს ქალაქ ბათუმში ექსტერნად საშუალო განათლების ატესტატზე გამოცდების ჩასაბარებლად (აცსა, ფ. პ-12, ან. 2, ს. 70ა), ფურც.19), მაგრამ აღარ დასცალდა. შაქირ თურმანიძე 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს. აჭარის შინსახკომის 1937 წლის 18 ივლისის დადგენილებით დახვრეტა მიუსაჯეს, რაც აღასრულეს 22 აგვისტოს.

შაქირ თურმანიძე იყო ზექერია ლორთქიფანიძის დისშვილი, ამიტომ არარსებული სააჯანყებო კომიტეტის ერთ-ერთ აქტიურ წევრად თვლიდნენ, რომელსაც თურმე უნდა გამოეყვანა შეიარაღებული ჯგუფი საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად და კაპიტალიზმის აღსადგენად. შინსახკომის დადგენილების ფორმალურ საფუძვლად გამოყენებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-11 მუხლები. ხულოს რაიონის პარტიული კომიტეტის კრებაზე, რომელიც 1937 წლის 26 აგვისტოს გაიმართა, შაქირ თურმანიძეს ბრალად დასდეს ის, რომ რაიონის ჯამრთელობის დაცვის განყოფილებაში არამიზნობრივად ხარჯავდნენ თანხებს, ჭიანურდებოდა საქმო

პუნქტების მშენებლობა, ზოგიერთი შენობა ცუდად ააგეს, სავადმყოფოში მავნებლები მუშაობდნენ და ისინი შაქირ თურმანიძემ არ მოხსნა სამუშაოდან. შტატით გათვალისწინებული 26 ექიმის ნაცვლად რაიონში მუშაობდა მხოლოდ 4 (აცსა, ფ. პ-12, ახ, ს). ცხადია, ბრალდებები თითიდან გამოწოვილი იყო და გამიზნული იყო შაქირ თურმანიძის რეპრესიერებისათვის. შაქირს ყემბერის ძე თურმანიძის რეაბილიტაცია მოხდა 1957 წელს აჭარის უზენაესი სასამართლოს 39 ივლისის 1 1-89 განჩინებით. დანაშაულის არარსებობის გამო საქმე წარმოებით შეწყდა („სისხლიანი გრიგალის ექო. აჭარა“, თბ., 2001, გვ. 45).

1937 წლის ივლისში დააპატიმრეს ხულოს რაიონის სასამართლოს თავმჯდომარე სამოლეთელი მემედ დურსუნის ძე თურმანიძე. მართალია, მას მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდა, მაგრამ ხელმძღვანელობის ბუნების მიერ ნაბოძები ნიჭი და უნარი გააჩნდა. მემედ თურმანიძე 1934 წელს უჩამბის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ აირჩიეს. მომდევნო წლებში მუშაობდა სამოლეთის კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, აგრეთვე სხვა საპასუხმგებლო თანამდებობაზე. 1937 წლის ივლისში მავნებლად, ხალხის მტრად გამოაცხადეს და დააპატიმრეს. ამის შემდეგ მოხსნეს რაიონის სასამართლო თავმჯდომარის პოსტიდან. 1937 წლის 8 აგვისტოს გარიცხეს რაიაღმასკომის პლენუნის წევრობიდან (აცსა, ფ. რ-263, ან. 1, ს. 210, ფრც. 41-43). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ დადგენილებით მემედ თურმანიძეს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, გადაასახლეს ციმბირში და სასჯელმოხდილი 1947 წელს დაბრუნდა მშობლიურ სოფელში, მაგრამ ორი წლის შემდეგ კომუნისტური რეჟიმის მიმართ არასანდო პიროვნების მოტივით, მუდმივ საცხოვრებლად გაასახლეს ისევ ციმბირში, გათავისუფლდა 1955 წელს, როდესაც უდანაშაულო ადამიანების რეაბილიტაცია დაიწყო. მემედ თურმანიძის რეაბილიტაცია მოხდა 1957 წელს. დანაშაულის არარსებობის გამო, საქმე წარმოებით შეწყდა. პატიმრობაში იმდენად ნაწამები, ფიზიკურად და სულიერად გატეხილი იყო, რომ მცირე ხანს იცოცხლა 1962 წელს 57 წლის ასაკში გარდაიცვალა.

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტის, მავნებლის, ხალხის მტრის ყალბი ბრალდებით 1937 წელს ბათუმში დახვრიტეს ჰესრეთალ სამოლიძე, მუხამედ ვარშანიძე, შაქირ ბერიძე, იუსუფ თურმანიძე, სულეიმან ბერიძე, რომლებიც საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ სახელმწიფო აპარატში.

ჰესრეთალ მაირის ძე სამოლიძე (დაბადებული 1898 წელს) ღარიბ გლეხთა ფენას ეკუთვნოდა. შრომით საქმიანობაში იგი 15 წლის

ასაკიდან ჩაება, მშობლებს ეხმარებოდა ოჯახურ მეურნეობაში. იყო თვითნასწავლი. აჭარის გასაბჭოების შემდეგ ახალი ხელისუფლების სამსახურში ჩადგა. 1925 წელს კომუნისტურ პარტიაში მიიღეს და იმავე წელს აირჩიეს უჩამბის თემის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც 1 წელი იმუშავა. მომდევნო წლებში იყო მთა სარიჩაის საბაჟოს რწმუნებული, ხულოს მაზრის საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარე, რაიონის ბანკის მმართველი, საკონტროლო კომისიის უფროსი, შუახევისა და რიყეთის სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერატივების თავმჯდომარე, შუახევისა და უჩამბის (მეორედ) სასოფლო საბჭოში აღმასკომის თავმჯდომარე. 1937 წლის მაისსში აირჩიეს სამოლეთს კოლმეურნეობის თავმჯდომარედ და 14 ივლისს დააპატიმრეს (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს.2154, ფრც. 1-5).

ჰესრეთალ სამოლიძე იყო ზექერია ლორთქიფანიძის თანასოფლელი და ამ მოტივით დააბრალეს მავნებლობა, „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული“ საქმიანობა. საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა 1937 წლის 18 ივლისს ჰესრეთალ სამოლიძე პარტიის რიგებიდან გარიცხა, როგორც კონტრრეცოლუციონერ-ტროცკისტი. იგი დახვრიტეს ქალაქ ბათუმში. დახვრეტილთა სიაში, რომელიც გაზეთმა „სრულიად არასაიდუმლოდ“ გამოაქვეყნა, რიგით არის ოცდამეათე (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს. 2154, ფურც. 5; გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, 7, გვ. 19). ჰესრეთალ მაირის ძე სამოლიძე ამჟამად რეაბილიტირებულია, დანაშაულის არარსებობის გამო.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა სამოლეთელი შაქირ იუსუფის ძე ბერიძე, რომელსაც საოჯახო განათლება ჰქონდა მიღებული. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან. ამავე წელს დაიწყო მუშაობა ხულოს მაზრის მილიციის განყოფილებაში. მომდევნო წლებში იყო შუახევისა და ღორჯომის სასოფლო-სამომხმარებლო კოოპერატივების ხელმძღვანელი, ჭვანისა და წყლისაყრის სასოფლო საფჭოების აღმასკომის თავმჯდომარე, ხულოს რაიონის მომარაგების კანტორის ხელმძღვანელი. 1937 წლის იანვარში აირჩიეს სხალითს სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც დაპატიმრებამდე მუშაობდა.

ზექერია ლორთქიფანიძის დაპატიმრების შემდეგ შაქირ ბერიძის მიმართ შინსახკომმა კომპრომატების შეგროვება დაიწყო. თითქოს შაქირ ბერიძე იყო კონტრრევოლუციონერი, ტროცკისტი. ამ ბრალდების საფუძვლად გამოიყენეს სხალთის სასოფლო საბჭოს ნიგაზეულისა და ნენიის სოფლების მცხოვრებლების გ. კეკელიძის, ი. ბერიძის და სხვათა ჩვენებები, სადაც აღნიშნულია: შაქირ ბერიძე არის

ტრტოცკისტი, სამჯერ იყო ქ. ბათუმში ზექერია ლორთქიფანიძესთან. სულეიმან ბეჟანიძე სხალთაში მივლინების დროს მასთან ათევდა ღამეს, თითქოს მან მონაწილეობა მიიღო უჩამბის მეჩეთის გარემონტებაში, ხოჯას მიართვა სადილი და სხვა (აცსა, ფ. პ-12, ან 26, ს. 2137, ფრც. 9-12; ს. 2038, ფრც. 2).

საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიონულმა კომიტეტმა, დაპატიმრების შემდეგ, 1937 წლის 12 სექტემბერს, განიხილა შაქირ ბერიძის საკითხი. გარიცხეს პარტიის რიგებიდან, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტი, მავნებელი, მოხნესე თანამდებობიდან (აცსა, ფ. პ-12, ან. 2, ს. 71, ფრც. 43). საქართველოს შინსაკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით სისხლის სამართლის კოდექსის 58-2 და 58-11 მუხლების საფუძველზე შაქირ ბერიძეს მიუსაჯეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (გაზეთი „სრულიდან არასაიდუმლოდ“, 1999, N8-9, გვ.18). იგი გადაასახლეს სვერდლოვის ოლქში (რუსეთის ფედერაცია, ურალი), საიდანაც აღარ დაბრუნებულა.

სულეიმან მერჯანის ძე ბერიძე, დაბადებული 1903 წელს, ახალგაზრდობიდან ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობაში. 1929 წელს აირჩიეს უჩამბის სასოფლო თემის აღმასკომის თავმჯდომარედ. 1930 წელს საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ ბათუმში და მუშაობას იწყებს სავაჭრო სისტემაში. დაპატიმრების წინ მუშაობდა აჭარავაჭრობის სექტორის გამგედ. სულეიმან ბერიძე ერთგულად და უმწიკლოდ ემსახურებოდა თავის ხალხს, პარტიასა და სახელმწიფოს. ამას ისიც მოწმობს, რომ 1931 წელს მიიღეს კომპარტიის წევრობის კანდიდატად. მას ცოლად ჰყავდა ზექერია ლორთქიფანიძის დისშვილი ეხსან ყემბერის ასული თურმანიძე. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სულეიმან ბერიძე გამოეცხადებინათ „ხალხის მტრად“, „კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად“, ე. წ. აჭარის „კონტრრევოლიუციურ სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტულ, დივერსიულ-მავნებლურ ორგანიზციის“ წევრად. ამ ყალბი ბრალდებით სულეიმან ბერიძე დააპატიმრეს. 1937 წლის 24 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქლაქო კომიტეტის ბიურომ იგი გარიცხა პარტიის წევრობის კანდიდატობიდან. სულეიმან მერჯანის ძე ბერიძე ბათუმში დახვრიტეს (აცსა, ფ. პ-6, ან. 12, ს. 26, ფრც. 169; გაზ. „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, №8 გვ.17). სულეიმან ბერიძე დახვრეტილთა სიაში რიგით 316 -ზეა. ამავე სიის 190-ზეა დასახელებული ქერემ შაქირის ძე გამრეკელიძე, რომელიც ბათუმში საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა და იმავე

ბრალდებით სიცოცხლეს გამოასალმეს (გაზეთი „სრულიდან არასაიდუმლოდ“, 1997, №8, გვ.17).

1937 წელს ქალაქ ბათუმში დახვრიტეს სამოლეთელი იუსუფ მევლუდის ძე თურმანიძე, რომელიც აჭარის ცენტრალური კოოპერაციული კავშირის სისტემაში მუშაობდა. იგი ბათუმში დახვრეტილ პატიმართა სიაში რიგით 28-ეა (გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, №7 გვ.19). იუსუფ თურმანიძეს ბრალად დასდეს ყბადაღებული „მავნებლობა“, „კონტრრევოლუციურ-ტროცკისტობა“, „საჯანყებო კომიტეტთან“ თანამშრომლობა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლობის დამხობისა და კაპიტალიზმის აღდგენისათვის.

XX-ს ის 30-იანი წლების რეპრესიების მსხვერპლი აღმოჩნდა მუხამედ ხასანის ძე ვარშანიძე. იგი დაიბადა 1896 წელს სოფელ სამოლეთში გლეხის ოჯახში. იყო თვით-ნასწავლი. 1931 წლიდან კომუნისტური პარტიის წევრი გახდა და აქედან მოყოლებული სხვადასხვა თანამდებობები ეკავა. კერძოდ, მუხამედ ვარშანიძე მუშაობდა სამოლეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ, უჩამბის ტერიტორიული პირველადი პარტიის ორგანიზაციის მდივნად. 1937 წლის 16 ივნისს დანიშნეს შუახევის სოფლის კოოპერატივის დირექტორად და რამდენიმე თვის შემდეგ შერაცხეს კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად. 1938 წლის დასაწყისში მუხამედ ვარშანიძე დააპატიმრეს და მაისში პარტიის ხულოს რაიკომმა მუხამედ ვარშანიძე გარიცხა პარტიიდან, მოხსნა თანამდებობიდან (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს. 2145, ფურ. 1-3). იგი ბათუმში დახვრეტილთა სიაში არ აღმოჩნდა, როგორც კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტად შერაცხული, გადაასახლეს ციმბირში და პატიმრობაში დაასრულა სიცოცხლე.

მიზანმიმართულად გაანადგურეს სასულიერო წოდება. XX ს-ის 30-იან წლებში სამოლეთში 6 სასულიერო პიროვნება ცხოვრობდა. ერთი მათგანი, კერძდ ოსმან რამიშვილი, როგორც უკვე ითქვა, 1929 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ თურქეთში გადაიხვეწა და იქ დაასრულა სიცოცხლე. 5 სასულიერო პიროვნება ადგილზე დარჩა და ყველანი კომუნისტური რეჟიმის რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მათ დააბრალეს ანტისაბჭოთა პროპაგანდა, რელიგიური სქმიანობა. სამოლეთში ყველაზე დიდი მეჩეთი იყო, ვიდრე უჩამბის სასოფლო საბჭოს სხვა სოფლებში. მეჩეთთან არსებობდა მედრესე (სასულიერო სკოლა) და აღმართული იყო მინარეთი, საიდანაც ყოველ დილით, უთენიისას სასულიერო პირი გამაღვიძებელ ლოცვას („ეზანი“) ხმამაღლა კითხულობდა. ცხადია, რელიგიური აღასრულებლობა და სასულიერო წოდების საქმიანობა ანტისაბჭოთა პროპაგანდად ითვლებოდა.

აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე სასულიერო წოდების კომპრომეტირება დაიწყო. ხოჯა-მოლები მკაცრ კონტროლზე აიყვანეს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ეწეოდნენ რელიგიურ აღმსრულებლობას. ამ მიმართებით გამოირჩეოდა შაქირ ოსმანისძე გამრეკელიძე. მისი, შვილები (ქერემი და ნური) კომუნისტები გახდნენ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდნენ. მამამ შვილებს მწვანე შუქი მისცა, მაგრამ თვითონ სამოლეთის მეჩეთში და სხვა სოფლებში რელიგიურ აღმასარებლობას ეწეოდა. ცხადია, ეს დანაშაულად არ ჩაითვლება. შაქირ გამრეკელიძეს სასულიერო განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული და რელიგიურ რწმენასა და საქმიანობაზე ხელის აღება ადვილად არ იყო. ხელისუფლების ცნობით შაქირ გამრეკელიძის ინიციატივით 1934-1935 წლებში გაარემონტეს უჩამბის მეჩეთი და მედრესე. შაქირ გამრეკელიძემ მეჩეთში აკურთხა სოფელ გოგაძეების გლეხი კალაიჯოღლი იმის გამო, რომ ვაჟიშვილი არ ჰყავდა და გაჩენოდა. ასევე აკურთხა წაბლანეთელი ბექირ ბერიძე, რომელსაც სამი ქალიშვილი ჰყავდა და ვაჟი შეძენოდა. მან ცოდვის მონანიების მიზნით დალოცა ერთი გლეხი, რომელსაც ბათუმში მოუპარავს ტაფა. ამ ლოცვა-კურთხევის გამო მეჩეთს აჩუქეს 3000 მანეთად ღირებული ნოხი და სხვა (აცსა, ფ.ჰ-12, ან. 26, ს.2140, ფრც, 4). შაქირ ოსმანის ძე გამრეკელიძე ანტისაბჭთა პრობაგანდა-აგიტაციისა და საქმიანობის ბრალდებით, შვილებთან ერთად, 1937 წელს დახვრიტეს. ოჯახის წევრებს დიდხანს ეგონათ, რომ შაქირ გამრეკელიძე გადასახლებისას მატარებელში გარდაიცვალა და სადღაც უკაცრიელ სტეპში გადააგდეს. 1997 წლის გაზეთში „სრულიად არასაიდუმლოდ“ (N7, გვ.19) გამოქვეყნდა ცნობა მისი ქ. ბათუმში დახვრეტის შესახებ (რიგით N 8).

სულეიმან მუხამედის ძე ბერიძეს (ჩილაბდოღლი), დაბადებული სოფელ სამოლეთში 1869 წელს, სტამბოლში ჰქონდა მიღებული სასულიერო და საერო განათლება. იგი იყო ხოჯა და ამავე დროს ასტრონომ-გეოგრაფი. 9 წლის განმავლობაშ სწავლობდა სტამბოლში. 4 წელი სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 5 წელი-საერო უმაღლეს სკოლაში. ოჯახში დღესაც ინახება სტამბულის უმაღლესი სასწავლებლის მიერ გაცემული სტუდენტის ბილეთი. სტამბოლიდან სოფელში დაბრუნების შემდეგ სამოლეთის მეჩეთში ხოჯად მუშაობდა. გარდა სამოლეთისა, დღვანის მეჩეთში წირ-ლოცვას ეწეოდა. აქედან წამოსვლის შემდეგ კვლავ სამოლეთის მეჩეთში მიიწვიეს. ის განათლებული და წიგნიერი კაცი იყო. მშბლიურ ქართულთან ერთად თავისუფლად ფლობდა არაბულ და თურქულ ენებს. 1925 წლი-

დან უჩამბის დაწყებით სკოლაში თურქულ ენას ასწავლიდა. როგორც სასულიერო პირი აქტიურად მონაწილეობდა უჩამბის მეჩეთისა და მედრესეს გარემონტება-მოკაზმულობაში. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოსათვის პოლიტიკურად არასანდო პიროვნებად ითვლებოდა. 1937 წლის 20 სექტემბერს სულეიმან ბერიძე დააპატიმრეს ბრალდებით: ანტისაბჭოთა პროპაგანდა-აგიტაცია, შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობა, ყოველგვარი ორგანიზებული ქმედება მიმართული დანაშაულის მომზადებისა და ჩატარებისათვის (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10, 58-2, 58-11 მუხლები). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ დადგენილებით სულეიმან ბერიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გადაასახლეს შორეულ ციმბირძი, სადაც 1941 წელს გარდაიცვალა.

პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესების შემდეგ სულეიმან ბერიძის შვილები ჩიოდნენ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში მამის უდანაშაულობის შესახებ და მოითხოვდნენ რეაბილიტაციას. სახელმწიფო უშიშროების სამსახურიდან შვილებს აცნობეს, რომ მამა გარდაიცვალა 1941 წელს. სულეიმან მუხამედის ძე ბერიძის რეაბილიტაცია მოხდა 1958 წელს. დანაშაულის არარსებობის გამო საქმის წარმოებით შეწყდა. ოჯახის წევრებიდან საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 მარტის კანონის გამოქვეყნებისას ცოცხლები იყვნენ შვილები-ხასანი და ფატყუმე, რომელთაც დაენიშნათ რეპრესირებულთა პენსია (ხასან სულეიმანის ძე ბერიძის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 2007 წლის 4 აგვისტოს.

1937 წელს ქალაქ ბათუმში დახვრიტეს ასევე სამოლეთელი ილიას ასანისძე ბერიძე (ჩიტოღლი), რომელსაც ასევე სტამბულში ჰქონდა დამთავრებული მუსლიმანური სასულიერო სასწავლებელი, მაგრამ რელიგიურ საქმიანობას არ ეწეოდა. ილიას ბერიძეს გააჩნდა საკუთარი სავაჭრო დუქანი და წვრილანი საქონლით ვაჭრობდა, რომელიც ძირითადად თბილისიდან ჩამოჰქონდა. მართალია, ილიას ბერიძეს საკმარისი მიწის სავარგული არ ჰქონდა, მაგრამ ვაჭრობიდან ამონაგები ჩაუთვალეს ოჯახის საერთო შემოსავალში, და კულაკთა სიაში შეიყვანეს. ეს გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისა. ანტისაბჭოთა პროპაგანდა-აგიტაციის და სოციალურად საშიში პიროვნების (კულაკი) ბრალდებით დააპატიმრეს ილიას ბერიძის ორი ვაჟიშვილი-ახმედი (1937 წელს) და ხუსეინი (1941 წელს). ისინი მამასთან ერთად მაღაზიაში მუშაობდნენ. ახმედი ამავე დროს ტანსაცმლის მკერავი იყო, ხუსეინი-ფეხსაცმლის. როგორც კულაკად შერაცხულები, გააკულაკეს: ოჯახიდან დაიტაცეს ქონება, რისი წაღებაც შეიძლებოდა. ახმედ ილიასისძე ბერიძეს (დაბადებული 1890 წელს) დაბრალდა

ანტისაბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდა, რომელიც შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობის მოწოდებას (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-10 მუხლი). საქართველოს უზენაესი სასამართლოს 1937 წლის 3 ნოემბრის განჩინებით 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. გადაასახლეს რესეთის შორეულ აღმოსავლეთში, სადაც სიცოცხლე ტანჯვა-წამებით დაასრულა. ილიას ასანისძე ბერიძის მეორე შვილი ხუსეინი დაპატიმრების დროს სამოლეთის კოლმეურნეობის მერგოლურად მუშაობდა. ბრალდებად გამოიყენეს მისი გამონათქვამი: სიმინდის თესლის შენახვა არ არის საჭირო, რადგან საკმარისი გვაქვსო. აგენტმა ეს გამონათქვამი დამახინჯებულად გადასცა შინსახკომს: „სიმინდის თესლის შენახვა აღარ გვინდა, მალე ჰიტლერი მოვაო“. ხუსეინ ილიასისძე ბერიძე რუსეთის უკაცრიელ მხარეში გადაასახლეს და იქ დაასრულა სიცოცხლე. მამა-შვილები წამებით სიცოცხლეს გამოასალმეს. ამჟამად ყველა მათგანი რეაბილიტირებულია. 2003 წლიდან რეპრესირებულთა პენსია დაენიშნათ ხუსეინ ბერიძის შვილებს ილიას და ფატის. დანარჩენი შთამომალები ვეღარ მოესწრნენ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 11 მარტის კანონს (ილია ხუსეინის ძე ბერიძის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 2003 წლის 24 ავისტოს).

1941 წელს დააპატიმრეს და სიცოცხლეს გამოასალმეს სამოლეთელი სასულიერო პირი (მოლა) სულია ახმედის ძე თურმანიძე. ხოჯების დაპატიმრების შემდეგ სულია თურმანიძე განაგრძობდა უჩამბის მეჩეთში რელიგიურ აღმსარებლობას, მინარეთიდან ხმამაღლა კითხულობდა „ეზამს“. სულია ახმედის ძე თურმანიძე რეაბილიტირებულია (სიკვდილის შემდეგ), როგორც უდანაშაულო. საქრთველოს პარლამენტის 1997 წლის 11 მარტის კანონის თანახმად მისი შვილები რეპრესირებულთა პენსიას იღებდნენ. ამჟამად სულია თურმანიძის ვაჟიშვილი იბრაიმი ცხოვრობს ქობულეთის რაიონის სოფელ ჩაისუბანში და ღრმად მოხუცია. კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ლაყბობის ბრალდებით 1 წელი პატიმრობაში იყო სამოლეთელი სასულიერო პირი ზექერია ბერიძე (ლუთოღლი).

კონტრრევოლუციონერ-ტროცკისტული ყალბი ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს რიგითი ადამიანები: ხუსნი თურმანიძე, ოსმან ლორთქიფანიძე, ოსმან ბერიძე. ხუსნი ახმედის ძე თურმანიძე, დაბადებული 1886 წელს, თვითნასწავლი იყო. 1926 წლიდან უჩამბის საექიმო პუნქტის სანიტრად მუშაობდა, ერთთხანს ტყისმცველიც იყო. ძირითადად კი სოფლის მეურნეობაში მუშაობდა რიგითად. კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1932 წლიდან. 1934-1935 წლებში სამოლეთში კომუ-

ნისტური პარტიის პირველადი ორგანიზაციის მდივნად მუშაობდა. სოფლის მეჩეთისა და მედრესეს გარემონტების, მოსახლეობის მიერ რელიგიური აღმსარებლობის გამო მოხსნეს პარტორგობიდან. 1937 წლის ივლისში ხუსნი თურმანიძე დააპატიმრეს. პარტიის ხულოს რაიკომის ბიურომ 18 ივლისს გარიცხა კომუნისტური პარტიის რიგებიდან (აცსა,ფ. პ-12, ან.2, ს. 70ა), ფურც. 285). წამების შემდეგ დახვრიტეს ქალაქ ბათუმში (დახვრეტილთა სიის N 25).

ოსმან ხუშტის ძე ლორთქიფანიძე, დაბადებული 1896 წელს, დაბალი განათლებით, კომუნისტური პარტიის წევრი იყო 1926 წლიდან, სხვადასხვა დროს მუშაობდა უჩამაბის სასოფლო საბჭოს დამზადების პუნქტის საწყობის გამგედ, ტყისმცველად, სამოლეთის კოლმეურნეობის რიგით წევრად და პარტორგად. იგი, როგორც ზექერია ლორთქიფანიძის ბიძაშვილი, შინსახკომის მიერ მოიაზრებოდა აჭარის „კონტრრევოლუციურ სააჯანყებო, ჯაშუშურ-ტერორისტული, დივერსიულ-მავნებლური ორგანიზაციის“ აქტიურ წევრად. ოსმან ლორთქიფანიძე 1937 წლის ივლისში დააპატიმრეს არარსებული კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული საქმიანობის ბრალდებით. 25 ივლისს საქართველოს კომპარტიის ხულოს რაიკომმა იგი გარიცხა პარტიის რიგებიდან (აცსა, ფ. პ-12, ან. 26, ს. 2148, ფურც. 1-4; ან, 2, ს. 70ა), ფურც. 295-296). საქართველოს შინსახკომთან არსებული „სამეულის“ 1937 წლის დადგენილებით ოსმან ლორთქიფანიძე დახვრიტეს ქ. ბათუმში (დახვრეტილთა სიის N29; გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997, №7, გვ.19).

შინსახკომმა 1937 წელს დააპატიმრა სამოლეთელი გლეხი ოსმან დურსუნის ძე ბერიძე (თორნოღლი) კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული ბრალდებით. მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა პოლიტიკაზე, ტროცკისზმზე, კომუნისტურ პარტიაზე. დაპატიმრების საბაბად გამოიყენეს მარტივი ამბავი: სამოლეთის ბიბლიოთეკაში ყოფნის დროს ოსმან ბერიძემ შემთხვევით საკუთარი სახელი და გვარი დააწერა კედელზე. შემგდომში ბიბლიოთეკარმა, რომელიც გურიიდან იყო წარმოგზავნილი, ზემოდან მიაწერა - „გაუმარჯოს ტროცკიზმს“! ეს გახდა საფუძველი ოსმან დურსუნის ძე ბერიძის დაპატიმრებისა. იგი ისე გაქრა ამ ქვეყნიდან, რომ ოჯახმა დღესაც არ იცის მისი ტრაგიკული ბედი (ხასან სულეიმანის ძე ბერიძის მოგონება).

1937 წელს დააპატიმრეს და 10 წლით ციმბირში გადაასახლეს სოფელ სამოლეთის (ლაკლაკეთის უბანი) მცხოვრები დურსუნ ჰესრეთალის ძე ბერიძე (იეგანოღლი), მეტ- სახელად ქაჯი. გადმოცემის მიხედვით, რეპრესიების საბაბი ის იყო, რომ დურსუნ ბერიძეს გაუხსენეს

8 წლის წინანდელი ამბავი: 1929 წელს, ხულოს მაზრაში სახალხო აჯანყების დროს, უჩამბის სასოფლო თემის აღმასკომის თავმჯდომარეს შაქირ მემედის ძე ბერიძეს ოჯახში ეწვია ლ. ბერია. უკან დაბრუნებისას მეგზურად გააყოლეს შაქირ ბერიძის ძმიშვილი დურსუნი, რომელიც შებინდებისას ჩამოშორდა ლ. ბერიას და მოულოდნელად გაუჩნარდა, იმის შიშით, რომ მასაც დააპატიმრებდნენ. დურსუნ ჰესრეთალის ძე ბერიძე გადასახლებიდან 1947 წელს დაბრუნდა, მაგრამ მშობლიურ სოფელში ცხოვრების ნებართვა არ მისცეს. ჩაასახლეს ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკაში (ომერ ჰესრეთალის ძე ბერიძის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 2008 წლის 10 აგვისტოს).

1937 წელს დააპატიმრეს სმან და მემედ აბუსელიძეები. გაუხსენეს 1929 წლის აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა. ისინი გადასახლების თუ გვემის შედეგად დაიღუპნენ. შინსახკომმა 1937 წელს პატიმრობაში აიყვანა ე. წ. „კონტრრევულუციონერ-ტროცკისტების“ ნათესავები: ხულუს შერიფის ძე ბერიძე (ხუსნი თურმანიძის სიძე), ხულუს მერჯანის ძე ბერიძე (სულეიმან ბერიძის ძმა), ომერ მუხამედის ძე ბერიძე (სულეიმან ბერიძის სასულიერო პირის ძმა). ისინი სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს.

სამოლეთის მოსახლეობამ რეპრესიები განიცადა აგრეთვე XX ს-ის 40-იან წლებსა და 50- წლების დასაწყისში. იგი თავისი ხასიათით და მასშტაბით განსხვავდებოდა 30-იანი წლების რეპრესიებისაგან. ძირითადი ფორმა იყო გადასახლება და გასახლება. ომის წლებში რეპრესიების საფუძველი იყო ფრონტზე გაწვევაზე თავის არიდება, ჯარიდან უნებართვოდ ოჯახში დაბრუნება. ამის გამო ხელისუფლებამ შური იძია ოჯახის წევრებზე, უდანაშაულო ადამიანებზე: მოხუცებზე, ქალებსა და მცირეწლოვან ბავშვებზე. მათი გადასახლება მოხდა საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს დადგენილებით „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრის“ ბრალდებით. გადასახლება მოხდა 1943 წელს 5 წლით. 1943 წელს სამოლეთიდან ციმბირში გაასახლეს 5 ოჯახი 14 სულით, მათ შორის 13 ქალი.

1943 წელს ციმბირში ტომსკის ოლქში გაასახლეს ჰესრეთალ მაირის ძე სამოლიძის ოჯახის წევრები, 4 მანდილოსანი: მეუღლე აიშე მემედის ასული ბეჟანიძე (45 წლის), ქალიშვილები – ფატყუმე (19 წლის), ხატიჯე (6 წლის), რძალი შადიე (21 წლის). მათი გადასახლება მოხდა უმძიმეს პირობებში. გადასახლების საბაბი ის გახდა, რომ ოჯახის ერთადერთი ვაჟიშვილი ოსმან სამოლიძე ფრონტზე გაიწვიეს და ოჯახში დარჩა ახალშეუღლებული ცოლი, იგი ფრონტიდან უნე-

ბართვოდ დაბრუნდა და თავს აფარებდა სოფელ ცინარეთში დიასამიძეების ოჯახში. უშიშროების მუშაკებმა და მათმა აგენტებმა შეიპყრეს და წამებით მოკლეს (ფატყუმე ჰესრეთელის ასულ სამოლიძის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 2004 წელს).

საბჭოთა კავშირის შინსახკომთან არსებული განსაკუთრებული სათათბიროს 1943 წლის 21 აპრილისა და 18 სექტემბრის დადგენილებების საფუძველზე ციმბირში გადაასახლეს აბუსელიძეების ოთხი ოჯახი (11 სული, მათ შორის 9 ქალი). 1941 წელს ფრონტზე წასვლაზე თავის არიდების მიზნით თურქეთში მალულად გადავიდნენ ძმები ხასან და სულეიმან უზეირის ძე აბუსელიძეები. ამის გამო „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრის" ბრალდებით ციმბირში გადაასახლეს სულეიმანის მეუღლე და ორი ქალიშვილი. სულეიმან ზაბითის ძე აბუსელიძის ოჯახიდან ციმბირში (კრასნოიარსკის მახარე, ქ. ასინო) გადაასახლეს 5 სული: მეუღლე, ვაჟიშვილი, რძალი და ორი მცირელოვანი შვილიშვილი.

გადასახლების საფუძველი ის იყო, რომ სულეიმანის მამა ზაბითი ჯერ კიდევ 30-იან წლებში თურქეთში გადაიხვეწა, რადგან საბჭოთა სახელმწიფოს მხრიდან დევნას განიცდიდა. 1941 წელს ფრონტზე წასვლას თავი აარიდა მისმა ვაჟიშვილმა - სულეიმანმა. გადასახლებისას სულეიმან ზაბითის ძე აბუსელიძის დედა (აიშე) 75 წლის იყო. მოგვიანებით ძმა მამუდი იგონებს: ციმბირში ძალიან მძიმე პირობებში ვცხოვრობდით, საკმარისი საჭმელი არ გვგქონდა. შიმშილის გამო გარდაიცვალა ძმიშვილი (ხენიფე სულეიმანის ასული). სიკვდილისას ბავშვი მაწონს ითხოვდა, მაგრამ ვერ ვიშოვეთ. ამჟამად მისი საფლავი ჩვენთვის უცნობია. გადასახლებისას თითქმის ვერაფერი წავიღეთ. მთელი ჩვენი ქონების კონფისკაცია მოხდა (მამუდ ზაბითის ძე აბუსელიძის მოგონება, ჩაწერილი ჩვენს მიერ 1999 წელს).

შუქრი ისმაილის ძე აბუსელიძემ თავი აარიდა ომში გაწვევას და თურქეთში მალულად გადავიდა, ხოლო მეუღლე და მცირეწლოვანი ქალიშვილი უპატრონოდ დატოვა. 1943 წელს ისინი, როგორც „სამშობლოს მოღალატის ოჯახის წევრები", ციმბირში გადაასახლეს. ამავე წელს ციმბირში გადაასახლეს სულეიმან ოსმანის ძე აბუსელიძე. საქმე ის არის, რომ მამა ოსმან აბუსელიძე აქტიურად მონაწილეობდა 1929 წლის აჯანყებაში, რომელსაც შეიარაღებული რაზმიც ჰყავდა. აჯანყების დამარცხების შემდეგ თურქეთს შეაფარა თავი. მამის ამ ქმედების გამო მისმა ერთადერთმა ვაჟმა სულეიმანმა, რომელსაც დედა ადრე გარდაეცვალა, მძიმე ტრაგედია განიცადა.

სამოლეთში ქურთები, ჰემშილები და ბერძნები, რომლებსაც გადასახლება შეეხო 1946- 1950 წლებში, არ ცხოვრობდნენ. გამონაკლისი იყო ორი ქურთის ქალი, რომლებიც ადგილზე იყვნენ გათხოვილი, მაგრამ მათ გასახლება არ შეხებია. 1943 წელს სამოლეთიდან გაასახლეს ეროვნებით თურქი სეუფულაი ბეჟანიძე, რომელიც სოფელ ტბეთში ერთ-ერთ ოჯახში მოჯამაგირე იყო. ის ტბეთიდან სამოლეთში გადმოსახლდა და დაქორწინდა ბეჟანიძის ქალზე და დაიწერა მისი გვარი. გასახლების შემდეგ სეუფულაი ბეჟანიძე აღარ დაბრუნებულა. ოჯახის წევრებისათვის დღესაც უცნობია მისი საფლავი.

1943 წელს გადასახლებულები 1948 წელს დაბრუნდნენ, მაგრამ ადგილზე ცხოვრების ნებართვა არ დართეს, ქობულეთის რაიონში ჩაასახლეს და ენით გამოუთქმელი სიძნელეები გადაიტანეს ცხოვრების ახლებურად მოწყობისათვის. სამი წელიც არ იყო გასული, რომ ისინი მუდივ საცხოვრებლად გაასახლეს ყაზახეთში, როგორც საბჭოთა სახელმწიფოსათვის არასანდო პირები. მათთან ერთად რამდენიმე სხვა კომლიც გადაასახლეს.

1951 წლის გასახლება უმძიმეს პირობებში განხორციელდა. თავისებურება ის იყო, რომ ამჯერად მოხდა გასახლება და არა გადასახლება. მეორე თავისებურება ის იყო, რომ ოჯახის ყველა წევრი არ გაუსახლებიათ. ვინც სამხედრო სამსახურში იყო გაწვეული, გასასახლებელთა სიაში არ შეუტანიათ. ოჯახის ერთ წევრს თუ ასახლებდნენ, მეორეს ადგილზე ტოვებდნენ. გასახლების მოტივი ის იყო, რომ თურქეთ - საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში ცხოვრობდნენ და უშიშროების სამსახურს ეჭვი ჰქონდა ამ ადამიანების ერთგულებაში, ისინი არასაიმედო პირებად ითვლებოდნენ. 1951 წელს სამოლეთიდან ყაზახეთში გაასახლეს 11 ოჯახი, სულ 62 სული, უმრავლესობა ამჯერადაც ქალები და ბავშვები იყვნენ.

1951 წელს მეორედ გაასახლეს ჰესრეთალ მაირის ძე სამოლიძის ოჯახის ყველა წევრი (4 სული), მამუდ ზაბითის ძე აბუსელიძის ოჯახის 5 წევრი (მამუდი, დედამისი, მეუღლე, შვილი და ძმიშვილი). მამუდის დედა იყო 73 წლის, უმცროსი ვაჟიშვილი (თამაზი) ერთი წლის. მამუდს გასახლებაში შეეძინა ქალიშვილი (ფატი), რომელიც მძიმე ავადმყოფობის შედეგად ყაზახეთში გარდაიცვალა. ასევე მეორედ განიცადა დეპორტაცია შუქრი ისმაილის ძე აბუსელიძის მეუღლემ და ქალიშვილმა (დედა-შვილი), სულეიმან უზეირის ძე აბუსელიძის ოჯახმა (სამი სული). სულეიმან ოსმანის ძე აბუსელიძე მეორედ აღარ გაუსახლებიათ. აქ ჩამოთვლილების გარდა, 1951 წელს პირველად განიცადეს დეპორტაცია იმ ადამიანებმა, ვისაც ოჯახის წევრი

თუ ნათესავი ჰყავდა საზღვარგარეთ და უშიშროების სამსახურმა სახელმწიფოს საფრთხედ ჩათვალა მათი ცხოვრება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში. ამ კატეგორიის ადამიანები სამოლეთში შვიდ ოჯახს შეადგენდა (სულ 48 სული).

1951 წელს სამოლეთიდან დეპორტირებული იყვნენ (პირველად): ვახტანგ ომერის ძე ბერიძის ოჯახი (4 სული – ცოლ-ქმარი და 2 შვილი), კონსტანტინე ომერის ძე ბერიძისა (5 სული – დედა, ცოლ-ქმარი და ორი შვილი). ვახტანგი და კონსტანტინე იყვნენ ძმები. მათი გასახლების საფუძვლად გამოიყენეს შემდეგი ფაქტი: მამა – ომერ ბერიძე იყო ვაჭარი, რომელსაც კონტრაბანდული გზით ფართო მოხმარების საქონელი შემოჰქონდა და რეალიზაციას ადგილზე ახდენდა. რეპრესიების დაწყებისთანავე თურქეთში გადაიხვეწა. ამიტომ ხსენებული ოჯახის წევრების ადგილზე, საზღვრისპირა სოფელში გაჩერება სახელმწიფოს შესაბამისი სამსახურის მიერ საფრთხედ მოიაზრებოდა. მემედ ოსმანის ძე ბერიძის ოჯახის (6 სული) გასახლების მიზეზი ის იყო, რომ მამამისი ოსმან ქელეშის ძე რამიშვილი (ბერიძე), როგორც ზემოთ აღინიშნა 1929 წლის აჯანყების შემდეგ თურქეთში გადავიდა საცხოვრებლად და ოჯახი უპატრონოდ მიატოვა. მემედ შაქარის ძე ბერიძე გაასახლეს იმიტომ, რომ მამა, უჩამბის თემის აღმასკომის თავმჯდომარე, მონაწილეობდა 1929 წლის აჯანყებაში, შეიარაღებული რაზმიც გამოიყვანა. ამის გამო თავი შეაფარა თურქეთს. ოჯახმა კი დიდი ტრავმა გადაიტანა გასახლებაში: სამშბლოში დაბრუნებისას 6 თვით ადრე ყაზახეთში მდინარეში დაიხრჩო ერთადერთი ვაჟიშვილი და ეს უბედურება ოჯახს დღესაც არა აქვს მოშუშებული.

მემედ დურსუნის ძე აბუსელიძის ოჯახის (10 სული) გასახლების მოტივი იმაში მდგომარეობდა, რომ ძმასთან ერთად (ოსმანი) მონაწილეობდა 1929 წლის აჯანყებაში. ამასთან, უშიშროების სახელმწიფო უწყებას აღნიშნული ჰქონდა, რომ პირადად მემედმა წაბლანის საგუშაგოზე იარაღი დაუმიზნა ერთ-ერთ მესაზღვრეს.

კეჟერაძეების საგვარეულოდან 2 ოჯახი გაასახლეს (11 სული). მიზეზი ის იყო, რომ რეჯებ თევფიყის ძე კეჟერაძის 2 ძმა მეორე მსოფლიო ომამდე თურქეთში გადაიხვეწნენ და ეს სამკარისი აღმოჩნდა მათი გასახლებისათვის. ტრაგიკული აღმოჩნდა სულეიმან ოსმანის ძე ხუჯაძის ბედი, სულეიმან ხუჯაძის შვილები, გაყრის შედეგად ორ ოჯახად ცხოვრობდნენ. უფროსი შვილი მერჯანი 1941 წელს თურქეთში გადავიდა მალულად, რადგან ომში უპირებდნენ გაწვევას. 1943 წელს მერჯან ხუჯაძის ოჯახი არ გაუსახლებიათ, 1951 წელს კი

ორივე ოჯახი გაასახლეს ყაზახეთში. საკუთრივ სულეიმან ხუჯაძის ოჯახი შედგებოდა 6 სულისაგან. აქედან სამი გაასახლეს ყაზახეთში (დედა-მამა და ვაჟიშვილი), ხოლო, სამი არ გაუსახლებიათ, რადგან ერთ-ერთი ვაჟიშვილი ჯარში სამხედრო ვალდებულებას იხდიდა და მისი ცოლ-შვილი (დედა-შვილი) ადგილზე დატოვეს.

მერჯან ხუჯაძის ოჯახიდან გაასახლეს 2 შვილი. გასახლებაში მძიმე პირობები ვერ აიტანეს მოხუცმა მამამ სულეიმან ხუჯაძემ და მისმა რძალმა, მერჯანის მეუღლემ. ისინი დაიღუპნენ. მერჯანის შვილებმა ობლობაში გაატარეს ახალგაზრდობის საუკეთესო წლები და წარსულის ბედუკუღმართი ცხოვრება დღესაც იგრძნობა შთამომავლობის მეხსიერებაში.

ამრიგად, სოფელ სამოლეთის მოსახლეობის რეპრესიების ისტორია მკაფიო მაგალითია საბჭოთა კომუნისტური რეჟიმის ბოროტმოქმედების მასშტაბისა და ხასიათის წარმოსახვისათვის. იგი დავიწყებას არ მიეცემოდა, რადგან რეპრესიების შედეგად მიღებული ტკივილი საზოგადოების მეხსიერებიდან არ წაიშლება.

წყაროები

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (აცსა), ფონდი (ფ.), რ-49, საქმე (ს.) 112

2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. პ-12, ან. 26, საქმეები (სს.) 2137, 2138, 2140, 2145, 3135, 3154.

3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. პ-12 ან 2, სს 70ა, 71, 75

4. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. პ-6, ან. 12, ს.26.

5. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. პ-75, ან. 1, ს. 8.

6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფ. რ-263, ან. 1, ს. 210.

7. „სისხლიანი გრიგალის ექო აჭარა“ (სგეა). თბილისი, 2001.

8. გაზეთი „კომუნისტი“, 1937 წლის 26 სექტემბერი.

9. გაზეთი „კომუნისტი“, 1989 წლის 7 იანვარი.

10. გაზეთი „კომუნისტი“, 1990 წლის 15 აგვისტო.

11. გაზეთი „აჭარა“, 2015 წლის 31 იანვარი.

12. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1997 წლის N7, 8.

13. გაზეთი „სრულიად არასაიდუმლოდ“, 1999 წლის N8-9.

OtarTurmanidze
Research fellow of Niko Berdzenishvili institute
Doctor of history

History of repressed peopleof village

Summary

The article discusses in 30s of XX centurythe history of repressed people of village Samoleti, Uchamba council – Shuakhevi region. It is noted, that Samoleti population suffered repressions many times. In 1930-1940was the hardest political repressions, the victims-23 people.Among them were: workers of state organs, agricultural workers, clergymen, ordinary people.

The article emphasizes that the Soviet political regime brutally executed innocent people.Most of them destroyed physically, for a few survived. From exile only two repressed returned back, who were tortured and soon died. The article talks about the life of descendants of the repressed people. In their memory history of political repressions of 30s of XX century never will be forgotten.

უჩა ოქროპირიძე
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის
მთავარი მეცნიერი თანამშრომელი,
ისტორიის დოქტორი

ჰორიზონტს იქით სიცოცხლე გრძელდება
(აბუსერისძე ტბელის პრემიის ლაურეატები)

ქართული ეროვნული სატკივარის დიდი ქომაგი იყო ღვაწლმოსილი მეცნიერი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ზურაბ თანდილავა**, რომლის ფიქრი ყოველთვის თავს დასტრიალებდა მის სათაყვანებელ სამშობლოს, მისი უკეთესი მერმისისაკენ სწრაფვას... ნათელმა კაცმა უფრო დიდი სინათლისაკენ ისწრაფა და მარადისობას შეერია!..

ბატონი ზურაბი იყო მეცნიერებასთან სიყვარულით მისული, დიდი ზნეობრივი მუხტითა და გონიერებით აღბეჭდილი პიროვნება, რომელიც მხოლოდ ამგვარ პერსონათათვის დამახასიათებელი სიღრმითა და სისავსით სწავლობდა ქართული ფოლკლორისა და დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიის აქტუალურ საკითხებს. მეცნიერულ წრეებში იგი დღესაც დამსახურებულად სარგებლობს მაღალკვალიფიციური სპეციალისტის ავტორიტეტით. მას გამოქვეყნებული აქვს 50-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი და მათ შორის რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ცალკეულ მხარეთა ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ეთნოლოგიის საკითხებს, სწორედ ამ ხანგრძლივი და შრომატევადი მეცნიერული მუშაობის შედეგს წარმოადგენს მისი მონოგრაფია „წყლის კულტი ქართულ ფოლკლორში“ და მისი სხვა ნაშრომები. ქართული ფოლკლორის მეცნიერულ კვლევაში განსაკუთრებული დამსახურებისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მიენიჭა (გარდაცვალების შემდეგ) პროფესორ ზურაბ თანდილავას აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემია.

ქართული არქეოლოგიური მეცნიერების თვალსაჩინო და ღირსეული წარმომადგენლის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და კერძოდ, ჭოროხის აუზის მსოფლიოში რკინის მეტალურგიის უძველეს

ცენტრის შემსწავლელი მკვლევარის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტ **დავით ხახუტაიშვილის** გარდაცვალების შემდეგ, საფიქრებელი იყო, რომ საისტორიო მეცნიერების არქეოლოგიის მიმართულებით კვლევა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დასუსტდებოდა; მაგრამ ესეს ასე არმოხდა. ეს ტენდენცია ამ დარგს თავიდან აიცილა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა, ასევე საქვეყნოდ ცნობილმა არქეოლოგმა, **ამირან კახიძემ**. იგი 1994 წლიდან, მის მიერ დაარსებული ქ. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დირექტორია.

ამირან კახიძეს უდიდესი სამუშაოები აქვს ჩატარებული ქობულეთ-ფიჭვნარის ნაქალაქარზე. 1998 წლიდან ხელმძღვანელობდა ამავე წელს შექმნილ საქართველო-ბრიტანეთის ფიჭვნარის საერთაშორისო ექსპედიციას; მან 2004 წელს ქ. ოქსფორდის უნივერსიტეტის აშმოლის მუზეუმის პროფესორ მაიკლ ვიკერსის თანაავტორობით აღნიშნული ექსპედიციის მასალათა საფუძველზე ქართულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა პირველი მონოგრაფია – "ფიჭვნარი I", და დღემდე სხვადასხვა მკვლევარებთან მისი თანაავტორობით აღნიშნული კრებულის 6 ტომია გამოცემული.

1999 წლიდან ამირან კახიძე ხელმძღვანელობს გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედ ექსპედიციას. ამ ხნის განმავლობაში დაიბეჭდა კრებულის "გონიო-აფსაროს" რამდენიმე ტომი. იგი არის ქართულ და უცხოურ ენებზე დაწერილი 200-მდე მონოგრაფიისა თუ სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მის მიერ გაწეული დიდი მუშაობისა და არქეოლოგიის დარგში მიღწეული წარმატებებისათვის დაჯილდოებული იქნა აბუსერისძე ტბელის პრემიით.

აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემია ერთ-ერთმა პირველმა მიიღო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა (მაშინ ჯერ კიდევ დოცენტმა), ბატონმა **შოთა მამულაძემ** მონოგრაფიისათვის „აჭარისწყლის ხეობის შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები", რომელსაც ძალიან მაღალი შეფასება მისცეს სპეციალისტებმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების გამგის, პროფესორ რამინ რამიშვილის აზრით შ. მამულაძის აღნიშნული კვლევა იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ „აჭარისწყლის ხეობა საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებდა შუა საუკუნეების ერთობლივი ქართული კულტურის ფორმირებაში. ამდენად საკვლევი რეგიონის მიჩნევა ქართული სახელმწიფოებრიობის, ქართული ქრისტიანული ცივილიზაციის ჩამოყალიბების ერთ–ერთ მსხვილ კერად სავსებით გასაზიარებელია.

შ. მამულაძის მონოგრაფია მეტად საყურადღებო გამოკვლევაა, რომელსაც სამეცნიერო მიმოქცევაში შეაქვს ყურადღების მიღმა დარჩენილი დიდი რეგიონიდან მომდინარე პირველხარისხოვანი არქეოლოგიური მასალები, რაც თვალსაჩინო შენაძენია ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის" [რამიშვილი, 1995].

ბატონი შოთა მის წარმომშობ მთის წყაროსავით კრისტალური და ალალი პიროვნებაა, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, არ აკლია სიფიცხე და ქართული, ვაჟკაცური შემართება. აჭარის მთებში უყვარს მუშაობა, ალბათ იმიტომ, რომ იქიდან უფრო კარგად ჩანს მისი სათაყვანებელი სამშობლო, ხოლო სანატრელი ტაო–კლარჯეთი ხელის გაწვდენაზეა. მან აღნიშნული მონოგრაფიით (საერთოდ, მისი მოკრძალებული მოღვაწეობით), მართლაც შეძლო მეცნიერულად წარმოეჩინა ამ რეგიონის მიერ ქართულ ქრისტიანული ცივილიზაციის ჩამოყალიბება-განვითარების საქმეში შეტანილი წონადი წვლილი.

ბათუმსა და საერთოდ, საქართველოში, ძალიან ძნელია მოინახოს ისეთი საზოგადოებრივი დატვირთვის მქონე პრობლემა, რომელსაც თავისი აქტიური პოზიციით არ გამოხმაურებოდეს ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ამჟამად ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი, ემერიტუსი პროფესორი **ბიჭიკო დიასამიძე**. მან მოახერხა დღევანდელ რთულსა და მრავალმხრივი წინააღმდეგობა-დაბრკოლებების ეპოქაში ისე იცხოვრა, რომ თავისი მორალური ავტორიტეტი ყოველ დროში შეინარჩუნა და დღესაც აგრძელებს ამ გზას.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მრავალი თაობის აღმზრდელი, ბიჭიკო დიასამიძე დღესაც ცდილობს არ ჩამორჩეს დროის მკაცრ მოთხოვნას და აკეთოს საქართველოს საქმე. ის არის 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, 12 მონოგრაფიისა და უამრავი პუბლიცისტური წერილის ავტორი. ნაშრომისათვის "ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (I-X საუკუნეები)", მიენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემია. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის საპატიო სიგელით.

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძე** საკმაოდ რთული და მრავალმხრივ საინტერესო პიროვნებაა, რომელიც ყოველთვის ცდილობდა თავისი სამეცნიერო საქმიანობისათვის შეეფარდებინა პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობა, ხოლო მძიმეტანიან სამეცნიერო გამოცე-

მებს გვერდში ამოუყენოს თავისი ღრმაშინაარსიანი და მგზნებარე ქართული სულისკვეთებით განმსჭვალული ნაფიქრ-ნააზრევი.

ქალბატონი შუშანა თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ოჯახიდან ერთ-ერთი პირველი გზის გამკვალავია თურქეთის საქართველოს მრავალმხრივი კვლევა-ძიებისა და შესწავლის საქმეში. მისი მონოგრაფიული მემკვიდრეობაც – "ჩვენებურების ქართული" (ტომი I, 1993 წ., ტომი II, 2016 წ.), "სტამბოლის ქართული სავანე"(2012 წ.), "Istambul gurcu ocaqi" (თურქულ ენაზე, 2012 წ.), სწორედ ამის დასტურია. მას გამოქვეყნებული აქვს 105 სამეცნიერო სტატია და ნაშრომი, აგრეთვე, მრავალი პუბლიცისტური წერილი.

ქალბატონ შუშანას, როგორც "ჩვენებურების ქართულის" პირველი ტომის ავტორს, მიენიჭა აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემია (მედლით). იგი დაჯილდოებულია აგრეთვე ღირსების ორდენითა და საპატიო მედლით ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის. არის ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტთა საპატიო მოქალაქე.

ჩვენს რთულსა და პრობლემებით აღსავსე დროში ცოტანი თუ დარჩნენ ისეთი პიროვნებანი, რომელთაც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანი აინტერესებს. პიროვნებაში ადამიანის შეცნობისაკენ სწრაფვა, მისი სიღრმისეული შინაარსის აღქმა, რჩეულთა ხვედრია, – და თუ გულის გულში არ გიზის ის დიდი სიყვარული, რაც ამას შეგაძლებინებს, ყოველი ცდა ფარისევლობა და ფუჭი ხარჯვაა.

საბედნიეროდ, არიან ადამიანები, რომელთაც თან დაჰყვათ ნათელი აურა, სხვათა ჭირის გაგებისა და ადამიანთა არა მარტო თანაგრძნობის, არამედ მათთან თანადგომისა და თანაზიარების უნარი. სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს მიეკუთვნება მრავალმხრივი, ამასთან, ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **თეიმურაზ კომახიძე**. იგი უდიდეს ენერგიას ახმარდა აჭარის ისტორიის შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეს, წარმოგვიდგება მეტად პროდუქტიულ მეცნიერ-მკვლევრად, რომლის ნაშრომებში ობიექტურად და საქმის ცოდნით, ამასთან მისთვის დამახასიათებელი სითბოთი და სიყვარულით, არის წარმოჩენილი ჩვენი მხარის მრავალმხრივი ისტორია. ბატონი თეიმურაზი თავისი ნაშრომებით საზოგადოების წინაშე წარმოსდგება ღრმად განსწავლულ მემატიანედ, რომელიც მოქმედებს პრინციპით – პირუთვნელად წარმოაჩინოს ჩვენი ქვეყნის ახალი და უახლესი ისტორიის კარდინალური საკითხები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მისი ნაშრომები – „აჭარის კულტურის ისტორია", „მემედ აბაშიძე", „მამუ-

ლიშვილი", „აჭარის წარსულის გადასახედიდან", „ღვაწლმოსილნი", „ბათუმის ამაგდარნი" თუ მრავალი სხვა. ამასთანავე, მისი თაოსნობით შეიქმნა მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა, აშენდა და აღსდგა არაერთი ეკლესია და ისტორიული ძეგლი და ა.შ. მას ამ საქმიანობაში ყოველთვის გვერდში ედგა მეუღლე, ქალბატონი **ნარგიზ აბაშიძე**, რომლის ინიციატივითაც მოხდა იმერეთში, ჭიათურის რაიონის სოფელ კაცხში მაცხოვრის სახელობის ეკლესიისათვის სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარება, რისთვისაც იგი 2002 წელს ჭიათურის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. მისივე ინიციატივით, რესტავრაცია გაუკეთდა უბისის სამონასტრო კომპლექსს, აქვე კეთილმოეწყო ბერთა საცხოვრებელი და საფუძველი ჩაეყარა საეკლესიო და ისტორიული ლიტერატურისათვის ბიბლიოთეკის შექმნას. აღსანიშნავია, აგრეთვე, მისი საქველმოქმედო, აღდგენითი და აღმშენებლობითი საქმიანობა ზემო აჭარაში თუ სხვაგან. სწორედ ამ საქმიანობისთვის მიენიჭათ მათ აბუსერისძე ტბელის პრემია.

მეტად შთამბეჭდავი და მრავალმხრივია პროფესორ **რამაზ სურმანიძის** მოღვაწეობა. პროფესიით ექიმი, ამასთან, შესანიშნავი მწერალი და ისტორიკოს–ბიოგრაფი, დახვეწილი ინტელიგენტი, ერუდიტი, მკვლევარი. ამ ჰარმონიის გამოძახილია მისი მშვენიერი, ხალხის წიაღიდან ნასაზრდოები შემოქმედება. მაგრამ განსაკუთრებული წვლილი ქართულ მწერლობაში რამაზ სურმანიძემ მწერალთა შემოქმედებითი ბიოგრაფიებით და ლიტერატურის ისტორიის კვლევა-ძიებით შეიტანა. მან შემოიტანა სამეცნიერო მიმოქცევაში დიდი ილიას ეპისტოლური მემკვიდრეობის რამდენიმე უცნობი ნიმუში, აკაკის ბათუმური მისამართები, ალექსანდრე ყაზბეგის შფოთიანი მწერლური ცხოვრების ბათუმური პერიოდები, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, მხატვარ-მოქანდაკეების, კომპოზიტორების, მსახიობების შემოქმედებითი ბიოგრაფიები. დაადგინა მარავალი ეპიზოდი რუსი მწერლების: ლევ ტოლსტოის, ანტონ ჩეხოვის, მაქსიმ გორკის, სერგეი ესენინის, მიხეილ ბულგაკოვის და სხვათა ბიოგრაფიებიდან, რომლებიც მანამდე უცნობი იყო არა მარტო ქართველი, არამედ რუსი და სხვა მკითხველის და სპეციალისტებისთვისაც კი. ბატონმა რამაზმა თავისი კალამი მხატვრულ თარგმანებშიც სცადა და საკმაოდ წარმატებითაც. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს რამაზ სურმანიძის პუბლიცისტური მემკვიდრეობა (რომანაძე, 2003). მან აბუსერისძე ტბელის სახელობის სახელმწიფო პრემია დაიმსახურა ნაშრომისთვის "ქართული კარაბადინის აჭარული ვარიანტები".

სრულიად საქართველო კი არა, ალბათ ყველა, ვინც ინტერესით ადევნებს თვალს ახლო წარსულის ამბებს, მოწმე გახდა ახალი მოვლენის დაბადებისა ბათუმის სინამდვილეში, სადაც ჩამოყალიბდა ბავშვთა საოპერო თეატრი, რომელმაც დადგა ხელოვნების შესანიშნავი ქმნილება „პრინცესა ტურანდოტი". ამან უდიდესი სიამოვნება მიანიჭა საოპერო ხელოვნების ყველა ჭეშმარიტ თაყვანისმცემელს არა მარტო საქართველოში, სადაც იგი ერთგვარი ეროვნული სიამაყის აღმძვრელ ფაქტად იქცა, არამედ უცხოეთშიც. ამ ქმნილების დაბადებაში უდიდესი წვლილი შეიტანა დამდგმელმა რეჟისორმა, საქართველოს სახალხო არტისტმა **გიზო ჟორდანიამ**.

ბატონმა გიზომ შექმნა ფაქტიურად ახალი საოპერო ჟანრი და ახალი სახეობა თეატრალურ ხელოვნებაში, რომლის ანალოგი მსოფლიოში არ იყო. ამიტომაც ჩვენ ვფიქრობთ, რომ თავისი მნიშვნელობით ეს ფაქტი უნდა შევიდეს მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მოვლენათა დაბადების ნუსხაში და სრულიადაც არ არის შემთხვევითი, რომ მისმა ავტორმა აბუსერისძე ტბელის სახელობის პრემია დაიმსახურა.

ცხოვრება მოვლენათა უწყვეტი კავშირია – წარსულიდან აწმყოს გავლით მომავლისკენ გადებული, – და ისტორიულია ყველა ის ფაქტი, რომელსაც თუნდაც პატარა მარცვლის როლის შესრულება შეუძლია სრულყოფილების მეტი სისავსით წარმოსაჩენად. მაგრამ ადამიანი, ყოვლის შემოქმედის ქმნილება და თვითონაც შემოქმედი, ეს თავად ისტორიაა, რომლის საწყისი და დასასრული ძალიან პირობითი ცნებებია – და ეს პატარა, მარადისობასთან წილნაყარი „მეტოქე უფლისა", ისევე ავსებს სრულიად კოსმოსს, როგორც მისი შემოქმედია სრული და ერთიანი, ხოლო თითოეული ინდივიდი მას ერწყმის და ამთლიანებს თავისი უნარ-შესაძლებლობის მიხედვით, – ყველა თავისი გონით წვდება მხოლოდ მისთვის მისაწვდომი ხედვის ჰორიზონტს... ჰორიზონტს იქით კი ცხოვრება გრძელდება!..

პროფესორ **ნელი დუმბაძის** პიროვნების გაცნობამ (რასაც მივწვდი) დაგვარწმუნა, რომ ბათუმში დადიოდა კოსმიური იდუმალების უნაზეს შრეებთან ნაზიარები, გასული საუკუნის ულამაზეს განცდათა ცოცხალი მეისტორიე!.. როდესაც მისი ცხოვრების არსში ჩახედავ და გაერკვევი, არ შეიძლება არ დაეთანხმო მის ბიოგრაფს, რომ „სოფლის ბუნებამ (ქალბატონი ნელი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფ. შემოქმედში დაბადებულა – უ. ო.) და მადლმა, მართლაც შემოქმედთან გახადა წილნაყარი მისი ასული, – ნატიფი, უზადო გარეგნობა, დახვეწილობა, გრძნობების სიღრმე, შერწყმული გონიერებასთან

და სიდარბაისლესთან, მიმტევებლობა, უბადრუკ მოშურნეთა სიბრალული, საკუთარი სიმაღლისა და დანიშნულების შეგნება – ქვეყნის გამრიგემ ამ სრულყოფილებას თითქოს ცალი ვერ უპოვა და მარტო შეატოვა წუთისოფლის დაუნდობელ ტრიალს"... (ბიბილეიშვილი, 2002, 3). ან რა ცალი უნდა მოსძებნოდა, მარად ჭაბუკად დარჩენილი ქართული პოეზიის რაინდის, ლადო ასათიანის მუზას. და მაინც, იგი თვალშეუდგამად თავმდაბალია იმდენად, რომ ღვთაებრივს ეახლება, როდესაც ლევან გოთუასადმი მიწერილ წერილში თითქოს თავისი სახის ხელთუქმნელ ხატებას აგვირისტებს.

ქალბატონი ნელი აღნიშნულ წერილში ლევან გოთუას სწერს: „პატიებას არ გთხოვთ. მეუცხოვება ესეც. თუ დავაშავე, დასჯილი ვარ კიდეც, რადგან შეგნებული მაქვს თქვენთვის შემთხვევითობა ჩემი"... (ბიბილეიშვილი, 2002, 18) გავბედავდი და ვიტყოდი, რომ ამ ლაკონურ შტრიხში (და არა მარტო აქ) ნათლად ჩანს ქალბატონ ნელის სულიერი სისავსე, მისი გამონათქვამის სინატიფე და უსასრულობისკენ სწრაფვა, რითაც იგი აღწევს ამაღლებულს... და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს მისი მაღალი სულის მახასიათებელია. აკი, სახელოვანი მწერალი, ღრმად პატივცემული ლევან გოთუაც პასუხობს, რომ „მე ვიგრძენი, რომ თქვენ იმ მკითხველებს ეკუთვნით, რომლებიც მარტო იმას კი არ წვდებიან, რაც ასოებით არის დაწერილი, არამედ, რაც გაცილებით უფრო ღრმად არის"...(იქვე)

ქალბატონ **ნელი დუმბაძის** ცხოვრება ის ფაქტია და ასრულებს სწორედ იმ მარცვლის როლს, რომელსაც შეუძლია სრულყოფილების მეტი სისავსით წარმოჩენა. მან კარგად უწყოდა, რომ ჰორიზონტს იქით სიცოცხლე გრძელდება!.. ეს შემთხვევაც ამის ნათელი დადასტურებაა. სიცოცხლე და ცხოვრება ერთმანეთს ავსებს. ამიტომაც ესწრაფეთ მარადიულს.

სიკეთის წახალისება ყველაზე დიდი ქველმოქმედებაა და ამ საქმეში ეკლესიის ავტორიტეტის ჩართვა კიდევ უფრო გაზრდიდა მისი კეთების მსურველთ, თუკი აღნიშნული პრემიის მინიჭება კვლავ აღდგებოდა და სამომავლოდ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მიერ წიგნებად გამოცემული ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალები: „ჩვენი სულიერების ბალავარი", ან "ბათუმი – წარსული და თანამედროვეობა", ასევე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების აჭარის ოთხტომეულის შემქმნელები აბუსერისძე ტბელის პრემიის მფლობელები გახდებოდნენ.

ეს გაზრდიდა როგორც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეუ-

ლის – ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ავტორიტეტს, ასევე, კიდევ უფრო წაახალისებდა მსგავს გამოცემებზე მუშაობას, ამასთან, აამაღლებდა აღნიშნულ სამეცნიერო კონფერენციებზე წარმოდგენილ მოხსენებებისადმი მოთხოვნილებასა და მათ ხარისხს.

Ucha Okropiridze

Life Goes on Beyond the Horizon (TbelAbusaridze award laureates)

Summary

The paper presents TbelAbusaridze award laureates and their contributions to the development of science and culture.

There is an idea and a desire for renewal of this award and granting it once in every Three years for exceptional Scientific Achievements.

ლიტერატურა:

1. რამიშვილი, 1995: – რამიშვილი რ., საყურადღებო არქეოლოგიური გამოკვლევა, გაზ. „აჭარა", 1995, 21.09., №208-209.

2. რომანაძე, 2003: – რომანაძე შ., რამაზ სურმანიძე – 70, ცხოვრების შუაგულში, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", N 24, 13-19 ივნისი, 2003.

3. ბიბილეიშვილი, 2002: – ბიბილეიშვილი ლ., პიროვნება, მეცნიერი მოღვაწე (ნელი დუმბაძე), თბილისი, 2002.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

სიმონ გოგიტიძე

აჭარის ინტელიგენციამ, საისტორიო მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა – 2016 წლის 15 აპრილს, ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 62 წლისა, გარდაიცვალა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **სიმონ გოგიტიძე.**

სიმონ გოგიტიძე იყო აკადემიური დოქტორი და ნიჭიერი მკვლევარი, რომლის ინტერესების სფეროში შედიოდა სამხრეთ საქართველოს, ქართველური მოდგმის ტომებისა და ქვეყნების ეთნიკური კუთვნილებისა და ლოკალიზაციის, ქრისტიანობის გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების საკითხების კვლევა. მისი საკანდიდატო სადისერტაციო-საკვალიფიკაციო ნაშრომი – „მირიან მეფე და ქართლის მოქცევა“, მონოგრაფიები: „დაიაენი-დიაოხი (ლოკალიზაციისა და ეთნიკური კუთვნილებისათვის)“, „ფარნავაზი და არიან-ქართლის ლოკალიზაცია“, „დიდაჭარა I და II საუკუნეებში“, სამეცნიერო სტატიები: „ქვეყანა ხუშანი“, „ქვეყანა ხაიასა“, „ურარტული ქვეყნების ზაბახასა და სირიმუთარას ლოკალიზაცია და ეთნიკური კუთვნილება“, „ბათუმი ანტიკური ხანის წერილობით წყაროებში“, „ბათუმის ისტორია“, „დიდაჭარა ბერძნულ, რომაულ და ქართულ წყაროებში“ და მრავალი სხვა ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია. სიმონი ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ინსტიტუტის სამეცნიერო ცხოვრებაში, რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, რომლებიც იმართებოდა ბათუმში, თბილისში, ქუთაისში. მის მიერ წაკითხული მოხსენებები მაღალ შეფასებებს იმსახურებდა და გამოირჩეოდა კვლევის სიახლით, წყაროებისა და ლიტერატურის ღრმა ცოდნით. ამ მხრივ იგი მისაბაძი პიროვნება იყო. მეტად გულსატკენია, რომ

იგი ჩვენგან უდროოდ წავიდოდა და ბევრი მეცნიერული ჩანაფიქრი მას განუხორციელებელი დარჩა.

სიმონ გოგიტიძემ თავისი ცხოვრების საუკეთესო წლები ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაატარა. ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობასაც.

ბატონი სიმონი იყო კომუნიკაბელური პიროვნება, ერთგული კოლეგა და მეგობარი, ჭირისა თუ ლხინის მოზიარე, შვილებისათვის გულანთებული მამა და ერთგული მეუღლე. ოჯახი იყო მისი მთავარი სამრეკლოც და ბალავარიც.

ინსტიტუტის კოლექტივი, რომელშიც სიმონ გოგიტიძე მუშაობდა, მისი მრავალრიცხოვანი კოლეგები და მეგობრები ყოველთვის ღირსეულად დააფასებენ სახელოვანი მეცნიერის ღვაწლსა და შემოქმედებას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი.

შრომები გამოდის წელიწადში ერთხელ

სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის თავისუფლების შესახებ და შრომებში გამოქვეყნებული მასალების შინაარსსა და სიზუსტეზე პასუხს არ აგებს. პასუხისმგებლობა ავტორებს ეკისრებათ.

მისამართი:
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი
6010 ქალაქი ბათუმი, ნინოშვილის ქ. N35